ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული პროფ.
ვარლამ ერთელიშვილის სახელობის ონომასტიკის
სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია

პაატა ცხადაია

# გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში

თბილისი — 2000

გვარსახელის, როგორც ანთროპონიმული კატეგორიის, არსებობა სახელმწიფოებრიობისა და კულტურის განვითარების მაღალი საფეხურის ერთ-ერთი ნიშანთაგანია. იგი ისევე მნიშვნელოვანი და პირველხარისხოვანი ძეგლია წარსულისა ("ისტორიის სარკეა"), როგორც არქეოლოგიური და არქიტექტურული სიძველენი, ეპიგრაფიკული ძეგლები, ისტორიულ-ლიტერატურული თხზულებანი... ქართველები არც ამ თვალსაზრისით ჩამოვრჩებით ევროპის მაღალცივილიზებულ ხალხებს. "გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში" მოკრძალებული ცდაა ერთი რეგიონის გვარსახელთა აღნუსხვა-სისტემატიზაციისა და ისტორია-ეტიმოლოგიის დადგენის სფეროში.


რედაქტორი — ზ. ჭუმბურიძე

რეცენზენტები — თ. უთურგაიძე
რ. თოფჩიშვილი

განხილულია და რეკომენდებულია დასაბეჭდად თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე 1999 წლის 29 დეკემბერს (ოქმი №3)

## წ ი ნ ა თ ქ მ ა

კოლხეთი (და, საერთოდ, ზანურ-სვანური ენების არეალი) ქართული ცივილიზაციისა და სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი შეურყეველი მესაძირკვლე იყო. დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში ბიზანტიელთა პოლიტიკურ და ეკლესიურ ბატონობას თითქოს კიდეც უნდა გაემრუდებინა საერთო ქართული ცნობიერების ჩამოყალიბების მაგისტრალური ხაზი, მაგრამ ცალკეულ მხარეთა დაუოკებელმა სწრაფვამ კულტურულ-რელიგიური გაერთიანებისა და პოლიტიკური ცენტრალიზაციისაკენ, რაც VIII-IX საუკუნეებიდან იწყება, გააძლიერა "ჩვეულებისაებრ მამულისა სლვა". სწორედ ამ პერიოდში ჩნდება სამემკვიდრეო სახელი, რომელსაც დღეს გვარსახელს ვუწოდებთ და აუცილებელი სოციალურ-სამართლებრივი კატეგორიაა.

საზოგადოების განვითარების სოციალურ-ეკონომიკურმა ფაქტორებმა განაპირობეს ოჯახის ფუნქციისა და სტატუსის ამაღლება. როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავდა, ინდივიდუალური ოჯახი გადაიქცა საზოგადოების სამეურნეო ერთეულად. ინდივიდუუმის ინტერესი დაუქვემდებარდა ოჯახის საერთო ეკონომიკურ ინტერესებს. სწორედ ამან გახადა აუცილებელი ისეთი ანთროპონიმული კატეგორიის ჩამოყალიბება, რომელშიც გამოხატული იქნებოდა პიროვნების მიკუთვნება გარკვეული ოჯახისადმი, რომელიც, როგორც საწარმოო და სოციალური ერთეული, პასუხისმგებელი იყო ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე.

საკუთარი სახელი (ტოპონიმი, ანთროპონიმი და სხვ.) როგორც ენობრივი, ისე ისტორიული და ეთნოგრაფიული ფაქტია. ამიტომ იკვლევენ მას ენათმეცნიერებიც, ისტორიკოსებიც, ეთნოგრაფებიც. იმ შრომებს შორის, რომლებიც მიეძღვნა ქართული ანთროპონიმიის ზოგად თუ კერძო პრობლემებს, უნდა გამოირჩეს ზურაბ ჭუმბურიძის "რა გქვია შენ" (გამოიცა რამდენიმეჯერ) და ილია მაისურაძის "ქართული გვარსახელები. სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია" (თბ., 1979). მათში განხილულია ქართული პირსახელებისა და გვარსახელების ისტორიის, სემანტიკისა და სტრუქტურის ზოგადი და კერძო საკითხები. ქართული გვარსახელების ეთნოისტორიული ასპექტით კვლევის შედეგია როლანდ თოფჩიშვილის ნაშრომი "როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები" (თბ., 1997. იხ. აგრეთვე მისივე: "ლეჩხუმური გვარსახელები", "მოხეური გვარსახელები"). ქართული გვარსახელების წარმოშობის პრობლემას შეეხებოდა გიგი ხორნაულის სადოქტორო დისერტაციის ერთი ნაწილიც. მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, დასრულებული განმაზოგადებელი და მრავალასპექტიანი მონოგრაფია ქართველურ საკუთარ სახელებზე, განსაკუთრებით, გვარებზე, დღემდე არ მოგვეპოვება. ქართულ-ქართველური ანთროპონიმიის ცალკეულ საკითხებზე საყურადღებო მოსაზრებანი აქვთ გამოთქმული ნ. მარს, ივ. ჯავახიშვილს, ს. ჯანაშიას, პ. ინგოროყვას, ს. ყაუხჩიშვილს, გ. ახვლედიანს, აკ. შანიძეს, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას, გ. როგავას, მ. ანდრონიკაშვილს და სხვა მრავალ ცნობილ მკვლევარს, მაგრამ ამ მოკლე წინათქმაში მათ არ შევეხებით.

ქართული სამეცნიერო ლიტერატურა და ლექსიკოლოგია ღარიბია ანთროპონიმული ლექსიკონებითაც. იმათ შორის, რაც მოგვეპოვება, საკვლევი ობიექტისადმი ენათმეცნიერული მიდგომითა და პროფესიონალიზმით გამოირჩევა ილია მაისურაძის "ქართული გვარსახელები. სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები" (გამოიცა ორჯერ). მასში შესულია 3000-მდე გვარი, რომელთაც, სადაც კი შესაძლებელი იყო, ახლავს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ცნობები და ეტიმოლოგიური ხასიათის განმარტებანი. ორიგინალური, შედარებით სრული და, ამდენად, მკვლევართათვის მეტად საჭირო შენაძენია "პირთა ანოტირებული ლექსიკონი" (ჯერჯერობით მხოლოდ ორი ტომია გამოცემული), რომელიც ეყრდნობა XI-XVII სს. ქართულ ისტორიულ საბუთებს (გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა) და ავთანდილ სილაგაძისა და ანზორ თოთაძის მიერ ვაუჩერების მიმღებთა სიების მიხედვით შედგენილი და გამოცემული "გვარ-სახელები საქართველოში" (თბ., 1997). ეს ლექსიკონი გვაწვდის საინტერესო და აუცილებელ მონაცემებს ამა თუ იმ გვარის მატარებელთა სულადობისა და განსახლების ძირითადი ადგილების, აგრეთვე ცალკეული საგვარსახელო აფიქსების პროდუქტიულობის შესახებ როგორც მთელი

ქვეყნის, ისე რეგიონების მასშტაბით (სამწუხაროდ, წიგნში ვერ შევიდა ის გვარსახელები, რომელთაც საქართველოში ოცზე ნაკლები პირი ატარებს). ანთროპონიმიით დაინტერესებული მკვლევარი თუ რიგითი მკითხველი გვერდს ვერ აუვლის ალ. ღლონტის "ქართველურ საკუთარ სახელებს" (გამოიცა ორჯერ) და ნ. გურგენიძისა და მ. ჯიქიას ნაშრომს "თურქული წარმომავლობის ანთროპონიმები ქართულში" (თბ., 1994), ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონს (თბ., 1985. შეადგინა კონა გიგინეიშვილმა). მნიშვნელოვანია უკანასკნელ ხანს გამოცემული რამდენიმე გენეალოგიური მასალა. ესენია: იოანე ბაგრატიონის "აღწერა საქართველოს თავადთა და აზნაურთა გვარებისა" (თბ., 1997. რედაქტორი და გამომცემელი ზურაბ კაცელაშვილი), "გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახები" (თბ., 1993. ფოტოტიპიური გამოცემა ზურაბ ჭუმბურიძისა და ქველი ჩხატარაისშვილისა), "იმერეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები" (თბ., 1999. ფოტოტიპიური გამოცემა ზურაბ ჭუმბურიძისა) და სხვ. რა თქმა უნდა, სამეგრელოს (ისევე როგორც სხვა რეგიონების) თავად-აზნაურთა საგვარეულოების ოფიციალური სიებიც დასამუშავებელი და გამოსაქვეყნებელია.

კოლოსალური შრომა გაუწევია იაკობ ახუაშვილს. შესაშურია მისი მიზანსწრაფული შემართება: "ქართული გვარსახელების" I ტომი (1994 წ.) რვაას, ხოლო II ტომი (1999 წ.) ცხრაას გვერდს შეიცავს (ავტორი კიდევ რამდენიმე ტომს გვპირდება!). ბატონ იაკობს გულმოდგინედ შეუსწავლია სამეცნიერო საზოგადოებისათვის ცნობილი თუ უცნობი მრავალი საისტორიო და საარქივო მასალა. მისი "ქართული გვარსახელების" I ტომში წარმოდგენილია მრავალფეროვანი მონაცემები 1350-მდე გვარზე. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სალექსიკონო ნაწილი წიგნისა გადატვირთულია ჩანართებითა და ლექსიკოლოგიური წიაღსვლებით, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო გვარის ისტორიასა თუ ეტიმოლოგიასთან, პირდაპირ რომ ვთქვათ, მხოლოდ აფუჭებს კარგ საქმეს. ჩვენს ნათქვამს დავასაბუთებთ რამდენიმე მაგალითით: 1. გვარ ბაღდასარაშვილს ავტორი აკავშირებს პირსახელ ბაღდასარა-სთან. მაგრამ სრულიად გაუგებარია, რა მიზნით მოსდევს ამ სწორ თვალსაზრისს ქსე-დან ამოღებული ვრცელი განმარტება "ბაღჩა" სიტყვისა; 2. შტოგვარის სახელ სელეპანაშვილის წარმომავლობის დადგენის მიზნით ერთმანეთთანაა დაკავშირებული ქართული სიტყვა ს ე ლ ი "ძვირფასი სკამი, სავარძელი" და პოლონური პ ა ნ ი "ბატონი" (ვითომ გადატანით სელეპანა ნიშნავს "ამაღლებულს, ძვირფას სკამზე მჯდომს"); 3. 544-ე გვერდზე ფარემუზაშვილთან დაკავშირებით სწორადაა შენიშნული, რომ გვარსახელისათვის ამოსავალია პირსახელი ფარემუზა, მაგრამ 522-ე გვერდზე შემოთავაზებულია საკუთრივ ფარემუზას ასეთი წარმოუდგენელი ეტიმოლოგია: "ფ ა რ –ი - ქართული ანბანის ოცდამეერთე ასოს ფ-ს სახელწოდება. მ უ ზ ა (ბერძნ.) - პოეტური შთაგონების წყარო. აგრეთვე თვით პოეტური შთაგონება, შემოქმედება (ქეგლ)". ცხადია, ასეთ სარეველათაგან გაწმენდა ი. ახუაშვილის წიგნებს უფრო საინტერესოსა და სანდოს გახდიდა.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ნიკოლოზ ჯომიდავა "კოლხური გვარსახელების" (თბ., 1996) ანოტაციაში აღნიშნავს, რომ მისი "ნაშრომი წარმოადგენს კოლხური (მეგრული) გვარსახელების მონოგრაფიულად შესწავლის პირველ ცდას". ფაქტობრივად ეს წიგნი მხოლოდ გვარსახელთა ლექსიკონია და შორს დგას ყოველგვარი მონოგრაფიულობისაგან. იგი უხვად შეიცავს ფანტასტიკურად მიამიტურ ეტიმოლოგიებს. ანბანის რიგის მიხედვით პირველივე გვარის — ა ბ ა კ ე ლ ი ა ს — წარმომავლობის განმარტების მიზნით ავტორი ასეთ ექსკურსს მიმართავს: "ჯარის ნაწილების სადგომი ან ნადგომი, საიდანაც ბაკი-ბუკი (ნაბიჯის ხმა) ისმის". გვარი ა ლ ა ს ა ნ ი ა თურმე მომდინარეობს ა-ლას(ო)-ნია-საგან, სადაც ა წინაკიდური ბგერაა, ხოლო ლასო არის "მარყუჟიანი ქამანდი, რომელსაც ძველად ხმარობდნენ ზოგი ნადირის დასაჭერად". გ ე ლ ა ნ ტ ი ა-ში გამოყოფილია ლა(ნ)ტი და მითითებულია "ნაძვი (ჩუბ.)". ნიკო და დავით ჩუბინაშვილები მართლაც განმარტავენ: "ნაძვი (ხე) ელატი", მაგრამ რა შუაშია ეს ელატი გვარ გელანტიასთან? ასევე: გვარ ს ე ს ქ უ რ ი ა-ში სე- თურმე წინაკიდური სართია, ხოლო - სქური სოფლისა და კურორტის სახელი, ტაბაღუა თურმე წყლის ჭიას ნიშნავს და ა.შ. და ა.შ.

ყოველივე ზემოთქმული მიანიშნებს, რომ აუცილებელია რეგიონების მიხედვით გვარსახელთა სრული აღნუსხვა და თითოეული მათგანის ისტორიისა და მიგრაციის, აგრეთვე წარმომავლობის დადგენისათვის საჭირო მასალების გამოწვლილვით მოძიება. როგორც ი. მაისურაძე აღნიშნავდა ორი ათეული წლის წინათ, "ზოგადი და ეპიზოდური დაკვირვებანი, თუნდაც კამერალური ძიებანი ამ მხრივ მაინც შორს ვერ წაგვიყვანს. საჭიროა სპეციალური კვლევის ფართოდ გაშლა, რასაც წინ უნდა უძღოდეს ფაქტობრივი მასალის გამოვლენა და შეკრება-პუბლიკაცია" (მაისურაძე, 1979, გვ. 5). მართალია, განვლილ პერიოდში ამ მიმართულებით ზოგი რამ გაკეთდა კიდეც, მაგრამ გასაკეთებელი ბევრად უფრო მეტი დარჩა. აქედან გამომდინარეობს ჩვენი მოკრძალებული მიზანიც: შევმატოთ ქართულ ანთროპონიმულ ლიტერატურას საქართველოს ერთი დიდი რეგიონის გვარსახელთა სრული ლექსიკონი, შედგენილი ენათმეცნიერული თვალთახედვით. საამისოდ 1990-1996 წლებში შევკრიბეთ სამეგრელოს სოფლების მოსახლეთა გვარები და დავადგინეთ მათი კომლობრივი რაოდენობა (სამწუხაროდ, ამ სამუშაოს შესრულება სამურზაყანოში მხოლოდ სანახევროდ მოვასწარით). მაინცდამაინც კომლთა რაოდენობაზე (და არა სულადობაზე) იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ, როგორც წიგნის სათაურიდანაც ჩანს, გვართა დასახლების სახელწოდების წარმოქმნის საკითხიც გვაინტერესებს და სწორედ კომლი ("ცალკე ოჯახი, მოსახლე" ქეგლ) არის სახელმწიფოს უმცირესი სამეურნეო-სოციალური და სამემკვიდრეო-სამართლებრივი ერთეული. ამასთანავე, მიკროოიკონიმის (სოფლის ნაწილის, უბნის, კვარტალის სახელწოდების) წარმოქმნას სწორედ კომლთა გარკვეული რაოდენობის კომპაქტური დასახლება განსაზღვრავს. კომლთა მრავალრიცხოვნება, თავის მხრივ, ერთ-ერთი (ზოგ შემთხვევაში ერთადერთი) კრიტერიუმია, რათა დადგინდეს ამა თუ იმ გვარის პირველსაცხოვრისი, სამკვიდრო, "სამშობლო" და ამავე თუ სხვა რეგიონში მიგრაციის მიმართულება (ამაში განსაკუთრებით გვეხმარება საგვარეულო გადმოცემები და უწინდელი სალოცავი ხატ-ჯვარის ადგილსამყოფლის გამოვლენა).

სამეგრელოს შიგნით გვართა მიგრაციის ძირითადი კონტურების მოხაზვა გაადვილებულია ოიკონიმთა საწარმოებლად ლე- და სა- პრეფიქსების გამოყენების არეალების გარკვევით: გვარის საცხოვრისის აღსანიშნად ლე-ს გამოყენება ქრონოლოგიურად უფრო ძველი მოვლენაა და მოიცავდა სამეგრელოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს, ე.ი. მთიან სამეგრელოს (ოდიშის პლატოს). კოლხეთის ზღვისპირა ვაკე ძირითადად საზამთრო საძოვრებად იყო გამოყენებული და მისი მასობრივად დასახლება გვიან შუა საუკუნეებში იწყება. ამიტომაც ამ არეალში გვარის საცხოვრებელი ტერიტორიის სახელის საწარმოებლად გამოყენებულია მხოლოდ სა- პრეფიქსი, რომელმაც აღმ. და დას. საქართველოს ეკლესიურ-პოლიტიკური გაერთიანებისა და სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაციის შემდეგ თანდათანობით შეცვალა თავის დროზე სვანურიდან შეთვისებული ლე- თავსართი.

წინამდებარე ლექსიკონში შევიდა ყველა კოლხურსუფიქსიანი გვარსახელი (მათი რაოდენობა 1170-მდეა), რომელსაც ერთი კომლი მაინც ატარებს სამეგრელოში და 530-მდე არაკოლხური გვარი, რომელიც ერთ დასახლებულ პუნქტში მაინც არის წარმოდგენილი სამი კომლით (სამი კომლი ის მინიმუმია, რაც საკმარისია უბნისა და მისი სახელწოდების წარმოსაქმნელად).

სალექსიკონო სტატიის აგებულება ასეთია:

1. დასახელებულია გვარსახელი და აღნიშნულია ამ გვარსახელის მატარებელთა სულადობა მთელი ქვეყნისა და სამი ყველაზე მეტად გავრცელების რაიონის (ქალაქის) მიხედვით (ეს მონაცემები ამოღებულია ა. სილაგაძისა და ა. თოთაძის მიერ გამოცემული წიგნიდან "გვარ-სახელები საქართველოში").

2. მითითებულია გვარის მატარებელ კომლთა რაოდენობა თემების, ე.ი. ყოფილი სასოფლო საბჭოების (და არა მათში შემავალი სოფლების) მიხედვით. იმ შემთხვევაში, როცა გვარი ძალზე მრავალრიცხოვანია და რამდენიმე ათეულ სოფელშია განსახლებული, დასახელებულია მხოლოდ 10-12 სოფელი (კომლთა რაოდენობის კლების შესაბამისად).

3. დასახელებულია ამ გვარისაგან წარმოქმნილი ტოპონიმები (ძირითადად სოფლისა და უბნის სახელები), რასაც მოსდევს მიგრაციასთან დაკავშირებული ზოგი გადმოცემა. თემის

სახელთან მითითებულია რაიონი, რომელსაც იგი ეკუთვნის, სოფლის სახელთან კი – თემი, რომელშიც იგი შედის. მიკროოიკონიმები ლოკალიზებულია იმ სოფლის დასახელებით, რომელშიც მდებარეობს სახელდებული მიკროობიექტი.

4. მოხმობილია ძირითადი საისტორიო წყაროების მონაცემები გვარსახელთან დაკავშირებით (ამჯერად ძირითადად XI–XVIII სს. დოკუმენტებით შემოვიფარგლეთ).

5. სალექსიკონო სტატიას აბოლოვებს სამეცნიერო ლიტარატურაში ცნობილი ან ავტორისეული ეტიმოლოგიები (ზოგ შემთხვევაში – მხოლოდ სავარაუდო). საჭიროების შემთხვევაში აღნიშნულია გვარსახელთა ადგილობრივი (არაოფიციალურ მეტყველებაში გამოყენებული) და საპასპორტო ვარიანტები, აგრეთვე სოციალური სტატუსი (თავადი, აზნაური, საეკლესიო გლეხი) ზოგი გამოკვლევისა და 1904 წლის საკომლო აღწერის მასალების მიხედვით (რომელიც სრული სახით არცაა მოღწეული).

წიგნში "გვარ-სახელები საქართველოში" შესულია ლტოლვილთა გვარებიც და სულადობაც. ჩვენ კი ლტოლვილთა (როგორც სამეგრელოში დროებით მაცხოვრებელთა) გვარსახელები და კომლთა რაოდენობა არა გვაქვს გათვალისწინებული (ამან გამოიწვია ზოგ გვარსახელთან გაკეთებული შენიშვნა: "არიან ლტოლვილებიც"), რადგანაც ჩვენი კვლევის მიზანია, როგორც ზემოთ განვმარტეთ, არა მარტო გვარების, არამედ აგრეთვე გვართა დასახლებების სახელწოდებათა, ანუ ანთროპოოიკონიმთა, შესწავლა.

მადლობას ვუხდით სამეგრელოს რაიონების, ქალაქების, სოფლების გამგებლებსა და რიგით ინფორმატორებს (რომელნიც დაუზარებლად გვეხმარებოდნენ ჩვენთვის საჭირო ინფორმაციის მოძიებაში), განსაკუთრებით, ვ. ჭანტურიას, მ. ქანთარიას, პ. ფიფიას (სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაცია), ტ. დგებუაძეს, მ.. თოდუას, გ. მირცხულავას (ქ. სენაკი და სენაკის რ.), ბ. ნადარაიას, დ. სალაყაიას (ქ. ხობი და ხობის რ.), დ. ქანთარიას, გ. ხარჩილავას (ქ. წალენჯიხა და წალენჯიხის რ.), ს. ჭანტურიას (აბაშის რ.), აკ. დარჯანიას (ქ. ფოთი), ა. სიჭინავას (ჩხოროწყუს რ.) და სხვ.

 დაბოლოს, ყურადღებით მოვეკიდებით ყველა შენიშვნას, რომელიც დაგვეხმარება ამ საცდელი (და ინფორმაციულობის თვალსაზრისით ნაწილობრივ შეზღუდული) ლექსიკონის სრულყოფასა და დახვეწაში.

# ნაწილი პირველი

## პირველი თავი. გვარსახელი. მისი წარმოშობა და ფუნქცია

დღევანდელი კაცობრიობისათვის გვარი, როგორც სოციალურ-სამართლებრივი კატეგორია, იმდენად ბუნებრივი და აუცილებელი მოთხოვნილებაა, რომ გვიკვირს კიდეც, როგორ ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები მის გარეშე*... ადამიანს მაშინვე დასჭირდა თავისი მსგავსისაგან გამოსარჩევი, დამაკონკრეტებელი სახელის დარქმევა, როგორც კი აზროვნება განუვითარდა და ენა ამოიდგა. პირველყოფილი ტომის პრიმიტიული ცხოვრების წესისა და კარჩაკეტილი სამეურნეო საქმიანობისათვის ოდენ პირსახელიც საკმარისი იყო. მით უმეტეს, როცა მას მისტიკურ-საკრალური დატვირთვაც ჰქონდა: საკუთარ სახელს მიაწერდნენ მაგიურ ძალას, ადამიანის ბედისა და სიცოცხლის წარმართვის უნარს. პირველყოფილი ადამიანი აიგივებდა სახელსა და სულს. ზოგიერთი ხალხის რწმენით, რამდენი სახელიცაა, იმდენია სულიც და, პირიქით. ეს იწვევდა ნადირობას სახელებზე. ახალ გვინეაში პაპუასებს თითქმის ბოლო დრომდე ჰქონიათ ასეთი ჩვეულება: დაესხმოდნენ თავს მეზობელ ტომს, აიყვანდნენ ტყვეებს და დახოცვის წინ უბრძანებდნენ: "სახელი! თქვი შენი სახელი!" შემდეგ ამ სახელს თავიანთ ახალშობილს დაარქმევდნენ. ამის გარეშე ტომის გამრავლება წარმოუდგენელი იყო (ნიკონოვი, 1974, გვ. 30).

სახელისა და სულის გაიგივება აუცილებელს ხდიდა ტაბუირებას – სახელის გასაიდუმლოებას: ავ სულს, ბოროტ ძალას ადვილად შეეძლო ევნო ადამიანისათვის, კიდევაც დაეღუპა იგი, თუკი ეცოდინებოდა მისი სახელი. ამ რწმენიდან გამომდინარეობს ზოგ ხალხში დღემდე შემორჩენილი ორსახელიანობა. ადამიანი ორ სახელს ატარებდა. მათგან ერთი იყო ყოველდღიურად სახმარი, მეორე — გასაიდუმლოებული, საიშვიათო. ავი სულებისათვის გზა-კვალის ასაბნევად საქართველოშიც არქმევდნენ ახალშობილს ცუდი, არასასიამოვნო შინაარსის მქონე სახელებს (გლახა, საძაგელი, საგინა ...). იგივე ფუნქცია ჰქონდა ხევსურებისათვის დამახასიათებელ სულისა და ხატის სახელებს.

გვარსახელის, როგორც განსაკუთრებული ანთროპონიმული კატეგორიის, ჩამოყალიბებისა და საყოველთაოდ გავრცელება-დაკანონების პროცესი მეტად ხანგრძლივი და თანდათანობითი იყო. როგორც ცნობილია, ადამიანთა საზოგადოებაში არაფერი იქმნება ისეთი, რაც არაა განპირობებული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აუცილებლობით. სახელმწიფოს შექმნა მისთვის აუცილებელი საპოლიციო, საგადასახადო, სამხედრო, ადმინისტრაციული სტრუქტურებით, ვაჭრობის განვითარება, მოსახლეობის ზრდა მოითხოვდა სათანადო დოკუმენტირებას, რისთვისაც საჭირო იყო პიროვნების სახელდება ორ- ან სამწევრიანი ანთროპონიმული მოდელით. მოგვყავს ვრცელი ამონარიდი პროფესორ ზ. ჭუმბურიძის მსჯელობიდან: "შრომის განაწილება, მოსახლეობის ზრდა, ტომებს შორის ურთიერთობის გაცხოველება და ხალხის უფრო მრავალრიცხოვან კოლექტივად ჩამოყალიბება აუცილებელს ხდიდა არამარტო იმის ცოდნას, თუ რა ჰქვია ამა და ამ პირს, არამედ – რა ხელობის კაცია იგი, ვისი შთამომავალია, სადაურია და ა.შ. ამრიგად, სახელის გვერდით გაჩნდა კიდევ მეორე, დამატებითი სახელი, რომელიც აზუსტებდა პიროვნების ვინაობას, მეტ ცნობებს იძლეოდა მასზე და თანაც აადვილებდა ერთი სახელის მქონე პირების – სეხნიების გარჩევას. აი, ამ დამატებითი სახელისაგან დროთა განმავლობაში წარმოიშვა გვარი, როგორც პიროვნული სახელის თანმხლები, განუყრელი ნაწილი" (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 293–294).

---

* შენიშვნა: როგორც თითქმის ყველაფერში, აქაც არის გამონაკლისი – არსებობს უგვაროთა ქვეყანა. ესაა ისლანდიის რესპუბლიკა კუნძულ ისლანდიაზე. ქვეყნის კანონში, რომელიც 1925 წლის 27 ივნისს არის მიღებული, ჩაწერილია: "ჩვენს ქვეყანაში არავინ უნდა დაირქვას გვარი". თუმცა ეს ხელს არ უშლის ნებისმიერ ისლანდიელს, იცოდეს თავისი წინაპრების 27-ვე თაობა. ცხადია; გვარის მაგივრობას ეწევა მამიშვილობის აღნიშვნა, რასაც ანთროპონიმულ ფორმულაში მეორე ადგილი უკავია: ჰუნარ ბენედიქტსონი (ცნობილი მწერალია) ნიშნავს "ჰუნარ ბენედიქტეს ძეს". არის გამონაკლისიც: მწერალ ხალდოურ ლაქსნესისათვის ლაქსნესი გვარია. საქმე ისაა, რომ ოჯახებს, რომელთაც წინა საუკუნეებიდან ჰქონდათ გვარსახელი, დართეს მისი ტარების უფლება

პიროვნების ვინაობის დაკონკრეტების მიზნით მეორე სახელის (ანთროპონიმული მოდელის მეორე წევრის) გამოყენების ტრადიციას თანდათანობით ჩაეყარა საფუძველი. პირსახელს ემატებოდა მამიშვილობის ან პაპიშვილიშვილობის აღნიშვნა, საერო, სასულიერო თუ სამხედრო თანამდებობების, ან მოხელეობა-მოსაქმეობის აღმნიშვნელი ტერმინი, ზედწოდება, მეტსახელი და ა.შ. მაგრამ იგი (ეს მეორე სახელი) არ იყო მემკვიდრეობითი, არ გადადიოდა მომდევნო თაობებზე. დროთა განმავლობაში მრავალ ხალხში წარმოიქმნა საოჯახო სახელებიც, რომლებსაც გარდამავალ ფორმებად თვლიან, რადგან მემკვიდრეობითი სახელები, ანუ გვარსახელები, სწორედ მათგან წარმოიშვა.

როდის და სად წარმოიქმნა გვარსახელი საერთოდ?.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ გვარსახელი წარმოიქმნა ჩრდილოეთ იტალიაში XI საუკუნეში და ერთი ასწლეულის მანძილზე ფართოდ გავრცელდა საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში. ფეოდალებს გვარსახელი სჭირდებოდათ მიწაზე შთამომავლობითი უფლების დოკუმენტური დადასტურებისათვის, ბურჟუაზიას კი – ფირმების მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და კლიენტურის გაფართოებისათვის. ვაჭართა კლასისათვის გვარი იყო ერთგვარი სავაჭრო ნიშანი, ნდობისა და ავტორიტეტის ფაქტორი. მოქალაქეებს სჭირდებოდათ გვარსახელი როგორც იურიდიული საბუთი. XIII ს. დამლევს სტრასბურგში ყველა მოქალაქეს ჰქონდა გვარსახელი, თუმცა კი გერმანელ გლეხებში მისი დამკვიდრება ერთი საუკუნის შემდეგაც არ იყო დასრულებული. რუსეთში "პროზვიშჩე"-ს (მეტსახელი და ზედწოდება) გაგვარსახელება დაიწყო XIV ს-ში: კერძოდ, თავადთა გვარები არსებობენ XV საუკუნიდან, აზნაურთა გვარები წარმოიშვნენ XV-XVII საუკუნეებში, ვაჭართა უმეტესობამ გვარი დაიმკვიდრა XVIII ს-ში. გლეხობისათვის კი 1861 წლამდე, ე.ი. ბატონყმობის გადავარდნამდე, გვარსახელი აუცილებელი არ იყო. ბევრ ქვეყანაში გვარსახელი შემოღებულ იქნა საკანონმდებლო აქტებით XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. პირველ ნახევარში (ნიკონოვი, 1989, გვ. 9).

არის მოსაზრება, რომ გვარი წარმოიქმნა უფრო შორეულ წარსულში. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 600 წელს რომში პიროვნება ჯერ კიდევ ოდენ სახელით აღინიშნებოდა, როგორც ეს საერთოდ იყო დამახასიათებელი ინდოევროპული ანთროპონიმული სისტემისათვის. შემდეგ კი რომაელთა ანთროპონიმული მოდელი (როგორც მიუთითებენ, ეტრუსკელთა გავლენით) გახდა თავდაპირველად ორწევრიანი, ხოლო შემდეგ სამწევრიანიც. ამ სამწევრიან მოდელში ძირითად წევრს ეწოდებოდა ნომენი. სწორედ ის წარმოადგენდა საგვარეულო სახელს, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემოდა. მას წინ უძღოდა პრენომენი (პერსონალური სახელი), ხოლო მოსდევდა კოგნომენი (მეტსახელი ან ზედწოდება) და, იშვიათად, მეოთხე წევრიც (აგნომენი). ნომენი, ფაქტობრივად, მამიშვილობას აღნიშნავდა. ქართულ ენაზე გამოცემულ "ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ლექსიკონის" (თბ., 1985) წინასიტყვაობაში მისი შემდგენელი კონა გიგინეიშვილი წერს: "ბევრი რომაელი მოღვაწე ცნობილია ორი, სამი ან მეტი სახელითაც. მათგან ჩვეულებრივ ერთი არის ძირითადი სახელი (ნომენი), რომელიც გათანაბრებულია გვართან დღევანდელი გაგებით... ენციკლოპედიებში ანბანის რიგში წარმოდგენილია, როგორც წესი, ძირითადი სახელი" (გვ.21). ქართულში მას დაერთვის სახელობითი ბრუნვის ნიშანი, მაგალითად, ოვიდიუს-ი პუბლიუს ნაზონ. სხვა შეხედულებით, სწორედ კოგნომენი (ზოგ შემთხვევაში აგნომენთან შეერთების შედეგად) იქცა მომავალში მემკვიდრეობით სახელად, ანუ გვარსახელად (პოდოლსკაია, 1988, გვ. 65-66).

მაინც რა არის გვარი?.

ენციკლოპედიებსა და დარგობრივ ლექსიკონებში ანთროპონიმული ტერმინი ფამილია (ლათ. familia ინგლ. family) განმარტებულია ოჯახის ცნებასთან დაკავშირებით. მაგალითად, "Фамилия – Вид антропонима. Наследуемое официальное именование, указывающее на принадлежность человека к определенной семье" (პოდოლსკაია, 1988, გვ. 140). "ქართული საბჭოთა ენციკლოპედია"(ტ. 3) გვარსახელის ასეთ დეფინიციას გვთავაზობს: "დაბადებით ან ქორწინებით მიღებული და შთამომავლობით გადამავალი გვარეობითი სახელწოდება, რომელიც ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს". ქართულად გამოცემულ "ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებით ლექსიკონში" (ცხადაია, 1988) მოცემული განმარტება გვარისა, როგორც ოფიციალური და მემკვიდრეობითი საოჯახო სახელწოდებისა, რომელიც ერთვის პიროვნულ სახელს, სრული და ამომწურავია, ვთქვათ, ევროპის ხალხებისათვის, მაგრამ არა ქართველთათვის. საქმე ისაა, რომ "გვარსახელი ქართული სინამდვილისათვის მხოლოდ ოჯახის – ამ პირველადი სოციალური უჯრედის დამახასიათებელი

მოვლენა არ არის... ის ოჯახზე უფრო მსხვილი ნათესაური გაერთიანების მემკვიდრეობითი სახელწოდებაა" (თოფჩიშვილი, 1997, გვ. 4).

მართლაც, გვარსახელს საქართველოში მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური, ზნეობრივი და საადათწესო დატვირთვა აქვს. იგი სისხლის აღრევის პროფილაქტიკური საშუალებაცაა: გვარის შიგნით მტკიცედაა დაცული ეგზოგამია — ქორწინების აკრძალვა. ქართველი სირცხვილად და დანაშაულადაც კი თვლიდა თანამოგვარეზე დაქორწინებას მაშინაც კი, როცა ეს თანამოგვარე, ფაქტობრივად, სხვატომელი, სხვაგვარელი (ნაშვილები, შენაკედლები, სამოსახლომიცემული) იყო. საბუთიანი მსჯელობის შემდეგ რ. თოფჩიშვილი ასკვნის: "გვარსახელი არის ის მემკვიდრეობითი სახელი, რომელიც სულ ცოტა სამი თაობის განმავლობაში მაინც გადაეცემა თაობიდან თაობას" (იქვე, გვ. 5). განმარტება მისაღებია, მაგრამ ... გამონაკლისი ხომ თითქმის ყოველთვის იჩენს თავს: ერთმა ჩემი სიყრმის მეგობარმა და მეზობელმა შეიცვალა მამაპაპური გვარი, დაირქვა ენგურელი (ცხოვრობს ენგურის ნაპირას). მთელი მისი ოჯახი (მეუღლე, ვაჟიშვილი, ქალიშვილი) ამ გვარს ატარებს. მაგრამ ქალიშვილმა ქმრის გვარი მიიღო და მისი ხაზით შვილიშვილები, რა თქმა უნდა, მამის გვარზე დაეწერნენ. ვაჟიშვილს კი მხოლოდ ქალიშვილები ჰყავს. ჩაითვლება თუ არა ეს მართლაცდა საოჯახო სახელი "ენგურელი" გვარსახელად, რაკიღა მესამე თაობას ვეღარ გადასწვდა? ჩვენი აზრით, უნდა ჩაითვალოს.

საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია ცნობილი გვარის დანაყოფის (შტოგვარის, ქვეგვარის) სახელები, რომლებიც გვარის ალტერნატივას წარმოადგენენ, ოღონდ არაოფიციალურ სიტუაციაში. ხშირად გვარისა და შტოგვარის სახელები ერთი და იმავე ეპონიმისაგან მომდინარეობენ, მაგრამ სხვადასხვა სტატუსით სარგებლობენ. ჩეკურას შთამომავლები არიან ჩეკურაშვილებიც და ჩეკურაანიც. ყოველდღიურ არაოფიციალურ ურთიერთობაში ეს უკანასკნელი ვარიანტი უფროა გავრცელებული, მაგრამ ოფიციალურ სიტუაციაში მას არ მიმართავენ: მხოლოდ "ჩეკურაშვილს" აქვს სადოკუმენტაციო, სამართლებრივი ფუნქცია.

ამ ვითარებიდან გამომდინარე, ქართული სინამდვილისათვის (დღევანდელობის გათვალისწინებით) უფრო მისაღები ხომ არ იქნება ასეთი განმარტება: გვარსახელი არის წინაპრის შთამომავალთა გამაერთიანებელი მემკვიდრეობითი სახელი, რომელსაც ოფიციალურ-სამართლებრივი სტატუსი აქვს მინიჭებული.

თვით ტერმინი "გვარი" გვარსახელის დღევანდელი გაგებით უკვე გვხვდება XII ს. დამლევის ერთ საბუთში, რომლითაც "მღვიმის კრებული" მიმართავს იოვანე, ნიკოლოზ და ნიანია ტოხაისძეებს, თქვენი გვარის ("თქუენისა გვარისა") კაცი ბასილ ტოხაისძე კვირიკე კახთა მეფის მოძღვარი ყოფილიყოო... 1200 წელს ხარაისძეთა მიერ დაწერილ პირობის წიგნში გვხვდება ფრაზები "ჩუენისა გვარისა", "გუარმან ჩუენმან" და სხვ.

ითვლება, რომ ქართველებს გვარსახელი, როგორც ენობრივი და სოციალური ფენომენი, უკვე ჰქონდათ 12-13 საუკუნის წინათ. ზ. ჭუმბურიძის დაკვირვებით, "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" მოხსენიებული "დაფანჩული" (IX ს. დამდეგის ეპიზოდი) უკვე გვარსახელია, როგორც მემკვიდრეობითი სახელი, რომელსაც მისი შთამომავლები ატარებენ საუკუნე-ნახევრის შემდეგაც ("ერქუა მას სახელი გაბრიელ დაფანჩული, და აწ ნათესავთა მისთა ჰრქვიან დაფანჩულნი"). ალ. ღლონტის აზრით, გვაროვნული სახელი ქართველ ტომებში ადრინდელი ფეოდალიზმის ეპოქაში ჩასახულა და VII-VIII სს-ში მისი ჩამოყალიბების პროცესი თითქმის დასრულებული ჩანს (ღლონტი, 1986, გვ. 48). უფრო ადრინდელ პერიოდში ქართველთა შორის გვარსახელის არსებობის დასამტკიცებლად სათანადო მასალა არ მოგვეპოვება. მიუხედავად ამისა, ანზორ შონია მცირე ნარკვევში "გვარები მეტყველებენ..." (თბ., 1997) აცხადებს: "მეგრული გვარი პირველი ათასწლეულის დასაწყისში, უფრო სწორად, საქართველოში ქრისტიანული რელიგიის ოფიციალურად აღიარებამდე წარმოიშვა" (შონია, 1997, გვ. 26). გასაგებია: ავტორს ამოძრავებს კეთილი განზრახვა და ამიტომაც სასურველი სინამდვილედ ეჩვენება.

შუა საუკუნეებში ჩვენი წინაპრების ანთროპონიმული მოდელი უკვე სამწევრიანი იყო. 1104-1118 წწ. დაწერილ დავით მეფის სიგელში აღნიშნულია: "გაუშვით ნიანია ნიანიასძე, გრიგოლ მაოხრებლისა შვილი მისითა მამულითა ვეძისხევითა". ცხადია, რომ ნიანია პირსახელია, გრიგოლ მაოხრებელი მამაა, ხოლო ნიანიასძე გვარია. ამავე საუკუნის სხვა საბუთში დასახელებულნი არიან "მიხითარაისძენი დავითის შვილნი ოქრაი და მახარაი, ბრაჭი და იოვანე", რაც ამას ნიშნავს: ოქრაი, მახარაი, ბრაჭი და იოვანე ძმები არიან. დავითი მათი მამაა, ხოლო მიხითარაისძე მამა-შვილთა გამაერთიანებელი გვარსახელია. იმ პერიოდის სამწევრიანი სახელდებითი ფორმულის კომპონენტების თანმიმდევრობა ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ დადგენილ-დაკანონებული.

გვხვდება რამდენიმე ვარიანტი: გვარსახელი – მამიშვილობა – პირსახელი (თოთაძე გიორგისშვილი გაბრიელ), მამიშვილობა – გვარსახელი – პირსახელი (ზაქარიას შვილი კილაძე ზესო), გვარსახელი – პირსახელი – მამიშვილობა (აბულეთისძე ძაგან, ძე ერისთავთ ერისთავისა იოვანესი) და სხვ. XIII ს. დამლევის ერთ საბუთში ერთი და იგივე პიროვნება – გრიგოლ ჰაჰნიას ძე ჰარმაული - ერთგან დასახელებულია როგორც ჰარმაული ჰაჰნიაშვილი გრიგოლ, ხოლო მეორეგან - როგორც ჰაჰნიაშვილი გრიგოლ ჰარმაული (რ. თოფჩიშვილს შუა საუკუნეების საისტორიო წყაროებში მრავალი ასეთი მაგალითი აქვს დაძებნილი და გაანალიზებული ჩვენ მიერ უკვე დასახელებულ წიგნში „როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები“).

გვარსახელი როგორც ლინგვისტური, ისე ექსტრალინგვისტური ფაქტია. იგი შეისწავლება სამი ასპექტით: ენათმეცნიერული, ისტორიული, ეთნოგრაფიული. ენათმეცნიერს აინტერესებს გვარსახელთა სემანტიკა და სტრუქტურა, ძირეული და საწარმოქმნო მორფემები, სინქრონიული და დიაქრონიული შრეები, კონვერსიის მექანიზმის მოქმედება... ცნობილი მეცნიერი ზ. ჭუმბურიძე ქართულ გვარებში გამოყოფს სემანტიკურ ჯგუფებს: სახელებისაგან წარმოქმნილი გვარები, დახასიათების შემცველი გვარები, ხელობისა და თანამდებობის აღმნიშვნელი გვარები, წარმომავლობისა და სადაურობის აღმნიშვნელი გვარები, სხვადასხვა საგანთა სახელწოდებებისაგან ნაწარმოები გვარები. რა თქმა უნდა, იგულისხმება ძირეული სიტყვების სემანტიკა, თორემ, ფაქტობრივად, თითქმის ყველა გვარი (ხელოვნურ გვართა გარდა) წარმოქმნილია ეპონიმის პირსახელისა, მეტსახელისა და ზედწოდებისაგან, რომელნიც სუფიქსაციის შედეგად ან კონვერსიით (უშუალოდ, სუფიქსის დაურთველად) გაგვარსახელდნენ. თვით ზ. ჭუმბურიძეც წერს: “ვიმეორებთ, ბევრი იმ სიტყვათაგანი, რომელიც გვარის შემადგენლობაში გვხვდება, ჯერ საკუთარ სახელად (ან მეტსახელად) ყოფილა გამოყენებული და შემდეგ ამ სახელისაგან წარმოქმნილა გვარი“ (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 319).

იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ როდის წარმოიქმნა და დამკვიდრდა ქართველთა შორის გვარსახელის კატეგორია, ზემოთ უკვე მოვიყვანეთ ზ. ჭუმბურიძისა და ალ. ღლონტის მოსაზრებანი. არსებულ სამეცნიერო ლიტერატურასა და საისტორიო საბუთების გამოწვლილვით ანალიზზე დაყრდნობით რ. თოფჩიშვილიც ასკვნის: “საქართველოში გვარსახელს დიდი ხნის, საუკუნეების ისტორია აქვს. ქართული გვარსახელების არსებობა დოკუმენტურად დასტურდება VIII–IX სს–დან, თუმცა, რა თქმა უნდა, ის ამ დროს არ წარმოქმნილა. გვარსახელი ჩვენში უფრო ადრეა წარმოშობილი“ (თოფჩიშვილი, 1997, გვ. 100. იხ. აგრეთვე მისი თეზისები “ქუთაისური საუბრების“ VI სიმპოზიუმის მასალებში). ქვემოთ მოგვაქვს საბუთები კოლხურ გვარსახელთა სიძველის შესახებ. ასე რომ, გ. ხორნაულის დებულება, “რუსეთთან შეერთების შემდეგ (1801 წლიდან)... გვარი, ჩანს, აუცილებლობად გამოცხადდა“ საქართველოში (ონომასტიკური კრებული, 1994, გვ. 85), ასე უნდა გავიგოთ: რუსეთის იმპერიის მიერ ჩატარებულმა სხვადასხვა ხასიათის აღწერებმა პიროვნების სახელდების სამწევრიანი მოდელი სავალდებულო გახადა იმათთვისაც, ვისაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა დოკუმენტირებული გვარსახელი.

გვარსახელი კიდევ უფრო (ვინემ პირსახელი) აკონკრეტებს და გამოარჩევს პიროვნებას ადამიანთა სიმრავლეში და ამავე დროს გამოხატავს მის მიკუთვნებას ამა თუ იმ ოჯახისადმი. ესაა გვარსახელის ოფიციალური სოციალური ფუნქცია (არაოფიციალურ სიტუაციაში ამ მიზნით გამოიყენება გვარის დანაყოფის, ანუ შტოგვარის, სახელი, ჯგუფური ან ინდივიდუალური მეტსახელი... ). გვარსახელთა მცირე ნაწილი იმეორებს საზოგადო სახელს (მენაბდე, მემარნე, მესტუმრე...), ხოლო უმეტესი ნაწილი გაფორმებულია საგვარსახელო მორფემებითა თუ მორფემოიდებით (მენაბდიშვილი, ჰელიძე, ვიბლიანი, შონია...). მაშასადამე, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, ქართული გვარსახელი სწორედ სტრუქტურით (კერძოდ, დაბოლოებით) გამოირჩევა. და ეს მაშინ, როცა მრავალ ხალხში პირსახელი და გვარსახელი ფორმით ემთხვევა ერთმანეთს და მათი ფუნქციის გასარკვევად ანთროპონიმულ მოდელში შემავალ კომპონენტთა დაკანონებული თანამიმდევრობის ცოდნაა აუცილებელი. მაგალითად, ფრანგულ ორწევრიან რქმევის ფორმულაში პირველი წევრი პირსახელია, მეორე კი – გვარსახელი. ხშირად მოჰყავთ ასეთი კლასიკური მაგალითი: მსახიობ ჟერარ ფილიპისათვის ჟერარი პირსახელია, ხოლო ფილიპი გვარსახელი გახლავთ. მაგრამ კომპოზიტორ ფილიპ ჟერარისათვის პირიქითაა: სახელია ფილიპი, გვარსახელია ჟერარი. ქართველებს ამ თვალსაზრისით თითქმის იდეალურად გვაქვს საქმე: გვარსახელისა და პირსახელის დამთხვევა (ერთი რეგიონის ფარგლებში) ძალზე იშვიათია (ქუთელია სამეგრელოში გვარსახელია, მაგრამ პირსახელადაც გვხვდება).

ქართულ (ქართველურ) გვარსახელებში გამოყოფენ 13 დაბოლოებას ("ქართული" და "ქართველური" ამ შემთხვევაში ერთმანეთს ფარავს: "ქართული" სახელმწიფოებრივ-ლიტერატურული ენისა და ეროვნული ცნობიერების გამომხატველი სიტყვაა, ხოლო "ქართველური" ოდენ ენათმეცნიერული ტერმინია). ამ დაბოლოებათაგან ზოგი სიტყვაწარმოებითი მორფემაა (მაგალითად, -ია, -ვა, -იან, - ურ, -ელ, -ულ), ზოგიც ბრუნვის ნიშანი (-იში) ან მორფემოიდი (საზოგადო სახელი, რომელმაც სიტყვაწარმოებითი ფუნქცია მიიღო, მაგალითად, -ძე, -შვილ-ი, -ბერე, -სკირ-ი, ჭკორ-ი). ქართულ გვარსახელებში ყველაზე გავრცელებულია -ძე და -შვილ-ი დაბოლოებანი. მკითხველს ვთავაზობთ საქართველოში მცხოვრებ ქართველთა სულადობას გვარის დაბოლოებათა მიხედვით (ამოღებულია ლექსიკონიდან "გვარ-სახელები საქართველოში"):

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. -ძე - | 1 649 222 | 8. | -ელ-ი | 55 017 |
| 2. -შვილ-ი | 1 303 723 | 9. | -ულ-ი | 23 729 |
| 3. -ია | 494 224 | 10. | -ში | 7 263 |
| 4. -ვა | 200 642 | 11. | -სკირ-ი | 2 375 |
| 5. -იან-ი | 129 206 | 12. | -ჭკორ-ი | 1 831 |
| 6. -ურ | 76 044 | 13. | -ყვა | 1023 |
| 7. -უა | 74 816 | | | |

ჩამოთვლილ მორფემათა და მორფემოიდთა ტერიტორიულ-რეგიონული განაწილება ძირითადად ასეთია: -ძე პირველობს აჭარაში, გურიაში, იმერეთში, ლეჩხუმში, რაჭაში (ყველა ამ რეგიონში მეორე ადგილზეა -შვილ დაბოლოება); -შვილ უპირატესობს ქართლში, კახეთში, თბილისში (აქ ყველგან მეორე ადგილზეა -ძე დაბოლოება) და აღმ. საქართველოს მთის რეგიონებში (სადაც მეორე ადგილი -ურ სუფიქსს, ხოლო მესამე -ძე-ს უკავია). განსხვავებული ვითარება ჩანს ლეჩხუმსა და სვანეთში, სადაც პირველ ადგილზეა -იან (ამ დაბოლოების მქონე გვარსახელის მატარებელთა სულადობის მიხედვით), ხოლო მეორეზე - -ძე დაბოლოება. სამეგრელოში ყველაზე პროდუქტიულია -ია, მას მოსდევს -ვა, -ძე, -უა და და სხვ. (იხ. "გვარ-სახელები საქართველოში"). მოგვყავს დაბოლოებათა მიხედვით სულთა რაოდენობის მონაცემები სამეგრელოსათვის:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | - ია | 321 571 | 8. | - ელ-ი | 987 |
| 2. | - ვა | 124 526 | 9. | - ურ-ი | 956 |
| 3. | - ძე | 46 718 | 10. | - ჭკორ-ი | 891 |
| 4. | - უა | 43 192 | 11. | - ში | 358 |
| 5. | - შვილ-ი | 26 329 | 12. | - ულ-ი | 101 |
| 6. | - იან-ი | 10 218 | 13. | - ყვა | 46 |
| 7. | - სკირ-ი | 1 500 | | | |

ზემოთ დასახელებულ ცნობარს ერთვის საქართველოში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სია სულთა რაოდენობის ჩვენებით. სიის თავშია მოქცეული გვარი ბერიძე – 24 797 სული. მეათასე ადგილი უკავია ბოხუას – 1064 სული. ამ დანართის მიხედვით ყველაზე გავრცელებულ ას ქართულ გვარსახელში შედის 17 კოლხური გვარსახელი. ესენია:

| | | | |
|---|---|---|---|
| 6. კვარაცხელია | - 13 618 | 54. გოგოხია | - 6064 |
| 8. შენგელია | - 12 764 | 55. ქარდავა | - 6014 |
| 24. თოდუა | - 8079 | 58. ნაჭყებია | - 5759 |
| 27. შონია | - 7648 | 60. დანელია | - 5666 |
| 33. ფიფია | - 7142 | 73. ქობალია | - 5209 |
| 39. ჭანტურია | - 6698 | 76. წულაია | - 5091 |
| 44. ჯიქია | - 6432 | 96. მიქავა | - 4550 |
| 46. გაბუნია | - 6389 | 99. გაგუა | - 4526 |
| 53. სიჭინავა | - 6102 | | |

ამ 17 გვარსახელში –ია დაბოლოება აქვს თორმეტს, -ვა დაბოლოება – სამს და –უა დაბოლოება – ორს. ეს მონაცემები თავისთავად მიანიშნებს ამ დაბოლოებათა უპირატესობაზე კოლხურ გვარსახელებში.

ქართველური გვარსახელების ფინალური მორფემების წარმოშობისა და ისტორიის საკითხებს მრავალი მკვლევარი შეჰხებია. მათ შორის ერთ-ერთი პირველი იყო ს. ჯანაშია. მან თავის ნაშრომში "თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი" საგანგებოდ განიხილა მეგრული –ია და –ვა დაბოლოებების საკითხი და დაასკვნა, რომ ისინი სვანური –იან-ისა და –ვან-ის თანხმოვანმოკვეცილი ვარიანტებია (ჯანაშია, 1959, გვ. 34–35). ამ სვანურ სუფიქსებში ძირითადია "ქართველურ ენებში ფართოდ გავრცელებული –ან სუფიქსი", რომელიც "უკავშირდება ფუძეს ზოგჯერ უშუალოდ, უმეტეს წილად-კი – ი, ე, ო, უ ინფიქსების საშუალებით. ამ ინფიქსებსა და სუფიქსს შორის ხშირად ჩნდება თანხმოვანი ვ" (იქვე, გვ. 34–35). ზ. ჭუმბურიძის თვალსაზრისითაც, "მეგრულ გვარებში გავრცელებული ვა და ია სუფიქსები... უან//იან დაბოლოებისაგან უნდა იყოს მიღებული"(ჭუმბურიძე, 1987, გვ. 296). საერთოდ კი უძველეს საგვარსახელო სუფიქსად ითვლება –ეთ (-თ), რომელიც დღეს ამ ფუნქციით არაა დატვირთული, და –ან, რომელიც გამოხატავდა კრებითობა-ქონებასაც და წარმოშობა-სადაურობასაც (ჯანაშია, 1959, გვ. 34).

აღმოსავლეთ საქართველოში პროდუქტიული –ურ სუფიქსი "მამაკაცის სახელს ერთვის და კუთვნილებას აღნიშნავს. არაბული, ცისკარაული, ანთაური ნიშნავს მხოლოდ არაბას, ცისკარას, ანთას შთამომავლებს" (თოფჩიშვილი, 1997, გვ. 106). ამასთანავე, შუა საუკუნეებში ხდება -ძე და -შვილ დაბოლოებათა გაბატონება. სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე მიექცა ყურადღება ისეთ შემთხვევებს, როცა ერთსა და იმავე საისტორიო საბუთში გვარსახელთა დაბოლოებანი მონაცვლეობენ: ჯაბნიაური და ჯაბნიაშვილი, ჭინჭარაული და ჭინჭარაძე, მანგაური და მანგოშვილი... ისიცაა აღნიშნული, რომ -ძე და –შვილ დაბოლოებანი ერთვის უკვე არსებულ გვარებს: გოგუა – გოგუაძე, ოდიშელი – ოდიშელიძე, ბენია -- ბენიაშვილი... (ე. წ. მეორეული აფიქსაცია).

ქართულ გვარსახელთა ერთი ნაწილი წარმოქმნილია საგანგებო (საგვარსახელო) სუფიქსაციის გარეშე, კონვერსიის გზით, როცა სიტყვა (ლექსიკური ერთეული) იძენს საკუთარი სახელის, კერძოდ, გვარსახელის ფუნქციას ფორმა-სტრუქტურის შეუცვლელად. ასეთი სიტყვები აღნიშნავენ პროფესია-მოსაქმეობას, თანამდებობას (მდივანი, მებადური, ერისთავი, ხარატი, ხელისუფალი, ჯოლბორდი "ისრის მთლელი" და სხვ.) ან ეთნოსს (ბერძენი, დვალი, სვანი, მეგრელი და სხვ.). გვარსახელებში გვხვდება ადამიანთა შინაგანი თვისებისა და გარეგნობის ამსახველი სიტყვებიც (ბუთხუზი, ჩქოფორია...). ამთავითვე შეიძლება აღინიშნოს, რომ კოლხთა შორის ამგვარი გვარსახელები ძალზე იშვიათია

## თავი მეორე. კოლხური გვარსახელები

ქართველური ანთროპონიმული სისტემა ერთიანია (და უძველესი), მაგრამ ამ ერთიანობის ფარგლებში ქართულ, სვანურ და კოლხურ (ზანურ) გვარსახელებს გარკვეული თავისებურებანი მოეპოვებათ როგორც ამოსავალ ფუძეთა (პირსახელთა, მეტსახელთა...) სემანტიკის, ისე სუფიქსაციის თვალსაზრისით. კერძოდ, კოლხურად ითვლება გვარსახელები, რომელთაც ფინალში აქვთ: -ია, –უა, -ვა, –ში, -სქირი, -სქუა, –ბერი, -ჭკორი.

ვახუშტი ბატონიშვილი საისტორიო-გეოგრაფიული ნაშრომის "აღწერა სამეფოსა საქართველოსა" ერთ მცირე ქვეთავს ("მთავართა გუართათვის") ასე იწყებს: "ხოლო გუარნი მთავართა მათ ძუელთანი ესენი არიან..." და ჩამოთვლილთა შორის გვხვდება "ბაღუში, რომელ იყო ლიპარიტისძე" და "მარუშისძე" (ქართლის ცხოვრება, 1973, გვ. 27).

ბაღვაშების საგვარეულო ("სახლი ბაღვაშთა", როგორც მას მოიხსენიებს დავით აღმაშენებლის მემატიანე. იხ. ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 326) ცნობილი იყო IX-XIII სს. საქართველოში. ბაღვაშები არგვეთის (ზემო იმერეთის) მფლობელები იყვნენ. ლიპარიტ ბაღვაში 876 წ. დავით კურაპალატის ვასალი გამხდარა, სამართავად მიუღია თრიალეთის მიწა-წყალი და აუშენებია კლდეკარის ციხე ("ხოლო კლდე-კარი აღაშენა ლიპარიტ ბაღუაშმან". იხ. ქართლის ცხოვრება, 1973, გვ. 325). საისტორიო წყაროებში ბაღვაშთა სახლი "ლიპარიტეთი" ფორმითაც მოიხსენიება. ბაღვაშები მუდმივ ოპოზიციაში ედგნენ გაერთიანებული საქართველოს მეფეებს. 989 წელს ბაგრატ III-სთან ბრძოლაში დამარცხებული რატი I ბაღვაში, ლიპარიტის ძე, უბრუნდება

თავის მამულს – არგვეთს... X–XI სს. დას. საქართველოში ერთ-ერთი უძლიერესი ყოფილა მარუშიანთა, ანუ მარუშისძეთა, ფეოდალური საგვარეულოც. საისტორიო წყაროებში ისინი უფრო ხშირად მარუშისძეებად არიან დასახელებულნი: ივანე მარუშისძე - ქართლის ერისთავი 970-იან წლებში (სწორედ მისი მონდომებით გახდა ბაგრატ III, აფხაზთა მეფის შთამომავალი დედის მხრიდან, აფხაზეთის სამეფოს მეფე); ზვიად მარუშიანი – აფხაზთა მეფის ლეონ III-ის მოხელე და ჯავახეთის ერისთავი 60-იან წლებში; ზვიად ერისთავი - ბაგრატ III-ის მოხელე და თრიალეთის ერისთავი X–XI სს. (სწორედ მან გადაასვენა ბაგრატ III-ის ცხედარი ტაოდან ბედიაში 1014 წელს). მარუშისძეთა საგვარეულოდან მომდინარეობენ ვარდანისძენი და დადიანები.

აღნიშნული ორი საგვარეულო სახელი ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა როგორც საისტორიო წყაროებში კოლხურსუფიქსიანი ანთროპონიმების უძველესი დაფიქსირება. ამასთანავე, ორივე ეს ანთროპონიმი – გვარსახელი ბაღვაში (ბაღუაში, ბაღუში) და პირსახელი მარუში - ცხადყოფენ, რომ ამ პერიოდისათვის (ე.ი. IX–X სს.) -(ი)ში ბრუნვის ნიშანს უკვე ჰქონდა მოპოვებული სიტყვაწარმოებითი ფუნქცია ეპონიმის შთამომავალთა აღნიშვნისა: ბაღუაში ნიშნავს ბაღუს შთამომავალს. ბაღო, ბაღუ, ბაღუა პირსახელთა რეალურობას ადასტურებენ გვარები ბაღოშვილი, ბაღუაშვილი, ბაღუშვილი (ეს უკანასკნელი სენაკისა და აბაშის რაიონებშია გავრცელებული). ამასთანავე, ამავე ფუძის შემცველია პირსახელები ბაღირი (სამეგრელოში) და ბაღური (სვანეთში). საისტორიო წყაროებში ბაღვაშ-ორბელთა საგვარეულო ჭანური წარმომავლობის მამიკონიანთა გვარის განშტოებად არის მიჩნეული. ზოგი წყარო ლიპარიტს აფხაზადაც კი იხსენიებს (იხ. სათანადო ლიტერატურის მიმოხილვა: ბაღიშვილი, 1999, გვ. 106-107). ანთროპონიმი მარუში შეიძლება პირსახელადაც ვიგულვოთ (თუ მხოლოდ მამიშვილობას გამოხატავს) და გვარსახელადაც (თუ რამდენიმე თაობას გადაეცა მემკვიდრეობით, როგორც, მაგალითად, ტუღუში, ხალვაში...). საგვარეულო სახელია როგორც მარუშიანი, ისე მარუშისძე. ორსავე შემთხვევაში მომხდარა უკვე სუფიქსდართული ანთროპონიმის ხელახალი სუფიქსაცია ფეოდალურ იერარქიაში უფრო მიღებული –იან სუფიქსით ან –ძე სუფიქსოიდით (ამგვარი ე.წ. მეორადი სუფიქსაცია არაა იშვიათი. შდრ.: გეგე→ გეგეში →გეგეშიძე, კვატა →კვატაში →კვატაშიძე და სხვ.) ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მარშვან, მარუშან დაფიქსირებულია სვანეთის საისტორიო საბუთებშიც, ხოლო პირსახელი მარუ(ა) გამოიყოფა გვარ მარუაშვილშიც (გავრცელების ძირითადი რეგიონი – იმერეთი).

კოლხური გვარსახელი დოკუმენტირებულია ეპიგრაფიკულ ძეგლებში ჯერ კიდევ XI ს-დან. ილორის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის ნუსხურ წარწერაში (რომელიც X–XI საუკუნეებით თარიღდება), მოხსენიებულია გიორგი ქოჩოლვაი, ხოლო წებელდის ტერიტორიაზე მიკვლეული XIII ს. ასომთავრულ წარწერაში – ლუკა მარტინ(ი)ვა. სპეციალისტთა აზრით, ქოჩოლვა შესაძლებელია წაკითხულ იქნეს როგორც ქოჩოლავა ან ქუჩულავა, ხოლო მარტინ(ი)ვა – როგორც მარტინავა. ეს საშუალებას იძლევა, "კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ, რომ XI–XIII საუკუნეებში ამჟამინდელი აბჟუისა და კოდორის ხეობის ტერიტორიაზე ნამდვილად უცხოვრია კოლხურ (მეგრულ) მოსახლეობას, ხოლო –ვა დაბოლოებიან გვარსახელთა მოდელი XI საუკუნეში უკვე საბოლოოდ ყოფილა ჩამოყალიბებული"(გვანცელაძე, 1998, გვ. 35. იხ. აგრეთვე მისივე "ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა შუა საუკუნეთა ლაპიდარული წარწერების მიხედვით" კრებულში "ქართველური მემკვიდრეობა", III, ქუთაისი, 1999).

კოლხურ გვარსახელთა ისტორიის კვლევის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიის წარწერებიც. ერთ-ერთ მათგანში აღნიშნულია, რომ ვამეყ დადიანს (1384-1396 წწ.) კონსტანტინოპოლიდან მხატვრის ჩამოსაყვანად გაუგზავნია ორი ბერი – ანდრონიკე გაბისულავა და მახარებელ ქვაბალია. გვარ გაბისულავას ჩვენამდე არ მოუღწევია, არც სხვა საისტორიო წყაროებში დასტურდება (ამავე ფუძისაა XIII ს. საეკლესიო საბუთში დაფიქსირებული გვარი გაბისულაისძე. მათი საგვარეულო სამარხი ყოფილა ლაბეჭინის ეკლესია რაჭაში). მაგრამ ქობალია (უწინდელი ქვაბალია. მონაცვლეობა ვა →ო არაა იშვიათი. შდრ.: ქვარაია→ ქორაია, ხვარავა→ ხორავა...) ფართოდაა გავრცელებული. საქართველოში ამ გვარს ატარებს 5209 სული (73-ე ადგილი), მათგან ზუგდიდის რ-ნში - 2340, წალენჯიხის რ-ნში - 630, თბილისში – 572, ჩხოროწყუში – 338 და სხვ.

კოლხური ანთროპონიმული სისტემა, ჩვეულებრივ, ქართულისა და სვანურის სათანადო სისტემებს მიჰყვება და იმეორებს. ეს შეეხება გვარსახელების სემანტიკასაც და სტრუქტურასაც.

განსხვავება კი თავს იჩენს ზოგი ლოკალური სუფიქსისა თუ სუფიქსოიდის სახით. კოლხური გვარსახელების დიდზე დიდი ნაწილი ეპონიმურია, რაც პრაქტიკულად ორ გარემოებაში გამოიხატება: ა. გვარი იმეორებს ეპონიმის სახელს (აფიქსაციის გარეშე გვარადქცეული სახელი, მეტსახელი ან ზედწოდება). ბ. გვარი იწარმოება ეპონიმის სახელზე სუფიქსოიდის, სპეციალური სუფიქსის ან ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის დართვით.

ონომასტიკაში ტერმინი ეპონიმი (ინგლ. eponym) აღნიშნავს რაიმეთი ცნობილ პირს, რომლის სახელისგანაც სხვა ნებისმიერი საკუთარი სახელი (ტოპონიმი, ანთროპონიმი, კოსმონიმი...) მომდინარეობს (პოდოლსკაია, 1988, გვ. 150). ეს ტერმინი შეიძლება გამოვიყენოთ უფრო ფართო მნიშვნელობით და ვუწოდოთ ეპონიმი ნებისმიერ (არა მარტო რაიმეთი ცნობილ) პირს, რომლის სახელმაც ამა თუ იმ გვარსახელს მისცა დასაბამი. ამ თვალსაზრისით ეპონიმური გვარის ფუძეში შეიძლება შეგვხვდეს პიროვნების აღმნიშვნელი ყოველგვარი საკუთარი თუ საზოგადო სახელი. საერთოდ, პირსახელი შეიძლება იყოს ოფიციალური, სადოკუმენტაციო (ძველ დროში – ნათლობის, თანამედროვე მსოფლიოში – საპასპორტო) ან არაოფიციალური (როგორიცაა: ოფიციალური პირსახელის შემოკლებული თუ კნინობითი ვარიანტი, კოლექტიური თუ ინდივიდუალური მეტსახელი, თანამდებობისა თუ მოხელეობის აღმნიშვნელი ტერმინი, სატომო თუ სადაურობის სახელი, პატრონიმული სახელი და სხვ.). აქვე დაისმის კითხვა: მაშ რაღაა არაეპონიმური გვარსახელი?! მათი რაოდენობა ძალზე მცირეა: ძირითადად ესაა ფსევდონიმი ან ხელოვნური გვარი (რომელსაც პირობით იღებს ოჯახი თუ ინდივიდი. მაგალითად, აჭარის სოფ. სარფში მცხოვრებმა ქესო-ოღლებმა ნახევარი საუკუნის წინათ მიიღეს გვარი ქორიძე, რადგანაც, როგორც ამ სოფლის მკვიდრი ო. მემიში გადმოსცემს, სათანადო დებულება მოითხოვდა წინანდელი გვარის პირველი ბგერის შენარჩუნებას).

ონომასტიკურ სიტყვაწარმოებაში ცნობილია ე.წ. კონვერსიის მეთოდი, რაც გულისხმობს საზოგადო სახელის გადაქცევას საკუთარ სახელად ან საკუთარი სახელის გადანაცვლებას ერთი ლექსიკურ-სემანტიკური და ფუნქციური ჯგუფიდან მეორეში აფიქსაციის გარეშე. შერმადინი პირსახელია (1995 წელს საქართველოში ამ სახელს ატარებდა 469 პირი), მაგრამ ათასზე მეტი ქართველისათვის იგი გვარსახელია. თითოეულ ადამიანს დაბადებისას ან ნათლობისას არქმევენ მისთვის შერჩეულ (ჩვეულებრივ, კალენდარულ) სახელს, რაც არ გამორიცხავს ცხოვრების გზაზე ზედწოდების ან მეტსახელის "დამსახურებასაც" (მეტსახელი – გარეგნული ან შინაგანი ნიშნის მიხედვით შერქმეული სახელი, ე.წ. სახელი-დახასიათება; ზედწოდება – პირსახელის ფუნქციით გამოყენებული ხელობა-მოსაქმეობის ტერმინი). ერისთავი, ათაბაგი, გამგებელი... სახელისუფლო ტერმინებია, მეგრელი, მესხი, სვანი... სატომო, ხოლო თუხარელი, ლიქოკელი, მეტრეველი... სადაურობის სახელებია, მებუხრე, მებუკე, მემარნე... ხელობა-მოსაქმეობას ასახავენ. ეს და ამის მსგავსი მრავალი ათეული საზოგადო სახელი თავდაპირველად პიროვნების ზედწოდებად, ხოლო შემდეგ მის შთამომავალთა გვარსახელად ქცეულა საგვარსახელო აფიქსაციის გარეშე. კოლხურში ამგვარი (ე.ი. კონვერსირებული) გვარსახელი იშვიათია. შეგვიძლია დავასახელოთ სოციალური სტატუსის გამომხატველი საზოგადო სახელი – რთული სიტყვა გეგეჭკორი (← გეგეშ ჭკორი "გეგეს ყმა". გეგე ამ შემთხვევაში წმინდა გიორგია). როგორც ვხედავთ, პიროვნების ზედწოდება ეპონიმის შთამომავლებს გვარსახელად უქცევიათ. ჭკორ-ზე დამთავრებულ გვარსახელს ატარებს საქართველოში 1831 პირი (მათგან სამეგრელოში – 891). სხვა შემთხვევაში ამგვარი სემანტიკისა და სტრუქტურის მქონე ზედწოდება გაგვარსახელებულა –ა სუფიქსის დართვით: პაპაჭკორი →პაპაჭკორია→ პაჭკორია, ვადაჭკორი – ვადაჭკორია (ვადა პირსახელი ჩანს).

"კოლხური გვარსახელი" ეთნიკურ-ენათმეცნიერული ტერმინია და აღნიშნავს კოლხური (ზანური, ანუ მეგრულ-ჭანური) ენის საგვარსახელო მოდელს (სემანტიკითა და სტრუქტურით, ე.ი. ფუძეებით, სუფიქსებითა და სუფიქსოიდებით). როგორც გამოირკვა, ამ მოდელის მქონე ყველა გვარსახელის სამშობლო და ძირითადი სამკვიდრო არის არა მხოლოდ სამეგრელო. 1995 წლის 1 თებერვლისათვის ვაუჩერების მიმღებთა გვარსახელების სიის მიხედვით (იხ. "გვარ-სახელები საქართველოში", თბ., 1997) აჭარა-გურია-იმერეთში დაფიქსირდა 100-მდე კოლხური გვარსახელი, რომელნიც არ გვხვდება (ან თუ გვხვდება, მიგრირებულია) სამეგრელოში (არ ვეხებით სამურზაყანოს, რომლის სრული მონაცემები არ მოგვეპოვება). ამ თვალსაზრისით გამორჩეულია იმერეთი, სადაც მკვიდრობს კოლხურსუფიქსიანი გვარები:

-ია დაბოლოებიანი (ნაჩვენებია სულთა საერთო რაოდენობაც):

აშვეთია – 150, აშოთია – 175, ბაბუხადია – 453, ბექაია – 223, ბოდოკია – 523, გელაზონია – 144, გიორგაია – 98 (შდრ. იმერეთშივე გავრცელებული გიორგაძე – 14 582), დეკანოია – 27 (შდრ. იმერეთშივე განსახლებული დეკანოიძე – 1673), ინჯია – 107 (შდრ. სამეგრელოში ინჯგია – 631), კვატია – 21 (შდრ. იმერეთშივე კვატიძე – 56), კვირკვილია – 22 (შდრ. კვირკველია – 2693 , ძირითადად სამეგრელოში), მურღულაია – 36 (შდრ. მურღულია – 825, ძირითადად სამეგრელოსა და იმერეთში), მუქერია – 245, ტონია – 210, ურდია – 48 (შდრ. ურიდია – 660, ძირითადად სამეგრელოში), ფიოლია – 199, ფოცხვერია – 405, ქავთარია – 125 (დაფიქსირებულია სამეგრელოში საეკლესიო საბუთების მიხედვით), ქუჩუბერია – 21, ღვინერია – 217, ყენია – 23, ყვინჩია – 23 (შდრ. კვინჩია – 245, ძირითადად სამეგრელოში), ჩიხორია – 54, წოწელია – 22 (შდრ. წოწერია – 202, ძირითადად სამეგრელოსა და იმერეთში), ხაბურძანია – 225 (შდრ. ხაბურზანია – 913, ძირითადად სამეგრელოში), ხაჟალია – 553 (შდრ. ხაჯალია – 106, ძირითადად სამეგრელოსა და იმერეთში), ხვარეშია – 135, ჯიბუხაია – 82, ჯიმუტია – 23, ჯოხია – 26. ვიმეორებთ, ამ 32 კოლხური გვარის სამშობლო და ძირითადი სამკვიდრო არის იმერეთი.

-ვა დაბოლოებიანი: ბანძავა – 276, განუგრავა – 98, დოდავა – 56, ლანჩავა – 1296 (შდრ. ლანჩაშვილი – 66 სული რუსთავში, გორში, თბილისში), ლეჟავა – 4063 (იმერეთში თავადები იყვნენ. ორიოდე ათეული კომლი დაფიქსირდა სამეგრელოშიც), მელუავა – 25 (შდრ. მელუა – 482, ძირითადად გურიაში), სარავა – 42, უგლავა – 235 (შდრ. უგულავა – 1532, ძირითადად იმერეთსა და სამეგრელოში), ფანცხავა – 1110, ყურავა – 73 (შდრ. ყურაშვილი – 497, ძირითადად იმერეთსა და ლეჩხუმში), ჩიტავა – 27 (შდრ. ჩიტაია – 1435, ძირითადად სამეგრელოში, და ჩიტაიშვილი – 415, ძირითადად გურიასა და იმერეთში), წვერავა – 516, ჭიქავა – 60, ხინგავა – 299, ხოჯავა – 505 (შდრ. ხოჯაშვილი – 110 სული თიანეთსა და იმერეთში და ხოჯანაშვილი – 176, ძირითადად იმერეთსა და გურიაში). აქ ჩამოთვლილია -ვა სუფიქსიანი 15 გვარი, რომელთა სამკვიდროა იმერეთი.

-უა დაბოლოებიანი 4 გვარის სამკვიდროც აღმოჩნდა იმერეთი. ესენია: დონდუა – 192, სტურუა – 1809 (ორიოდე ათეული კომლი დაფიქსირდა სამეგრელოშიც), ჩაჩუა – 2218 (შდრ. ჩაჩავა – 1145, ძირითადად სამეგრელოში), ხობუა – 302 (შდრ. ხუბუა – 1166, ძირითადად სამეგრელოში).

ზოგი კოლხურსუფიქსიანი გვარსახელის სამკვიდრო არის გურია. კერძოდ, გურია აღმოჩნდა გავრცელების ძირითადი რეგიონი შემდეგი -ია, -ვა, -უა დაბოლოების შემცველი გვარსახელებისათვის. -ია დაბოლოება: ალექსაია – 68, ლოდია – 57, ღაჟონია – 103, ჩოლობარგია – 38, ციკორია – 26 (შდრ. ციკოლია – 1093 , ძირითადად სამეგრელოში); -ვა დაბოლოება: მანტკავა – 54, მანწკავა – 178, პატარავა – 198 (შდრ. პატარაია – 2130, ძირითადად გურიასა და სამეგრელოში), შალიკავა – 39 (შდრ. შალიკაშვილი – 231, ძირითადად ქართლში, და შალიკიანი – 645, ძირითადად იმერეთში); -უა დაბოლოება: მელუა – 482 (შდრ. მელუავა – 25, იმერეთში), ჩიკაშუა – 275.

აჭარაც აღმოჩნდა სამიოდე კოლხურსუფიქსიანი გვარის სამშობლო: მოქერია – 44, ხიბაია – 59, ფაღავა – 1346 (ორიოდე ათეული კომლი სამეგრელოშიც დაფიქსირდა).

კოლხურსუფიქსიან გვართა ერთი ნაწილი გავრცელებულია ორ ან სამ რეგიონში (ოღონდ არა სამეგრელოში) თანაბრად ან მეტ-ნაკლები რაოდენობით (სულთა მიხედვით). კერძოდ, გურიასა და აჭარაში მკვიდრობენ: ბასილია – 422 (შდრ. ბასილაია – 1485, ძირითადად სამეგრელოში), გზეკალავა – 215, გოგელია – 843, დარჩია – 1819 (შდრ. დარჩიძე – 763, ძირითადად ისევ აჭარასა და გურიაში), კეშელავა – 794 (რამდენიმე კომლი დაფიქსირდა სამეგრელოშიც), კუკულავა – 295, ლომჯარია – 496, მაღულარია – 300, მოქია – 362, მუხაშავრია – 245, ქვილითაია – 66. ასევე ორ ან სამ რეგიონში (სამეგრელოს გარეთ) არის გავრცელებული შემდეგი კოლხურდაბოლოებიანი გვარები: გზობავა – 90 (ლეჩხუმი, იმერეთი), გიგაია – 117 (ქართლი, აჭარა. შდრ. გიგავა – 159, ძირითადად სამეგრელოში. შდრ. აგრეთვე გიგანი, გიგაშვილი), გუგავა – 956 (ლეჩხუმი, იმერეთი, ქვ. სვანეთი), კობრავა – 233 (იმერეთი, აჭარა), კორძაია – 1131 (აჭარა, ზ. სვანეთი), ლორია – 1537 (იმერეთი, აჭარა), მანდარია – 469 (ლეჩხუმი, იმერეთი), ჭატარაია – 2130 (გურია, სამეგრელო), ქღერია – 163 (იმერეთი, გურია), სალაღაია – 66 (ქართლი, კახეთი. შდრ. სალაყაია – 535, ძირითადად სამეგრელოში, და სალაღიშვილი – 29, ძირითადად თბილისსა და ქართლში). ჭიღვარია – 312 (იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი. შდრ. ჭიხვარია – 97, ძირითადად სამეგრელო-გურიაში). რამდენიმე კოლხურ გვარს უნდა ვუწოდოთ "ქალაქური გვარები", რადგანაც ძირითადად მხოლოდ ქალაქებშია გავრცელებული. ასეთებია: ტუსკია – 37 (ბათუმი – 21, თბილისი

– 15 და სხვ.), შარუხია – 115 (თბილისი – 47, ფოთი – 27, ბათუმი – 19), წურქავა – 25 (ბათუმი – 5, თბილისი – 5 და სხვ), კინტრაია – 31 (რუსთავი – 19, თბილისი – 10 და სხვ. შდრ. კინტირაია – 113, ძირითადად სამეგრელოში), კილტავა – 40 (თბილისი – 19, ბათუმი – 13 და სხვ.), ლანდია – 56 (თბილისი – 48, ფოთი – 2 და სხვ.), კოკოლია – 33 (თბილისი – 32, ბორჯომი – 1. შდრ. კოკოლიშვილი – 82, ძირითადად თბილისში, გურჯაანში, რუსთავში), ტოტოჩავა – 176 (თბილისი – 21, ბათუმი – 17 და სხვ. შდრ. ტოტოჩია – 55, ძირითადად სამეგრელოში). უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც: ზემოთ დასახელებული გვარების ერთი ნაწილი სამურზაყანოდან დევნილთა გვარებია. დევნილები კი ძირითადად ქალაქებში არიან ჩასახლებულნი (რიცხვი ყველა შემთხვევაში მიუთითებს სულადობაზე).

კოლხური (ზანური) გვარსახელები მოიცავს როგორც მეგრულ, ისე ჭანურ (ლაზურ) მასალაც, მაგრამ ჩვენ ამ მოკლე ნარკვევში მხოლოდ სამეგრელოში გავრცელებულ გვარსახელებზე ვსაუბრობთ. ლაზური (ისტორიული) გვარსახელები, რა თქმა უნდა, ასევე გულდასმით არის მოსაპოვებელი და შესასწავლი. აქ კი მოგვაქვს ამონარიდი ც. ნარაკიძის მოხსენების თეზისებიდან: "ისტორიულ ლაზეთში გავრცელებული გვარების უმეტესობა პიროვნული სახელებისაგან მომდინარეობს, რომლებიც ძირითადად სუფიქსებითაა გაფორმებული. მაგ.: ბაწაში, თანთუში, მუთინაფე, ხაშაფე, ნარაკია, ბიტია, ჩიჩუა, ანდრავა, გულავა, თანდილავა, მეკისქირი, პეტესქირი, სავასქირი, გულაბერი... (ეს გვარები გვხვდება როგორც საქართველოში, ისე ისტორიული ლაზეთის იმ ტერიტორიაზე, რომელიც ამჟამად თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებშია)". (ნარაკიძე, 1997, გვ. 40).

განვიხილოთ სამეგრელოში გავრცელებული გვარსახელები ტრადიციულად გამოყოფილი დაბოლოებების მიხედვით:

–ია დაბოლოება

საქართველოში 830-მდე გვარში დადასტურდა ფინალური –ია (რომელიც ყოველთვის არ არის ერთიანი სუფიქსი). მათგან სამეგრელოში გავრცელებულია და ჩვენს ლექსიკონშიც შეტანილია 790-მდე. პროდუქტიულობის (სულთა რაოდენობის) მიხედვით –ია დაბოლოება საქართველოში მესამე ადგილზეა (494 224), სამეგრელოსა და მის შვიდსავე რაიონში – პირველ ადგილზე: ზუგდიდი – 123 677, წალენჯიხა – 39 211, სენაკი – 37 246, მარტვილი – 30 975, ხობი – 30 189, ჩხოროწყუ – 22 561, აბაშა – 15 730 და ქ. ფოთი – 21 962 (სულ სამეგრელოში – 321 571 სული). -ია დაბოლოების სიხშირეზე ისიც მეტყველებს, რომ საქართველოში ყველაზე გავრცელებული 100 გვარის ნუსხაში იგი 12 გვარსახელს მოეპოვება (კვარაცხელია, შენგელია, შონია, ფიფია, ჭანტურია, ჯიქია, გაბუნია, გოგოხია, ნაჭყებია, დანელია, ქობალია, წულაია), მაშინ როცა –ვა-ზე 3 და –უა-ზე 2 გვარი ბოლოვდება.

მეგრულში –ია ომონიმური (და არა პოლისემიური) მორფემაა, რაც იმას ნიშნავს, რომ სიტყვაწარმოებაში გამოიყენება ორი –ია, რომლებიც ერთმანეთს ემთხვევიან ბგეროებრივად, მაგრამ სხვადასხვანი არიან წარმომავლობითა და ფუნქციით: ერთი წარმოქმნის გვარსახელებს, მეორე კი – საკუთარ და საზოგადო სახელთა ემოციურ-შეფასებით ვარიანტებს (ე.წ. კნინობით სახელებს). შ. აფრიდონიძეს ყურადღება გაუმახვილებია იმ გარემოებაზე, რომ -ია, -უა ზანურ გარემოში გვარების მაწარმოებელია, არაზანურ გარემოში კი (მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოში) ადამიანთა სახელების კნინობითი ფორმების საწარმოებლად გამოიყენება, და ასკვნის: "იდენტური სუფიქსების განმასხვავებელი ფუნქციები და არეალი, როგორც ჩანს, ერთ-ერთი გამოვლენაა სახელისა და გვარის გამიჯვნის ტენდენციისა" (აფრიდონიძე, 1987, გვ. 252).

როგორც ცნობილია, ქართულში კნინობით სახელებს ძირითადად –ა სუფიქსი აწარმოებს, მაგრამ "თუ ფუძე თავდება ა-თი, მაშინ მაწარმოებელია ია: და-ია" (შანიძე, 1973, გვ. 120). ფუძისეული –ა აქ შენახულია ფუძისავე სიმოკლის გამო, ჩვეულებრივ კი, იკვეცება: ძამა→ ძამა-ია→ ძამია, კაცი→ კაცა→ კაცა-ია→ კაცია... ამასთანავე, კნინობითობის –ა მიღებულია აკ-ისაგან (იქვე, გვ. 121). ამასთანავე, "გოგია" ტიპის სახელებში კნინობით-საალერსო მნიშვნელობას გამოხატავს –ა, ხოლო ი ფუძისეულია (მორფ. ლექსიკონი, გვ. 213).. აკ. შანიძე არ ეხება –ია სუფიქსის ი კომპონენტის ფუნქციას. ვ. თოფურიას თეზისებიდან "კნინობითი ქართველურ ენებში" ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ –ია რთული სუფიქსის პირველი კომპონენტი ი ნაშთია –ინ, -იტ სუფიქსებისა. შდრ.: პაპია – პაპინა – პაპიტა (თოფურია, 1979, გვ. 102). კნინობითობის –ია სუფიქსისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნაშრომში ქ. ლომთათიძემ დიდძალი მასალა გააანალიზა

იმის დასასაბუთებლად, რომ –ია მომდინარეობს –ინ-ა (იშვიათად, -ილ-ა)-საგან (ბიძა→ ბიძა-ინ-ა→ ბიძ-ინ-ა→ ბიძ-ია, პაპა→ პაპა-ინ-ა→ პაპ-ინ-ა→ პაპ-ია, მამა→ მამა-ინ-ა→ მამ-ინ-ა→ მამ-ია, ძღაბი (მეგრ.)→ ძაბა → ძაბა-ინ-ა→ ძაბ-ინ-ა→ ძაბ-ია... გურულში შემონახულიც კი ყოფილა ნავარაუდევი დედაინა და მამაინა ფორმები) და დაასკვნა: "სუფიქსი –ია, როგორც ეს ვ. თოფურიას ჰქონდა აღნიშნული, მარტივი სუფიქსი არ არის და სათანადო ფუძეებში ჩავარდნილია თანხმოვანი (კერძოდ ნ სონანტი) ხმოვანთა შორის" (ლომთათიძე, 1987, გვ. 69-70). მნიშვნელოვანია ამ ნაშრომის ძირითადი დებულებაც: ინ-ა (//-ილ-ა) და მისი გამარტივებით მიღებული –ია თავდაპირველად გამოხატავდა მსგავსება-კუთვნილებას (შდრ. "ქართლური დიალექტის ლექსიკონში" დამოწმებული ფრაზა: "თუ მამას დაემგვანება ხომე შვილი, მამაილას ეტყვიან, თუ დედასა და – დედაილასა"), ხოლო კნინობითობა-მოფერებითობის გადმოცემის ფუნქცია გვიან (თანაც ძირითადად "დაღებითი ლექსიკური მასალის" გამოყენებისას) აქვს შეძენილი (იქვე, გვ. 71-73). ამავე ნაშრომის ერთ-ერთ სქოლიოში გამოთქმულია სრულიად მისაღები ვარაუდი: "გამარტივების გზით მიღებული –ია სუფიქსი, უნდა ვიფიქროთ, შემდგომში დამოუკიდებელ მაწარმოებლადაც იქნა გამოყენებული"(იქვე, გვ. 70).

გამოვლენილია ყველა სუფიქსი, რომელიც კი ქართულში კნინობითი სახელების სემანტიკურ ჯგუფს წარმოქმნის: -ა, -აკ, -იკ, -უკ, -ან, -ინ, -უნ, -ატ, -იტ, -ოტ, -უტ, -ალ, -ელ, -ილ, -ულ, -უჲ, -უჩ და სხვ. მაგრამ მათი საშუალებით წარმოქმნილი ენობრივი მასალა "ერთგვაროვანი მაინც არ არის. თვით კნინობითის შინაარსი იძლევა საფუძველს – მცირე მოცულობის საგნებს მოფერება-ალერსის ელფერი მიეცეთ, ზოგჯერ კიდევ დამცირებითისა" (ფოჩხუა, 1974, გვ. 136). მართლაც, კნინობით სახელთა ორი ჯგუფი გამოიყოფა: კნინობით-მოფერებითი (დემინუტიური* ← ლათ. deminuo "დამცირება") და კნინობით-დამცირებითი (პეიორატიული ←ლათ. peior"ცუდი, საძაგელი". შდრ. რუს. уничижительное имя).

ქართულ სინამდვილეში პირსახელისაგან წარმოქმნილი კნინობით-მოფერებითი და კნინობით-დამცირებითი სახელები ფორმით (გამოხატვის პლანი) არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და მათს ემოციურ ელფერს (შინაარსის პლანი) განსაზღვრავს სიტუაცია, კონტექსტი (მაგალითად, ასაკობრივი თუ სოციალური იერარქია), ან კიდევ კნინობითი სახელის მომხმარებლის პოზიცია: ახლობელი და კეთილმოსურნეა იგი თუ გარეშე და არაკეთილმოსურნე. ამასთანავე, მნიშვნელობა აქვს სიტუაციის ოფიციალურობასაც. ამის დამადასტურებელი ზედმიწევნით შესაფერისი და მორგებული მაგალითები აქვს დაძებნილი ქ. გოდერძიშვილს (იხ. გოდერძიშვილი, 1998): ნოდარა. - მიმართავდა მწერალ ნ. დუმბაძეს ბავშვობისას მეგობარი გოგონა. გაიარა ორმოცმა წელმა. ბავშვობის მეგობრები შეხვდნენ ერთმანეთს და იმ გოგონამ, უკვე შვიდი შვილის დედამ, ასე მიმართა მწერალს: ბატონო ნოდარ. ასეთი მიმართვა გამოწვეული იყო იმით, რომ სახელის სრული ფორმა სოლიდური, დარბაისლური ჟღერადობისაა. თვით ნ. დუმბაძის მოთხრობაში "მე ვხედავ მზეს" მასწავლებელი ასე მიმართავს მოსწავლეს: სოსო. მაგრამ ხატია მიმართვისას იყენებს –ია დართულ ფორმებს: "ლამაზი როგორია, სოსოია?"

საერთოდ, საქართველოში პიროვნულ სახელთა კნინობით ფორმებს ერთგვარი სოციალური დატვირთვაც ჰქონდა, რაც აისახა კიდეც მხატვრულ ნაწარმოებებში. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ "ერთი და იმავე სახელის სხვადასხვა ვარიანტის გამოყენება სხვადასხვა პერსონაჟისათვის ავტორის გარკვეული პოზიციის მიმანიშნებელია" (აფრიდონიძე, 1988, გვ. 135). საამისო კლასიკური მაგალითია მოთხრობა "ოთარაანთ ქვრივი", სადაც ოთარაანთ ქვრივის შვილის სახელია გიორგი (და არავითარ შემთხვევაში: გოგია), მაგრამ მის სეხნიას, ასევე მშრომელ, მაგრამ უავტორიტეტო გლეხს, თვით ოთარაანთ ქვრივი "დამპალ გოგიად"

---

* ონომასტიკურ სამეცნიერო ლიტერატურაში ექსპრესიულ (ემოციურ-შეფასებით) საკუთარ სახელს კვალიტატივსაც უწოდებენ (იხ. პოდოლსკაია, 1988, გვ. 71-72. ქართულად: ცხადაია, 1988, გვ. 56). კვალიტატიური პირსახელი შეიძლება წარმოიქმნას სახელის სრული ან შემოკლებული ფუძისაგან (შდრ.: დავით – დავითა – დათია). ამასთანავე, შეფასების სუბიექტურობა ვლინდება კონტექსტის მიხედვით და ყოველთვის არაა დამოკიდებული სათანადო აფიქსებზე. კვალიტატიური პირსახელები სემანტიკური თვალსაზრისით გამოხატავენ აუგმენტატიურობას (გაზვიადებულობას, მაგალითად, რუსულში: ივანიშჩე, ვარვარიშჩა...), დემინუტიურობას (მოფერება-კნინობითობას, მაგალითად, რუსულში: ვასენკა, ჟენეჩკა, სანეჩკა, სონიურა... იხ. კარპენკო, 1980) და პეიორატიულობას (დამცირება-კნინობითობას, მაგალითად, რუსულში: დუნიაშკა, სერიოშკა...).

მოიხსენიებს. ამ სახელდებაში არასიმპათიურობას, დამცირებას გამოხატავს არა მხოლოდ (და იმდენად) ეპითეტი "დამპალი", არამედ აგრეთვე (და უპირატესად) პირსახელის კნინობითი ვარიანტი. როგორც ცნობილია, სამეგრელოში დადიანს, თავადსა და ქინოსქუას (აზნაურიშვილი) ყოველთვის შეეძლო გლეხის სახელისათვის –ია დაემატებინა. აბა თვით მებატონისათვის მიგემართათ ამგვარი ფორმით, ხაჯალური (ხის ბორკილი) არ აგცდებოდათ. მაშასადამე, კნინობითი სახელი ხშირად გამოიყენებოდა დაბალი სოციალური წრისადმი მიკუთვნების ხაზგასასმელად, ანტიპათიის, დაცინვის გამოსახატავად. მეგრული ანდაზაცაა ასეთი: კოჩიშ კოჩისია სახელი ხოლო უკოჩობაში ჯოხოდუა, ე.ი. "კაცის კაცს (ანუ ყმას) სახელიც უკაცობისა ერქვაო". კნინობითი სახელები სამეგრელოში ამჟამადაც გამოიყენება პირდაპირი მნიშვნელობით: მოზარდმა თანაკლასელსა თუ თანაუბნელს გასაბრაზებლად და გასახელებლად შეიძლება მიმართოს ოფიციალური პირსახელის კნინობითი ფორმით (გიორგია – თუ გიორგი ჰქვია, ლევანია – თუ ლევანი ჰქვია და ა.შ.). სხვათაშორის, სამეგრელოში გვარის ფორმასაც კი ჰქონია ერთგვარი სოციალური დატვირთვა: როგორც ხანდაზმული მთხრობელებისაგან მოგვისმენია, ემუხვარი თავადი იყო, ხოლო ეხვაია (იხ. ლექსიკონში) – მხოლოდ გლეხი, ასევე: აფაქიძეები თავადები იყვნენ, ხოლო აფაქელავები – მათი უკანონო შვილების შთამომავლობა.

პირველი, ვინც მეგრული საზოგადო და საკუთარი სახელების –ია დაბოლოება რთულ სუფიქსად ჩათვალა და თითოეულ კომპონენტს ფუნქცია გამოუნახა, იყო ი. ყიფშიძე. მისი აზრით, –ა კნინობითი და მოფერებითი სახელების მაწარმოებელია, ხოლო –ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია, რომელიც შემოინახა ხმოვანფუძიან და თანხმოვანფუძიან სახელებში სწორედ ამ –ა სუფიქსის წინ: ბაბა–ი–ა, ნანა–ი–ა, ჩელა–ი–ა, ორტვინი–ა (← ორტვინი "ბოსტანი"), ჩუვანი–ა (← ჩუვანი "ქვაბი"), თამური–ა (← თამარი) და სხვ. (ყიფშიძე, 1994, გვ. 71, 177). ეს თვალსაზრისი ჩვენ უფრო მისაღები გვეჩვენება.

–ია, რომელიც კოლხურში (მეგრულში) გვარსახელებს აწარმოებს, სხვა წარმომავლობისა უნდა იყოს. ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებანი. ს. ჯანაშია თავის ნაშრომში "თაბალ–თუბალი, ტიბარენი, იბერი" აღნიშნავს: "მეგრ. –ია –იან–ის ნაშთია"(ჯანაშია, 1959, გვ. 40). ანდა: "ია–ც სწორედ ამ გზითაა (ე.ი. ფინალში ნ–ს მოკვეცით. – პ.ც.) მიღებული იან–ისაგან" (იქვე, გვ. 41). ამასთანავე, ეს –იან რთული სუფიქსია და არის ვარიანტი "საერთოქართველური" –ან სუფიქსისა, რომლის პირვანდელი და უძველესი ფუნქციაა კრებითობა–წარმომავლობის გამოხატვა. "ეს მნიშვნელობა ფორმანტისა ნათლად არის წარმოდგენილი ქართველურ გვარისსახელებში, რომელთაც სათანადო დაბოლოება მოეპოვებათ. გვარისსახელების ეს დაბოლოება თავდაპირველად გავრცელებული იყო, ჩანს, ყველა ქართველ ტომში, და ქართველურს პატრონიმისტიკულ მორფოლოგიაში იგი ერთი ყველაზე ადრინდელი მოვლენათაგანია... ყველაზე კარგად ამჟამად იგი სვანეთშია დაცული" (იქვე, გვ. 35). –ი–ან სუფიქსის ი კომპონენტთან დაკავშირებით ს. ჯანაშია აღნიშნავს: "სიტყვათწარმოების მექანიზმის თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ –ან სუფიქსი უკავშირდება ფუძეს ზოგჯერ უშუალოდ, უმეტეს წილად–კი – ი, ე, ო, უ ინფიქსების საშუალებით. ამ ინფიქსებსა და სუფიქსს შორის ხშირად ჩნდება თანხმოვანი ვ, რომელიც ზოგჯერ შეცვლილია ბ–თი" (იქვე, გვ. 34–35). ს. ჯანაშიას მტკიცებით, მეგრული –ია სუფიქსის –იან–ისაგან წარმომავლობა კარგად ჩანს მეგრულ–სვანური გვარსახელების შედარებისას: მეგრ. კუცია – სვან. კვიციანი, მეგრ. ჩხეტია – ქართ.–სვან. ჩხეტიანი, მეგრ. გაბელია – სვან. გაბლიანი და სხვ. ეთნოისტორიკოსი რ. თოფჩიშვილი, რომელმაც ქართული გვარსახელების წარმოქმნის საკითხს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა, მრავალ ამგვარ მაგალითს აწვდის დაინტერესებულ მკითხველს: კვარცხელიანი – კვარაცხელია, აფაქიანი – აფაქია (აფაქიძე), გაბუნიანი – გაბუნია, გობეჩიანი – გობეჩია, სტეფანიანი – სტეფანია, გუარამიანი – გვარამია, რუსიანი – რუსია, წიფურიანი – წიფურია, ბოკერიანი - ბოკერია, ხაზალიანი - ხაზალია, კვირკველიანი – კვირკველია, ჯამბურიანი - ჯამბურია... (თოფჩიშვილი, 1997, გვ. 102), მაგრამ ფუძეთა ასეთი დამთხვევების ყველა შემთხვევა იმას არ ნიშნავს, რომ პირველადი წარმონაქმნი აუცილებლად სვანური ვარიანტია. ამავე ავტორის სხვა ნაშრომში ("ლეჩხუმური გვარსახელები") დასახებულია მრავალი მაგალითი იმის ცხადსაყოფად, რომ მიგრაცია ხდებოდა არა მარტო მთიდან ბარში, არამედ ბარიდან მთაშიც: გოგელიები ლეჩხუმის სოფ. ჰყვიში გოგელიანებად ჩაწერილან; ლუხვანოში, ლახეფასა და ქულბაქში მცხოვრები ლეთოდიანები თვლიან, რომ მათი წინაპრები იყვნენ თოდუები... საერთოდ, "ლეჩხუმის დღევანდელი მოსახლეობა მიგრირებულია სვანეთიდან, სამეგრელოდან, იმერეთიდან, გურია–აჭარიდან და

სხვა" (თოფჩიშვილი, 1993, გვ. 31). ამასთანავე, სამეგრელო-სამურზაყანოდან კოლხურსუფიქსიანი გვარები მიგრირებულია სვანეთშიც, აჭარა-გურია-იმერეთშიც და სხვ.

გ. როგავა იზიარებს ს. ჟანაშიას თვალსაზრისს, რომ მეგრული გვარსახელების –ია დაბოლოება მომდინარეობს –იან-ისაგან, მაგრამ რთული სუფიქსის პირველ კომპონენეტად, ისევე როგორც არნ. ჩიქობავა, მიიჩნევს –ივ სუფიქსს და მოჰყავს ასეთი კონკრეტული მაგალითი: ჩხეტ-ივ-ან → ჩხეტ-ი-ან → ჩხეტ-ია, მელ-ივ-ან → მელ-ივა → მელია (როგავა, 1955, გვ. 4). მაშასადამე, ი ← ივ, მაგრამ არაფერია ნათქვამი ამ –ივ სუფიქსის ფუნქციაზე.

განსხვავებულ (და გასაზიარებელ) მოსაზრებას გვთავაზობს ჯ. ონიანი -ი-ან და -ია სუფიქსთან დაკავშირებით: "მეგრული ამჟამინდელი გვარები ბოლოვდებიან არა -ია, -ავა, -უა სუფიქსებით, არამედ მხოლოდ -ა სუფიქსით, რომელიც –ან(ი) დაბოლოების ნაშთია" და "გვარში წულუკია ი ნანათესაობითარია და არა გვარის დაბოლოების ნაწილი ისევე, როგორც სვანურ წულუკ-ი-ან-ში" (ონიანი, 1979, გვ. 84). მაშასადამე, ჯ. ონიანი იზიარებს ს. ჟანაშიას ძირითად დებულებას, რომ –ა სვანური –ან-ის თანხმოვანმოკვეცილი ნაწილია, ოღონდ მიიჩნევს, რომ ეს "–ან(ი) ოდესღაც ძესა და შვილს ნიშნავდა უშუალოდ და ამიტომ იქცა იგი გვარის დაბოლოებად, როგორც წარმომავლობის აღმნიშვნელი", ხოლო ი-ან დაბოლოების –ი კომპონენტი არის ან ფუძისეული ხმოვანი, ან ნათეს. ბრუნვის ნიშნის ნაშთი თანხმოვანფუძიან სახელებთან. მაშასადამე, იან←იშ-ან (იქვე, გვ. 85).

აქ ერთხელ კიდევ გავიხსენოთ, რომ ი. ყიფშიძისათვის -ია სუფიქსის ი კომპონენტი სახელობითი ბრუნვის ნიშნის ნაშთია, ხოლო –ა კნინობითობა-მოფერებითობას გამოხატავს და დავასკვნათ: ორი სხვადასხვა სუფიქსის შეერთებითა და შემდგომი გამარტივებით წარმოქმნილ –ია კომპლექსს სიტყვაწარმოებითი მორფემის ფუნქცია მიუღია, კერძოდ, გვარსახელთა მაწარმოებელ საგანგებო (სპეციალურ) სუფიქსად ქცეულა კოლხურში (მეგრულში).

კოლხური გვარსახელის ფინალში გამოვლენილი –ია ყოველთვის არ არის გვარსახელის მაწარმოებელი. როგორც ცნობილია, ქართულშიც და მეგრულშიც ეა → ია. მაშასადამე: პეტრე →პერტე → პერტე-ა → პერტია, ალექსანდრე → ალექსანდრე-ა→ ალექსანდრია, გეგე → გეგე-ა → გეგია და სხვ.

ცალკე უნდა შევეხოთ გვარებს, რომელთაც ბოლოში აქვთ –ნძია კომპლექსი. აქაც –ია მიღებულია -ეა-საგან. -ძე სუფიქსს სამურზაყანოსა და მიმდებარე ზუგდიდის რ-ნში წინ ნ ჩაერთვის. რატომღაც -ნძე დაბოლოება არ აღმოჩნდა საკმარისი და საგვარსახელო ფუნქციის გაძლიერების მიზნით დაერთო – ა სუფიქსი. სამეგრელოში დაფიქსირებულია გვარები გოლა-ვა და გოლა-ნ-ძია (შდრ. ქართლში: გოლაშვილი – 89 სული, გოლაძე – 28 სული). გოლანძია-ს გავლილი აქვს წარმოქმნის ასეთი გზა: გოლაძე → გოლანძე → გოლანძე-ა → გოლანძია. ასევე: ქვარაძე (შდრ. ქვარაია) → ქვარანძე → ქვარანძე-ა → ქვარანძია და სხვ.

ზოგ გვარსახელს –ია დაბოლოება გადმოყოლილი აქვს მეტსახელისაგან, სადაც იგი შეიძლება გამოხატავდეს კნინობითობა-მოფერებითობას ან რაიმე თვისების მქონებლობას. ჩქოფოია და ჩქოფორია (ჩქვეფერია) მეგრულში სახეგაბადრული და მსუქანი კაცის ეპითეტია. ორივე ფორმა გვარსახელადაც გვხვდება: გვარ ჩქოფოიას ატარებს 211 სული (ძირითადად, მარტვილის რ-ნში), ხოლო ჩქოფორიას – 74 სული (ძირითადად სენაკის რ-ნში).

გვარსახელებში –ია მორფემის წინ ჩვეულებრივია თანხმოვნები ან –ა ხმოვანი. ამ ზოგადი პოზიციის დარღვევის ორიოდე შემთხვევის ახსნა სიძნელეს არ წარმოადგენს: დეკანოია (27 სული) იმერეთშია დაფიქსირებული და ამავე რეგიონში ფართოდ გავრცელებული დეკანოიძის (1673 სული) ვარიანტია. ქიშმარეია (26 სული) სამტრედიის რაიონში გვხვდება. ძირითადად ამავე რაიონშია განსახლებული ქიშმარია (58 სული) და ქიშმარეიშვილი (61 სული) ამოსავალია პირსახელი ქიშმარა. გვარი მაისაია (509 სული) ძირითადად მარტვილის რ-ნშია გავრცელებული. მეზობელ ხონის რ-ნში კი დაფიქსირებულია ვარიანტი მაისეია (28 სული). აქაც ქვემოიმერულისათვის დამახასიათებელ ფონეტიკური პროცესი (ეა → ია) მომხდარა. კიდევ ერთ ანალოგიურ მაგალითს დავასახელებთ: ნასარაია (215 სული) ფოთსა და ხობის რ-ნშია განსახლებული, ხოლო ნასარეია (84 სული) – სამტრედიის რ-ნში. საისტორიო წყაროებში დაფიქსირებულია ფანცულეია (იხ. ფანცულაია), ჰანტურეია (იხ. ჰანტურაია) და სხვ.

-ვა დაბოლოება

საქართველოში 310-მდე გვარს უჩანს -ვა დაბოლოება. მათგან სამეგრელოში განსახლებულია და წინამდებარე ლექსიკონშიც შევიდა 270-მდე გვარსახელი, ხოლო დანარჩენი ძირითადად განსახლებულია მეზობელ რეგიონებში – იმერეთში, გურიაში, აჭარაში, ლეჩხუმში. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ -ვა სუფიქსიან გვარსახელს ატარებს საქართველოში 200 642 სული (IV ადგილი), ხოლო სამეგრელოს რეგიონში – 124 526 (II ადგილი. მეორე ადგილი უკავია ამ გვარს სამეგრელოს შეიდსავე რაიონსა და ქ. ფოთშიც). წარმოვადგენთ -ვა სუფიქსის პროდუქტიულობას სხვა რეგიონების მიხედვით: აჭარა - IV ადგილი (6108 სული), იმერეთი - V ადგილი ( 23 952 სული), გურია - IV ადგილი (3 798 სული), თბილისი - IV ადგილი (34 336 სული) და სხვ. საქართველოში ყველაზე გავრცელებულ 100 გვარში მხოლოდ სამს აქვს ფინალური -ვა. ეს გვარებია: სიჭინავა – 53-ე ადგილი (6102 სული), ქარდავა – 55-ე ადგილი (6014 სული) და მიქავა – 96-ე ადგილი (4550 სული).

გვარსახელის ფინალში -ვა მორფემას წინ, ჩვეულებრივ, უძღვის -ა ხმოვანი, რის გამოც მავანს შეიძლება მოეჩვენოს, რომ გვარსახელის მაწარმოებელია -ავა. ი. ყიფშიძე ნ. მარზე მითითებით აღნიშნავს, რომ მეგრული გვარის დაბოლოება -ვა იმავე ძირისაა, რაც აფხაზური ა-ფა "ძე". ეს -ვა გამარტივებულია თანხმოვნითი ნაწილის დაკარგვით. მაშასადამე, ვა→ ა: პაპა-ვა→ პაპაა (ყიფშიძე, 1994, გვ. 437). ს. ჯანაშია -ვა სუფიქსზე მსჯელობას იწყებს ნ. მარის მოსაზრების უარყოფით: "ნ. მარი მას უყოყმანოდ აფხაზურიდან შენათვისებ ელემენტად სთვლიდა, - მეგრულ ნიადაგზე სახეცვლილი აფხაზური სიტყვა ბა//ფა ("ძე") არისო... ამ მოსაზრების გაზიარება შეუძლებელია. ჯერ ერთი, არ არის ნაჩვენები ნაგულისხმევი გადასვლის ფონეტიკური კანონზომიერება. შემდეგ, ანგარიში არ ეწევა მოცემული ფორმანტების ფუნქციონალურ სხვაობას; აფხაზურში იგი აღნიშნავს გვარსახელის მხოლოდ მამრობითი სქესის მატარებელს, მეგრულში კი – ორივე სქესისას. და ბოლოს, არც სესხების ისტორიული პირობებია გარკვეული – როდის უნდა ყოფილიყო ასეთი წამლეკავი გავლენა აფხაზურისა მეგრულზე" (ჯანაშია, 1959, გვ. 40).

ს. ჯანაშიას ვარაუდი -ვა მორფემის წარმომავლობასთან დაკავშირებით ასეთია: "აქ უკვე შეკვეცილი ვან უნდა გვქონდეს" (იქვე, გვ. 41). ამას მკვლევარი ასაბუთებს სვანურ-მეგრული პარალელებითაც: სვან. ფაღავან → მეგრ. ფაღავა, სვან. გალდავან → მეგრ. გალდავა... ეს -ვან (ისევე როგორც -იან, -უან და სხვ.) ვარიანტია საერთოქართველური -ან სუფიქსისა, რომლის ძირითადი და თავდაპირველი დანიშნულებაა კრებითობისა და წარმომავლობის გამოხატვა (-ვ კომპონენტის ფუნქციას მკვლევარი არ ეხება, თუმცა ო-ვ-ან და -ე-ვ-ან რთულ სუფიქსებთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ -ან სუფიქსისა და ფუძესთან დამაკავშირებელ ხმოვანი ინფიქსის შუაში ზოგჯერ თავს იჩენს -ვ ან – ბ). ცოცხალ მეტყველებაში მეგრული გვარსახელებისათვის -ვა დაბოლოების მოკვეცა გვიანდელი მოვლენაა და "საფიქრებელია, აფხაზურშიაც იჩენს თავს გვარისსახელთა კრებითობის ფორმის აფიქსში – აა (თუ გრძელი ა), მაგ., კოზმაა (კოზმაეები), ქენიაა (ქვანიები), მარშანაა (მარშანიები) და სხვ." (იქვე, გვ. 40).

გვარსახელების -ვა დაბოლოებასთან დაკავშირებით არსებობს სხვა მოსაზრებანიც: გ. როგავა სტატიაში "ზოგი ქართული გვარის სუფიქსაციისათვის", იზიარებს რა ს. ჯანაშიას შეხედულებას (ვან→ ვა), აზუსტებს ზოგ დებულებას: ისტორიულად -ან სუფიქსის წინ დასტურდება -ავ, -ევ, -ივ, -ოვ, -უვ. გამარტივების შედეგად მივიღეთ: ევ-ან →ეან → იან → ია, -ივან→ ივა→ ია (ქობალ-ივ-ან → ქობალია, ჩხეტ-ივ-ან→ ჩხეტიანი → ჩხეტია), -ავ-ან → ავა (ქობალ-ავ-ან → ქობალავა), -უვან – უვა – უა (დონდ-უვ-ან – დონდუა) და ა.შ. დას. საქართველოში პარალელურად ყოფილა გავრცელებული -ივ-ან და -ავ-ან. გვარსახელების დაბოლოება -ავა სამწერლო ენამ შემოინახა, მაგრამ მეტყველებაში გამარტივდა: ხმოვნებს შორის ვ დაიკარგა: ქით-ავ-ან→ ქითავა→ ქითაა→ ქითა (გ. როგავა, 1955, გვ. 5). ჯ. ონიანი თვლის, რომ მეგრული გვარსახელების -ავა დაბოლოებაში სუფიქსია მხოლოდ -ა, რომელიც, როგორც ამას ს. ჯანაშიაც ვარაუდობდა, -ან სუფიქსის ნაშთია. "გვარის მაწარმოებელი სუფიქსი აქ მხოლოდ ა არის. სოტკილავა, ბჟალავა მეგრულად არის სოტკილაა, ბჟალაა (სვანური გაფორმებით იქნება – სოტკილაანი, ბჟალაანი). ეს გვარები მიღებულია ხმოვანფუძიანი სახელებიდან. რაც შეეხება ვ ბგერის ჩართვას ამ გვარებში, იგი ახსნა პროფ. მ. ქალდანმა. ა სუფიქსით დაბოლოებული მეგრული გვარები იმავე სისტემას იცავენ უკლებლივ, რაც სვანური გვარისათვის არის დამახასიათებელი. მეგრულმა გვარებმა -ან(ი) დაბოლოების დაკარგვისთანავე

ფუნქციის გაგება გააძნელეს. ამიტომაა, რომ დღევანდელი სვანისათვის -ან(ი) დაბოლოება გასაგებია ისევე, როგორც ქართული ძე და შვილი, ხოლო მეგრელისათვის საკუთარი გვარის დაბოლოება თითქმის გაუგებარია (რა თქმა უნდა, ა სუფიქსით დაბოლოებული)". (ონიანი, 1955, გვ. 85). ზ. ჭუმბურიძეც იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომ -უა(ვა) ← -უან (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 296). -ვა სუფიქსის წარმომავლობასთან დაკავშირებით სხვა ვარაუდებიც არის გამოთქმული.

-ვა მორფემის წინ, ჩვეულებრივ, -ა ხმოვანია. ორიოდე შემთხვევაში ეს წესი დარღვეულია: მელივა, გ. როგავას მოსაზრებით, მიღებულია სვანური მელივან-ისაგან. ორ სხვა შემთხვევაში -ვა შესაძლოა -უა-ს ფონეტიკური ვარიანტი იყოს: გურიაში დადასტურებულია როყვა (572 სული) და როყუა (89 სული), აგრეთვე ჯახვა (27 სული), რაც ჯახუას ვარიანტია. სამურზაყანოში გავრცელებული საბულუას (244 სული) ადგილობრივი ვარიანტია საბულვა.

სრულიად განსხვავებული თვალსაზრისი გამოთქვა მეგრული გვარსახელების -ავა დაბოლოებასთან დაკავშირებით მ. ქალდანმა: "მეგრული გვარების -ავ ელემენტს გენეტური კავშირი არ უნდა ჰქონდეს ძველი ქართულის საზოგადო სახელთა სიტყვაწარმოებაში დაცულ -ევ, და მით უფრო, -ავ სუფიქსთან. მეგრულ გვარებში წარმოდგენილი -ავ ელემენტი ქართულ-სვანურ -ელ სუფიქსს უნდა შეესატყვისებოდეს". აქვე მკვლევარი სვამს კითხვას: "რას წარმოადგენს ქართულ-სვანურ გვარსახელებში -ელ ელემენტი?" და უპასუხებს, რომ ესაა ქართველურ გვარსახელთა საწარმოებლად გამოყენებული უძველესი სუფიქსი, რომელიც ამ ფუნქციით -ან, -ი-ან, -ძე, -შვილ კომპონენტების დამკვიდრების შემდეგ ფუძეს შეხორცებია: მარგვ-ელ-ა-შვილი, ქუთათ-ელ-ა-ძე, მარგვ-ელ-ან, ცინდ-ელ-ან და სხვ (ქალდანი, 1980, გვ. 69-70). აღნიშნული -ელ სუფიქსი ქართულსა და სვანურში უცვლელადაა შემონახული. უცვლელად შემოუნახავს იგი მეგრულსაც -ია (← -ი-ან) დაბოლოების მქონე გვარებში: კვირკვ-ელ-ი-ა, კვარაცხ-ელ-ი-ა, დარა-ს-ელ-ი-ა, ქუთ-ელ-ი-ა... ამ შემთხვევაში ქართ. ე : მეგრ. -ა შესატყვისობის დარღვევას (ე.ი. ე ხმოვნის გაფართოებას) "ხელი შეუშალა მომდევნო მარცვლისეულმა ი-მ" და "სხვა ფონეტიკურ გარემოცვაში ე:ა შესატყვისობა უგამონაკლისოდ არის გატარებული" (იქვე, გვ. 70).

ნაშრომის ბოლო ნაწილში მკვლევარი ასკვნის: საერთოქართველურ -ელ-ან მოდელს მეგრულში -ავა დაბოლოება შეესატყვისება. მისი ბოლოკიდური -ა არის -ან სუფიქსის ბოლომოკვეცილი ვარიანტი, -ავ სუფიქსი კი საერთო ქართულ-სვანური -ელ სუფიქსის ფონეტიკური სახესხვაობაა. შესატყვისობა ე:ა ცნობილია და სადავო არ არის, ხოლო ლ:ვ შესატყვისობის ფონეტიკური საფუძველი ასეთია: სვანურში ორგვარი ლ შეინიშნება: რბილი ლ ... და მაგარი, ლაბიალიზებული ლ, რომელიც მეგრულისათვის უცხო იყო. "მაგარსა და ლაბიალიზებულ ლ-ს მეგრული ან უ/ვ-ს, ან რ-ს სახით წარმოთქვამდა" (იქვე, გვ. 72). ამიტომაც ქართულ-სვანური -ელ სუფიქსი "მეგრულ გვარსახელებში კანონზომიერ -ავ შესატყვისობას იძლევა" (იქვე). მაშასადამე, მეგრული ცირდავა//ცინდავა და სვანური ცინდელან ერთმანეთს შეესატყვისება, ისევე როგორც მიქავა და მიქელან, ჭითავა და წითელან, ფაღავა და ფეხელან, ხოჯავა და ხოჯელან, გიგავა და ღოღელან, კანკავა და კეკელიძე, მაშავა და მეშველან, ჯობავა და ჯაბელან... (იქვე, გვ. 73). მ. ქალდანის მთავარი დასკვნა ასეთია: "მეგრული -ავ-ა ქართულ-სვანურ -ელ-ა სუფიქსს უნდა უკავშირდებოდეს. ლ-ს გადაქცევა ვ-დ ამ ლ-ს ლაბიალიზებულობის შედეგი უნდა იყოს. მეგრულს არ შეეძლო ლაბიალიზებული მაგარი ლ-ს წარმოთქმა. ამ სიძნელეს იგი ზემოწარმოდგენილ შემთხვევაში ლაბიალური ელემენტის წინ წამოწევით აღწევდა თავს" (იქვე, გვ. 73). ამასთანავე, მ. ქალდანი უფრო ადრე დასტამბულ თეზისებში ამასაც აღნიშნავს: მეგრულ გვარისსახელებში რთული სუფიქსი -ავა მხოლოდ მაშინაა კანონზომიერი, თუ შესადარებელ ქართულ-სვანურ გვარებში -ელ-ა, -ელ-ან დაბოლოება გვაქვს. სხვა შემთხვევაში მეგრული გვარების -ვა სუფიქსი ანალოგიის შედეგი უნდა იყოს და ფორმათა პარადიგმატული გასწორების ტენდენციის ნაყოფი ჩანს (ქალდანი, 1976, გვ. 24).

საისტორიო წყაროებში დადასტურებულია -ვა დაბოლოებიან გვარსახელთა სამი ვარიანტი: ა. -ვა უცვლელადაა შემონახული; ბ. -ვა გამარტივებულია და გვარის ფუძეს ერთვის მხოლოდ -ა სუფიქსი; გ. ნაშთის სახით დარჩენილი -ა სუფიქსიც მოკვეცილია. საილუსტრაციო მასალას წარმოვადგენთ შუა საუკუნეების დას. საქართველოს საეკლესიო საბუთებიდან, რაც დაბეჭდილია "ქართული სამართლის ძეგლების" III ტომში (თბ., 1970). ნაჟანეულში (ამჟამინდელი ოტობაია გალის რ-ნში) მცხოვრები გოგილავები (საეკლესიო გლეხები) XVI ს. დამლევის საბუთში დასახელებულნი არიან როგორც გოგილავა (მამისმამა გოგილავა და

შურითოლი გოგილავა. იხ ქსძ, III, 384). ორი ათეული წლის შემდეგდროინდელ (1621 წ.) საბუთში კი მოხსენიებულია თოლიოქრო გოგილაა. ამავე საბუთში კიდევ ერთი გოგილავა არის მოხსენიებული, ოღონდ –ვა მოკვეცილი ვარიანტით. ესაა ხუხურია გოგილა (იქვე, 420, 421). ამავე (1621 წლის) საბუთში გირგოლავა ორი ვარიანტითაა წარმოდგენილი: სრული ფორმით (ორქოია გირგოლავა) და –ვა მოკვეცილი (ვარგიზია გირგოლა, თაუზარი გირგოლა, ეპინათე გირგოლა. იხ. იქვე, 430–431). ასევე ორი ფორმითაა წარმოდგენილი გვარი შარინავა: გვაგვალა შარინავა, ბართიმე შარინავა (იქვე, 430) და ასპანდელი შარინა (იქვე, 434). "საცაიშლო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარი" (1616–1621 წწ.) ჯგალში მცხოვრებ ფათხავებს ორი ვარიანტით მოიხსენიებს: გიორგი ფათხავა, ოსავთარი ფათხავა და მიქაი ფათხაა, ბანუა ფათხაა, თომიხილა ფათხაა. აქვე ეს გვარი დასახელებულია მრ. რიცხვის ფორმითაც: ფათხაები (ქსძ, III, 471–472). დავასახელებთ ამავე წიგნიდან კიდევ რამდენსამე ნიმუშს: სიჭინავა, ცისკარავა, მალურავა, აფხაზავა, გოგორდავა, ძიგურავა, თომავა, ვართაგავა, ასმავა, გიგიდავა... გაგაა, კუკაა, სალაზებაა, გვაზაა, ტურაა, ვართაგაა, ბულაა, ფარცხელაა... როგორც ვხედავთ, -ვა სუფიქსის სრულად მოკვეცის შემთხვევები იშვიათია.

სათანადო მსჯელობით (იხ. ქვემოთ -ა სუფიქსთან) ცხადი ხდება, რომ კოლხურ გვარსახელთა –ავა დაბოლოებაში წინამავალი –ა ფუძისეულია, ბოლოკიდური –ა საგვარსახელო სუფიქსია, ხოლო თანხმოვანი ვ (და ) გარკვეული ფუნქციის მქონე ჩანართია ინტერვოკალურ პოზიციაში. ორი სხვადასხვა დანიშნულების მორფემის შერთებით მიღებული –ვა კომპლექსი, თავის მხრივ, გვარსახელთა მაწარმოებელ რთულ სუფიქსად იქნა აღქმული.

–უა დაბოლოება

დამკვიდრებული თვალსაზრისის თანახმად, კოლხურ გვარსახელთა ერთ-ერთი აქტიური მაწარმოებელია სუფიქსი –უა. ამ დაბოლოებას პროდუქტიულობით საქართველოში VII ადგილი უკავია (74817 სული), ხოლო სამეგრელოში - IV ადგილი (43192 სული, რაც საერთო სულადობის მხოლოდ 60%-მდეა). სხვა რეგიონებში ასეთი სურათია: იმერეთი - VI ადგილი (10437 სული), გურია - VI ადგილი (2427 სული), აჭარა - VIII ადგილი (1931 სული), სვანეთი - III ადგილი (1001 სული), თბილისი - VIII ადგილი (13 068 სული) და სხვ. ერთადერთი რეგიონი ჯავახეთია, სადაც –უა დაბოლოებიანი გვარი არ გვხვდება. საქართველოში ყველაზე გავრცელებულ 100 გვარში ორი ბოლოვდება –უა-ზე: თოდუა – 24-ე ადგილი (8079 სული) და გაგუა – 99-ე ადგილი (4526 სული).

საქართველოში დღესდღეობით დაფიქსირებულია 100-მდე გვარსახელი, რომელთაც ფინალში აქვთ –უა. მათგან ოთხის ძირითადი სამკვიდრო და განსახლების რეგიონი არის იმერეთი (დონდუა, სტურუა, ჩაჩუა, ხობუა), ხოლო დანარჩენისა – სამეგრელო.

კოლხური გვარსახელების –უა დაბოლოების წარმომავლობის საკითხი ს. ჯანაშიას საგანგებოდ არ განუხილავს, მაგრამ მკვლევარი, როგორც ჩანს, ვარაუდობდა –ვან → -უა (ასახელებს პარალელურ ფორმებს: სვან. გოშვან→ მეგრ. გოშუა. იხ. ჯანაშია, 1959, გვ. 36). ალბათ აქედან გამომდინარეობს ჯ. ონიანის დასკვნა ამ –უა-ს წარმომავლობაზე : "ს. ჯანაშიამ –ი-ან დაბოლოება საერთო-ქართველურ ფორმად მიიჩნია და მის პარალელურ ფორმებად ჩათვალა მეგრული გვარების დაბოლოებანი –ია(ნ), -ავა(ნ), -უა(ნ)" (ონიანი, 1979, გვ. 80).

გ. როგავა თვლის, რომ "-ოვ-ან (თუ -უვ-ან) სუფიქსი მეგრულ გვარებში მეტად აქტიური სუფიქსი უნდა ყოფილიყო ერთ დროს. -ოვ-ან//-უვ-ან სუფიქსის –ნ მოკვეცილი სახეობა უნდა იყოს -უა სუფიქსიანი გვარები დასავლეთ საქართველოში: დონდ-უა ←დონდ-უვ-ან (შდრ. სვან. დონდვან), გოშ-უა ← გოშ-უვ-ან (შდრ. სვან. გოშვან), გულ-უა ← გულ-უვ-ან და სხვ." (როგავა, 1955, გვ. 5–6). მკვლევრის მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ –ოვ-ან რთულ სუფიქსში ძირითადია –ოვ ელემენტი, რომელსაც "დართული აქვს –ან სუფიქსი" (იქვე, გვ. 4), მაგრამ არაფერია ნათქვამი ამ სუფიქსების ფუნქციებზე. გ. როგავას დასკვნით, -ოვ-ან (თუ –უვ-ან) რთულ სუფიქსს ჯერ მოკვეცია ბოლოკიდური ნ (შედარებისათვის ასახელებს: რენ → რე "არის"), ხოლო შემდეგ ხმოვნებს შორის ამოვარდნილა ვ თანხმოვანი. ე.ი. -უვან → უვა→ უა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა აღინიშნოს ერთი ფაქტი: 1904 წლის საკომლო აღწერის მასალებში (მოგვაწოდა რ. თოფჩიშვილმა) დაფიქსირებულია რამდენიმე გვარი, რომელთაც აქვთ –უვა დაბოლოება: გუჩუვა (სოფ. ფახულანში აღურიცხავთ: გუჩუვა – 9 კომლი, გუჩუა – 3 კომლი),

გუნჯუება (სოფ. პ. კოკი), ტორუება (სოფ. თაია), ყურუება (სოფ. ხორგა, 2 კომლი), ჭკადუება (სოფ. ნარაზენი, 5 კომლი), ხუბუება (სოფ. შამგონა, 2 კომლი), ჯახუება (სოფ. დარჩელი). როგორი კვალიფიკაცია მივცეთ ამ ფაქტს. -ე ჩანართია თუ სუფიქსადქცეული -ვა დართვია -უ ბოლოკიდურიან პირსახელს?

ზ. ჭუმბურიძის თვალსაზრისით, "მეგრულ გვარებში გავრცელებული ვა და ია სუფიქსები... უან//იან დაბოლოებისაგან უნდა იყოს მიღებული" (იხ. დედაენა ქართული, გვ. 296). ამასთანავე, მის მიერვე გვარსახელთა ერთ-ერთი დაბოლოების ასე დასახელება - "უა(ვა)" შეიძლება იმას ვარაუდობდეს, რომ –უა და –ვა მასალობრივად (და არა მარტო ფუნქციით) ერთმანეთთანაა დაკავშირებული.

ზემოთ უკვე აღნიშნული გვაქვს, რომ ჯ. ონიანის თვალსაზრისით, კოლხურ გვარსახელებს აწარმოებს –ა სუფიქსი (და არა –ია, -ვა, -უა), რომელიც სვანური –ან სუფიქსის ნაშთია (ონიანი, 1979, გვ. 84). ამასთანავე, -ან (და მისი გამარტივებული ვარიანტი –ა) დაერთვის პირსახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას (ბრუნვის ნიშანი სრულადაა დაკარგული ხმოვანფუძიან სახელებთან). -უა დაბოლოებასთან დაკავშირებით ავტორი საილუსტრაციოდ ასახელებს ერთადერთ გვარსახელს – გ ა გ უ ა ს, რომლისთვისაც ამოსავალი სახელი გ ა გ უ "სვანურში ახლაც ცოცხალია". ამ გვარის წარმოქმნის გზა ასეა წარმოდგენილი: გაგუ→ გაგუ-შ-ან-ი→ გაგუ-ან(ი)→ გაგუ-ა (იქვე, გვ. 85). მანამდე კი დასახელებულია ასეთი პარალელური ფორმები: მეგრ. გაბუნია – სვან. გაბუნიანი, მეგრ. გოშუა – სვან. გოშუანი. საერთოდ, თითქმის ყველა მკვლევართან სიტუაცია ისეა წარმოჩენილი, რომ –ა-ზე დაბოლოებული გვარები თვით მეგრულის წიაღში კი არ არიან აღმოცენებულნი, არამედ სვანური –(ი)ან დაბოლოებიანი გვარების –ნ მოკვეცილი ვარიანტებია (ზოგ შემთხვევაში ასეცაა).

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საქართველოში ასიოდე –უა დაბოლოებიანი გვარსახელია. საგვარსახელო სუფიქსი –ა უმეტეს შემთხვევაში დაერთვის –ო ან -უ ხმოვნებზე დაბოლოებულ პირსახელებს ან მეტსახელებს (ისინი დადასტურებული არიან ალ. ღლონტის "ქართველურ საკუთარ სახელებში" ან ჩვენ მიერ ჩაწერილ მასალაში):

ა. გვარსახელთა სუფიქსი -ა დაერთვის -ო ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებს (ე.ი. -უა ← ოა): ბაბილო→ ბაბილო-ა→ ბაბილუა, ბოხო "მსხვილი". ქცეულა მეტსახელად)→ ბოხო-ა→ ბოხუა, ბოჯგო → ბოჯგო-ა → ბოჯგუა, გაგო (შდრ. გაგო-ში-ძე)→ გაგო-ა→ გაგუა, გოგო (შდრ. გოგოძე)→ გოგო-ა → გოგუა, გოდო (შდრ. გოდორია "მუცელგამობერილი")→ გოდო-ა→ გოდუა, გოშო (შდრ. სვან. გოშოელ)→ გოშო-ა→ გოშუა, გულო→ გულო-ა→ გულუა (გულუა დაფიქსირებულია პირსახელადაც), ზარქო (← ზაქრო) → ზარქო-ა→ ზარქუა, თოდო→ თოდო-ა→ თოდუა, კეკო→ კეკო-ა→ კეკუა, კოდო → კოდო-ა→ კოდუა, კოზო (← კოზმან)→ კოზო-ა→ კოზუა, კოკო→ კოკო-ა→ კოკუა, კოტო (შდრ. კოტორია "დაბალი და მუცელგაბერილი")→ კოტო-ა→ კოტუა, კოლო ("კოლო". მეტსახელი)→ კოლო-ა→ კოლუა (შდრ. კოლუაშვილი), კულო→ კულო-ა→ კულუა, ლოგო ("ბლაგვი, მოსულელო". მეტსახელი)→ ლოგო-ა→ ლოგუა, მანტო→ მანტო-ა→ მანტუა, მელო → მელო-ა → მელუა, ნინო → ნინო-ა → ნინუა, სარო → სარო-ა → სარუა, ტიბო → ტიბო-ა → ტიბუა, ტორო → ტორო-ა → ტორუა, ურცხო ("უცხო". მეტსახელი ან ზედწოდება) → ურცხო-ა → ურცხუა, ქოჩო → ქოჩო-ა → ქოჩუა, ძოლო → ძოლო-ა → ძოლუა, ჭაჭო → ჭაჭო-ა → ჭაჭუა, ჭოჭო → ჭოჭო-ა → ჭოჭუა, ჯონჯო ("საქონლის ცხვირ-პირი". მეტსახელი) → ჯონჯო-ა → ჯონჯუა, ჯოჯო → ჯოჯო-ა → ჯოჯუა და სხვ.

ბ. -ა სუფიქსი დაერთვის -უ ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებს: ბებუ → ბებუა, გოჩუ → გოჩუა, გუ(ნ)ჯუ → გუნჯუა, გუჩუ → გუჩუა, თოშხუ ← თოლშხუ ("თვალმსხვილი". მეტსახელი) → თოშხუა, კუტუ (მეტსახელი) → კუტუა, მატუ → მატუა, ქორთუ ("ქართველი". ზედწოდება) → ქორთუა, ქურსუ (← მ-ქურს-უ "მქუსლავი, მოჩხუბარი". მეტსახელი) → ქურსუა, ღადუ → ღადუა, ყურუ ("ყრუ, შეუსმინარი". მეტსახელი) → ყურუა, ყურშუ (← მ-ყურშ-უ "უზომოდ მსმელი". მეტსახელი) → ყურშუა, ყურწუ (← მ-ყურწ-უ "მყლურწავი, უზომოდ მსმელი". მეტსახელი) → ყურწუა, შანგუ ("შავი". მეტსახელი) → შანგუა, ჩაგუ → ჩაგუა, ჩაჩუ → ჩაჩუა, ჩუხუ → ჩუხუა, ცაცუ → ცაცუა, ძაძუ → ძაძუა, ძიგუ → ძიგუა, ჭაკუ → ჭაკუა, ჭაჭუ → ჭაჭუა, ჭკადუ (← მ-ჭკად-უ "მჭედელი". ზედწოდება) → ჭკადუა და სხვ.

"ზოგი მეგრული გვარი –ღუა დაბოლოებით – ტაბაღუა, ბაძაღუა და სხვა შეიძლება –უა სუფიქსს არ გამოყოფს, რამდენადაც არაა გამორიცხული ამ გვარების უცხოურობა", – აღნიშნავს გ. როგავა (როგავა, 1955, გვ. 6). სავარაუდოა, რომ –გუ (შდრ.: ზარაგუა, ჯოლოგუა), –ქუ (შდრ. შარაქუა), –ხუ, –ყუ დაბოლოებიანი სახელები ნასესხებია ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ენებიდან და დართული აქვს –ა საგვარსახელო სუფიქსი.

ორიოდე შემთხვევაში გვარსახელი იმეორებს მეტსახელს, ე.ი. ხდება კონვერსია – სახელის მიერ ფუნქციის (სემანტიკის) გამოცვლა სუფიქსაციის გარეშე: ქ უ ც უ რ უ ა მეგრულში იხმარება პატარა ტანისა და გაქუცულ-გასაცოდავებული კაცის ეპითეტად; ხ უ ნ ჯ გ უ რ უ ა ითქმის დაბალ, სქელ და მხრებაწეულ კაცზე. ქუცურუა და ხუნჯგურუა ჯერ მეტსახელებად ქცეულან და შემდეგ გვარსახელის სტატუსიც მიუღიათ.

გამოთქმულია ვარაუდი, რომ –უა უძველესი სუფიქსია, გვარსახელებში გაქვავებული. "ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ –უა სუფიქსი არა აქვს დართული ასურულ-ბერძნული თუ არაბულ-სპარსულ-თურქული ენებიდან შეთვისებულ არც ერთ სახელს (მაშინ როცა –ია და –ვა დაერთვის: ნიკოლავა, კოსტავა, ელიავა, პერტაია, გიორგობიანი...) . გამონაკლისს წარმოადგენს გვარი ესებ–უა, მიღებული (ესებ) იოსებისაგან" (როგავა, 1955, გვ. 6). ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ: ა. ესებუას გარდა, –უა–ზე დაბოლოებულ კიდევ სამ გვარში ჩანს აღმ. ენებიდან ნასესხები სახელები. ესენია: ბაბილუა← ბაბილო "აჯანყებული" (სირიული), ხუნტუა ← ხუტუ "მებრძოლი" (ღვთაების ეპითეტი ხურიტულში), ჯაბუა ← ჯაბუ (არაბული ჯაბრაილის შემოკლებული ფორმა); ბ. მკვლევრის მიერ დასახელებული ენებიდან ქართველურ ენებში ადამიანის საკუთარ სახელთა შეთვისება დაიწყო და მიმდინარეობდა დიდი ხნით ადრე, ვინემ ქართულში საერთოდ გაფორმდა და დამკვიდრდა გვარსახელი (ჩ. წ. პირველი ათასწლეულის ბოლო საუკუნეები); გ. ქართველური ენების მიერ გარესამყაროდან შეთვისებულ ანთროპონიმულ მასალაში საერთოდაც ძალზე მცირეა წილი –ო, –უ ხმოვნებზე დაბოლოებული სახელებისა (ჩვენი ვარაუდით, 4–5%). –უა დაბოლოებიან გვარსახელთა ფუძე ოდენ კოლხურია, გარდა ზემოთ დასახელებული რამდენიმე შემთხვევისა.

გაანალიზებული მასალა ადასტურებს, რომ –უა–ზე დაბოლოებულ კოლხურ (მეგრულ) გვარებში გვართა მაწარმოებელია –ა სუფიქსი. მაგრამ ცნობილია, რომ ფონეტიკურ ნიადაგზე ან მორფემათა საზღვარზე წარმოქმნილი ბგერათკომპლექსი შეიძლება მორფოლოგიურ (სიტყვაწარმოებით) ელემენტად გადაიქცეს. ამ პირობით (და ოდენ სინქრონიულ დონეზე) –უა ზოგ შემთხვევაში კიდევაც შეიძლება საგვარსახელო სუფიქსად ჩავთვალოთ (როგორც ფორმათა პარადიგმატული გასწორების ტენდენციის შედეგი).

–ა სუფიქსი

ქართულში აქტიურად გამოყენებული და მრავალფუნქციიანი სახელადი სუფიქსი –ა (როგორც ცნობილია, სვანურში იგი იშვიათია) საერთო ქართულ-ზანური წარმომავლობისა ჩანს (ბოლოკიდურ პოზიციაში არ განვითარდა შესატყვისობა ქართ. ა : მეგრ. ო). მისი თავდაპირველი ფუნქცია ძალზე ზოგადი უნდა ყოფილიყო (ნ. მარის, აკ. შანიძის, არნ. ჩიქობავას ვარაუდით, –ა აღნიშნავდა განსაზღვრულობას სხვა ენათა არტიკლის მსგავსად). ცხადია, რომ –ა სუფიქსმა ქართულშიც და ზანურშიც მრავალი (იდენტური თუ განსხვავებული) მნიშვნელობა განივითარა. კერძოდ, ქართულში (სახელებთან) მას სამი ძირითადი ფუნქცია აქვს: 1. გამოხატავს: ა. რისამე მქონებლობას (ცხვირ–ა "ცხვირიანი"); ბ. რაიმე თვისების მქონებლობას (შვინდ–ა "შინდის-ფერი"); 2. ასუბსტანტივებს ზედსართავ სახელებსა და პირველად საწყისებს (ლურჯ–ი → ლურჯ–ა "ლურჯი ფერის მქონე რაღაც", ტივტივ–ი → ტივტივ–ა "ის, რაც, ჩვეულებრივ, ტივტივებს", ქაქან–ი → ქაქან–ა "მოქაქანე, ვისაც ქაქანი უყვარს"); 3. აწარმოებს საზოგადო თუ საკუთარ სახელთა კნინობით-მოფერებით ფორმებს (დედოფალ–ი →დედოფალ–ა, ნოდარ → ნოდარა, ვანო → ვანო–ა → ვანუა...) და სხვ. (იხ. მორფ. ლექსიკონი, გვ. 13–16). შევნიშნავთ, რომ ქართლურ და გურულ დიალექტებში) –ა სუფიქსს ერთგვარად მსგავსება-წარმომავლობის გამოხატვის უნარიც შეუძენია: დედა–ილ–ა "დედის მსგავსი, დედისა", მამა–ილ–ა "მამის მსგავსი, მამისა" და ა.შ. ამგვარ ფორმებში წარმომავლობა-მსგავსებას უნდა გამოხატავდეს არა –ილ, არამედ –ა. შდრ. მამ–ილ–ო, რაც მხოლოდ მოფერებითი მიმართვაა (მიუხედავად –ილ სუფიქსისა).

აღნიშნული –ა კიდევ უფრო გააქტიურდა მეგრულში: 1. საკუთარ სახელთაგან აწარმოებს მოფერებით-კნინობით ფორმებს: გერგე – გერგა (შდრ. გვარი გერგაია), დავით → დავითა (შდრ.

გვარი დავითაია), თედორე → თედორა (შდრ. გვარი თედორაია). პერტე → პერტა (შდრ. გვარი პერტაია) და სხვ. 2. საზოგადო სახელთაგან აწარმოებს პირსახელებს, რომელნიც იმავდროულად მსგავსებასაც გამოხატავდენ: გვაჯი (მოფერებითი მიმართვის ფორმა) → გვაჯა (შდრ. გვარები: გვაჯაია, გვაჯავა), კოჩი "კაცი" → კოჩა (პირსახელი), მაისი (თვის სახელი) → მაისა (მაისში დაბადებული კაცის თუ საქონლის სახელი. შდრ. გვარი მაისაია), ქაცარი "თიკანი" → ქაცარა (შდრ. გვარი ქაცარავა), ჩიტი → ჩიტა (შდრ. გვარი ჩიტაია), ხოჯი "ხარი" → ხოჯა (შდრ. გვარი ხოჯავა), ჯგუნჯგი "მსხვილი მესერი, პალო" → ჯგუნჯგა (შდრ. გვარი ჯგუნჯგავა) და სხვ. 3. ახლავს რთულ სუფიქსებს. ამ შემთხვევაში იგი აწარმოებს: ა.ზედსართავთაგან – თვისების გამომხატველ არსებით სახელებს, რომლებიც ამავე დროს საკუთარ სახელთა კლასში გადადიან: ჭითა "წითელი" → ჭით-ან-ა (შდრ. გვარი ჭითანავა), ქულა "კოჭლი" → ქულ-ან-ა (შდრ. გვარი ქულანავა) და სხვ. ამგარი წარმოება ქართულშიც დასტურდება: ჭროლა – ჭროლანა, შავი – შავანა... ბ. პირსახელთაგან – წარმომავლობის, კერძოდ, მამიშვილობის სახელებს: ხუბუ → ხუბ-ულ-ა ან ხუბ-უნ-ა "ხუბუსი, ხუბუს შთამომავალი" (შდრ. გვარები: ხუბუნავა, ხუბულავა), ხუფუ → ხუფ-უნ-ა (შდრ. გვარი ხუფუნაია) და სხვ. -ა სუფიქსის წინ განსაკუთრებით ხშირია ნ, ლ სონანტიანი კნინობით-მოფერებითი სუფიქსები: -ალ, -ელ, -ილ, -ოლ, -ულ; -ან, -ენ, -ინ, -ონ, -უნ. ქვემოთ წარმოვადგენთ შესაბამის მასალას:

-ალ-ა: აბრა →აბრალა (შდრ. აბრალავა), ფირცხე → ფირცხალა (შდრ. ფირცხალავა) და სხვ.

-ელ-ა: ჯიჯი → ჯიჯელა (შდრ. ჯიჯელავა), აფაქი → აფაქელა (შდრ. აფაქელავა), ანთი → ანთელა (შდრ. ანთელავა, ანთია) და სხვ.

-ილ-ა: ხუბუ → ხუბილა (შდრ. ხუბილავა), გოგი → გოგილა (შდრ. გოგილავა), გვაჯა → გვაჯილა (შდრ. გვაჯილავა), ბაჩა → ბაჩილა (შდრ. ბაჩილავა) და სხვ.

-ოლ-ა: გოჩა → გოჩოლა (შდრ. გოჩოლავა), ხოჭო → ხოჭოლა (შდრ. ხოჭოლავა), ჯინჯი → ჯინჯოლა (შდრ. ჯინჯოლავა) და სხვ.

-ულ-ა: ბერი → ბერულა (შდრ. ბერულავა), კუკუ → კუკულა (შდრ. კუკულავა), გორდი → გორდულა (შდრ. გორდულავა) და სხვ.

-ან-ა: ჩაგუ → ჩაგანა (შდრ. ჩაგანავა), ჩიქვი → ჩიქვანა (შდრ. ჩიქვანავა) და სხვ.

-ენ-ა: ჯვებე → ჯვებენა (შდრ. ჯვებენავა), გეგე → გეგენა (შდრ. გეგენავა), პერტე → პერტენა (შდრ. პერტენავა, პერტია) და სხვ.

-ინ-ა: ჩაგუ → ჩაგინა (შდრ. ჩაგინავა), გოგი → გოგინა (შდრ. გოგინავა) , ჭიჭი → ჭიჭინა (შდრ. ჭიჭინავა) და სხვ.

-ონ-ა: წოწო → წოწონა (შდრ. წოწონავა).

-უნ-ა: გუგუ → გუგუნა (შდრ. გუგუნავა), ჩაგუ → ჩაგუნა (შდრ. ჩაგუნავა), ჯაგა → ჯაგუნა (შდრ. ჯაგუნავა) და სხვ.

მოგვიანებით, როცა საზოგადოებრივ-ეკონომიკურმა განვითარებამ მოითხოვა გვარსახელის კატეგორიის ჩამოყალიბება-დამკვიდრება, მსგავსება-წარმომავლობის გამომხატველმა -ა სუფიქსმა იკისრა შთამომავლობის აღნიშვნაც და იქცა საგვარსახელო სუფიქსად. ამ ფუნქციით იგი დაერთო თვით იმ სახელებსაც, რომელთაც უკვე ჰქონდათ დართული წარმომავლობა-შთამომავლობის, მსგავსებისა თუ კნინობითობა-მოფერებითობის გამომხატველი მარტივი (ოდენ -ა) ან რთული (-ალ-ა, ელ-ა, -ილ-ა და ა.შ.) სუფიქსი. ამის შედეგად აუსლაუტში აღმოჩნდა ორი ა: გოგილა-ა, პერტენა-ა, გუგუნა-ა, კვესელა-ა, ჯინჯოლა-ა, ჯვებენა-ა და ა.შ. სწორედ ამ ინტერვოკალურ პოზიციაში მოხდა ვ-ს ჩართვა.

დადგენილია, რომ ქართულში "ყველა რიგის (A, B, C) ხმოვანთა კომპლექსი ისწრაფვის ერთხმოვნობისაკენ" (ძიძიგური, 1946, გვ. 33), ანუ "აკრძალულია უშუალო თანამიმდევრობაში ორი ხმოვანი ერთი მორფემის ფარგლებში" (ქობალავა, 1967). რადგანაც ქართულში ფონემატური სტრუქტურით იკრძალება ხმოვნის მეზობლობა ხმოვანთან, "მორფემულ საზღვარზე ხმოვანთა კომპლექსის ცვლილება უნდა წარიმართოს ამ კომპლექსის დაშლისაკენ" (უთურგაიძე, 1976, გვ. 32). გამოვლენილია ორი ხმოვნის უშუალო მეზობლობის მოშლისა და მათი ერთ ხმოვანზე დაყვანის სამი გზა: ასიმილაცია (აუ → ოუ → უუ → უ̄ →უ). დიფთონგიზაცია (უა → უ̆ა → ვა → ა) და შერწყმა (აა → ა̄ → ა). "კომპლექსის განვითარების დასრულებულ სახეს მიაღწია ზანურმა (ე.ი. უკვე მივიღეთ ერთი ხმოვანი), ხოლო ქართული კილოები ამ პროცესის

სხვადასხვა საფეხურზე დგანან“ (ძიძიგური, 1946, გვ. 33). ზანურის ანალოგიური ვითარება აღმოჩნდა სვანურშიც (თოფურია, 1967, გვ. 52; ქალდანი, 1953). ხოლო ქართულის კილოებში გამოვლენილი ვითარება დამახასიათებელი აღმოჩნდა საერთო-ქართველურისთვისაც, სადაც ორ ხმოვანს არ შეუძლია უშუალო მეზობლობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი სხვადასხვა მორფემას ეკუთვნიან (მაჭავარიანი, 1966, გვ. 4).

ქართულში ჩვეულებრივია სიტყვის შიგნით ან სიტყვის ბოლოკიდურში მორფემათა საზღვარზე ორი ხმოვნის უშუალო მეზობლობის (ჰიატუსის) მოშლა. “პროკლიტიკა-ენკლიტიკის საფუძველზე ერთი მახვილის ქვეშ ერთიანდება ორი სიტყვა და იქმნება მორფემათა ზღვარის სიტუაცია, რასაც მოსდევს შესაბამისი ფონეტიკური ცვლილებები, რის შედეგადაც ორივე შემთხვევაში თავიდან აცილებულია ხმოვანთა უშუალო მეზობლობა“ (უთურგაიძე, 1976, გვ. 3). თ. უთურგაიძე საამისოდ ორ საშუალებას ასახელებს: ა. შერწყმა, რაც გვაძლევს ერთ მარტივ ხმოვანს (მამაუფალი → მამუფალი → მამფალი, კი არ → კარ) ან ერთ გრძელ ხმოვანს (წავიდა-ა? → წავიდā ? ); ვ თანხმოვნის ჩართვა: ქვა → აქაებს → აქვა-ვ-ებს, უთო → აუთოებს → აუთო-ვ-ებს... როგორც ზ. ჭაფარიძეს აქვს აღნიშნული, ხმოვანთა გასაყარად ვ-ს ჩართვა-განვითარებას ხელს უწყობს მისი ნეიტრალურობა ენის მდგომარეობის მიმართ და ორალური ნაპრალოვნობა.

“ზოგადი ფონეტიკის საფუძვლებში“ გ. ახვლედიანი აღნიშნავს: “ზოგიერთი ენა ერიდება ჰიატუსს და თავიდან იცილებს მას სხვადასხვა გზით: კონტრაქციით (და კრაზისით) ან ლიეზონით“ (ახვლედიანი, 1999, გვ. 240). აქვეა განმარტებული, რომ კონტრაქცია (და კრაზისი) არის “ მეზობლობაში მყოფი ორი ხმოვნის შერთვა ერთ ხმოვნად (მაგ., დედაუფალი → დედოფალი), ხოლო ლიეზონი არის ჰიატუსის ასარიდებლად თანხმოვნის ჩართვა სიტყვის ბოლო ხმოვანსა და მომდევნო სიტყვის თავკიდურ ხმოვანს შუა“ (იქვე, გვ. 29). ლიეზონი დასტურდება მეგრულშიც ორი მორფემის საზღვარზე და გამოწვეულია სუფიქსის ფუნქციის შენარჩუნების აუცილებლობით. ასეთი სიტუაცია წარმოიქმნება, როცა ზმნის ბოლოკიდურ ა ხმოვანს მოსდევს სხვათა სიტყვის -ა (შდრ. ქართ. -ო). ი. ყიფშიძე აღნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევაში “ჰიატუსის ასაცილებლად ჩაერთვის ხმოვანთგასაყარი ვ“ (ყიფშიძე, 1994, გვ. 0143). დასახელებულია მაგალითები: მა-ვ-ა “მეო“, მუ ფქიმინა-ვ-ა “რა ვქნაო“. დავასახელებთ სხვა მაგალითებსაც ი. ყიფშიძის მიერვე ჩაწერილი ფოლკლორული მასალიდან: მუშო მოკოდუ თიში ჯუნა-ვ-ა “რად მინდოდა მისი კოცნაო“, სო დიმჯირა-ვ-ა “სად დავწვეო“, ბჭკუმა-ვ-ა დო ვარია “ვჭამო თუ არაო“, ნუმ გოშქურუ ჩქიმდა-ვ-ა „ნუ გეშინია ჩემიო“, ობიშხა რენია ამდღა-ვ-ა “პარასკევია დღესაო“ და სხვ. (ხმოვანთგასაყარი ვ იშვიათად ჩნდება ოა და ეა კომპლექსებშიც. ისევ ი. ყიფშიძეს დავესესხებით: მიდგაცუნუქუ ჩილო-ვ-ა “წაგყვები ცოლადაო“, დინახალე-ვ-ა “შიგნითაო“). აღსანიშნავია, რომ კოლხურის არეალში სიტყვის აო ბოლოკიდურში ვ ბგერის ჩართვა დაფიქსირებულია XIII საუკუნის ეპიგრაფიკულ ძეგლშიც: ილორის წმინდა გიორგის ხატზე წარწერა ასე იწყება: “წმინდაო გიორგი ილორისავო...“ (მიბჩუანი, 1999, გვ. 68).

ცხადია, ასეთივე ლიეზონი ჩანს ვ კოლხურ გვარსახელთა –ავა დაბოლოებაში. როგორც ქალბატონი იზაბელა ქობალავა აღნიშნავს ერთ მეტად საინტერესო ხელნაწერ ნაშრომში, ჩანართი ვ საჭიროა გვარსახელთა მაწარმოებელი -ა სუფიქსის ფუნქციის შესანარჩუნებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში აუსლაუტის ორი ა შეერწყმოდა ერთმანეთს და სუფიქსის დანიშნულება დაიბინდებოდა. საერთოდაც, მეგრული სიტყვის ბოლოში ორი ა არ დასტურდება. ჰიატუსის თავიდან ასაცილებლად გვარსახელებში, როგორც ჩანს, ყ თანხმოვანიც გამოიყენებოდა. აბაშის რ-ნის სოფ. გუგუნაყათში მოსახლეობენ გუგუნავები. სოფლის სახელწოდების ადგ. ვარიანტი გუგუნაყათი გვავარაუდებინებს, რომ გუგუნავას გვერდით არსებობდა გუგუნაყა ფორმაც.

მკვლევრები, რომელთაც გვარსახელთა წარმომავლობის საკითხი განუხილავთ, ერთხმად აღნიშნავენ, რომ მეგრული გვარსახელების მაწარმოებელი –ა (დამოუკიდებელი თუ –ია, -ვა, -უა რთული სუფიქსების ერთ-ერთი ელემენტი) მომდინარეობს სვანური –ან-ისაგან (რომელთანაც სხვადასხვა ფუნქციას აკავშირებენ). უფრო მეტიც: საქმე ისეა წარმოდგენილი, რომ –ია, -ვა, -უა მეგრულშივე კი არ წარმოქმნიდა გვარსახელებს, არამედ –იან, -ვან, -უან სუფიქსებიანი სვანური გვარების მიგრაცია ხდებოდა კოლხეთის ბარში, სადაც იქმნებოდა მათი –ია, -ვა, -უა დაბოლოებიანი ვარიანტები. ს. ჯანაშია სვანურსა და ქართულის დიალექტებში დადასტურებულ -ან სუფიქსს უწოდებს “საერთოქართველურს“, რომელმაც მეგრულში მოგვცა –ა. მართალია, ბოლოკიდური ნ მეგრულში იკარგება (რენ → რე), მაგრამ სვანურიდან შემოსული –ან

დაბოლოებიანი გვარსახელი მაშინათვე დაირთავდა სახ. ბრუნვის ნიშანს და ნ თანხმოვანს დაკარგვის საფუძველი არ ექნებოდა. მაშ როგორ ავხსნათ, რომ ზოგ შემთხვევაში -იან-ზე დაბოლოებულ სვანურ გვარს სამეგრელოში მიგრაციის შემდეგ გაუჩნდა -ია დაბოლოება. ეს უნდა მომხდარიყო პარადიგმატური შენაცვლებით მას შემდეგ, რაც მეგრულში უკვე დამკვიდრებული იყო -ია სუფიქსით გვარის წარმოება (შდრ. ქართ. მხეციძე – მეგრ. ხეცია... ).

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, გვარსახელთა მაწარმოებელი –ა ქართულ-ზანური ერთობისდროინდელი ზოგადი სახელადი სუფიქსი ჩანს (შდრ. აკ. შანიძე: ა ← აკ), რომელმაც ქართულშიც და ზანურშიც განივითარა ახალი მნიშვნელობანი, კერძოდ, ზანურში თავდაპირველად მსგავსება-ჩამომავლობის აღნიშვნის ფუნქცია შეიძინა, ხოლო შემდეგ, როცა ამის აუცილებლობა დადგა, კიდევ უფრო გააქტიურდა და საგანგებო საგვარსახელო სუფიქსად იქცა.

მაშასადამე, კოლხურ გვართა -ია, -ვა, -უა დაბოლოებანი სხვადასხვა წარმომავლობისაა. გვარსახელთა ფაქტიური და ისტორიული მაწარმოებელია –ა, მაგრამ სინქრონიულ ჭრილში სამივე დასახელებული ბგერათკომპლექსი შეიძლება საგვარსახელო სუფიქსებად ჩავთვალოთ.

სუფიქსი –(ი)ში

კოლხური ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი –იში//-ში, რომელიც გამოხატავს კუთვნილება-დანიშნულებას (ისევე, როგორც მისი .ქართული შესატყვისი –ის), სიტყვაწარმოებითი სუფიქსის ფუნქციით აღჭურვილა დიდი ხნის წინათვე. ამას ადასტურებს ტოპონიმიაც (იხ. ცხადაია, 1985, გვ. 95–102) და ანთროპონიმიაც: -ში დაერთვის ეპონიმის სახელს და აღნიშნავს ამ ეპონიმისადმი მიკუთვნებულობას, მისგან მომდინარეობას. მაშასადამე, ტუღუში ნიშნავს "ტუღუს შთამომავალს" (სიტყვასიტყვით: ტუღუსი), ხალვაში - "ხალვას შთამომავალს" (ე.ი. "ხალვასი". ხალვა კოლხეთში დადასტურებული პირსახელია. იხ. ქსს, 1986) და სხვ.

შუა საუკუნეების საისტორიო წყაროებში შემონახულია ფეოდალური საგვარეულოების სახელები, რომლებშიც სწორედ ეს –ში ჩანს. ზემოთ დასახელებულია ორი მათგანი: ბაღუაში და მარუშისძე (იგივე მარუშიანი. შდრ. მარუაშვილი – 286 სული, ძირითადად იმერეთში). დავასახელებთ კიდევ ორ ცნობილ საგვარეულოს, რომლებიც აგრეთვე დასავლეთ საქართველოს არეალთანაა დაკავშირებული. ესენია შარვაშიძე (//შერვაშიძე) და აბაშიძე..

შარვაშიძეები (შერვაშიძეები) იყო მთავართა საგვარეულო აფხაზეთში. საკუთრივ აფხაზთა შორის ეს საგვარეულო ცნობილია როგორც ჩაჩბა. ქართულ წყაროებში (თამარ მეფის ისტორიკოსის მიერ) შარვაშიძეები პირველად XIII ს-ში არიან მოხსენიებულნი. ესენია: ოთაღო შარვაშისძე – ცხუმის ერისთავი და დარდინ შარვაშიძე – მონღოლთა წინააღმდეგ მებრძოლი მხედართმთავარი. საისტორიო თქმულება გვარ შარვაშიძის წარმომავლობას უკავშირებს თამარ მეფის დროს ტყვედ წამოყვანილ და აფხაზეთში გაზრდილ შირვანშაჰს, მაგრამ უფრო ისაა სავარაუდებელი, შარვაში იყოს -ში სუფიქსით წარმოქმნილ კოლხური მამიშვილობის სახელი. შარვა შარვანის შემოკლებული ვარიანტია. პირსახელი შარუ გვხვდება კოლხეთში, ხოლო შარუა დამოწმებულია XVIII ს. წყაროებში. შერმადინის შემოკლებულ ფორმა შერმა-საც შეეძლო მოეცა შერვა. ასე რომ, შერვაში (შარვაში) ეპონიმური სახელია და აღნიშნავს შერვას (შარვას) შთამომავალს (შდრ. მეგრული ვარიანტი შარაშია, რომელსაც ასახელებს არქ. ლამბერტიც). ამ ფორმას -ძე დართვია მოგვიანებით, აფხაზეთის სამეფოს შექმნისა და შავიზღვისპირა რეგიონების ქართლთან პოლიტიკური გაერთიანების შემდეგ.

აბაში ძველ ძართულში აბისინიელს აღნიშნავდა და საისტორიო წყაროებში პირსახელადაც არაერთგზის გვხვდება. ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს, რომ ალექსანდრე მეფემ (1412–1442 წწ.) "გაჰყარნა სამნი ძმანი – აბაში, გუგუნა და დავით. აბაშისაგან აბაშიშვილნი, გუგუნასაგან ბარათიანნი და დავითისაგან ყაფლანიშვილნი არიან" (ქართლის ცხოვრება, IV, 1973, გვ. 33). აბაშიშვილები ქართლის წარჩინებულნი იყვნენ.

აბაშიძეებიც ცნობილი ფეოდალური საგვარეულოა. ისინი ფლობდნენ მამულებს ქართლშიც და კახეთშიც, მაგრამ განსაკუთრებით დაწინაურდნენ იმერეთის სამეფოში. XV–XVI სს. მიჯნაზე ზემო იმერეთში ჩამოყალიბდა აბაშიძეთა სათავადო (ქეგლ, I). აბაშ აბაშიძე დამოწმებულია 1448 წელს ალექსანდრე მეფის მიერ გაცემულ წყალობის წიგნში (პალ, I, 48). ი. მაისურაძის აზრით, გვარ აბაშიძეს "საფუძვლად უდევს სახელი ა ბ ა შ... ამავე ძირისაა აბაშია, აბაშიშვილი" (მაისურაძე, 1990, გვ. 15). მიუხედავად პირსახელ აბაშის რეალურად არსებობისა და გავრცელებულობისა, მაინც საფიქრებელია, რომ გვარი აბაშიძე წარმოქმნილია დასავლეთ

საქართველოში და ამოსავალია კოლხურსუფიქსიანი სახელი აბაში, რაც ნიშნავს აბას შვილს, აბას მოდგმას. პირსახელი ა ბ ა გვხვდება ხევსურეთშიც და სვანეთშიც. ამასთანავე, აბაი დასახელებულია უძველეს ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლში – პალესტინის მონასტრის მოზაიკურ წარწერაში, რაც VI საუკუნეშია შესრულებული (შდრ. გვარები აბაიძე, აბაიშვილი). მაშასადამე, აბაშიძე ორმაგი სუფიქსაციით წარმოქმნილი გვარსახელია (შდრ. მარუშისძე, შერვაშიძე).

-ში სუფიქსით გვარსახელის წარმოება დამახასიათებელია ლაზებისა და ლაზურისათვის და სუბსტრატის სახით არის შემორჩენილი აჭარასა და გურიაში. კერძოდ, გურიაში მოსახლეობენ ტუღუშები, ჯაშები... აჭარაში კი – ხალვაშები, მემიშიშები, ვანილიშები, ჯევაიშები და სხვ. ზოგი მათგანი ძალზე მრავალრიცხოვანია (ტუღუში – 2677 სული, ხალვაში – 2235 სული, ჯაში – 1007 სული), რაც ამ გვარების შორეული დროიდან მომდინარეობის ნიშანია. საქართველოში –ში დაბოლოებიან გვარსახელებს ატარებს მხოლოდ 7263 პირი (X ადგილი), მათგან აჭარაში – 3250 (V ადგილი), გურიაში – 1665 (VII ადგილი), იმერეთში – 402 და სამეგრელოში – მხოლოდ 358 სული. აუცილებელია, აღინიშნოს, რომ სამეგრელოში დადასტურებული ორიოდე -ში დაბოლოებიანი გვარი (ძირითადად, ზღვისპირა სოფლებსა და ქალაქებში) მიგრირებულია (და არა ადგილობრივი), როგორც, მაგალითად, ორსანტიაში მოსახლე მოხვაშთა 8 კომლი. კიდევ ერთ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი: -ში დაბოლოებიან ეპონიმურ სახელს დართვია -ძე (იმერეთში, იშვიათად - გურიასა და აჭარაშიც) ან –ა (სამეგრელოში): გეგეშიძე, გურეშიძე, დათეშიძე, კვატაშიძე, ღამბაშიძე, ყიფშიძე (ყველა იმერეთში), ნაკაშიძე (გურია-აჭარაში), მორგოშია, ჯანაშია, ნაკაშია, ჯაშია (სამეგრელოში). ამათგან ჯანაშია (3559 სული) და მორგოშია (1529 სული) სამეგრელოს მკვიდრი გვარებია, ხოლო ნაკაშია ნაკაშიძის, ჯაშია კი - ჯაშის ვარიანტები ჩანან.

ნახევარი საუკუნის წინათ, როცა აჭარის სოფელ სარფის მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს გვარისათვის ქართული იერის დაბრუნება, უმეტესობამ აირჩია -(ი)ში დაბოლოება (მემიშ-ოღლი → მემიშიში, ჯევარ-ოღლი → ჯევაიში, კარახასან-ოღლი → კახაილიში, ბექირ-ოღლი → ბექირიში), სხვებმა კი -ძე, -შვილ, -ია, -ვა დაბოლოებებზე გააკეთეს არჩევანი.

სუფიქსოიდები –სქირი (სკირი), -სქუა (სკუა)

სუფიქსოიდი (მორფემოიდი) არის ცოცხალი ლექსიკური ერთეული, რომელიც გარკვეულ სიტუაციაში (კონტექსტში, მოდელში) ითავსებს სუფიქსის ფუნქციას. გვარსახელთა დიდი ნაწილი გამოხატავს მიკუთვნებას ეპონიმისადმი, ერთი წინაპრისაგან მომდინარეობას. საამისოდ ქართველური ენები, სუფიქსების გარდა, გამოიყენებენ სუფიქსოიდებსაც, კერძოდ, "შვილ" ცნების შემცველ სიტყვებს. კონკრეტულად ასეთი საერთო სურათი იხატება: საკუთრივ ქართულ ენაში დომინირებს "ძე" და "შვილ" სუფიქსოიდების შემცველი გვარები. სვანურში ქართული შვილ- ფუძის კანონზომიერი შესატყვისი სგეი გვარსახელებთან არ დასტურდება (რადგანაც მოეპოვება –ან, -იან სუფიქსები), ხოლო კოლხური -სქირი "შვილი" (მით უმეტეს სქუა "შვილი") არაა პროდუქტიული (გვხვდება მხოლოდ რამდენიმე გვართან).

სქირი (და სკირი) მეგრულში დაერთვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას (ბრუნვის ნიშანი დაკარგულია). ი. ყიფშიძე "მეგრულ-რუსულ ლექსიკონში" ასახელებს სქილი, სქირი ფორმებს და აღნიშნავს, რომ ისინი მხოლოდ რთულ სიტყვებში გამოიყენება. აქვეა დასახელებული (ბროსეზე მითითებით) ვარიანტი სკირი და გვარი ჩაგალოსკირი (ყიფშიძე, 1994, გვ. 323). გ. ელიავას ლექსიკონში დადასტურებულია სქირი, სქილი, სქიი ვარიანტები, ხოლო დ. ფიფიას სალექსიკონო მასალებში - სქი "ძე" და სქუა "შვილი" (ფიფია, 1999).

-სქირი და –სკირი დაბოლოებების მქონე გვარსახელს საქართველოში ატარებს 2375 სული (XI ადგილი), მათგან სამეგრელოში მოსახლეობს 1500 (VII ადგილი), თბილისში – 541, იმერეთში – 145, აჭარაში – 50 და სხვ. წარმოვადგენთ საილუსტრაციო მასალას: ასკილეისკირი – 28 სული, ბულეისქირი – 4 კომლი ქ. ზუგდიდში, კვეკესქირი – 20 სული, კვეკვესკირი – 852 სული, კვეკვესქირი – 115 სული (კვეკვე//კვერკვე//კვირკვეს კვირიკეს ვარიანტებია. კვეკე კიდევ უფრო გამარტივებული ფორმაა), პაპასკირი (←პაპაშ სკირი "მღვდლის შვილი". შდრ. პაპაძე, პაპაშვილი) – 530 სული, პაპასქირი – 159 სული (ზუგდიდის რ-ნში მოსახლეობენ პაპასკირებიც და პაპასქირებიც), წულეისკირი – 645 სული (ამოსავალია პირსახელი წულა. შდრ. წულაია, წულაძე). XVII ს. დამლევის საეკლესიო საბუთში დასტურდება წულეისკირი, ხოლო XVIII ს. დამდეგის საბუთში – წულაისქირი (იხ. წულეისკირი ლექსიკონში). თავდაპირველი ფორმა სწორედ ეს უკანასკნელია: წულა-იშ-სქირი →წულა-ი-სქირი →წულეისქირი →წულეისკირი.

საწულეისკირიო, რაც სოფელია მდ. ცივის ნაპირზე, სენაკის რ-ნში, დაფიქსირებულია მე-17 ს. საბუთში. საერთოდ, ამ პერიოდში უფრო ფართოდ ყოფილა გავრცელებული -სქირი, -სკირი სუფიქსოიდები. 1549 წლის საბუთში დასახელებულია ქორესუბანს მცხოვრები მეზუთხე იიემნა ბუბასკირი (პალ, I, 562). 1621 წ. შედგენილ "აფხაზეთის საკათალიკოსო გამოსავლის დავთარში" თილითს მცხოვრებ გლეხთა შორის დასახელებულნი არიან მიხილია სთეფანასკირი, შურითოლი სთეფანესკირი, კუტულია სთეფანესკირი, ბაბასკური ქვანესკირია, ქალარა ქვანესკირია (ქსძ, III, 429). უკანასკნელ შემთხვევაში "ქვანესკირი" ფორმას საგვარსახელო ფუნქციის უფრო მეტად წარმოჩენის მიზნით დართული აქვს სუფიქსი -ა (შდრ. გიგიბერი →გიგიბერია, გეგეში →გეგეშიძე). დავასახელებთ -სკირი დაბოლოებიან კიდევ რამდენიმე გვარს, რომელთაც შემდგომში განმეორებით დაირთეს საგვარსახელო სუფიქსი -ა: ბულესკერია, ბულესკირია, ბულისკერია, ბულისკირია, ბულისქირია, გაბისქირია, გაბისკირია, გაბესკირია, გულისკერია და სხვ. საერთოდ, -სქირი, -სკირი სუფიქსოიდიანი გვარები უფრო სამურზაყანოშია გავრცელებული.

გვარსახელებში ამჟამად იშვიათია სქუა (სკუა) "შვილი" დაბოლოება. შეგვიძლია დავასახელოთ ერთადერთი ფუძე, სადაც ორივე ეს ვარიანტი გვხვდება. ესაა პაპასქუა ("მღვდლის შვილი") – 200 სული (ზუგდიდისა და წალენჯიხის რ-ნებში, ქ. თბილისში) და პაპასკუა – 141 სული (ზუგდიდის რ-ნში, თბილისში, ქუთაისში). ლექსიკონში გვაქვს დაფიქსირებული გვარსახელი გაგესკუა და შტოგვარსახელი ხარასკუა. ასი წლის წინათ -სკუა დაბოლოებიანი რამდენიმე გვარი მაინც ფუნქციონირებდა. 1904 წლის აღწერის მასალებში (მოგვაწოდა რ. თოფჩიშვილმა) დასახელებულია გვარები: ქორთუსკუა (ზუგდიდი, დარჩელი), ბერისკუა (ზუგდიდი, პ. კოკი, ობუჯი), ნარუსკუა (ზუგდიდი, ხორგა. ზუგდიდში პარალელურად დადასტურებულია ნარუშვილი ფორმაც), ბიძნასკუა (დ. კოკი). ამჟამად ყველა ამ გვარში -სკუა დაბოლოება შეცვლილია -შვილ სუფიქსოიდით. საერთოდ, ერთსა და იმავე დასახლებულ პუნქტში გვარის დაბოლოებათა მონაცვლეობა არაა იშვიათი. ზემოთ აღნიშნული საბუთის მიხედვით, შხეფში მოსახლეობს 10 კომლი კინწურავა და 13 კომლი კინწურაშვილი, ნალეფსაოში მკვიდრობენ სულაბერიებიც და სულაბერიძეებიც, ხუნწში დაფიქსირებულია ძიძიგურიც და ძიძიგურიაც.

სუფიქსოიდი -ბერე, ბერი

ბერე ჭანურში იმავე მნიშვნელობის სიტყვაა, რაც ქართულში ძე, შვილი და მეგრულში სქირი, სქუა. შდრ. "დიდი ჯუმას ანშ ბერე უყონუნ, მაჟურას ოთხ ბერე უყონუნ..." (ყიფშიძე, 1994, გვ. 645. აქვე, გვ. 661, განმარტებულია: ბერალა - ბავშვობა). -ბერი დაერთოდა ნათესაობითი ბრუნვის ფორმას. იგი მეორადი სუფიქსაციის გარეშე მხოლოდ ერთადერთ გვარშია შემონახული. ესაა კაკუბერი "კაკუს ძე" (122 სული მარტვილისა და სენაკის რ-ნებში, ქ. თბილისში). ყველა სხვა შემთხვევაში ბერე (ბერი) დაბოლოებიან ფორმას დართვია -ა სუფიქსი (სამეგრელოში) და -ძე (აჭარა-გურია-იმერეთში). უნდა აღინიშნოს, რომ მათში მრავალრიცხოვანი გვარი არცაა: გიგიბერია (←გიგიბერე-ა) – 601 სული, გოგიბერია (←გოგიბერე-ა) – 38 სული, კაკუბერია (←კაკუბერე-ა) –25 სული, კილაბერია (←კილაბერე-ა) – 127 სული (შდრ. კილავა, კილაძე), ქუჩუბერია (←ქუჩუბერე-ა) – 21 სული, ჩაკაბერია ( ←ჩაკაბერე-ა) – 507 სული (უნდა აღინიშნოს, რომ ამ გვარსახელთა ძირითადი სამკვიდრო არის ქვემო სამეგრელო, ზემო სამეგრელოში კი იშვიათია). ბევრად მეტია -ძე (იშვიათად შვილ-) დართული ვარიანტები: გოგიბერიძე, გიორგბერიძე, დოლაბერიძე, თუთბერიძე, კიკაბერიძე, ლოსაბერიძე, სულაბერიძე, ღოღობერიძე, გოგიბერიშვილი და სხვ. ბერ სიტყვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით არსებობს სხვა მოსაზრებანიც. ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით, ბერი ვაჟიშვილის აღმნიშვნელი საერთოქართველური სიტყვაა (ჯავახიშვილი, 1937, გვ. 186). ი. მაისურაძე გვარებთან დადასტურებულ ბერ კომპონენტს განიხილავს როგორც მამრობითი სქესის აღმნიშვნელ სიტყვას, რომელიც დაერთვის საკუთარ სახელს როგორც პოსტპოზიციური ატრიბუტული მსაზღვრელი (ამ თვალსაზრისით, გიორგიბერი არის არა გიორგის ვაჟი, არამედ გიორგი ვაჟი, გიორგი მამაკაცი).

XVII ს. ოდიშში მრავალრიცხოვანი ყოფილა გვარი გეგებერია: 1616-1621 წწ. შედგენილ "საცაიშლო გამოსავლის დავთარში" დასახელებულია ოცზე მეტი საეკლესიო გლეხი, გვარად გეგებერია. ისინი მოსახლეობენ ცაიშსა და მის ახლომახლო სოფლებში (იხ. ქსძ, III, 439-440, 442, 468-469...). ამავე საბუთშია დამოწმებული გვარი ქუდუბერია (იქვე, 448).

### სუფიქსი -(ი)ან

სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში გავრცელებული გვარსახელების ძირითადი ნაწილი საერთოქართველურ სუფიქსად მიჩნეულ –ან, –იან დაბოლოებებს დაირთავს (ჯ. ონიანის მტკიცებით, გვარს აწარმოებს –ან, ხოლო -ი ნათეს. ბრუნვის ნიშნის ნაშთია). აღნიშნული სუფიქსით დაბოლოებულ გვარსახელს ატარებს 129206 ქართველი (V ადგილი ქვეყნის მასშტაბით). პროდუქტიულობის (სულთა რაოდენობის) მიხედვით –იან პირველ ადგილზეა ორ რეგიონში – სვანეთში (16736 სული), ლეჩხუმში (8900 სული). სხვა რეგიონებში ასეთი სურათია: რაჭაში – 1802 სული (IV ადგილი), იმერეთში – 38 449 სული (IV ადგილი), გურიაში – 2689 სული (V ადგილი), აჭარაში – 2903 სული (VI ადგილი), სამეგრელოში – 10 218 სული (VI ადგილი), თბილისში – 28951 სული (V ადგილი). –იან დაბოლოებიანი გვარი იმერეთში ბევრად მეტია, ვინემ სვანეთში, რაჭასა და ლეჩხუმში ერთად აღებული. სამეგრელოს რეგიონში –(ი)ან სუფიქსს შეიცავს 80-მდე გვარი (რომლებიც ერთ სოფელში სამ კომლს მაინც შეადგენენ). მათში ორი ჯგუფი გამოიყოფა: ა) სვანეთიდან მიგრირებულნი; ბ) ადგილობრივ, ე.ი. მეგრულ გარემოცვაში, წარმოქმნილნი.

სამეგრელოში სვანთა მიგრაცია ხდება ძირითადად მესტიის რ-ნიდან. მცირემიწიანობას, უმუშევრობას, უგზოობას გამორიდებულნი ძირითადად ჯვარი-ზუგდიდის ავტომაგისტრალის მიმდებარე სოფლებში სახლდებოდნენ, სადაც მძლავრი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები იყო. მაგალითად, ჩხორიაში დამკვიდრდნენ : ვიბლიანები, გურჩიანები, გვიჩიანები, გუჯეჯიანები, გოლეთიანები, გერლიანები, თამლიანები, კვანჭიანები, კვიციანები, მილდიანები, პაკელიანები, ოთხვანები, სუბელიანები, ფირცხელანები, ქალდანები, შუკუანები, ჩხვიმიანები...

-იან სუფიქსიანი გვარსახელების მცირე ნაწილის სამშობლო და სამკვიდრო უნდა იყოს სამეგრელო. დავასახელებთ რამდენსამე მაგალითს: არზიანი – 619 სული (ძირითადად სენაკის რ-ნსა და ქ. ფოთში), გოროზიანი – 94 სული (ძირითადად სენაკის რ-ნსა და ქ. ფოთში. შდრ. გოროზია), კვიტატიანი – 534 სული (ძირითადად ზუგდიდისა და მარტვილის რ-ნებში. კომპაქტური დასახლებანი დაფიქსირდა ბანძაში, აბედათში, ვედიდკარში, შამგონაში, ინგირში, ოდიშში), კიკიანი – 98 სული (ძირითადად ზუგდიდისა და მარტვილის რ-ნებში. ამ გვარისგანაა წარმოქმნილი ოიკონიმი ნაკიანი, რომელიც XIX ს. საბუთებსა და რუკებზე აღნიშნულია როგორც ნაკიკიანი). მეგრულში საკუთარ სახელების სახელობითი ბრუნვის ნიშანი –ი ფუძისეულად აღიქმება, მაშასადამე, ამ გვარებში საწარმოებელ ელემენტად უნდა გამოვყოთ –ან (და არა –იან).

გამოთქმულია ვარაუდი, რომ "–ან(ი) ოდესღაც ძესა და შვილს ნიშნავდა და ამიტომ იქცა იგი გვარის დაბოლოებად, როგორც წარმომავლობის აღმნიშვნელი. ეს სუფიქსი საერთო-ქართველურია და მას პარალელი მოეპოვება აღმოსავლეთ საქართველოში ცნობილ შტო-გვარის სახელებში" (ონიანი, 1979, გვ. 85). -ან მართლაც ფართოდ არის გავრცელებული აღმ. საქართველოში. კახეთში იგი აწარმოებს ოფიციალური გვარსახელის ადგილობრივ (არაოფიციალურ) ვარიანტს კრებითობის შინაარსით (ნადირაშვილი – ნადირაანი, მჭედლიშვილი – მჭედლიანი...) და გვარის განაყოფთა (შტოგვარების) სახელებს (მაგალითად, სიღნაღის რ-ნის სოფ. მაღაროში ყანდაშვილების შტოგვარებია: დიანაანი, ეტროლეანი, უთულიანი, ფოთოლაანი, ხატოანი, ფილაანი, წიკაანი, იდრიციანი, ჩაჩოანი, აშტროანი, ნაკუდაანი, კოწოწაანი, სწორეანი, იუველიანი... იხ. მჭედლიშვილი, 1998). ამ ფონზე, ბუნებრივია, დაისმის კითხვა: სამეგრელოში –ან სუფიქსით გვარსახელების წარმოება ბოლო საუკუნეებში სვანურის (სვანეთიდან მიგრაციების) გავლენის შედეგია თუ ეგრისის მთისწინეთში სვანთა და მეგრელთა ოდინდელი თანაცხოვრების (თითქმის I ათასწლეულის დამლევამდე) გამოძახილი? რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია სვანთა გამეგრელების ტრადიციის შედეგებიც. გ. გასვიანი წერს: "შუა საუკუნეების აფხაზეთში შეინიშნება აგრეთვე სვანების თანდათან გამეგრელებაც, რომლის მაჩვენებელია, მაგალითად, გვარეულობათა: მარღიანის (მარღან-) გადაქცევა მარღანიად, მარუშიანისა – მარშანიად, ჩხეტიანისა – ჩხეტიად, კვიციანისა – კვიცინიად... და ა.შ." (გასვიანი, 1998, გვ. 143).

### ინფიქსი -ხ

სუფიქსი -ხ მრავლობითი რიცხვისა და ტომის სახელწოდებათა ძველისძველ მაწარმოებლად ითვლება (კოლხი, ტაოხი, მესხი, ჯავახი). გ. როგავა მას გამოყოფს რამდენიმე გვარში, სადაც მას უკავია ადგილი ფუძესა და საგვარსახელო სუფიქსს შუა (ამიტომაც შეიძლება ვუწოდოთ მას ინფიქსი) და ასახელებს ორმაგი და სამმაგი სუფიქსაციით წარმოქმნილ გვარსახელებს: კ ო ბ ა ხ ი ძ ე ←კობა-ხ-ის-ძე (მეგრ. კობა-ხ-ია ← კობა-ხ-იან). კ ო რ ძ ა ხ ი ა ←კორძა-ხ-იან; ს უ ლ უ ხ ი

ა (//→ სხულუხია) ←სულუ-ხ-იან (ამოსავალია სულა. უ ნაშთია –უა სუფიქსისა. მაშასადამე, აქ სამმაგი სუფიქსაცია გვაქვს); პ ე რ ტ ა ხ ი ა← პერტა-ხ-იან; გ ო გ ო ხ ი ა ← გოგო-ხ-იან; კ უ ჰ უ ხ ი ძ ე ← კუჰუ-ხ-ის-ძე; ჯ ი ჯ ი ხ ი ა ← ჯიჯი-ხ-იან; აგრეთვე: ბობოხიძე, კვინიხიძე, კაჰახიძე, ჩომახია, ქვაჩახია. "ამგვარად, როგორც ჩანს, ქართველი ტომების გვარსახელთა შედგენილობაში ერთ დროს ხ სუფიქსიც ყოფილა გავრცელებული. ეს სუფიქსი ძველისძველი ჩანს... ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ხ სუფიქსი დართული აქვს ბერძნულიდან შეთვისებულ ადამიანის სახელსაც – პ ე რ ტ ა ხ ი ა, რაც იმის მაუწყებელია, რომ ეს სუფიქსი მოქმედი ყოფილა მაშინაც, როცა დაიწყო ბერძენი და ქართველი ტომების შეხვედრა" (როგავა, 1955, გვ. 8). ზ. ჭუმბურიძემ გაიზიარა გ. როგავას თვალსაზრისი ხ სუფიქსთან დაკავშირებით და მაგალითების ჩამონათვალს დაამატა გვარი ლაბახუა (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 299).

სუფიქსოიდები -ძე, -შვილ

სამეგრელოში -ძე დაბოლოება უჩანს 300-ზე მეტ გვარსახელს, ხოლო –შვილ დაბოლოება – 130-მდე გვარსახელს (იგულისხმება გვარსახელები, რომლებიც ერთ სოფელში სამ-სამი კომლით მაინც არიან წარმოდგენილნი). სულთა რაოდენობის თვალსაზრისით კი ასეთი სურათია: -ძე დაბოლოებიან გვარსახელს ატარებს 46718 სული (III ადგილი რეგიონში), ხოლო -შვილ დაბოლოებიანს – 26329 სული (V ადგილი რეგიონში). ამ გვარსახელთა უმეტესობა მიგრირებულია ძირითადად დას. საქართველოს სხვადასხვა დიალექტურ-ეთნოგრაფიული რეგიონებიდან (იმერეთი, გურია, აჭარა, რაჭა), სადაც მათი ძირითადი სამკვიდროა. მაგრამ, ამასთანავე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ორი გარემოება: 1. როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში საქართველოს ყველა კუთხეში იწყება გვარსახელთა "ქართიზაცია", ე.ი. გადასვლა -ძე და –შვილ დაბოლოებებზე. ამ პროცესმა სამეგრელოში, უპირველეს ყოვლისა, მოიცვა თავად-აზნაურთა გვარსახელები. ა ფ ა ქ ი ძ ე ე ბ ი მოხსენიებული არიან იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში, რომელიც შედგენილია XI-XIII საუკუნეებში, ხოლო ა ფ ა ქ ი ა ნ ე ბ ი – სვანეთის სულთა მატიანეებში (XIII ს.) არიან დასახელებულნი (ინგოროყვა, 1941, გვ. 121, 128...). თავდაპირველი ფორმა უნდა იყოს მეგრული ა ფ ა ქ ი ა (როგორც სამეგრელოში იყო და არის ცნობილი). დ გ ე ბ უ ა ძ ე აზნაურთა გვარი იყო. გვარსახელის ეს ფორმა დამოწმებულია XVII ს. საისტორიო საბუთში (პალ, II, 58). მაგრამ თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო "დგებია", რაც ადგილობრივ ვარიანტად დღემდე შემორჩა. დგებია-დგებუაძეების სამკვიდრო ორ სოფელს ეწოდება ლედგებიე: ერთი მარტვილის რაიონშია, მეორე – ზუგდიდისაში (დღევანდელი ოდიში). ა ნ ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ც აზნაურთა ცნობილი საგვარეულოა. ადგილობრივ ანჯაფარიას იტყვიან. ისინი მოსახლეობდნენ კიწიაში (მარტვილის რ.), სადაც მათს ყოფილ საცხოვრისს ლეანჯაფარიე //საანჯაფარიო , ხოლო მათ მიერ აშენებულ ეკლესიას ანჯაფარიაშ ოხვამე (ჭითა ოხვამე "წითელი ეკლესია") ეწოდება. მაგრამ აზნაური ანჯაფარიები მხოლოდ ანჯაფარიძეებად იწერებოდნენ.

ცხადია, გვარსახელებში -ძე და –შვილ დაბოლოებებს ერთგვარი სოციალურ-ფსიქოლოგიური დატვირთვაც ჰქონდა. ლეჩხუმელი (კერძოდ, ოყურეშელი) ყურაშვილების შთამომავლები ამჟამად ჯოლევში მოსახლეობენ. მათს უბანს ეწოდება ეყურუე//ეყურასქუე. ინფორმატორი განმარტავს: "გლეხები იწერებოდნენ ყურუად, ხოლო სამღვდელონი – ყურაშვილად. ახლა ყველანი ყურაშვილობას ამჯობინებენ". საგულისხმოა გვარ დიდიასთან დაკავშირებული ვითარება: ამჟამად საქართველოში 214 სული დიდია ცხოვრობს, ოღონდ ძირითადად სამტრედიის რაიონსა და ბათუმში. სამეგრელოში კი ამ გვარის მხოლოდ ერთი კომლი დაფიქსირდა (სოფ. ბულშვანში). და ეს მაშინ, როცა შუა საუკუნეებში დიდია მეგრელთა შორის ერთ-ერთი საკმაოდ გავრცელებული გვარსახელი ჩანს: XVI-XVII სს. საეკლესიო საბუთში დაფიქსირებულია სამურზაყანოს სოფლებში – ნაქანეულსა (დღევანდელი ოტობაია) და ხოირში (დღევანდელი ოხურეი) მცხოვრები რამდენიმე კომლი დიდია. ხოლო მოიდანახეში (ჩხოროწყუს რ.) ბორცვს, სადაც დიდიებს უცხოვრიათ, ეწოდება ნაიდუ (← ნადიდუ). სამეგრელოში ამ გვარის დაბოლოება შეიცვალა: ამჟამად ზუგდიდის რაიონის სოფლებში დიდიშვილების რამდენიმე ათეული კომლი მოსახლეობს. სოფ. ურთაში მათს უბანს ეწოდება სადიდიშვილო.

2. -ძე და –შვილ მორფემოიდებზე დაბოლოებული გვარსახელები უშუალოდ (მეორადი სუფიქსაციის გარეშე) არიან წარმოქმნილნი მეგრულ გარემოცვაში. ერთ-ერთი ასეთი გვარია გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, რომლის ძირითადი სამკვიდროა აბაშის რ-ნის სოფლები – სუჯუნა, ძველი აბაშა, აბაშა, ნაესაკაო, კეთილარი... საგვარეულო გადმოცემა ასეთია: "სამურზაყანოდან გამოქცეული

ლომიკია ზვამბაია ქყოინდარს სუჯუნაში დაუსახლებია (მის ნასახლარს ამჟამად ლომნოხორი ეწოდება). მის შვილს ერქვა გუგუ. გუგუშვილები მისი შთამომავლები ვართ". გარშემო სოფლის მცხოვრებნი ამ გვარს გუგუსკუად მოიხსენიებენ და მათ უბანს საგუგუსკუოს უწოდებენ. აქვე დავასახელებთ რამდენიმე გვარს, რომელნიც მთლიანად (ან თითქმის მთლიანად) არიან განსახლებულნი სამეგრელოში: ამანაძე – 38 სული (თითქმის მთლიანად აბაშის, მარტვილისა და ხობის რ.), ბაკარაძე – 129 სული და ბაკარანძე – 382 სული (ძირითადად სამურზაყანო), ბაღიშვილი – 783 სული (ძირითადად მარტვილისა და ზუგდიდის რ.) და ბაღუშვილი – 125 სული (სენაკისა და აბაშის რ.); ბურლაშვილი – 72 სული (ზუგდიდისა და სენაკის რ.) და მრ. სხვ.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გვარსახელებს ხშირად ერთი და იგივე ამოსავალი ფუძეები მოეპოვებათ და მხოლოდ დაბოლოებებით განსხვავდებიან. მაგალითად, გოგინა-საგან მომდინარეობენ: გოგინავა – 1016 სული (სამეგრელო), გოგინაძე – 20 სული (იმერეთი), გოგინაშვილი – 2608 სული (ძირითადად ქართლ-კახეთი); გოგოლა უდევს საფუძვლად გვარებს – გოგოლავა – 28 სული (სამეგრელო), გოგოლაური – 1026 სული (აღმ. საქართველო), გოგოლაშვილი – 1675 სული (იმერეთი, კახეთი), გოგოლაძე – 9791 სული (ქართლ-კახეთი); გელა-საგან მომდინარეობენ გვარსახელები: გელავა, გელაძე, გელაშვილი, გელოვანი... ასეთ შემთხვევაში ორი ვარაუდის დაშვებაა შესაძლებელი: ა. გვარსახელები წარმოიქმნენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ერთი და იმავე პირსახელებისაგან; ბ. გვარი მიგრირებულა და ახალ რეგიონში შესაბამისი დაბოლოება მიუღია. თითოეული კონკრეტული შემთხვევისათვის გასათვალისწინებელია ამოსავალი ფუძის სემანტიკა (უეჭველია, თითბერია უწინარესია და თითბერიძე მისგანაა წარმოქმნილი დაბოლოების შეცვლით), საისტორიო წყაროების მონაცემები, გადმოცემები გვარსახელის უწინდელი საცხოვრისისა და სალოცავების შესახებ, დაბოლოს, ერთგვარად მრავალრიცხოვნებაც (ჩვეულებრივ, "მშობლიურ" რეგიონში გვარი უფრო მრავალრიცხოვანია და კომპაქტურად დასახლებული). ფონეტიკურ ცვლილებათა მიმართულების გათვალისწინებაც იძლევა გარკვეულ სურათს: გურული იმედაიშვილი (145 სული) სამეგრელოში მიგრირებულა იმდეიშვილის ფორმით (43 სული. ძირითადად სენაკის რ-ნში, რომელიც ესაზღვრება სამტრედიისა და აბაშის რ-ნებს). ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაცია აი→ეი მომხდარა ქვემოიმერულში ("ქვემოიმერულში უპირატესობა ასიმილირებულ ფორმებს ენიჭება". ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 449), ხოლო ე ხმოვნის სინკოპე მეგრულში იშვიათი არაა. მაშასადამე: იმედაიშვილი (გურული)→ იმედეიშვილი (იმერული) → იმდეიშვილი (მეგრული).

ახალ რეგიონში მიგრირებული გვარი შეიძლება გამრავლდეს და ვარიანტებიც გაიჩინოს. სამეგრელოში მრავალი საამისო შემთხვევა დავაფიქსირეთ. მოგვყავს ერთი მაგალითი: ბუსკანაძე – 34 სული (ძირითადად მარტვილის რ.), ბუსკანძე – 7 კომლი (ხობი), ბუსკაძე – 113 სული (ძირითადად სენაკის რ.), ბუსქანაძე – 58 სული და ბუსქანძე – 22 სული (ძირითადად ზუგდიდის რ.). ეს უკანასკნელნი ქმნიან უბან საბუსქანძოს (საკვიკვინიო, ხობის რ). ერთ-ერთი ბუსქანძე გადმოგვცემს: "ჩვენი წინაპრები იმერეთიდან გადმოსულან ჯერ მოხაშში და მერე აქ დამკვიდრებულან". იმერეთში ამჟამად ბუსქანძეები არც ჩანან. "გვარ-სახელები საქართველოში" გვამცნობს, რომ სამტრედიის რ-ნში დაფიქსირებულია 22 სული ბუსკაძე. როგორც ჩანს, ბუსკაძე ძირითადი და თავდაპირველი ვარიანტია. მოხაშში ამჟამად მართლაც მოსახლეობს 7 კომლი ბუსკანძე და მათ უბანს ეწოდება ლებუსკანძე. იქიდან ხობის რ-ნში მიგრირებულნი უკვე ბუსქანძეებად იწერებიან.

-ყვა, -ტი დაბოლოებანი

გურიის ანთროპონიმიაში გამოვლენილ -ყვა, -ქვა დაბოლოებებს მკვლევართა ერთი ნაწილი ოდინდელ ჩერქეზულ-ადიღურ ელემენტებად თვლის. პ. ინგოროყვას მიერ ჩაწერილი გადმოცემის თანახმად, XVIII ს. დამლეგს ერთმორწმუნე თურქეთისაკენ მიმავალი რამდენიმე ჩერქეზული ოჯახი გურიაში დარჩენილა და გაქართველებულა. მაშასადამე, -ყვა, -ქვა ქართული სინამდვილისათვის სუპერსტრატული მოვლენაა. მაგრამ არც ისაა გამორიცხული, ჩრდილოკავკასიური ენებიდან ნასესხებ -ყუ და -ქუ დაბოლოებიან საკუთარ სახელებს დართოდა კოლხური საგვარსახელო სუფიქსი –ა და მიგვეღო გვარები: ინგოროყვა (←ინგოროყუ-ა), როყვა (← როყუ-ა), ღელეყვა (← ღელეყუ-ა), ჭანუყვაძე (← ჭანუყუ-ა-ძე), სალუქვაძე (←სალუქუ-ა-ძე) და სხვ. საქართველოში -ყვა-ზე დაბოლოებულ გვარს ატარებს 1023 პირი. მათგან გურიაში ცხოვრობს 551, აჭარაში – 166, ხოლო სამეგრელოში – მხოლოდ 46. ბ. -ყვა ბოლოსართს -ვა სუფიქსის ფონეტიკურ ვარიანტად

მიიჩნევენ: "ყ(//კ) რამდენიმე გვარსახელში გაჩენილა ხმოვნის დამართვის შედეგად სიტყვის ბოლოში: ინგოროი(ვა) → ინგოროიყ(ვა)//ინგოროიკ(ვა), ართილა(ვა) → ართილაყ(ვა)//ართილაკ(ვა)" (ცხადაძე, 1996, გვ. 9). -ყვა დაბოლოების წარმოშობასა და ფუნქციასთან დაკავშირებით გამოთქმულია სხვა მოსაზრებებიც.

რამდენიმე გურულ გვარში გამოყოფენ -ტი, -ნტი დაბოლოებას, რომელთაც კნინობით-მოფერებითი სახელების მაწარმოებელ სუფიქსად თვლიან (ზ. ჭუმბურიძე, 1987, გვ. 229). სამეგრელოში დაფიქსირდა: ქლენტი (10 კომლი ტყვირში), დავიანტი (7 კომლი ზუგდიდში), კიუტი (რამდენიმე კომლი ზუგდიდის რ-ნში. საქართველოს მასშტაბით ამ გვარს ატარებს 75 პირი). -ტი, -ნტი აღმოჩნდა ორმაგი სუფიქსაციის მეგრულ გვარსახელებშიც: მირგატია, გელანტია, ციმინტია, ხუბუტია, გეგუტია... ჩვენი აზრით, ამ გვარებში უნდა გამოიყოს კნინობით-მოფერებითი სახელების მაწარმოებელი სუფიქსები -ატ//ანტ, იტ//ინტ, -უტ, რომელთაც დართული აქვთ (სახელობითი ბრუნვის ნიშნის შემდეგ) საგვარსახელო სუფიქსი -ა.

სუფიქსები -ელ, -ულ, -ურ

-ელ აწარმოებს წარმომავლობის სახელებს. საქართველოში ამ სუფიქსზე დაბოლოებულ გვარსახელს ატარებს 55017 სული, მათგან სამეგრელოში – 987. -ელ სუფიქსიანი გვარები სამეგრელოში მიგრირებულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან (ზარათელი, გურიელი, ჩადუნელი, ჩხენკელი, ოდიშელი...) ან დასტურდება ხელოვნურად შექმნილ გვარში (იხ. ენგურელი). გვხვდება ორმაგი სუფიქსაციით წარმოქმნილ გვარებშიც: ჯვარელია, ხობელია...). -ურ და -ულ დაბოლოებიანი გვარებიც იშვიათია სამეგრელოში (დაფიქსირებულია: გურული, ძიძიგური... ). ალბათ აქვეა საჭირო დასახელება ცალკეული გვარებისა, რომლებიც შემოსულია ქართველური ან არაქართველური ენებიდან (და რომელთა მატარებლები უმეტეს შემთხვევაში "გამეგრელებულნი" არიან: არშბა, აშუბა, ჩაბალუხა, ემუხვარი, ჩიქოვანი, კიტოვანი, გოგოლი, თაბაგარი, კანდელაკი, მესხი, შამბეშოვი და სხვ.).

## თავი მესამე. კოლხური ოიკონიმია

### 3.1. ქართველური ოიკონიმური სისტემა

ო ი კ ო ნ ი მ ი დასახლებული პუნქტის სახელია (ბერძნ. ოიკოს "სახლი, საცხოვრისი", ონიმი "საკუთარი სახელი"). ორმოციოდე წლის წინათ ეს ტერმინი ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული. 1965 წელს გამოცემულ "ტოპონიმიკის შესავალში" აღნიშნულია: "დასახლებული პუნქტების აღსანიშნავად არ მოგვეპოვება სპეციალური ტერმინი" (ნიკონოვი, 1965). მაგრამ მალევე შეიქმნა და სამეცნიერო ლიტერატურაში მყარად დამკვიდრდა ტერმინები: ოიკონიმი ( დასახლებული პუნქტის სახელწოდება), ოიკონიმია, ოიკონიმიკა; კომონიმი (სოფლის სახელწოდება), კომონიმია, კომონიმიკა; პოლისონიმი (ქალაქის სახელწოდება), პოლისონიმია, პოლისონიმიკა; ურბონიმი (საქალაქო ობიექტების – ქუჩის, მოედნის, პარკის... სახელწოდება) და სხვ. (იხ. პოდოლსკაია, 1978). ამ პერიოდშივე დაიბეჭდა მრავალი გამოკვლევა, რომლებშიც გაშუქებულია დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა წარმოქმნის, სახელდების მოტივირების, ეტიოლოგიის, ფუნქციონირების გლობალური და რეგიონული პრობლემები.

ქართველური ოიკონიმური სისტემა ათასწლეულების მანძილზე ყალიბდებოდა. უძველეს ფენას ქმნიან -თ (თა), -ის (მეგრულში -იში), -ევ ბოლოკიდურიანი ტოპონიმები. ეს -ევ რომელიღაც კილოში გამოხატავდა მრავლობით რიცხვს (ფუნქციურად უდრიდა ამჟამინდელ -ებ-ს) და შემოგვრჩა მხოლოდ გეოგრაფიულ სახელებში (შანიძე, 1941). -თ თანხმოვნის შემცველი სუფიქსების (-ათ, -ეთ, -ით, -ოთ, -უთ) ფუნქცია მრავლობითობის, კრებითობის გამოხატვა უნდა ყოფილიყო (ზურაბიშვილი, 1961). -თა და -ის დაბოლოებიანი ტოპონიმების ძირითადი ნაწილი ნანათესაობითარი (საზღვრულდაკარგული) სახელებია (შანიძე, 1973, გვ. 114). -ის საფლექსიო ელემენტს სადერივაციო (სიტყვაწარმოებითი) ფუნქცია ჯერ კიდევ ფუძეენაში (ე.ი. ქართულ-ზანურ-სვანური ერთიანობის ხანაში) ჰქონდა მოპოვებული (კლიმოვი, 1962).

მიუხედავად ყოველივე ამისა, როგორც ჩანს, მსაზღვრელ-საზღვრულიანი სინტაქსური კონსტრუქციის გამარტივება ერთ-ერთი კომპონენტის მოკვეცის (ელიპტირების) გზით და დარჩენილი კომპონენტის ტოპონიმიზაცია, როგორც ერთსიტყვიან ტოპონიმთა წარმოქმნის ერთ-

ერთი გზა, ათასწლეულების მანძილზე მოქმედებდა. ამ პროცესისათვის თვალის გადევნება შესაძლებელია ძველი ქართული მწერლობის ძეგლებზე დაკვირვებით. "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" ავტორი ერთგან წერს: "ჟამსა ხანძთას ეპიფანეის მამობისასა იყო ვინმე კაცი მდიდარი ანჩჲორას და სახელი მისი წერტაი და აწ რომელ წერტაისნი ჰქვიან, თხათა მისთა სადგური ყოფილ არს". აქ სადგური სადგომს ნიშნავს. აშკარაა, წერტაისნი წარმოქმნილია საზღვრული სიტყვის ელიპტირების გზით: ადგილნი წერტაისნი → წერტაისნი.

მეათე საუკუნეშივე (I მეოთხედში) დაწერილი "სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების" ერთ მონაკვეთში აღწერილია სერაპიონისა და ძმათა მისთა მიერ სამცხეში მონასტრის ასაშენებელი ადგილის ძიების ამბავი. ავტორი ბასილ ზარზმელი ასახელებს იმ პირთა და გეოგრაფიულ ადგილთა სახელებს, რომელთაც გზადაგზა ხვდებოდნენ ხოლმე. ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით იმ ეპიზოდებმა მიიპყრო, რომლებშიც ახსნილია ტოპონიმთა წარმომავლობა. მწერლისეული ეტიმოლოგიების ექსტრალინგვისტური და ლინგვისტური საბუთიანობა ყველა შემთხვევაში მეცნიერულია, მოტივაცია დამაჯერებელია. ეპიზოდი პირველი: სერაპიონი იკითხავს: "რაი ეწოდების ადგილსა ამას?". მასპინძელი (სახელად ია) უპასუხებს: "რამეთუ არს ესე შესაკრებელი ნადირთა ველისათაი და ბაკთა ეწოდების". ტოპონიმი წარმოქმნილია საზღვრული კომპონენტის დაკარგვით: ბაკთა ← ადგილი ბაკთა (ბაკი საჩეხია). ეპიზოდი მეორე: სამონასტრე ადგილის მაძიებელნი მიეახლნენ ტბას. ია განმარტავს: "ესე არს ტბაი მღვრიე ყოვლადვე, რომელსა ეწოდების სათახვე, და არს ამას შინა სიმრავლე თახვთა..." აქ ტოპონიმი (ჰიდრონიმი) მოტივირებულია ფუძისეული ლექსემითა და დანიშნულების აფიქსებით. სათახვე წარმოქმნილი სახელწოდებაა. ეპიზოდი მესამე: სერაპიონი დაინტერესდება მთით, რომელიც მათ წინ აღიმართა. მასპინძელი განმარტავს: "მთაი ესე მაღალი არს თავი ყოველთა ამათ ქედთაი, რომელსა ჰრქვიან თავი შეშათაი, რამეთუ თავი არს ყოველთა ამათ მაღნართაი, ამისათვის შეშისთავ ეწოდების". შეშისთავი ტყის თავს ნიშნავს. სახელდებისათვის გამოყენებულია სიტყვათშეერთების მეთოდი.

ცხადად ჩანს, რომ ქართული მხატვრული და საისტორიო მწერლობის უძველეს ძეგლებშივე არის მსჯელობა ტოპონიმთა წარმოშობის გზებსა და საშუალებებზე. ზემოთ გაანალიზებულ ეპიზოდებში გამოკვეთილია ტოპონიმიკური სიტყვაწარმოების ძირითადი პრინციპი – სახელწოდების შინაარსი შეესაბამება სახელდებულ ობიექტს. ეს მიიღწევა რამდენიმე საშუალებით: 1. ელიპტირებით (მოკვეცილია საზღვრული ან მსაზღვრელი კომპონენტი: წერტაისნი ← ადგილნი წერტაისნი, ბაკთა ← ადგილი ბაკთა); 2. წარმოქმნით (თახვი → სათახვე); 3. სიტყვათშეერთებით (შეშისთავი შედგენილობით რთული, ორკომპონენტიანი სახელწოდებაა).

ანთროპონიმის მონაწილეობით წარმოქმნილ ტოპონიმს ანთროპოტოპონიმი ეწოდება. დასახლებული პუნქტის სახელის აღმნიშვნელი ტერმინია ოიკონიმი. მაშასადამე, ანთროპონიმის, მათ შორის გვარსახელის, მონაწილეობით წარმოქმნილ ოიკონიმს შეიძლება ვუწოდოთ ანთროპოოიკონიმი. ქართული გვარებისაგან ოიკონიმთა წარმოების საკითხს ეძღვნება ვ. მაღრაძის სტატია "ქართული გვარსახელებისაგან ნაწარმოები ოიკონიმები" (იკე, XXXIII, 1995, გვ. 149-156). მკვლევარი გამოყოფს სამ ჯგუფს: 1. ოიკონიმები, რომლებშიც ადამიანთა გვარები უაფიქსოდაა წარმოდგენილი; 2: ოიკონიმები, რომლებიც ადამიანთა გვარებისაგან სუფიქსებითაა ნაწარმოები; 3. ოიკონიმები, რომლებიც ნაწარმოებია გვარებზე თავსართ-ბოლოსართების დართვით.მკვლევარი მიანიშნებს, რომ ამგვარი კლასიფიკაცია უფრო ადრე გამოყენებული აქვს გ. კაჭარავას (იხ. კაჭარავა, 1960).

საკუთარი სახელი მრავალწახნაგოვანი სპეციფიკური ლექსიკური ერთეულია. იგი წარმოიქმნება როგორც ლინგვისტური, ისე ექსტრალინგვისტური ფაქტორების მონაწილეობით. ამის შესაბამისად, მისი კვლევაც ორი ასპექტით უნდა წარიმართოს: ლინგვისტური (ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, სიტყვაწარმოებითი, სემანტიკური დონეების დადგენა) და ექსტრალინგვისტური (ისტორიული, სოციალური, გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული, ლოგიკურ-ფსიქიკური, ესთეტიკური საფუძვლების გამოვლენა). ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ტოპონიმიკური მასალის კვალიფიკაციაც არ არის ერთგვაროვანი და მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მკვლევრის მიზნებსა და ამოცანებზე.

ოიკონიმიკაში გავრცელებულია ორგანზომილებიანი ანალიზი: ა. წარმომქმნელ ფუძეთა სემანტიკის მიხედვით; ბ. წარმოქმნის გრამატიკულ საშუალებათა მიხედვით. გამოიყოფა ოთხი გრამატიკული (სიტყვაწარმოებითი) ხერხი (საშუალება): 1. მორფოლოგიური (აფიქსაცია და პლურალიზაცია, ანუ სახელის წარმოქმნა მრ. რიცხვის ფორმით); 2. მორფოლოგიურ-

სინტაქსური (ზედსართავთა გაარსებითება-ოიკონიმიზაცია); 3. სინტაქსური (სიტყვათშეხამების გადაქცევა ოიკონიმად); 4. სემანტიკური (კონვერსია, მეტონიმია, მეტაფორიზაცია). საერთოდ, ონომასტიკურ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია დასახლებული პუნქტების სახელთა მრავალგვარი კლასიფიკაცია. ძალზე გამარტივებული და გაუმართლებელი ჩანს ოიკონიმების დაჯგუფება აპელატივთა სემანტიკის მიხედვით, როცა თვლიან, რომ სოფლის სახელწოდება მუხნარი მომდინარეობს ფიტონიმური ტერმინისაგან. სინამდვილეში, ფიტონიმი მუხა არის ამოსავალი ფუძე ტყის სახელწოდებისათვის "მუხნარი", ხოლო სოფლის სახელწოდება "მუხნარი" წარმოქმნილია მეტონიმიის (სახელწოდების გადანაცვლების) გზით. ჩვენი აზრით, უფრო მისაღები ჩანს (ერთგვარი შესწორებით) ვ. ტაშიცკისეული კლასიფიკაცია ოიკონიმებისა: ა. ოიკონიმები, რომლებიც ყოველთვის იყვნენ ოიკონიმები და ბ. ოიკონიმები, რომლებიც თავდაპირველად აღნიშნავდნენ ადამიანთა ჯგუფს და შემდეგ იქცნენ დასახლებული პუნქტების სახელებად.

სოფლისა თუ მისი უბნის (ისევე, როგორც ნებისმიერი ობიექტის) ნომინაციისას ერთდროულად მონაწილეობს ორი ფაქტორი: ფსიქიკურ-ლოგიკური (ექსტრალინგვისტური) და ლექსიკურ-სიტყვაწარმოებითი (ლინგვისტური). ინდივიდის ცნობიერებაში წარმოიქმნება გარკვეული ასოციაციები, რომლებიც რეალიზდება ენობრივი საშუალებებით. თითოეულ ოიკონიმს მოეპოვება თავისი მოტივაცია (ანუ სახელდების მიზეზი) და გარკვეული გზა, რომელიც უნდა გაიაროს, რათა იქცეს მაინცდამაინც ამ დასახლებული პუნქტის საკუთარ სახელად.

დასახლებული პუნქტის ნომინაცია არის პ ი რ ვ ე ლ ა დ ი (უშუალო), თუკი ოიკონიმი წარმოიქმნა როგორც სწორედ დასახლებული პუნქტის სახელი, და მ ე ო რ ე უ ლ ი (გაშუალებული), თუკი სახელი თავდაპირველად აღნიშნავდა ნებისმიერ სხვა რეალობას (ადამიანთა სიმრავლეს, გეოგრაფიულ ობიექტს) და დროთა განმავლობაში (კონვერსიის ან მეტონიმიის საშუალებით) იქცა ოიკონიმად.

საკუთარი სახელის მთავარი დანიშნულებაა, გამოყოს ერთი კონკრეტული ობიექტი მსგავს ობიექტთა სიმრავლეში. ამ მიზნით პირველადი ნომინაციისას გამოიყენება მოტივირების ორი ხერხი: ა. მოტივირება ოიკონიმური ტერმინით ან საკუთრივ ოიკონიმით (იშვიათად); ბ. მოტივირება სპეციალური (საგანგებო), ოდენ ოიკონიმთა წარმომქმნელი ფორმანტით. შესაბამისად, პირველი ხერხი მოტივირებისა ქმნის თხზულ ოიკონიმს, ხოლო მეორე ხერხი – დერივაციულ (წარმოქმნილ) ოიკონიმს. თხზულ (შედგენილ) ოიკონიმებში საზღვრულს (მაიდენტიფიცირებელ კომპონენტს) წარმოადგენს დასახლების ტიპის (სახეობის) აღმნიშვნელი ტერმინები (ქალაქი, დაბა, სოფელი, უბანი...), ხოლო მსაზღვრელს (ანუ მადიფერენცირებელ კომპონენტს) – ზედსართავი ან არსებითი (როგორც საზოგადო, ისე საკუთარი) სახელი.

ქართველთა (კერძოდ, ქართების, სვანების, მეგრელთა, ლაზთა ტომების) სოფლები, ჩვეულებრივ, შედგება ერთმანეთის მიმდებარე ან გეოგრაფიულად მცირედ იზოლირებულ მიკროდასახლებათაგან – უბნებისაგან. მათ აღსანიშნად ვიყენებთ ტერმინს "მიკროოიკონიმი".

მიკროოიკონიმია მიკროტოპონიმიის ნაწილია. მიკროტოპონიმია კი, თავის მხრივ, ითვლება მეტად ფასეულ ბუნებრივ ტოპონიმიკურ ლაბორატორიად მკვლევართათვის. ამჟამად საქართველოში 4 ათასამდე ქართულ-(ქართველურ-)ენოვანი სოფელია. მათში, წინასწარი დაახლოებითი გამოანგარიშებით, 50 ათასზე მეტი უბანია, რომელთა სახელები (მიკროოიკონიმები) უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბებული და ტრადიციით დამკვიდრებულია. ქართველურ ენებში მიკროოიკონიმთა წარმოქმნის საერთო, ზოგადი სქემის დასადგენად გამოვიყენეთ თსუ ტოპონიმიკის (ამჟამად ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი) ლაბორატორიის კარტოთეკები, კერძოდ, მცირე რეგიონებისა – მთლიანად, ხოლო დიდი რეგიონებისა – ამორჩევით (კერძოდ, კახეთის რეგიონში – თელავის რაიონისა, ქართლში – გორის რაიონისა, იმერეთში – ზესტაფონის რაიონისა, სამეგრელოში – ჩხოროწყუს რაიონისა, სვანეთში – მესტიის რაიონისა).

მონათესავე ენათა ოიკონიმია (ისევე, როგორც მთლიანად ტოპონიმია) წარმოადგენს რთულ და მრავალფეროვან ენობრივ, სულიერ და ისტორიულ მოვლენას, რომლის კვლევა შესაძლებელია სხვადასხვა თვალსაზრისით, მკვლევრის მიერ დასახული მიზნის შესაბამისად. თანამედროვე ქართველური ოიკონიმიის ანალიზმა უნდა გამოავლინოს, ჯერ ერთი, როგორც საერთოქართველური, ისე ლოკალური ოიკონიმური სისტემები, მერე მეორე, შესაძლებელი გახადოს ძველ დროში დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა წარმოქმნის პროცესის აღდგენა-რეკონსტრუქცია, გაუმჭვირვალე ოიკონიმთა ეტიმოლოგია.

პ ი რ ვ ე ლ ა დ ი ნომინაცია:

სახელდების თანამიმდევრობის (პირველადობა-მეორადობის) პოზიციიდან გამომდინარე, მთელი ქართველური მიკროოიკონიმია შეიძლება დავყოთ ორ დიდ ჯგუფად. პ ი რ ვ ე ლ ა დ ი ნომინაციის მიკროოიკონიმები (რომლებიც იმთავითვე წარმოიქმნენ როგორც დასახლებული პუნქტების სახელები) და მ ე ო რ ე უ ლ ი ნომინაციის მიკროოიკონიმები (სხვა ობიექტთა სახელები, რომლებიც შემდგომში იქცნენ მიკროდასახლებების სახელებად). პირველადი მიკროოიკონიმები იყოფა ორ ძირითად ქვეჯგუფად მოტივირების საშუალებათა მიხედვით: ოიკონიმური ტერმინებით (ოტ) მოტივირებულნი და ოიკონიმური ფორმანტით (ოფ) მოტივირებულნი. ამასთანავე, ეს მეორე ხერხი ჩვეულებრივი და პროდუქტიულია მ ხ ო ლ ო დ მ ე გ რ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს. სვანეთში ერთი სოფლის შიგნით უბნები (მიკროუბნები) ცოტაა და, რაც არის, სახელდებულია მეორეული ნომინაციით. ქართული ენის დიალექტებში მიკროოიკონიმთა თითქმის ნახევარი მოტივირებულია დასახლების ტიპის აღმნიშვნელი ტერმინებით. ძირითადი ტერმინია “უბანი“, რომელსაც ახლავს მსაზღვრელი სიტყვა: შოშიაანთ უბანი, პეტრიაშვილების უბანი, იმერლების უბანი, მჭედლების უბანი, ბაზრისუბანი, ზემო უბანი...

მიკროდასახლება, ჩვეულებრივ, წარმოიქმნებოდა სისხლითი ნათესაობის საფუძველზე, რაც განამტკიცებდა სოციალურ-ეკონომიკურ და ტერიტორიულ ერთიანობას. დასახლება და მის გარშემო მდებარე თუნდაც მცირე ტერიტორია ითვლებოდა გარკვეული საგვარეულო კოლექტივის კუთვნილებად, საკუთრებად. ამიტომაც სრულებით ბუნებრივია, რომ ამგვარ მიკროდასახლებათა სახელწოდებანი ხშირად წარმოადგენენ პოსესიურ (განკუთვნების გამომხატველ) სიტყვათშეერთებებს, რომლებშიც საზღვრული კომპონენტი ოიკონიმური ტერმინია, ხოლო მსაზღვრელი კომპონენტი არის ამ დასახლების მცხოვრებთა გვარსახელი, პატრონიმული სახელი, საოჯახო-ჯგუფური მეტსახელი, უფრო იშვიათად, ეთნიკური, სადაურობის, პროფესიის სახელი მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში. ოიკონიმურ ტერმინთაგან გვხვდება: უბანი, კარი, კუთხე, მუხური, ყურე, გარემო... ამათგან, ქეგლ-ის განმარტებით, მხოლოდ “უბან“ სიტყვისათვისაა ძირითადი მნიშვნელობა “ქალაქის ან სოფლის ერთ-ერთი კუთხე, ნაწილი“ (თუმცა ძველ ქართულში უბანი ნიშნავდა სავაჭროს, ქუჩას, მოედანს, შარას). ხოლო კარი, კუთხე, ყურე, გარემო... ლექსემებისათვის სოფლის (დაბის, ქალაქის) ნაწილის აღნიშვნის ფუნქცია მეორეულია, დამატებითია.

საერთოდ, ოიკონიმური ტერმინით (იშვიათად თვით ოიკონიმით) მოტივირებულ ოიკონიმთა 4 ნომინაციურ-სემანტიკურ ტიპს გამოყოფენ (სხვადასხვა ლექსიკურ-სიტყვაწარმოებითი ტიპებითა და მოდელებით). ესენია:

1. პოსესიურნი, ანუ ჯგუფური განკუთვნების გამომხატველნი. ამ შემთხვევაში სუბსტანტიური მსაზღვრელით აღნიშნული ადამიანთა ჯგუფი ამავე უბანში მოსახლეობს. ლექსიკურ-სიტყვაწარმოებითი მოდელებია: შოშიაანთ უბანი, პეტრიაშვილების უბანი, გეიცინეების უბანი, იმერლების უბანი, მჭედლების უბანი, ქლუხორლების უბანი...

2. გეოგრაფიული (სივრცითი) მიმართების გამომხატველნი. ამ შემთხვევაში მსაზღვრელი სუბსტანტიურია (საკუთარი თუ საზოგადო სახელი) ან ატრიბუტული. ლექსიკურ-სიტყვაწარმოებითი მოდელებია: ნაკალაურის უბანი, საკირეების უბანი, ეკლესიისუბანი (კახეთში), მეჯუდისძირის უბანი, ციხისუბანი (ქართლში), ზედვაკის უბანი, ჩეროსუბანი, ოტიას უბანი (იმერეთში), ბაზრისუბანი (მთიულეთში), ბაღისუბანი (გურიაში), ხევისუბანი, დავითის უბანი (მესხეთში)... ზემო კრიხი, ქვემო კრიხი, შუა კრიხი (რაჭაში), გამოღმა ბოსლევი, გაღმა ბოსლევი (იმერეთში)... სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ანტონიმები ზემო-ქვემო, მაღალი-დაბალი, დიდი-პატარა ტოპონიმებთან შეხამებისას წარმოქმნიან ოიკონიმებს (შ. აფრიდონიძე).

3. ქრონოლოგიური და მოცულობითი მიმართების გამომხატველნი: ძველი აბაშა, ახალი მარაბდა, დიდი თონეთი, პატარა თონეთი...

4. ექსპრესიულ-ემოციურნი, ანუ შეფასებითნი: ვარდისუბანი (რადგანაც ამ უბანში კეთილი და მშვიდი ხალხი ცხოვრობს), ძაღლისუბანი (რადგანაც ამ უბანში ძაღლებივით უღრენენ ერთმანეთს). სოფლის ნაწილის სახელდებისას იშვიათად არაორდინალური მოტივაციაც არის გამოყენებული: კახეთის ერთ სოფელში უბანს, სადაც ბადრიჯანი უხვად მოჰყავთ, უწოდებენ ბადრიჯნისუბანს. საერთოდ, მიკროოიკონიმურ ტერმინთაგან “უბანი“ გვხვდება ქართული ენის ყველა დიალექტში, “კარი“ და “სოფელი“ - აღმ. საქართველოს მთიანეთში, ხოლო “კუთხე“ და “გარემო“ - მხოლოდ იმერეთსა და გურიაში.

პირველადი ნომინაციისას მიკროოიკონიმთა მნიშვნელოვანი ნაწილი მოტივირებულია საგანგებო ოიკონიმური ფორმანტით. ერთი ასეთი საერთო-ქართველური ფორმანტია –ეთ, რომელიც დღეს ამ დანიშნულებით არ გამოიყენება. ეთნონიმთაგან რეგიონის სახელთა წარმოებისას ამ სუფიქსს ზოგ შემთხვევაში "ეხმარება" სა- პრეფიქსიც (სვან-ეთ-ი, მესხ-ეთ-ი... სა-ბერძნ-ეთ-ი, სა-ფრანგ-ეთ-ი... ქართულის დიალექტებში დასტურდება სა-შაბურ-ო, სა-გურამ-ო მოდელის ოიკონიმებიც).

სამეგრელოში მიკროოიკონიმთა დაახლოებით 9% მოტივირებულია ოიკონიმური ტერმინებით (კუნთხუ, კარი, მუხური, განი...), 12% წარმოქმნილია კონვერსიითა და მეტონიმიით, ხოლო ძირითადი ნაწილი, თითქმის 77%, სპეციფიკური (საგანგებო) ოიკონიმური (მხოლოდ ოიკონიმთა წარმომქმნელი) ლე- და სა- პრეფიქსებით (სხვადასხვა სუფიქსების თანხლებით). სიცხადისათვის მივმართოთ ასეთ შედარებას: სოფელ შუა გეზრულში (იმერეთი) სოფლის იმ ნაწილს, სადაც მკვიდრობს გვარი გ ვ ა ლ ი ა, დაერქვა "გვალიების უბანი". გვალიები კომპაქტურად მოსახლეობენ სამეგრელოშიც (კერძოდ, გეგეჭკორის რ-ნის სოფ. ლეციცხვაიეში), მაგრამ მათ უბანს ეწოდება ლე-გვალი-ე. ასეთი პარალელები მოსალოდნელია ერთი სოფლის ფარგლებშიც ოღონდ იმერული დიალექტის საზღვართან: სოფ. ბულშვანში ცანავებით დასახლებულ უბანს ეწოდება საცანო//ცანავების უბანი. ორივე შემთხვევაში მიკროოიკონიმის სემანტიკა და ინფორმაცია (შინაარსის პლანი) იდენტურია: მინიშნებულია უბნის დანიშნულება, განკუთვნება გარკვეული საგვარეულო ჯგუფისათვის. მაგრამ გვაქვს განსხვავება ოიკონიმის შედგენილობისა (თხზული – წარმოქმნილი) და მოდელის (გვარი პლუს ოტ – ოფ პლუს გვარი) მიხედვით. მეგრულს მიკროოიკონიმის წარმოსაქმნელად ფაქტობრივად არ სჭირდება ოტ "უბანი" (და მისი სინონიმები), რადგანაც საჭირო ინფორმაციის (უბნის დანიშნულების) გამოსახატავად მოეპოვება ლე-ე და სა-ო კონფიქსები. მათ მხოლოდ მეგრულში აქვთ მოპოვებული სპეციფიკური ანთროპოოიკონიმური ფორმანტის ფუნქცია.

მ ე ო რ ე უ ლ ი ნომინაცია:

ოიკონიმიაში (ისევე როგორც ჰიდრონიმიაში, ორონიმიაში და ა.შ.) გამოიყოფა სახელწოდებათა ერთი ნაწილი, რომელიც წარმოქმნილია კონვერსიის, მეტონიმიის ან სხვა საშუალებით (ვთქვათ, ხელოვნური ნომინაციით). საერთოდ, კ ო ნ ვ ე რ ს ი ა (ლათ. conversio "შეცვლა", ინგლ. conversion "გადაქცევა, გადასვლა ერთი მდგომარეობიდან მეორეში") ლექსიკოლოგიაში ეწოდება სიტყვის გადასვლას ერთი სემანტიკური თანრიგიდან მეორეში ფორმისა და სტრუქტურის შეუცვლელად (კონვერსია ამით განსხვავდება აფიქსაციისაგან). ზოგ ენაში კონვერსია სიტყვაწარმოების ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა, თუმცა ბ. ფოჩხუას აზრით, "კონვერსია არის მნიშვნელობის გადაწევის ერთი სახეობათაგანი და ამიტომ მისი სიტყვაწარმოებად მიჩნევა გაუმართლებელია" (ფოჩხუა, 1966, გვ. 104).

ოიკონიმიაში კონვერსია ეწოდება ადამიანთა ჯგუფის აღმნიშვნელი სიტყვის გადაქცევას იმ ადგილის სახელად, სადაც ეს ჯგუფი მოსახლეობს. მაშასადამე, იცვლება სახელის დენოტატი, ანუ რეფერენტი (ე.ი. ობიექტი, რომელსაც მიემართება სახელი), ხოლო ფორმა-სტრუქტურა უცვლელი რჩება. ადამიანთა ჯგუფის აღნიშვნა შეიძლება სხვადასხვა საშუალებით: გვარის მრ. რიცხვის ფორმით, პატრონიმული სახელით და ჯგუფური მეტსახელით ან ზედწოდებით. დას. საქართველოში, კერძოდ, იმერეთსა და აჭარაში კონვერსირებულ მიკროოიკონიმთა წარმოქმნის ორი მთავარი წყაროა გვარები მრ. რიცხვის ფორმით და ჯგუფური მეტსახელები. მხოლოდ ერთი მაგალითი: სოფ. რგანში (ჭიათურის რ.) 25 მიკროოიკონიმი (უბნის სახელი) იმეორებს გვარის მრ. რიცხვის ფორმას (აბესაძეები, აბუთიძეები...), ხოლო 16 მიკროოიკონიმი – ჯგუფურ მეტსახელს (ბატონკალიები, ბლაგვები...). აღმ. საქართველოს მთის დიალექტებში ჩვეულებრივია მრ. რიცხვში დასმული გვარსახელების გადაქცევა ოიკონიმებად და მიკროოიკონიმებად, მაგალითად: ბაბურაულნი, კაკაბაურნი... (ფშავში), ნარიმანიძეები, ბუჩუკურები... (ხევსურეთში), პატაშურნი, მამაცაშვილები... (მთიულეთ-გუდამაყარში) და ა.შ. სამეგრელოსა და სვანეთში გვხვდება, თუმცა ძალზე იშვიათად, წარმომავლობის სახელებიდან მრ. რიცხვის ფორმით წარმოქმნილი მიკროოიკონიმები: ჟაბშარ "ზემოურები", ჩუიბშარ "ქვემოურები" (სვანეთში), სუკარეფი "სერზე მცხოვრებნი", რზენალეფი "ვაკელები" (სამეგრელოში) და სხვ.

ქართველურ ენათა დიალექტებში ხშირია პატრონიმულ სახელთა კონვერსია – ოიკონიმად ან მიკროოიკონიმად გადაქცევა. ქართულში პატრონიმებს აწარმოებს -ან (და მისი ვარიანტები), მეგრულში – თი, ხოლო სვანურში – -(ი)შერ, -შა (←შან), -არ. კრებითობის სუფიქსი -ან

დაერთვის ეპონიმის სახელის სახელობითი ან ნათესაობითი ბრუნვის ფორმას, რასაც, ჩვეულებრივ, მოსდევს მრ. რიცხვის ნიშანი: ბექანა-ან-ნ-ი, ადამა-ან-თ-ი, პავლიას-ან-ებ-ი, ოთიკი-ან-თ-ებ-ი... მეგრულსა და სვანურში პატრონიმული სუფიქსები დაერთვის სახელის ფუძეს: წაკო-თი, არჩილ-შერ, მარგი-ან-შა, გურამ-არ... სვანურში შტოგვარის აღმნიშვნელ სახელთა წარმოება-ბრუნების საკითხები ამომწურავად აქვს შესწავლილი და გაანალიზებული იზა ჩანტლაძეს (იხ. ჩანტლაძე, 1998, გვ. 126-186). პროდუქტიულობის თვალსაზრისით კონვერსია - პატრონიმული სახელი → ოიკონიმი - პირველ ადგილზეა მთიულეთ-გუდამაყარში, ხევსურეთში, ჯავახეთსა და სვანეთში, მეორე ადგილზეა ქართლსა და კახეთში, ხოლო იმერეთსა და სამეგრელოში მხოლოდ ერთეული შემთხვევებით დასტურდება.

მეორეულ მიკროოიკონიმთა მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოქმნილია მეტონიმიის, ანუ სახელწოდების გადანაცვლების გზით ერთი ობიექტიდან მეორე (მიმდებარე) ობიექტზე. ამ შემთხვევაში მიკროდასახლება ითვისებს სახელს იმ ადგილისას, სადაც ან რომლის მოსაზღვრედ იგი წარმოიქმნა. ეს მეთოდი გავრცელებულია ყველა ქართველურ ენასა და დიალექტში. დიდი თუ მცირე დასახლებული პუნქტების სახელებია: კლდე, მუხნარი, ნავთსადენი, ვაშლიანი, პატარა ველი, ორწყალა, ფურნე, ხემაღალი, სუკი "ბორცვი" (მეგრ.), ნაკ "ვაკე" (სვან.) და სხვ.

მიკროოიკონიმიაში იშვიათია ძველი სახელწოდების დისტანციური გადატანა ახალ საცხოვრისზე, ხელოვნური ნომინაცია (მთავრობის დადგენილებით), აბრევიაცია, ტოლად შერწყმა. ყოველივე ზემოთქმული ჩამოყალიბებულია ქვემოთ წარმოდგენილ "ქართველურ მიკროოიკონიმთა წარმოქმნის ზოგად სქემაში":

| ენები | პირველადი ნომინაციით წარმოქმნილნი | | მეორეული ნომინაციით წარმოქმნილნი | | სხვა | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ანთრ.+ტოტ | ოფ+ანთრ. | კონვერსია | მეტონიმია | | |
| ქართ: | 50% | 1% | 40% | 7% | 2% | 100% |
| სვან. | 10% | - | 77% | 11% | 2% | 100% |
| მეგრ. | 9% | 77% | 3% | 9% | 2% | 100% |
| სულ | 23% | 26% | 40% | 9% | 2% | 100% |

დასკვნები:

1. ქართველურ ენათა მიკროოიკონიმიის 49% (გამოანგარიშება ამ და სხვა რუბრიკებშიც მიახლოებითია) პირველადი ნომინაციისაა, ე.ი. წარმოქმნილია როგორც სწორედ ამ უბნის, დასახლების სახელი (მეგრულში – 86%, ქართულში – 51%, სვანურში – მხოლოდ 10%).

2. პირველადი ნომინაციის მიკროოიკონიმები მოტივირებულია: ა. ოიკონიმური ტერმინით (რომელიც აღნიშნავს დასახლების სახეობას) ან თვით ოიკონიმით (იშვიათად). ამასთანავე, მსაზღვრელი კომპონენტი ამ უბნის მცხოვრებთა აღმნიშვნელი საკუთარი ან საზოგადო სახელია (მრ. რიცხვის ნათეს. ბრუნვის ფორმით). მაშასადამე, მიკროოიკონიმი წარმოადგენს სიტყვათშეხამებას (რთულ სახელს), რომელშიც გამოხატულია პოსესიურობა, სახელდარქმეული მიკროობიექტის დანიშნულება-განკუთვნება მსაზღვრელი კომპონენტით აღნიშნული ადამიანთა ჯგუფისათვის (გვარისათვის, გვარის განაყოფისათვის, ამა თუ იმ პროფესიის ადამიანებისათვის...). შედარებით მცირერიცხოვანია გეოგრაფიული თუ ქრონოლოგიურ-მოცულობითი მიმართების, ექსპრესიული შინაარსის გამომხატველი მიკროოიკონიმები.

3. ქართველური მიკროოიკონიმიის მეორე მნიშვნელოვანი ნაწილი, დაახლოებით 49%, წარმოქმნილია მეორეული ნომინაციით, კონკრეტულად კი – კონვერსიითა და მეტონიმიით (ქართულის დიალექტებში – 47%, სვანურში – 88%, მეგრულში – მხოლოდ 12%).

4. ქართველები, ისევე როგორც სხვა არამომთაბარე ხალხები, დასახლებებს ქმნიდნენ ნათესაობრივ-ტერიტორიული ერთიანობის საფუძველზე, ხოლო მისი მცხოვრებნი აღინიშნებოდნენ პატრონიმული სახელების ან ჯგუფური მეტსახელების (ხოლო როცა გვარი შეიქმნა, გვარსახელების) მიხედვით. ეს ვითარება აისახა დიდი თუ მცირე დასახლებული პუნქტების სახელდებისას. ქართველური მიკროოიკონიმიის 89 პროცენტი წარმოქმნილია პატრონიმების, გვარებისა და ჯგუფური მეტსახელებისაგან სიტყვათშეხამების, დერივაციის ან კონვერსია-მეტონიმიის გზით. ეს გარემოება არ წარმოადგენს ქართველურ ენათა თავისებურებას.

მსოფლიოს მრავალ ენაში ანთროპონიმს უკავია უპირველესი ადგილი არა მარტო დასახლებული პუნქტების, არამედ სხვა ობიექტებისათვის სახელების დარქმევისას.

### 3.2. გვართა დასახლებანი სამეგრელოში

ადამიანს თავისი საკუთარი სახელი უფრო ადრე დასჭირდა და, შესაბამისად, ანთროპონიმიაც უფრო ადრე გაფორმდა როგორც სისტემა, ვინემ ტოპონიმია. გეოგრაფიულ სახელწოდებად გადაქცევის ტენდენცია თავდაპირველად იმ საზოგადო სახელებს აღმოაჩნდათ, რომლებიც თავისთავადაც აღნიშნავდნენ ბუნებრივ ობიექტებს – წყალს, მთას, ვაკეს, ხევს, ტყეს, ფლბნოს... საზოგადოების განვითარების ამ პერიოდში ტოპონიმს უნდა გაეცა პასუხი კითხვაზე: რა?. შემდგომ ეტაპზე ყურადღება გადატანილ იქნა საგნის ნიშან-თვისებაზე და ტოპონიმიაშიც აისახა კითხვა: როგორი?. გვაროვნული წყობილების რღვევისა და საზოგადოების კლასობრივი დიფერენციაციის კვალობაზე, განსაკუთრებით, ფეოდალიზმის ეპოქაში, როცა ყოველ გოჯ მიწას პატრონი ჰყავდა, საჭირო გახდა სწორედ მფლობელის, მეპატრონის ვინაობის აღნიშვნა, რამაც გამოიწვია ანთროპონიმულფუძიანი გეოგრაფიული სახელების მოჭარბება. ასეთ ვითარებაში ტოპონიმი უპასუხებს კითხვას – ვისი? (ნიკონოვი, 1965, გვ. 30; პოპოვი, 1965, გვ. 22).

ანთროპონიმთაგან და ეთნონიმთაგან ტოპონიმების წარმოქმნის ტრადიციას უძველეს დროშივე ჩაეყარა საფუძველი. ამის გამოძახილია ზოგი ძველი თხზულების, თუნდაც ბიბლიის, ლეგენდები ქვეყნებისა და ხალხების წარმოშობაზე. XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი "ქართლის ცხოვრებაში" აღნიშნავს, რომ ნოეს შთამომავლის – თარგამოსის – შვილებმა დაარსეს ქვეყნები, კერძოდ, ქართლოსმა – ქართლი, ბარდოსმა - ბარდავი, მოვაკანმა – მოვაკნეთი, ჰეროსმა - ჰერეთი, ეგროსმა – ეგროსი და სხვ.

სხვადასხვა ხალხებისა და ენების ტოპონიმიის კვლევა-ძიებამ ცხადი გახადა, რომ ანთროპონიმები (გვარსახელები, პირსახელები, პატრონიმული სახელები, ინდივიდუალური და ჯგუფური მეტსახელები, ზედწოდებანი) განსაკუთრებით ხშირად მონაწილეობენ დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა ფორმირებაში. მაგალითად, ცენტრალური რუსეთის სხვადასხვა ოლქის ოიკონიმთა 52-70% ანთროპონიმული წარმოშობისაა (გორბანევსკი, 1983). ისიც ცნობილი, რომ რუსეთში პირსახელი ივან და მისგან მომდინარე გვარსახელი ივანოვ ათასობით ქალაქის, სოფლისა თუ უფრო მცირე დასახლებული ერთეულის სახელწოდებას დასდებია საფუძვლად. როგორც ჩანს, ეს ვითარება საერთო (ზოგადტოპონიმიკური) სურათის ამსახველია.

ნებისმიერი ტოპონიმის მიმართ დაისმის ორი მთავარი კითხვა: რატომ დაერქვა? როგორ დაერქვა?. პირველი კითხვის პასუხი დევს ექსტრალინგვისტურ სფეროში და მოტივაციის პრობლემებს შეეხება. მეორე კითხვის პასუხი ლინგვისტურ სფეროს განეკუთვნება და ნომინაციის ენობრივი საშუალებების დადგენას ითვალისწინებს.

სიტყვაწარმოების მიხედვით ანთროპოოიკონიმთა სამი ჯგუფი გამოიყოფა: უაფიქსონი (პრიმარულნი), აფიქსიანნი (დერივაციულნი) და შედგენილნი (თხზულნი, კომპოზიტები). უაფიქსო ანთროპოოიკონიმი ძალზე იშვიათია. შეიძლება დავასახელოთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითი: ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. ლესიჭინეში უბანს ეწოდება მ ა ხ უ ტ ი ა, ხოლო სოფ. მუხურში – ა რ ო ნ ი ა. მომხდარა კონვერსია: პირსახელი მახუტია და გვარსახელი არონია ქცეულან ადგილის (უბნის) სახელებად რაიმე მორფოლოგიური ელემენტის გამოყენების გარეშე. ასეთ შემთხვევაში არაა გამორიცხული პარალელურად აფიქსიანი ვარიანტის არსებობაც: წალენჯიხის რ-ნის სოფ. უბადოლალში ყოფილ დასახლებულ უბანს ეწოდება ა რ ქ ა ნ ი ა//საარქანიო (არქანია გვარია).

#### ლე- პრეფიქსიანი ოიკონიმები

გვარსახელისა და შტოგვარსახელისაგან მიკროოიკონიმებისა და ოიკონიმების საწარმოებლად მეგრულს მოეპოვება საგანგებო აფიქსები, რომელთა დანიშნულება მხოლოდ და მხოლოდ დასახლებული პუნქტის სახელის წარმოებაა. ესენია ლე- და სა-.

პირველი მკვლევრები, რომელთაც სამეგრელოს გეოგრაფიულ სახელებში გამოყვეს ლე- პრეფიქსი და დაუკავშირეს იგი სვანურში ცოცხალ და გავრცელებულ ლე- თავსართს, იყვნენ ალ. ცაგარელი და მ. ჯანაშვილი. ი. ყიფშიძემაც მიუთითა, რომ სვანურიდან ნასესხები ლე- პრეფიქსი მეგრულში გამოიყენება მფლობელის სახელთაგან და გვართაგან ადგილის სახელების საწარმოებლად (ყიფშიძე, 1994, გვ. 180, 476. აქვეა დასახელებული მაგალითები: ლე-ქარდე, ლე-ხაინდრე, ლე-ხარჩილე, ლე-გოგიე, ლე-დგებიე). ნ. მარსა და ვ. თოფურიას დაწერილებით აქვთ

შესწავლილი ნე-, ნი-, ნა-(→ ლე-, ლი-, ლა-) პრეფიქსების წარმოშობისა და დანიშნულების საკითხები (იხ. თოფურია, 1979, გვ. 63-72). საბოლოოდ დადგენილია, რომ სვანურ, მეგრულ და ქართულ (კერძოდ, ლეჩხუმურ) გეოგრაფიულ სახელებში გამოყოფილი ლე- თავსართი სვანური წარმომავლობისაა და ტოპონიმიაში მისი ფუნქცია ადგილის სახელთა წარმოებაა.

სამეგრელოში დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა თითქმის 85% წარმოქმნილია ანთროპონიმთაგან, უპირატესად, გვართაგან. ამასთანავე, აქტიურადაა გამოყენებული ლე- პრეფიქსი, რომელიც საგანგებო ოიკოფორმანტია. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ გვარს დავურთავთ ლე- თავსართს (-ე ბოლოსართით), აუცილებლად მივიღებთ ამ გვარით დასახლებული უბნის სახელწოდებას – ოიკონიმს. სამეგრელოში 400-მდე ლე- პრეფიქსიანი ანთროპოოიკონიმია. ოღონდ მათი გავრცელების არეალია მხოლოდ ოდიშის პლატო, ანუ კოლხეთის ბარის გორაკ-ბორცვაკიანი ნაწილი. ადმინისტრაციულად ესაა წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და მარტვილის რაიონები, აგრეთვე ზუგდიდის, ხობისა და სენაკის რ-ნების აღმ. ნაწილი, რაც ესაზღვრება პირველად დასახელებულ სამ რაიონს. ზღვისპირა ბარში ლე- ადგილს უთმობს სა- პრეფიქსს. მიზეზი გასაგებია: მთიანი სამეგრელო სვანური სუბსტრატის ზონაა. როგორც ჩანს, სვანები ქრისტეს დაბადების შემდეგაც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მოსახლეობდნენ (მეგრელებთან ერთად) ეგრისის ქედის წინამხარში (და მხოლოდ მოგვიანებით გადაინაცვლეს ენგურისა და ცხენისწყლის სათავეებისაკენ). ამაზე მიანიშნებს სვანურის კვალი კოლხეთის ტოპონიმიაში, რაც ადრეც იყო ცნობილი და შემდეგ შეივსო ახალი მასალით (იხ. ცხადაია, 1986).

ლე- პრეფიქსიანი 400-მდე ანთროპოოიკონიმიდან, რაც ზემოთ დავასახელეთ, 300 მაინც მოდის წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და მარტვილის რ-ნებზე, ხოლო 100-მდე – ზუგდიდის, ხობისა და სენაკის რაიონების გორაკ-ბორცვაკიან ზოლზე. თითოეული მათგანის ფუძეა გვარსახელი. ოიკონიმი გამოხატავს უბნის დანიშნულება-განკუთვნებას სახელწოდების ფუძეში აღნიშნული გვარის მატარებლებისათვის. მაგალითად, ლეახალე არის ახალაიების უბანი, ლეფოჩხუე არის ფოჩხუების უბანი, ლეჯაფარძეში ცხოვრობენ ჯაფარიძეები და ა.შ.

ისტორიულ წარსულში, ცხადია, ცალკეულ დასახლებას, როგორც ადამიანთა საცხოვრებლისა და შრომის ადგილის ერთიანობას, ქმნიდნენ, ჩვეულებრივ, ერთი წინაპრის შთამომავლები (სავარაუდოა, რომ ასეთი დასახლებანი გორებზე იყო განლაგებული). სიტყვა "გვარი" თავდაპირველად აღნიშნავდა (და დღესაც აღნიშნავს) ჯიშს, მოდგმა-შთამომავლობას. დროთა განმავლობაში ამ სიტყვამ მნიშვნელობა გაიფართოვა და იქცა საოჯახო-სამემკვიდრეო სახელად, ანუ გვარსახელად, რომელიც ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს. ერთი წინაპრის შთამომავლები, რომელთაც ერთი გვარი დაიმკვიდრეს, ისევ ერთად, კომპაქტურად მოსახლეობდნენ (განაყოფი ოჯახებით). ხოლო სახნავ-სათესები და ტყე-საძოვრები შეიძლება მოშორებით და სხვადასხვა ადგილას ჰქონოდათ. ცალკეულ დასახლებას, რასაც ერთი გვარი ქმნიდა (ე.ი. მონოგენურ დასახლებას), სამეგრელოში ერქმეოდა ამ გვარსახელისაგან ლე-ე კონფიქსით ნაწარმოები სახელი. ამგვარ ოიკონიმსა თუ მიკროოიკონიმს ორმაგი ფუნქცია ჰქონდა – გეოგრაფიული და სოციალური: იგი ადგილის სახელიც იყო და ამ ადგილზე მოსახლე ოჯახების გვაროვნულ-გენეტიკურ ერთიანობასაც ხაზს უსვამდა, რასაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. XX ს. დამდეგსაც კი სამეგრელოში იშვიათი არ ყოფილა მონოგენური დასახლებანი. მაგალითად, 1904 წელს დღევანდელი მარტვილის რ-ნის სოფ. ლეცავეში სახლობდნენ მხოლოდ ცაავები (31 კომლი), ხოლო ლებაჩილეში – მხოლოდ ბაჩილავები (24 კომლი). .

საბჭოთა წყობილების პერიოდში სურათი მნიშვნელოვნად შეიცვალა: ეგრისის ქედის წინამხარის კალთებიდან და ხეობებიდან მოსახლეობამ მასობრივად ჩამოინაცვლა მთისძირებსა და კოლხეთის ბარში. თვით ბარშიც დააცარიელეს მივარდნილი და უშარაგზო უბნები და დასახლდნენ გზისპირებსა და სოფლის ცენტრის ახლომახლო, ქალაქების გარეუბნებში, საბჭოთა მეურნეობებში... მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ეს პროცესი კიდევ უფრო ინტენსიური გახდა. სწორედ ამ მიზეზით ენგურის, მაგანის, ხობისწყლისა და ტეხურის ხეობებში, აგრეთვე ერწყარსა და ოლორს შუა, ზანისა და ცივის, ნოღაიასა და ჩხოუშის სათავეებთან მდებარე სერებსა და გორაკებზე აღარავინ დარჩა. სამაგიეროდ, ბარის (და, საერთოდ, გზისპირა) სოფლები მჭიდრო და მრავალრიცხოვანი, ხოლო უბნები მრავალგვარიანი გახდა. დროებით ვალდებულ გლეხთა 1904 წლის საკომლო აღწერის მასალების თანახმად, სოფ. ლესიჭინეში მოსახლეობდა 250 კომლი სიჭინავა და თითო-თითო კომლი პაპავა და აბაკელია. მაგრამ 90 წლის შემდეგ ამავე სოფელში მკვიდრობდა სიჭინავათა 431 კომლი და 300-ზე მეტი სხვა გვარის თითქმის 700 კომლი.

ლე- პრეფიქსიანი სახელწოდება მთიანი სამეგრელოს მოსახლეობაში, უპირველეს ყოვლისა, დასახლებული უბნის, სოფლის ასოციაციას იწვევს. მსმენელი ძალაუნებურად წარმოიდგენს, რომ, მაგალითად, ლეციკოლიე აუცილებლად იქნება ც ი კ ო ლ ი ე ბ ი თ დასახლებული უბანი, ლექვანიე – ქ ვ ა ნ ი ე ბი თ დასახლებული და ა.შ. ტოპონიმის (ოიკონიმის და სხვ.) ძირითადი ფუნქცია სამისამართო ფუნქციაა. მაგრამ ამასთან ერთად დიდ ინტერესს იწვევს მისი ეტიმოლოგია და ეტიოლოგია, მოტივირება. საკითხი იმას შეეხება, რამდენად შეესაბამება ერთმანეთს სახელწოდება (აღმნიშვნელი) და მისი დენოტატი, სახელდებული ობიექტი (აღსანიშნი). ამის გათვალისწინება აუცილებელია ტოპონიმის ისტორიისათვის. გეოგრაფიული სახელწოდების წარმომავლობისა და მოტივირებულობის კვლევისას აუცილებელია სინქრონიულ-ფუნქციონალური ასპექტის გათვალისწინებაც.

ადამიანის ყოველდღიურმა საქმიანობამ გამოიწვია გეოგრაფიული ორიენტირის, სამეურნეო თვალსაზრისით საჭირო ობიექტების, საგვარტომეულო ტერიტორიის, სხვადასხვა მნიშვნელოვან მოვლენებთან დაკავშირებული ადგილების აღნიშვნის აუცილებლობა. ამდენად, ტოპონიმი თავდაპირველად არა მარტო ადგილის სახელს წარმოადგენდა, არამედ ამ ადგილის შესახებ გარკვეულ ინფორმაციასაც შეიცავდა. სინქრონიული თვალსაზრისით კი ტოპონიმის ძირითადი დანიშნულება მხოლოდ ადგილზე, ობიექტზე მითითებაა: ტოპონიმი ადგილის მისამართია, გარკვეული გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელია და სწორედ ესაა მისი ფუნქცია.

ლე-ე კონფიქსის ფუნქციას წარმოადგენს ოიკონიმის (დასახლებული პუნქტის სახელის) წარმოება. ამოსავალია ამ პუნქტში დასახლებული და დამკვიდრებული გვარსახელი. მაშასადამე, დიაქრონიულად ყველა ლე- პრეფიქსიანი სახელწოდების შინაარსი სავსებით შეესაბამებოდა მის მიერ აღნიშნულ გეოგრაფიულ ობიექტს (ე.ი. ლეშეროზეში აუცილებლად შეროზიები მოსახლეობდნენ, ლეროგეში – როგავები და ა.შ.) და, მაშასადამე, ტოპონიმი მოტივირებული იყო. მაგრამ დროთა განმავლობაში სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება შეიცვალა, მონოგენური დასახლებანი იშვიათად შემორჩა, ან ტოპონიმისათვის ამოსავალი გვარსახელის მქონენი უმცირესობაში აღმოჩნდნენ. სოფ. ლეშამუგეში შამუგიების მხოლოდ რამდენიმე ოჯახი დარჩა, ხოლო შემდეგ ჩასახლებული გოგილავები და ფიფიები გაცილებით მეტნი არიან და უფრო ვრცელი ტერიტორიაც უკავიათ. რა თქმა უნდა, ლეშამუგეს დღეს რომ ერქმეოდეს სახელი, ლეგოგილე ან ლეფიფიე დაერქმეოდა. მაგრამ არსებული სახელწოდება ისტორიულ ვითარებას ასახავს, დამკვიდრებულია და ტრადიციის ძალით განაგრძობს არსებობას.

სხვა შემთხვევაში გვარსახელი ოიკონიმით აღნიშნულ ტერიტორიაზე ამჟამად არაა წარმოდგენილი. ახუთის მეზობლად, ცივსა და ოწყარიეს შუა, არსებობდა სოფელი ლეგერსამე. ნახევარი საუკუნის წინათ გერსამიებმა დატოვეს ეს უშარაგზო ადგილი. დღეს ლეგერსამე აღიქმება როგორც გერსამიების ყოფილი საცხოვრისი. მაშასადამე, უწინ არსებული შესაბამისობა ლეგერსამესა და გვარ გერსამიას შორის ჯერ კიდევ არაა გამქრალი, მოტივაცია ცოცხალია. მაგრამ არის შემთხვევები, როცა სათანადო მოტივაცია სავარაუდოა, თეორიულია: ჭანისწყლის მარცხენა ნაპირას მდებარეობს სოფელი ლეკაკულე (ჯგალის თემი). მისი ძირითადი მოსახლენი კვარაცხელიები არიან, კაკულიები კი არ ჩანან და უწინდელ დროში მათი აქ ნამყოფობის შესახებ არაფერი სმენიათ. ამის მიუხედავად, სახელწოდებასა და აღსანიშნ ობიექტს შორის ნაწილობრივი შესაბამისობა მაინც აღიქმება: ტოპონიმი გამჭვირვალეა, რადგანაც გვარი კაკულია საერთოდ გავრცელებულია ამ რეგიონში. იშვიათი არაა ისეთი შემთხვევა, როცა ლე- პრეფიქსიანი სახელწოდება აღნიშნავს არა დასახლებულ პუნქტს, არამედ ბორცვს, ხეობას, ტყეს, სახნავს, საბალახოს... მაგალითად: ლეგუნე – ბორცვი სალხინოში, ლეკვარაცხილე – სერი ახუთში, ეზაქარაიე – სახნავები ნაჯახაოში და სხვ. ამ ტოპონიმებში წარმოდგენილი გვარები რეალურად არსებობს და ამიტომაც მოსახლეობა ვარაუდობს სახელწოდებასა და სათანადო გვარსახელს შორის წარსულში კავშირის არსებობას.

ყველა ზემოგანხილულ შემთხვევაში (ა. როცა გვარი უმრავლესობას შეადგენს; ბ. როცა გვარი უმცირესობას შეადგენს; გ. როცა გვარი აქ უკვე აღარაა განსახლებული; დ. როცა გვარის აქ ნამყოფობა სავარაუდოა) ლე-ე კონფიქსიანი ანთროპოტოპონიმი დასახლებულ პუნქტს აღნიშნავს (ან აღნიშნავდა), გამჭვირვალეა და მოტივირებული, სახელწოდების შინაარსი სრულად თუ ნაწილობრივ შეესაბამება აღსანიშნ ობიექტს.

ზოგ შემთხვევაში ლე- პრეფიქსიანი ტოპონიმისათვის ამოსავალ ფუძედ სავარაუდებელი გვარი ამჟამად არ არსებობს: ლექვაჩალე ტყიანი ხეობაა სანაჭყებიოში, ლებარჯანე ჩაის პლანტაციაა კურზუში, ლეღანკანე ბორცვია ქოყოში, ლეპაზე სერია ახუთში... რაც ლე-

პრეფიქსს მოსდევს, თეორიულად გვარსახელი უნდა იყოს. მაგრამ გვარებს – ქვაჩალია, ბარჯანია, ღანკანია, პაზია... არ იცნობს თანამედროვე სამეგრელო. მაშასადამე, ფუნქციონირების ზონაში ლექვაჩალე, ლებარჯანე, ლეღანკანე, ლეპაზე სემანტიკურად ბუნდოვანი ტოპონიმებია.

ანთროპოოიკონიმის ფუძე შესაძლოა მიჩქმალული იყოს ფონეტიკური პროცესების შედეგად. ტებენეს ხეობის ვრცელ ტყიან ნაწილს ეწოდება ლეგერდე (ფახულანი). თუ გავითვალისწინებთ, რომ მეგრულში ხშირია ჰაპლოლოგია (ფუძიდან მარცვლის ამოვარდნა), ხოლო ლეგერდედან 5-6 კმ-ზე არის უბანი ლეგერგედე//საგერგედა, მაშინ ძნელი არაა ვივარაუდოთ, რომ ლეგერდეშიც ოდესღაც გერგედავები მოსახლეობდნენ. ამგვარი ფუძეგაბუნდოვანებული ტოპონიმების (უწინდელი ოიკონიმების) ერთადერთი ფუნქცია ადგილის აღნიშვნაა. სახელწოდება მთლიანად ნომინატიურია და სხვა (დამატებითი) ინფორმაციით დატვირთული არ არის.

საერთოდ, 3-4 კომლით მაინც უნდა იყოს გვარი ერთ ადგილას წარმოდგენილი, რომ მისგან ლე- (ან სა-) პრეფიქსით ოიკონიმი წარმოიქმნას, ე.ი. გვარსახელი უნდა ქმნიდეს ცალკე დასახლებას, დიდსა თუ მცირეს. მაგრამ იშვიათ შემთხვევაში ანთროპოოიკონიმისათვის ამოსავალია არა გვარი, არამედ ეპონიმის პირსახელი თუ მეტსახელი. სოფ. პირველ ჭოღაში შენგელიები ცხოვრობენ. მათი ერთ-ერთი შტოა ჯვატაშ ნარყი, ანუ ჯვატარეფი. ჯვატა მათი წინაპრის მეტსახელი ყოფილა. მიკროუბანს (ოჩხომურის მარჯ. ნაპირას), სადაც ჯვატარეფი (ე.ი. ჯვატას შთამომავლები) მოსახლეობენ, ეწოდება ლ ე ჯ ვ ა ტ ე. ლე-ე (ზ.-მ. თქმაში: ჲე-ე ან ე-ე) რამდენიმე სხვა შემთხვევაშიც გამოუყენებიათ გვარის განაყოფის, ანუ შტოგვარის, სახელის საწარმოებლად, ხოლო ამგვარი შტოგვარსახელი შემდგომში მიკროუბნის სახელადაც ქცეულა კონვერსიის წყალობით: ე ბ უ ძ ღ ა ე//ბუძღაიაშ სამოხიო მიკროუბანია სოფ. საფოჩხუოში. აქ ბუძღაია ფოჩხუას შთამომავლები ცხოვრობენ და ცალკე სანათესაო ("სამოხიო") აქვთ. ე ბ უ ღ ე დანელიების უბნის ნაწილია სოფ. ნაჯახავოში. აქ ბუღა (ბუღა მეტსახელია) დანელიას შთამომავლები მკვიდრობენ. ე ჭ ყ ი რ უ ე უბან ეგეგეჭკორეს ნაწილია ჰ. ინჩხურში. ინფ.: "აქ მოსახლეობენ ჭყირუები – გეგეჭკორების ერთი შტო. ჭყირუ მათი წინაპრის მეტსახელი ყოფილა".

მეგრულის ტოპონიმიკურ სისტემაში პრეფიქსები მკაცრადაა განაწილებული ამოსავალი ფუძეების მიხედვით: -ონა სუფიქსი აწარმოებს ტოპონიმებს მცენარეთა სახელებისაგან (ჭუბურ-ონა, წიფურ-ონა...), ო- პრეფიქსი – ცხოველთა და ფრინველთა სახელებისაგან (ო-ირემე, ო-ყორანე...), ხოლო ლე- პრეფიქსისათვის ჩვეულებრივი და ბუნებრივია უბნის სახელის წარმოება გვარსახელებისაგან. ამიტომაც ტოპონიმ ო ჩ ხ ა რ ჩ ხ ა ლ ე-სათვის ამოსავალია პირველადი საწყისი ჩხარჩხალი "წყლის ჩხრიალი", ხოლო ლ ე ჩ ხ ა რ ჩ ხ ა ლ ე-სათვის - გვარსახელი ჩხარჩხალია. ო ბ ჟ ა ე "სამზეო, მზვარე" ტოპონიმად ქცეული საზოგადო სახელია, მაგრამ ე ბ ჟ ა ე მომდინარეობს გვარსახელისაგან ბჟალავა. ასევე: ოწიფურე და წიფურონა წიფლნარი ტყის სახელია, ხოლო ლეწიფურიე- წიფურიებით დასახლებული უბნისა... ლე- პრეფიქსიანი ტოპონიმის ფუძეში აუცილებლად უნდა ვეძიოთ გვარი მაშინაც კი, როცა შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ფუძე საზოგადო სიტყვაა: ბურჭული წალდია, მაგრამ ტოპონიმ ლ ე ბ უ რ ჭ უ ლ ე-სათვის (ბორცვი ახუთში) ამოსავალია გვარი ბურჭულია, ლ ე გ ი დ ე ლ ე-სათვის (უბანი თაიაში) ამოსავალია არა გიდელი, არამედ გვარსახელი გიდელია (ამ უბნის მოსახლეებმა არც იციან, რომ ასეთი გვარი არსებობს), ლ ე მ ა გ ა ნ ე-სათვის (ჩაის პლანტაცია ალერტში) ამოსავალია არა მაგანა "ნამგალი", არამედ გვარი მაგანია და ა.შ. ხალხური ეტიმოლოგია ამგვარი ტოპონიმების ფუძეებში ხედავს სწორედ საზოგადო სახელს. ეს განსაკუთრებით მაშინ ხდება, როცა ფუძე-გვარი არ არის ცნობილი ტოპონიმის ფუნქციონირების მიკროზონაში.

კიდევ ერთი გარემოება: უშუალო ფუძისა და მისი მნიშვნელობის დადგენით ტოპონიმთა ეტიმოლოგია ფაქტობრივად ამოწურულია. ტოპონიმისტისათვის სავსებით საკმარისია იმის დადგენა, რომ ოიკონიმ ლეკურდღელეს ფუძეა გვარსახელი კურდღელია. ხოლო იმის გარკვევა, თუ რა ურთიერთობა არის კურდღელსა და გვარსახელ კურდღელიას შორის, უკვე ანთროპონიმიკის კვლევის ობიექტია.

სპეციალური ტოპომაწარმოებელი ფორმანტები თავდაპირველად არ უნდა არსებულიყო ენაში. როცა საჭირო გახდა, გეოგრაფიული სახელწოდების გაფორმებაც აპელატიურ (ანუ საზოგადო სიტყვაწარმოების) ელემენტებს დაეკისრა. დროთა განმავლობაში ზოგი მათგანი სავსებით ან ნაწილობრივ მიისაკუთრა ტოპონიმიამ და ტოპომაწარმოებელ ოდენობად აქცია, ტოპონიმიის გარეშე არსებობა თითქმის შეუწყვიტა (ნიკონოვი, 1969). ერთ-ერთ ასეთ ფორმანტად

მიგვაჩნია მეგრულის ლე- პრეფიქსი, რომელიც ოდენ ტოპომაწარმოებელი მორფემაა, მაშინ როცა სვანურში ლე- პრეფიქსი საზოგადო სახელების საწარმოებლადაც არის გამოყენებული.

ლე- პრეფიქსის დართვა იწვევს ზოგ ფონეტიკურ მოვლენას, როგორიცაა: ა. ჰაპლოლოგია (ცვეკვეცია → ლეკვეკვეციე → ლეკვეციე, წურწუმია → ლეწურწუმე → ლერწუმე, ფიფია → ლეფიფიე → ლეფიე...); ბ. გვარის თავკიდური ან შიდა ხმოვნის რედუქცია (უბილავა → ლეუბილე → ლებლე, ესართია → ლესართე, სოსელია → ლესოსლე, კაჭარავა → ლეკაჭრე...). გვარსახელის ბოლოში ცვლილებებს იწვევს -ე სუფიქსი: კალანდია → ლეკალანდე, ბერია → ლებერიე, პაპავა → ლეპაპე, ზარქუა → ლეზარქუე, ბაღისკუა → ებაღსკუე (ზ.-მ. თქმაში), ჩოკორაია → ლეჩოკორე, ბირკაია → ებირკაიე... აქვე უნდა აღინიშნოს, რომ -ავა დაბოლოება ოიკონიმთა ოფიციალურ ფორმებში მხოლოდ ბოლოკიდურ ა ხმოვანს კარგავს: პატარავა → ლეპატარავე, ხაინდრავა → ლეხაინდრავო... ზ.-მ. თქმის ზონაში ჩვეულებრივია ლ- თანხმოვნის დასუსტება და დაკარგვა: კალანდია → კაʟანდია → ეკაʟანდიე → ეკაენდიე, ბეალავა → ბეაʟა → ებეაე.

### სა- პრეფიქსიანი ოიკონიმები

სა- ცოცხალი და პროდუქტიული პრეფიქსია ქართული ენისა. იგი კუთვნილება-დანიშნულებას გამოხატავს და გეოგრაფიულ სახელებსაც აწარმოებს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში შესაძლებელია ფუძედ გვქონდეს ეროვნულ-ტომობრივი, საგვარეულო ან რომელიმე მფლობელის სახელი, საზოგადო თუ საკუთარი, მაგალითად, სა-მეგრელ-ო, სა-ზან-ო, სა-გარეჯ-ო, სა-გურამ-ო... (შანიძე, 1973; მორფ. ლექსიკონი, 1986, გვ. 374-375). შენიშნულია ისიც, რომ სა- პრეფიქსიანი სახელები ფუნქციურად დიფერენცირებულია თანმხლები სუფიქსების მიხედვით: სა-ე კონფიქსი წარმოქმნის ტოპონიმებს მცენარეთა, ცხოველთა და სხვა რა ჯგუფის საზოგადო სახელთაგან; სა-ო აწარმოებს ტოპონიმებს ანთროპონიმებისაგან, ეთნიკური ან ვინ ჯგუფის საზოგადო სახელებისაგან. პირველ შემთხვევაში ხაზგასმულია დანიშნულება, მეორე შემთხვევაში – განკუთვნება-ვისობა (ახვლედიანი, 1923, გვ. 56-60; ზურაბიშვილი, 1961, გვ. 154).

საკუთრივ ქართული წარმოშობის სა- პრეფიქსი შეთვისებული და გავრცელებულია მეგრულშიც, სადაც იგი წარმოქმნის როგორც აბსტრაქტულ სახელებსა და ზედსართავებს, ისე ადგილის სახელწოდებებსაც (ყიფშიძე, 1994, გვ. 181). დადგენილია, რომ სა- პრეფიქსიანი მეგრული ოიკონიმებისათვის ამოსავალია გვარსახელი, რომლითაც დასახლებულია სოფელი (ჩიქობავა, 1942, 196-197; კაჭარავა, 1960, გვ. 219).

სა-ო კონფიქსს მეგრულში აპელატიური დანიშნულებაც აქვს და ტოპონიმურიც. იგი ამ ორ სფეროს შორის ბრძოლის ობიექტია. ამ ბრძოლაში ტოპონიმიამ ნაწილობრივ მიისაკუთრა აღნიშნული პრეფიქს-სუფიქსი და იგი საგანგებო ტოპომორფემად აქცია – გვარსახელთაგან ოიკონიმის წარმოების ფუნქცია დააკისრა, რაც შედარებით ახალი მოვლენაა, ვინემ ამავე მნიშვნელობით ლე- პრეფიქსის გამოყენება. ოღონდ ტოპონიმის თავკიდური სა- ყველა შემთხვევაში არ არის ტოპომაწარმოებელი ელემენტი (მაგალითად, ტოპონიმი ს ა ც ხ ე ნ ო საზღვრულდაკარგული და გასუბსტანტივებული ადიექტივია, ე.ი. აქ სა- არაა ტოპოფორმანტი).

სამეგრელოში თითქმის 1000-მდე ოიკონიმი არის წარმოქმნილია გვარსახელისაგან სა- ან სა-ო აფიქსებით. მათგან მხოლოდ 40-მდეა სოფლის სახელი (სამესხიო ← მესხია, საბერულავო ← ბერულავა, სანაჭყებიო ← ნაჭყებია...), ძირითადი ნაწილი კი უბნის სახელებია. ზოგ სოფელში სა-პრეფიქსიანი მიკროოიკონიმი ორ ათეულსაც კი აჭარბებს. მაგალითად, სოფ. კახათში უბნებია: სააბსაო, საკობიო, საბიჭიო, საგეთიო, საგუგუჩიო, სადარასელიო, სათოლორაიო, სათორიო, საკაკულიო, საკეზუო, სალოგუო, სამოსიო, სანარმანიო, სანაყოფიო, სანაჭყებიო, საპერტაიო-საფუტკარანძო, სასვირა́, საქუხილო, საშამახიო, საშედანიო, საჩახაიო, საჭეჟიო, საჭითანაო, საჭკადუო, საჯიქიო, საჯგვიშიო (სულ 26 ერთეული). ყველა ჩამოთვლილი ოიკონიმისათვის ამოსავალია ის გვარსახელი, რომელიც დამკვიდრებულია სახელდებულ უბანსა თუ მიკროუბანში.

იშვიათად სა-ო კონფიქსი შეიძლება შეგვხვდეს პირსახელთანაც და მეტსახელთანაც. კირცხში ერთმანეთის გვერდით მდებარე მიკროუბნებს ეწოდებათ ს ა ბ უ ხ უ ო და ს ა ძ ღ ვ ი ძ ღ ვ ო. ბუხუ და ძღვიძღვი ჯიქიები ძმები ყოფილან. საბუხუოში ბუხუს შთამომავლები მკვიდრობენ, ხოლო საძღვიძღვოში – ძღვიძღვისა. მეორე ონტოფოში უბანს ეწოდება ს ა გ უ ჯ უ ო. გუჯუ არის ნადარაიების ერთ-ერთი შტოს მეტსახელი. საგუჯუოში მისი შთამომავლები მოსახლეობენ.

ზემოთ აღნიშნულ სამსავე შემთხვევაში ოიკონიმი შეიცავს ინფორმაციას უბნის

დანიშნულებისა (საცხოვრისი დანიშნულია ადამიანთა გარკვეული ჯგუფისათვის) და ამ უბანში მოსახლეთა საერთო წარმომავლობის, ანუ სისხლითი ნათესაობის შესახებ. ამ ინფორმაციის მატარებელია სა-ო კონფიქსი (შდრ. ლე-ე). იმ შემთხვევისათვის, როცა საჭიროა აღინიშნოს ამა თუ იმ გვარის ნამყოფობა გარკვეულ ტერიტორიაზე, მეგრულს მოეპოვება პრეფიქსი ნა- (ნახურცილავო – ადგილი, სადაც ხურცილავას უცხოვრია). ამასთანავე, სა- პრეფიქსიანი ანთროპოოიკონიმი ზოგ შემთხვევაში განაგრძობს არსებობას მაშინაც კი, როცა ფუძეში აღნიშნული გვარსახელი უკვე არაა წარმოდგენილი ოიკონიმით აღნიშნულ ადგილზე: საანჯაფარიოში (სოფ. კიწია) უკვე აღარ მკვიდრობენ ანჯაფარიძეები, საკვირკველიოში (ქვ. ჩხოროწყუ) აღარ ჩანან კვირკველიები და სხვ. არის შემთხვევა, როცა სა- პრეფიქსიანი სახელწოდება მიემართება ისეთ მცირე გეოგრაფიულ ობიექტს, სადაც არ შეიძლებოდა დასახლება ყოფილიყო. მიზეზი ის არის, რომ სა- პრეფიქსს შეუძლია გამოხატოს არა მარტო ადგილის დანიშნულება ამა თუ იმ გვარსახელისათვის, არამედ აგრეთვე განკუთვნებაც (იშვიათად): საკეშილა (სახნავი სოფ. ტალერში) ეკუთვნოდა კეშილავას და იჯარით აძლევდა გლეხებს (მათგან იღებდა შემოსავლის მესამედს). სოფ. გარახაში ორი სეხნია ტოპონიმი დაფიქსირდა ერთმანეთის მოშორებით. ესაა სამელიო. ერთი მათგანი აღნიშნავს მელიებით დასახლებულ უბანს, მეორე კი – ჰალა-სახნავს, რომელსაც მელიები ფლობდნენ.

სა-ო მეგრულში, ისევე როგორც ქართულში, აწარმოებს მსხვილი საფეოდალო ერთეულების სახელწოდებასაც. ამასთანავე, ამოსავალია პირსახელი, გვარსახელი თუ თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინი: სამურზაყანო (ისტორიული კუთხე ენგურსა და ღალიძგას შუა. XVIII ს. დამდეგს მართავდა მურზაყან შერვაშიძე), სადადიანო (ყოფილი ზუგდიდის მაზრის ნაწილი), სამანიჩო//სამანიჩო ქიანა – ტერიტორია ხობისწყლისა და ოჩხომურის შესართავთან (ეკუთვნოდა მანუჩარ დადიანს), საათაქიო//საათაქიო ენწერი (მაღლობი ენგურის მარც. მხარეს), სალიპარტიანო (ერქვა მსხვილ ფეოდალურ ერთეულს მთა უნაგირასა და ცხენისწყალს შუა) და სხვ. ყველა დასახელებულ შემთხვევაში სა-ო გამოხატავს დანიშნულებასაც და განკუთვნება-ვისობასაც, ოღონდ მმართველი ფენისადმი, მაღალი წოდებისადმი, თავადაზნაურობისადმი. ისიც ცნობილია, რომ სა-ო ეთნონიმთაგან აწარმოებს (ისევ და ისევ ქართული მოდელით) ქვეყნისა თუ ცალკეული კუთხეების სახელებსაც (სამარგალო, საქორთუო, საათხაზო).

სავარაუდოა, რომ სა-ო კონფიქსი თავდაპირველად უშუალოდ ტოპონიმს (ოიკონიმს) კი არ აწარმოებდა, არამედ ზედსართავ სახელს, რომელიც ახლდა გეოგრაფიულ ტერმინს და მიუთითებდა ობიექტის დანიშნულებაზე. ამისი გადმონაშთია ასეთი პარალელური ფორმები: საახალაიო//საახალაიო კუნთხუ (ახალაიების უბანი ნაგვაზავოში), სააბაშიო//სააბაშიო კუნთხუ (უბანი ახუთში) და სხვ. საახალაიო, სააბაშიო... ამ შემთხვევაში საზღვრულდაკარგული და ამ მიზეზით გატოპონიმებული დანიშნულების სახელებია (შდრ. სასადილო ← სასადილო ოთახი).

იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება ტოლადშერწყმული ოიკონიმები: ხობის რ-ნში სოფელს ეწოდება საალანიო-საფაჩულიო. იგი შედგება ორი უბნისაგან. ერთია საალანიო (მაგარნას მარც. მხარეს) და მეორე – საფაჩულიო (მაგარნასა და სადაღალს შუა). ხეთაში (ხობის რ), ურთის მთის კალთაზე, უბანს ეწოდება საგადელიო-საკანკიო· სხვა მიზეზით: უბანში ერთად მოსახლეობენ გადელიები და კანკიები, რომლებიც ერთადვე მოსულან სოფ. კიწიიდან.

სა-ო კონფიქსის დართვა იწვევს გვარსახელის -ა ან -ვა დაბოლოებათა მოკვეცას: კვირტია → საკვირტიო, ლუკავა → სალუკა (შდრ. ოფიციალური სახელწოდება სოფლისა საბერულავო ← ბერულავა), ვეკუა → სავეკუო, ხასაია → სახასაიო და სხვ.

როგორია ლე- და სა- აფიქსთა ურთიერთმიმართება ოიკონიმიაში?

ისინი თითქმის ერთნაირი ფუნქციისანი არიან და მორფოლოგიური ეკვივალენტების შთაბეჭდილებას ტოვებენ: თანაბარი ძალით შეუძლიათ ერთი და იმავე გვარისაგან ოიკონიმის წარმოება. ეს იწვევს ასეთი პარალელური ფორმების წარმოქმნას: საფირცხელა //ლეფირცხელე – უბანი ზუმში (ცხოვრობენ ფირცხელავები), სამატუო//ლემატუე – უბანი ობუჯში (ცხოვრობენ მატუები), სანადარაიო// ლენადარაიე – უბანი ლედგებეში და სხვ.

ორიოდე შემთხვევაში ლე- და სა- პრეფიქსების მონაცვლეობა გამოყენებულია სოფლისა და მისი ერთ-ერთი უბნის სახელის, ან ერთი სოფლის ორი უბნის სახელის გასარჩევად (როცა ამოსავალი ფუძე ერთი და იგივე გვარსახელია). ხობისწყლის მარც. მხარეს მდებარეობდა წურწუმიების დასახლება ლ ე წ უ რ წ უ მ ე. მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს სახელი გავრცელდა მთელ სოფელზე (ხობის რ.), მასში შემავალ წურწუმიებით დასახლებულ უბანს პრეფიქსი შეეცვალა და

ეწოდა ს ა წ უ რ წ უ მ ი ო. ამავე სოფელში დაუსახლებელ გორაკ-ფერდობებს ეწოდება ლ ე ს ა რ თ ე, ხოლო მცირე ღელის იქით ესართიებით (ალბათ ლესართედან ჩასახლებულთა შთამომავლებით) დასახლებულ უბანს – ს ა ე ს ა რ თ ი ო.

აშკარად ჩანს, რომ ლე- პრეფიქსიანი წარმოება უფრო ძველი და მყარია. ჯერ ერთი, მთა-სამეგრელოს სიღრმეში, მდინარეთა დაუსახლებელ ხეობებსა და მთის კალთებზე გვხვდება ლე-პრეფიქსიანი ანთროპოტოპონიმები, სა- პრეფიქსიანები კი ძალზე იშვიათია. მეორე, სა-პრეფიქსიანი ტოპონიმები სემანტიკურად თითქმის ყოველთვის გამჭვირვალეა, რასაც ვერ ვიტყვით ლე- პრეფიქსიანებზე. ხობისწყლის ზემოთში დაფიქსირებულია ლეუკუნე, ლეღურათე, ლეჯგამურე, ხოლო ტეხურის ზემოთში – ლეკოთორე, ლეკუდელე, ლეცხერუა, ლექეხა... ჩვენი ღრმა რწმენით, ეს ტოპონიმებიც გვარსახელებიდან მომდინარეობენ, მაგრამ ეს გვარსახელები დიდი ხანია გამქრალან (ამ არეალში მაინც).. ამის გარდა, სა- პრეფიქსიან ანთროპოტოპონიმებს ერთგვარად ზედსართავი სახელის ელფერი გადაჰკრავთ და ზოგჯერ კიდეც წარმოადგენენ ატრიბუტულ მსაზღვრელებს, რასაც ვერ ვიტყვით ლე- პრეფიქსიანებზე.

საინტერესოა ლე- და სა- პრეფიქსიანი ოიკონიმების ლოკალიზაციის სურათი. აშკარად გამოიყოფა სამი ზონა. პირველი: ლე- პრეფიქსის უპირატესობის ზონა. ესაა მთიანი სამეგრელოს ძირითადი ნაწილი, დაწყებული ეგრისის ქედის წინამხრიდან დასავლეთით 25-30 კმ-ზე; მაგალითად, კუხეში (სოფელი წალენჯიხის რ-ნში, ინწირის ხეობაში) ლე- პრეფიქსით ნაწარმოები 11 მიკროოიკონიმი დაფიქსირდა, სა- პრეფიქსით ნაწარმოები კი – არც ერთი. მეორე: სა- პრეფიქსის ერთადერთობის ზონა, ესაა ვაკე სამეგრელო, კოლხეთის დაბლობის ნაწილი, დაწყებული ზღვისპირეთიდან და გაგრძელებული აღმოსავლეთით 10-15 კმ-ზე (უფრო გვიან არის გამოყენებული მასობრივად დასახლებისათვის). მაგალითად, ხობის რ-ნის სოფ. გამოღმა პირველ ხორგაში დასახლებულ უბნებს ეწოდებათ: საანთალა, საბერაიო, სადოლბაიო, საკარტოზიო, სამირცხულა, სანარსქუო, საპაჭკორიო, საშელიო, საჩარგაზიო, საჭაჭიო; მესამე: გარდამავალი ზონა (ზემოთ აღნიშნულ ორ ზონას შუა მდებარე ტერიტორია), სადაც ერთმანეთის გვერდით გვხვდება ლე- და სა- პრეფიქსიანი ტოპონიმები. აქაც ერთი მაგალითის მოყვანით დავკმაყოფილდებით: ახუთში სა- პრეფიქსით არის წარმოქმნილი 24 მიკროოიკონიმი, ლე-პრეფიქსით - 12 მიკროოიკონიმი, ხოლო ოთხ შემთხვევაში ეს ორი პრეფიქსი ენაცვლება ერთმანეთს (ლეგერსამე//საგერსამიო და სხვ).

სამეგრელოს ტოპონიმიის ანალიზი ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ "გვართაგან სა-პრეფიქსით სოფლის სახელის წარმოება შედარებით ყველაზე ახალია. გაცილებით უფრო ძველია ლე- პრეფიქსის გამოყენება ამავე შემთხვევაში" (ჩიქობავა, 1942, გვ. 197). ლე- აშკარად სვანური წარმომავლობისაა, სა- კი ქართულიდანაა შეთვისებული. დასაზუსტებელია მეგრულში მათი დამკვიდრების გზები და პირობები. ლე-//ლა- გავრცელებული და პროდუქტიულია სვანური ენის საზოგადო სიტყვაწარმოებასა და ტოპონიმიაში, გვხვდება ლეჩხუმის ტოპონიმიაშიც, მაგრამ გვართაგან და პირსახელთაგან უბნის სახელის წარმოება ლე-ს მხოლოდ მეგრულში აკისრია, სადაც ლე- პლუს გვარსახელი აუცილებლად წარმოქმნის ოიკონიმს.

ცხადია, საცალფეხო გზებით ლე- სვანეთიდან სამეგრელოში ვერ ჩამოაღწევდა. ერთი ენიდან მეორე (თუნდაც მონათესავე) ენაში მორფოლოგიური ელემენტის შეღწევა-გავრცელებისათვის საჭიროა ამ ენებზე მოსაუბრე ადამიანთა ჯგუფის ხანგრძლივი თანაცხოვრება, რაც შეიძლება ბოლოს ორენოვნებაშიც კი გადაიზარდოს. ეს კი, თავის მხრივ, ენათა შერწყმით, ერთი ენის გამარჯვებით და სუბსტრატული თუ სუპერსტრატული ენობრივი (და ეთნოგრაფიული) ფაქტებით მთავრდება. ასეთი რამე კი შეუძლებელი იყო მას შემდეგ, რაც სვანები დღევანდელი სვანეთის ტერიტორიაზე დამკვიდრდნენ.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ კოლხეთი სვანთა გადანაცხოვრი ტერიტორიაა და სოხუმი, ლანჩხუთი, ფოთი, მუქავა სვანური ტოპონიმებია. პტოლემაიოსთანაც მოიპოვება ცნობა სვან-კოლხთა ნარევი ტომის შესახებ. სამხრეთიდან ზანთა მოწოლის შედეგად მომხდარა სვანების გადაადგილება ჩრდილოეთით, მთებში. სავარაუდოა, რომ ახალი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში ეგრისის მთის წინამხარში დარჩენილი სვანები და ზანები შეერწყნენ ერთმანეთს. სწორედ ამ პერიოდში შეითვისებდა მეგრული სვანურ ლა-//ლე- ფორმანტებს. ისინი სვანურის სუბსტრატია მეგრულში. ლაზურში, რა თქმა უნდა, იგი არ მოიპოვება. საერთოდ, სვანურის კვალი განსაკუთრებით ხელშესახებია მთიანი სამეგრელოს ტოპონიმიაში (იხ. ცხადაია, 1986).

ხოლო რაც შეეხება სა- პრეფიქსს, იგი, ერთი მხრივ, სალიტერატურო ენის გავლენით, ხოლო მეორე მხრივ, იმერულისა და გურულის გზით ჩანს დამკვიდრებული მეგრულში.

### პატრონიმული სახელები მიკროოიკონიმებად

კომპაქტურად დასახლებული გვარსახელი დროთა განმავლობაში შეიძლება ისე მრავალრიცხოვანი გახდეს, რომ ერთგვარად შესუსტდეს ნათესაური კავშირები, გვარმა ნაწილობრივ მაინც დაკარგოს გენეტიკური იდენტიფიკაციის ფუნქცია. ასეთ შემთხვევაში ხდება გვარის დაყოფა უფრო ახლოს მდგომ მცირე-მცირე ნათესაურ ჯგუფებად, ანუ შტოგვარებად. შტოგვარი, ე.ი. გვარის განაყოფი, განშტოება ატარებს წინაპრის (მამაკაცის ხაზით) სახელს, მეტსახელს ან ზედწოდებას. ეს ეთნოგრაფიული ფაქტი ქართველური ენების დიალექტებში სხვადასხვა სიტყვებითაა აღნიშნული: ბაბუიშვილობა (რაჭაში), ბუდობა (კახეთში), ნოგრო (აჭარაში), სამხუბ//ლამხუბი (სვანეთში) და სხვ. ზოგ შემთხვევაში გვარის დანაყოფები ისე შორდებიან ერთმანეთს, რომ მათ წარმომადგენლებს შორის ქორწინებაც დასაშვებია (მაგალითად, ქიზიყში "ზედაშის ცალკეობა" გვარის შიგნით ქორწინების უფლებასთან არის გაიგივებული. იხ. ნანობაშვილი, 1988, გვ. 11-12). გვარის განაყოფს მეგრულში ეწოდება გამნარყი "განაყოფი. შთამომავლობა"და მისი სახელი იწარმოება -თი სუფიქსოიდით (ფუნქციით კახური დიალექტის -ან სუფიქსის მორფოლოგიური ეკვივალენტია).

ი. ყიფშიძე განმარტავს, რომ -თი არის "სახლი, ოჯახი, ეზო. გვარი, მეთაური" და ამას სათანადო კონტექსტებითაც ასაბუთებს: მიდართ მუში თიშა "წავიდა თავის სახლში", ჩქიმი თი "ჩემი ოჯახი", ჩქიმითური "ჩემიანი", თური კათა "თავისიანნი, მოგვარენი" (ყიფშიძე, 1994, გვ. 842). მართალია, თი ლექსიკური ერთეულია, მაგრამ სიტყვაწარმოებითი ელემენტის ფუნქციაც მიუღია, კერძოდ, წარმოქმნის შტოგვარის სახელებს, რასაც პატრონიმებსაც უწოდებენ. ისინი მეტონიმია-კონვერსიის გზით ადვილად იქცევა შტოგვარის კომპაქტური საცხოვრისის სახელწოდებად – მიკროოიკონიმად. თვალსაჩინოებისათვის მოვიშველიებთ ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ლესიჭინის მასალას. სოფლის სახელწოდება მომდინარეობს გვარ სიჭინავა-საგან. მაგრამ სამეგრელოში არც ერთ სხვა შემთხვევაში ერთ გვარსახელს არ უკავია ასე ვრცელი ტერიტორია და არ არის ასე მრავალრიცხოვანი (ერთი სოფლის ფარგლებში). მართალია, ამჟამად ლესიჭინეში 300 გვარზე მეტი მოსახლეობს, მაგრამ საუკუნის წინათ ამ სოფელში თითქმის მხოლოდ სიჭინავები მკვიდრობდნენ რამდენიმე კვ.კმ-ზე, ხობისწყლის მარცხენა ნაპირიდან დაწყებული აღმოსავლეთით, მდ. ცივის ხეობამდე. სიჭინავები ლესიჭინეში რამდენიმე მიკროუბანს ქმნიან მცირე მდინარეთა ხეობებსა და მათ შორის მდებარე სერებზე. აი, ეს მიკროუბნები: გურ(ი)შიათი, მაჭვიტაიათი, შაშქიათი//შაშკიათი, წაკოთი, ძაღლიათი, ხახულიათი, პაპათი, ბაბკოთი, გალითი, თამაზეთი. ამ ტოპონიმებისათვის ამოსავალია პირსახელები: გურიშია, მაჭვიტაია, შაშ(უ)კია, წაკო(ია), ძაღ(ი)ლია, ხახულია, პაპაჩია, ბაბ(უ)კოჩი... ისინი სიჭინავები იყვნენ. გურიშიას შთამომავლები ერთად მოსახლეობენ, ერთ უბანს ქმნიან და ამ უბანს გურ(ი)შიათი ეწოდება. მაჭვიტაიას შთამომავლები მაჭვიტაიათში ცხოვრობენ, ხახულიას შთამომავლები – ხახულიათში და ა.შ. საერთოდ, სოფელში სიჭინავების ოცზე მეტი შტო გამოიყოფა, მაგრამ ზოგი შტო მხოლოდ თითო-ორი კომლითაა წარმოდგენილი და ცალკე დასახლებას ვერ ქმნის.

თ- თანხმოვნის შემცველი ბოლოსართის წარმომავლობისა და ფუნქციის საკითხებს შეხებიან მ. ბროსე, ნ. მარი, ს. ჯანაშია, ვ. დონდუა, ა. შანიძე, გ. თოფურია და სხვ. საბოლოოდ, გარკვეულია რომ -ეთ (და მისი ვარიანტები: -ათ, -ით, -ოთ, -უთ), რომელიც ძველ ქართულშივე აწარმოებდა გეოგრაფიულ სახელწოდებებს, წარმოშობით მრავლობითობის, კრებითობის მაჩვენებელია (ზურაბიშვილი, 1961, გვ. 144). ქართულ ნიადაგზეა წარმოქმნილი -თა სუფიქსიც, სახელის მრ. რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოება, რომელმაც დროთა განმავლობაში ადგილის სახელთა წარმოების ფუნქციაც შეითვისა, თუმცა დღეს ამ ფუნქციით არ გამოიყენება (თოფურია, 1923, გვ. 10). ქართული -ეთ სუფიქსის მეგრულ-ჭანური შესატყვისი -ათ(-თ) დასტურდება ჯუმათი, ჩიბათი მოდელის გურიის ტოპონიმებში (მეგრელიძე, 1938, გვ. 68-75).

მთიან სამეგრელოში დაფიქსირებულია 70-ზე მეტი -თი ბოლოკიდურიანი ტოპონიმი. მათი სიხშირე იკლებს ცხენისწყლის ნაპირებიდან ენგურის ნაპირებისაკენ (მარტვილის რ-ნში – 50-ზე მეტი, ჩხოროწყუს რ-ნში – 20-მდე და წალენჯიხის რ-ნში - ერთადერთი). ამოსავალი ფუძეები ძირითადად პირსახელებია, იშვიათად – გვარსახელებიც (შონია → შონიათი, ბერია → ბერიათი, თოლორდავა → თოლორდათი). -თი სუფიქსოიდის ძირითადი დანიშნულება ხშირად მიჩქმალულია და იგი სა- ან ლე- პრეფიქსის დანიშნულებითა და პარალელურად გამოიყენება:

მუხურში თოლორდავების უბანს ეწოდება სათოლორდო//თოლორდათი, ხოლო ნაფიჩხოვოში ბერიების უბანს – გელახონი ბერიათი//გელახონი საბერიო "დასავლეთი საბერიო".

თი, როგორც ჩანს, თავდაპირველად ერთ ოჯახად, ერთ სახლში ცხოვრობდა. გვაროვნული დიდი ოჯახების დაშლის შემდეგ განაყოფი პატარა ოჯახები იქვე ახლოს სახლდებოდნენ, რის შედეგადაც უწინდელი ოჯახურ-ნათესაური ერთიანობის ნაცვლად ჩამოყალიბდა გვარის განაყოფის ტერიტორიულ-ნათესაური ერთიანობა. მაშასადამე, თი ერთიანი ოჯახის, ერთი სახლობის აღმნიშვნელი ტერმინიდან იქცა გვარის განაყოფის ნათესაური და ტერიტორიული ერთიანობის აღმნიშვნელ ტერმინად.

ს. ჯანაშია სპეციალურად ამ საკითხისადმი მიძღვნილ ნაშრომში ("მრავლობითი რიცხვის -თა//-თ სუფიქსის ეტიმოლოგიისათვის") გეოგრაფიულ სახელებსა და გვარებში (აგრეთვე მეტგვარებში) დადასტურებულ -ათი, -ეთი, -ითი, -ოთი, -უთი დაბოლოებებში ძირეულ ელემენტად მხოლოდ თ თანხმოვანს მიიჩნევდა და მას უკავშირებდა ოჯახის, გვარის ცნების შემცველ მეგრულ თი სიტყვას (ჯანაშია, 1959, გვ. 152). მაშასადამე, მეგრულში შემონახული -თი, რომელიც საბოლოო ჯამში აგრეთვე სიმრავლეს, კრებითობას გამოხატავს, და ქართული თ თანხმოვნიანი სუფიქსები ერთნაირი წარმომავლობისანი არიან. აღნიშნული -თი დაბოლოება დაერთვის პირსახელის ნათეს. ბრუნვის ფორმას (ჩაგუათი ← ჩაგუაშ თი) და წარმოქმნის პატრონიმებს (შტოგვარის სახელებს), რომლებიც კონვერსიის ძალით მიკროოიკონიმებად იქცევიან. იგივე -თი გამოდის სუფიქსის ფუნქციითაც, დაერთვის გვარსახელის ფუძეს და აწარმოებს ამ გვარსახელით დასახლებული უბნის სახელს (იხ. მაგალითები ზემოთ).

ქართულსა და სვანურში ფართოდ გავრცელებული და პროდუქტიულია ანთროპონიმთაგან (განსაკუთრებით, გვართაგან) მრ. რიცხვის მორფემებით ოიკონიმთა (და მიკროოიკონიმთა) წარმოება (მეორეული ნომინაციის გზით): ზარნაძე-ებ-ი, გოგოლაურ-თა, კვანჭიან-არ... სამეგრელოში კი ამ მოდელის მხოლოდ რამდენიმე მიკროოიკონიმი აღმოჩნდა და ისიც, როგორც მოსალოდნელი იყო, მხოლოდ იმერეთის მომიჯნავე სოფლებში. აბაშის რ-ნის სოფ. გუგუნაყათში ლეჟავების უბანს ეწოდება ლეჟავები, ხოლო სოფ. სამიქაოში კაჭარავებით დასახლებულ უბანს – კაჭარავები//კაჭარავების უბანი//საკაჭარაო; მარტვილის რ-ნის სოფ. ზემო ხუნწში გახოკიძეების უბანს დარქმევია გახოკიძეფი//საგახოკიძო.

სამეგრელოში საერთოდაც ძალზე. იშვიათია -ებ (← აბ ქართ. -ებ) სუფიქსიანი ტოპონიმები. ამასთან დაკავშირებით გ. კაჭარავა აღნიშნავს: "საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ სამეგრელოს ტერიტორიაზე არსად გვხვდება მრავლობითობის აღმნიშვნელი ბოლოსართების მეშვეობით წარმოქმნილი ტოპონიმიკური სახელები. ამ მხრივ მეგრული განცალკევებული აღმოჩნდა ქართულ-სვანურისაგან. რა უნდა იყოს მიზეზი ამისა"(კაჭარავა, 1960, გვ. 217). მიზეზი სწორედ ისაა, რომ მეგრულში მოქმედებს ტოპონიმთა წარმოების მყარი სისტემა: მცენარის სახელთაგან ადგილის სახელებს აწარმოებს -ონა სუფიქსი, ცხოველ-ფრინველთა სახელებისაგან – ო- პრეფიქსი, ხოლო ამა თუ იმ გვარის საცხოვრისის სახელის წარმოება აკისრიათ ლე- და სა- პრეფიქსებს. მაშასადამე, მეგრულში დაკონკრეტებული და განაწილებულია საწარმოებელი ფუძეები და აფიქსები, რის შედეგადაც წარმოქმნილი სახელი სამსავე დასახელებულ შემთხვევაში ადგილსაც აღნიშნავს, ამ ადგილის დანიშნულებასაც და ტოპონიმის ფუძით აღნიშნული საგნის სიმრავლესაც გამოხატავს. ანთროპოოიკონიმიაშიც. ასეა. მაგალითად, ქარდავების უბნის სახელი იქნება ლექარდე ან საქარდო. ორივე ვარიანტი გამოხატავს ქარდავების ოჯახების სიმრავლესაც და ადგილის დანიშნულებასაც. "ქარდავები" მხოლოდ სიმრავლეს (და ნათესაობას) უსვამს ხაზს და, ამდენად, ნაკლებ ეფექტური და ნაკლებ ინფორმაციულია. რადგანაც არჩევანი არსებობს, ადგილის ნომინაციისას ენა უპირატესობას უფრო მოქნილ და ზუსტ ფორმებს ანიჭებს. იმ ენებში, სადაც მონოდასახლების სახელდებისათვის ასეთი მყარი და მრავალფეროვანი ინფორმაციის შემცველი საშუალება არსებობს, ადგილი არ რჩება "ზარნაძეების" მოდელის ოიკონიმთა წარმოსაქმნელად.

# ნაწილი მეორე

## გვარსახელთა ლექსიკონი

**აბაკელია** - 651 სული (ზუგდ. - 146, თბ. - 116, სენაკი - 55). კომლი: ზემო ქვალონი - 19, ოქტომბერი - 11, თამაკონი - 8, ხეთა - 8, ინგირი - 4, ქარიატა - 4, ახალსოფელი (სენაკის რ.) - 3, დიდი ნეძი - 3 და სხვ. ტოპ.: ლეაბაკელიე//სააბაკელიო - უბანი ტეხურის მარცხ. მხარეს (თარგამეული). სააბაკელიო - უბნები დავითიანსა (ოქტომბრის თემი) და საალანიო-საფაჩულიოში (ზ. ქვალონის თემი). 1904 წელს ხორშში მცხოვრები აბაკელიები აზნაურები იყვნენ. შეუძლებელი არაა, აბაკელი აბაკოს ან აბაკუმის ვარიანტი იყოს. მეორე მხრივ, პირსახელ აბა-საგან (იხ. აბაშიძე) კნინობითობის ორმაგი სუფიქსით შეიძლებოდა წარმოქმნილიყო აბაკელი ფორმა.

**აბაშია** - 651 სული (ზუგდ. - 146, თბ. - 116, სენაკი - 55). ახუთში, ოწყარიის მარჯ. მხარეს, მოსახლეობს ამ გვარის 5 კომლი. მათ უბანს ეწოდება სააბაშიო//სააბაშიო კუნთხუ. აბაშიები ცხოვრობენ ფოთშიც და ზოგ სხვა დასახლებულ პუნქტშიც, ოღონდ არაკომპაქტურად. პირველ გალში (საბაშიოს უბანში) ჩაწერილი გადმოცემით, იმერეთიდან წამოსულა სამი ძმა აბაშიძე. ერთი მათგანი დამკვიდრებულა სამქვარში (სამურზაყანო), მეორე - ახუთში, მესამე — ჭალადიდში. გვარის დაბოლოება ყველგან შეუცვლიათ. სხვა გადმოცემით, აბაშიძეებს ახლდნენ წულუკიძე და მიქელაძე, რომელთაც აგრეთვე გადაუკეთებიათ გვარი წულუკიად და მიქელიად. გვარი აბაშიძე დასახელებულია 1616-1621 წლებში შედგენილ „საცაიშლო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში" იმ საეკლესიო გლეხთა შორის, რომელთაც მართებთ ცაიშის ეკლესიის ბეგარა: „მართებს აბაშიას 1 საკლავი, 1 ქათამი, 1 პური, 3 ლიჯი ღომი, 3 ფოხალი ღვინო და გოჭკომური მისის ღომითა, ღვინითა, ხორცითა, თევზითა, ყველითა, კვერცხითა, სამარხოთა, რაცა იმ დღესა მოუნდებოდეს" (ქსძ, III, 454). პირსახელი აბაშ დამოწმებულია "ტბეთის სულთა მატიანეში" (XII-XVII სს.). აბაშია წარმოქმნილია აბაში ფორმისაგან -ა სუფიქსის დართვით ან აბაშიძის გამეგრულებული ვარიანტია. იხ. აბაშიძე.

**აბაშიძე** – 8322 სული (თბ. - 1109, ქობ. - 938, ხელვაჩ. - 924). სულთა რაოდენობით ქვეყანაში 21-ე ადგილზეა, განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული იმერეთში, აჭარაში. გვხვდება სამეგრელოშიც: ლესიჭინეში მკვიდრობს 5 კომლი. თითო-ოროლა გვხვდება სხვა სოფლებშიც. აბაშ აბაშიძე დამოწმებულია 1488 წ. საბუთში (პალ, I, 47). გავრცელებული მოსაზრების თანახმად, გვარისთვის ამოსავალია პირსახელი აბაშ (აბაში სატომო სახელიცაა, აღნიშნავს აბისინიელს). არაა გამორიცხული, აბაში იყოს კოლხურსუფიქსიანი წარმომავლობის სახელი და ნიშნავდეს "აბას შვილს, აბას შთამომავალს". პირსახელი აბა მოიხსენიება ჯერ კიდევ პალესტინის მონასტრის მოზაიკურ წარწერაში (VI ს.) და ამჟამადაც არის გავრცელებული საქართველოში. მაშასადამე, აბაშიძე ორმაგი სუფიქსაციით წარმოქმნილი გვარსახელია. აბაშიძეები ცნობილი ფეოდალური საგვარეულოა. XV-XVI სს. ზემო იმერეთში ჩამოყალიბდა აბაშიძეების სათავადო. 1904 წლის აღწერის თანახმად, აბაშიძეებს მამულები ჰქონიათ სამეგრელოშიც, კერძოდ, ნაგვაზავოში, ლეგოგიეში, გურძემში, კურზუში.

**აბესაძე** - 4 280 სული (თბ. - 780, ჭიათ. - 678, ტყიბ. - 543). მთელი ქვეყნისა (110-ე ადგილი) და, კერძოდ, იმერეთის მასშტაბით (2559 სული, 29-ე ადგილი) ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ეს გვარი მიგრირებულია სამეგრელოშიც, სადაც კომპაქტურად სახლობენ ნოჯიხევში - 6 კომლი (თითო-ოროლა კომლი სხვა სოფლებშიც დასტურდება). შესაძლებელია, აბესა აბესალას ან აბესალომის შემოკლებული ფორმა იყოს. გვარი აბესაძე ცნობილია XIII საუკუნიდან (პალ, I, 56).

**აბლოთია** – 681 სული (ზუგდ. - 313, თბ. - 135, წალენჯ. - 90). კომლი: ერგეტა - 4, აბაშა - 3, შამგონა - 3 და სხვ. შესაძლოა, აბლოთი მომდინარეობდეს აბულეთი-საგან (იხ. პალ, 1, 65).

**აბრიავა** - 21 სული. ორიოდე კომლი დაფიქსირდა ზუგდიდში. კოლხეთში გავრცელებული აბრა და აბრამ ძველებრაული აბრაჰამის ვარიანტებია.

**აბრალავა** - 843 სული (წალენჯ. - 365, ზუგდ. - 280, თბ.- 42). კომლი: საჩინო - 27, ლია - 11, წალენჯიხა - 9, ხეთა - 7, პ. ეწერი - 6, რუხი - 6, ჩხორია - 5, ბულიწყუ - 4, რეყე - 4, განარჯიის მუხური - 3, ინგირი - 3 და სხვ. ტოპ.: ლეაბრალე - უბანი იხწირის მარჯ. მხარეს (ნაგურუ). აბრალა აბრას კნინობით-მოფერებითი ვარიანტია, თუმცა შესაძლოა აბრას შთამომავალსაც აღნიშნავდეს.

**აბრამია** - 411 სული (თბ. - 111, ფოთი - 66, ხობი - 52). კომლი: ახალსოფელი (ხობის რ.) - 8, სეფიეთი - 4, ქოლობანი - 4, აბაშა - 3, ველიდკარი - 3, ზ. ჭალადიდი - 3, ონტოფო - 3, ხობი - 3 და სხვ.. ტოპ.: საბრამიო - უბანი გაღმა პ. ხორგაში (ხობის რ.). პირსახელი აბრამ, აბრამა ფართოდაა გავრცელებული საქართველოში. მათგანაა წარმოქმნილი გვარები: აბრამაშვილი, აბრამაძე, აბრამიშვილი, აბრამიძე და აბრამია. აბრამ შემოკლებული ფორმაა ძველი ებრაული აბრაჰამისა. 1904 წლის აღწერის თანახმად, ხორგაში მცხოვრები აბრამიების ერთ ნაწილს აზნაურის წოდება ჰქონდა.

**აბრამიშვილი** - 5590 სული (თბ. - 1542, საჩხ. - 1308, ჭიათ. - 294). საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გვარია (62-ე ადგილი) და იმერეთიდან გადმოსახლებულა სამეგრელოში: წალენჯიხა – 7 კომლი, ახალსოფელი (ხობის რ.) – 3 კ., ქვ. ჭალადიდი – 3 კ. და სხვ. იხ. აბრამია.

**აბრახამია** - 90 სული (მარტვ. - 38, თბ.-26, სენაკი - 8). კომპაქტურად მოსახლეობენ მხოლოდ სერგიეთში (7 კომლი). აბრახამ აბრაჰამის ვარიანტი ჩანს. იხ. აბრამია.

**აბრუმია** - 50 სული (ზუგდ. - 18 ჩხორ. - 8, თბ. - 7). ძირძველი მოსახლე სამეგრელოში იშვიათია. არიან ლტოლვილები აფხაზეთიდან.

**აბსავა** - 267 სული (ზუგდ. - 227, თბ. - 14, ბათ. - 8). კომლი: ყულიშკარი - 15, კახათი - 9, ახალკახათი - 5 და სხვ. ტოპ.: სააბსაო - უბანი კახათში. ამოსავალია პირსახელ აბესა, რაც აბესალომის შემოკლებული ფორმა ჩანს. მაშასადამე: აბესავა → აბსავა. შდრ. აფსავა. დასაშვებია სხვა ვარაუდიც: აბესაძე →აბესავა →აბსავა. იხ. აბსანძე.

**აბსანძე** - 542 სული (ზუგდ. - 466, თბ. - 30, ფოთი - 7). ამ -ძე დაბოლოებიანი გვარის სამშობლოა ზუგდიდისა და გალის რ-ნები. კომლი: ახალკახათი - 33, ორსანტია - 27, ქვ. ქვალონი - 3, შამგონა – 3, ზუგდიდი - 14 და სხვ. ტოპ.: სააბსანძო - უბანი გალენწყარის ნაპირებზე (ახალკახათი, დარჩელი). აბსანძეები თვლიან, რომ მათი წინაპრები ჩამოსულან გელათიდან. გვარის ოფიციალური ვარიანტებია: აბსანაძე (27 სული), აბსანიძე (35 სული) და, იშვიათად, აბსნაძე, აფსნაძე (იხ). აბსანძე ან აბსავას გაქართულებული ვარიანტია, ან აბესაძისაგანაა მიღებული (აბესაძე → აბსაძე →აბსანძე).

**აბსარიძე** - 27 სული. ყველა ცხოვრობს ქ. ფოთში.

**აბულაძე** - 10438 სული. გვარი სულთა რაოდენობით საქართველოში X ადგილზეა, იმერეთში კი - XVI ადგილზე (3024 სული). სამეგრელოში გადმოსული არიან იმერეთიდან. კომლი: წალენჯიხა - 38, ერგეტა - 16, ნაკიფუ - 16, ობუჯი - 8, ძვ. ხიბულა - 7, ანაკლია - 5, ნარაზენი -4, ქოლობანი - 4, ახალსოფელი (ხობის რ.) - 3 და სხვ. ადგ. ვარიანტი: აბლაძე. ტოპ.: სააბულაძო - უბანი საჭანიოსა და საზარანდიოს შუა (ძვ. ხიბულა), სააბლაძო//სააბულაძო - უბანი ლაიტღალის ნაპირას (ცვანე, ერგეტის თემი). აბულა პირსახელია. გვარი აბულაძე გვხვდება XVI ს. საბუთში (პალ, I, 63-64).

**აბურჯანია** - 372 სული (ფოთი - 80, თბ. - 48, სენაკი - 46). კომლი: ახალსოფელი (ხობის რ.) - 8, გურიფული - 7, კეთილარი - 6, ეკი - 4, ნაესაკაო - 3, ხობი - 3 და სხვ. ტოპ.: სააბურჯანიო - უბნები გაღმა პ. ხორგასა და უფალკარში. უფალკარელი აბურჯანიები თვლიან, რომ მათი წინაპრები გადმოსულან ხორგადან, ხორგელ აბურჯანიებს კი პირიქით ჰგონიათ. იშვიათი ვარიანტი: აბურჟანია.

**აბუხბაია** - 47 სული (ზუგდ. - 19, თბ - 13, ქობ. - 2). აფხაზურ-მეგრული გვარია. სამეგრელოში ძირძველი მოსახლე იშვიათია. არიან ლტოლვილები სამურზაყანოდან..

**აბშილავა** - 1748 სული (ზუგდ - 582, თბ. - 232, სენაკი - 200). კომლი: აბასთუმანი - 26, მუხური - 13, ინგირი - 12, თორსა-ღლეაბა - 8, ოდიში - 7, ლეძაძამე - 6, ქვემო ქვალონი - 6, თაია - 5, საჯიჯაო - 5, თეკლათი - 4, წალენჯიხა - 4 და სხვ. ტოპ.: სააბშილა//სააფშილა - უბანი საადახაიოსა და სკურიის საზღვართან (საგაბესკირიო, მენჯის თემი). იხ. აფშილავა.

**აბხაზავა** - 97 სული (თბ. - 33, ზუგდ. - 15, წალენჯ. - 14). იხ. აფხაზავა.

**აგირბაია** - 61 სული. თითქმის ყველა ცხოვრობს ზუგდიდის რაიონში, კერძოდ, დარჩელში 10 კომლი, სხვა სოფლებში - თითო-ოროლა. გვარი აფხაზურ-მეგრულია: აფხაზურ -ბა სუფიქსიან გვარ აგრბას დართვია კოლხურში გვარსახელის მაწარმოებელი –ია სუფიქსი.

**აგუმავა** - 182 სული (ზუგდ. - 108, თბ. - 32, ხობი - 10). კომლი: ჩხორია – 6, რიყე – 2 და სხვ.

**ადამია** - 2790 სული (სენაკი - 708, თბ. - 621, ზუგდ. - 223). გვარს ქვეყნის მასშტაბით უკავია 245-ე ადგილი, სენაკის რ-ნში კი – მეოთხე ადგილი. კომლი: ეკი - 35, ზანა - 20, ახალხიბულა - 17, ინჩხური - 13, თამაკონი - 10, თეკლათი - 6, ორსანტია - 6, მარტვილი - 6, ქვ. ჭალადიდი - 5, ძვ. სენაკი - 5, ჭაქვინჯი - 5 და სხვ. ტოპ.: ეადამე - უბანი ეჩქოფოიესა და საგეგეჭკორიოს შუა (პ. ინჩხური). საადამიო - სოფელი ცივის მარც. მხარეს, ეკის თემში (აქაური ადამიების გადმოცემით, მათს წინაპარს ხონში კაცი მოუკლავს და თავი აქ შეუფარებია). საადამიო - უბნები ჭკადუაში, ზენში (საჯიჯაოს თემი). ადამ გავრცელებული პირსახელია. ე. წ. მათხოჯის დავთარში (XVII ს) მოხსენიებულია რამდენიმე ადამია (მათი სახელებია: ბუხულია, გიორგი, დავითი, დავითელა, დათუნა, კაცობა, კუტა, მამისთვალი, მამუკა, მამუკელა, მარშანა, მახარებელი, საყვარელა, სვიმონა, ჭუჭუელი, ხახუტა, ხახუტელა. იხ. პალ, I, 69). 1904 წლის აღწერის თანახმად, სოფ. ეკში მცხოვრები ადამიები აზნაურები ყოფილან.

**ადანაია** – 205 სული (სენაკი - 88, ფოთი - 45, ხობი - 25). კომლი: ახალსოფელი (ხობის რ.) - 8, ხორში - 4 და სხვ. ტოპ.: საადანაიო - სოფელი ცივის მარჯ. მხარეს, საგუგუნაოსა და საგაბესკირიოს შუა (ხორშის თემი). „საცაიშლო დავთარში“ (1616-1621 წწ.) აღნიშნულია, რომ ადანაიას, წყარიგზურის სასახლის „მიმდგამსა კაცსა“, ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა (ქსძ, III, 473). გვარი წარმოქმნილია ეპონიმის სახელიდან ადანა -ია სუფიქსის დართვით. 1904 წლის აღწერის მონაცემებით, სოფ. ხორშში მცხოვრები ადანაიები აზნაურები იყვნენ.

**ადეიშვილი**- 2 692 სული. იმერეთში გავრცელებული გვარი შესულია სამეგრელოშიც. კერძოდ, ახალსოფელში (ხობის რ.) მკვიდრობს 4 კომლი, სხვაგან - თითო-ოროლა. ადა, ადამის შემოკლებული ფორმა, დაფიქსირებულია კოლხეთში. გვარის წარმოქმნის გზა: ადა → ადაიშვილი → ადეიშვილი.

**ადონია** - 244 სული (ჩხორ. - 58, ზუგდ. - 55, წალენჯ. - 20). კომლი: ხობი - 13, კირცხი - 12, საჯიჯაო - 6, ლესიჭინე - 5, წალენჯიხა - 4, ხობი — 4 და სხვ. ადო, ადონა კოლხეთში, ხოლო ადონია ლეჩხუმში დადასტურებული პირსახელებია (ქსს, 1986).

**ავალიანი** - 2612 სული (თბ. - 642, ქუთ. - 368, გარდაბ. - 227). კომლი: ალერტკარი - 8, ჭაქვინჯი - 8, ჭალე - 3 და სხვ. ავალ კოლხეთში დამოწმებული პირსახელია. -(ი)ან სვანურში გვარს აწარმოებს. ეს გვარი ცნობილია XIV ს. დამლევიდან (პალ. I, 73; ქსძ, III, 1029). შდრ. ავალიშვილი (იმერეთი).

**ათათია** - 30 სული (მარტვ. - 9, სამტრ. - 6). კომპაქტური დასახლება არ მოეპოვება.

**აკიჟბაია** - 26 სული (თბ. - 20, ზუგდ. - 5, სენაკი - 1). აფხაზურ-მეგრული გვარია. არიან ლტოლვილები სამურზაყანოდან. შდრ. აკიშბაია.

**აკიშბაია** - 93 სული ( ზუგდ. - 24, თბ. - 24, რუსთ. - 7). აფხაზურ-მეგრული გვარია.

**აკობია** - 1744 სული (ზუგდ. - 779, წალენჯ. - 512, თბ. - 204). კომლი: კახათი - 35, ჭალე - 29, ჯვარი - 27, ლია - 10, რიყე - 10, ჭითაწყარი - 10, ურთა - 8, ახალკახათი - 7, ცაიში - 7, პ. ეწერი - 6, მუჟავა - 4 და სხვ. ტოპ.: ლიაკობე (← ლეაკობე) - ყოფილი დასახ. უბანი ოლორის მარც. მხარეს (ეწერფერდი, ჭალის თემი). საკობიო - უბნები რიყესა და ურთაში. აკობ იაკობის ვარიანტი ჩანს. შდრ.: გვარი აკობიძე. 1656 წელს გლეხი გიორგი აკობიძე ცაგერის ეკლესიისთვის უყიდიათ (ქსძ, III, 518, 520, 522 და სხვ). ამჟამად გვარი აკობიძე იმერეთშიცაა გავრცელებული.

**ალანია** - 2 516 სული (თბ. - 396, ზუგდ. - 355, სენაკი - 340). სულადობის მიხედვით საქართველოში უჭირავს 311-ე ადგილი. გვარის ძირითადი სამკვიდროა ქვალონი. კომლი: ქვ. ქვალონი - 78, ზ. ქვალონი — 58, ხობი - 30, ბია - 25, ნოსირი - 24, გეჯეთი - 12, გურიფული - 12, ნოჯიხევი - 9, ინგირი - 9, ჯიხაშკარი - 8, ურთა -5, ხეთა - 5, მენჯი -5 და სხვ. ტოპონიმი ქვ. სამეგრელოში: საალანიო - უბანი პ. გურიფულში, ქ. ხობის განაპირას. საალანიო-საფაჩულიო - სოფელი ზ. ქვალონის თემში (სოფელი შედგება ორი ნაწილისაგან: საალანიო - მაგარნას მარც. მხარეს და საფაჩულიო - მაგარნასა და სადალალს შუა). ზ. სამეგრელოში დასტურდება ვარიანტები: აენია, აჲანია (ქ. მარტვილში სერს ეწოდება აენიაგა//აჲანიაგა). მეგრულში ალანი სატომო სახელია (ყუბანის სათავეებთან მცხოვრები ყარაჩაელ-ბალყარების თვითწოდებაა, თუმცა ამ ეთნონიმს ოსებიც იჩემებენ. იხ. ბაღათურია, 1998. გვ. 39).. გარდა ამისა, ალანი მეგრულში აღნიშნავს ძლიერს, მამაცს, უშიშარს, თავისუფალს (იხ. ყიფშიძე, 1994, გვ. 397) და უცხოს, შემოხიზნულს (თუ მეცხვარე თავის ფარაში სხვის ცხვარს შეამჩნევს, იტყვის, ალანი შემორევიაო).

**ალანიძე** - 42 სული (მარტვ. - 26, თბ. - 5, ზუგდ. - 4). კიწიაში ცხოვრობს 5 კომლი, სხვაგან-თითო-ოროლა. ალანიძე ალანიას გაქართულებული ვარიანტია.

**ალასანია** - 324 სული (ფოთი - 76, თბ. - 64, სენაკი - 47). კომლი: გეჯეთი — 12, ლეხაინდრავო - 4 და სხვ. ტოპ.: საალასანიო - უბანი სათურქიოსა და ძუგუს შუა (გეჯეთი). არაა გამორიცხული, ალასანი ალმასხანის ან ალექსანდრეს ვარიანტი იყოს. იხ. ალექსანდრია.

**ალექსანდრია** - 547 სული (ფოთი - 98, თბ. - 67, სენაკი - 21). კომლი: ნოჯიხევი - 30, ქვ. ქვალონი - 13, ხობი - 12, საჯიჯაო - 9, ახალსოფელი (ხობის რ.) - 7, ბია - 6, ქარიატა - 5 და სხვ. გვარის ადგ. ვარიანტები: ალესანდრია, ალსანდრია. ტოპ.: საალექსანდრიო - უბანი ნოჯიხევში (ე. წ. მეორე ხობში), საალექსანდრიო//საალესანდრიო//საესანდრიო - უბანი ზ. ბიაში. 1628 წლის საეკლესიო საბუთის მიხედვით, ლალიძგის (ამჟამინდელი ბესლახუბა) მცხოვრები პარაქსია ალექსანდრია შეუწირავთ ბიჭვინთის ეკლესიისათვის (პალ, I, 99). დასტურდება საპასპორტო ვარიანტი ალსანდიაც (34 სული. ძირითადად ზუგდიდში). გვარის წარმოქმნის გზა: ალექსანდრე → ალექსანდრე-ა → ალექსანდრია.

**ალიშბაია** — იხ. ალშიბაია.

**ალმასია** - 45 სული (ზუგდ. - 38, თბ. - 4, გურჯ. - 1). განსახლების ძირითადი ადგილია ცაიში (7 კომლი). პირსახელი ალმასი გვხვდება ისტ. საბუთში (პალ, I, 107). იგი ალმასხანის ვარიანტი ჩანს.

**ალსანდია** — იხ. ალექსანდრია.

**ალფენიძე** - 522 სული (ზუგდ. - 399, თბ. - 64, სენაკი - 14). ორსანტიაში, ენგურის მარც. მხარეს, მკვიდრობს 22 კომლი. ამ უბანს ეწოდება საალფენძო. ალფენიძეები მრავლად არიან ენგურს გაღმაც, ოტობაიაში. ალფე (← ალფეზ) პირსახელია. ალფენ მისი კნინობით-მოფერებითი ვარიანტია.

**ალშიბაია** - 155 სული (ზუგდ. - 119, თბ. - 23). აფხაზურ-მეგრული გვარია. კომლი: ჩხორია - 15, ყულიშკარი - 4 და სხვ. არიან ლტოლვილებიც სამურზაყანოდან. ადგ. ვარიანტია ალიშბაია. ტოპ.: საალშიბაიო//საალიშბაიო - უბანი ტყაიაში (ჩხორიის თემი). XVIII ს. დამლევს კურზუსა და მის ახლომახლო სოფლებში მცხოვრები ალშიბაიები საუფლისწულო აზნაურები იყვნენ და ემორჩილებოდნენ გიორგი ბატონიშვილს (სოსელია, 1990). 1904 წ. აღწერის მონაცემებითაც

ნობულევსა და დღვანაში მცხოვრები ალშიბაიები და კურზუსა და გოდოგანში მცხოვრები ალიშბაიები აზნაურები იყვნენ.

ამანაძე - 38 სული (აბაშა - 20, მარტვ. - 7, ხობი - 6). როგორც ამ მონაცემებიდანაც ჩანს, ეს -ძე დაბოლოებიანი მცირერიცხოვანი გვარი მხოლოდ სამეგრელოშია განსახლებული. კომპაქტური დასახლება აღინიშნა სამიქაოში – 3 კომლი. ამახა სამეგრელოში დაფიქსირებული პირსახელია.

ამბალია - 69 სული (ფოთი - 44, ქუთ. - 3, წალენჯიხა - 1) კომპაქტური დასახლება აღინიშნა ქარიატაში – 5 კომლი. აქვე, გამოღმა ქარიატაში, საღურჯიოსა და სატაბაღუოს შუა ამბალიების მიკროუბანს ეწოდება საამბალიო. 1621 წლის საეკლესიო საბუთში დასახელებული არიან ხუხულია, ხუცესი, ივანე ამბალიები, რომლებიც ცხოვრობდნენ ხოირში (ამჟამინდელი ოხურეი გალის რ-ნში) და ემართათ აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა (ქსძ, III, 425). პირსახელი ამბალი დაფიქსირებულია სვანეთის წერილობით ძეგლებში (ქსს, 1986). 1904 წლის აღწერის მასალებში დამოწმებულია გვარის ვარიანტი ახბალია (7 კომლი ხორგაში).

ანაკიძე - 184 სული. ეს იმერული გვარი დასტურდება ქ. აბაშასა და აბაშის რ-ნის რამდენიმე სოფელში. პირსახელი ანაკ დამოწმებულია "ქართლის ცხოვრებაში".

ანდია (ანდრია) - ამ გვარის არსებობას ასაბუთებს ტოპონიმი ანდიათი. ესაა უბანი რიონის მარც. ნაპირას, სადაც უცხოვრიათ გვარად ანდრიებს (სირიაჩქონი). ანდი(ა) კოლხეთში პირსახელიცაა.

•ანდღულაძე - 1961 სული (თბ. - 572, ოზურგ. - 478, ბათ. - 133). გურიასა და აჭარაში გავრცელებული გვარია. გვხვდება სამეგრელოშიც: ქვ. ქვალონი - 4 კომლი, სხვაგან - თითო-ოროლა.

ანთელავა - 290 სული (ზუგდ. - 142, თბ. - 105, წალენჯ. - 18). კომლი: ალერტკარი - 4, ჯიხაშკარი - 4 და სხვ. გვარის ადგ. ვარიანტია ანთალა. ტოპ.: ლეანთალე//ლიანთალე - ბორცვი სინწის მარც. ნაპირას, სადაც ანთელავებს უცხოვრიათ (ოდიში). საანთალა - უბნები ალერტკარის ცენტრსა და გამოღმა შუა ხორგაში (საშელიოსა და სამერცხულოს შუა). საანთალო - უბანი ჯიხაშკარში. აქვე, საშენგელიოს უბანში, სერის ნაწილს ეწოდება საანთალო ეხწერი. ანთი ანთიმოზის შემოკლებული ფორმაა. ანთელა მისი კნინობით-მოფერებითი ვარიანტია. იხ. აგრეთვე ანთია. 1904 წლის აღწერის თანახმად, ანთელავები არიან აზნაურები და მოსახლეობენ ყულისკარში, ჭაქვინჯში, ხორგაში.

ანთია - 2033 სული (ზუგდ. - 916, წალენჯ. - 493, თბ.- 181). ამ გვარის 200-ზე მეტი კომლი მოდის 4 სოფელზე: ჭითაწყარი – 66, ჭკადუაში – 52, ზანა – 45, ლია – 45. კომლი სხვა სოფლებში: მუჟავა – 19, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) - 16, წალენჯიხა - 9, ინგირი - 8, დარჩელი - 6, ჯვარი - 6, თორსა-დღვაბა - 5 და სხვ. ტოპონიმებიც ქვ. სამეგრელოშია დაფიქსირებული: საანთიო ოთხგან ეწოდება ანთიებით დასახლებულ უბანს: ცივის მარც. მხარეს (საშურღაიო, ზანის თემი), ჩხოუშიის მარც. მხარეს (ჭითაწყარი), ჯუმის მარჯ მხარეს (ჯუმი, ახალსოფლის თემი, ზუგდიდის რ.), საგულორდას გვერდით (ჭკადუაში). ანთიებს სწამთ, რომ მათი წინაპრები ყოფილან ანთიძეები გურიიდან. ანთი გურიაში აღნიშნავს წითურ კაცს და, როგორც მიუთითებენ, პირის სახელადაც გამოიყენებოდა. გვარი ანთია დასახელებულია 1682 წლის შეწირულების წიგნში: ფარემუზ ანთიას უკანონოდ ჰყოლია ნაყმევი ეჯიბია კიკოლაი, სადადიანოს ყმა გლეხი (ქსძ, III, 583). გვარებს - ანთია, ანთიძე, ანთელავა – უკავშირებენ ანთებს, რომლებიც VI-VII სს. მკვიდრობდნენ შავი ზღვის აღმ. სანაპიროზე და ახლო ურთიერთობა ჰქონდათ კოლხებთან. აკ. შანიძე ანთაძეს თარგმნის როგორც რუსიძეს ან რუსიშვილს. ამასთანავე, ანთი ანთიმოზის შემოკლებულ ვარიანტადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

ანჩაბაძე – 263 სული. აფხაზურ-ქართული გვარია. მკვიდრობენ ქ. ზუგდიდსა და ზუგდიდის რ-ხის ზოგ სოფელში (მაგ., განარჯიის მუხურში – 3 კომლი). არიან ლტოლვილებიც. ადგ. ვარიანტია ანჩაბაია. ანჩაბაძე (და ვარიანტი ამჩაბაძე) ისტ. წყაროებში პირველად მოიხსენიება XV ს. დამლევს (პალ, 1, 160; პალ, II, 474). აფხაზი ანჩაბაძეები თავადები იყვნენ. ვახუშტი აფხაზეთის წარჩინებულთა შორის ასახელებს შარვაშიძესა და ანჩფაძეს (ქართლის ცხოვრება, 1973, გვ. 36) თავადის სტატუსი ჰქონიათ მათ სამეგრელოშიც. 1904 წლის აღწერის მონაცემებით, ანჩაბაძეები მკვიდრობენ და ფლობენ მამულებს დარჩელში, ჭითაწყარში (საბჭოთა პერიოდის კიროვი), მახუჩარის კახათში.

ანჯაფარია - დაფიქსირებულია 6 კომლი ლესიჭინეში. იხ. ანჯაფარიძე.

ანჯაფარიძე - 646 სული (თბ. - 283, ზუგდ. - 106, აბაშა - 54). ამ -ძე დაბოლოებიანი გვარის სამშობლოა ოდიში. კომლი: სამიქაო - 11, ძვ. სენაკი - 3 და სხვ. თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო ანჯაფარია, რაც დაბოლოების შეცვლის შემდეგ თვითონ იქცა ადგ. ვარიანტად (იშვიათად გვხვდება საპასპორტო ვარიანტადაც). ტოპონიმი ზ. სამეგრელოში: ლეანჯაფარიე//საანჯაფარიო - ყოფილი დასახ. უბანი, სერი ნოღასა და გურძემიას შუა (პ. კიწია). ნაანჯაფარუ - ბუჩქნარი ემოწაფიეში (ლექაჯაიე). ნანჯაფარუ - ბორცვი ახუთში. საისტორიო წყაროებში დასტურდება ვარიანტი ამჯაფარიძე (პალ, I, 142). ანჯაფარიძეები სამთავროს ტახტთან დაახლოებული აზნაურები იყვნენ. გარკვეულია, რომ "ვეზირი", რომელსაც ინტიმური კავშირი ჰქონდა ლევან II დადიანის ცოლთან (სევასტან შარვაშიძის ასულთან), იყო პაპუნა ანჯაფარიძე, რომელიც მოგვიანებით დაახრჩვეს და ზარბაზნით გაისროლეს (ანთელავა, 1999, გვ. 181). 1904 წელს ანჯაფარიები მკვიდრობდნენ და ფლობდნენ მამულებს კიწიაში, ლეძაძამეში, ჯოლევში, დოშაყეში, ფოცხოში, სენაკში.

არაჩემია - 89 სული (ზუგდ. - 36, თბ. - 22, სენაკი - 13). კომლი: ჯიხაშკარი - 4, ხობი - 4, ფოცხო - 3 და სხვ. ტოპ.: საარაჩემიო - უბნები ჯიხაშკარსა და ძვ. ხიბულაში.

არახამია - 1522 სული (ზუგდ. - 404, ჩხორ. - 209, თბ. - 152). კომლი: ინგირი - 28, ჩხოროწყუ - 26, წალენჯიხა - 26, ტალერი - 20, კირცხი - 12, ხაბუმე - 8, ახუთი - 6, ოდიში - 5, რუხი - 5, ძვ. სენაკი - 5, ჯიხაშკარი - 5 და სხვ. ტოპ.: საარახამიო - უბნები ინგირსა და კოტიანეთში (ძვ. სენაკის თემი).

არაჰამია - გვარ არახამიას ვარიანტი ჩანს. დასტურდება სოფლებში: ხეთა - 21 კომლი, ბულიწყუ - 8 კომლი და სხვ. 1904 წლის აღწერის მასალებში დაფიქსირებულია ვარიანტი არაამია (მოსახლეობს დღვანაში 10 კომლი). არახამ და არაჰამ ძველებრაული აბრაჰამის ვარიანტებია.

არგუსია - გვარის უწინ არსებობაზე მიანიშნებს ტოპონიმები: ნაარგუს ვაკე-ბორცვი ეჩქოფოიეში (პ. ინჩხური), ნაარგუს(უ) - მინდორი საადანაიოში და სახნავი გაღმა საჯიჯაოში. არგუსია დაერქმეოდა აგვისტოში დაბადებულს. არგუს ავგუსტინეს შემოკლებულ ფორმაც შეიძლება იყოს.

არდაშელია - 216 სული. გვარი გავრცელებულია სამურზაყანოში. ზუგდიდისა და წალენჯიხის რ-ნებში ძირითადად არიან ლტოლვილები. არდაშ, არდაშა, არდაშელ გავრცელებული სახელებია. ცნობილია აგრეთვე გვარები: არდაშელაშვილი, არდაშელიშვილი.

არდბელავა - 134 სული. რამდენიმე კომლი ცხოვრობს ფოთსა და ზუგდიდში. არიან ლტოლვილებიც. ადგ. ვარიანტი: არდბელია.

არდია - 532 სული (ზუგდ. - 304, წალენჯ. - 86, თბ. - 42). კომლი: ჩხორია - 23, საჩინო - 17, თეკლათი - 4 და სხვ. არდი კოლხეთში პირსახელია. იგი არდევანის ან ქიშვარდის შემოკლებული ფორმაა. ტოპ.: ლეარდიე - უბანი ინწკრასა და ხურჩას შუა (კუხეში, საჩინოს თემი). საარდიო - უბნები ჩხორიასა და ტყაიაში (ჩხორიის თემი). აქაური არდიები ირწმუნებიან, რომ მათი წინაპრები მოსულან ჯვარზენიდან, სადაც ეკლესიაში მიჰქონდათ „საჯიჯიხატო" - ღოჯის თავი.

არველაძე - 1843 სული (სამტრ. - 524, თბ. - 369, ვანი - 281). კომლი: პ. მაისი - 9, ტყვირი - 8, გეზათი - 7, ქვ. ჭალადიდი - 5, თორსა-ღლვაბა - 3, მარანი - 3 და სხვ. ისტ. წყაროებში დადასტურებულია გვარი არველაშვილი (პალ, I, 170 ).

არზიანი - 619 სული (სენაკი - 181, თბ. - 139, ფოთი - 93). ამ -იან სუფიქსიანი გვარის გავრცელების ძირითადი რეგიონი სამეგრელოა. კომლი: ლეძაძამე - 18, გურიფული - 8, საჯიჯაო - 5, ხობი - 3 და სხვ. ტოპ.: საარზიანო//ლეარზიანე - უბანი გურძემიისა და სკურდის შესართავთან (ლესაჯაიე, ლეძაძამის თემი). არზი არზაყანის შემოკლებული ფორმა ჩანს.

არნანია - 197 სული (ზუგდ. - 170, თბ. - 6, ფოთი - 4). კომლი: დარჩელი - 30, ოქტომბერი — 4...

არონია - 490 სული (ზუგდ. - 181, წალენჯ. - 153, თბ.- 83). კომლი: ახალი აბასთუმანი - 6, მუჟავა - 4 და სხვ. არონ სვანეთში, ხოლო არონია სამეგრელოში დამოწმებული პირსახელებია.

აროსია - 47 სული (მარტვ. - 37, თბ - 6, სენაკი - 2). კომლი: თამაკონი - 9, გურძემი - 3 და სხვ.

არსანია - გვარის უწინ არსებობას ადასტურებს ტოპონიმი ლეარსანე//ლიარსანე. ასე ეწოდება მდინარეს, რომელიც იწყება ზღვაიაში (ქ. წალენჯიხა) და გადის ალერტკარსა და გრიგოლიშში. არსან უძველესი კოლხური პირსახელია (ლორთქიფანიძე, 1969).

არულია - გვარის უწინ არსებობას ადასტურებს ტოპონიმი ლიარულე//ლეარულე. ასე ეწოდება ფიფიებით დასახლებულ უბანს ოლორის მარც. მხარეს (მუჟავა). არული მეგრულში საზოგადო სიტყვაა (შდრ. ქართ. არეული) და შეიძლებოდა მეტსახელადაც ქცეულიყო.

არუსია - 64 სული (ჭიათ. - 25, ზუგდ. - 16, თბ.- 9). შდრ. აროსია.

არქანია - 1 532 სული (წალენჯ. - 688, ზუგდ. - 358, თბ. - 211). გვარის ბუდეა მუჟავა (70 კომლი). კომლი სხვა სოფლებში: ლია - 8, ურთა - 8, ფახულანი - 5, ჭალე - 5, ჯვარი - 4, დარჩელი - 3, ოდიში - 3, ჯგალი - 3 და სხვ. ტოპ.: არქანია//საარქანიო - ყოფილი დასახ. უბანი, ბორცვი ნასოფლარ უბადოღალში (ფახულანი). საარქანიო - უბანი ს. ურთის აღმ. ნაწილში. არქან შესაძლოა არქავანის შემოკლებული ფორმა იყოს. შდრ. გვარი არქავანიძე (1665 წ. საეკლესიო საბუთში. იხ. პალ, I, 174).

არშბა - 35 სული. აფხაზური გვარია. ატარებენ სამურზაყანოში მცხოვრები მეგრელებიც. სამეგრელოში ძირძველი მოსახლე ძალზე იშვიათია.

არჩაია - 634 სული (სენაკი - 176, თბ. - 6, ქუთ. - 5). გვხვდება ქვემო სამეგრელოში. კომლი: თეკლათი - 16, ძვ. სენაკი - 13, ჭითაწყარი - 12, ზანა - 7, ერგეტა - 4, ნარაზენი - 4, ახალკახათი — 3 და სხვ. ტოპ.: საარჩაიო - უბნები გოლასკურსა და უფალკარში. საარჩაო - უბანი ჭითაწყარში. 1657-1660 წწ. საბუთში დასახელებულია ბაბაშურა არჩაია (ქსძ, III, 532). არჩა კოლხეთში პირსახელია.

არჩვავა - 23 სული (სენაკი — 13, ჩხორ. - 9, ფოთი — 1). ახუთში მოსახლეობს 3 კომლი. არჩვავა არჩვაძის ვარიანტი ჩანს. შდრ.: არჩვაძე, არჩვანძე.

არჩვანძე - არჩვაძის ვარიანტია. ოთხი კომლი დაფიქსირდა ახალ აბასთუმანში.

არჩვაძე - 2338 სული (თბ. - 1477, ჭიათ. - 184, რუსთ. - 102). გავრცელებულია იმერეთსა და რაჭაში, მიგრირებულა სამეგრელოშიც: ძვ. სენაკში ცხოვრობს 4 კომლი. გვარი არჩვაძე, არჩუაძე ისტორიულ საბუთებში დასტურდება XVII ს. დამდეგიდან (პალ, I, 176).

არჩილია - 32 სული (სენაკი - 8, თბ.- 6, მარტვ. - 2). ხობში დაფიქსირდა 5 კომლი, რამდენიმე კომლი კი - სოფლებში. გვარის ფუძეა პირსახელი არჩილ.

არჯანია- 30 სული (თბ. - 12, ზუგდ. - 3). არჯან არჯაბან//არჯევანის მარცვალამოღებული ფორმა ჩანს. ეს პირსახელები გვხვდება XIV-XV სს. საბუთებში (პალ, I, 177), შდრ. არჯევანიძე..

არჯევანიძე - 1499 სული (თბ. - 414, ხაშური - 150, ხელვაჩ. - 107). კომლი სამეგრელოში: უშაფათი - 3, ქვ. ჭალადიდი - 3 და სხვ. გვარი დამოწმებულია XVI ს-დან (პალ, I, 178). ამოსავალია პირსახელი არჯევან. 1904 წელს ქვალონში მცხოვრები არჯევანიძეები აზნაურები იყვნენ. იხ. არჯანია.

ასაბაშვილი - 844 სული (ყვარ. - 484, თბ. - 108, მარტვ. - 73). კომლი სამეგრელოში: ბანძა - 25, ზანა - 3 და სხვ. გვარი დასტურდება ისტორიულ საბუთებში XVII ს. მეორე ნახევრიდან (პალ, I, 178).

ასათიანი - 3716 სული (თბ. - 1160, ქუთ. - 1113, წყალტ. - 214). საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გვარია (144-ე ადგილი სულთა რაოდენობით). სამეგრელოში წარმოდგენილია რამდენიმე ათეული კომლით: ცაიში - 7, მარანი - 7, ხოსირი - 5, კირცხი - 4, ჭითაწყარი - 4, სერგიეთი - 3, სეფიეთი - 3 და სხვ. გვარი მოხსენიებულია 1510 წლის საბუთში (პალ, I, 178-179). 1578 წ. დავთარში კი აღნიშნულია „ასათიანის საზღვარი“ “ქუტირსა“ და “ქუთათისს“ შუა (ქსძ, III, 283). ასათიანები აზნაურები იყვნენ იმერეთშიც და სამეგრელოშიც, სადაც, 1904 წლის აღწერის თანახმად, ფლობდნენ მიწა-წყალს სერგიეთში, მარანში, გაუწყინარში, თხმელარში, ქვიშანჭალაში, მუხურჩაში, ვედიდკარში. ასათიანთა აზნაურობას აღნიშნავს ი. ბაგრატიონიც (ბაგრატიონი, 1997, გვ. !33). ამოსავალია არაბულიდან შემოსული სახელი ასათ (← ასად “ლომი“).

ასანიძე — 2747 სული. იმერეთში ფართოდ გავრცელებული ეს გვარი გვხვდება სამეგრელოშიც. კომლი: ძვ. სენაკი - 10, ახალსოფელი (ხობის რ.) - 5 და სხვ. ასანა ძველ ქართულში გავრცელებული სახელია. გვარი ასანიძე გვხვდება ჯერ კიდევ XVI ს. დამდეგის ისტორიულ საბუთში.

ასვანუა - 81 სული. ცხოვრობენ სამურზაყანოში. სამეგრელოში არიან ლტოლვილები. აფხაზურ ენაში აღნიშნავს სვანს.

ასკილეისკირი - 28 სული (აბაშა - 20, ფოთი - 5, თბ. - 1). სუჯუნაში დაფიქსირდა 5 კომლი. ნიშნავს ასკილას შვილს. წარმომავლობა: ასკილაისკირი → ასკილეისკირი.

ასკურავა - 353 სული. ძირითადად ცხოვრობენ გურიასა და აჭარაში. სამეგრელოში გვხვდება აბაშის რ-ნში: ზანათი - 3 კ., სუჯუნა - 3 კ. და სხვ.

ასლანდია - 21 სული. გავრცელებულია ზუგდიდის რ-ნში. ალსანდიას (იხ.) ვარიანტი ჩანს.

ასმავა - 40 სული (ჩხორ. - 12, ზუგდ.- 8, სენაკი — 7). ადგ. ვარიანტია ასგმავა. უწინდელ კომპაქტურ დასახლებაზე მიუთითებენ ტოპონიმები ზ. სამეგრელოში: ლიასგმე - ჭანისწყლის მარც. შენაკადი საჩანგელიოში (ჯგალი), საასმო - უბანი კოჟოსა და ხამუას შუა. ესახლნენ ასმავები. ამჟამად ცხოვრობენ ჯალაღონიები (ახუთი). ასმავა დასტურდება XVII ს. ოციანი წლების საბუთში, საიდანაც ჩანს, რომ გოშორთია ასმავას ემართა ჯგალის ციხის ბეგარა (ქსძ, III, 479). ეს ასმავა ალბათ ზემოთ დასახელებულ ლიასგმეში ცხოვრობდა. პირსახელები ასმა, ასმან დაფიქსირებულია კოლხეთში.

აფაქელავა — 33 სული (სენაკი - 17, ფოთი - 9, თბ. - 5). კომპაქტური დასახლება გვხვდება ფოცხოში (5 კომლი). პირსახელი აფაქ გვხვდება ისტორიულ საბუთებში. აფაქელა მისი მოფერებითი ვარიანტია. გადმოცემით, აფაქია (აფაქიძე) თავადია, ხოლო აფაქელა — მისი უკანონო შვილი.

აფაქია — ამ გვარს ორიოდე კომლი ატარებს ფოთში. იხ. აფაქიძე.

აფაქიძე - 1337 სული (თბ. - 300, ხელვაჩ. - 249, ზუგდ. - 148). კომლი სამეგრელოში: საჩინო - 5, წალენჯიხა - 5, ჯვარი - 4, ფახულანი - 3 და სხვ. წალენჯიხის რ-ნში აფაქიძეთა ყოფილ სამფლობელოს შერჩა სახელი საafაქიო ენწერი (მაღლობი ენგურის მარც. მხარეს). აფაქ სვანური სახელია. აფაქიძეთა გვარი ძირძველი ფეოდალური საგვარეულო ყოფილა ოდიშის სამთავროში. “XVII საუკუნის პირველ ნახევარში ოდიშის სამთავროში აფაქიძეთა თავადური გვარის წევრები პირველობდნენ როგორც საერო, ისე საეკლესიო სფეროში“ (სოსელია, 1990, გვ. 168). თავადთა შორის მას მოიხსენიებენ გიულდენშტედტიც და იოანე ბაგრატიონიც, რომელიც (როგორც საერთოდ სჩვევია), ამ გვარის წარმომავლობასაც უცხოელებს უკავშირებს, კერძოდ, ჩინგიზხანის დროინდელ თათარს — არფახანს, რომელმაც თითქოს “მიიღო სარწმუნოება ქრისტიანეთა და დაშთა აბხაზეთს და უწოდეს ძეთა მისთა აბაქიძეთ“ (იხ. ბაგრატიონი, 1997, გვ. 132). გვარი აფაქიძე პირველად დამოწმებულია ქართველთა ჯვარის მონასტრის აღაპებში, რომელიც შედგენილია XI-XIII საუკუნეებში (მეტრეველი, 1962, გვ. 74). ამავე გვარს ვხვდებით ვახტანგ მეფესთან დაკავშირებულ 1432 წლის საბუთში (პალ, I, გვ. 191). მართალია, პირსახელი აფაქ სვანურია და აფაქ აფაქიანი დამოწმებულია XIII ს. სვანეთის სულთა მატიანეში, მაგრამ მაინც ვარაუდობენ, რომ ქართულ-მეგრული აფაქიძე-აფაქია უფრო ადრინდელია და აფაქიანები კოლხეთის ბარიდან არიან გადასულნი სვანეთში (სოსელია, 1990, გვ. 160). 1611-1616 წლებში ქაიხოსრო აფაქიძე ლევან II დადიანის კარის სახლთუხუცესია (ქსძ, III, გვ. 394)

მთიან სამეგრელოში დამკვიდრებული აფაქიძეები ზანიდან მოსულებად ითვლებოდნენ (ჰქონდათ რეზიდენცია საჩინოსა და საafაქიო ეწერში, ანუ ნარგიშ ეწერში). ისინი ძლიერი და სანდო

ფეოდალები ყოფილან, რასაც ეს ფაქტიც ადასტურებს: 1843 წლის 24 იანვარს დავით დადიანი წერილობით ავალებს აფაქიძეებსა და ნაგურუელ ჩიქოვანებს, საჩქაროდ შეკრიბონ 60-კაციანი შეიარაღებული რაზმი და ჯვარში მიეშველონ კაცია და ვამეყ დადიანებს, რათა დაიცვან ისინი ჯვარელთა მხრიდან მოსალოდნელი აოხრება-აწიოკებისაგან (სოსელია, 1960). 1904 წლის აღწერის თანახმად, თავადი აფაქიძეები მოსახლეობდნენ და ფლობდნენ მამულებს ფახულანში, ჯვარში, საჩინოში, თაიაში, ცაიშში, დარჩელში, დიდ ზანაში, პატარა ზანაში, ქვალონში, ზანათში, ბეთლემში, უშაფათში, მოხაშში. აფაქიძეები აზნაურებიც იყვნენ.

**აფრასიძე** - 620 სული (მესტია - 162, თბ.- 125, ზუგდ. - 79). სვანური გვარია. კომლი სამეგრელოში: ზანა - 29, ჩხორია - 8, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) - 4, დარჩელი - 4, ლია - 3, რიყე - 3 და სხვ. აფრასი, შემოკლებული ფორმა აფრასიონისა, გვხვდება 1663 წ. საბუთში (პალ, I, 192).

**აფსავა** - 40 სული (ჩხორ. - 12, წალენჯ. - 12, ფოთი - 11). გვარი გავრცელებულია ძირითადად სამეგრელოში და ქმნის დასახლებულ უბანს – საავსას - ყულიშკარში. შესაძლოა, აფსავა ზუგდიდში გავრცელებული აბსავას ვარიანტი იყოს ან პირიქით: აფას (სვან.) → აფასავა → აფსავა → აბსავა.

**აფსანძე** – 25 სული. მოსახლეობენ ძირითადად ზუგდიდის რ-ნში. შდრ. აფსავა, აბსანძე.

**აფშილავა** - 206 სული (ლანჩხუთი - 66, ზუგდ. - 29, წალენჯ. - 22). კომპაქტურად ცხოვრობენ ბანძაში (3 კ.). ტოპონიმები ზ. სამეგრელოში: ლეაფშილე - უბნები ხაშაპალესთან (თაია) და ჯაღრის საზღვართან (ნაკიფუ), სადაც უცხოვრიათ აფშილავებს (ამჟამად აქ მკვიდრობენ კვარაცხელიები). ნა(ა)ფშილუ - ბორცვი ოტოფუეს სათავესთან (ფუქი). ქვ. სამეგრელოში: ლეაფშილე//ელაფშილე - უბანი ჯუმის მარც. მხარეს (ახალსოფელი. ინფ.: "ცხოვრობენ ქადარიები, პაპუები, ხარჩილავები, დავითაიები, კეიდია... უკანასკნელი 100 წლის მანძილზე აფშილავას ერთი ოჯახის მეტს ამ უბანში არ უცხოვრია, მაგრამ მაინც ლეაფშილე ეწოდება"). ნააფშილუ - სახნავი ტეხურის პალაში (პ. ნოსირი). აფშილავას ვარიანტია ამშილავა (პალ, 1, 142) და ავშილავა. XVIII ს. პირველი ნახევრის ერთ-ერთ საბუთში დასახელებულია გაღმა ხორგას მცხოვრები გოხჯი ავშილავა (ქსძ, III, 771). ძირითადი ვარიანტია აბშილავა. ტალერში ცხოვრობენ როგორც აბშილავები (2 კომლი), ისე აფშილავებიც (2 კომლი). აბშილ//აფშილ სატომო სახელია და პირსახელადაც გვხვდება.

**აფხაზავა** - 1683 სული (ლანჩხ. - 343, თბ. - 245, ზუგდ. - 226). კომლი: ინგირი - 37, კიწია - 16, ხაბუმე - 11, ჩხოროწყუ - 10, ოქტომბერი - 8, კახათი - 7, საჯიჯაო - 7, ეკი - 3, ჩხორია - 3 და სხვ. ტოპონიმებიც დაფიქსირდა როგორც ზემო, ისე ქვემო სამეგრელოში: ლეაფხაზე - უბანი შებესა და ოლობუეს შუა (ნოღა, კიწიის თემი) და ყოფილი დასახ. უბანი პოღაღალისა და ბუმის წყალგამყოფზე (მ. პოღა, მოიდანახე). სააფხაზა//საფხაზო - უბანი კახაწყარის მარჯ. მხარეს (ცაიშის კახათი), საფხაზო ქუჩა//აფხაზეფიშ ქუჩა - აფხაზავებით დასახლებული მცირე უბანი ლექარჩესა და ლეკვარაცხელიეს შუა (ოირემე, ინგირის თემი). ნააფხაზუ - მინდორი ჯეგოლაში (ლეგოგიე-ნასაჯუ). გვარი მომდინარეობს ეთნონიმისაგან აფხაზი, რაც გვარის დამაარსებლის მეტსახელი ან სულაც ოფიციალური სახელი იყო. 1621 წ. საეკლესიო დავთარში დასახელებულია საქუჩულორიოს მცხოვრები აფხაზავა, რომელსაც მართებს საკათალიკოსო გადასახადი. იხ. ქსძ, III, 414). ხოლო 1616-1621 წწ. შედგენილ საეკლესიო საბუთში დარჩელის მცხოვრებთა შორის, რომელთაც მართებთ ცაიშის საყდრის ბეგარა, ჩამოთვლილნი არიან: ბიჯოჩია, გახიპულა, ქაქალი, გვანიბა, ნაცვალი, უწყენარი, გაკაკა, ფაცქიულა აფხაზავები (ქსძ, III, 455-460). ვარიანტი აბხაზავა ოფიციალურ გვარად იშვიათია.

**აქირთავა** - 223 სული (ზუგდ. - 108, თბ. - 42, ჩხორ.- 13). ნაკიანში დაფიქსირდა ორი კომლი ძირძველი მოსახლე. არიან ლტოლვილებიც. გვარის ფუძეა აფხაზური სიტყვა აქჳრთუა, რაც ნიშნავს ქართველს. აფხაზეთში აკირტავები, ანუ აქირთავები, აზნაურები იყვნენ.

**აქუბარდია** -1107 სული (ზუგდ. - 399, წალენჯ. - 346, თბ. - 161). კომლი: ჯვარი - 31, პალე - 25, ლია - 9, ჯგალი - 4, ორულუ - 3, რუხი - 3, შამგონა - 3, წალენჯიხა - 3 და სხვ. ადგ. ვარიანტია აქბარდია. ქ. ჯვარში ენგურისპირა დასახლებულ უბანს ეწოდება საქბარდიო.

**აღაია** – 28 სული. არიან ლტოლვილებიც. აღაია მეგრულში აღნიშნავს ფეთხუმს, უშნოს, გლახაკს.

**აშვეთია** – 150 სული (ქუთ. - 74, ტყიბ. - 4, თერჯ. - 1). სამეგრელოში უფრო გავრცელებულია ვარიანტი აშვედია (ნარაზენში, პ. მაისში...).

**აშორდია** - 117 სული (სენაკი - 34, მარტვ. - 23, თბ. - 13). კომლი: კიწია – 29, გურძემი - 4 და სხვ. შდრ. აშორტია.

**აშორტია** - 269 სული (მარტვ. - 89, ზუგდ. - 77, ფოთი - 26). კომლი: კურზუ - 6, დ. პყოხი - 3 ...

**აშუბა** - 24 სული. გამეგრელებულ აფხაზთა გვარია. აბაშასა და ზუგდიდში არიან ლტოლვილები.

**აძიმბაია** - 23 სული. აფხაზურ-მეგრული გვარია. ხობსა და ფოთში არიან ლტოლვილები.

**აჭაია** - აღრიცხულია 20 სული. ოცივე ხობის რ-ნში ცხოვრობს.

**ახალაია** - 4452 სული (ზუგდ. - 1145, ჩხორ. - 679, თბ. - 577). სულთა რაოდენობით საქართველოში 104-ე ადგილზეა, სამეგრელოში უკავია XVIII ადგილი (2917 სული). რაიონების მიხედვით ასეთი სურათია: ჩხოროწყუ – მე-14 ადგილი, ზუგდიდი – 24-ე ადგილი, მარტვილი – 29-ე

ადგილი, სენაკი – 42-ე ადგილი. კომლი: განარჯიის მუხური - 83, ქვ. ჩხოროწყუ - 38, დ. ჭყონი - 37, საჯიჯაო - 34, ინგირი - 31, ჩხოროწყუ - 27, ხობი - 25, ნაგვაზავო - 23, ქვ. ქვალონი -19, ნაკიანი - 18, ახუთი - 17, დოშაყე -16, ნარაზენი - 16 და სხვ. ტოპ.: ლეახალე - სოფელი ზანის მარჯ. მხარეს (ნაკიანის თემი). ეახაე - უბანი ნოღელის მარჯ. ნაპირას (ზ. ნაგვაზავო). საახალიო - უბნები სქაიის მარჯ. მხარეს (ნარაზენი) და ხობისწყლის ნაპირას (ჯაპშაქარი, საჯიჯაოს თემი). აქაური ახალაიების წინაპრები მოსულან ნაკიანიდან. შდრ.: ახალაძე - იმერეთში გავრცელებული გვარი, რომელიც ხშირად დასტურდება საისტორიო საბუთებში (პალ, I, 202-203). იშვიათი ვარიანტია ახალია (39 სული).

**ახალანძე** - ახალაძის მეგრული ვარიანტია, საქართველოში აღრიცხულია 21 სული, მათგან 17 ცხოვრობს ქუთაისში და მხოლოდ 3 - ჩხოროწყუს რაიონში.

**ახალია** – იხ. ახალაია. ახალია კოლხეთში პირსახელადაც არის დადასტურებული.

**ახვლედიანი** - 4531 სული. როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე იმერეთსა და ლეჩხუმში ფართოდ გავრცელებული ეს გვარი დასტურდება სამეგრელოშიც: სალხინო - 9 კომლი, მარტვილი - 5 კომლი, კახათი - 3 კომლი და სხვ. გვარი დაფიქსირებულია XVII ს. საბუთში (პალ, I, 205). იმერელი ახვლედიანები თავადები იყვნენ, ხოლო სამეგრელოში მცხოვრებნი – აზნაურები. ესენი 1904 წელს ცხოვრობდნენ და ფლობდნენ მამულებს ფოცხოში, მოხაშში, გურძეშში. ვარაუდობენ, რომ ახვლედიანი სვანური გვარია და მომდინარეობს ახვილდ პირსახელისაგან (მაისურაძე, 1981).

**ახობაძე** -2 363 სული. გვარი გავრცელებულია იმერეთსა და სამეგრელოში, კერძოდ, აბაშის რ-ნში: ქოლობანი - 22 კომლი, პ. მაისი - 21 კომლი, ზანათი – 6 კომლი, ძვ. აბაშა - 4 კომლი და სხვ. საახობაძო დასახლებული უბანია აბაშის მარც. მხარეს, გამოღმა ზანათში. ახობაძისეული მიწა აღნიშნულია 1700 წლის საბუთში (პალ, I, 206).

## ბ

**ბაახია** - 52 სული (მათ შორის აბაშის რ-ნში – 39). სოფ. მაიდანში მკვიდრობს 15 კომლი. მათს უბანს ეწოდება ბაახიების ქუჩა (კოეზას მარც. ნაპირას). იხ. ბახია.

**ბაბილუა** - 176 სული, ძირითადად სამეგრელოში: ძვ. სენაკში დაფიქსირდა 4 კომლი, ფოთში – 11 კ. და სხვ. ტოპ.: საბაბილუო - უბანი რიონის მარჯ. მხარეს (მუხური, ზ. ჭალადიდის თემი). ბაბილო სირიული სიტყვაა (ნიშნავს აჯანყებულს). მასთან აკავშირებენ ბაბილუა, ბაბილოძე გვარებს, მაგრამ კოლხეთში გავრცელებული ბაბილა, ბაბილო პირსახელები შესაძლოა ბაბა "მამა" სიტყვის კნინობითი ვარიანტები იყოს. გვარი ბაბილოვანი (ბაბილიანი) დასახელებულია ქვემო სვანეთის საისტ. საბუთებში XIV-XV სს. მიჯნაზე (პალ, I, 230). შდრ. აგრეთვე: ბაბილაშვილი, ბაბილოძე (521 სული. ძირითადად გურია-აჭარაში), ბაბლოვანი, ბაბლუანი.

**ბაგათელია** - 421 სული (ზუგდ. - 307, ჩხორ. - 32, ფოთი - 17). როგორც ამ მონაცემებიდანაც ჩანს, გვარი ძირითადად განსახლებულია სამეგრელოში. კომლი: ჯიხაშკარი - 9, კირცხი - 6, დარჩელი – 5, ზუგდიდი – 7 და სხვ. ტოპ.: საბაგათელიო - უბანი ნასოღალის მარჯ. მხარეს (ერგეტა).

**ბაგრატია** - 122 სული (მარტვ. - 20, სენაკი - 15, ბათ. - 13). კომლი: ხობი - 10, სხვაგან - თითო-ოროლა. ტოპ.: საბაგრატიო - უბანი ჭიხუში (ხობი). ბაგრატი ფართოდ გავრცელებული სახელია.

**ბაკარანძე** - 322 სული (ზუგდ. - 28, ფოთი - 8, ქუთ. - 6). კომლი: კახათი - 23, კორცხელი - 15, შამგონა- 6 და სხვ. ტოპ.: საბაკარანძო - უბანი ნაწულუკუში (რუხის თემი). ძირითადი ვარიანტია ბაკარაძე (ზუგდიდში, სენაკში). იშვიათად გვხვდება ბაკანძე, რაც მიღებულია რა კომპლექსის ამოვარდნით. ბაკარა გავრცელებული პირსახელია (შდრ. ბაკა, ბაკი, ბაკო).

**ბაკარაძე** - 129 სული. ძირითადად ზუგდიდისა და სენაკის რ-ნებში. იხ. ბაკარანძე.

**ბაკურაძე** - 2978 სული. განსახლებულია იმერეთსა და რაჭაში. გვხვდება სამეგრელოშიც (ხორში - 3 კომლი და სხვ). ტოპ.: საბაკურაძო - უბანი დიდ ხორში. ირანულიდან შემოსული ბაკურ ("ძე ღვთისა") ძველი დროიდანვე ფართოდ გავრცელებულა საქართველოში. იხ. ბაკურია.

**ბაკურია** - 96 სული (მარტვ. - 53, თბ. - 12, ქუთ. - 6). გვარის სამკვიდროა მარტვილის რ-ნი: ხუნწში ცხოვრობს 11 კომლი, სხვა სოფლებში - თითო-ოროლა. ტოპ.: ებაკურიე//ლებაკურიე - უბანი ნატებერაში (ლეციცხვაიე, ხუნწის თემი). ნაბაკურუ - ფერდობები ნაზმაკოჩუში (ფუქი). გვარი დაფიქსირებულია 1621 წ. საბუთში (ხიბულაში მცხოვრებ კაჭუჭია ბაკურიას ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა - ყოველდღე კამეჩის შენახვა. იხ. ქსძ, III, 419). პირსახელი ბაკურ კოლხეთშიცაა გავრცელებული. შდრ.: ბაკურიძე (974 სული. ძირითადად აჭარაში. შესაძლოა, სამეგრელოში მიგრირებისას შეიცვალა დაბოლოება).

**ბალიხაძე** - 821 სული. აჭარაში გავრცელებული ეს გვარი გვხვდება სამეგრელოშიც, კერძოდ, ახალკახათში ცხოვრობს 5 კომლი, სხვაგან - თითო-ოროლა.

**ბანცაძე** - 717 სული. იმერეთში გავრცელებული გვარია. გვხვდება სამეგრელოშიც: ახალსოფელში (ხობის რ.) ცხოვრობს 4 კომლი. გვარი ცნობილია XVI ს. დამდეგის საეკლესიო

საბუთიდან: ნასყიდა ბანცაძეს ემართა გელათის ღმრთისმშობლის ეკლესიის ბეგარა (პალ, I, 387). ლაზურში ბანცა დაბალი და მსუქანი კაცის ეპითეტია.

**ბანძავა** – 276 სული. ძირითადად სამტრედიის რ-ნშია გავრცელებული. რამდენიმე კომლი გვხვდება აბაშისა და ზუგდიდის რ-ნებში. შდრ. ბანძელაძე.

**ბანძელაძე** – 1374 სული. იმერული გვარია. გვხვდება სამეგრელოში (ქვ. ჭალადიდი – 8 კ.). წარმომავლობის სახელი ბანძელი მეტსახელად ქცეულა –ა სუფიქსის დართვით. -ძე გვარსახელს აწარმოებს.

**ბარათელი** – 659 სული. ძირითადი გავრცელების რეგიონია სამეგრელო (მარტვილის რ. – 135 სული, აბაშის რ. – 117 სული და სხვ.). კომლი: პ. მაისი – 23, აბედათი – 15, ლეხაინდრავო – 6, მარანი – 5, ტყვირი – 3 და სხვ. ბარათა საყოველთაო ცნობილი სახელია. -ელ სუფიქსი აღნიშნავს წარმომავლობას, ისევე როგორც -ძე და -შვილი. ე. ი. ბარათელი ნიშნავს ბარათას შვილს.

**ბარათელია** – გვარ ბარათელის ვარიანტია. სამეგრელოში გვხვდება რამდენიმე სოფელში: ერგეტა – 12 კომლი, ზანათი – 5 კომლი და სხვ. შდრ. ბარათელი.

**ბარაბაძე** – 1440 სული (თბ. – 262, ქუთ. – 230, ბათ. – 138). სამეგრელოში იშვიათი გვარია. დაფიქსირდა: ზანათი – 3 კომლი, ქვაითი – 3 კომლი და სხვ. 1621 წლის საეკლესიო საბუთით, მათხოჯს მცხოვრებ ბარაბაძეეძს – ბიბიას, გვიდიას, სანდელას, გიორგას, გოგიჩას, მახარებელს, ღვთისავარს და სხვებს – ემართათ საკათალიკოსო ბეგარა (ქსძ, III, 407–408). ბარაბა სახარებისეული პირსახელია.

**ბარამია** – 1385 სული (ზუგდ. – 337, მარტვ. – 256, თბ. – 244). სამეგრელოში ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული გვარია. კომლი: კიწია – 48, ჭითაწყარი – 20, ჭაქვინჯი – 9, შუა ხორგა – 8, მარტვილი – 7, დარჩელი – 5, განარჯიის მუხური – 4, ოდიში – 4, გურძემი – 3, ჩხოროწყუ –3 და სხვ. ტოპონიმები ზ. სამეგრელოში: ლებარამე – უბანი ცივის მარც. მხარეს (ნოღა, კიწიის თემი). იყოფა: დიდი ლებარამე//დობერაშ ლებარამე (მდინარისპირა ვაკე და ფერდობები) და ჟიმოლენი ლებარამე (სერზე, კორჩესა და შებეს შუა). ქვ. სამეგრელოში: საბარამიო – 1. უბანი ქ. ზუგდიდის საზღვართან (ჭითაწყარი). 2. უბანი ხობისწყლის მარჯ. მხარეს (გამოღმა შ. ხორგა. ინფ.: "1943 წელს 127 წლის ასაკში გარდაიცვალა ჭაქვინჯიდან გადმოსული კუჭუჭი ბარამია. აქაური ბარამიები მისი შთამომავლები ვართ"). 3. უბანი უმპიასა და სკურჩას შუა (ჭაქვინჯი). ბარამ, ბარამა ძველ საქართველოში გავრცელებული სახელებია. შდრ. გვარები: ბარამაშვილი, ბარამიშვილი, ბარამიძე. ბარამიძეები ცხოვრობენ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში (კერძოდ, გურიაში).

**ბარბაქაძე** – 6928 სული (თბ. – 1388, ხაშური – 853, ლაგოდ. – 692). საქართველოს მასშტაბით 36-ე ადგილზეა. ქართლსა და კახეთში ფართოდ გავრცელებული ეს გვარი სამეგრელოშიც დასტურდება: ახალსოფელში (ხობის რ.) მოსახლეობს 23 კომლი, სხვა სოფლებში – თითო-ოროლა.

**ბარგანჯია** – 27 სული. რამდენიმე კომლი ცხოვრობს ზუგდიდის რ-ნში დაფანტულად .

**ბარგატია** – აღნუსხულია 26 სული, ძირითადად სამეგრელოში (მარტვ. – 21, ფოთი – 4, ზუგდ. –1). კომპაქტური დასახლება დაფიქსირდა კიწიაში (6 კომლი). ბარგატია იგივეა, რაც, ბაგრატია: სონორი რ გადასულია ხშული გ-ს წინ (შდრ.: ქართ. ოქრო – მეგრ. ორქო, ქართ. გრილი – მეგრ. რგილი).

**ბართავა** – საქართველოში აღნუსხულია 55 სული, ძირითადად ზუგდიდისა (22 სული) და წალენჯიხის (8 სული) რაიონებში. ბართა ბართიმეს შემოკლებული ფორმაა, ხოლო ბართიმე იგივე ბართლომეა. მეორე მხრივ, ბართა, შესაძლოა, ბარათას რედუცირებული ვარიანტი იყოს.

**ბართაია** – 446 სული (მარტვ. – 167, თბ. – 139, ქუთ. – 34). კომლი: ლეხაინდრაო – 41, ბანძა – 5, გეჯეთი – 3, აბედათი – 3, გურძემი – 3 და სხვ. ტოპ.: ებართიე – უბანი აბაშის მარც. ნაპირას (პ. ბალდა). ამ გვარისთვისაც ამოსავალია პირსახელი ბართა ან ბარათა. იხ. ბართავა.

**ბართია** – 581 სული. ძირითადი ნაწილი ცხოვრობს სამეგრელოში (მარტვილი – 300 სული, ფოთი – 69 სული, ზუგდიდი – 45 სული). კომლი: გაჭედილი – 35, მარტვილი – 12, პატარა ფოთი – 12, სალხინო – 4, ნახუნავო – 3 და სხვ. ტოპ.: ნაბართუ – ბორცვი ემოსიესა და ქეიშინას შუა (დ. ინჩხური). ნობართენი – სახნავი ლეკაციეში (ახუთი). ბართი ბართიმეს (← ბართლომე) შემოკლებული ფორმაა.

**ბარკაია** – ძალზე იშვიათი გვარია. აღინუსხა რამდენიმე კომლი ფოთსა და ზუგდიდში. შდრ. ბარკავა (47 სული. ძირითადად იმერეთში). ბარკაია ბარკალაიას ვარიანტი ჩანს.

**ბარკალაია** – 883 სული (სენაკი – 385, თბ. – 265, აბაშა – 49). გვარი განსახლებულია ქვ. სამეგრელოში. კომლი: ძვ. სენაკი – 35, ლეძაძამე – 27, სუჯუნა – 11, ზანათი – 5, ნოსირი – 4, აბაშა – 3, უშაფათი – 3 და სხვ. ტოპ.: ლებარკალ(აი)ე – უბანი გურძემიის ნაპირებზე (ბეთლემი, ლეძაძამის თემი). „ბარკალაიები შოტლანდიელები ვყოფილვართ. ჩამოსულა ორი ძმა – მოგელი და ბაბუე. მე მოგელის მეხუთე თაობა ვარ. გვაქვს გენეალოგიური შტოს სქემა" (ინფ. ვ. ბარკალაია, დაბად. 1907 წელს). გვარი ბარკალაია დასტურდება XVIII ს. საბუთში: წყალიძგას მცხოვრები განიშა ბარკალაია შეუწირავთ ბიჭვინთისათვის (ქსძ, III, 467). ბარკალი (მეგრ.) "ბორძიკი" (შდრ. ძვ. ქართული ბრკუმა). ბარკალა "ბორძიკით მოსიარულე". ამ შინაარსის შემცველი მეტსახელი არაა მოულოდნელი. 1904 წლის აღწერის მასალების თანახმად, ბეთლემში მცხოვრები ბარკალაიები აზნაურები იყვნენ.

**ბარკალია** – აღრიცხულია მხოლოდ 20 სული: 11 – თბილისში, 6 – სენაკში. შდრ. ბარკალაია.

ბარსავა – ამ გვარის სამი კომლი ცხოვრობს ნაესაკაოში. კოლხეთში დადასტურებული პირსახელი ბარსუ (ქსს, 1986) გვავარაუდებინებს ბარსა ვარიანტსაც.

ბარქაია – 606 სული (ზუგდ. – 153, თბ. – 119, სენაკი – 108). კომლი: ხეთა – 8, ჸრთა – 7, ლეძაძამე – 5, ნარაზენი – 4, ინგირი – 3 და სხვ. ტოპ.: ნაბარქუ – ბორცვი ჸურდღელიაღალის ნაპირას (ნამიკოლავო პირველი). საბარქაიო – უბნები ჸრთასა და კვაუთში (ლეძაძამის თემი). ითვლება, რომ ბარქაია, ისევე როგორც ბაქრაძე, მიღებულია საკუთარი სახელისაგან ბაქარ(ა). სავარაუდოა ორი გზა: ბაქარაია → ბაქრაია → ბარქაია ან: ბაქრაძე → ბარქაძე → ბარქაია.

ბარქვაია – შესაძლოა, ბარქაიას ვარიანტი იყოს. საბარქვაიო უბანია კუთხენოჯიხევში.

ბარძემაშვილი – 48 სული. მოსახლეობენ ძირითადად ზუგდიდისა და სენაკის რ-ნებში.

ბარძემიშვილი – 148 სული. ძირითადად სამეგრელოშია განსახლებული (სენაკის რ. – 62, ზუგდიდის რ. – 21). კომლთა რაოდენობა: ახალკახათი – 3, ლეძაძამე – 3 და სხვ. გადმოცემით, ბარძემიშვილები მოსულან კახეთიდან. ადგ. ვარიანტი: ბარძემსქუა. ტოპონიმები: ლებარძემსქუე – უბანი გურძემიის მარჯ. მხარეს (მეორე მოხაში). საბარძემსქუო – უბანი გურძემიის მარჯ. მხარეს (ბეთლემი). ბარძემ, ბარძიმ სპარსული სიტყვაა და ნიშნავს დიდს, მაღალს. 1904 წლის აღწერის მონაცემებით, მოხაში მცხოვრები ბარძემიშვილები აზნაურები იყვნენ.

ბარჯანია – გვარის ძველად არსებობას ადასტურებს ტოპონიმი ლებარჯანე (სერი კურზუში).

ბასარია – 742 სული (ზუგდ. – 340, თბ.– 210, წალენჯ. – 40). ძირძველი მოსახლე სამეგრელოში იშვიათია. ძირითადად არიან ლტოლვილნი გალის რაიონიდან.

ბასილაია – 1485 სული (მარტვ. – 508, თბ. – 197, ზუგდ. – 194). გვარის საბუდარია სალხინო, სადაც მკვიდრობს 110 კომლი ბასილაია. კომლი სხვა სოფლებში: ახალხიბულა– 25, ტალერი – 9, ინგირი – 6, მარტვილი – 6, ხობი – 6, ოდიში – 5, ლესიჭინე – 4, ცაიში – 4, აბაშა – 3, ნარაზენი – 3 და სხვ. ადგ. ვარიანტები: ბასლაია, ბასაია. ტოპონიმები ზ. სამეგრელოში: ებასიე//ლებასიე – უბანი სალხინო-ქვიბიის გზაზე (ლეგულორდავე, სალხინოს თემი). ებასიე – უბანი ონტყოლის მარც. მხარეს (სალხინო). ნაბასიოუ – ფერდობები ოკიცის სათავესთან (მ. ბალდა). ქვ. სამეგრელოში: საბასილაიო – უბანი კირცხის საზღვართან (გაშფერდი, ახალხიბულის თემი). ბასილი, ბასილა ფართოდ გავრცელებული სახელებია (ბერძნულში ბასილი ნიშნავს სამეფოს, მეფურს). 'შდრ.: ბასილაძე.

ბასილაძე – 2 669 სული (ქუთ. – 581, ხელვაჩ. – 461, ქობ. – 283). იმერეთსა და აჭარაში გავრცელებული ეს გვარი სამეგრელოშიც გვხვდება, კერძოდ, ს. ზუმში ცხოვრობს ბასილაძეთა 6 კომლი. გვარი ცნობილია XVII საუკუნიდან (ქსძ, III, 467). იხ. ბასილაია.

ბასკანჩალაძე – 38 სული (სამტრ. – 28, აბაშა – 8, თბ. – 2). გვარი სამტრედიის რ-ნიდან გადმონაცვლებულა მეზობელ აბაშის რ-ნში: პ. მაისში სახლობს 5 კომლი.

ბასლანძე – 141 სული. მათგან ზუგდიდში ცხოვრობს 52 სული. ბასილაძის ვარიანტია: ბასილაძე → ბასლაძე → ბასლანძე.

ბაქრაძე – 3106 სული (თბ. – 1444, ქუთ. – 268, ჭიათ. – 213). ერთ-ერთი ყველაზე მრავალ-რიცხოვანი გვარია საქართველოში (197-ე ადგილი). გვარის სამშობლოა იმერეთი. სამეგრელოში იშვიათია: ძვ. სენაკში დაფიქსირდა უბანი საბაქრაძო (სოფლის ცენტრსა და საგიგიბერიოს შუა), სადაც ცხოვრობს ბაქრაძეთა 5 კომლი. მათი წინაპარი ხახუტა ბაქრაძე რაჭიდან მოსულა. გვარისათვის ამოსავალია პირსახელი ბაქარა (მაშასადამე: ბაქარა→ ბაქარაძე→ ბაქრაძე)..

ბაღათურია – 1 819 სული (სენაკი – 490, თბ. – 470, აბაშა – 182). კომლი: ნაქალაქევი – 51, აბაშა – 24, სუჯუნა – 15, ახალაბასთუმანი – 10, ნოსირი – 10, სეფიეთი – 10, სამიქაო – 8, ძვ. სენაკი – 8, ლეძაძამე – 6, ძვ. აბაშა – 4, ნარაზენი – 4 და სხვ. ტოპონიმი ქვ. სამეგრელოში: ლებაღათურე – სოფელი აბაშისა და ტარჩენის მარჯ. მხარეს (ნაქალაქევის თემი). ლებაღათურე – უბანი კვარჩხილალის მარც. მხარეს (ბეთლემი). ებაღათურე – უბანი ზედა ნაქალაქევიში. ბაღათურიების ქუჩა – უბანი ზედა მაიდანში (მაიდანი). სპარსულ სიტყვა ბაადურს („გოლიათი, მამაცი, რაინდი") მოუცია ვარიანტები: ბაჰადურ (თურქულში), ბაღათური (ქართულში).

ბაღბაია – 119 სული (ზუგდ. – 47, თბ. – 39, სამტრ. – 9). აფხაზურ-მეგრული გვარია. სამეგრელოში ძირძველი მოსახლე იშვიათია. არიან ლტოლვილები.

ბაღიშვილი – 743 სული (მარტვ. – 184, თბ. – 174, ზუგდ. – 125). ამ -შვილ დაბოლოებიანი გვარის სამშობლოა სამეგრელო. კომლი: გაჭედილი – 39, ბანძა – 4, ხუნწი – 4, მარტვილი – 3 და სხვ. ადგ. ვარიანტი: ბაღ(ი)სკუა. ტოპ.: ებაღსკუე – უბანი პ. ქინოთის საზღვართან (სკურდი, გაჭედილის თემი). ბაღი მეგრული ბაღირის შემოკლებული ფორმა ჩანს.

ბაღუშვილი – 125 სული (სენაკი – 83, აბაშა – 19, თბ. – 10). ეს -შვილ სუფიქსოიდიანი გვარიც ძირითადად სამეგრელოშია განსახლებული. კომლი: ნაესაკაო – 3, ნაქალაქევი – 3 და სხვ. ბაღური სვანეთში პირსახელია. ბაღუ ფუძე გამოიყოფა ბაღუაშშიც (ბაღუაშები – მსხვილი ფეოდალური საგვარეულო IX-XIII სს. საქართველოში). პირსახელი ბაღუა დამოწმებულია ისტორიული საბუთით: 1634 წ. ბაღუაი კოლოშვილი გაუყოლებიათ მარიამ დედოფლისათვის მზითევში (პალ, II, 535).

**ბაჩილავა** – 752 სული (მარტვ. – 313, თბ.– 114, ხობი – 106). კომლი: ინჩხური – 70, ხეთა – 16, თორსა-ღლვაბა – 7, ნალეფსაო – 7, მარტვილი – 6, ახალსოფელი (ხობის რ) – 3, გაჭედილი – 3, დიდი ნეძი – 3, ქარიატა – 3 და სხვ. ტოპონიმი ზ. სამეგრელოში: ლებაჩე – სოფელი აბაშის მარჯ. ნაპირას (ინჩხურის თემი). ებაჩიე – ბაჩილავების უბანი ლებაჩეში. ქვ. სამეგრელოში: საბაჩილა – უბანი უტორის მარც. მხარეს, საბუკიოში. საბაჩილო – უბანი ხობისწყლის მარც. მხარეს (გაღმა ქარიატა). გვარი ბაჩილა ფორმით გვხვდება 1621 წლის საბუთში: ნაგვაზაუს მცხოვრებ ბაჩილას ემართა საკათალიკოსო ბეგარა (ქსძ, III, 412). ფოთში დაფიქსირდა ვარიანტი ბაჩილუა. ბაჩი, ბაჩა, ბაჩილა პირსახელებია.

**ბაძაღუა** – 1230 სული (ზუგდ. – 351, ჩხორ. – 278, წალენჯ. – 199). კომლი: მუხური – 33, ხაბუმე – 30, ხეთა – 14, ჯგალი – 6, ქოლობანი – 3, ჩხოროწყუ – 3 და სხვ. ტოპ.: ლებაძაღუე – უბანი ჭაჟასკურის ნაპირებზე (ხაბუმე). არაა გამორიცხული ამ გვარის (ფუძის) უცხოურობა (როგავა, 1955, გვ. 6).

**ბახბავა** – 22 სული (ფოთი – 19, ზუგდ. – 3). გვარი აფხაზურ-მეგრულია. შდრ. ბახვავა.

**ბახბაია** – 47 სული (ზუგდ. – 25, მარტვ. – 6, სენაკი – 6). გვარი აფხაზურ-მეგრულია. ძირძველ მოსახლეებთან ერთად სამეგრელოში არიან ლტოლვილებიც.

**ბახვავა** – ფოთში ცხოვრობს რამდენიმე სული. ამოსავალია პირსახელი ბახვა (მეგრ. "ბუთხუზა"), თუმცა შესაძლოა ბახვავა ბახბავას ვარიანტი იყოს.

**ბახია** – 445 სული (თბ. – 170, მარტვ. – 87, ზუგდ. – 56). კომლი: ბანძა – 16, ნაჯახავო – 8, ვედიდკარი – 6, აბაშა – 4 და სხვ. ბახი გურულსა და იმერულში აღნიშნავს ძალზე გამხდარ ცხენს და შეიძლებოდა პიროვნების მეტსახელადაც გამომდგარიყო. შდრ. ბაახია.

**ბახუტია** – გვარს აღადგენს ტოპონიმი ნაბახ(უ)ტუ, რაც სახნავის სახელია ინწირის მარც. მხარეს (საჩინო). ბახუტი ბახვას კნინობით-მოფერებითი ვარიანტია.

**ბახტაძე** – 3369 სული (თბ.– 1357, კასპი – 234, ზუგდ. – 158). კომლი სამეგრელოში: რიყე – 8, მარანი – 6, რუხი – 6, ქვ. ქვალონი – 5, ახალსოფელი (სენაკის რ.) – 4 და სხვ. XVI ს. დიმლევის საისტორიო საბუთში დასახელებულია რამდენიმე ბახტაძე, რომელთაც ემართათ ხონის საყდრის ბეგარა (პალ, I, 484). სავარაუდოა: ბახუტა → ბახუტაძე → ბახტაძე.

**ბაჯალაძე** – 54 სული (ზუგდ. – 19, ფოთი – 18, თბ. – 7). ადგ. ვარიანტია ბაჯალანძე. რამდენიმე კომლი ცხოვრობს ჭითაწყარში. ბაჯალა კოლხური სახელის – ბაჯას – მოფერებითი ვარიანტია.

**ბებელია** – გვარის არსებობას ადასტურებს ტოპონიმი საბებელიო (ბორცვი მუჟავაში, საარქანიოს უბანში, სადაც უწინ ბებელიებს უცხოვრიათ). ბებე, ბებუ, ბებელი კოლხეთში პირსახელებია.

**ბებერაია** – ძალზე იშვიათი გვარია: დაფიქსირდა ფოთში. შდრ. ბებერაშვილი.

**ბებია** – 1362 სული (ჩხორ. – 318, ზუგდ. – 247, ფოთი – 187). კომლი: ჩხოროწყუ – 38, ქვ. ჩხოროწყუ – 35, თეკლათი – 10, ახუთი – 7, ნაფიჩხოვო – 6, კირცხი – 5, ძვ. ხიბულა – 4, ინგირი – 3, საჯიჯაო – 3, ქვ. ქვალონი – 3, ხობი – 3, ხუნწი – 3 და სხვ. ტოპონიმი ზ. სამეგრელოში: ლებებიე//საბებიო – უბანი ოჩხომურის მარც. მხარეს (გარახა). ქვ. სამეგრელოში: ლებებია – ყოფილი დასახ. უბანი მეტერიის მარჯვ. მხარეს (ფოცხო). საბებიო – უბნები საჭანიოსა და საცაგურიოს შუა (ძვ. ხიბულა) და ლაბახურის ნაპირებზე (თეკლათი, გოლასკური). 1621 წლის საეკლესიო საბუთში აღნიშნულია, რომ საქურჩულორიოს მცხოვრებ ბებია ოფიშხუას ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა (ქსძ, III, 413). ბება, ბებე, ბებუ სვანეთსა და სამეგრელოში გავრცელებული სახელებია. შდრ.: ბებიაშვილი (იმერეთი. ისტორიულ საბუთებში დაფიქსირებულია XVII საუკუნიდან) და ბებიანი (დაფიქსირებულია სვანეთის საისტორიო ძეგლებში).

**ბებიავა** – 21 სული. ორიოდე კომლი ცხოვრობს ხუნწში. უკვე არსებულ გვარს ხელმეორედ დართვია სუფიქსი -ვა საგვარსახელო ფუნქციის განსამტკიცებლად.

**ბებუა** – 81 სული. ცხოვრობენ ძირითადად ზუგდიდისა და სენაკის რ-ნებში. ბებუ პირსახელია.

**ბებურია** – 171 სული (ზუგდ. – 43, ფოთი – 34, სენაკი – 8). კომლი: ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) – 13, ხობი – 8, ბულიწყუ – 3, თორსა-ღლვაბა – 3 და სხვ. ტოპ.: ნაბებურუ.– ტყე-ფერდობები ბებურიაშ ღალის სათავესთან (პ. ჭოღა). საბებურიო – უბნები აბასთუმანში (ურთის კალთების ძირას) და ხობში (პირველ ჭიხუში, საშუშანიოსა და საქანთარიოს შუა). ბებური გავრცელებული პირსახელია. შდრ. ბებია, ბებუა, ბებელია. გვარი ბებურიშვილი გვხვდება ისტ. საბუთებში XVII ს-დან.

**ბედია** – 308 სული (თბ. – 133, მარტვ. – 79, სენაკი – 35). კომლი: სერგიეთი – 18, ქვ. ჩხოროწყუ – 13 და სხვ. ტოპ.: საბედიო – ყოფილი დასახ. უბანი გაშფერდის კალთაზე (საჩიქობავო). გადმოცემით, აფხაზეთიდან გადმოსული ბედიები ამ სოფლის პირველმოსახლენი ყოფილან. ბედა, ბედან, ბედანა, ბედე, ბედია დას. საქართველოში პირსახელებია. შდრ.: ბედიაშვილი, ბედიანაშვილი...

**ბედუკიძე** – 69 სული (თბ – 30, ზუგდ. – 14, რუსთ. – 9). ადგ. ვარიანტი: ბერწკინ(დ)ი. ტოპ.: ლებერწკინ(დ)ე – ბედუკიძეების უბანი შების მარჯ. მხარეს (ხანწკი). პირსახელი ბედუკა დადასტურებულია 1601 წლის საეკლესიო საბუთში (პალ, I, 498).

**ბეთია** – 44 სული. თითქმის ყველა ცხოვრობს ზუგდიდის რ-ნში. ბეთე კოლხეთში პირსახელია. მაშასადამე: ბეთე →ბეთე-ა →ბეთია. შდრ. ბეთიაშვილი.

ბექვერია - 84 სული (ზუგდ. - 45, თბ. - 13, ფოთი – 12). შდრ. არაა გამორიცხული, ბეკური კოლხური პირსახელების - ბეკოს ან ბეკუს – კნინობითი ფორმა იყოს. შდრ. ბეკური, ბეკურიშვილი.

ბელთაძე – 1279 სული. გვარი გავრცელებულია ქვემო იმერეთში და მიგრირებულია სამეგრელოშიც: პ. ფოთში ცხოვრობს 3 კომლი. გვარი დასტურდება XVI ს. I მეოთხედის მიწის ყიდვა-გაყიდვის საბუთში (პალ, I, 500). ბელთა კოლხეთში დამოწმებული ბელთაყეს ვარიანტი ჩანს.

ბელქანია - 1381 სული (წალენჯ. - 473, ზუგდ. - 397, ჩხორ. - 106). გვარს წალენჯიხის რ-ნში უკავია 25-ე ადგილი. კომლი: ჯგალი - 38, წალენჯიხა - 26, ნაკიფუ - 17, საჩინო - 8, განარჯიის მუხური - 7, ჩხორია - 7, კორცხელი - 6, ქვ. ჩხოროწყუ - 6, ძვ. სენაკი - 4, ჭითაწყარი - 4, ხაბუმე - 4 და სხვ. ტოპონიმი ზ. სამეგრელოში: ლებელქახიე//საბელქანიო - უბანი ჭანისწყლის მარც. მხარეს (ჯგალი). საბელქანიო - უბანი სქურჩისა და ლაჩახვის წყალგამყოფ სერზე (ულურია, ნაკიფუს თემი). ქვ. სამეგრელოში: საბელქანიო - უბანი ტეხურის მარჯ. მხარეს (კოტიანეთი, ძვ. სენაკის თემი). „შესაწირი ხარი მიჰყავდათ ახალ ბეცოულში. იქიდან ერთი წინაპარი ჯვარში გამოქცეულა. ჯვარიდან დადიანს აქ, კოტიანეთში, ჩამოუყვანია ჩვენი პაპუ გუდუა“ (ინფ.). 1616-1621 წლებში შედგენილ საბუთში ჩამოთვლილია ჯგალის ციხის ბეგრის გადამხდელნი. მათ შორის დასახელებულია გურძიხილა ბელქახოა (ქსძ, III, 479). ეს გვარი შეცდომით ჩაწერილი ბელქანია უნდა იყოს. ი. მაისურაძის ცნობით, გურიაში, სოფ. გურიანთაში, ცხოვრობენ ბელიქანიძეები (მაისურაძე, 1981, გვ. 34).

ბენდელავა – 72 სული. ძირითადად მოსახლეობენ ზუგდიდისა (41 სული) და სენაკის (15 სული) რ-ნებში. ბენდელა მეგრულში უთავბოლოდ მოყიალე, უსაქმური კაცის ეპითეტია. მეორე მხრივ. ბენდელა ბენდეს (სვან.) კნინობითი ფორმაც შეიძლება იყოს. შდრ. ბენდელიანი.

ბენდელიანი - 3379 სული (ცაგერი - 614, თბ. – 441, წყალტ. - 361). სულადობით ქვეყანაში 173-ე ადგილზეა. ცაგერის რ-ნში უკავია V ადგილი. კომლი სამეგრელოში: ჯიხაშკარი - 38, მუხური - 10, კოკი - 6, ნოჯიხევი - 6 და სხვ. ადგ. ვარიანტი ბედელია. ტოპ.: ნაბედელუ - ბორცვი საჯალაღონიოში, სადაც ბენდელიანების ნასახლარებია (ახუთი). საბენდელიანო – უბანი ჯიხაშკარში. შდრ. ბენდელავა.

ბენია - 378 სული (ზუგდ. - 167, თბ. - 63, ხობი - 30). თითო-თითო კომლი დაფიქსირდა ზუგდიდში, ნოჯიხევში, ახალსოფელში... ბენე ბენედიქტეს, ხოლო ბენია - ბენიამენის შემოკლებული ვარიანტია. სახელი ბენია და გვარი ბენიაშვილი გვხვდება XVII ს. საბუთში (პალ, I, 500). შდრ. ბენიძე.

ბენიძე - 2525 სული. ძირითადი გავრცელების რეგიონია ქვემო იმერეთი. სამეგრელოში დასტურდება: გეზათში - 4 კომლი, ხუნწში - 3 კომლი და სხვ. შდრ. ბენია.

ბერაია - 3312 სული (ზუგდ. - 736, ფოთი - 682, თბ. - 376). ქვეყნის მასშტაბით უკავია 181-ე ადგილი, სამეგრელოში კი - 47-ე (1742 სული). ფოთში პირველი ადგილი უჭირავს, ხობის რ-ნში – მესამე (788 სული). კომლი: პ. ხორგა - 70, შ. ხორგა - 50, ხობი - 25, ქარიატა - 21, აბასთუმანი - 14, ქვ. ჭალადიდი - 13, ახალხიბულა - 11, გეჯეთი - 11, დარჩელი - 10, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) - 6, კოკი - 6, თეკლათი - 6 და სხვ. ბერაიები ქმნიან დასახლებულ უბანს (სახელწოდებით საბერაიო) ზუგდიდის (კოკი, ხეცერა), ხობისა (გამოღმა შუა ხორგა, გამოღმა ქარიატა, გაღმა ქარიატა, ზუბი) და სენაკის (ციხეთი) რაიონებში. საბერაიო ეწოდება აგრეთვე ტყეებს მეორე გურიფულსა (ხობი) და საგვარამიოში (თეკლათის თემი). როგორც მოყვანილი მასალიდან ჩანს, ბერაიების ერთ-ერთი ძირითადი (და იქნებ პირვანდელიც) სამკვიდრებელი ყოფილა ხობისწყლისპირეთი - ხობი-ხორგა-ქარიატის ტერიტორიები. გაღმა ხორგიდან XVIII ს. პირველ ნახევარში საეკლესიო ბეგრის გადამხდელნი ყოფილან: 1. ბერაია ბაბაკოჩი და ხახუ. 2. თომა ბერაია და მისი ძმა ბეჟია. 3. ბერაია გურიკავა და შოშიტა (ქსძ, III, 771). 1706 წლის საბუთში აღნიშნულია: „კიდევ ოთხი მოსახლე ბერაიები იმავ კათალიკოზის ხელშიდ მიქელაძეს გიორგის შეეწირა... “ (ქსძ, III, 646). 1714 წლის საბუთში კი დასახელებულნი არიან ბიჭვინთისათვის შეწირული ყმა-გლეხები ბატკა ბერაია, ბაძაღალა ბერაია და სხვ. (პალ, I, 512). ამავე პერიოდის სხვა შეწირულების წიგნში მოხსენიებულნი არიან თომა, ბატკუა და შამაგულა ბერაიები, რომელთაც მართებთ ბიჭვინთის ეკლესიის ბეგარა სამ-სამი ლიტრიკონი (ქსძ, III, 676). საერთოდ, ბერა, ბერი შუა საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული პირსახელებია და საფუძვლად უდევს გვარებს: ბერაია, ბერაძე, ბერია, ბერიძე, ბერიშვილი.

ბერანძე - 190 სული (ზუგდ. - 164, წალენჯ. - 8, ქობ. - 5). ბერაძის ვარიანტია. კომლი: კორცხელი - 22, განარჯიის მუხური - 8, ჭითაწყარი - 6, რუხი - 3 და სხვ. ტოპ.: საბერანძო – უბანი ბაშში (კორცხელის თემი). ზუგდიდის რ-ნში გვხვდება საპასპორტო ვარიანტი ბერანაძეც (80 სული).

ბერაძე - 4567 სული. სულადობით ქვეყანაში 94-ე ადგილზეა. გვარის სამშობლოა იმერეთი. ბერანძე მისი ვარიანტია, თუმცა ოფიციალურ, საპასპორტო ფორმადაც გვხვდება (იხ. ზემოთ). კომლი სამეგრელოში: ზუმი - 18, ჩხორია - 4 და სხვ. ტოპ.: საბერა(ნ)ძო - უბანი ხობისწყლის მარჯ. მხარეს. ცხოვრობენ ბერაძეები (ზუმი). გვარი პირველად დასახელებულია 1504 წ. საბუთში (პალ, I, 513).

ბერდეხელია – 28 სული. თითქმის ყველა ცხოვრობს ზუგდიდის რ-ნის სოფლებში გაფანტულად.

ბერზენია - 36 სული. ცხოვრობენ ზუგდიდის რაიონის სოფლებში გაფანტულად. ამოსავალია ეთნიკური ტერმინი ბერძენი, ბერზენი. ტოპ.: ნაბერზემუ – მინდორი საჩიქობავოში. იხ. ბერძენია.

ბერია – 1698 სული (თბ. - 375, ჩხორ. - 364, ზუგდ. - 231). კომლი: ნაფიჩხოვო - 47, ხაბუმე - 15, ხუნწი - 8, კურზუ - 6, ჩხოროწყუ - 4, კოკი - 3, ლია - 3, საჩინო – 3 და სხვ. ტოპონიმი ზ. სამეგრელოში: ლებერიე//ბერიათი - დიდი უბანი ლაკადისძირეში. ბერიების თავდაპირველი საცხოვრისი აქ უნდა იყოს. იყოფა: ჯიხაიშ ლებერიე, დგკოხონი ლებერიე, გელახონი ლებერიე (ნაფიჩხოვო). ლებერიე უბანია მეორე კიწიაშიც. ქვ. სამეგრელოში: საბერიო - უბნები შამგონაში, ახალსოფელში (ზუგდიდის რ.) და ბორცვი კუთხენოჯიხევში. ბერია ისტორიულ დოკუმენტებში გვარიცაა და სახელიც. კერძოდ, გვარია იგი 1556 წლის საბუთში, სადაც აღნიშნულია, რომ ბერია ქრისტეშიას ემართა ხოფის საყდრის ბეგარა 30 თეთრი (ქსძ, III, გვ. 349), ხოლო ხიხუშაა ბერია და ხახუტა ბერია ცაიშის საყდრის მებეგრენი იყვნენ (ქსძ, III, 454). შდრ. გვარები: ბერიაშვილი, ბერიაძე.

ბერისკუა - ბერიშვილის ვარიანტია. 1904 წლის აღწერის მასალებში დაფიქსირებულია გვარი ბერისკუა (1 კომლი პ. კოკში, 2 კომლი ობუჯში და სხე).

ბერიძე – 24797 სული. გვარი საქართველოში პირველ ადგილზეა სულადობის მიხედვით. განსაკუთრებით მრავლად არიან აჭარაში (14192 სული. პირველი ადგილი). კომლი სამეგრელოში: ნარაზენი - 21, გურძემი - 15, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) - 8, კიწია - 8, შამგონა - 8, აბასთუმანი - 6, ახალსოფელი (ხობის რ.) - 5, ბია - 5, ზ. ქვალონი - 5, ფოცხო - 5 და სხვ. ადგ. ვარიანტია ბერძე. ტოპ.: ლებერძე - უბანი ტეხურისა და ჩხოუშიის მარჯ. ნაპირას (ნახურცილავო, გურძემის თემი). ლებერიძე – უბანი მეტერიის მარჯ. მხარეს. გვარი ბერისძე ისტორიულ საბუთებში დადასტურებულია XIII ს-დან, ხოლო ბერიძე - XV ს. შუა წლებიდან. 1570 წლის ახლო ხანებში დაწერილ საბუთში ნახსენებია გიორგი ბერიძე (პალ, I, 524- 525). ეთნოგრაფიული მასალის თანახმად, სამეგრელოდან ლეჩხუმში გაქცეულ ბერიძეს მიუცია დასაბამი გვარ ლეშკაშელისათვის (თოფჩიშვილი, 1991). გვარისათვის ამოსავალია მამაკაცის სახელი ბერი (იხ. მაისურაძე, 1979, გვ. 78–85). 1904 წ. აღწერის მონაცემებით, აბასთუმანსა და გურძემში მცხოვრები ბერიძეები აზნაურები იყვნენ.

ბერიშვილი - 4107 სული. საქართველოში 120-ე ადგილზეა, სამეგრელოს რეგიონში – მე-40 (1837 სული), ხოლო მარტვილის რ-ნში – 26-ე ადგილზე. -შვილ დაბოლოებიანი ეს გვარი ძირითადად სამეგრელოშია განსახლებული (ზუგდიდის რ. - 680 სული, წალენჯიხის რ. - 511 სული და სხვ.). კომლი: სალხინო - 55, ლია - 21, წალენჯიხა - 16, საჩინო - 8, ხეთა - 7, თორსა-ღლვაბა - 6, ანაკლია - 5, ობუჯი -5, ქარიატა - 5, ქვ. ქვალონი – 5 და სხვ. ადგ. ვარიანტი: ბერ(ი)სქუა. ტოპონიმი ზ. სამეგრელოში: ლებერსქუე//მუხურალეფი - უბანი ტეხურის რკალში. ცხოვრობენ ბერიშვილები (ნამიკოლავო პ.). საბერსქუო//ნაბერისქუ - ბორცვი ლახვაშიის მარჯ. მხარეს, სადაც სახლობდნენ ბერიშვილები (ლედგებე). ებერსქუე//ებერსკუე - უბანი ვახაში (სალხინოს თემი). ებერისქუე - ყოფილი დასახ. უბანი, ამჟამად ფერდობები ჯამანჯღარის მარჯ. ნაპირას (პ. თამაკონი). ქვ. სამეგრელოში: საბერიშვილო - უბანი ნარაზენში. წალენჯიხის რ-ნში (ლია, საჩინო, წალენჯიხა) მცხოვრებ ბერიშვილებს სჯერათ, რომ მათი წინაპრები სურებიდან არიან ჩამოსულნი. გვარი გვხვდება ისტ. საბუთებში XVII ს. I ნახევრიდან. შდრ. ბერია, ბერიძე.

ბერნაძე – 23 სული. მცირერიცხოვანი გვარია. ზუგდიდის რ-ნში ცხოვრობს რამდენიმე კომლი. სავარაუდოა გვარის წარმოქმნის ასეთი გზა: ბერაძე → ბერანძე → ბერნაძე.

ბერულავა - 2486 სული (ზუგდ. - 507, თბ. - 505, მარტვ. - 351). საქართველოში 320-ე ადგილზეა სულთა რაოდენობით. კომლი: კურზუ - 85, ნაფიჩხ. - 24, ჩხორია - 22, რიყე - 13, ხაბუმე - 12, ჩხოროწყუ - 6, ინგირი - 5, ბია - 4, მარტვილი - 4, ოდიში 4 და სხვ. ტოპონიმი ზ. სამეგრელოში: საბერულავო (ადგ. ვარიანტი: საბერულო, ლებერულე) - სოფელი ოჩხომურის ორსავე ნაპირას (კურზუს თემი). ლებერულე - უბნები გოდოგანში, ნაფიჩხოვოში, მეორე კიწიაში, მეორე ჭოღაში. ნაბერულუ - სახნავი მისარონის კალთაზე (გოდოგანი). ქვ. სამეგრელოში: საბერულო - უბანი ჩხოუშია-ბეჟაშ ღალის წყალგამყოფზე (ჩხორია). აქაური ბერულავების წინაპრები მოსულან კურზუდან, სადაც არის ამ გვარის თავდაპირველი საცხოვრისი. ბერა, ბერი, ბერო გავრცელებული პირსახელებია. მათი კნინობით-მოფერებითი ვარიანტებია ბერუა, ბერუკა, ბერულა.

ბერძენი – გვარად ქცეული ეთნიკური ტერმინია. ორიოდე კომლი ამ გვარისა დაფიქსირდა ფოთში. 1904 წლის აღწერის მონაცემების თანახმად, ჭალადიდის მუხურსა და საღვამიჩავოში მცხოვრები რამდენიმე კომლი, გვარად ბერძენი, აზნაურია. შდრ. ბერზენია, ბერძენიშვილი.

ბერძენია - 40 სული. გავრცელებულია ძირითადად ზუგდიდისა (19 სული) და წალენჯიხის (5 სული) რაიონებში. ტოპ.: საბერძენო - ყოფილი დასახ. უბანი ციას ნაპირებზე (საღვამიჩავო, ქვ. ჭალადიდის თემი). ნაბერძენუ – მინდორი საკინწურაშვილოში (სენაკი).

ბესელია - 1176 სული (სენაკი – 401, თბ. – 229, ზუგდ. – 120). კომლი: ნოსირი – 81, ნაქალაქევი - 19, სუჯუნა – 19, ორსანტია – 12, ნორიო – 3 და სხვ. ტოპ.: საბესელიო – სოფელი დას. საქართველოს ცენტრალური მაგისტრალისა და რკინიგზის ორსავე მხარეს (ნოსირის თემი). საბესელიო ეწოდება უბნებსაც ორსანტიასა და გახომელაში. ბესელი პირსახელ ბესას (←ბესარიონ) კნინობითი ვარიანტია.

**ბექაია** – 223 სული (სამტრ. – 81, თბ.– 51, ქუთ. – 38). სამეგრელოში დაფიქსირდა რამდენიმე ოჯახი. ტოპ.: ნაბექუ – ბორცვი ლეწიფურეში (ნოღა). ბექა გავრცელებული სახელია. შდრ. ბექაილ (სვან.), ბექირბი (მეგრ.) და ბექაშვილი (დასტურდება XVII ს. II ნახევრიდან. იხ. პალ, I, 539).

**ბეშია** – 108 სული (ზუგდ. – 80, თბ. – 10, ჩხორ. –5 ). კომლი: ჯვარი – 3, ზუგდიდის რ-ნის სოფლებში – თითო-ოროლა. გვარსახელის ფუძე ბეში ბეშქენის შემოკლებული ფორმა ჩანს.

**ბეჩეხია** – 42 სული. გვარი განსახლებულია ძირითადად სენაკისა (23 სული) და ზუგდიდის (4 სული) რ-ნებში. თვით სენაკში მკვიდრობს სამი კომლი, ზუგდიდში – ერთადერთი. გვხვდება ვარიანტები ბეჩახია, ბიჩახია. ბეჩა, ბიჩა (აგრეთვე ბეჩე, ბეჩუ, ბეჩუნი) კოლხური პირსახელებია. -ია სუფიქსის წინ ჩართულია ხ ინფიქსი. ბეჩეხი უნდა ნიშნავდეს ბეჩეს შთამომავალს.

**ბეჭვაია** – 958 სული (ზუგდ. – 301, მარტვ. – 295, თბ. – 162). კომლი: დიდი ჭყონი – 71 (აქაა გვარის ძირძველი საძკვიდრო), ხარაზენი – 54, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) – 5, დარჩელი – 3 და სხვ. ტოპ.: ლებეჭვაიე – უბანი ტეხურის მარჯ. მხარეს (დ. ჭყონი). საბეჭვაიო – უბნები ჭითაწყარში (ყოფილი კიროვი) და უჩაშონაში. სავარაუდოა: ბეჭუა "წვნა" (მაგ., კალათისა)→ მ-ბეჭუ "მწვნელი" →ბეჭუ (მეტსახელი) → ბეჭუა (გვარსახელი) → ბეჭუაია (მეორეული სუფიქსაცია გვარისა) → ბეჭვაია.

**ბზაკალია** – დიდ ნეძში დაფიქსირდა 2 კომლი. შდრ. ბზეკალავა.

**ბზეკალავა** – 215 სული (ლანჩხ. – 133, თბ. – 36, ბათ. – 20). სამეგრელოში აღნუსხულია რამდენიმე კომლი. ვარაუდობენ, რომ გვარსახელის ფუძეში გვაქვს სიტყვა ბზეკალი, რაც გურულში აღნიშნავს ბავშვის სათამაშო პატარა მშვილდ-ისარს.

**ბზიავა** – 172 სული (აბაშა – 73, თბ. – 56, ფოთი – 12). კომლი: აბაშა – 12, კეთილარი – 6, ნაესაკაო – 4 და სხვ. შდრ. ბზიალა – პირსახელი კოლხეთში.

**ბზღილავა** – 25 სული. იშვიათი გვარია. ვედიდკარში სახლობს 6 კომლი. ბზღილი "ჯაგრცხილა" – → ბზღილა (მეტსახელი) → ბზღილავა (გვარსახელი).

**ბიბლაია** – 386 სული (ზუგდ. – 208, თბ – 63, წალენჯ. – 15). კომლი: კოკი – 6, ორსანტია – 3 და სხვ. ამოსავალია პირსახელი ბიბულა (ბიბულაია → ბიბლაია). შდრ.: ბიბილაშვილი, ბიბილეიშვილი.

**ბიბილეიშვილი** – 1157 სული. გვარის სამშობლოა იმერეთი. იშვიათად გვხვდება სამეგრელოში (ხობი – 3 კომლი და სხვ.). ბიბილე კოლხეთში, ხოლო ბიბილა "ტბეთის სულთა მატიანეში" დამოწმებული პირსახელებია. შდრ. ბიბილაშვილი, ბიბილაური, ბიბილვანი.

**ბიგვავა** – 2064 სული (ზუგდ. – 1083, თბ. – 250, მარტვ. – 161). საქართველოში 410-ე ადგილზეა, ზუგდიდის რ-ნში უკავია 26-ე ადგილი. კომლი: დარჩელი – 82, ნარაზენი – 30, ტალერი – 24, ბია – 12, ინგირი –6, რუხი – 5, აბასთუმანი – 4, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) – 4, ჩხორია – 4 და სხვ. ტოპ.: საბიგვა – უბნები ჭანისწყლის მარჯ. სერზე (ნარაზენი) და ოგანეს მარც. მხარეს (ბია). გვარი დასტურდება XVII ს-დან. კერძოდ, ბიას მცხოვრებ საეკლესიო გლეხს – ჯვებე ბიგვავას – ემართა ხუთი ლოდარიკი სანთელი. ხოლო უჩალეი ბიგუა (იგივე ბიგვა) დასახელებულია აფხაზეთის საკათალიკოსო დავთარში (1621 წ. იხ. ქსძ, III, 427). 1706 წელს დაწერილი საბუთის მიხედვით, ბიგვაა აფხაზებისგან აწიოკებული ნაქანევიდან წამოუყვანია კათალიკოსს და ხობში დაუსახლებია (ქსძ, III, 648). ბიგვავას ვარიანტია ბიგავა. XVIII ს. პირველ ნახევარში ბიჭვინთისათვის შეუწირავთ ბიას მცხოვრები ჯვებე ბიგავა და მისი ძმისწული (ქსძ, III, 768). ამავე პერიოდშია დასახელებული ხობელი ბაბაკოჩი ბიგვავა (იქვე, 776). ბიგვა კოლხეთში, ხოლო ბიგუ სვანეთში გავრცელებული პირსახელებია.

**ბირკაია** – 417 სული (მარტვ. – 164, თბ. – 105, სენაკი – 29). კომლი: მარტვილი – 4, ნაგვაზავო – 4, ნოქალო – 4, წყემი – 3 და სხვ. შდრ. ბირკაძე.

**ბიძინაშვილი** – 1785 სული (თბ. – 525, გორი – 270, თელავი – 171). კომლი სამეგრელოში: ახალკახათი – 8, დარჩელი – 4 და სხვ. ადგ. ვარიანტი: ბიძნასქუა. ტოპ.: საბიძნასქუო – დასახ. უბანი გალენწყარის ნაპირას (დარჩელი). გვარი დასტურდება XVII ს. ისტორიულ საბუთებში.

**ბიჭია** – 106 სული. მათგან 100 სული ცხოვრობს ზუგდიდის რ-ნში. კერძოდ, კახათში, სახლობს 17 კომლი. მათს უბანს ეწოდება საბიჭიო. ამავე ფუძის მქონე გვარი ბიჭავა გვხვდება 1621 წლის საბუთში (ქსძ, III, 424). თავის დროზე ბიჭიები საამაქიძეო აზნაურები ყოფილან. ბიჭი, ბიჭინა კოლხეთში გავრცელებული პირსახელებია. XIX ს. შუა წლებში იმერეთისა და გურიის თავად-აზნაურთა ოჯახებში რამდენიმე ათეული მამაკაცი ატარებდა სახელს "ბიჭია" (იხ. ჭუმბურიძე, 1999, 1993)

**ბიჯგუა** – გვარის ძველად არსებობას ადასტურებს ტოპონიმი ლებიჯგუე. ასე ეწოდება ფერდობებს ეკეკუტიეში (ვახა). ბიჯგა, ბიჯგვა კოლხეთში პირსახელებია.

**ბობოხია** – 172 სული (წალენჯ. – 87, ზუგდ. – 50, თბ. – 16). კომლი: ჯგალი – 9, ჩხორია – 5, ზუგდიდი – 7 და სხვ. შდრ. ბობოხიძე. ორივე გვარში გამოყოფენ ხ ინფიქსს (ჭუმბურიძე, 1987). ბობი, ბობო კოლხეთში გავრცელებული სახელებია.

**ბობოხიძე** – 1596 სული. გავრცელებულია ძირითადად ქვემო იმერეთში. იქიდანაა შესული სამეგრელოში ბობოხიძე ან ბობოხია ფორმით. კომლი: მარტვილი – 4, ნალეფსაო – 3 და სხვ.

ბოდოკია – 523 სული (ქუთ. - 194, წყალტ. - 190, თბ. - 74). სამეგრელოში ძალზე იშვიათია (ორიოდე კომლი დაფიქსირდა სენაკსა და ფოთში). შდრ. ბოდოკიაშვილი (პალ, I, 553).

ბოკერია - 481 სული (თბ. - 266, აბაშა - 68, ქუთ. - 26). კომპაქტურად მოსახლეობენ აბაშის რ-ნში: აბაშა - 5 კ., გეზათი – 4 კ., ქოლობანი – 4 კ., ონტოფო – 3 კ., სამიქაო – 3 კ. და სხვ. ტოპ.: საბოკერიო - უბანი ნოღელის მარჯ. მხარეს (მ. ონტოფო). ბოკო სვანეთში, ხოლო ბოკოკია კოლხეთში დაფიქსირებული პირსახელებია. ამავე ფუძისაა ბოკერი. შდრ. ბოკერიანი (სვანეთის საისტორიო ძეგლებში). სამიქაოში მცხოვრები ბოკერიები აზნაურები იყვნენ.

ბოკუჩავა - 2588 სული (აბაშა - 637, თბ. - 603, ზუგდ. - 410). საქართველოში 294-ე ადგილზეა სულადობის მიხედვით, აბაშის რ-ნში კი – მეცხრეზე. კომლი: ნორიო - 142, ორსანტია - 25, ქვ. ჩხოროწყუ - 19, კიწია - 11, ქვ. ქვალონი - 10, ზანა - 7, ანაკლია - 6, უშაფათი - 6, ზანათი - 5, ნოსირი – 5 და სხვ. ტოპ.: საბოკუჩავო – სოფელი აბაშის ორსავე ნაპირას (ნორიოს თემი. საერთოდ, ამ სოფელში 94 კომლი ცხოვრობს. მათგან 71 კომლი ბოკუჩავაა). ლებოკუჩე – უბანი კვარჩხილალის მარც. მხარეს (ბეთლემი, უშაფათის თემი). ნაბოკუჩუ - ტყე-სახნავები ბეჟაშლალის მარც. მხარეს (ჩხორია). ბოკუჩა პირსახელ ბოკოს კნინობით-მოფერებითი ვარიანტია. 1904 წლის აღწერის თანახმად, ახუთში, ნოღაში, ალერტში, გურძემში, უშაფათში მცხოვრები ბოკუჩავები აზნაურები არიან (ალერტელი ბოკუჩავები ისტორიულად ჯაიანების აზნაურები იყვნენ).

ბოლქვაძე - 11059 სული (ხელვაჩ. - 1422, ქობ. - 1359, ბათ. - 1335). გვარი სულთა რაოდენობით საქართველოში XI ადგილზეა, აჭარაში კი – მეორეზე (7531 სული). კომლი სამეგრელოში: ნაგვაზავო - 9, ქვ. ჭალადიდი - 4 და სხვ. გვარი დასტურდება XVII ს. დამდეგიდან. XVIII ს. დამლევის საბუთის მიხედვით, ბიბია ბოლქუაძე აფხაზს ცოლშვილიანად წაუყვანია, მაგრამ ხემსაძე კათალიკოსს დაუხსნია და ნოჯიხევს დაუსახლებია (ქსძ, III, 677). ვარაუდობენ, რომ გვარის ფუძე ბოლქვა ნიშნავს "ბოლქვის მსგავს ადამიანს" (ბედოშვილი, 1991, გვ. 9). ჩვენი აზრით, არაა გამორიცხული, ბოლქუ რომელიმე ჩრდილოეთკავკასიური ენიდან ნასესხები სახელი იყოს. 1904 წლის აღწერის თანახმად, ჯაღრაში მცხოვრები ბოლქვაძეები აზნაურები იყვნენ.

ბოღაშვილი - იშვიათი გვარია. უშაფათში ცხოვრობს 5 კომლი. შდრ. ბოღიშვილი (ქართლი).

ბოჭორიშვილი - 6175 სული (ტყიბ. - 1503, თბ. - 1024, ქუთ. - 908). ქვეყნის მასშტაბით 48-ე ადგილზეა, იმერეთში კი – VI ადგილზე (3994 სული). კომლი სამეგრელოში: საჯიჯაო - 4, ჭითაწყარი - 3 და სხვ. დასტურდება XVII ს. დოკუმენტებში. ადგ. ვარიანტი ბოჭორისკუა. ი. მაისურაძის მტკიცებით, ბოჭორა ნიშნავს ჭრელს (მაისურაძე, 1981). შდრ. ბოჭორაძე (ქართლი).

ბოხუა - 1064 სული (ზუგდ. - 325, თბ. - 152, აბაშა - 149). კომლი: მარანი - 23, ნოსირი - 16, ურთა - 16, ქვ. ქოლობანი - 10, წალენჯიხა - 10, ყულიშკარი - 5, საჩინო - 4, მედანი - 3 და სხვ. ტოპ.: ებოხუე - ტყე-ფერდობები გაგუაღალის ზემო წელზე (წაჩხური). საბოხუო - უბნები ურთაში, ყულისკარში, შუა ნოსირში. ბოხუების უბანი - უბანი გუგუნაყათში (მარნის თემი). ბოხო "მსხვილი" (მეგრ.) ქცეულა მეტსახელად, მერე დართვია სუფიქსი -ა (ბოხო-ა→ ბოხუა).

ბოჯგუა - 417 სული (სენაკი – 226, თბ. - 49, ზუგდ. - 39). გვარის ძირძველი სამკვიდროა ზანა (134 კომლი). სხვა სოფლებში: ახალსოფელი (სენაკის რ.) – 3 კ., რიყე – 3 კ. და სხვ. ტოპ.: საბოჯგუო - უბანი საესებუოში (ზანის თემი). ბოჯგო კოლხეთში სახელია. მაშასადამე: ბოჯგო→ბოჯგო-ა→ბოჯგუა.

ბჟავა - 26 სული. კეთილარში დაფიქსირდა 3 კომლი. ცხოვრობენ ზუგდიდშიც. შესაძლებელია, ბჟავა ბჟალავას მარცვალამოღებული ფორმა იყოს.

ბჟალივა - 1231 სული (მარტვ. - 375, სენაკი - 211, თბ. - 171). კომლი: გაჭედილი - 53, ძვ. სენაკი - 32, მარტვილი - 16, პ. ფოთი 14, გეჯეთი - 11, ნალეფსაო - 9, ონტოფო - 8, ქარიატა - 8, თეკლათი - 7, ნავგვაზავო - 7 და სხვ. ტოპ.: ებჟაე - უბანი აბაშის მარჯ. მხარეს (მეორე ბალდა). ნაბჟალუ - ბორცვი სალაგვილოში (კირცხი). საბჟალა - უბანი კოტიანეთისა და ზემო სორტის საზღვარზე (ძვ. სენაკის თემი). საბჟალაო - უბანი ყულევის საზღვართან (გაღმა ქარიატა). საბჟალიო - უბანი პირველ ონტოფოში. ბჟალა "მზიანი, ნათელი" ეპონიმის მეტსახელი უნდა იყოს.

ბჟანია - 134 სული (ზუგდ. - 46, თბ. - 38, წალენჯ. - 11). სამეგრელოში რამდენიმე ძირძველი მოსახლეა. სხვები არიან ლტოლვილები.

ბჟინავა - 271 სული (ზუგდ. - 219, წალენჯ. - 12, ფოთი - 7). კომლი: დარჩელი - 7, ჭკადუაში - 7, კორცხელი - 3 და სხვ.

ბრეგვაძე - 4497 სული. ფართოდაა გავრცელებული იმერეთში. გვხვდება სამეგრელოშიც (დ. ჭყონი - 6 კ. და სხვ.). შდრ. ვარიანტი ბრეგუაძე 1515-1535 წწ. საბუთში (პალ, I, 561).

ბრელიძე - 51 სული (თბ. - 36, რუსთ. - 5, აბაშა – 2). 4 კომლი დაფიქსირდა მარანში. გვარი გვხვდება XVI ს-ში (ჭანგას მცხოვრები ბრელიძე ყოფილა ხონის საყდრის ყმა. იხ. პალ, I, 651).

ბუავა - 208 სული (ზუგდ. - 105, თბ. - 39, წალენჯ. - 31). ამჟამად ცხოვრობენ არაკომპაქტურად. უწინ ჭქონიათ დასახლება ნოჟალასა და ქორსუს შუა, სადაც სერს შერჩენია სახელი ლებუე (ნაგურუ). ბუა კოლხეთში მეტსახელია (ქსს, 1986). შესაძლოა, ბუავა იყოს ბუაძის მეგრული ვარიანტი.

ბუაძე – 1 861 სული (თბ. – 570, ქუთ. – 251, ტყიბ. – 182). კომლი სამეგრელოში: კოკი – 10, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) – 4 და სხვ. გვარი დამოწმებულია 1544 წ. საბუთში (პალ, I, 562).

ბუბუტეიშვილი – 579 სული. იმერული გვარი მიგრირებულია სამეგრელოში (ქვ. ქვალონი – 3 კომლი). გვარის ფუძეა კნინობითი სახელი ბუბუტა (←ბუბა). შდრ. კოლხური სახელი ბუბუშა.

ბუთბაია – 256 სული. აფხაზეთში მცხოვრებ მეგრელთა გვარია. ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონებში გვხვდება რამდენიმე კომლი. არიან ლტოლვილებიც.

ბუკია – 2091 სული (ზუგდ. – 563, თბ. – 230, ფოთი – 207). გვარის სამშობლოა ხობის რ-ნი, სადაც მას სულთა და კომლთა რაოდენობით პირველი ადგილი უკავია (1378 სული): ხეთის თემში ცხოვრობს 234 კომლი (მათგან წინაგოლაში – 130 კომლი), ხოლო თორსა-ღღვაბის თემში – 27 კომლი (მათგან თვით საბუკიოში – 22 კომლი). კომლი სხვა სოფლებში: ჭითაწყარი – 21, ორსანტია – 12, ხობი – 11, ხორში – 11, რუხი – 6, აბასთუმანი – 5, ანაკლია – 5 და სხვ. ტოპ.: საბუკიო – სოფელი ოჩხომურსა და უტორს შუა (თორსა-ღღვაბის თემი). საბუკიო უბნებიცაა მოგირში, ბულიწყუში, დიდ ხორშში. 1616-1621 წწ. შედგენილ "საცაიშლო გამოსავლის დავთარში" დასახელებულნი არიან კამიშია, ხახუბია, კვიჩალია, გვაჩარია, ქვაჩარია, კვაჩელე, მამაკორდა, სკვამიბი ბუკიები (ქსძ, III, 438, 469). ბუკი, ბუკო, ბუკულია კოლხური პირსახელებია.

ბულეისკირი – ქ. ზუგდიდში ცხოვრობს 4 კომლი. ნიშნავს: "ბულას შვილი".

ბულესკერია – 21 სული, ძირითადად ზუგდიდის რ-ნში.

ბულესკირია – 71 სული, ძირითადად ზუგდიდისა და სენაკის რ-ნებში.

ბულისკერია – 861 სული, ძირითადად ზუგდიდისა და წალენჯიხის რ-ნებში.

ბულისკირია – 215 სული, ძირითადად ზუგდიდისა და წალენჯიხის რ-ნებში. ბულეისკირი, ბულესკერია, ბულესკირია, ბულისკერია და ბულისკირია ერთი გვარის ვარიანტებია. ძირითადია პირსახელი ბულა, ბულე, ბული. სქირი (სკერი, სკირი) ზანურში აღნიშნავს შვილს. ეს გვარები ძირითადად გავრცელებულია სამურზაყანოში, სამეგრელოში კი ლტოლვილები არიან.

ბულია – 1493 სული (ზუგდ. – 1235, თბ. – 78, წალენჯ. – 55). კომლი: ოდიში – 79, რიყე – 79, რუხი – 53, ერგეტა – 9, დარჩელი – 7, კორცხელი –5, თორსა-ღღვაბა – 5, წალენჯიხა – 5, ჭითაწყარი – 5 და სხვ. ტოპ.: საბულიო – უბნები პ. ზანაში, ნაწულუკუში, ერგეტაში, ოდიში... ოდიშელ ბულიებს სჯერათ, რომ მათი წინაპარია ბულისკერია ს. ზანიდან. მას იქ კაცი მოუკლავს და აქ, ლედგებეში, მინდობია დგებიას. გვარი დოკუმენტირებულია XVII ს. პირველი ნახევრიდან: თილითს (ამჟამინდელი აბააყვახუ ოჩამჩირის რ-ნში) მცხოვრებ მორდილია ბულიას ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა – ყოველდღე სამსახური. შდრ. გვარი: ბულიაშვილი (5 კომლი სენაკში).

ბულიავა – 60 სული. თითქმის ყველა მკვიდრობს სენაკის რ-ნში: ხორში – 6 კ., სენაკი – 5 კ. და სხვ. გვარი წარმოქმნილია მეორეული სუფიქსაციით: უკვე არსებულ გვარს ხელმეორედ დართვია –ვა.

ბულიხია – გვარის უწინდელ დროში არსებობას ადასტურებს ტოპონიმი ნაბიხუ. ასე ეწოდება ბორცვს ნალეფსაოსა და ჭაბურთის საზღვარზე, სადაც, გადმოცემით, ბულიხიებს უცხოვრიათ. მაშასადამე, ნაბიხუ ←ნაბულიხუ. ფუძე იგივეა, რაც დასტურდება გვარ ბულიაში. ხ ინფიქსია.

ბულუხია – ძალზე იშვიათი გვარია. დაფიქსირდა ფოთში. ბულუ პირსახელია. შდრ. ბულიხია.

ბურკვაძე – 23 სული. ეს მცირერიცხოვანი გვარი ძირითადად განსახლებულია ხობის რ-ნში: ქვ. ჭალადიდი – 3 კომლი, ფოთი – 3 კომლი და სხვ.

ბურსულაია – 116 სული. ძირითადად მოსახლეობენ სენაკის, ჩხოროწყუსა და აბაშის რ-ნებში. კომლი: კეთილარი – 5, ახუთი – 3 და სხვ. ტოპ.: საბურსულაიო – უბანი ზანის ნაპირას და ბორცვი ზანასა და ოწყარიეს შუა. ბურსა კოლხეთში პირსახელია (ქსს, 1986), ხოლო ბურსულა მისი კნინობით-მოფერებითი ვარიანტია. შდრ. ბურსელი (სვან.).

ბურღაშვილი – 72 სული. განსახლებულია მხოლოდ სამეგრელოში (ყულევი – 4 კომლი და სხვ. ).

ბურჭულაია – 72 სული. ძირითადად ცხოვრობენ ზუგდიდისა და მარტვილის რ-ნებში (გაჭედილი – 6 კ. და სხვ.) ტოპ.: ლებურჭულე – ყოფილი დასახ. უბანი, ამჟამად ტყე-ფერდობები ციეის მარჯ. მხარეს, ლეგერსამეში (ახუთი). ნაბურჭულ – ტყე, ღელე გვიმარეში (ტყირი). ამ გვარის -ძე დართული ვარიანტი ბურჭულაძე დასტურდება 1484-1510 წწ. საბუთში (პალ, I, 570). ბურჭული მეგრულში აღნიშნავს ცულს, წალდს. ასეთი სიტყვა სათანადო მოტივირების არსებობის შემთხვევაში შეიძლებოდა ქცეულიყო მეტსახელად. მეორე ვარაუდი: იბურჭულუ (მეგრ.) "ბობოქრობს, ვერ ისვენებს"→ბურჭულა "ბობოქარი, მოუსვენარი"(მეტსახელი) →ბურჭულაია (გვარსახელი). ლეჩხუმში შემონახული გადმოცემის თანახმად, სამურზაყანოდან, კერძოდ, ილორიდან, გამოქცეულა სამი ძმა: ერთი დამკვიდრებულა სამეგრელოში, მეორე წასულა გურიაში, მესამეს კი ლეჩხუმამდე გაუგრძელებია გზა. შესაბამისად, გურიაში დამკვიდრებულთა გვარია ბურჭულაძე (რაც გურიაში მართლაც მრავალრიცხოვანია), სამეგრელოში დარჩენილთა გვარია ბურჭულაია, ხოლო ლეჩხუმში განსახლებულნი იწერებიან ღურჭუმალიძეებად (თოფჩიშვილი, 1991).

**ბურჯანაძე** - 2277 სული. იმერული გვარია. გვხვდება სამეგრელოშიც (დიდი ნეძი - 3 კ. და სხვ.). გვარი დასტურდება XVII ს. საბუთებში. ბურჯანა ბურჯას (კოლხეთი) კნინობითი ვარიანტია.

**ბუსკანძე** - იშვიათი გვარია. ქალაქ ხობში დაფიქსირდა 7 კომლი, თითო-ოროლა სხვა დასახლებულ პუნქტებშიც დასტურდება. შდრ. ბუსკაძე.

**ბუსკაძე** - 113 სული. ძირითადად განსახლებულია სენაკის რ-ში, კერძოდ, ფოცხოში (4 კომლი) და სხვ. ტოპ.: ლებუსკაძე - უბანი მოხაშში. ბუსკა, ბუსქა ღონიერი და ჩაფსკვნილი კაცისა თუ ხარის ეპითეტია. შესაძლოა, მისი კნინობით-მოფერებითი ვარიანტი ბუსკანა, ბუსქანა მეტსახელად იქცა.

**ბუსქანაძე** - იშვიათი გვარია. რამდენიმე კომლი ცხოვრობს ზუგდიდის რ-ნში. იხ. ბუსკაძე.

**ბუსქანძე** - 22 სული. განსახლებულია ზუგდიდისა და ხობის რ-ნებში: ბულიწყუ – 3 კ., ნარაზენი- 3 კ. და სხვ. ტოპ.: საბუსქანძო - უბანი ჯახუთში (საკვიკვინიო, ხობის მერია), „ბუსქანძე იმერეთიდან გადმოსულა მოხაშში და მერე დამკვიდრებულა აქ, ჯახუთში“ (ინფ.). ზემოთ დასახელებული გვარების ძირითადი ფორმაა ბუსკანაძე, ბუსქანაძე.

**ბუღიშვილი** - 154 სული (ზესტ. - 29, ხობი - 22, სენაკი – 21). კომლი: უშაფათი - 7, ძვ. ხიბულა - 5 და სხვ. ადგ. ვარიანტია ბუღასკუა. ტოპ.: საბუღასქუო - უბანი ძვ. ხიბულაში. ამავე ფუძისაა გვარი ბუღავა, რაც დამოწმებულია 1616-1621 წწ. საბუთში. ბუღა მეტსახელი ჩანს. შდრ. სვან. ბუღი.

**ბუცხრიკიძე** - 2579 სული. იმერული გვარია. დაფიქსირდა ქვ. ჭალადიდში 8 კომლი.

**ბუხრაშვილი** - 925 სული. რაჭულ-იმერული გვარია. დასტურდება სამეგრელოშიც (ქვ. ჭალადიდი - 3 კომლი, სხვა სოფლებში - თითო-ოროლა). შდრ. ბუხრაიძე, ბუხრაძე.

**ბუხრიშვილი** - ალბათ ბუხრაშვილის ვარიანტია. ამ გვარს ატარებს 3 კომლი ახალ კახათში.

## გ

**გაბედავა** – 2039 სული (ჩხორ. - 371, ზუგდ. - 330, თბ. - 243). კომლი: მუხური - 50, კორცხელი - 24, თაია - 20, კურზუ - 14, წალენჯიხა - 8, ახუთი - 7, დ. ჭყონი - 6, ქვ. ქვალონი - 6, ხაბუმე - 5 და სხვ. ტოპ.: ეგაბედე - ჩაის პლანტაცია ნაგებერავოში. ნაგაბედუ - დავაკება ჯიხაიშ ლებერიეში (ნაფიჩხოვო). ლეგაბედე - უბანი ტეხურის მარც. მხარეს (ჯიხა). საგაბედო - უბანი ნაცატუში.

**გაბელაია** - 1503 სული (აბაშა - 809, თბ. – 276, ზუგდ. - 54).). კომლი: აბაშა - 49, ნაესაკაო - 9, ნორიო - 9, ტყვირი - 3, ძვ. აბაშა - 3, ხამისქური - 3 და სხვ. ადგ. ვარიანტი: გაბლაია. გაბა, გაბე, გაბელ, გაბი, გაბილ სვანეთსა და სამეგრელოში გავრცელებული პირსახელებია (ქსს, 1986).

**გაბელია** - 2525 სული (ზუგდ. - 606, თბ. - 421, სენაკი - 305). სულთა რაოდენობით ქვეყანაში უკავია 309-ე ადგილი. კომლი: უშაფათი - 34, ქვ. ქვალონი - 21, წალენჯიხა - 18, ხაბუმე - 14, ჩხოროწყუ - 12, ანაკლია - 10, ახალსოფელი (ხობის რ.) - 6, ნაკიფუ - 6, ხეთა – 6, ხორში - 6, დარჩელი - 5 და სხვ. ადგ. ვარიანტი: გაბლია. ტოპონიმები ზ. სამეგრელოში: ლეგაბ(ე)ლე - უბანი ოჩხომურის მარც. მხარეს. ორია: ქიმოლენი ლეგაბელე (მ. ჭოღა) და თუდოლენი ლეგაბელე (მოიდანახე). ქვ. სამეგრელოში: საგაბელიო - უბანი კაუტიასა და ოდოსქირს შუა (შუა ხორში). ლეგაბელიე - უბანი ცივისა და მოხაშურის შესართავთან (უშაფათი). XVI ს. ერთ საეკლესიო დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გაბელიას ემართა საკათალიკოსო გამოსაღები (პალ, I, 577). “საცაიშლო გამოსავლის დავთარში” (1616-1621 წწ.) დასახელებულია ცაიშელი უჟამია გაბელია, რომელსაც ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა (ქსძ, III, 450). ს. ჯანაშია გვარ გაბელიას აკავშირებს სვანურ გვარ გაბლიანთან (ჯანაშია, 1959, გვ. 41). იხ. გაბელაია. შდრ. გვარი გაბელიძე.

**გაბესკირია** - 217 სული (სენაკი – 130, თბ. - 38, ფოთი – 12). მენჯის თემში არის სოფელი საგაბესკირიო (ცივის მარჯ. ნაპირას), სადაც ცხოვრობს ამ გვარის 11 კომლი. აქაური გაბესკირიები თვლიან, რომ მათი წინაპრები მოსულან კახათიდან. წინაკვერკვეში (ნახუნაოს თემი) გაბესკირიების ნაცხოვრებ ფერდობებს ეწოდება ნაბესკუ, რაც მიღებულია ნაგაბესკუსაგან. ეს იმას ნიშნავს, რომ გაბესკუა ცვლიდა ამავე შინაარსის შემცველ გაბესკირიას. გაბესკირი ნიშნავს გაბეს შვილს. 1904 წლის აღწერის თანახმად, ჭაქვინჯში მცხოვრები გაბესკირიები აზნაურები იყვნენ.

**გაბეშია** - 224 სული. განსახლების ძირითადი ადგილია მარტვილის რ-ნი: ინჩხური – 21 კ., ხუნწი – 8 კ., ნალეფსაო - 7კ., მარტვილი – 4 კ. და სხვ. ცხოვრობენ თბილისსა და რუსთავშიც. პირსახელი გაბე გამოიყოფა გაბესკირიაშიც და გაბეჩავაშიც. -ში წარმომავლობის აღმნიშვნელი კოლხური სუფიქსია.

**გაბეჩავა** - 505 სული. ძირითადად განსახლებულია ზუგდიდის რ-ნში (224 სული), ნაწილი - სენაკის რ-ნშიც. კომლი: ჯიხაშკარი - 25, ხორში - 5, ანაკლია - 4 და სხვ. ტოპ.: საგაბეჩა - უბანი ჭყოჭყოშ დღურუს მარჯ. ნაპირას (დიდი ხორში). გაბეჩა გაბეს მოფერებითი ვარიანტია.

**გაბეჩია** - 38 სული (მარტვ. - 10, ზუგდ. - 7, ფოთი – 5). ტოპ.: ეგაბეჩიე - უბანი ეძიძიგურესა და ეჯიშკარიანეს შუა (ზ. ხუნწი). ნაგაბეჩუ//ნაგობეჩუ - ბორცვი მ. ჭოღის საზღვართან (მოიდანახე). საგაბეჩიო - უბანი სამესხიოს საზღვართან (ჯიხაშკარი). იხ. გაბეჩავა.

**გაბია** - 24 სული. ძირითადად ზუგდიდის რ-ნშია განსახლებული. ამოსავალი ფუძეა პირსახელი გაბი ან გაბე (გაბე →გაბე-ა →გაბია).

გაბილაია - 47 სული. ძირითადად განსახლებულია ზუგდიდისა და ხობის რ-ნებში (ხეთა – 4 კ., ორულუ – 3 კ. და სხვ.). გაბილა გავრცელებული პირსახელია. შდრ. გვარი გაბილაშვილი.

გაბისკირია - 443 სული. ძირითადი განსახლების რ-ნებია ზუგდიდი (91 სული) და სენაკი (101 სული). კომლი: ორსანტია - 4, სენაკი – 2, ზუგდიდი – 9 და სხვ. გაბისკირი ნიშნავს გაბის შვილს.

გაბისონია - 2663 სული (ზუგდ. - 785, მარტვ. - 463, თბ. - 412). სულთა რაოდენობით ქვეყანაში 277-ე ადგილზეა, ზუგდიდის რ-ნში კი 45-ე ადგილი უკავია. კომლი: მარტვილი - 33, ბულიწყუ - 31, კურზუ - 26, ხეთა - 24, ჩხოროწყუ - 23, ნაგვაზავო - 20, აბასთუმანი - 13, კოკი - 11, ხობი - 9, ჭკადუაში - 7, ოდიში - 6, ორულუ - 6, დ. ჭყონი - 6 და სხვ. ადგ. ვარიანტი: გაბსონია. საერთოდ, მეტყველებაში ერთმანეთს ენაცვლება ვარიანტები: გაბსონია, გაბისონია, გამისონია, გამსონია. ტოპ.: ეგაბსონიე - უბანი მარტვილის მონასტერთან (მარტვილი). საგაბ(ი)სონიო - უბანი ურთის კალთაზე (აბასთუმანი). XVIII ს. შუა წლების წყალობის წიგნში დასახელებულია ნამოჯალაბევი კაცი ხოხონაი გაბისონია და მასთან მოსახლე მახაელა გაბისონია (ქსძ, III, 816). შდრ. კილასონია.

გაბისქირია – იშვიათი გვარია: 4 კომლი ცხოვრობს კახათში. იხ. გაბისკირია.

გაბლაია - 257 სული. განსახლებულნი არიან ძირითადად ზუგდიდის, წალენჯიხისა და აბაშის რ-ნებში. ტოპ.: საგაბლაიო - უბანი ხაშში (აბაშა). გაბლაია ← გაბელაია (ხმოვნის ამოვარდნით).

გაბრავა - 433 კომლი (ხობი - 268, ზუგდ. - 84, თბ .- 25). კომლი: ბულიწყუ - 38, ხეთა - 31, აბასთუმანი - 9, ერგეტა - 4 და სხვ. ტოპ.: საგაბრაო//ღალპიჯი - უბანი ნაისებუს მარც. მხარეს (ოხვამეკარი, ხეთის თემი). 1628 წ. საბუთის მიხედვით, ლევან დადიანს გაიდურთი გაბრავა შეუწირავს ბიჭვინთის ღმრთისმშობლისათვის (პალ, I, 581). გაბრა გაბრიელის შემოკლებული ფორმაა.

გაბუნია - 6389 სული (ქუთ. - 1350, თბ. - 1232, წყალტ. - 566). ქვეყნის მასშტაბით 46-ე ადგილზეა, იმერეთის რეგიონში კი – მე-18-ზე (2896 სული). კომლი სამეგრელოში: ბანძა - 68, გეზათი - 43, სუჯუნა - 17, ორსანტია - 12, ჩხორია - 11, ქვ. ქვალონი - 9, ნაჯახაო - 8, დიდი ნეძი - 7, მარანი - 7, შამგონა - 7, თამაკონი - 6, კურზუ - 6, მენჯი - 6, წალენჯიხა - 6 და სხვ. ტოპონიმები ზ. სამეგრელოში: ლეგაბ(უ)ნე - ტყე-ფერდობები ოწყარიის მარც. მხარეს (ახუთი). საგაბუნიო - ეწოდებოდა დღევანდელ ეწოწონეს უბანს, რადგანაც უწინ აქ მოსახლე კინტირაიები ეკუთვნოდნენ ბანძელ აზნაურებს - გაბუნიებს (ლექაჯაიე). ქვ. სამეგრელოში: საგაბუნიო - უბნები შამგონასა და ჩხორიაში. ჩხორიელი გაბუნიები მოსულან ბანძიდან. 1578 წლის საეკლესიო საბუთში დასახელებულია გეგუთს მცხოვრები იოვანე გაბუნია, რომელსაც ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა (ქსძ, III, 291). 1628 წლის საბუთში კი დამოწმებულია საქუჩულორიოს მცხოვრები გაბუნია (პალ, I, 587). შდრ. გაბუნიანი (სვანეთი. XIV-XV სს. იხ. პალ, I, 587). გაბუნიები ფაღავების აზნაურები იყვნენ. ს. ჯანაშიას აზრით, გაბუნია ორმაგი სუფიქსაციით წარმოქმნილი გვარსახელია: ამოსავალ ფუძეს თავდაპირველად დართვია -უნ სუფიქსი (რასაც მკვლევარი საერთოქართველური -ან სუფიქსის მეგრულ ვარიანტად თვლის), ხოლო შედეგ – ია (ჯანაშია, 1959, გვ. 41). ეს -უნ კნინობითობის სუფიქსი ჩანს.

გაბუჩია - 66 სული. გვარი ძირითადად სენაკისა და ზუგდიდის რ-ნებში გვხვდება. ტოპ.: ნაგაბუჩუ – სახნავი ლეშამათეს უბანში (ლეგოგიე-ნასაჯუ). გაბუჩიები ჩიქოვანთა აზაურები ყოფილან. გვარში გამოიყოფა –უჩ, კნინობით-მოფერებითი სახელის მაწარმოებელი სუფიქსი. ამოსავალი ფუძეა გაბი, გაბე, ან გაბო (← გაბრიელ). შდრ. გაბუნია.

გაგესკუა - გვარის არსებობას ადასტურებს ტოპონიმი ნა(გ)აგესკოუ (სახნავი სკურდში). გაგესკუა ნიშნავს გაგეს შვილს (გაგესქუა საზოგადო სიტყვაცაა და აღნიშნავს მზარეულს).

გაგნიძე - 3741 სული. საქართველოში 141-ე ადგილზეა. განსახლებულია ძირითადად აღმ. საქართველოში. ამ გვარის მატარებელი 3 კომლი ცხოვრობს გეზათში. არიან სხვა სოფლებშიც.

გაგუა - 4526 სული (თბ. - 919, მარტვ. - 826, სამტრ. - 534). საქართველოში 99-ე ადგილზეა. სამეგრელოს რეგიონში უკავია 33-ე, ხოლო მარტვილის რ-ნში - XIII ადგილი. კომლი: დ. ჭყონი - 63, ტალერი - 45, აბედათი - 25, ნაქალექევი - 21, სალხინო - 20, მარტვილი - 19, ვედიდკარი - 17, ჭითაწყარი - 14, ლეხაინდრავო - 13, ახალაბასთუმანი - 9, ახალხიბულა - 7, დარჩელი - 7, სეფიეთი - 7, ბანძა - 6 და სხვ. ტოპონიმები ზ. სამეგრელოში: ეგაგუე - უბანი ტარჩენის მარჯ. მხარეს (აბედათი), ბორცვი წაჩხურის საზღვართან (ვახა) და სხვ. ნაგაგუ - ბორცვი ეცანეში (ნახუნაო, სერგიეთი). ქვ. სამეგრელოში: ლეგაგუე - უბანი გახომელაში. ნაგაგუ - ბორცვი მუხჩიის ნაპირას (აბასთუმანი, მენჯი). საგაგუო - უბნები დარჩელსა და სატყებუჩავოში (ზანის თემი). ამ ფუძისგან ნაწარმოები გვარი გაგაა (ე.ი. გაგავა), ცაიშს მცხოვრები საეკლესიო გლეხი, დასახელებულია 1616-1621 წწ. საბუთში (ქსძ, III, 587). გაგა, გაგუ, გაგული და ა.შ. სვანეთსა და სამეგრელოში გავრცელებული პირსახელებია (ქსს, 1986). 1904 წლის აღწერის მონაცემებით, ნაქალაქევში მცხოვრები გაგუები აზნაურები იყვნენ.

გაგულია - 61 სული. განსახლებულია ძირითადად ქვემო სამეგრელოში. კომლი: კეთილარი - 7, ახალსოფელი (ხობის რ.) - 4, ინგირი – 3 და სხვ. ტოპ.: საგაგულიო - უბანი გაღმა პირველ ხორგაში. ფარეში ბაბაშია გაგულია და მეღვინე მუშქვამერი გაგულია 1634 წელს მზითევში გაუყოლებიათ მარიამ დედოფლისათვის (პალ, I, 589). გაგულ სვანეთში, ხოლო გაგულა სამეგრელოში პირსახელებია.

პირსახელად გვხვდება გაგულიაც: XVIII ს. საეკლესიო საბუთში დასახელებულია გაგულია მამფორია (ქსძ, III, 1077). 1904 წლის აღწერის თანახმად, ხორგაში მცხოვრები გაგულიები აზნაურები იყვნენ.

გადელია - 1561 სული (ზუგდ. - 384, თბ. - 341, სენაკი – 189). კომლი: ონტოფო - 9, ხეთა - 9, ახალსოფელი (სენაკის რ.) - 6, ინგირი - 4, ნაქალაქევი - 4, ახალაბასთუმანი - 3, გეჯეთი - 3, ოქტომბერი - 3 და სხვ. ადგ. მეტყველებაში ვარიანტები გადილია, გადელია, ჩვეულებრივ, ცვლიან ერთმანეთს. ტოპ.: ნაგადელუ - ფერდობები გურძემიის სათავესთან (დ. ჭყონი). საგადელიო - უბნები ახალსოფელში (სენაკის რ.) და მეორე ონტოფოში. საგადელიო-საკანკიო - უბანი ურთის კალთაზე (ხეთა). „ორი გვარი ცხოვრობს ერთად, გადელია და კანკია. მოსულან კიწიიდან" (ინფ.). გადა კოლხეთში პირსახელია. გადელ და გადილ მისი მოფერებითი ვარიანტებია.

გადილია - 465 სული (მარტვ. - 263, თბ. - 91, სენაკი – 24). კომლი: კიწია - 30, ტალერი - 8, გურძემი - 5, ნაგვაზავო - 5, დ. ჭყონი - 4, თამაკონი - 3 და სხვ. ტოპ.: ლეგადილ(ი)ე// ნაგადელუ - სერი, ყოფილი დასახ. უბანი ცივი-გურძემიის წყალგამყოფზე (მ. კიწია, ლექობალე).

გადრანი – 246 სული. სვანური გვარი მიგრირებულია სამეგრელოშიც (ლია - 4 კომლი).

გალდავა - 660 სული (თბ. - 246, მარტვ. - 186, სამტრ. - 90). კომლი: მარტვილი - 51, თამაკონი - 13, ტყვირი - 4 და სხვ. გალდა გალდაშელის (სვან.) შემოკლებული ფორმა ჩანს. შდრ. გარდავა.

გამახარია - 477 სული (ზუგდ. - 249, წალენჯ. - 95, თბ. - 27). კომლი: რუხი - 5, კახათი - 3 და სხვ. გამახარია მიღებულია გამახარე-საგან (-ეა → ია ჩვეულებრივი ფონეტიკური პროცესია).

გამზარდია - 252 სული (აბაშა - 89, ფოთი - 70, თბ. - 40). კომლი: სუჯუნა - 19, ფოთი - 8 და სხვ. ამოსავალი ჩანს სახელი გამზარდე (გამზარდე-ა → გამზარდია).

გამისონია - 708 სული (ზუგდ. - 396, თბ. - 105, წალენჯ. - 92). კომპაქტურად სახლობენ განარჯიის მუხურში (6 კომლი), სხვა სოფლებში - დაფანტულად. ადგ. ვარიანტი: გამსონია. ტოპ.: ნაგამსონუ - ტყე-ფერდობები ხობისწყლის მარც. მხარეს (მუხური). საგამსონიო - უბნები ზუგდიდისა და ხობის რაიონებში, კერძოდ: კოკში (აქაური გამისონიები მოსულან კვაუთიდან), მოგირში, ჭკადუაში, აბასთუმანში, ჭიხუში (ქ. ხობი) და ყოფილი დასახ. უბანი გამოღმა პ. ხორგაში (ასუასა და წიფრონას შუა). ზუგდიდელი ინფორმატორი: "გამისონიები საძურზაყანოში მკვიდრობენ, ხოლო გაბისონიები ენგურს გამოღმა ვცხოვრობთ". შდრ. გაბისონია, კილასონია.

გამსახურდია - 895 სული (ზუგდ. - 382, თბ. - 120, ჩხორ. - 120). კომლი: ახუთი - 16, კახათი - 6, ძვ. აბაშა - 5, ძვ. სენაკი - 5, დ. ჭყონი - 3, ოქტომბერი - 3 და სხვ. ტოპ.: საგამსახურდიო - უბანი ტეხურის ნაპირას (პ. ნოსირი). ძველ აბაშაში გამსახურდიები მიგრირებულან საძურზაყანოდან და შეუქმნიათ უბანი საგასახურდიო (ამჟამად მოსახლეობენ კუპრავები). გამსახურდიების ერთი შტო სწორედ აქედან გადასულა ნოსირში (გაბელაია, 1998, გვ. 70). პირსახელი გამსახურდა, გამსახურდი და გვარი გამსახურდია გვხვდება XVII ს. საეკლესიო საბუთებში (პალ, I, 597; ქსძ, III, 510). 1904 წლის აღწერით, აბაშაში, ნოსირში, გეჯეთსა და წყემში მცხოვრები გამსახურდიები აზნაურები იყვნენ.

განაია - 42 სული. ძირითადი საცხოვრისია მარტვილის რ-ნის სოფელი ხუნწი (6 კომლი).

განარჯია - პირსახელიცაა (სოფლის სახელწოდებაში განარჯიის მუხური) და გვარიც: სოფელ ნაჯახაოში იმ უბანს, სადაც უწინ განარჯიებს უცხოვრიათ, ხოლო ამჟამად "ბაბაშიათური დანელიები" მოსახლეობენ, ეწოდება განარჯია//განარჯიაშ მუხური.

განგავა - 77 სული. ძირითადი სამკვიდროა ზანის თემი (59 სული), სადაც სოფ. საესებუოში, ცივის ნაპირას, არის საგანგაო – განგავების უბანი. განგავები არიან სხვა სოფლებშიც.

განგია - 54 სული. ძირითადად ცხოვრობენ ქალაქებში – სენაკში, ზუგდიდში, აბაშაში. კოლხეთში დაფიქსირებულია პირსახელი განგე (მაშასადამე: განგე-ა → განგია)

გარგანჯია - 77 სული (ზუგდ. - 18, მარტვ. - 18, სენაკი – 10). კომლი: ნარაზენი - 6, ვედიდკარი – 4.

გარდავა - 192 სული. ძირითადი განსახლების არეალია ზუგდიდის რაიონი. კომლი: ცაიში - 25, ახალსოფელი - 8, ოქტომბერი – 8 და სხვ. ტოპ.: საგარდაო - უბანი ჯუმის მარც. ნაპირას (ცაიში). საგარდო - უბანი ახალსოფლის ცენტრში. გარდა პირსახელია (ქსს, 1986). დასაშვებია გვარის წარმოქმნის ასეთი გზაც: გადრანი (სვანური გვარია) → გადრავა → გარდავა.

გარუჩავა - 633 სული (სენაკი - 212, ფოთი - 100, თბ - 88). კომლი: თეკლათი - 30, აბაშა - 7 და სხვ. ადგ. ვარინტია გარჩა. ქ. სენაკში დაფიქსირდა საპასპორტო ვარიანტი გარჩავა (4 კომლი). ტოპ.: საგარუჩა//მაეია ტყირი - უბანი ცივის მარც. მხარეს (ტყირი). ნაგარიჩუ//ნაგარუჩუ - სახნავები ცივის მარც მხარეს (სენაკი). XVII ს. საბუთში გვხვდება ვარიანტი გარაუჩაც (პალ, I, 598). გარაუჩა დაფიქსირებულია 1904 წლის აღწერის მასალებშიც (მუხური, ჩხოროწყუს რ.). 1733 წელს შედგენილი საბუთის მიხედვით კი თეკლათს მცხოვრები გარუჩავა შეუწირავთ ბიჭვინთის ეკლესიისათვის (ქსძ, III, 731). ამავე პერიოდის სხვა საბუთში გვხვდება ვარიანტი გარეუჩა (ქსძ, III, 767).

გასვიანი - 1102 სული. სვანეთში, ლეჩხუმსა და იმერეთში გავრცელებული ეს გვარი გვხვდება სამეგრელოშიც (ხორში - 3 კომლი, სხვაგან - თითო-ოროლა). ტოპ.: საგასვიანო - უბანი ციხეთში. ლეჩხუმსა და იმერეთში მცხოვრები გასვიანების ნაწილი აზნაურის წოდებას ატარებდა.

გაწერელია – 409 სული (მარტვ. - 167, თბ. - 111, ზუგდ. – 39). კომლი: სერგიეთი - 39, მარტვილი – 9, მენჯი – 3 და სხვ. ადგ. ვარიანტი: გაწერეჲა. საპასპორტო გვარად გვხვდება გაწერილიაც. ტოპ.: ეგაწერეიე//საგაწერეიო – უბანი ისკიის მარჯ. მხარეს (სერგიეთი). საგაწერელიო – უბანი სუჯუნაღალსა და უდუდეღალს შუა (ძვ. ხიბულა). 1700 წელს შედგენილ ერთ საბუთში დასახელებული არიან ჯოლორია გაწერელია და მისი მამა ივანელა (პალ, I, 610). ი. მაისურაძის აზრით, შესაძლებელია გა(მ)წერელი ნიშნავდეს წარწერების შემსრულებელს, მხატვარს, მხაზველს (მაისურაძე, 1981). 1904 წელს სერგიეთსა და მარტვილში მცხოვრები გაწერელიები აზნაურები იყვნენ.

გახარია – 1 362 სული (ჩხორ. - 728, ზუგდ. - 225, თბ. – 200). გვარს ჩხოროწყუს რ-ნში უკავია XI ადგილი. კომლი: მუხური - 110, ხაბუმე – 38, ჩხოროწყუ – 17, ცაიში – 8, ქვ. ჩხოროწყუ – 6, ქვ. ქვალონი – 5, ზუმი – 4, ორულუ – 3, წალენჯიხა – 3 და სხვ. ტოპ.: ლეგახარე – სოფელი ხობისწყლის მარც. ნაპირას (მუხურის თემი). საგახარიო – უბანი სახუხუოს გვერდით (ჩხოუში, ცაიშის თემი). ამოსავალია პირსახელი გახარი. ასეთ სახელს არქმევდნენ ბავშვს დაბადებისას.

გახოკია – 330 სული (მარტვ. - 91, თბ. – 78, ფოთი – 29). კომლი: ვედიდკარი – 26, ძვ. სენაკი – 10, შუა ხორგა – 5, ნოჯიხევი – 3 და სხვ. ტოპ.: საგახოკიო – უბანი უფალკარში. შდრ. გახოკიძე.

გახოკიძე – 936 სული (თბ. – 253, მარტვ. – 131, წყალტ. – 86). კომლი: ხაჯახავო – 26, ხუხწი – 19, ბანძა – 6, რიყე – 3, ძვ. სენაკი – 3 და სხვ. ტოპ.: გახოკიძეფი//საგაკოხიძო – უბანი ზ. ხუნწში.

გაჯორაია - ძალზე იშვიათი გვარია. ზუგდიდში ცხოვრობს ორიოდე კომლი. გაჯი, გაჯა კოლხეთში გავრცელებული პირსახელებია. გაჯორი კნინობით-მოფერებითი ვარიანტი ჩანს.

გაჰავა – გვარს აღადგენს ტოპონიმი ეგაჰაე//ლეგაჰე. ასე ეწოდება ბორცვს ვახასა და ლეგულორდავეს საზღვართან (სალხინო).

გებერავა – გვარს აღადგენს ოიკონიმი ნაგებერავო (ნაჯახავოს თემი). ადგ. ვარიანტი ნაგებერუ.

გეგელია – 503 სული (ზუგდ. - 123, თბ. – 118, მარტვ. - 96). კომლი: სალხინო – 14, ქოლობანი – 6, ოდიში – 5, ახალაბასთუმანი – 3, პ. ფოთი – 3 და სხვ. ადგ. ვარიანტი: გეგეია. ტოპ.: ეგეიე//ეგეგეიე – უბანი ვახაში (სალხინოს თემი). ი. ბაგრატიონის ცნობით, გეგელიების წინაპრები იყვნენ განძიდან "და მიიღეს გვარად განძიელი და იმერთ შესცვალეს ენის თვისებისა გამო გეგელიათ"(ბაგრატიონი, 1997, გვ. 134). სინამდვილეში გვარებისათვის გეგელია, გეგენავა ამოსავალია გეგე-ს (გიორგი) მოფერებითი ვარიანტები გეგელი და გეგენა. 1904 წელს ოჩეში, წაჩხურში, სალხინოსა და ლეცავეში მცხოვრები გეგელიები აზნაურები იყვნენ. შდრ. გეგენავა.

გეგენავა – 860 სული (თბ. – 209, სენაკი — 203, ფოთი — 112). ძირითადი განსახლების ადგილია ქვემო სამეგრელოს სოფლები. კომლი: გეჯეთი – 17, ნოსირი – 12, წყემი – 5, ქარიატა – 4 და სხვ. ტოპ.: საგეგენა – უბანი მენჯის სანატორიუმთან (სენაკი), საგეგენაო – უბანი (ძიგური, წყემის თემი). გეგენავები სამთავრო ტახტთან დაახლოებული აზნაურები ყოფილან. 1636 წელს ოდიშის მთავარ ლევან II დადიანს მფარველობის თხოვნის წერილით გაბრიელ გეგენავა გაუგზავნია რუსეთის ხელმწიფესთან (სწორედ ამის საპასუხოდ აახლა რუსეთის მეფე მიხეილ თედორეს ძემ ოდიშის მთავარს ტოლმაჩი ფედოტ ელჩინი და მღვდელი პავლე ზახარიევი. იხ. ანთელავა, 1999, გვ. 197). გვარი დოკუმენტირებულია XVII ს. დამლევიდან: ძმები ეცადია და ოთია გეგენავები ხოფის ღმრთისმშობლისთვის შეუწირავთ (პალ, I, 613). 1708 წელს შედგენილი საბუთის მიხედვით, ეცადია გეგენავას მართებს საეკლესიო ბეგარა „ლოღარიკონი ორი" (ქსძ, III, 648, 730, 766...). ტოპონიმი „ნაგეგენავი ტყე" დასახელებულია XVIII ს. შუა წლების წყალობის წიგნში (ქსძ, III, 882). პირსახელი გეგენა გავრცელებული ყოფილა იმერეთისა და გურიის თავად-აზნაურთა ოჯახებში (იხ. ჭუმბურიძე, 1999, 1993). 1904 წლის აღწერით, გეჯეთსა და წყემში მცხოვრები გეგენავები აზნაურები იყვნენ.

გეგეშიძე – 1911 სული. გავრცელებულია ქვემო იმერეთში. გვხვდება აბაშის რ-ნშიც. კომლი: ქოლობანი – 10, აბაშა – 3, პ. მაისი – 3, სამიქაო – 3 და სხვ. გეგეში -ში სუფიქსიანი სახელია და ნიშნავს "გეგესი". -ძე დართვია განმეორებითი სუფიქსაციისას.

გეგეჭკორი – 1743 სული (თბ. – 516, მარტვ. – 393, ზუგდ. – 272). კომლი: ინჩხური – 68, მარტვ. – 30, ცაიში – 16, ჭითაწყარი – 12, ურთა – 8, ნაგვაზავო – 7, დარჩელი – 6, ნაჯახავო – 6, ახალკახათი – 5, ბანძა – 4, კახათი – 4, ოქტომბერი – 4 და სხვ. ტოპ.: ეგე(გე)ჭკორე//საგე(გე)ჭკორო – უბანი ტაბაკოლის კალთის ძირას (პ. ინჩხური). საგეგეჭკორო – უბანი ცაიშში. აქაური გეგეჭკორები მოსულან ინჩხურიდან. ი. ბაგრატიონი ოდიშის აზნაურთა შორის ასახელებს გეგეჭყორს: "გეგენა ჭყორელი იყო და ამან გეგენამ მიიღო აზნაურობა სამსახურისა გამო მეფისა და მიუბოძა გეგეჭყორობა გვარად და გაუგვარდა ესე" (ბაგრატიონი, 1997, გვ. 133). გეგეჭკორში გეგე იგივე წმინდა გიორგია. ჭკორი მეგრულში აღნიშნავს მონას. მაშასადამე, გეგეჭკორი წმინდა გიორგის ეკლესიის ყმაა (როგავა, 1955). დამოწმებულია XVIII ს. პირველ ნახევრის საბუთში, სადაც გიორგი ჭყონდიდელი-მიტროპოლიტი წერს: „შენ, ჩვენს ყმას გეგეჭკორს მახარობელას, შვილებს მიქელას და იესელას თქვენთა შვილთა და მომავალთა ასრე, რომ ბიძა ჩვენს ჭყონდიდელს გაბრიელს თქვენი პაპისა და ბაბუისათვის სააზატო წიგნი მიეცა და კიდეც გქონდათ. აწ ჩვენ კიდე ხელახლივ გაგვიახლებია" (ქსძ,

III, 815). 1904 წლის აღწერის მასალებით, ინჩხურში, ნალეფსაოში, მარტვილში, ონტოფოში, მაცხოვრისკარში, ნაგვაზავოში, ნოჯიხევში, სუხჩეში მცხოვრები გეგეჭკორები აზნაურები იყვნენ.

გეგია - 703 სული (მარტვ. - 161, თბ. - 159, სამტრედია – 114). კომლი: მარტვილი - 50, ნოსირი - 12, გაჭედილი - 3 და სხვ. ტოპ.: ნაგეუ (←ნაგეგუ) - ჩაის ფართობი სალუკაში (ნაკიფუ) და ტყე-ფერდობები წულიშის კალთაზე, ჯვარის შემოგარენში. 1642 წლის საეკლესიო საბუთის მიხედვით სოგიჯუმა გეგია ლევან დადიანს შეუწირავს მთაწმინდის ხარების ღმრთისმშობლისათვის (პალ, I, 613). გვარი დაფიქსირებულია აგრეთვე XVIII ს. შუა საუკუნეების ძეგლშიც (ქსძ, III, 882). გეგია მომდინარეობს პირსახელ გეგე-საგან (გეგე → გეგე-ა →გეგია).

გედენიძე - 1 731 სული. იმერული გვარია. გვხვდება სამეგრელოშიც. ადგ. ვარიანტი: გედენა, გედენავა. კომლი: ჭკადუაში - 7, წალენჯიხა - 3 და სხვ. საჯარაუდოა: გედენ ←გედევან.

გედია - გვარს აღადგენს ტოპონიმი ნაგედუ. ასე ეწოდება ბორცვს გარახაში (ლესორდიეს უბანში) და ვაკე-ფერდობებს ჯაღრაში. ამოსავალი ფუძეა გედე (←გედევან). მაშასადამე: გედე-ა → გედია.

გეთია - 687 სული (ზუგდ.- 417, წალენჯ. - 192, თბ. - 95). კომლი: ჯიხაშკარი - 27, ჯვარი - 20, დარჩელი - 4, კახათი - 4 და სხვ. ტოპ.: საგეთიო - უბნები ჯიხასკარსა და ჟახათში. აქაური გეთიების გადმოცემით, მათი წინაპრები მოსულან ჯვარიდან. გეთი, გეთა, გეთუ პირსახელებია კოლხეთში.

გელაევა - 115 სული (მარტვ. - 57, თბ. - 17, რუსთ. - 15). ძირითადი განსახლებაა ლეხაინდრავოში (14 კომლი. სხვა სოფლებში - თითო-ოროლა). ამოსავალია პირსახელი გელა, რაც მგელ სიტყვიდან მომდინარე სახელად მიიჩნევა, მაგრამ, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, გელაი ქართველებთან ურთიერთობაში მყოფი ერთ-ერთი სკვითური ტომის სახელიცაა. შდრ.: გელაძე, გელაშვილი...

გელაზონია - 144 სული. ძირითადად სამტრედიისა და აბაშის რ-ნებშია განსახლებული.

გელანტია - 471 სული (ჩხორ. - 174. ზუგდ. - 71, თბ. - 54). კომლი: ზუმი - 35, გურიფული - 3, ხობი - 3 და სხვ. ტოპ.: საგელანტიო – უბანი შუა ხორში. გელა პირსახელია. -ანტი, -ტი კნინობითობის სუფიქსია. გვარის საწარმოებლად დართვია -ა სუფიქსი. შდრ. გერანტია. იხ. გელავა.

გელაშვილი - 17995 სული. საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გვარია (მესამე ადგილი ბერიძისა და კაპანაძის შემდეგ). ძირითადად აღმ. საქართველოშია გავრცელებული. კომლი სამეგრელოში: ახალსოფელი (ხობის რ.) - 7, საგვიჩიო - 7 და სხვ. 1668 წლის ნასყიდობის წიგნში დასახელებულია შერმაზანა გელაშვილი, ხოლო 1697 წლის ასეთსავე საბუთში - გოდერძი გელაშვილი (პალ, 1, 621). გვარის ფუძეა პირსახელი გელა. იხ. გელავა.

გელენავა - 564 სული (ზუგდ. - 320, თბ. - 107, გარდაბ. - 19). კომლი: ორსანტია - 32, კოკი -12, კახათი - 12, ხეთა - 7, ზ. ქვალონი - 3 და სხვ. გელენა გელას მოფერებითი ვარიანტია. იხ. გელენიძე.

გელენიძე - 1 429 სული. ძირითადად გავრცელებულია ქვემო იმერეთში და გვხვდება სამეგრელოშიც. კომლი: ხუნწი 13, ქვ. ჭალადიდი - 12, რუხი - 7, ახალხიბულა - 5 და სხვ. ვარაუდობენ, რომ გელენიძე-სათვის ამოსავალია სომხური სიტყვა გნელ, რაც ნასყიდას ნიშნავს (გნელიძე →გელენიძე. შდრ. გელენიშვილი). გელენავა დაკავშირებული ჩანს ამ გელენიძესთან. თუმცა გელენა, შესაძლოა, გელას -ენ სუფიქსიანი მოფერებითი ვარიანტი იყოს. არსებობს სხვა მოსაზრებაც: გელენიძე მომდინარეობს აჭარულ დიალექტში გავრცელებული თურქული სიტყვიდან გელინ "რძალი, მოყვანილი", რაც გადატანით უნდა ნიშნავდეს "დროებით მოყვანილ მუშახელს" (ბედოშვილი, 1997). ნაესაკაოში დაფიქსირდა იშვიათი ვარიანტი გნელიძე (გნელიძეები ბაღდათის რ-ნში მკვიდრობენ).

გელოვანი - 1045 სული. რაჭასა და იმერეთში გავრცელებული ეს გვარი დასტურდება სამეგრელოშიც: კომპაქტური დასახლება აღინიშნა ხეთაში (3 კომლი). ორიოდე კომლი სხვაგანაც დაფიქსირდა. ტოპ.: ნაგელუ - ფერდობები ჯაღრაღალის მარჯ. მხარეს, სადაც გელოვანი სახლებულა (ჯაღრა). ნაგელუანი//ლაგერვანი - ბორცვი ნახაჯღალის მარც. მხარეს. გადმოცემით, გელოვანის ნასახლარია (ძვ. ხიბულა). გელოვანი უძველესი ფეოდალური გვარია. ხუერგი გელოვანი დასახელებულია XIII-XIV სს. მიჯნაზე შექმნილ საბუთში, ხოლო ადაი გელოვანი და დათვაი გელოვანი დამოწმებულნი არიან XIV ს. დოკუმენტებში (პალ, I, 623). გელოვანები სვანეთის ერისთავებიც ყოფილან. გვარი ადრიდანვე მიგრირებულა ლეჩხუმში. ისტ. წყაროებში გვხვდება ფონეტიკური ვარიანტები: გელუანი, გელოანი, გელუვანი, გელიანი (თოფჩიშვილი, 1993). ძირითადია -ოვან სუფიქსიანი ფორმა. ამოსავალია პირსახელი გელი, გელა. გელოვანები თავადებიც იყვნენ და აზნაურებიც (იხ. აგრეთვე: ახუაშვილი, გელოვანები, 1999).

გელოზია - 58 სული. გვარი მთლიანადაა განსახლებული სამეგრელოში (სენაკი – 36 სული, ფოთი – 8 სული). კომპაქტური დასახლება არ მოეპოვება. თითო-ორი კომლი გვხვდება ქვემო სამეგრელოში. „საცაიშლო გამოსავლის დავთარში" (1616-1621 წწ.) აღნიშნულია, თუ რა სახის საეკლესიო ბეგარა მართებს წყარიგზურს მცხოვრებ გლეხს - გელოზიას (ქსძ, III, 473). დაფიქსირებულია აგრეთვე ვარიანტები გეროზია (პალ, I, 630) და გელოზა (ქსძ, III, 767). შდრ. შეროზია, წყაროზია.

გელხვეიძე - 40 სული. მცირერიცხოვანი იმერული გვარია. წალენჯიხის რ-ნში წარმოდგენილია ორიოდე კომლით. შდრ. გელხვიიძე, გელხვიძე, გელხუიძე (ყველა იმერეთში).

გერანტია - 109 სული (ზუგდ. - 85, სენაკი – 10, თბ. - 9). კომპაქტური დასახლება აღინიშნა მხოლოდ ოქტომბერში (7 კ.). გერა პირსახელია. -ანტი კნინობითობის სუფიქსია. შდრ. გელანტია.

გერგაია - 618 სული (ხობი – 353, ზუგდ. - 69, ფოთი – 52). ხობის რ-ნში გვარი მე-19 ადგილზეა. კომლი: ნოჯიხევი - 50, ხობი - 23, ბულიწყუ - 9, ხეთა - 5, ქარიატა – 3 და სხვ. ტოპ.: საგერგაიო - უბნები ღარღულას ორსავე ნაპირას (ნაფოშტუ, ნოჯიხევის თემი) და ხობისწყლის მარც. მხარეს (მ. გურიფული, ზენი). შდრ. გერგაძე (გვხვდება XVII ს. დამლევის საბუთში. იხ. პალ, I, 627). ამოსავალია პირსახელი გერგა. შდრ. გერგია (გვხვდება ზუგდიდის რ-ნში).

გერგედავა - 2051 სული (ზუგდ. - 787, წალენჯ. - 676, თბ. - 255). საქართველოში ყველაზე გავრცელებულ ათას გვარში უკავია 414-ე ადგილი, წალენჯიხის რ-ნში - XI, ხოლო ზუგდიდის რ-ნში – 44-ე ადგილი. კომლი: ფახულანი - 59, ლია - 19, ინგირი - 4, რუხი - 4, ჭალე - 4, წალენჯიხა - 4, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) - 3, კახათი - 3, კოკი - 3, ცაიში - 3, მუხური - 3 და სხვ. გვარის ძირძველი სამკვიდრო ჩანს ენგურის მარჯ. მხარეს მდებარე ფახულანის თემი. ტოპ.: ლეგერდე (←ლეგერგედე) - ყოფილი დასახ. უბანი ლანჯიში, ტებეხის მარჯ. ნაპირას (ფახულანი). საგერგედა//საგერგედო - უბანი ამავე სოფელში, ოლორის მარჯ. მხარეს, სადაც ცხოვრობენ დიდი ხნის წინათ ლეგერდედან გადმოსული გერგედავების შთამომავლები. არაა გამორიცხული, ამოსავალი ფუძე გერგედა სვანეთში დაფიქსირებული გერგილედა-ს ვარიანტი იყოს.

გერგვანია - გვარს ადასტურებს ტოპონიმი გერგვანია. ასე ეწოდება ტყე-ფერდობებს რეკის მარც. მხარეს (მაზანდარა). ამოსავალი ჩანს პირსახელი გერგო, რომელსაც ჯერ -ოვან(ი), ხოლო შემდეგ -ია სუფიქსი დართვია: გერგ-ოვანი → გერგოვანია →გერგვანია.

გერენავა - 70 სული (აბაშა - 25, ზუგდ. - 16, სენაკი -16). კომლი: ნორიო - 6, სენაკი - 6 და სხვ. გერე გერასიმეს შემოკლებული ფორმაა. იგი გავრცობილია -ენ-ა სუფიქსია.

გერეხელია - 72 სული (ზუგდ. - 45, თბ. - 16, ბათ. - 4). კომლი: ორსანტია - 3 , რუხი - 2 და სხვ. ვარიანტი გერეხელიძე დაფიქსირდა ანაკლიაში. შდრ. გერგეხელიანი ( XV ს. საბუთში. იხ. პალ, I, 627).

გერზმავა - 89 სული (თბ. - 28, ზუგდ. - 25, წალენჯ. - 16). ვარიანტ გერძმავას ატარებს რამდენიმე კომლი ზუგდიდისა და წალენჯიხის რ-ნებში. გერზმა, შესაძლოა, გერასიმეს მოკლე ფორმა იყოს.

გერლიანი - 1 128 სული. სვანური გვარია (მესტიის რ. - 274 სული). გვხვდება სამეგრელოს რამდენიმე სოფელში: ოდიში - 5 კ., ჩხორია - 5 კ. და სხვ.

გერსამია - 527 სული (თბ.- 154, ზუგდ. - 75, ჩხორ. - 71). კომლი: ახუთი - 9, წალენჯიხა - 4 და სხვ. ტოპ.: ლეგერსამე - ნასოფლარი ცივსა და ოწყარიეს შუა (ახუთი). გერსამიები აქედან გადასახლდნენ 1949-1950 წლებში. ისტორიულად ცნობილია, რომ გერსამიების ერთი ნაწილი ჯაიანებისა, ხოლო მეორე ნაწილი უფლისწულების (ბატონიშვილების) აზნაურები იყვნენ. გვარის წარმოქმის გზა ასე გვესახება: გერასიმე →გერსამე →გერსამე-ა →გერსამია. 1904 წლის აღწერის თანახმად, აზნაური გერსამიები ცხოვრობენ და ფლობენ მამულებს ახუთსა და ლეგერსამეში.

გეჯერია - გვარის უწინ არსებობას ადასტურებს ტოპონიმი ნალეგეჯერუ. ესაა ბორცვი ვეჯინჯში, სადაც, გადმოცემით, გეჯერიებს უცხოვრიათ (საჩინო). ნა- პრეფიქსი დართვია მას შემდეგ, რაც ლეგეჯერე ყოფილ დასახლებულ უბნად ქცეულა.

გვაგვალია - 515 სული (ზუგდ. - 280, წალენჯ. - 81, თბ.- 59). კომლი: რიყე - 3, ჩხორია - 3 და სხვ. ამოსავალი ფუძე მეტსახელი ჩანს. შდრ. გვაგვალი (მეგრ.) "მოსპობა; აჩაბაჩად სიარული, განუწყვეტელი ლაპარაკი". გვაგვალია "ყბედი". შდრ. გვანგვა (პირსახელია სვანეთში).

გვაზავა - 2 226 სული (აბაშა – 690, თბ. - 577, მარტვ. - 220). საქართველოში 226-ე ადგილზეა, აბაშის რ-ნში XIII ადგილი უკავია. კომლი: ნორიო - 147, აბაშა- 70, ხობი - 55, ნაგვაზავო - 53, ქოლობანი - 11, ლეხაინდრავო - 6, ალერტკარი - 4, ხეთა - 4, ძვ. სენაკი - 3 და სხვ. ტოპონიმები ზ. სამეგრელოში: ნაგვაზავო - თემი, ზემო ნაგვაზავოსა და ქვემო ნაგვაზავოს გამაერთიანებელი სახელი. თემში შედის: ზემო ნაგვაზავო - ცენტრი (ყოფილი ნოღანაგვაზუ. მდებარეობს ცხენისწყლის მარჯ. მხარეს), ქვემო ნაგვაზავო (ყოფილი საჩიქვანონაგვაზუ - აბაშის მარც. მხარეს) და ლეკვანტალიე. ნაგვაზუ - სოფელი ჭანისწყალ-ხობისწყლის შუამდინარეთში (ლეწურწუმის თემი). ეგვაზე - თვით გვაზავებით დასახლებული უბანი ქვემო ნაგვაზავოში. ქვ. სამეგრელოში: საგვაზავო - სოფელი აბაშის მარც. ნაპირას (ნორიოს თემი). „საცაიშლო გამოსავლის დავთარში" (1616-1621 წწ.) დასახელებულია ცაიშს მცხოვრები ვამიწეუ გვაზაა, რომელსაც ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა (ქსძ, III, 448). გვაზა, გვაძა კოლხეთში გავრცელებული პირსახელებია.

გვაზბაია - 25 სული (სენაკი – 13, თბ. - 5, ზუგდ. - 4). მცირერიცხოვანი აფხაზურ-მეგრული გვარია. ამოსავალია კოლხური პირსახელი გვაზი, გვაზა. შდრ. გვაძაბია, გვაძბაია.

გვათუა - 302 სული (თბ. - 115, ფოთი - 56, სენაკი - 51). კომლი: ცაიში - 5, ზ. ქვალონი - 4, ხობი - 4 და სხვ. გვათუები ჩიჩუების აზნაურები იყვნენ. 1904 წლის აღწერის თანახმადაც გვათუები აზნაურები არიან და მოსახლეობენ ხეცერაში, ციხეთში, მაცხოვრისკარში (შემდგომ განათლებისკარი), ქვალონში (შდრ. გოთუა – გურიის სამთავროს აზნაურთა გვარი).

**გვალია** - 1945 სული (თბ. - 346, ზესტ. - 193, მარტვ. - 170). კომლი: კახათი - 40, ტყვირი - 37, მარტვ. - 33, ხუნწი - 10, ხობი - 9, ნოჯიხევი - 5, შუა ხორგა - 4, ახალსოფელი (ხობის რ.) - 3, ბია - 3, ბულიწყუ - 3 და სხვ. ადგ. ვარიანტი: გვაია (ზ.-მ. თქმა) ტოპ.: ეგვაიე - უბანი ნატებერაში (ლეციცხვაიე). საგვალიო - უბნები ზემო ბიაში, ცილორში. საგვალიო ერქვა უბანს გაღმა შუა ხორგაშიც, მაგრამ შემდეგ ლატარიები მეტნი აღმოჩნდნენ და უბანსაც სალატარიო ეწოდა. 1904 წ. აღწერით, გვალიები აზნაურები არიან და ცხოვრობენ ბიაში, ხორგაში, ხორშში, ციზეთში.

**გვარალია** - რამდენიმე კომლია ზუგდიდისა და სენაკის რაიონებში. გურალიას (იხ.) ვარიანტია.

**გვარამია** - 1766 სული (ზუგდ. - 560, სენაკი - 395, თბ. - 280). კომლი: თეკლათი - 58, ჩხორია - 32, ოქტომბერი - 8, პ. ხორგა - 6, ჭოღა - 5, ნორიო - 3, ტალერი - 3 და სხვ. ტოპონიმი ზ. სამეგრელოში: ნაგვარამუ//ნაგორამუ - სახნავები ლეფაცაცეში (მ. ჭოღა). ქვ. სამეგრელოში: საგვარამიო//პირველი თეკათი - უბანი თეკლათში. საგვარამიო - უბნები ზედა ეწერში, იხგირში, ცაიშის კახათში. „გვარამიების წინაპრები ჭოღიდან გადმოსახლეულან ზედა ეწერში. იქიდან კი სამი ძმა წამოსულა და ცაიშის კახათში აურჩევიათ სამოსახლოები" (ინფ.). XVI ს. ერთ საეკლესიო საბუთში ნათქვამია"მართებს გორამებსა სამოცი თეთრი"(იხ. ქსძ, III, 349). "გორამებში" ალბათ გვარამიები იგულისხმებიან. გვარამ, გუარამ საქართველოში გავრცელებული პირსახელებია. შდრ. გვარამიანი.

**გვარამიანი** - ამ სვანურ გვარს და მის ვარიანტს „გვარმიანი" ატარებს რამდენიმე კომლი ზუგდიდის რ-ნში. გვარამიანი დასახელებულია XIV-XV სს. მიჯნის დოკუმენტში (პალ, I, 631).

**გვასალია** - 3272 სული (სენაკი - 979, თბ. - 486, ხობი — 8). ამ გვარს სულთა რაოდენობით ქვეყანაში 184-ე ადგილი უჭირავს, ხოლო სამეგრელოს რეგიონში - 32-ე ადგილი (2014 სული). სენაკის რ-ნის გვართა შორის პირველი ადგილი უკავია, ქ. ფოთში - მეორე, ხოლო ხობის რ-ნში - მეათე. კომლი: ხორში - 43, მენჯი - 36, ნოჯიხევი - 24, ხობი - 16, ანაკლია - 13, დარჩელი - 13, გურიფული - 12, ქვ. ჭალადიდი - 12, ჭითაწყარი - 11, ქარიატა - 11, თამაკონი - 10, ოქტომბერი- 10 და სხვ. ტოპ.: საგვასალიო - უბანი ბაშში (კორცხელის თემი). „გვასალიები წარმოშობით გველესიანები ყოფილან სოფ. ლესიანთხედან. იქიდან ჩამოსულან ხორშში. იქ ჩვენს პაპის პაპას რძლის შემცდენელი მღვდელი მოუკლავს და აქ კორცხელის ეკლესიას მინდობია" (ინფ.). საგვასალიო - უბნები დავითიანში, ჭითაწყარში, გაღმა ქარიატაში, ზენში (საჯიჯაოს თემი), პ. გურიფულში, სკურიაში (მენჯის თემი).

**გვაძაბია** - 608 სული (სენაკი - 146, თბ. - 46, ზუგდ. - 93). აფხაზურ-მეგრული გვარია. კომლი: ზანა - 65, კეთილარი - 11, ქვ. ქვალონი - 7, ქვ. ჭალადიდი - 5, უშაფათი - 3 და სხვ. ტოპ.: საგვაძაბიო - უბანი ზანაში. ნაგვაძაბუ - ტყე ლეგაბუნიეში (ლეკოკაიე). XVIII ს. პირველი ნახევრის საბუთში დასახელებულია ხობს მცხოვრები საეკლესიო გლეხი გვაძაბია, რომელსაც ევალებოდა საეკლესიო ბეგარა - 5 ლიტრიკი სანთელი (ქსძ, III, 771). გვაძა, გვაძი კოლხური სახელია. შდრ. გვაძავა, გვაძბაია.

**გვაძავა** - გვარს აღადგენს ოიკონიმი საგვაძა (ზენი, ნოჯიხევის თემი). შდრ. გვაძაბია, გვაძბაია.

**გვაძბაია** - 67 სული. აფხაზეთში მცხოვრებ მეგრელთა ეს გვარი გვხვდება ზუგდიდის რ-ნშიც (მაგალითად, ჩხორიაში სახლობს 5 კომლი). არიან ლტოლვილებიც. შდრ. გვაძაბია.

**გვახარია** - 147 სული (თბ. - 78, ზუგდ. - 24, ქუთ. - 19). ამჟამად კომპაქტური დასახლება არ დასტურდება. ტოპ.: ეგვახარიე - ჩაის პლანტაცია ცხენისწყლის მარჯ. ნაპირას (ლეციცხვაიე). გვარი მიღებულია პირსახელისაგან გვახარე: გვახარე-ა → გვახარია. შდრ. მახარე-ა → მახარია.

**გვაჯავა** - 206 სული (ზუგდ. - 79, წალენჯ. - 84, თბ. - 41). კომლი: წალენჯიხა - 3, ზუგდიდი - 6 და სხვ. ტოპ.: ეგვაჯე//ოგვაჯე - სახნავი გაგუადალის მარც. მხარეს (წაჩხური. ოგვაჯე „საბუდარი" გადააზრების შედეგი ჩანს). ნაგვაჯუ - ბორცვი ფუისკურის მარც. მხარეს (ლეხარჩილე) და ტყე მეჯოგეთა სერზე (ნაკიფუ). XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე წალენჯიხასა და მის ახლომახლო მოსახლე გვაჯავები საუფლისწულო აზნაურები იყვნენ და ტარიელ ბატონიშვილს ემორჩილებოდნენ (სოსელია, 19980, გვ. 97). ვარიანტი გვაჯავაძე დაფიქსირებულია ზუგდიდში. გვაჯა, გვაჯაია ბავშვის მოსაფერებელი სიტყვაა მეგრულში. 1904 წლის აღწერის თანახმად, წალენჯიხაში ცხოვრობს სამი კომლი აზნაური გვაჯავას გვარისა.

**გვაჯაია** - 241 სული (ზუგდ. - 147, თბ. - 22, აბაშა - 3). კომლი: ხამისქური - 36, ორულუ - 15, ინგირი - 3, სეფიეთი - 3 და სხვ. ტოპ.: საგვაჯაიო — უბანი ხამისქურსა და საკუკაოში. შდრ. გვაჯავა.

**გვაჯილავა** - გვარს აღადგენს ტოპონიმი ნაგვაჯილუ. ასე ეწოდება ფერდობებს შების მარჯ. მხარეს (პ. ჭოღა). გვაჯილა (ისევე როგორც გვაჯი) მოსაფერებელი სახელია. შდრ. გვაჯავა, გვაჯაია.

**გველესიანი** - 2683 სული. ქვემო იმერეთში ფართოდ გავრცელებული ეს გვარი დასტურდება ქვემო სამეგრელოშიც (ქვ. ჭალადიდი — 4 კომლი და სხვ.).

**გვილავა** - 1582 სული (მარტვ. - 403, თბ. - 353, ზუგდ. - 204). კომლი: თამაკონი - 29, ქვაითი - 24, ნაჯახავო - 21, მარტვ. - 19, საჩინო - 15, ძვ. აბაშა - 12, დ. ჭყონი - 9, აბაშა - 6, ოდიში - 5, წყემი - 5, ჩქვალერი - 4 და სხვ. გვილა გამოიყოფა სვანურ პირსახელ გვილარაშიც..

**გვილია** - 623 სული (ზუგდ. - 445, წალენჯ. - 72, თბ. - 50). კომლი: ყულიშკარი - 18, ლია - 5, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) - 3, კორცხელი - 3, ორულუ - 3, საჩინო - 3, ჭაქვინჯი - 3 და სხვ. ტოპ.:

საგვილიო – უბნები ჩეკის ნაპირას (ყულიშკარი), ბუის ორსავე ნაპირას (ერგეტა) და ყოფილი დასახ. უბანი ნაჭკადუში. შდრ. გვილავა.

გვიჩია – 201 სული (ფოთი – 62, თბ. – 61, სენაკი – 27). კომლი: საგვიჩიო – 7, თეკლათი – 3 და სხვ. ტოპ.: საგვიჩიო – 1. სოფელი რიონის მარც. მხარეს, სირიაჩქონსა და საქორქიოს შუა (ზ. ჭალადიდის თემი); 2. სოფელი რიონის მარჯ. ნაპირას (გამოეყო ქვ. ჭალადიდის სასოფლო საბჭოს 1990 წელს. ძირითადი მოსახლეობა გადმოსულია საჩხერის რაიონიდან (მეგრელიშვილები, შუბითიძეები ...). 1918 წ. დაბადებული ვ. გვიჩიას ნაამბობი: "სვანეთიდან წამოსულა ორი ძმა გვიჩიანი. ერთი აქ დასახლებულა, მეორე – რიონს გაღმა, სადაც აგრეთვე საგვიჩიო ეწოდება. ჩვენი ძველები სალოცავად დადიოდნენ სვანეთში. მე აქ დამკვიდრებული გვიჩიანის მეხუთე თაობა ვარ". გვარი გვხვდება საისტორიო. წყაროებში: ლევან დადიანს 1628 წელს ფოთს მცხოვრები მეთევზე გვიჩია (ქვიჩია) შეუწირავს ბიჭვინთისათვის, ხოლო 1642 წელს ბაშს მცხოვრები გატახჯია გვიჩია – მთაწმინდის ხარების ღმრთისმშობლისათვის (პალ, I, 634). გვიჩიები აზნაურებიც ყოფილან. შდრ. გვიჩიანი.

გვიჩიანი – 616 სული. მესტიის რ-ნიდან არიან ჩამოსახლებულნი ზუგდიდი–ჯვარის საავტომობილო გზის პირას მდებარე სოფლებში (მაგ., ჩხორიაში – 10 კომლი და სხვაგანაც).

გიგავა – 159 სული (თბ. – 45, ზუგდ. – 40, სენაკი – 24). გვარის უწინდელ გავრცელებაზე მეტყველებს ტოპონიმი ნა(გ)იგუ – ტყე-ფერდობები უჩაღალის ზემო წელზე. გადმოცემით, გიგავას თუ გიგუას ნასახლარია (მედანი). "საცაიშლო გამოსავლის დავთრის" (1616-1621 წწ.) მიხედვით, ჯგალში მცხოვრებ თოსკვამია გიგაას ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა (ქსძ, III, 472). სწორედ ჯგალის თემში შედის სოფელი მედანი, სადაც ჩაწერილია ტოპონიმი ნა(გ)იგუ. გიგა გავრცელებული პირსახელია.

გიგაია – 117 სული (თბ. – 55, გორი – 15, ბათ. – 5). ეს გვარი სამეგრელოში მხოლოდ ნახუნაოში ქმნის კომპაქტურ დასახლებას (12 კ.). "საცაიშლო გამოსავლის დავთრის" (1616-1621 წწ.) მიხედვით, ცაიშს მცხოვრებ გიგაიას ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა (ქსძ, III, 453). შდრ. გიგავა, გიგანი.

გიგანი – 651 სული. გვარის სამშობლოა მესტიის რ-ნი. ჩამოსახლებულნი არიან ზუგდიდის რ-ნში (ჭკადუაში – 8 კომლი, ახალსოფელი – 5 კომლი და სხვ.).

გიგაშვილი – 1725 სული. ეს იმერული გვარი გვხვდება სამეგრელოშიც (ქვ. ჭალადიდი – 7 კომლი და სხვ. ). 1503 წლის საბუთის მიხედვით, ლეხს მცხოვრები აზნაური გიგაშეილი ცხითა და 72 კაცით გადაეცა ჯაფარიძეებს სისხლის ფასში (პალ, I, 636). შდრ. გიგავა, გიგაია, გიგანი.

გიგიბერია – 601 სული (ფოთი – 130, სენაკი – 127, ზუგდ. – 98). კომლი: ძვ. სენაკი – 21, ობუჯი – 15, განარჯიის მუხური – 7, ქარიატა – 7, დარჩელი – 3 და სხვ. ტოპ.: საგიგიბერიო – უბანი ონანგერეშის ძირას (ძვ. სენაკი). ვარიანტი გეგებერია პირველად გვხვდება 1455-1474 წწ. საბუთში (პალ, I, 611). XVII ს. I მეოთხედში ეს გვარი გავრცელებული ჩანს მთელ სამეგრელოსა და აფხაზეთში (ქსძ, III, გვ. 438-477). ხოლო გიგიბერია პირველად დამოწმებულია XVII ს. ბოლო მეოთხედის შეწირულების წიგნში (ბიჭვინთის ეკლესიისათვის შეუწირავთ ხორგას მცხოვრები აზნაურისშვილი მორდებუ გიგიბერია თავისი ორი გლეხით. იხ. ქსძ, III, 612). XVIII ს. I ნახევარში გაღმა ხორგაში მცხოვრებ ბესია გიგიბერიას და მის ორ გლეხს მართებთ გარკვეული საეკლესიო გადასახადი (ქსძ, III, 770). გიგიბერი ნიშნავს "გიგის შვილს" (გეგებერი –"გეგეს შვილს"). შდრ. გიგიბერიძე (ძირითადად გურიაში). 1904 წლის აღწერის მიხედვით, ხორგასა და დიდ კოკში მცხოვრები გიგიბერიები აზნაურები იყვნენ.

გიდელია – 33 სული. გვარი ამჟამად ძირითადად ზუგდიდის რაიონშია განსახლებული. ტოპონიმები მეტყველებენ, რომ გიდელიები უწინ ზ. სამეგრელოში მკვიდრობდნენ. ტოპ.: ლეგიდელე//ლესაჯე – უბანი თაიაში (ცხოვრობენ საჯაიები. უწინ გიდელიები სახლებულან). ნაგიდელუ – სერი ვაცუს მარჯ. მხარეს (ნაფიჩხოვო). კოლხეთში დაფიქსირებულია პირსახელი გიდუ. გიდელი, შესაძლოა, ამ გიდუს მოფერებითი ვარიანტი იყოს. მეორე მხრივ, გიდელი მეგრულშიც გიდელია და შეიძლებოდა მეტსახელადაც ქცეულიყო რაღაც ნიშნით მსგავსების საფუძველზე.

გიგინეიშვილი – 1493 სული. იმერეთსა და გურიაში ფართოდ გავრცელებული ეს გვარი გვხვდება სამეგრელოშიც. კომლი: გეზათი – 25, პ. მაისი – 12, ანაკლია – 7, მარანი – 5, ნაესაკაო – 5, ქოლობანი – 4, ტყვირი – 3 და სხვ. ტოპ.: გიგინეიშეილების უბანი//საგიგინეიშეილო – უბანი შავღელის მარც. მხარეს (პ. მაისი). 1753 წელს გაბრიელ ჭყონდიდელის მიერ მარტვილის ტაძრისადმი შეწირულების წიგნში დასახელებული არიან საეკლესიო გლეხები, გულუხეთს მცხოვრები ბუჭუკელა, ტატუელა, ლაშკარა, გოჩია, მამისთვალი და ბუჭუელა გიგინეისშვილება (ქსძ, III, 837). გიგინეიშეილები აზნაურებიც ყოფილან. გვარისათვის ამოსავალი ჩანს სვანური სახელი გიგგნ ან გიგის მოფერებითი ვარიანტი გიგინა. მეორე მხრივ, გიგინა და გიგინე ზმნური ფორმებია. მდრ. მიგინეიშვილი.

გითოლენდიი – 361 სული (ზუგდ. – 205, თბ. – 70, ბორჯ. – 19). ძირძველი მოსახლე სამეგრელოში იშვიათია: ქ. ზუგდიდში დაფიქსირდა 5 კომლი, თითო-ოროლა – სხვაგანაც. ძირითადად ცხოვრობენ სამურზაყანოში. ამჟამად არიან ლტოლვილები. გ(ა)ითოლენდი (მეგრ.) "გაქრი, დაიკარგე, მოწყდი აქედან" ალბათ ეპონიმის მეტსახელი იყო.

გიორგაძე - 14582 სული (თბ. - 2798, ქუთ.- 2256, ვანი - 1112). სულადობით საქართველოში V ადგილზეა, იმერეთში - მეორეზე (6983 სული). კომლი სამეგრელოში: ახალსოფელი (ხობის რ.) - 15, ზ. ჭალადიდი - 3, ხობი - 3 და სხვ. ვარიანტი გიორგაია გვხვდება ქვ. იმერეთში (სამტრედია, ქუთაისი).

გიორხელიძე - 905 სული (ქუთ. - 223, წყალტ. - 216, თბ. - 126). ქვემო იმერეთიდანაა მიგრირებული სამეგრელოში (ხუნწი - 4 კომლი და სხვ.). შდრ. გიორგხელიძე.

გირგალავა - იხ. გრიგალაშვილი, გრიგალავა.

გირგვლიანი - 471 სული. სვანური გვარია. გვხვდება სამეგრელოშიც (რიყე- 4 კ. და სხვ.).

გირგოლავა და გირგოლაია – იხ. გრიგოლავა, გრიგოლაია.

გირგოლია - იხ. გრიგოლია.

გობეჩია - 590 სული (თბ. - 173, ზუგდ. - 145, წალენჯ. - 85). კომლი: ლეწურწუმე - 36, საჩინო - 10, წალენჯიხა - 6, ჯიხაშკარი - 5, ჭკადუაში - 4 და სხვ. ტოპ.: საგობეჩიო - უბანი ჭკადუაში. XVIII ს. დამლევს გობეჩიები საუფლისწულო აზნაურები იყვნენ და ემორჩილებოდნენ გიორგი ბატონიშვილს – რუხის ომის გმირს (სოსელია, 1990). გობეჩი სვანეთში სახელია. XIV–XV სს. სვანეთის საისტ. ძეგლებში გვხვდება გვარი გობეჩვიანიც (პალ, III, 373).

გოგავა - 1175 სული (თბ. – 251, ქუთ. - 161, აბაშა - 133). კომლი: ქოლობანი - 19, გეზათი - 16, აბაშა - 4, ახალსოფელი (სენაკის რ.) - 3 და სხვ. ტოპ.: გოგავების ქუჩა//გოგავნების უბანი - უბანი ნაცხენიწყლის მარჯ. მხარეს (გეზათი). გოგა, გოგი გიორგის შემოკლებული ფორმაა. მათგანაა წარმოქმნილი გვარსახელები: გოგავა, გოგაია, გოგელია, გოგელიანი, გოგანაშვილი, გოგია, გოგავა, გოგინავა, გოგიბერია და სხვ. შდრ. სვანური გვარსახელი გოგანი (იხ. ინგოროყვა, I, 1941, გვ. 137, 153). მ. ქალდანის ვარაუდით, “ქართულ-სვანური ღოღ-ელ-ან ფორმას მეგრულში გოგ-ავ-ა, გუგ-ავ-ა უნდა შეესატყვისებოდეს“ (ქალდანი, 12980, გვ. 73).

გოგაია - 33 სული. განსახლებულია მარტვილის რ-ნში (ხუნწი - 5 კომლი და სხვ.). შდრ. გოგავა.

გოგატიშვილი - 1280 სული. საჩხერის რ-ნიდან ჩამოსახლებული 18 კომლი ცხოვრობს საგვიჩიოში. გვარი გვხვდება 1518 წ. საბუთში (პალ, I, 675). გოგატი გოგა-ს მოფერებითი ვარიანტია.

გოგებაშვილი - 687 სული (თბ. - 172, ბოლნისი - 86, გურჯ.- 84). კომლი სამეგრელოში: ძვ. სენაკი - 4, წყემი - 4, ნორიო - 3 და სხვ. ადგ. ვარიანტი: გოგბასქუა. ტოპ.: საგოგბასქუო - უბანი ტეხურის მარც. მხარეს (პ. ნოსირი). გვარი პირველად ნახსენებია 1609 წლის ნასყიდობის წიგნში (პალ, I, 676).

გოგელიანი 38 სული. ამ –იან სუფიქსიანი გვარის სამშობლოა ზუგდიდის რაიონი (ახალაბასთუმანი - 5 კომლი და სხვ.). -ია დაბოლოებიანი ვარიანტი გოგელია ძირითადად გურიასა და აჭარაში გვხვდება. შდრ. გოგელიშვილი.

გოგენაშვილი - ადგ. ვარიანტია გოგნასკუა. საგოგნასკუო უბანია უფალკარში (უფალოხვამესთან). გოგენა გოგის მოფერებითი ვარიანტია (შდრ. გოგელა, გოგილა, გოგინა...).

გოგენია - 116 სული. ძირითადი განსახლება სენაკისა და ხობის რ-ნებშია: საჯიჯაო - 6 კ., ხორში 3 კ. და სხვ. ტოპ.: საგოგენიო - უბანი შუა ხორში, სოფლის ცენტრსა და სალაკიოს შუა. „წინაპრები ქარელში დადიოდნენ მოსალოცავად, იქაურები ყოფილან“ (ინფ.). შდრ. გოგენაშვილი.

გოგია - 3729 სული (სენაკი – 880, ზუგდ. - 820, თბ. - 620). სულთა რაოდენობით ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გვარია საქართველოში (142-ე ადგილი) და, კონკრეტულად, სამეგრელოშიც (2 395 სული. XX ადგილი). სენაკის რ-ნში მას მესამე ადგილი უკავია, ზუგდიდის რ-ნში - 42-ე. კომლი: ლეძაძამე - 43, ფოცხო - 35, კიწია - 30, ახალსოფელი (სენაკის რ.) - 15, ახალხიბულა - 12, ძვ. სენაკი - 11, დ. ჭყონი - 9, ნარაზენი - 8, ქვ. ქვალონი - 8, ახუთი - 7, აბედათი - 7 და სხვ. ტოპონიმი ზ. სამეგრელოში: ლეგოგიე - სოფელი გურძემიის მარჯ. ნაპირას (ლეძაძამის თემი). ლეგოგიე-ნასაჯუ - სოფელი მეტერიის ნაპირებზე (ფოცხოს თემი. ლეგოგიე და ნასაჯუ სოფლის ნაწილებია). ლეგოგიე – უბნები ლესაჯაიეში (ტეხურის მარჯ. მხარეს), ალერტში, მ. კიწიაში, ნახურცილავოში, ლეხაინდრავოში... ეგოგიე - ჩაის პლანტაცია ნოღელის მარჯ. მხარეს (ნაჯახავო). ქვ. სამეგრელოში: საგოგიო - 1. ეწოდება ორ უბანს რიყეში (ზუგდიდის რ.). გასარჩევად იტყვიან: ჟიმოლენი საგოგიო - ზემო რიყეში და თუდოლენი საგოგიო - ქვემო რიყეში; 2. უბანი ზუბში (ახალხიბულის თემი). „წინაპრები ჩამოსულან ლეგოგიედან“ (ინფ.). გვარისათვის ამოსავალია ეპონიმის სახელი გოგი. გოგია პირსახელადაც ხშირია სხვადასხვა კუთხის საისტ. საბუთებში (იხ. პალ, I, 677-679)..

გოგიავა - 122 კომლი (მარტვ. - 32, ქუთ. - 32, თბ. - 23). კომპაქტური დასახლება დაფიქსირდა ლეხაინდრავოში (56 კომლი), სხვაგან გვხვდება თითო-ოროლა კომლი. გვარისათვის ამოსავალია პირსახელი ან გვარსახელი გოგია. შდრ. გოგიანი, გოგიაშვილი, გოგიაძე.

გოგიბერია - 38 სული. ზუგდიდსა და სენაკში ცხოვრობს სამიოდე კომლი. გოგიბერი ნიშნავს გოგის შვილს. გვიან დართვია საგვარსახელო სუფიქსი -ა. შდრ. გოგიბერიძე, გოგიბერიშვილი.

გოგიბერიძე - 1730 სული. იმერეთსა და აჭარაში ფართოდ გავრცელებული გვარია. ქ. წალენჯიხაში ცხოვრობს 4 კომლი. შდრ. გოგიბერია.

გოგილავა - 527 სული (ზუგდ. - 193, წალენჯ. - 186, თბ. - 32). კომლი: ჩქვალერი - 15, აბასთუმანი - 11, ლია - 4, ხობი - 4 და სხვ. ტოპ.: ლეგოგ(ი)ლე - უბანი მოროჟის მარჯ. მხარეს (ლეშამუგე). გოგილა

საქართველოში გავრცელებული პირსახელია და საისტ. წყაროებშიც გვხვდება. გვარი გოგილავა დამოწმებულია XVI ს. მეორე ნახევრის საბუთში: მამისმამა გოგილავასა და შურითოლი გოგილავას ემართათ აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა (პალ, I, 686). ვარიანტები გოგილაა და გოგილა დაფიქსირებულია 1621 წლის საბუთში: ნაქანევს მცხოვრებ თოლიოქრო გოგილაას და ხუხურია გოგილას ემართათ საეკლესიო გადასახადი (ქსძ, III, 420-421). შდრ.: გოგილაძე, გოგილაშვილი.

გოგინავა - 1016 სული (სენაკი - 458, თბ. - 174, ზუგდ. - 99). კომლი: უშაფათი - 43, ცაიში - 7, ზანა - 7, ორსანტია - 5, ნოსირი - 4, ბანძა - 3, ინგირი - 3 და სხვ. ტოპონიმი ზ. სამეგრელოში: ლეგოგ(ი)ნე - ბორცვი ლაფარიის მარც. მხარეს, სადაც, გადმოცემით, გოგინავების ნასახლარებია (გარახა). ნაგოგინუ - ბორცვი ჯვარღეის ზემოთში (ჯოლევი). ქვ. სამეგრელოში: ლეგოგინე - სოფელი ცივის მარც. მხარეს. ცხოვრობენ გოგინავები (უშაფათის თემი. „საქ. სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის" 1987 წლის გამოცემაში ეს სოფელი არასწორადაა დასახელებული როგორც ლეგოგიე). საგოგინო – უბანი თეკლათში. პირსახელ გოგის მოფერებითი ვარიანტი გოგინა მრავალგზის გვხვდება საისტორიო საბუთებში (პალ, I, 687-688). შდრ. გოგიხაძე, გოგიხაშვილი.

გოგინაშვილი - 2608 სული (თბ. - 744, გურჯ. - 442, გორი – 399). მიგრირებულია კოლხეთშიც (ეკი - 6 კომლი). გოგინაშვილი დამოწმებულია XVII ს. დამდეგის ისტორიულ საბუთში (პალ, I, 689).

გოგიშვილი - 2917 სული (თბ. - 906, სამტრ. - 364, აბაშა - 314). კომლი: პ. მაისი - 43, მარანი – 36 და სხვ. მარანში გოგიშვილები ცხოვრობენ რკინიგზის ხაზის გასწვრივ და ამ უბანს გოგიშვილების უბანი ეწოდება. გვარი დასტურდება XVII ს. დამდეგიდან (პალ, I, 690). ფუძეა პირსახელი გოგი.

გოგოლავა - 28 სული. ძალზე იშვიათი გვარია. თითო-ორი კომლი ცხოვრობს ზუგდიდსა და წალენჯიხაში. გოგოლა (←გოგი) კოლხეთში მამაკაცის სახელია. გვარი გოგოლავა დამოწმებულია 1733 წ. შედგენილ საეკლესიო დოკუმენტში (ქსძ, III, 732). შდრ. გოგოლაშვილი, გოგოლაძე, გოგოლაური.

გოგოლაძე - 9791 სული (თბ. - 2135, ბორჯ. - 1554, ლაგოდ. - 1007). საქართველოში ყველაზე გავრცელებულ გვართა შორის XIV ადგილზეა. კომლი სამეგრელოში: საგვიჩიო - 15, ახალსოფელი (ხობის რ.) - 9, ძვ. სენაკი - 4 და სხვ. იხ. გოგოლავა.

გოგოლი - 318 სული (სენაკი - 135, ფოთი - 80, თბ. - 42). კომპაქტურად სახლობენ რეკის (თეკლათის თემი) ერთადერთ სერზე. მათ უბანს საგოგოლო ეწოდება. რამდენიმე კომლი დაფიქსირდა ფოთში და სხვაგანაც. გოგოლები თვლიან, რომ ისინი წარმოშობით არიან უკრაინელები და მათი წინაპრები ორი საუკუნის წინათ ჩამოსულან სამეგრელოში.

გოგოლიშვილი - 369 სული. აჭარული გვარია. გვხვდება სამეგრელოშიც (ბულიწყუ - 3 კომლი) პირსახელი გოგოლი დაფიქსირებულია 1581 წ. საბუთში (პალ, I, 513). შდრ. გოგოლიძე (იმერეთი).

გოგონაია - 76 სული (აბაშა - 29, ფოთი - 19, სენაკი - 15). კომპაქტურად განსახლებულია ორ სოფელში - სეფიეთსა (9 კომლი) და გეჯეთში (3 კომლი). გადმოცემით, წინაპრები ყოფილან გუგუნავები გურიის სოფელ ძიმითიდან და ამიტომაც გოგონაიები ყოველ წელს დადიოდნენ ძიმითის ეკლესიაში სალოცავად და მოზვრის შესაწირავად (გაბელაია, 1996, გვ.54). გოგონა სამეგრელოში მამაკაცის სახელია. შდრ. გოგონაძე (151 სული. ძირითადად იმერეთში).

გოგონძია – ფოთში დაფიქსირდა ორიოდე კომლი. გვარი წარმოქმნილია ორმაგი სუფიქსაციით: გოგოძე → გოგონძე → გოგონძე-ა → გოგონძია.

გოგოძე - 457 სული (თბ. - 109, ოზურგ. - 100, ვანი - 64). კომლი სამეგრელოში: ქვ. ჭალადიდი - 4, მარტვილი - 3 და სხვ. გვარისათვის ამოსავალია მამაკაცის სახელი გოგო (ზ. ჭუმბურიძე). გვარი დასტურდება XVI-XVII სს-დან (პალ, I, 697). შდრ. გოგოშვილი.

.გოგოხია - 6064 სული (ზუგდ. - 2200, წალენჯ. - 1961, თბ. - 677). საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გვარია (54-ე ადგილი). სამეგრელოს რეგიონში უკავია VI ადგილი (4556 სული). ზუგდიდის რ-ნში XIII ადგილზეა, ხოლო წალენჯიხის რ-ნში – მეოთხეზე. კომლი: ფახულანი - 147, ლია - 40, ჩხორია- 12, ოდიში - 10, ჭალე - 9, განარჯიის მუხური - 8, წალენჯიხა - 8, ჯვარი - 5, ინგირი - 4, რუხი - 4, ყულიშკარი - 4 და სხვ. როგორც ვხედავთ, გვარის ძირითადი ბუდეა წალენჯიხის რ-ნის ენგურისპირა სოფლები. ტოპ.: საგოგოხიო - უბანი ტყაიაში (ჩხორიის თემი). გვარში გამოყოფენ ხ სუფიქსს (იხ. ჭუმბურიძე, 1987, გვ. 299). გოგო მამაკაცის სახელია.

გოგსანია - 35 სული. გვარი განსახლებულია ძირითადად ზუგდიდის რაიონსა და ქალაქ ფოთში. კომპაქტური დასახლება აღინიშნა დარჩელში (5 კომლი). ორიოდე შემთხვევაში წარმოდგენილია ვარიანტი გოქსანია (მაგ., ბულიწყუში). გოგსა კოლხეთში მამაკაცის სახელია (ქსს, 1986). გოგსანი მისი მოფერებითი ფორმა ჩანს. შდრ. გოგსანიძე.

გოგსაძე - 2027 სული (ბაღდ. - 528, ჭიათ. - 453, თბ. - 305). კომლი სამეგრელოში: რუხი - 3, ქვ. ჭალადიდი - 3 და სხვ. გვარისათვის ამოსავალია პირსახელი გოგსა.

გოგუა - 3141 სული (ჩხორ. - 931, თბ. - 545, ზუგდ. - 367). ქვეყანაში ყველაზე გავრცელებულ გვართა შორის 191-ე ადგილი უჭირავს. სამეგრელოში 45-ე, ხოლო ჩხოროწყუს რ-ნში VI ადგილზეა. კომლი: ნაფიჩხოვო - 104, ჩხოროწყუ - 45, ქვ. ჩხოროწყუ - 22, ხაბუმე - 22, ქვ. ქვალონი - 16, ლესიჭინე - 5, ხეთა - 3, ახალაბასთუმანი - 3 და სხვ. ტოპ.: ლეგოგუე - უბნები ნაფიჩხოვოსა და

ჩხოროწყუში, ყოფილი დასახ. უბანი ხაბუმეში. 1628 წლის საეკლესიო საბუთში დასახელებულია სიქანდარა გოგუა, რომელიც ლევან დადიანს შეუწირავს ბიჭვინთის ღმრთისმშობლისათვის და დაუკისრებია გარკვეული საკლესიო გადასახადი (პალ, I, 698). გოგ- ფუძის შემცველი მამაკაცის სახელები გოგი, გოგა, გოგია, გოგინა, გოგოლა და სხვ. გვავარაუდებინებს გოგო ვარიანტსაც. ამ შემთხვევაში: გოგო →გოგო-ა →გოგუა. შდრ.: გოგოძე, გოგოხია, გოგოლავა.

**გოგულია** - გვარის უწინ არსებობას ადასტურებს ტოპონიმი ლეგოგულიე. ასე ეწოდება უბანს ლეკარტოზიესა და ლემალანიეს შუა (მ. მოხაში). გოგული გიორგის მოფერებითი ვარიანტია.

**გოდორაძე** - 43 სული (ოზურგ. - 10, ახალქალაქი - 7, სენაკი - 4). ნოჯიხევში მკვიდრობს 3 კომლი. პირსახელი გოდორა დამოწმებულია XVII ს. დამლევს (პალ, I, 700). გოდორაძე სემანტიკურად და სტრუქტურულად იგივეა, რაც მეგრული გიდელია. შდრ. გოდორაშვილი.

**გოდუა** - გვარის უწინ არსებობას ადასტურებს ტოპონიმი ნაგოდუ. ესაა ბორცვი, გოდუების ნაცხოვრები ადგილი ჯუმითში (ხაბუმის თემი). პირსახელი გოდა გვხვდება სვანეთის საისტორიო საბუთებში. გოდო, გოდორია "გაბერილი, ღიპიანი" კოლხეთში მეტსახელია (ე.ი. გოდო-ა →გოდუა).

**გოთოშია** - 168 სული (სამტრ. - 54, აბაშა – 43, თბ. - 41). კომპაქტური დასახლება დაფიქსირდა პ. მაისში (12 კომლი). გვარში გამოიყოფა კოლხური სუფიქსი -ში. გოთო პირსახელი ჩანს (შდრ. მამაკაცის სახელი გოთი სვანეთში). გოთოში თავისთავად აღნიშნავს გოთოს შთამომავალს. -ა გვარსახელს აწარმოებს. ამავე ფუძის შემცველი გვარი გოთუა ძირითადად გურიაშია გავრცელებული.

**გოლავა** - 90 სული (თბ. - 24, ზუგდ. - 13, სენაკი – 10).. მოსახლეობენ არაკომპაქტურად: ქვ. ჭალადიდი - 2 კ., ახალსოფელი - 1 კ. და სხვ. ). პირსახელი გოლაი დამოწმებულია XIV ს-ში, ხოლო გვარი გოლაძე - XV ს. დამლევს (პალ, I, 702). 1904 წლის აღწერის მასალებში დაფიქსირებულია ვარიანტი გოლაია (ხუნწი). ამ გვარის ანალოგიით ჩანს შექმნილი ლეო ქიაჩელის პერსონაჟის (ტარიელ გოლუას) გვარი. ამასთანავე, გოლუა საისტ. საბუთებში პირსახელადაც გვხვდება.

**გოლანძია** - 110 სული. გვარი ძირითადად გალის რ-ნშია გავრცელებული. ძირძველი მოსახლე სამეგრელოში იშვიათია. არიან ლტოლვილები. გვარი წარმოქმნილია მეორეული სუფიქსაციით: გოლაძე →გოლანძე → გოლანძე-ა →გოლანძია. შდრ.: გოლავა, გოლაძე.

**გოლეთიანი** - 1 268 სული (ქუთ. - 396, ცაგ. - 304, თბ. - 234). ლეჩხუმური გვარი მიგრირებულია სამეგრელოში (ჩხორია - 3 კომლი და სხვ.). იგი დოკუმენტირებულია XV-XVI სს-დან (პალ, I, 703).

**გოლობიანი** - 94 სული (ზუგდ. - 38, თბ. - 11, ქუთ. - 9). კომპაქტური დასახლება აღინიშნა ნარაზენში (9 კომლი). ტოპ.: საგოლობიანო - ყოფილი დასახ. უბანი ძუგუს კალთაზე (უფალკარი). გვარი წარმოქმნილია სამეგრელოში, ან იმერული გოლუბიანის ვარიანტია.

**გოლუბიანი** - 186 სული (ხარაგ. - 33, რუსთ. - 25, თბ. - 22). კომლი სამეგრელოში: განარჯიის მუხური - 4 და სხვ.

**გორგაძე** - 4751 სული. საქართველოში 88-ე ადგილზეა. ფართოდაა გავრცელებული იმერეთსა და აჭარაში. ახალსოფელში (ხობის რ.) ჩასახლებულია 6 კომლი. გორგა გიორგის მოკლე ვარიანტია..

**გორგილაძე** - 2467 სული. აჭარაში ფართოდ გავრცელებული გვარი (2164 სული. 27-ე ადგილი რეგიონში) გვხვდება სამეგრელოშიც: კეთილარში აღინუსხა 3 კომლი. გორგილა ← გორგა ←გიორგი.

**გორდეზიანი** - 768 სული. რაჭა-იმერეთშია გავრცელებული. ნოსირში მოსახლეობს 3 კომლი. გ. ბედოშვილის მტკიცებით, გვარისათვის ამოსავალია სპარსული სახელი გოდარზ, რომელსაც მეტათეზისის გზით ქართულში მოუცია ფორმა გორდეზ (ბედოშვილი, 1991).

**გორდელავა** - 40 სული (ზუგდ. - 14, ქობ. - 11, აბაშა – 4). გორდი რომ პირსახელი ყოფილა, ამას ადასტურებს გვარი გორდისშვილი (პალ, I, 709). გორდელა, ისევე როგორც გორდულა, პირსახელ გორდის მოფერებითი ვარიანტია. ისიცაა სავარაუდო, გორდელავა გურია-აჭარაში გავრცელებული გორდელაძის (956 სული) გამეგრულებული ვარიანტი იყოს (ამ უკანასკნელ შემთხვევაში გორდელა ტოპონიმ გორდიდან წარმოქმნილი წარმომავლობის სახელია).

**გორდულავა** - 215 სული (წალენჯ. - 74, ზუგდ. - 53, თბ. - 24). კომპაქტური დასახლება არ აღინიშნა. გორდულაძის (იხ.) ვარიანტი ჩანს. იხ. გორდელავა, გორდულაძე.

**გორდულაძე** - 463 სული (წყალტ. - 111, ქუთ. - 73, ჩხორ. - 52). კომლი სამეგრელოში: ხაბუმე - 11, ჩხოროწყუ - 3 და სხვ. იხ. გორდელავა, გორდულავა.

**გოროზია** - 844 სული (მარტვ. - 328, თბ. - 137, სენაკი – 86). კომლი: თამაკონი - 29, მარტვილი - 8, კიწია - 3, ლესიჭინე – 3 და სხვ. შდრ. გოროზიანი.

**გოროზიანი** - 135 სული (სენაკი – 47, თბ. - 33, ფოთი – 20). ძვ. სენაკში მკვიდრობს ამ გვარის 10 კომლი. გოროზა ქართულში მეტსახელია. დაფიქსირებულია აგრეთვე პირსახელი გორზამ (ქსს, 1986). ხოლო თვით გვარი გოროზიანი სამეგრელოში ჩანს წარმოქმნილი.

**გოროშიძე** - ამ გვარის 3 კომლი ცხოვრობს ნოსირში. გორო მეგრულში აღნიშნავს თონეში გამომცხვარ მოგრძო სქელ პურს. სავარაუდოა, რომ ამგვარი სემანტიკის სიტყვა ექცა მეტსახელად

პიროვნებას რაიმე ნიშნით მსგავსების საფუძველზე, ხოლო შემდეგ მისგან წარმოიქმნა მამიშვილობის სახელი გოროში (შდრ. ტუღუში, ხალვაში...), რომელსაც დართვია -ძე სუფიქსი.

გოქაძე – 1033 სული (ქუთ. – 312, თბ. – 252, ცაგერი – 90). კომლი სამეგრელოში: ნოსირი – 5, ჩხოროწყუ – 4 და სხვ.

გოქსანია – იხ. გოგსანია.

გოშუა – 104 სული (ზუგდ. – 35, ჩხორ. – 29, თბ. – 21). კომლი: კირცხი – 5, ზუგდიდი – 5, ლესიჭინე – 3 და სხვ. კირცხი, სადაც ამჟამად გოშუები მოსახლეობენ, თავად გოშაძეთა რეზიდენცია ყოფილა. საქმე ისაა, რომ "ძველი გოშაძეების შთამომავლები არიან მერმინდელი სამთავრო აზნაური გოშუები, რომელნიც კირცხსა და ლეტეში ფლობდნენ მცირეოდენ ყმა-მამულს" (სოსელია, 1973, გვ. 189). "გოშაძე მეგრული გვარსახელის გოშუას ქართული შესატყვისია. ეს გვარსახელი წყაროებში ხშირად "გოშოძის" ფორმით გვხვდება" (იქვე, გვ. 286). გოშაძეები ოდიშის ძლიერი თავადები ყოფილან XV–XVII საუკუნეებში. საისტორიო წყაროებში უფრო ადრეც მოიხსენიებიან. ვახუშტი და იოანე ბაგრატიონი მათ ოდიშის წარჩინებულ თავადთა შორის ასახელებენ. კირცხის გარდა მათ ეკუთვნოდათ სარაქონი და გაშფერდი. მაგრამ ჩიქვან-დადიანებთან ქიშპობას შეწირვიან და გადარჩენილნი ჩამოაზნაურებულან. გოშუა-სათვის ამოსავალია პირსახელი გოშო. გოშო და გოშოელ სვანეთში პირსახელებია. სვანეთის საისტორიო წყაროებში გვხვდება გვარი გოშოიძე (XIII ს. II ნახევარი. იხ. ინგოროყვა, 1941, გვ. 133), ხოლო დადიანებთან დაკავშირებულ საბუთებში (XVII ს. I ნახევარი) – გოშოძეები. იხ. პალ, I, 715). მაშასადამე: გოშო →გოშო-ა →გოშუა. ამასთანავე, ს. ჯანაშია მეგრულ გოშუასა და ქართულ გოშაძეს აკავშირებდა სვანურ გოშვანთან. 1905 წლის აღწერის მონაცემებით, კირცხში მცხოვრები გოშუები (11 კომლი) აზნაურები იყვნენ.

გოჩავა – (90 სული) და გოჩუა (23 სული) მცირერიცხოვანი გვარებია. რამდენიმე კომლი ძირძველი მოსახლე დაფიქსირდა ზუგდიდისა და წალენჯიხის რ-ნებში. გოჩა, გოჩო, გოჩია გავრცელებული პირსახელებია. შდრ. გოჩაშვილი, გოჩაძე, გოჩიაშვილი.

გოჩოლავა – გვარს აღადგენს ტოპონიმი ლეგოჩოლე (ტყე-ფერდობები ქვარჩელის სათავესთან, ნახურცილავოში). პირსახელი გოჩოლა (←გოჩა) გვხვდება დას. საქართველოს საეკლესიო საბუთებში.

გოჩოლეიშვილი – 169 სული (აბაშა – 107, სამტრ. – 15, ფოთი – 13). კომლი: ონტოფო – 30, ქოლობანი – 7, კეთილარი – 4, აბაშა – 3 და სხვ. ადგ. ვარიანტი: გოჩოლიშვილი. ტოპ.: საგოჩოლიშვილო – უბანი ეწერში (ონტოფოს თემი). გვარის სამშობლოა აბაშის რ-ნი. ამიტომაც ავლენს ქვემოიმერულისათვის (გარკვეულ შემთხვევაში მეგრულისთვისაც) დამახასიათებელ ფონეტიკურ თავისებურებას: გოჩოლაიშვილი → გოჩოლეიშვილი.

გოჩუა – იხ. გოჩავა.

გოცაძე – 1370 სული. ამ იმერული გვარის კომპაქტური დასახლება აღინიშნა საგვიჩიოში (3 კ.).

გოცირიძე – 2460 სული (თბ. – 1179, ქუთ. – 185, ბაღდ. – 97). ეს გვარიც იმერეთიდანაა მიგრირებული სამეგრელოში: ხობში დაფიქსირდა 4 კომლი.

გოძილანძე – და მისი ვარიანტები (გოძელანძე, გოძილაძე) გვხვდება მხოლოდ ზუგდიდის რ-ნში რამდენიმე კომლის სახით. აშკარაა, გოძილა კოლხური გოძოს მოფერებითი ვარიანტია.

გრიგალავა – 128 სული (მარტვ. – 80, თბ. – 18, სენაკი – 17). კომლი: მარტვილი – 30, ნაგვაზავო – 3 და სხვ. გრიგალაშვილის საპასპორტო ვარიანტია. ადგილობრივ მეტყველებაში გირგალავასაც იტყვიან. ისტორიულად დაფიქსირებულია ვარიანტი გირგალაძე (XVI ს. I ნახევარი. იხ. პალ, I, 665).

გრიგალაშვილი – 3723 სული (ხაშ. – 1100, თბ. – 606, ხარაგ. – 454). გვარი საქართველოში 143-ე ადგილზეა სულთა რაოდენობით. კომპაქტურად ცხოვრობენ ხობის რაიონის სოფ. ახალსოფელში – 14 კომლი. ადგ. ვარიანტებია: გირგალა, გირგაია. ტოპ.. საგირგალა – უბანი შხეფში. ცხოვრობენ გრიგალაშვილები (სენაკი). ეგირგაე – უბანი სურქანის მარც. მხარეს. ცხოვრობენ გრიგალაშვილები (საელიავო). გირგაეთი//გირგაეათი – აბაშის ჭალა, სადაც უწინ გრიგალაშვილებს უცხოვრიათ (ნალეფსაო). გვარი გრიგალაშვილი დამოწმებულია XVI ს. საბუთში (პალ, I, 720). იხ. გრიგალავა.

გრიგოლავა – 431 სული (სენაკი – 152, თბ. – 90, ზუგდ. – 42). კომლი: ოქტომბერი – 6, სენაკი – 8, სერგიეთი – 3 და სხვ. ადგ. ვარიანტი გირგოლავა დამოწმებულია 1621 წლის საბუთში (ქსძ, III, 430). იხ. გრიგოლია, გრიგოლაია, შდრ. გრიგოლაშვილი (703 სული. ძირითადად იმერეთში).

გრიგოლაია – 196 სული (ზუგდ.– 87, სენაკი – 51, თბ. – 45). კომლი: ნარაზენი – 17, ლეძაძამე – 5 და სხვ. ადგ. ვარიანტი გირგოლაია დამოწმებულია 1657-1660 წწ. საბუთშიც (პალ, I, 666). ტოპ.: საგირგოლაიო//ლეგირგოლაიე – უბანი ჭანისწყლის ჭალაში, სადაც ცხოვრობენ გრიგოლაიები (ნარაზენი). დამოწმებულია XVII ს. დამლევის საბუთში: სოსია გრიგოლაია ყოფილა მოწმე კათალიკოს დავით ნემსაძის მიერ კანდელაკ ივანე ქავთარიასათვის მიცემული მამულის წყალობის წიგნისა (ქსძ, III, 616). შდრ. გრიგოლაშვილი, გრიგოლავა.

გრიგოლია – 1978 სული (თბ. – 469, სამტრ. – 403, სენაკი – 354): კომლი: პ. მაისი – 36, ნაქალაქევი – 12, ჭითაწყარი – 10, ძვ. აბაშა – 9, აბაშა – 8, დარჩელი – 5, ეკი –5, მარანი – 5, ძვ. სენაკი – 5 და სხვ.

ადგ. ვარიანტი გირგოლია. ტოპ.: გირგოლეთი - სერი ესაინგიეში (ზ. ნაქალაქევი). საგრიგოლიო - უბნები ჭითაწყარში, საგვარამიოში, ციხეთში, უფალკარში. გრიგოლიები//გრიგოლიების კუთხე - უბანი ქვიშანჭალაში. XVII ს. პირველი ნახევრის საეკლესიო საბუთებში დასახელებულნი არიან ხორის (ამჟამინდელი ოხურეი სამურზაყანოში) მცხოვრები საეკლესიო გლეხები გოკურცხია გრიგოლია და ვაჟობა გრიგოლია, თეკლათს მცხოვრები ღვარჯალაი გრიგოლია (პალ, I, 724; ქსძ, III, 424). შდრ. გრიგოლიანი, გრიგოლიშვილი. 1904 წელს მარანში მოსახლე გრიგოლიები აზნაურები იყვნენ.

**გუგავა** - 956 სული (ცაგერი - 262, ქუთ. - 178, ლენტ. - 139). იმერეთში, სვანეთსა და ლეჩხუმში გავრცელებული ეს კოლხურსუფიქსიანი გვარი ქვემო სამეგრელოშიცაა დაფიქსირებული (რამდენიმე კომლი მოსახლეობს ანაკლიაში, ახალაბასთუმანში და სხვ.). XVI ს-ის ერთ-ერთ საბუთში დასახელებული არიან ცაიშის საყდრის მებეგრენი - ოქროპირა გუგავა და სუსულა გუგავა (პალ, I, 726-727). ლეჩხუმში (ჩხუტელში, უსახელოში) მცხოვრები გუგავების გადმოცემით, მათი წინაპრები მოსულან ქვემო სვანეთიდან, კერძოდ, ლასკადურადან, სადაც დღესაც მოსახლეობს ეს გვარი (თოფჩიშვილი, 1993). გვარისათვის ამოსავალია პირსახელი გუგა.

**გუგულავა** - 30 სული. გვარი სამეგრელოში იშვიათია (კეთილარში ცხოვრობს ერთი კომლი). ტოპ.: ნაგუ(გუ)ლუ - სერი სამართალასა და სქურჩას შუა (ლეჯოლიხე). გუგულა გუგუს კნინობით-მოფერებითი ვარიანტია. შდრ. გუგულაძე (25 სული. ძირითადად აჭარაში).

**გუგუნავა** - 660 სული (სენაკი - 186, თბ. - 151, ქობ.- 143). გვარი კომპაქტურად ცხოვრობს მხოლოდ ხორშში (10 კომლი), სხვაგან თითო-ორი კომლითაა წარმოდგენილი. ტოპ.: საგუგუნავო (ადგ. ვარიანტი: საგუგუნა) - სოფელი ცივის მარჯ. ნაპირას (ხორშის თემი). გუგუნაყათი - ვრცელი დასახლებული ტერიტორია ცხენისწყლის მარჯ. მხარეს. გაყოფილია ორ სოფლად: ერთი შედის მარნის თემში, მეორე - ქოლობნისაში. გადმოცემით, ესახლნენ გუგუნავები. ტოპონიმის ადგ. ვარიანტი გუგუნაცათი აღადგენს გვარის ვარიანტ გუგუნაცას (ც ჩანართია, ისევე როგორც -ვ). გუგუნა გავრცელებული პირსახელია. 1850 წელს დამტკიცებულ "იმერეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახების" სიაში რამდენიმე პირი ატარებს სახელს "გუგუნა" (გუგუნა ბარათაშვილი, გუგუნა კიკნაძე, გუგუნა საყვარელიძე და სხვ. იხ. პუმბურიძე, 1999). XV-XVI სს. მიჯნაზე დაწერილ საბუთში დასახელებულია აზნაურიშვილი კაკუ გუგუნავა (პალ, I, 727). გურიაში გუგუნავები თავადები იყვნენ, სამეგრელოში კი - აზნაურები (კერძოდ, ჭილაძეებისა). 1904 წელს ისინი ფლობდნენ მამულებს ნობულევში, გოდოგანში, ნოღაში, ხორშში. ამავე ფუძის შემცველია გვარები: გუგუნაშვილი, გუგუნაძე.

**გუგუსიანი** - 307 სული. მესტიის რაიონიდან ჩამოსახლებული სვანები ამ გვარისა დამკვიდ-რებულნი არიან პ. ფოთში (3 კომლი) და სხვაგან.

**გუგუშვილი** - 1450 სული (თბ. - 517, აბაშა - 367, სენაკი - 93). გვარი აბაშის რ-ნში მე-16 ადგილზეა. სწორედ ამ რაიონის სოფელი სუჯუნა არის გუგუშვილთა მამაპაპური სამოსახლო. კომლი: სუჯუნა - 56, აბაშა - 18, კეთილარი - 16, ნოსირი - 13, ნაესაკაო - 5, ძვ. აბაშა - 3 და სხვ. ადგ. ვარიანტი: გუგუსქუა. ტოპონიმი: საგუგუსქუო - უბანი პირველ ეწერში (სუჯუნის თემი). „სამურზაყანოდან გამოქცეული ლომინი ზვამბაია თუ ზუმბაია მინდობია ჭყონდარს საჭყონდიდოში. მას იგი წამოუყვანია და დაუსახლებია სუჯუნაში, თავის საზამთრო სამყოფში. იმ ადგილს დღეს ეწოდება ლომნოხორი. ლომინას შვილს ერქვა გუგუ. გუგუშვილები მისი შთამომავლები ვართ" (ინფ.). XVII ს-ში გვარი გუგუშვილი დაფიქსირებულია ქართლში (პალ, I, 728). აბაშის რ-ნის სოფლებში (კადარი, საბოკუჩავო, კოდორი, ეწერი, წალიკარი) მცხოვრები გუგუშვილები აზნაურები იყვნენ.

**გუგუჩია** - 605 კომლი (ზუგდ. - 517, თბ. - 57, ქუთ. - 10). გვარის ძირითადი სამკვიდრო ჩანს კახათი (104 კომლი). მკვიდრობენ სხვაგანაც: დარჩელში - 5 კ., ცაიშში 4 კ. და სხვ. ტოპ.: საგუგუჩიო - უბანი ინგირისა და დავითიანის საზღვართან. გუგუჩა (←გუგუ) მოფერებითი სახელია (შდრ. გუგუნა, გუგუტა...). მეორე მხრივ, გადმოცემით, სვანი გურჩიანები და მეგრელი გუგუჩიები ერთი წარმო-მავლობისანი არიან. ამის საფუძველზე ოციოდე წლის წინათ კახათში (ზუგდიდის რ.) მცხოვრებმა გუგუჩიებმა და ეცერში (მესტიის რ.) მცხოვრებმა გურჩიანებმა ერთმანეთი "მოძებნეს" და მასპინძლობდნენ კიდეც ერთმანეთს რიგრიგობით. ფაქტობრივად, გუგუჩია ბგერითი შედგენილობით გურგუჩიანთან უფრო ახლოსაა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი გარემოება: გურგუჩიანები მკვიდრობენ ლეჩხუმში, მაგრამ იქ, კერძოდ, ორბელში, მომულან აგრეთვე ეცერიდან, სადაც მათი გვარი გურჩიანი ყოფილა (იხ. თოფჩიშვილი, 1993, გვ. 8).

**გუდიავა** - 142 სული (სენაკი - 59, თბ. - 30, ქუთ. - 8). კომპაქტურად ცხოვრობენ მხოლოდ ძვ. სენაკში – 9 კომლი. ტოპ.: საგუდიაო - უბანი პ. ნოსირში. პირსახელი გუდა დამოწმებულია ჯერ კიდევ წყისის (VII ს.) წარწერაში. იხ. აგრეთვე: პალ, I, 728). შდრ.: გუდავაძე (გურია), გუდაძე (ქართლი).

**გულაია** - ძალზე იშვიათი გვარია. გვხვდება ორსანტიაში – 6 კ., ზუგდიდში და სხვ. ტოპ.: საგულაიო - უბანი ჭიჭე ოტობაიაში (ორსანტია). გულა კოლხური პირსახელია (ქსს, 1986). სვანეთსა და სამეგრელოში გავრცელებულია ამ ფუძის შემცველი პირსახელები: გულა, გულადი, გულაია, გულაღია, გულბათი, გული, გულო, გულიკო და სხვ. შდრ. გულაძე.

გულარია – გურალიას ვარიანტი ჩანს. ორიოდე კომლი ცხოვრობს ზუგდიდში.

გულბანი – 1374 სული. ამ გვარის მატარებელი სვანები სახლობენ სამეგრელოშიც: ჭკადუაში - 5 კ., ოდიში – 3 კ. და სხვ.

გულბიანი - 411 სული (ოზურგ. - 94, წყალტ. - 86, ლენტ. - 85). დასტურდება სამეგრელოშიც (ბულიწყუ - 3 კ. და სხვ.).

გულედანი - 985 სული (მესტია - 310, თბ. - 279, ზუგდ. - 98). კომლი სამეგრელოში: რუხი - 8, ოდიში - 4, წალენჯიხა - 4 და სხვ.

გულია - 53 სული (ზუგდ. - 23, თბ.- 13, წალენჯ. - 6). გვარისათვის ამოსავალია პირსახელი გული. ამასთანავე, გულიაც პირსახელია (ქართლში. იხ. პალ, I, 732). იხ. გულაია. შდრ. გულიაშვილი.

გულიაშვილი - 2801 სული (თბ. - 640, საჩხ. - 550, ქარ. - 235). გვხვდება სამეგრელოშიც (ხაბუმე - 6 კომლი). გვარი დამოწმებულია XVI ს. საბუთში (პალ, I, 732).

გულისია - გვარს აღადგენს ტოპონიმი ნაგულისუ//ნაგულუსუ (ფერდობები ნობულევში, საბიგვას უბანში, სადაც, როგორც გადმოსცემენ, უცხოვრიათ გულისიებს თუ გულუსუებს).

გულორდავა - 1761 სული (ზუგდ. - 690, მარტვ. - 361, თბ. - 201). კომლი: სალხინო - 45, ოდიში - 26, ჭკადუაში - 21, ლეწურწუმე - 19, რუხი - 14, წალენჯიხა - 12, კოკი -11, გურძემი - 9, ახალკახათი - 8, ჭითაწყარი - 8, კიწია- 7, საჩინო - 6 და სხვ. ადგ. ვარიანტი: გულორდა//გუეედა//გუედა. ტოპ.: ლეგულორდავე (ადგ. ვარიანტი: ეგუედე, ეგულორდე) - სოფელი წაჩხურას მარჯ. მხარეს (სალხინოს თემი) და უბანი მეორე გურძემში. საგულორდა - უბნები ჭაქვინჯსა (უმპიის მარჯ. მხარეს) და ჭკადუაში (ჩხოუშიის ხეობაში. ინფ.: „გულორდავების წინაპარი ყოფილა გულედანი, დადეშქელიანის ყმა. მას მძიმე დანაშაული ჩაუდენია, გამოქცეულა და დამკვიდრებულა წაჩხურში, შემდგომში ერთი გულორდავა აქ გადმოსულა“). საგულორდა(ო) - უბანი ნაწულუკუში (რუხის თემი. აქაური გულორდავებიც წაჩხურიდან მოსულან). საგულორდო - უბნები ანაკლიასა და დარჩელში. გვარის ფუძე “გულორდა“ უნდა წარმოადგენდეს ზმნურ კონსტრუქციას, რომელშიც გამოხატულია მშობლის ნება-სურვილი და ერქმევა ბავშვს დაბადებისას: გური ორდა (გული, ე. ი. ძვირფასი იყავი) →გულორდა (დისიმილაციით) →გულორდავა. ამასთანავე, -ოლდ კნინობითობის სუფიქსი სვანური ენისა შეიძლებოდა მეგრულში –ორდ ფორმით გადმოსულიყო, რაც ამ გვარის სვანურობის შესახებ გადმოცემას რეალურ საფუძველს უქმნის. შდრ. თოლორდავა, თოლორაია.

გულუა - 2658 სული (ზუგდ. - 856, ჩხორ. - 454, წალენჯ. - 326). გვარი სულთა რაოდენობით ქვეყანაში 278-ე ადგილზეა, სამეგრელოს რეგიონში 35-ე ადგილი უკავია (1937 სული). რაიონების მიხედვით ასეთი სურათია: ჩხოროწყუ – 35-ე ადგილი, ზუგდიდი – მე-40 ადგილი, წალენჯიხა – მე-40 ადგილი. კომლი: ხაბუმე - 71, წალენჯიხა - 41, ყულიშკარი - 22, ჩხოროწყუ - 19, ანაკლია - 13, ახალაბასთუმანი - 13, აბედათი - 12, ლია - 12, ალერტკარი - 10, დარჩელი - 10, რუხი - 9, ინგირი - 7 და სხვ. ტოპ.: ნაგულუ - ფერდობები ემოწაფიეში, სადაც გულუებს უცხოვრიათ (ლექაჯაიე). საგულუო - უბნები ალერტკარში, ყულიშკარში, ახალაბასთუმანში, საგვიჩიოში. გვარი დამოწმებულია 1621 წელს შედგენილ დავთარში: თილითს (ამჟამინდელი აბააევახუ ოჩამჩირის რ-ნში) მცხოვრებ თუთაშხია გულუასა და მუხურს (გალის რ-ნში) მცხოვრებ შორდა გულუას ემართათ აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა (ქსძ, III, 429). გვარისათვის ამოსავალია კოლხური პირსახელი გულო (გულო-ა → გულუა). ამასთანავე, გულოა, გულუა გვხვდება პირსახელადაც შუა საუკუნეების საქართველოში (იხ. პალ, I, 738; ქსს, 1986). შდრ. გულუაშვილი.

გუნავა - 150 სული (ზუგდ. - 86, სენაკი - 35, თბ. - 15). კომლი: რუხი - 15, ხორში - 6 და სხვ. ტოპ.: ლეგუნე - უწინ გუნიების სამოსახლოები, ამჟამად ფერდობები ჩეღალის მარც. მხარეს (ლეწურწუმე). ეგუნე - სერი ვახას მარჯ. მხარეს (ვახა). ნაგუნუ - სახნავი ლემალანეში (მ. მოხაში). გუნა ისტ. დოკუმენტებში დამოწმებული პირსახელია.

გუნია - 772 სული (თბ. - 219, სენაკი - 181, ფოთი - 122). კომლი: ზანათი - 25, ძვ. სენაკი - 8, ეკი - 4, პ. მაისი – 3 და სხვ. ტოპ.: საგუნიო - სოფელი ეკის თემში, ეკის მთის კალთებზე, რომელსაც საგუნიოგოლა ეწოდება. საგუნიო - უბანი აბაშის მარჯ. მხარეს (გაღმა ზანათი). აქაური გუნიები ეკიდან მოსულან. 1629 წლის საბუთში აღნიშნულია, რომ ეკას მცხოვრები იოვანე გუნია და მისი “სახლიკაცი“ თვალთვალე ოჯახითა და მამულით შეუწირავთ ბიჭვინთის ეკლესიისათვის (პალ, I, 741).

გუნჯუა - 189 სული. მკვიდრობენ ქ. ზუგდიდში (10 კომლი), ორსანტიაში (7 კომლი), ფოთში და სხვ. იშვიათი საპასპორტო ვარიანტია გუჯუა. გუჯუ, გუჯუა კოლხეთში პირსახელებია.

გურალია - 54 სული. კომპაქტური დასახლება დაფიქსირდა გამოღმა ქარიატაში, საწურწუმიოსა და საბერაიოს შუა (6 კომლი), სადაც უბანს კიდევაც ეწოდება საგურალიო. გურალიები ცხოვრობენ ზუგდიდშიც. გადმოცემით, მათი წინაპრები გურიიდან მოსულან. შდრ. გვარი გურალიძე, რაც დამოწმებულია 1432 წ. საბუთში (პალ, I, 741. დღეს ეს გვარი არ ჩანს). გურალიები აზნაურები ყოფილან. გური, გურა კოლხეთში გავრცელებული პირსახელებია. გურალი მოფერებითი ვარიანტია.

**გურგულია** – 87 სული. გვარი რამდენიმე კომლითაა წარმოდგენილი ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონებში. იხ. გურგულიანი.

**გურგულიანი** – 105 სული. სვანური გვარი. ზუგდიდის რ-ნში სამიოდე კომლია დამკვიდრებული.

**გურიელი** – 1601 სული (თბ. – 53, წალენჯ.– 43, ზუგდ. – 4). კომლი: მედანი – 8, ოდიში – 4, ჩხორია – 4 და სხვ. ტოპ.: ნაგურიელი – ბორცვები ნაკიფუსა (სალუკას უბანში) და ხაბუმეში. ნაგურუ – სოფელი ინწირის ხეობაში (საჩინოს თემი). აქ მიუთითებენ ადგილს, სადაც გურიელს უცხოვრია. თუმცა შუა საუკუნეებში გვარი გურუაც არსებულა (იხ. პალ, I, 752). საისტ. საბუთებში გვხვდება როგორც გურიელი, ისე გურიულიც. ერთ-ერთი დოკუმენტის თანახმად, XVIII ს. პირველ ნახევარში სენაკს მცხოვრები გიორგი გურიული ცოლ-შვილით შეუწირავთ ბიჭვინთისათვის (ქსძ, III, 767).

**გურჩიანი** – 1593 სული (თბ. – 382, მესტია – 323, კოდორი – 240). კომლი: ოდიში – 3, ჩხორია – 3 და სხვ. გადმოცემით, გურჩიანები ყოფილან ლეჩხუმელი გურგუჩიანების წინაპრები . იხ. გუგუჩია.

**გურული** – 1831 სული. გვარი გავრცელებულია ქვემო იმერეთში. სამეგრელოში კომპაქტურად მოსახლეობენ ქვემო ჭალადიდში (5 კომლი). XVII ს. ერთი საბუთის მიხედვით, სენაკს მცხოვრები გიორგი გურული საეკლესიო გლეხია და მართებს „5 ლოღარიკი სანთელი" (პალ, I, 752). გვარი გურული დაფიქსირებულია 1810 წლის წყალობის წიგნშიც (ქსძ, III, 1105).

**გუჩუა** – 516 სული (წალენჯ. – 143, ზუგდ. – 130, თბ. – 82). კომლი: ფახულანი– 16, რუხი – 5 და სხვ. გუჩა, გუჩი, გუჩუ, გუჩუნია სვანეთსა და სამეგრელოში დამოწმებული სახელებია (ქსს, 1986).

**გუჯეჯიანი** – 1234 სული (თბ. – 376, მესტია – 270, გარდ. – 141). კომლი სამეგრელოში: ჭკადუაში – 9, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) – 6, ჩხორია – 4 და სხვ.

## დ

**დაგანძე** – გვხდება მხოლოდ სამეგრელოში. იმერეთში გავრცელებული დანგაძის ვარიანტი ჩანს (გადასმულია ნ თანხმოვანი). კომლი: ნალეფსაო – 6, მარტვილი – 3 და სხვ.

**დაგარგულია** – 253 სული (ზუგდ. – 188, თბ. – 30, ფოთი – 17). კომლი: ურთა – 29, ცაიში – 15 და სხვ. ტოპ.: სადაგარგულიო – უბანი ურთის ცენტრში. ინფ.: დაგარგულიების წინაპარი ყოფილა არღვლიანი ცხომარიდან. მოსულა ცაიშში და უთქვამს: შემიფარეთ, დაკაგული ვარო. ამიტომ მიუღია გვარი დაკარგულია, რაც შემდეგ დაგარგულიად გადაუკეთებიათ. სხვა გადმოცემით, დაგარგულიები ყოფილან მეუნარგიები, გვარი დაკარგულია შემდეგ მიუღიათ. გვარის ჯინჯიხატი ყოფილა ქიახი ობუჯში. „ძველები" მოსალოცად დადიოდნენ ილორში, გელათში, მოწამეთაში. ჯ. როგავას მტკიცებით, დაგარგულია – მეუნარგიების წინაპარი – ყოფილა გურიიდან ლტოლვილი არჩევან თავართქილაძე, რომელიც სამეგრელოს მთავარს – მანუჩარ პირველს (1590-1616 წწ.) შეუხიზნავს და აბასთუმანში სამოსახლოები მიუცია. სწორედ მისთვის უწოდებიათ გურკოჩი დაკარგულია. მის შთამომავლებს გვარი დაგარგულიად გადაუკეთებიათ. მათი ნაწილი დღესაც ამ გვარით მოსახლეობს ურთის მთის კალთაზე (როგავა, 1970, გვ. 18) იხ. მეუნარგია..

**დადახავა** – 141 სული. ზოგ შემთხვევაში წარმოდგენილია დადაპავა ვარიანტით. დაფიქსირდა რამდენიმე კომლი ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონებში.

**დადიანი** – 1143 სული (თბ. – 284, სენაკი – 241, ზუგდ. – 204). კომლი: ხორში – 20, ოდიში – 6, წალენჯიხა – 6, ზუმი – 4, მენჯი – 4, ორსანტია – 4, ფოცხო – 4, ჭკადუაში – 4, სუჯუნა – 3, ქვ. ქვალონი – 3 და სხვ. ტოპ.: ლედადიანე – უბანი ცივის მარც. მხარეს (ფოცხო). სადადიანო – უბანი დიდ ხორშში, სადაც ცხოვრობენ დადიანები. დადიანების (მთავრებისა და უფლისწულების) ყოფილ მამულებს ბევრგან ეწოდება სადადიო. დადიანთა საგვარეულოს პირველი წარმომადგენელი საისტორიო–ლიტერატურულ წყაროებში გვხედება XI ს. 40-იანი წლებიდან. ესაა ვახუშტი ბატონიშვილის მიერ დასახელებული "იოვანე ერისთავი, იოვანე დადიანი" (რომელიც მოტყუებით დაატყვევა ლიპარიტ ბაღვაშმა) და "წმინდა ნიკოლოზისა და მარიამ მეგვიპტელის ცხოვრების" XI საუკუნის დროინდელი ერთ-ერთი ხელნაწერის მინაწერის "ერისთავთ ერისთავი იოვახე დადიანი". ქრონოლოგიურად ამას მოსდევს თამარის ეპოქის ისტორიკოსთა მიერ ვარდან დადიანისა და ოდიშის ერისთავის ბედან (ბედიან) დადიანის მოხსენიება (ბერაძე, 1999, გვ. 131-132). პირსახელი დად-ი (და მისი ვარიანტები: დადა-ი, დადაში, დადუ, დადუნა, დადუა... ) გავრცელებულია სვანეთში. ზ. ჭუმბურიძე აღნიშნავს: "დადი აგრეთვე ძველი ქართული სახელია, რომელიც დღეს აღარ გვხვდება, შემონახულია დადიანის გვარ'ში" (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 332). დადიანი . თავდაპირველად მხოლოდ "საგვარეულო სახელწოდება" (ე.ი. გვარსახელი) ყოფილა. პ. ინგოროყვა "რუსთველიანაში" შენიშნავს, რომ საგვარეულო სახელწოდება დადიანი ნაწარმოებია გეოგრაფიული სახელიდან "დადის ციხე". ნ. ბერძენიშვილი კი ამოდის იმ რეალობიდან, რომ საგვარეულო სახელწოდება საქართველოში "სახლის მეთაურის სახელთან დაკავშირებით იწარმოებოდა და ამ პირის მიკუთვნებას აღნიშნავდა ხსენებული კრებულისადმი" (ბერძენიშვილი, 1964, გვ. 341) და "თავდაპირველად ტერმინი "დადიანი" მხოლოდ მონათესავეობის (დადის სახლის კაცის) აღმნიშვნელი ცნება იყო". იგი წარმოქმნილია საკუთარ სახელ

დად-ზე –იან "კუთვნილებითი სუფიქსის" დართვით" (იქვე, გვ. 340). იტალიელი არქანჯელო ლამბერტისათვისაც დადიანი, უპირველეს ყოვლისა, გვარსახელია. იგი წერს: სამეგრელოში "ყველაზე უფროსია მთავარი, რომელსაც ჰქვიან დადიანი. ასე უწოდებენ მის გვარს და არა ღირსებას... როცა უნდათ მოიხსენიონ მისი ღირსება, ამბობენ: "დადიანი ხელმწიფე" (ლამბერტი, 1991, გვ. 16). მას შემდეგ, რაც ლევან I დადიანი დამოუკიდებელი მთავარი გახდა (XVI ს. შუა წლები) "დადიანი" ოდიშის მთავართა ტიტულად იქცა. ამ გარემოების გამო საგანგებოდ აღნიშნა ვახუშტი ბატონიშვილმა: "არამედ დადიანობა არა არს გუარი, არამედ წესი ხელობისა..." (ვახუშტი, 1973, გვ. 28). დადიანის ტიტულს ბოლო დროს გორდელი ჩიქოვანები ფლობდნენ (იხ. ანთელავა, 1999, გვ. 165–216, 325; თ. ბერაძე, 1999, გვ. 216–251). შდრ. დადიანიძე, დადივაძე, დადვაძე.

**დადუნაშვილი** – 702 სული. იმერული გვარია. კომპაქტური დასახლება აღინიშნა ფოცხოში (5 კომლი). გვარის ფუძე დადუნა ძველი ქართული დად-ის კნინობით-მოფერებით ვარიანტად ითვლება.

**დავაძე** – 312 სული. ქართლური გვარია. ახალსოფელში (ხობის რ.) დაფიქსირდა 6 კომლი.

**დავიანტი** – ძალზე იშვიათი გვარია. ზუგდიდში მოსახლეობს 7 კომლი. დავი (←დავითი) კოლხეთში პირსახელია. -ანტი სუფიქსია.

**დავითაია** – 1128 სული (თბ. – 324, სენაკი – 290, ზუგდ. – 120). კომლი: ძვ. სენაკი – 47, ოხტოფო – 28, ახალსოფელი (სენაკის რ. ) – 7, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) – 5, დარჩელი – 5, ხოსირი – 5, ეკი – 3 და სხვ. ტოპონიმი: სადავითაიო – უბნები ჰითაწყარში, ძვ. სენაკში, უფალკარში, ეწერში (ონტოფოს თემი). დავით, დავითა მთელ საქართველოში ფართოდ გავრცელებული სახელია. გვარი დავითაია დაფიქსირებულია XVII ს. საბუთში: ივანე დავითაიას და მესტუმრია დავითაიას ემართათ აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა (ქსძ, III, 25). შდრ. გვარი დავითაძე, დავითაშვილი.

**დავითაძე** – 6140 სული. ფართოდაა გავრცელებული აჭარაში (5366 სული. IV ადგილი). მიგრირებულია სამეგრელოში: ლესიჭინეში მოსახლეობს 6 კომლი.

**დათუაშვილი** – 1254 სული (თბ. – 441, გურჯ. – 283, ქუთ. – 90). შუა ხორგაში აღინუსხა 12 კომლი. გვარი დოკუმენტირებულია XVII ს–ნიდან. 1904 წლის აღწერის მიხედვით, ხორგაში მცხოვრები დათუაშვილების ორი კომლი აზნაურია.

**დამენია** – 614 სული (სენაკი – 126, მარტვ. – 96, თბ. – 88). კომლი: ლეწურწუმე – 7, კიწია – 6, ლეძაძამე – 6, გურძემი – 5, დ. ჭყონი – 5, ზანათი – 4, სუჯუნა – 3 და სხვ. ტოპ.: სადამენიო – ყოფილი დასახ. უბანი კვაუთში (ლეძაძამის თემი). დამი, დამა სვანეთში დაფიქსირებული სახელებია. დამენი ალბათ მათი მოფერებით-კნინობითი ვარიანტია მეგრულში.

**დანელია** – 5666 სული. საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გვარია (მე-60 ადგილი). სამეგრელოში XVI ადგილზეა (3 084 სული). პირველ ადგილზეა მარტვილის რაიონში (1955 სული). გვარის ბუდეა ორი მეზობელი სოფელი: ლეხაინდრავო (დანელიების 292 კომლით) და ნაჯახავო (დანელიების 238 კომლით). კომლი სხვა სოფლებში: მარტვილი – 49, ბანძა – 46, ზანათი – 17, გურიფული – 14, ვედიდკარი – 10, ანაკლია – 6, ქვ. ჭალადიდი – 5, ახალსოფელი (სენაკის რ) – 4, ახალკახათი – 4 და სხვ. ტოპ.: სადანელიო – უბანი ტეხურსა და ტეხურწყარს შუა (გაღმა ზანათი). კოლხეთში გავრცელებული დანე და ისტ. დოკუმენტებში დაფიქსირებული დანელ, დანელა დანიელის ვარიანტები ჩანს. შდრ. დანელაშვილი (პალ, II. 51), დანიელაშვილი.

**დარასელია** – 1806 სული (ზუგდ. – 1375. თბ. – 220, სენაკი – 38). გვარი სულთა რაოდენობით ზუგდიდის რ–ნში XIII ადგილზეა. კომლი: კახათი – 56, ჭითაწყარი – 50, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) – 38, ანაკლია – 7, ჭაქვინჯი – 6, ბულიწყუ – 4, აბასთუმანი – 3, რიყე – 3 და სხვა. ტოპ.: სადარასელიო//სადარესელიო – უბანი კახათის ცენტრში. სადარასელიო – უბნები ჭითაწყარსა და ჯუმში (ზუგდიდის რ., ახალსოფლის თემი). პირსახელი დარასი დაფიქსირებულია სამურზაყანოში (ქსს, 1986). მისგან –ელ სუფიქსით ნაწარმოებია მოფერებით-კნინობითი ფორმა. იხ. დარსალია.

**დარახველიძე** – 1141 სული (თბ. – 364, ქუთ. – 234, ამბრ. – 199). რაჭასა და იმერეთში გავრცელებული გვარია. გვხვდება სამეგრელოშიც: მარტვილში – 3 კომლი, სხვაგან – თითო-ოროლა.

**დარსაველიძე** – 888 სული. იმერული გვარია. ბანძაში ცხოვრობს 4 კომლი.

**დარსალია** – 1734 სული (ჩხორ. – 936, თბ. – 277, სენაკი – 94). სულთა რაოდენობით ეს გვარი ჩხოროწყუს რ–ნში V ადგილზეა. კომლი: ნაფიჩხოვო – 181, ხაბუმე – 11, ჩხოროწყუ – 9, ჭოღა – 4, მუხური – 4, ზუმი – 3 და სხვ. ტოპ.: ლედარსალე – სოფელი ხურჩს ორსავე ნაპირას (ნაფიჩხოვოს თემი). აქ უნდა იყოს დარსალიათა თავდაპირველი საცხოვრისი. იყოფა: გვმოხონი ლედარსალე „ქვემო ლედარსალე" და წვმოხონი ლედარსალე „ზემო ლედარსალე". ისტორიულ საბუთებში დამოწმებულია ვარიანტი დარცალია: ნაფიჩხოვოს მცხოვრები დომიხვადი დარცალია ლევან დადიანს შეუწირავს ეკლესიისათვის (1642 წ. იხ. პალ, II, 56). ამჟამად ლედარსალეში მცხოვრები დარსალიები იმ დარცალიების შთამომავლები ჩანან. დარსა, რაც ჩანს დარსალიასა და დარსანიას ფუძეებში, შესაძლოა დარისპანის ან დარისხანის (სვანეთში) შემოკლებული ფორმა იყოს, რომელსაც

გვარსახელების წარმოქმნამდე დაერთო -ალ, -ან სუფიქსები. სხვა სავარაუდო გზა: დარასი →დარასალი →დარასალია →დარსალია (სინკოპირების შედეგად). იხ. დარასელია, დარსანია.

**დარსანია** - 1011 სული (ზუგდ. - 554, თბ. - 133, წალენჯ. - 79). კომლი: განარჯიის მუხური - 8, კორცხელი - 7, რუხი - 6, კახათი - 4, ოდიში - 4 და სხვ. სავარაუდოა, დარისპან → დარსან →დარსანია, ან: დარასი → დარასანი → დარასანია → დარსანია. შდრ. დარსალია.

**დარჩიძე** - 763 სული (შუახევი - 203, ქობ. - 187, ოზურგ. - 131). კომლი სამეგრელოში: ქვ. ჭალადიდი - 12, პ. ფოთი - 7 და სხვ. გურიასა და აჭარაში უფრო გავრცელებულია ვარიანტი დარჩია. დარჩია ისტ. საბუთებში პირსახელიცაა (იხ. პალ, II, 54-55). იგი იმ სახელთა ჯგუფში შედის, რომლითაც მშობლები ახალშობილს დღეგრძელობას უსურვებდნენ.

**დარციმელია** - 328 სული (მარტვ. - 243, თბ. - 56, სენაკი - 9). კომლი: ვედიდკარი - 17, ხაგვაზავო - 4 და სხვ. მარტვილში დაფიქსირებულია ვარიანტი დარციმელიძე. იხ. დარცმელია, დარცმელიძე.

**დარცმელია** - 251 სული (თბ. - 103, რუსთ. - 25, აბაშა - 23). მაიდანში (სამიქაოს თემი) მკვიდრობს 5 კომლი. მათს უბანს ეწოდება დარცმელიების ქუჩა//დარცმელიების უბანი. თვითონ სამიქაოში კი ცხოვრობენ დარცმელიძეები (19 კომლი). მათი უბანი მდებარეობს წახარების მარც. მხარეს და ეწოდება დარცმელიძეები//დარცმელიძეების უბანი.

**დარცმელიძე** – 144 სული. გვარის ძირითადი საცხოვრისია სამიქაო (19 კომლი). იხ. დარცმელია.

**დარჯაია** – დარჯანიას ვარიანტი ჩანს. სენაკში დაფიქსირდა 5 კომლი.

**დარჯანია** - 1 124 სული (მარტვ. - 356, თბ. - 271, ქუთ. - 92). კომლი: ონოღია - 96, ონტოფო - 6 და სხვ. ტოპ.: ედარჯანიე - უბანი ონოღიაში. ნადარანჯ - ტყე ინოხონში. დარჯანიას ნასახლარად ითვლება (თაია). ნადარანჯ მიღებული ჩანს ნადარჯან ფორმისაგან. ვარაუდობენ, რომ გვარისათვის ამოსავალია საკუთარი სახელი დარეჯან, რაც ძველად კაცსაც ერქვა (შდრ. დარეჯანაშვილი).

**დგებუაძე** - 2079 სული (თბ. - 586, ზუგდ. - 392, მარტვ. - 161). ამ -ძე სუფიქსიანი გვარის სამშობლოა სამეგრელო. კომლი: ლესიჭინე - 19, კოკი - 7, ზანა - 6, თამაკონი - 5, დ. ჭყონი - 4, ოდიში - 4, რიყე - 4, ძვ. სენაკი - 4, გურძემი - 3, ნოსირი - 3 და სხვ. ადგ. ვარიანტი (როგორც ჩანს, თავდაპირველი): დგებია. ტოპონიმი ზ . სამეგრელოში: ლედგებე - სოფელი ჩხოუშიის ორსავე მხარეს (დ. ჭყონის თემი). ლედგებე უწინ ეწოდებოდა დგებუაძეებით დასახლებულ უბანს ჩხოუშიასა და ფაქვაშიას შუა. მას შემდეგ, რაც ლედგებე მთელ სოფელს დაერქვა, დგებუაძეების უბანს სადგებიო ეწოდა. ლედგებე ეწოდება აგრეთვე ყოფილ დასახ. უბანს ოჩხომურის მარჯ. მხარეს (ოჩხომური, ლესიჭინის თემი). სადგებიო კუნთხუ - უბანი ტეხურის მარც. მხარეს, სადაც ცხოვრობენ დგებუაძეები (ქინოთა, სალხინოს თემი). ნადგებ(ო)უ - ბორცვი ნამიკოლავო პირველში. ქვ. სამეგრელოში: ლედგებიე - ს. ოდიშის უწინდელი სახელწოდება. შერჩა უბანს. სადგებიოსაც უწოდებენ. გვარი დაფიქსირებულია XVII ს-ში: წიწაკოჩი დგებუაძე ყოფილა მოწმე და შუამავალი გიორგი ლიპარტიანის მიერ გიორგი ფალავასათვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნისა (პალ, II, 58). დგებუაძეები თავადებიც იყვნენ და აზნაურებიც (იოანე ბაგრატიონის მიერ ოდიშის თავადთა შორის დასახელებული "გებუაძე" დგებუაძე უნდა იყოს). XX ს. დამდეგს თავადი დგებუაძეები მკვიდრობდნენ და ფლობდნენ მამულებს ლედგებეში, ოჩხომურში, ჭოლაში, ხანწკში, ლექარჩეში, პ. ფოთში, გეჯეთში, ზუგდიდში, ლესაჯეში, მოხაშში, ხოლო აზნაური დგებუაძეები – ნოსირში, წყემში, ქინოთაში, გოდოგანში, კვაუთში, დოშაყეში, ლეგოგიეში, ფოცხოში, ვახაში. ამასთანავე, ინჩხურში, გურძემში, სალხინოსა და თამაკონში მცხოვრები დგებუაძეების ნაწილი თავადი იყო, ნაწილი – აზნაური.

**დევდარიანი** - 1888 სული (თბ. - 745, ხარაგ. - 131, ქუთ. - 106). ჩხორიაშია ჩასახლებული 8 კომლი. გვარი ცნობილია XIV ს-დან (პალ, II, 63-64) . იმერელი დევდარიანები აზნაურები იყვნენ.

**დემანია** - 29 სული. ძირითადი ნაწილი ცხოვრობს ქვ. ჭალადიდში (18 კომლი). არიან ფოთშიც. ფუძე დემი ჩანს პირსახელებში დემიკო (კოლხეთი) და დემინა (რაჭა), -ან(ი) მოფერებითი სახელის მაწარმოებელი სუფიქსია, -ა გვარსახელს აფორმებს.

**დემურია** - 661 სული (სენაკი - 202, თბ. - 149, ზუგდ. - 114). კომლი: ჭითაწყარი - 8, ახუთი - 3, ლესიჭინე - 3 და სხვ. ტოპ.: ლედემურიე - უბანი ციესა და შებეს შუა (ფოცხო). დემურიები აქ ჭუბურხინჯიდან მოსულან. დემურ გავრცელებული პირსახელია. შდრ. დემურიშვილი.

**დვალიშვილი** - 5484 სული (ვანი - 1644, ქუთ. - 949, თბ. - 819). კომლი სამეგრელოში: ახალსოფელი (ხობის რ.) - 4 და სხვ. გვარები დვალი, დვალიშვილი, დვალიძე ცნობილია XVII ს-დან. დვალი ეთნიკური ტერმინია. იმერელი დვალიშვილები აზნაურები იყვნენ.

**დვალიძე** - 767 სული (თბ. - 304, ონი - 62, კასპი - 50). გვარი მიგრირებულია სამეგრელოშიც: თორსა-დღვაბაში დამკვიდრებულია 6 კომლი.

**დიდავა** - 56 სული (ქუთ. - 20, თბ. - 5, რუსთ. - 2). სამეგრელოში გვარის უწინდელ დროში გავრცელებულობას ადასტურებს ტოპონიმი ნაიდუ (← ნადიდუ). ასე ეწოდება ბორცვს მოიდანახეში. სვანეთსა და კოლხეთში დაფიქსირებული სახელები დიდო, დიდიკო, დიდიმი (ბერძნ. "ტყუპის ცალი") გვავარაუდებინებს დიდა ვარიანტსაც. თუმცა არაა გამორიცხული, დიდა მეტსახელიც იყოს.

დიდია – 214 სული (თბ. – 59, სამტრ. – 44, ბათ. – 40). სამეგრელოში ძალზე იშვიათი გვარია (ორიოდე კომლი დაფიქსირდა აბაშის რ-ნში). 1621 წელს შედგენილ დავთარში დასახელებული არიან ნაჟანეულსა და ხოირში (სამურზაყანო) მცხოვრები ჯგეკოჩი, ბახუტა, კოჩილეი, ხახუტა, მაშუტია, თოლიოქრო დიდიები, რომელთაც ემართათ აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა (ქსძ, III, 419-422). უფრო ადრინდელი (XVI ს. მეორე ნახევრის) უნდა იყოს დოკუმენტი, სადაც დასახელებულია გაბრიელა დიდია (პალ, II, 81). შდრ. დიდავა, დიდიძე, დიდიშვილი. XX ს დამდეგს ტოლებში, ონოღიაში, გულეიკარსა და კეთილარში მცხოვრები დიდიები აზნაურები იყვნენ.

დიდიშვილი – 223 სული (ზუგდ. – 159, თბ. – 45, ოზურგ.- 4). ამ –შვილ სუფიქსიანი გვარის სამშობლოა სამეგრელო. უწინდელი გვარი ყოფილა დიდია. კომლი: ცაიში – 9, ოქტომბერი – 6, ურთა – 6, ოდიში — 3 და სხვ. ტოპ.: სადიდიშვილო – უბანი ჯუმის მარჯ. მხარეს (ურთა).

დიდიძე – 496 სული. ქვემო იმერეთში გავრცელებული გვარია (სამტრ. – 85 სული, ქუთ. – 75 სული). მიგრირებულია სამეგრელოშიც (რიყე – 4 კომლი და სხვ). შდრ. დიდია, დიდიშვილი.

დიხამინჯია – 711 სული (თბ. – 171, მარტვ. – 166, სენაკი – 90). კომლი: აბედათი – 17, ლეძაძამე – 8, ჰოდა – 8, ნაესაკაო – 5, დ. ჰყონი – 4, ბანძა – 3, მარტვილი – 3, ნორიო –3 და სხვ. ცნობილია ვარიანტი დიხამიჯია: XVIII ს. I ნახევრის საბუთის თანახმად, ხობს მცხოვრებ თაიმაზ და ძლიკვი დიხამიჯიებს ემართათ ხობის ეკლესიის ბეგარა – 5 ლიტრიკი სანთელი (ქსძ, III, 771). გვარის ფუძე ჩანს მეტსახელი დიხამინჯე (← დიხაშ მინჯე "მიწის მეპატრონე"). მაშასადამე: დიხამინჯე-ა → დიხამიხჯია.

დოდელია – 40 სული (თბ. – 25, აბაშა – 4, ტყიბული – 4). კომპაქტურად სახლობენ ონტოფოში (3 კომლი). დოდელია გვარი უნდა იყოს 1733 წელს შედგენილ საბუთში, სადაც გრიგოლ კათალიკოსი წერს: „ოდიშს ქუეყანას გეჯეთს დოდელიას სეული ადგილი ბეჟან დადიანისაგან ვიქრთამეთ" (ქსძ, III, 730). გეჯეთი დღესაცაა სოფელი (სენაკის რ.). დოდი, დოდა, დოდილ, დოდო... მამაკაცის სახელებია.

დოლბაია – 387 სული (ფოთი – 148, თბილისი – 42, ზუგდ. – 26). კომლი: შ. ხორგა – 13, პ. ხორგა – 11, ხობი — 3 და სხვ. ტოპ.: სადოლბაიო – უბანი ხობი-ფოთის გზაზე (გამოღმა პ. ხორგა, გამოღმა შ. ხორგა). შესაძლებელია, გვარისათვის ამოსავალია მეტსახელი დოლაბა (დოლაბაია →დოლბაია). არც ისაა გამორიცხული, დოლბაია აფხაზურ-მეგრული გვარი იყოს. შდრ. დოლბახძე, დოლბაძე.

დოლბანძე – 50 სული. თითქმის ყველა მოსახლეობს ზუგდიდის რ-ნში: ჭითაწყარი – 10 კომლი, დიდი ნეძი – 3 კომლი და სხვ. ტოპ.: სადოლბანძო – უბანი ცაიშენწერში (ჭითაწყარი). შდრ. დოლბაძე.

დოლბაძე – 299 სული (თბ. – 70, ჩხორ. – 44, სენაკი – 43). კომლი: წალენჯიხა – 8, ხობი – 7, ნაკიანი – 4, ზ. ქვალონი – 4, გურიფული – 3, ლესიჭინე – 3 და სხვ. ტოპ.: სადოლბაძო – უბანი ხობისწყლის მარჯ. მხარეს (ხობი). საერთოდ, გვარის თავდაპირველი ფორმა ჩანს დოლბაია. დროთა განმავლობაში კოლხური დაბოლოება შეუცვლიათ საკუთრივ ქართული დაბოლოებით.

დოლიძე – 8449 სული (თბ. – 2 192, ოზურგ. – 1452, ჩოხატ. – 1073). გვარი ქვეყნის მასშტაბით IX ადგილზეა, გურიის რეგიონში კი უკავია IV ადგილი. გვხვდება სამეგრელოშიც (ქოლობანი – 8 კომლი). ადგ. ვარიანტი: დოლია (იშვიათად ოფიციალურ გვარის სტატუსიც აქვს). 1578 წლის დავთარში დასახელებული არიან ბახვს მცხოვრები დოლიძეები (ქსძ, III, 341).

დოჩია – 418 სული. გვარის ძირძველი დასახლებაა დარჩელში (8 კომლი), შამგონაში და სხვ. ზუგდიდსა და წალენჯიხაში არიან ლტოლვილებიც. დოჩე მეტსახელია ქართლში (დოჩე-ა →დოჩია).

დოხნაძე – 632 სული. რაჭასა და იმერეთში გავრცელებული ეს გვარი მიგრირებულია სამეგრელოშიც: სამიქაოში დაფიქსირდა 6 კომლი.

დუდავა – ძალზე იშვიათი გვარია. დაფიქსირდა ბულიწყუში. დუდა პირსახელია კოლხეთში.

დუდუნია – 50 სული. გვარი ძირითადად გავრცელებულია ზუგდიდისა და ხობის რაიონებში: კერძოდ, საჯიჯაოში მკვიდრობს 6 კომლი. დუდა, დუდი, დუდუნა პირსახელებია დას. საქართველოში. 1904 წლის აღწერის მონაცემებით, ხორგაში მცხოვრები დუდუნია აზნაურის წოდებისაა.

დუდუჩავა – 375 სული (თბ. – 112, სენაკი – 59, ჩოხატაური — 48). ძვ. სენაკში დაფიქსირდა 12 კომლი, სხვაგან იშვიათია. ტოპ.: სადუდუჩა(ო) – უბანი პირველ ნოსირში. XVIII ს. I ნახევარში ბიჭვინთისათვის შეუწირავთ ტყვირს მოსახლე იოვანე დუხუჩავა და მისი ორი ძმა (ქსძ, III, 469). ხომ არაა ეს დუხუჩავა შეცდომით ჩაწერილი დუდუჩავა? გურული დუდუჩავები აზნაურები იყვნენ. დუდუჩა „თავშავა", ერთი მხრივ, ყვავის ეპითეტია, მეორე მხრივ კი შესაძლოა პირსახელ დუდა-ს საალერსო ვარიანტიც იყოს.

დუმბაძე – 6 632 სული. გვარი საქართველოს მასშტაბით მე-40 ადგილზეა, აჭარაში კი — მეხუთეზე (5255 სული). განსახლება სამეგრელოში: ქვ. ჭალადიდი – 9 კ., პ. ფოთი – 4 კ. და სხვ. დუმუ კოლხეთში პირსახელია. ამის გათვალისწინებით, ხომ არაა დუმბაძე აფხაზურ-ქართული გვარი?.

დუნდუა – 1541 სული (აბაშა – 544, სამტრ. – 375, თბ. – 349). გვარის ბუდეა ცხენისწყლის მარჯ. მხარეს მდებარე სოფლები: მარანი — 109 კ., პ. მაისი – 41 კ., ქოლობანი — 3 კ., ტყვირი — 3 კ. და სხვ. ტოპ.: დუნდუების უბანი//დონდუების უბანი — უბანი მარანში. დონდუა, დუხდუ, დუხდული იმერეთსა

•

და სამეგრელოში პირსახელებია. ამასთანავე, გვარ დონდუას, რომელიც ხშირად დუნდუას ადგ. ვარიანტია, აკავშირებენ თურქულ ზმნასთან დონდუ "მუბრუნდა" (გურგენიძე, ჯიქია, 1994).

დღვილავა - 101 სული (მარტვ. - 70, თბ. - 10, გარდაბ. - 6). კომლი: ქვაითი - 11, მარტვილი - 6, სალხინო - 4 და სხვ. ადგ. ვარიანტი: დღვია.

## ე

ებრალიძე - 1539 სული (ლანჩხ. - 474, თბ. - 445, შუახ. - 143). კომლი სამეგრელოში: ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) - 7, ჯიხაშკარი - 5 და სხვ.

ებსია — ეფსიას ვარიანატია. ორიოდე კომლი ცხოვრობს ზუგდიდში. იხ. ლეფსაია, ეფსაია, ეფსია.

ეგია - ძალზე იშვიათი გვარია. ორი კომლი დაფიქსირდა წალენჯიხაში. აქვე, ჭანისწყლის ნაპირას, ვაკეს ეწოდება ეგიარზენი. ეგი (და ეგიაც) კოლხეთში პირსახელებია (←ეგნატე).

ეგუტია - 52 სული (ზუგდ. - 29, თბ. - 22). ცხოვრობენ გაფანტულად. ტოპ.: საეგუტიო//ნაიგუტუ - ყოფილი დასახ. უბანი ჭკადუაში. ეგუტი ეგის მოფერებითი ვარიანტი ჩანს. იხ. ეგია..

ედიბერიძე - 713 სული. ქვემო იმერეთში გავრცელებული გვარი დაფიქსირდა მარტვილშიც (3 კომლი). ედიბერი ნიშნავს ედის შვილს. ედი ედიშერის, ედემის ან ედუარდის მოკლე ფორმაა.

ეზუგბაია - 501 სული. აფხაზეთში მცხოვრებ მეგრელთა გვარია ორმაგი სუფიქსით (აფხაზ. -ბა, მეგრ. -ია). სამეგრელოში ძირძველი მოსახლე იშვიათია, ძირითადად არიან ლტოლვილები.

ეზუხბაია - 86 კომლი. ეს გვარიც, ისევე როგორც ეზუგბაია, აფხაზეთში მცხოვრებ მეგრელთა გვარია და სამეგრელოში მხოლოდ რამდენიმე კომლი მკვიდრობს. არიან ლტოლვილებიც.

ელიავა - 1115 სული (ზუგდ. - 277, თბ. - 192, სენაკი - 126). კომლი: მარტვილი - 13, ეკი - 12, ბანძა - 9, ძვ. სენაკი - 6, ვედიდკარი - 4, მარანი - 3, ნაესაკაო - 3, ტყვირი - 3 და სხვ. ადგ. ვარიანტი: ეია. ტოპ.: საელიავო - სოფელი აბაშის მარც. მხარეს, ინჩხიის ორსავე ნაპირას. მიუერთდა ქ. მარტვილს (ამავე სოფელში თვით ელიავებით დასახლებულ უბანს ინჩხიის მარც. ნაპირას ეწოდება საიო//საეიო). სა(ე)იო//საჲო - ბორცვი კალამონის კალთაზე (ნალეფსაო). ელია პირსახელი უნდა იყოს „საცაიშლო დავთარში" (1616-1621 წწ.), სადაც აღნიშნულია: „მართებს ელიასა, აჭარელსა კაცსა..." (ქსძ, III, 464). გვარი ელიავა დაფიქსირებული 1628 წ. შედგენილ დოკუმენტში: გულერიკარის მცხოვრები მიხილია ელიავა ლევან დადიანს შეუწირავს ბიჭვინთის ეკლესიისათვის. XVII ს. ბოლო მეოთხედის საბუთის მიხედვით, გიორგი ელიავა ყოფილა მღვდელი (პალ, III, 119), ხოლო ამავე საუკუნის მეორე ნახევრის საეკლესიო საბუთში დასახელებულია აზნაური გოგი ელიავა. XVIII ს. პირველ ნახევარში გრიგოლ ჭყონდიდელ-მიტროპოლიტის მიერ მახარობელ გეგეჭკორისადმი მიცემული სააზატო წიგნის მოწმენი ყოფილან მოურავი ელიავა წუწყუ და მთავარდიაკონი ელიავა ნიკოლოზ, ხოლო წიგნი დაუწერია მღვდელ-მონაზონ გერმანე ელიავას (ქსძ, III, 816). ელიავები საეკლესიო აზნაურები იყვნენ.

ელიაძე - 449 სული (ქობ. - 112, ოზურგ. - 99, თბ. - 80). სამიქაოში ცხოვრობს 4 კომლი. 1200 წლის საბუთში დასახელებულია მათე ელიასძე (პალ, II, 122). შდრ. ელიავა.

ემუხვარი — (და ემხვარი) სამეგრელოში იშვიათია. ამჟამად ზუგდიდსა და სენაკში ცხოვრობენ ლტოლვილები. ადგ. ვარიანტია ეხვაია (იხ.), ემუხვაია. აფხაზეთში ემხვარები თავადები იყვნენ.

ენგურელი - ხელოვნური გვარია. ენგურისპირა ქალაქ ჯვარში ცხოვრობს ერთი კომლი.

ერაგია - 52 სული. მკვიდრობენ სენაკისა (მაგ., მენჯში- 5 კ.) და ხობის (ქვ. ქალადიდში - 2 კ.) რ-ნებში, აგრეთვე ქ. ფოთში. დოკუმენტირებულია XVII ს-დან: 1634 წელს ქომიხერიდა ერაგია მზითევში გაუყოლებიათ მარიამ დედოფლისათვის (პალ, II, 135). ერაგი, ერანგი კოლხეთში პირსახელებია.

ერანგია - 32 სული. ერაგიას ვარიანტია. დაფიქსირდა მხოლოდ ქ. ზუგდიდსა (11 კ.) და ზუგდიდის რ-ნის სოფლებში (კოკი - 2 კ., ორსანტია- 2 კ. და სხვ.). შდრ. ერაგია.

ერემაძე - 291 სული (ზუგდ. - 173, თბ. - 31, ხობი - 22). კომლი: ჭაქვინჯი - 32, ხობი - 4, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) - 3 და სხვ. ტოპ.: სა(ე)რემანძო - უბანი ერასა და ჯეგეშ ენწერს შუა (ჭაქვინჯი). ასეთი გვარი ცნობილი ყოფილა შუა საუკუნეების ქართლშიც: 1453 წლის ერთ საბუთში დასახელებული არიან დიღმელი მღვდელი ფილიპე ერემაძე და მისი ძმები - გიორგი, დავითი. 1582 წლის საბუთში კი დამოწმებულია დეკანოზი ხათანელ ერემაძე (პალ, II, 137). ერემი მეგრულში ირემია. მეორე მხრივ, ერემი შესაძლოა ძველი ებრაული იერემიას ვარიანტი იყოს (შდრ. ერემო). ამასთანავე, ერემაძე გურიასა და აჭარაში გავრცელებული ირემაძის ვარიანტადაც შეიძლება ჩავთვალოთ.

ერქვანია - 231 სული (მარტვ. - 111, თბ. - 49, სენაკი – 14). კომლი: დ. ჭყონი - 20, თამაკონი - 4, მარტვილი - 3, საჯიჯაო - 3 და სხვ. ვარაუდობენ, რომ გვარი ერქვანია მომდინარეობს სიტყვა ერქვანისაგან, რაც სამეურნეო იარაღის სახელია მეგრულში. ქვემო იმერეთში (განსაკუთრებით, სამტრედიის რ-ნში) გავრცელებული გვარი ერქვანიძე (108 სული) ერქვანიას ვარიანტი ჩანს.

ესათია - 120 სული (ზუგდ. - 35, თბ. - 30, სენაკი - 11). კომლი: ჭითაწყარი - 8, ინგირი - 2 და სხვ. ესა, ესავა კოლხეთში პირსახელებია. შესაძლოა, ესათი ესას შთამომავალს, ესას მემკვიდრეს ნიშნავდეს.

ამ შემთხვევაში ესათია ორმაგი სუფიქსაციით წარმოქმნილი გვარი იქნება. არაა გამორიცხული: ასათიანი → ასითია → ესათია. შდრ. ესართია.

ესაკია – 449 სული (თბ. – 212, აბაშა – 115, ფოთი – 34). კომლი: ნაესაკაო – 23, აბაშა – 3 და სხვ. ტოპ.: ნაესაკაო – სოფელი, თემის ცენტრი ნოღელის მარჯ. მხარეს (აბაშის რ. ამ სოფელში ესაკიებით დასახლებულ უბანს ეწოდება საესაკიო. გადმოცემით, ესაკიებს ერთმანეთი დაუხოცავთ, ორიოდე კაცი გადარჩენილა მხოლოდ. მაშინ დარქმევია ნაესაკაო. მერე ისევ გამრავლებულან). ესაკეთი – უბანი მელიაშანის ნაპირას (გამოღმა ზანათი). ესაკი კოლხეთში პირსახელია (შდრ. ისაკ). 1904 წლის აღწერის მონაცემებით, ნოსირში მცხოვრები ორი კომლი ესაკია აზნაურის წოდებისაა.

ესართია – 1 423 სული (ზუგდ. – 592, ჩხორ. – 245, თბ. – 175). კომლი: ლეწურწუმე – 48, კურზუ – 15, ორულუ – 15, ახალაბასთუმანი – 11, ახალსოფელი (ზუგდიდის რ. ) – 9, დ. ჭყონი – 9, კირცხი – 7, ჩხოროწყუ – 7, ანაკლია – 6, ახალკახათი – 6 და სხვ. ტოპ.: ლესართე – ბორცვი სქურჩის მარჯ. მხარეს (ლეწურწუმე. ინფ.: „ესართიები ასათიანები არიან. აქ დამკვიდრებულან. მერე ჩელალ-ქორთუალალის წყალგამყოფ სერზე გადასულან ამავე სოფელში. იქ მათს უბანს საესართიო დარქმევია" (ინფ.). ნა(ე)სართუ – ბორცვი საუბერიოში (ჯუმითი, ლეწურწუმის თემი). საესართიო – უბანი ჭითაწყარში.

ესებია – "იგივე ესებუაა. ბულიწყუში მცხოვრებნი ესებიად იწერებიან და მათ უბანსაც საესებიო ეწოდება" (ინფ.). 1628 წლის საბუთის მიხედვით, ესებია გურმიხილი, მარცხეულს მცხოვრები, ლევან დადიანს შეუწირავს ბიჭვინთის ღმრთისმშობლისათვის (პალ, II, 156). სვანეთში ესები პირსახელია. იგი იოსების ან ევსევის ვარიანტი ჩანს. შდრ. ესებიძე (122 სული, ძირითადად აჭარაში)

ესებუა – 1 202 სული (ზუგდ. – 283, თბ. – 212, ხობი – 183). კომლი: ზანა – 40, ბულიწყუ – 30, ხეთა – 19, ალერტკარი – 18, ძვ. სენაკი – 17, ხორში – 11, ყულიშკარი– 6, ინგირი – 3, ჭითაწყარი – 3, ხობი – 3 და სხვ. ტოპ.: საესებუო – სოფელი ცივის მარჯ. მხარეს (ზანის თემი. აქ მოსახლე ესებუები სალოცავად დადიოდნენ ან ხურდა ფულს აგზავნიდნენ ჯვარში). საესებუო – უბნები ალერტკარში, ყულიშკარში, ქვემო სორტაში, წინაგოლაში და ყოფილი დასახ. უბანი ჭითაწყარში. ნაესებუ//ნაისებუ – ბაკვალალის ერთ-ერთი მდგენელი (ოხვამეკარი, ხეთის თემი). იხ. ესებია.

ესვანჯია – 270 სული (თბ. – 82, მარტვ. – 71, აბაშა – 26). კომლი: ვედიდკარი – 19, წალენჯიხა – 4 და სხვ. (სამტრედიის რაიონში დაფიქსირებულია ვარიანტი ესენჯია).

ესიავა – 420 სული (თბ. – 131, მარტვ. – 89, აბაშა – 84). კომლი: აბედათი – 8, ონტოფო – 8, მარტვილი – 5, ნორიო – 5, ბანძა – 4, აბაშა – 3, ნაგვაზავო – 3, სერგიეთი – 3 და სხვ. ვარიანტი: ესია. ტოპ.: ლესიაო//ნესიაუ – ბორცვი ბებას მარც. მხარეს, სადაც ესიავებს უცხოვრიათ (ლედარსალე). ესიე//საესიო – უბანი კოკუღეის მარჯ. მხარეს (აბედათი). საესიო – უბანი მაცხოვრისკარში (საბჭოთა პერიოდის განათლებისკარი). გვარისათვის ამოსავალია პირსახელი ესია.

ეფენია – 122 სული (ზუგდ. – 80, თბ.– 15, წალენჯ. – 6). კომლი: ცაიში – 8, ურთა – 3 და სხვ. იშვიათი საპასპორტო ვარიანტი: ეფემია. ეფა, ეფენა, ეფემ კოლხეთში გავრცელებული პირსახელებია (ქსს, 1986). შდრ. ისტორიულ საბუთებში დამოწმებული გვარი ეფენისშვილი (პალ, II, 160).

ეფსია – 126 კომლი (ზუგდ. – 19, თბ. – 12, სენაკი – 7). იშვიათი საპასპორტო და ადგ. ვარიანტები: ეპსია, ეფსაია, ლეფსია. წალენჯიხაში მოსახლეობს 26 კომლი. ამოსავალია ლეფსაია – ნემსაძის მეგრული ვარიანტი. თავკიდური ლ დასუსტებულა და დაკარგულა ბ.-მ. თქმაში.

ექონია – 94 სული. ცხოვრობენ ქ. ზუგდიდსა (12 კომლი) და ზუგდიდის რ-ნში (კახათი – 9 კომლი და სხვ. ). ექონი პირსახელ ექო-ს (←ექვთიმე) კნინობით-მოფერებითი ვარანტი ჩანს.

ეძგვერაძე – 308 სული. ქვემო იმერეთში გავრცელებული ეს გვარი წარმოდგენილია საჯიჯაოში 7 კომლით. გვარისათვის ამოსავალი ფუძე ეძგვერა მეტსახელად ითვლება.

ეხვაია – 981 სული (ზუგდ. – 653, თბ. – 136, ხობი – 33). კომლი: კოკი – 24, შამგონა – 7, ოდიში – 3, ორსანტია – 3 და სხვ. ტოპ.: საეხვაიო – უბანი ხურჩაში. ეხვაიები თვლიან, რომ მათი გვარი ეხვაია//ემხვაია არის ემხვარის ვარიანტი. ოღონდ ემხვარები თავადები იყვნენ, ეხვაიები კი – გლეხები.

ეჯიბია – 658 სული (სენაკი – 378, თბ. – 92, ფოთი – 55). კომლი: მენჯი – 50, დარჩელი – 3 და სხვ. 1682 წელს "სადადიანო კაცი" კიკოლაი ეჯიბია და მისი ცოლი კათალიკოს დავით ნემსაძეს შეუწირავს ბიჭვინთის ღმრთისმშობლისათვის (ქსძ, III, 583). XVIII ს. დამდეგის საბუთებიდან ჩანს, რომ ბიჭვინთის ღმრთისმშობლისათვის შეუწირავთ სახარბედიოში მოსახლე მუთალა, ჭყოლოფუა და ბაძალა ეჯიბიები (ქსძ, III, 647, 768). აღსანიშნავია, რომ სახარბედიოში ამჟამადაც ცხოვრობენ ეჯიბიები (35 კომლი). გადმოცემით, ეჯიბიები, საეკლესიო გლეხები, ამ სოფლის პირველმოსახლენი ყოფილან. მათს უბანს (ცივის მარჯ. ნაპირას) ეწოდება საეჯიბიო (სახარბედიო, მენჯის თემი). საეჯიბიო ეწოდება ყოფილ დასახ. უბანსაც კურორტ მენჯთან (სენაკი). საერთოდ, ეჯიბი პირსახელად (მეტსახელად ან ზედწოდებად) ქცეული არაბული სიტყვაა. იგი ნიშნავს: "მოხელე მეფის წინაშე მდგომი, ხელჯოხიანი. ქორწილში ეჯიბი სხვას მაყრებზედ უპირველესია..." ( ჩუბინაშვილი, 1984).

**ვადაქარია** - 169 სული (სენაკი - 41, ფოთი - 38, ზუგდ. - 36). კომლი: ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) - 5, ხობი - 3 და სხვ. ტოპ.: სავადაქარიო - უბანი ხობისწყლის მარჯ. მხარეს (პ. გურიფული). ნავადაქარ - ფერდობები ჭყონიაღელის მარც. მხარეს (უფალკარი).

**ვარდანია** - 178 სული (ზუგდ. - 81, თბ. - 51, წალენჯ. - 9). ვარდანიებს კომპაქტური დასახლება არ მოეპოვებათ, გაფანტულნი არიან სხვადასხვა სოფლებში. ტოპ.: ლევარდანე//ლებარდახე - ტყე-საძოვრები ნოლიმერის მარჯ. მხარეს (სქურის სატყეო). საერთოდ, ვარდანისძენი ისტორიული გვარია. პირველად მოიხსენიებიან 1344 წლის საბუთში (პალ, II, 170). „აფხაზეთის საკათალიკოსო დავთარში" (1621 წ.) დასახელებული არიან ხაუეელს მცხოვრები ქაქალა, საბედო, მიხილია, სკუმიშია ... ვარდანიები, რომელთაც ემართათ აფხაზეთის საკათილოკოსო ბეგარა (ქსძ, III, 431-433). ვარდან, ვარდენ კოლხეთში გავრცელებული სახელებია, მაგრამ მეგრული გვარი ვარდანია შეიძლება იმერეთში გავრცელებული ვარდანიძის (879 სული) ვარიანტი იყოს.

**ვარდია** - 123 სული (ზუგდ. - 27, სენაკი - 21, თბ. - 7). კომლი: ზანა - 12, ახალხიბულა - 11 და სხვ. ტოპ.: სავარდიო - ბორცვი ჭაქვინჯის საზღვართან (ძვ. ხიბულა). მამაკაცის სახელი ვარდია და გვარები - ვარდიძე და ვარდიაშვილი გვხვდება XVII ს-დან (იხ. პალ, II, 170).

**ვართაგავა** - 217 სული (ზუგდ. - 122, სენაკი - 34, თბ. - 20). კომლი: ცაიში - 11, ოქტომბერი - 10, ხეთა - 8, დარჩელი - 5, მენჯი - 5, კოკი - 3 და სხვ. ტოპ.: სავართაგავო - უბანი ჩეღალის ნაპირებზე (ცაცხვი, ცაიშის თემი). „საცაიშლო დავთარში" (1616-1621 წწ.) დასახელებულნი არიან სოფელ დარჩელის მცხოვრებნი - ხახუტია ვართაგაა, გუჰკურუა ვართაგაა, გურმიხილა ვართაგაა, უკულია ვართაგაა, ჯანიბერა ვართაგაა, დეისმამა ვართაგაა და შანიგა ვართაგაა, რომელთაც ემართათ ცაიშის საყდრის ბეგარა (ქსძ, III, 459-460). ვართაგავები ამჟამადაც მოსახლეობენ დარჩელში.

**ვაჩეიშვილი** - 1 190 სული. გურიასა და იმერეთში გავრცელებული ეს გვარი დასტურდება სამეგრელოშიც: მარანში სახლობს 21 კომლი, სხვა სოფლებში - თითო-ოროლა. ტოპ.: ვაჩეიშვილების უბანი - უბანი მარანში. ვაჩე გავრცელებული პირსახელია.

**ვაჭარია** – 44 სული. სახლობენ ძირითადად ზუგდიდის რაიონში, მაგ., კახათში 7 კომლი, სხვაგან - თითო-ოროლა. შდრ. ვაჭარაძე. წყალწითელასა და მათხოჯს მცხოვრები ვაჭარაძეები დამოწმებული არიან 1570 და 1621 წლის საბუთებში (პალ, II, 182). ვაჭარი ეპონიმის მეტსახელი ან ზედწოდება ჩანს.

**ვახანია** - 735 სული (თბ. - 185, ზუგდ. - 129, მარტვ. - 108). კომლი: ხაბუმე - 18, ჩხოროწყუ - 8, ლეძაძამე - 7, ბანძა - 5, დარჩელი - 4 და სხვ. ტოპ.: ლევახანე - სოფელი აბაშის მარც. ნაპირას (ბანძის თემი). ამავე სოფელში ვახანიების უბანს ეწოდება ევახანე. 1705 წლის "შეწირულების წიგნში" დასახელებულნი არიან ჯიქთუბანს მცხოვრებნი ვაგენდია ვახანია და მისი შვილი ბაბულეი (ქსძ, III, 641). ვახა, ვახო, ვახუ კოლხეთში პირსახელებია. ვახანი მათი მოფერებითი ვარიანტია.

**ვაჰანია** - ვახანიას ვარიანტი ჩანს. ძალზე იშვიათია. ახალაბასთუმანში ცხოვრობს 3 კომლი.

**ვეკუა** - 3158 სული (ზუგდ. - 778, ჩხორ. - 582, თბ. - 534). საქართველოში ყველაზე გავრცელებულ ათას გვარში უკავია 190-ე ადგილი, ხოლო სამეგრელოს რეგიონში - 34-ე (1942 სული). კომლი: რიყე - 77, ლესიჭინე - 65, ახუთი - 39, სამიქაო - 33, ჩხოროწყუ - 26. ქვ. ჩხოროწყუ - 12, ახალხიბულა - 10, ხობი - 10, ლეწურწუმე - 9, ლია - 5 და სხვ. ტოპ.: ნავეკუ - ბორცვი ზანის მარც. მხარეს (ახუთი). სავეკუო - უბნები შუა რიყეში (რიყე), ურთის კალთაზე (ხამისქური, საკუკაო), ზუბში (ახალხიბულის თემი). კუკავების ქუჩა - უბანი დიდკოჩხას მარც. მხარეს (მაიდანი. აქაური ვეკუების წინაპარი გოჯოგია ვეკუა ახუთიდან მოსულა).

**ვერულავა** - 125 სული (თბ. - 81, მარტვ. - 26, ზესტ. - 6). ადგ. ვარიანტი: ვერუაა. ტოპ.: საველრუ(ა)ო - უბანი ისკიის ნაპირებზე (სერგიეთი). შდრ. ვერულაშვილი.

**ვერულაშვილი** - 1037 სული. იმერეთში გავრცელებული გვარია. კომლი სამეგრელოში: პ. მაისი - 15, სამიქაო 3 და სხვ. შდრ. ვერულავა.

**ვერხვიაშვილი** - 43 სული (თბ. - 27, აბაშა – 14, ფოთი – 2). აბაშაში ცხოვრობს 3 კომლი. შდრ. ვერხუაშვილი და ვერხუაისძე ისტორიულ საბუთებში (პალ, II, 190).

**ვეფხაძე** - ვეფხვაძის ვარიანტი ჩანს. ვეფხვაძეები კი მრავლად არიან გურიასა და ქვ. იმერეთში. XVII ს. ისტორიულ საბუთებში ჩანან ქართლელი ვეფხაძეებიც (პალ, II, 190). ვარიანტი ვეფხაძე ამჟამად მხოლოდ სამეგრელოში გვხვდება: თეკლათშია დამკვიდრებული 4 კომლი.

**ვიბლიანი** - 937 სული. მესტიის რ-დან ჩამოსულია ინგირში – 5 კ., ჩხორიაში - 5 კ. და სხვ.

## ზ

**ზალიკაშვილი**- 134 სული. გვარი კახეთიდან გადანაცვლებულია სამეგრელოშიც (აბასთუმანი - 6 კომლი). დამოწმებულია 1654 წ. საბუთში (პალ, II, 204). ზალიკა გავრცელებული სახელია.

**ზამბახიძე** - 588 სული (თბ. - 246, ქუთ. - 61, სამტრ. - 60). გვარი სამტრედიიდან გადასულა ხობის რ-ნშიც (ახალსოფელი - 5 კომლი).

**ზამთარაძე** - 576 სული. თითქმის ნახევარი ცხოვრობს სამტრედიის რაიონში. მცირე ნაწილი დასტურდება აბაშის რაიონშიც (მარანი - 8 კომლი და სხვ.). გვარი ზამთარაძე და ზამთარასძე გვხვდება XVI ს. საბუთებში (პალ, II, 204). გვარი მომდინარეობს მეტსახელ ზამთარასაგან.

**ზანარდია** – ზარანდიას ვარიანტი ჩანს. ორი კომლი ცხოვრობს ტყვირში.

**ზანთარაია** - 248 სული. ძირითადად ცხოვრობენ ზუგდიდის რ-ნში (ქ. ზუგდიდი - 16 კ., შამგონა - 5 კ. და სხვ.). ერთი შეხედვით, ზამთარაძის ვარიანტი ჩანს (ზამთარი - სიტყვა და პირსახელი - მეგრულში არ დასტურდება). მაგრამ სხვა ვარაუდსაც აქვს საფუძველი: ზანათი (სოფელია აბაშის რ.) →ზანათარი ("ზანათელი") → ზანათარაია →ზანთარაია (სინკოპირებული ფორმა).

**ზანთირია** - 176 სული. დასტურდება რამდენიმე კომლი ქ. ზუგდიდში. იხ. ზანთარაია.

**ზარაგუა** - გვარის არსებობას ადასტურებს ტოპონიმი ნაზარაგოუ//ნაზარაგუუ. ასე ეწოდება ტყე-ფერდობებს ეროხაიეში (ქვაითი). შდრ. ზარგინავა.

**ზარანდია** - 2717 სული (ზუგდ. - 1237, ხობი - 375, სენაკი - 294). სულთა რაოდენობით საქართველოში უკავია 261-ე ადგილი, სამეგრელოს რეგიონში კი - კი 36-ე. შესაბამისად, ზუგდიდის რ-ნში უჭირავს მე-17, ხოლო ხობის რ-ნში – მე-18 ადგილი. კომლი: ზანა - 119, ჯიხაშკარი - 112, საჯიჯაო - 30, ნარაზენი - 22, ლია - 12, ძვ. ხიბულა - 10, ხობი - 9, გურიფული - 8, ახალხიბულა - 7, დიდინეძი - 7, ნოჯიხევი - 7 და სხვ. ტოპ.: საზარანდიო - უბნები დიდ ნეძში, ნარაზენში, ეწერში (ზანის თემი), ზენში (ახალხიბულის თემი), ჯიხაშკარში (ინფ.: „პიჭუტადან, რაც აფხაზეთშია, წამოსულა სამი ძმა ზარანდია. ერთი აქ დამკვიდრებულა, მეორე - ლიაში, მესამე - ზანაში"). პიჭუტა ბიჭვინთაა. გადმოცემა კი XVII ს. დაშლევს აფხაზთა მიერ ოდიშელთა გამოდევნის გამოძახილია გვარი უნდა მომდინარეობს სკვითური სიტყვიდან ზარანდ, რაც მოხუცს ნიშნავს (ზ. ჭუმბურიძე, 1987). ამავე დროს ფშავში ს. მაკალათიას დაუფიქსირებია პირსახელი ზარავანდა, რაც გვავარაუდებინებს სესხებას და გვარის წარმოქმნის ასეთ გზასაც: ზარავანდა → ზარავანდია →ზარანდია (ჰაპლოლოგიით).

**ზარგინავა** - 165 სული. ქვ. ჭალადიდში დაფიქსირდა 8 კომლი, სხვაგან (მათ შორის ფოთში) ცხოვრობენ გაფანტულად. შდრ. ზარაგუა. სავარაუდოა: ზარაგ-ინ-ა →ზარაგინავა →ზარგინავა.

**ზარელუა** - 22 სული. მზარელუას ვარიანტია. ძირითადი საცხოვრებელი ადგილია ზუგდიდის რ-ნი, სადაც მოსახლეობენ გაფანტულად. ტოპ.: საზარელუო - უბანი ზემო ოფალკარში (ეკის თემი).

**ზარულუა** - მზარელუა//ზარელუას ვარიანტი ჩანს. გვარის არსებობას ადასტურებს ტოპონიმი ნაზარულუ. ასე ეწოდება ტყეს ლეხორეში (უშაფათი).

**ზარქუა** - 2802 სული (ზუგდ. - 723, წალენჯ. - 506, მარტვ. - 427). გვარი ქვეყნის მასშტაბით 243-ე ადგილზეა, რეგიონის მასშტაბით კი – 31-ზე (2009 სული). რაიონების მიხედვით ასეთი ვითარებაა: მარტვილის რ. - მე- 20 ადგილი, წალენჯიხის რ. – 21 –ე ადგილი. კომლი: ნახუნაო - 45, აბედათი - 34, ნაქალაქევი - 21, ოქტომბერი - 21, ინგირი - 18, დიდი ნეძი - 9, დარჩელი - 6, ცაიში - 5, ჭკადუაში - 5, ხობი - 5 და სხვ. ტოპონიმები ზ. სამეგრელოში: ლეზარქუე - უბანი ჭანისწყლის მარჯ. მხარეს (წალენჯიხა). „ლეზარქუე შერჩა სახელად, თუმცა კი თვით ზარქუები ცოტანი დარჩნენ, სხვა გვარმა გადააჭარბა" (ინფ). ეზარქუე//საზარქუო - უბანი არჯანიაშ ღალის ნაპირებზე (აბედათი, წინაკვერკვე). ქვ. სამეგრელოში: ლეზარქუე - უბანი ჯიხასა და ზ. ნაქალაქევში. საზარქუო - უბანი ნაკალწყარის ნაპირებზე (დიდი ნეძი. ზარქუები აქ მოსულან წალენჯიხიდან). საზარქუო-საშამუგიო - უბანი კახათწყარის ნაპირებზე (ოქტომბერი, ისტორიული ცაიშის კახათი). XVII ს. საბუთების მიხედვით, ზარქუები მოსახლეობენ ქვემო იმერეთში, სამეგრელოში, აფხაზეთში. კერძოდ, ხიბულაში მკვიდრობენ თოლიშია ზარქუა, კოჩა ზარქუა და მახარებელი ზარქუა, თილითში (ამჟამინდელი აბააყვახუ ოჩამჩირის რ-ნში) ცხოვრობს ხუხულობა ზარქუა, ხოლო ნაგვაზავოში - პაპა ზარქუა. მათხოჯშიც სახლებულა ერთი საეკლესიო ყმა, გვარად ზარქუა (ქსძ, III, 429, 413). აღნიშნავენ, რომ გვარის ფუძე ზარქ მომდინარეობს ზაქარასაგან (მაისურაძე, 1981). გვარის წარმოქმნის გზა ასე შეიძლება დავაზუსტოთ: ზაქრო (ქართულიდან ნასესხები სახელი) → ზარქო (ბგერათგადასმა მეგრულის ფონოტაქტიკის შესაბამისად) → ზარქო-ა → ზარქუა.

**ზაქარაია** - 1715 სული (ზუგდ. - 748, თბ. - 290, სენაკი - 139). კომლი: ნაქალაქევი - 9, ხობი - 9, ნაჯახაო - 8, ოქტომბერი - 7, კირცხი - 5, ხაბუმე - 4 და სხვ. ტოპ.: ნაზაქარუ - ბორცვი სასონგულიოში (ობუჯი). ზაქარა, ზაქარია შუა საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული სახელებია. ამ სახელებიდან წარმოიქმნა გვარები: ზაქარაშვილი, ზაქარაძე, ზაქარიაშვილი, ზაქარიაძე.

**ზედანია** - 92 სული. ძირითადი განსახლების ადგილია ჩხოროწყუს რ-ნი: ქვ. ჩხოროწყუ - 9 კომლი, ჩხოროწყუ - 5 კ. და სხვ. ზედა ისტ. საბუთებში დაფიქსირებული პირსახელია (ქსს, 1986). -ან სუფიქსი მრავალ სხვა შემთხვევაშიც ავრცობს პირსახელს. შდრ. გვარები: ზედალაშვილი, ზედაშიძე...

**ზერაგია** - 169 სული. განსახლებულია ძირითადად თბილისში (47 სული). სამეგრელოში დაფიქსირდა რამდენიმე კომლი (ფოთში, პ. ფოთში და სხვ.). 1628 წ. საბუთით, ბიჭვინთის

საყდრისათვის შეუწირავთ პატუა და ნასყიდა ზერაგიები (პალ, II, 238). გვარს აკავშირებენ საკუთარ სახელ ზირაქ-თან: ზირაქია →ზირაგია →ზერაგია (მაისურაძე, 1981).

**ზვამბაია** – 79 სული. აფხაზურ-მეგრული გვარია. ზუგდიდში მკვიდრობს ორიოდე კომლი ძირძველი მოსახლე. არიან ლტოლვილებიც. შდრ. ზვანბაია.

**ზვანბაია** – 57 სული. ძირძველი მოსახლე სამეგრელოში იშვიათია (შამგონაში ცხოვრობს ორი კომლი, რამდენიმე – სხვა სოფლებშიც). არიან ლტოლვილებიც. ზვანბა აფხაზეთში აზნაურთა გვარი იყო. 1904 წლის აღწერის მასალების მიხედვით, შამგონაში მცხოვრები ზვანბაიებიც აზნაურები იყვნენ.

**ზვედელავა** – 50 სული (ზუგდ.. – 18, წალენჯ. – 17, თბ. – 7). ზოდელავას (იხ.) ვარიანტია.

**ზიბზიბაძე** – 681 სული (ძირითადად იმერეთში). კომლი: ქვ. ჭალადიდი – 3. შდრ. ზივზივაძე.

**ზოდელავა** – 162 სული. ძირითადი ნაწილი ცხოვრობს თბილისში (106 სული). ფოთსა და მარტვილში დაფიქსირდა თითო-ორი კომლი. ტოპ.: ნაზოდელუ//ნაზვედელუ – ყოფილი დასახ. უბანი ზანის მარც. მხარეს (ახუთი. ზოდელავები გადასახლდნენ 1949 წ.). ზოდელა ეპონიმის წარმომავლობაზე მიუთითებს: ზოდი (სოფელი ზემო იმერეთში) →ზოდელი → ზოდელა. ზოდელავები საუფლისწულო აზნაურები ყოფილან (XVIII ს. დამლევს ისინი ემორჩილებოდნენ გიორგი ბატონიშვილს) და, 1904 წლის აღწერის მიხედვით, ცხოვრობდნენ და ფლობდნენ მამულებს სავეკუოში (იყო სოფელი ახუთის თემში).

**ზოსიშვილი** – 30 სული. გავრცელებულია მხოლოდ სამეგრელოში (დ. ჭყონი – 3 კომლი, კიწია – 2 კომლი და სხვ.). ზოსი კოლხეთში პირსახელია.

## თ

**თაბაგარი** – 2163 სული. იმერული გვარია. პატარა ფოთში დაფიქსირდა 4 კომლი.

**თაგვარელია** – 24 სული. თაკვარელიას ვარიანტი ჩანს. ხობში ცხოვრობს ერთი კომლი.

**თავართქილაძე** – 2777 სული. საქართველოში 251-ე ადგილზეა. განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული გურიასა და აჭარაში.გვხვდება სამეგრელოშიც: მარანში ცხოვრობს 3 კომლი, სამეგრელოს სხვა სოფლებში – თითო-ოროლა. გადმოცემით, გურიიდან სამეგრელოში ლტოლვილ არჩევან თავართქილაძეს მიუცია დასაბამი გვარისათვის დაკარგულია//დაგარგულია (იხ.).

**თავაძე** – 3352 სული. საქართველოში 177-ე ადგილზეა. ფართოდაა გავრცელებული იმერეთსა და გურიაში. გვხვდება სამეგრელოშიც (ქვ. ქვალონი – 3 კომლი).

**თათარაშვილი** – 1 537 სული. გვარი ძირითადად ქართლშია გავრცელებული. ხობში დაფიქსირდა 10 კომლი, არიან სხვაგანაც. ადგ. ვარიანტი: თარსქუა. ტოპ.: სათარსქუო – უბანი უფალკარში. სახელი თათარა და გვარი თათარაშვილი ცნობილია XV-XVII სს. საისტორიო საბუთებით (პალ, II, 271-272).

**თათარიშვილი** – 200 სული. გვარი ძირითადად სამეგრელოშია გავრცელებული: ეკში ცხოვრობს 9 კომლი, მკვიდრობენ ხობისა და სენაკის რაიონების სხვა სოფლებშიც.

**თაკალანძე** – 389 სული. გვარი ძირითადად განსახლებულია სამურზაყანოში. ძირძველი მოსახლენი არიან სამეგრელოშიც: ზუგდიდი – 16 კ., შამგონა – 5 კ., ცაიში და სხვ. იხ. თაკალაძე.

**თაკალაძე** – 45 სული. ისევე როგორც თაკალანძე, ძირითადად განსახლებულია სამურზაყანოში. სამეგრელოში მხოლოდ რამდენიმე კომლი ძირძველი მოსახლეა. არიან ლტოლვილებიც. თაკალა ისტ. საბუთებში დამოწმებული თაკა-ს მოფერებითი ვარიანტი ჩანს. შდრ..თალაკვაძე (გურია).

**თაკვარელია** – 126 სული (აბაშა – 59, თბ. – 43, სამტრ. – 12). კომლი: სამიქაო – 15, ონტოფო – 5, ზანათი – 3 და სხვ. ტოპ.: სათაკვარელიო – უბანი ონტოფოში. თაკვარელიები//თაკვარელიების ქუჩა – უბანი დიდი კოვზას მარც. ნაპირას (მაიდანი). „აქაური თაკვარელიები წარმოშობით ყოფილან საყვარელიძეები ზესტაფონიდან“ (ინფ.). ვ. თოფურიას აზრით, უთუოდ ლეჩხუმის ძველი სახელ-წოდება თაკვერი-საგან არის „წარმომდგარი სამეგრელოს ზოგ სოფელში დღემდე დაცული გვარი თ ა კ ვ ა რ ე ლ ი ა ← თაკვარელიანი“ (თოფურია, 1961, გვ. 482).

**თამლიანი** – 583 სული (მესტია – 169, ზუგდ. – 109, გარდაბ. – 95). სვანური გვარი მიგრირებულია სამეგრელოშიც. კომლი: ნარაზენი – 5, ოდიში – 5, ჩხორია – 5, რუხი – 4 და სხვ.

**თარბაია** – 173 სული. აფხაზეთში მცხოვრებ მეგრელთა გვარია. სამეგრელოში ძირძველი მცხოვრები იშვიათია. მრავლად არიან ლტოლვილებიც.

**თედორაია** – 27 სული. აბაშის რ-ნში დაფიქსირდა რამდენიმე კომლი. იხ. თედორაძე.

**თედორაძე** – 2115 სული (ხელვაჩ. – 487, ბათ. – 226, აბაშა – 206). კომპაქტური დასახლება მხოლოდ აბაშის რ-ნში აღინიშნა. კომლი: ტყვირი – 35, კეთილარი – 12, აბაშა – 10, მარანი – 4 და სხვ. ადგ. ვარიანტია თედორაია, რაც იშვიათად საპასპორტო გვარადაც გვევლინება. თედორაძე გვხვდება 1558 წ. საბუთში (პალ, II, 299). თედო, თედორე, თევდორა, თედორა, თევდორე ბერძნული თეოდორეს ("ღვთის მონიჭებული") ვარიანტებია. მათგან მომდინარეობენ გვარები: თევდორაძე, თევდორაშვილი (ჭუმბურიძე, 1987) და, რა თქმა უნდა, თედორაძეც. იხ. აგრეთვე თოდრია.

თევზაია – 35 სული. თევზაძის (იხ.) ვარიანტი ჩანს. 1904 წლის აღწერის მონაცემებით, თეკლათში მცხოვრები ორი კომლი თევზაია აზნაურის წოდებისაა.

თევზაძე – 4225 სული (სამტრ. - 1813, თბ. - 866, ქუთ. - 238). გვარს საქართველოში უკავია 115-ე ადგილი. სამტრედიის რ-ნში მეორე ადგილზეა. იქიდან ჩანს მიგრირებული აბაშისა და ხობის რაიონებში. კომლი: კეთილარი – 14, ხობი – 4, ქვ. ქვალონი – 3 და სხვ. რამდენიმე შემთხვევაში ადგ. ვარიანტი თევზაია ოფიციალურ საპასპორტო გვარად ქცეულა (სენაკისა და აბაშის რ-ნებში).

თევდორაძე – 1966 სული. ეს იმერული გვარი წარმოდგენილია სამეგრელოშიც: ხოსირში ცხოვრობს 14 კომლი. სხვაგან იშვიათია. იხ. თედორაძე, თედორაია.

თელია – 672 სული (თბ. - 212, აბაშა – 156, სამტრ. - 133). კომლი: მარანი – 41, კეთილარი – 8, აბაშა – 5, ქარიატა – 4, პ. მაისი – 3, ხობი – 3 და სხვ. ტოპ.: თელიები//თელიების უბანი – უბანი მარანჭალაში. თვლიან, რომ გვარისათვის ამოსავალია მცენარის სახელი თელა (რომელიც შეიძლებოდა დარქმეოდა ადამიანს სხვადასხვა გარემოებათა გამო). შდრ. თელაშვილი. ამასთანავე, თელი კოლხეთში პირსახელია (ქსს, 1986). შდრ. თელიაშვილი (XVII ს. საბუთში. იხ. პალ, II, 309).

თვალაბეიშვილი – 647 სული. გავრცელებულია იმერეთში. გვხვდება სამეგრელოშიც: ახალსოფელში (ხობის რ.) აღინუსხა 4 კომლი.

თვალთვაძე – 191 სული (წალენჯ. - 59, წყალტ. - 34, თბ. - 31). ადგ. ვარიანტი: თვართვაია. რამდენიმე კომლი ცხოვრობს ქ. წალენჯიხაში. მათი წინაპრები XVIII-XIX საუკუნეებში საუფლისწულო აზნაურები ყოფილან და ტარიელ ბატონიშვილს ემორჩილებოდნენ (სოსელია, 1990, გვ. 97). ტოპ.: თვართვაიეფიშ ტობა – მორევი ჭანისწყალზე, თვალთვაძეების საცხოვრისის გვერდით. თვართვაია გვხვდება საპასპორტო ვარიანტადაც (ზუგდიდში, ქუთაისში). შესაძლოა, თვალთვა იყოს საეკლესიო საბუთებში დამოწმებული თვალთვალე-ს (იხ. ქსს, 1986) ბოლომოკვეცილი ფორმა.

თითბერია – 133 სული (ზუგდ. - 33, ფოთი – 21, მარტ. - 20). კომლი: თამაკონი – 5, ფოთი – 4 და სხვ. ბერი "შვილი" ლაზური მორფემოიდია. -(ი)ა გვარს აწარმოებს. შდრ. თითბერიძე.

თითბერიძე – 187 სული (თბ. - 46, გარდ. - 34, ლაგოდეხი – 18). სამიოდე კომლი დაფიქსირდა ახალსოფელში (ხობის რ.). მეორეული სუფიქსაციითა წარმოქმნილი: უკვე არსებულ გვარს (თითბერი ან თითბერია) დართვია გვარის მაწარმოებელი -ძე.

თითმერია – 158 სული (ზუგდ. - 88, თბ. - 10, რუსთ. - 10). კომლი: ერგეტა – 18, ქარიატა – 4 და სხვ. თითმერია მიღებული ჩანს თითბერიასაგან ბ-მ მონაცვლეობით.

თირქია – 963 სული (ზუგდ. - 437, ხობი – 336, ფოთი – 45). კომლი: საჯიჯაო – 55, ყულიშკარი – 41, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) – 20, ნოჯიხევი – 8, ახალსოფელი (ხობის რ.) – 7, ძვ. ხიბულა – 5, ხობი – 5, ახალხიბულა – 3, ნარაზენი – 3, ჭაქვინჯი – 3, ჭითაწყარი – 3, ფახულანი – 3 და სხვ. ტოპ.: სათირქიო – უბნები ქოთოთში (ჭაქვინჯი), ყულიშკარში (უბანს უწინ ლექვაჩილე ერქვა) და ჯაპშაქარში (აქ მცხოვრებ თირქიებს სჯერათ, რომ მათი წინაპრები იყვნენ ინალიშვილები გეჯეთიდან).

თოდუა – 8079 სული (ზუგდ. - 3004, თბ. - 1090, მარტვ. - 926). გვარი საქართველოში 24-ე ადგილზეა, სამეგრელოს მხარეში კი – მეოთხეზე (5504 სული). ზუგდიდის რ-ნში გვარს უკავია მეორე ადგილი (კვარაცხელიას შემდეგ), მარტვილის რ-ნში – მეოთხე, ხოლო ჩხოროწყუს რ-ნში – მეცხრე ადგილი. კომლი: ნარაზენი – 197, რუხი – 148, დ. ჭყონი – 102, ტალერი – 69, ახალაბასთუმანი – 77, დოშაყე – 31, ჭოღა – 30, ჩხოროწყუ – 28, თაია – 26, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) – 20, მარტვილი – 20, მუხური – 19, ცაიში – 19 და სხვ. ტოპ.: ლეთოდუე – უბნები დ. ჭყონში, დოშაყეში, თაიაში, ნამიკოლავო მეორეში,. ნაფიჩხოვოში, პ. ჭოღაში, წაჩხურში. ნათოდუ - ბორცვი ლებერიეში (ნაფიჩხოვო). სათოდუო – 1. ორი უბანი რუხში. განარჩევენ: თუდონი სათოდუო//ქვემო სათოდუო – ახალი აბასთუმნის საზღვართან და ჟინი სათოდუო//ზემო სათოდუო – ნაწულუკუს საზღვართან. ინფ.:"აქაური თოდუები, როგორც სანდო გლეხები, ეკატერინე დედოფალს ჩამოუსახლებია მარტვილიდან"; 2. ორი უბანი ნარაზენში. განარჩევენ: დიდდობერაშ სათოდუო და სქაიაშ სათოდუო; 3. უბნები ჭითაწყარში, ნაჭკადუში, განარჯიის მუხურში. ამ ზონის თოდუები მოსულან წაჩხურიდან.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ასკვნიან, რომ თოდუასაგან მომდინარეობს ორი სხვა გვარი – თოთაძე და ლეთოდიანი: 1. ლეჩხუმში, სოფ. უსახელოში მცხოვრები თოთიძეები თვლიან, რომ მათი ძველი გვარი ყოფილა თოდუა. დადიანის მოკვლის გამო სამეგრელოდან გამოქცეული ერთი თოდუა უსახელოში სიმსივეს შეხიზვნია და გვარად თოთაძე მიუღია (თოფჩიშვილი, 1991, გვ. 17); 2. ლეთოდიანის წინაპარიც სამეგრელოდან გადახვეწილი თოდუა ყოფილა."მთხრობელის სიტყვით, ერთადერთი კაცი შემოეხიზნა სოფელს და ლეთოდიანად დაეწერა. აქ ტყე ყოფილა და გაუკაფია. წინაპარი მებატონეს გამოექცა. სალოცავად დადიოდნენ ილორში" (თოფჩიშვილი, 1991, გვ. 14-15). სოფ. სალეთოდიანოში, ანუ ზედა ლუხვანოში (ლეჩხუმშია), იმ უბანს, სადაც ლეთოდიანები ცხოვრობენ, რუხსაც უწოდებენ. საინტერესოა, რომ რუხი ეწოდება ენგურისპირა სოფელსაც ზუგდიდის რ-ნში, სადაც თოდუათა 148 კომლი მკვიდრობს. აქაური თოდუებიც ილორში დადიოდნენ სალოცავად. თოდო კოლხეთში პირსახელია (მაშასადამე: თოდო-ა →თოდუა). შდრ. თოდოლაშვილი.

თოლორაია – 1307 სული (ზუგდ. - 835, თბ. - 227, ქუთ. - 39). კომლი: კახათი - 44, კორცხელი – 35, ანაკლია- 16, ოდიში – 13, დარჩელი – 5, ზ. ჭალადიდი – 5, ახალაბასთუმანი – 4, რიყე – 4 და სხვ. ტოპ.: სათოლორაიო – უბნები ნაწულუკუში, ხაცატუში, კორცხელში. გვარისათვის ამოსავალია საზოგადო სახელი თოლი "თვალი" და თოლორა ნიშნავს "თვალიანს"(ზ. ჭუმბურიძე, 1987, გვ. 317).

თოლორდავა – 2127 სული (ჩხორ. - 907, თბ.- 274, სენაკი – 170). ყველაზე გავრცელებულ ათას ქართულ გვარში უკავია 387-ე ადგილი, ჩხოროწყუს რ-ნში მეშვიდე ადგილზეა. გვარის საბუდარია ხობისწყლისპირა სოფელი მუხური, სადაც თოლორდავათა 140 ოჯახი არის დამკვიდრებული. კომლი სხვა სოფლებში: ხაბუმე – 12, ჩხოროწყუ – 11, ნოსირი – 10, თაია – 7, საჯიქიო – 6, ზუმი – 5, ინგირი – 5, ხამისქური – 4, ჯგალი – 4 და სხვ. ტოპ.: სათოლორდო//თოლორდათი – უბანი ლეცირდესა და შიშას შუა (მუხური). მეგრულში თოლორდა ნიშნავს: "თვალი იყავი" (აქ თვალი ნიშნავს თვალისჩინს, ძვირფასს, ფასდაუდებელს). ასეთი სახელი გამოხატავს მშობლების სურვილს და ერქმევა ბავშვს დაბადებისას. შდრ.: გულორდა "გული იყავი", სორდია "სად იყავი" და სხვ.

თორდია – 1596 სული (ზუგდ. - 1208, თბ. - 151, წალენჯ. - 76). ტოპ.: ჩხორია – 134, კორცხელი – 36, ნოსირი – 15, ახალაბასთუმანი – 5, ინგირი – 5, კახათი – 3, ოქტომბერი – 3, რიყე – 3, ჯვარი – 3 და სხვ. ტოპ.: სათორდიო – უბანი ჩხორიაში, ჭკადუაშის საზღვართან. იყოფა: ქი(მოლე)ნი სათორდიო - ბორცვზე და თუდო(ლე)ნი სათორდიო – ვაკეზე. ინფ.: "თორდიების წინაპრები ყოფილან თოდრაძეები კახეთიდან. ისინი თავდაპირველად ქალაღალში დასახლებულან. იქიდან მოუტაცნიათ და ყარაჩში წაუყვანიათ. სამი ძმა მობრუნებულა ჩხორიაში". გვარი დაფიქსირებულია ისტორიულ საბუთში: 1628 წელს ლევან დადიანს ფოთს მცხოვრები ძალიმაფუ თორდია შეუწირავს ბიჭვინთისათვის (პალ, II, 316). თორდია, ისევე როგორც თოდრია (გურია), მომდინარეობს პირსახელ თეოდორესაგან. ფონეტიკური ტრანსფორმაციის გზა ასე წარმოგვიდგენია: თეოდორე →თოდორე → თოდორე-ა →თოდრია → თორდია. გვხვდება საპასპორტო ვარიანტი თორდუაც (ზუგდიდის რ.).

თორდინავა – 299 სული (მარტვ. - 131, თბ. - 57, ქუთ. - 30). კომლი: დ. ჭყონი – 27, ტალერი – 9, სალხინო – 5 და სხვ. თორდ ფუძეს (იხ. თორდია) დართვია კნინობითობის სუფიქსი –ინა.

თორია – 1523 სული (ზუგდ. - 990, თბ. - 242, ხობი – 68). კომლი: კოკი – 38, ორსანტია – 29, შამგონა – 24, ახალკახათი – 13, კახათი – 6, შამგონა – 6, ინგირი – 3 და სხვ. ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ გვარის ძირითადი და ძირძველი სამკვიდრებელი არის ზუგდიდის რაიონის ენგურისპირა სოფლები (მრავლად არიან თორიები სამურზაყანოშიც). ტოპ.: სათორიო – უბნები ორსანტიაში, შამგონაში, ხურჩაში. თორი თორნიკეს ან სვანური თორდარის შემოკლებული ფორმა ჩანს.

თოფურია – 3225 სული (თბ. - 1020, აბაშა – 736, ფოთი – 300). კომლი: ნოსირი – 87, აბაშა – 79, ხუნწი – 52, სუჯუნა – 19, მარტვილი – 13, ნაგვაზავო – 13, ძვ. აბაშა – 10, კეთილარი – 8, სეფიეთი – 8, ონტოფო – 7, ჭითაწყარი – 5, ნაქალაქევი – 4 და სხვ. ტოპ.: ლეთოფურე – უბანი თარზენის ძირას, შეერწყა კანთს და სოფელს დაერქვა ლეთკანთი. ნათოფურუ - ბორცვი კუხეშში (ინწირისა და ნოქალის მარჯ. მხარეს) და ტყე-ფერდობი ლეცისხვაიეში (ჯუმაღელის მარჯ. მხარეს). სათოფურიო – უბნები ონტოფოსა და განათლებისკარში (აბაშის რ.). 1616-1621 წწ. შედგენილ საბუთში ჯგალის სასახლის მეზვერეთა შორის დასახელებულია მახუტელა თოფურია (ქსძ, III, 479). როგორც ჩანს, სწორედ მაშინდელი თოფურიების შთამომავლები ცხოვრობენ ამჟამინდელ ლეთოფურეში, რომელიც შეუერთდა კანთს (ლეთკანთი ჯგალის თემში შედის). XVII საუკუნეშივე ჩანს შესრულებული სეფიეთის მთავარანგელოზის ეკლესიის კედლის ხუცური წარწერა, სადაც ე. თაყაიშვილმა ამოიკითხა გვარი თოფურია. თოფურიები ჩანან სხვა საბუთშიც: 1788 წელს დაწერილ წყალობის წიგნში დასახელებულნი არიან ეკლესიის სამსახურისაგან გათავისუფლებული ყმები თოლიკავა და სიმონელა თოფურიები (ქსძ, III, 973). ი. ბაგრატიონი, რომელიც ცდილობს თავად-აზნაურთა გვარები უცხო ქვეყნების პირსახელებსა და ტოპონიმებს დაუკავშიროს, წერს: "არიან ჩერქეზის მხრიდან თათარ თოფიდგან მოსულნი და ადგილისა გამო მიიღეს გვარად თოფურია" (ბაგრატიონი, 1997, გვ. 133). სინამდვილეში, მეგრული თოფური "თაფლი" ალბათ ეპონიმის მეტსახელი იყო. თოფურიები აზნაურები იყვნენ და XIX საუკუნეში უპირატესად თოფურიძეებად იწერებოდნენ. 1904 წ. აღწერის მიხედვით, აზნაური თოფურიძეები ცხოვრობდნენ აბაშაში, კადარში (ამჟამად ნასოფლარი აბაშის რ-ნში), სუჯუნაში, საბოკუჩავოში, კაპანაში, ნოღო-ხაშში, სამიქაოში, ზანათში, საკაჭარაოში(შედიოდა სუჯუნის თემში), სეფიეთში, გეჯეთში. ამასთანავე, საჩოჩიოში (ერქვა სოფელს აბაშის თემში) თოფურიძეებთან ერთად აზნაურებად თოფურიებიც არიან დასახელებულნი.

თოშხუა – 41 სული. გვარი გვხვდება იმერეთში, აჭარაში. ნაგვაზავოშიც მკვიდრობს 16 კომლი. თოშხუ (←თოლშხუ "თვალმსხვილი") მეტსახელია. საპასპორტო ვარიანტია თოჩხუა.

თუზბაია – 49 სული. აფხაზურ-მეგრული გვარია. კომპაქტური დასახლება აღინიშნა ახალკახათში ( 11 კომლი). არიან ლტოლვილებიც სამურზაყანოდან.

თუთბერიძე – 1475 სული (ზესტ. - 110, წყალტ. - 296, ქუთ. 286). გვარი იმერეთიდან მიგრირებულია სამეგრელოში: ბია – 16 კ., საჯიჯაო – 10 კ., ხობი – 9 კ., ნოჯიხევი – 3 კ. და სხვ. ვარიანტი თუთფერიძე დამოწმებულია ნარაზენში (2 კომლი), ხოლო თუთუბერიძე და თუთბერაძე -

1558 წლის დავთარში (ქსძ, III, 280, 319). თუთბერი ნიშნავს თუთუს (ან თუთას, თუთის) შვილს, ძეს. მაშასადამე, თუთბერიძე ორმაგი სუფიქსაციით წარმოქმნილი გვარია.

თულაძე – 173 სული (სენაკი – 50, თბ. - 9, ზუგდ. - 3). კომპაქტურად ცხოვრობენ სენაკში, ზედა სალომაიოს კუთხეში, სადაც მათს უბანს ეწოდება სათულაძო. ეს -ძე დაბოლოებიანი გვარი წარმოქმნილია სამეგრელოში. მეგრული თული ქართული თელის ("გოჭი") შესატყვისია. მოულოდნელი არაა, ბავშვს მეტსახელად შეერქვას გოჭი, გოჭუნა... შდრ. გოჭაშვილი. ამასთანავე, პირსახელი თული გვხვდება "ქართლის ცხოვრებაში", ხოლო თულა - ფშავსა და თიანეთში (ქსს, 1986).

თუნგია – 228 სული (ზუგდ. - 110, თბ. - 34, აბაშა – 17). წყემში ცხოვრობს 6 კომლი. აქვე მათს უბანს ეწოდება სათუნგიო. თუნგ- ფუძე დასტურდება სვანურ პირსახელ თუნგურში. თუნგი (მეგრ.) "ლითონის დოქი" შეიძლებოდა ეპოხიმის მეტსახელად ქცეულიყო. შდრ. დოქიძე.

თუნთია – 39 სული (თბ. - 20, ლანჩხ. - 17). კომლი: ხორში – 6, კეთილარი – 3 და სხვ. თუხთი მეგრულში დათვს აღნიშნავს. ასეთი სიტყვა მსოფლიოს მრავალ ხალხშია გამოყენებული პირსახელად ან მეტსახელად. შდრ. დათვიაშვილი.

თურქია – 667 სული (თბ. - 192, სენაკი – 118, აბაშა – 86). კომლი: გეჯეთი – 25, პ. ძაისი – 13, ზ. ქვალონი – 11, მარანი – 5 და სხვ. ტოპ.: სათურქიო – უბნები ახაკლიაში (ენგურის მარც. მხარეს), ზემო ქვალონში (ღლევაბის მარც. მხარეს), გეჯეთში (ტეხურის მარც. მხარეს). "საცაიშლო გამოსავლის დავთარში" (1616-1621 წწ.) დასახელებულია წყარიგზურს მოსახლე თურქია, რომელსაც ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა (ქსძ, III, 474). აქ თურქია გვარი უნდა იყოს. თურქი მეგრულში სატომო-რელიგიური ტერმინია და აღნიშნავს თათარსაც და მაჰმადიანსაც. მას შეიძლება ჰქონდეს გადატანითი მნიშვნელობაც და მეტსახელად იქცეს. შდრ. თურქიშვილი, თურქიაშვილი.

თუშიშვილი – 871 სული. კახური გვარია. გვხვდება სამეგრელოშიც (საგვიჩიო – 3 კომლი).

თხელია – 21 სული. ცხოვრობენ სენაკში. შდრ. თხელიძე (1155 სული იმერეთში, ქართლში...).

## ი

იაშვილი - 2122 სული (თბ. - 1153, ქუთ. - 127, გარდ. - 102). მიგრირებულია სამეგრელოშიც (მაგ., სამიქაოში 4 კომლი). გვარი გვხვდება XV ს. საბუთში (პალ, II, 407-410). ია მამაკაცის სახელიცაა. 1904 წლის აღწერის მონაცემებით, გუგუნაყათში მცხოვრები იაშვილები აზნაურები იყვნენ.

ივანია - გვარის უწინ არსებობას ადასტურებს ტოპონიმი ნაივან(უ). ასე ეწოდება ბორცვს სურქა-ნის სათავესთან (საელიავო). გვარის ფუძეა ივანე: ივანე-ა→ ივანია. შდრ. ივანიაძე (იმერეთი).

ივანიძე - 1570 სული. სამცხეში გავრცელებული გვარი მიგრირებულია სამეგრელოში: თეკლათში ცხოვრობს 4 კომლი. გვარი დამოწმებულია XV-XVI სს. საბუთში (პალ, II, 421).

ივარდავა - 113 სული (ზუგდ. - 61, თბ. - 15, რუსთ. - 12). გვარის სამშობლოა ზუგდიდის რაიონის ორი მეზობელი სოფელი: ჩხორია - 8 კომლი, რიყე - 7 კ. ადგ. ვარიანტი: ივარდია. ტოპ.: საივარდიო - უბნები ზედაეწერში, რიყეში, ახალხიბულაში. ნაივარდუ - ჩაის ფართობი მახარიას მარჯ. მხარეს (ჩხორია). ივარდა ჩანს პირსახელ ივარდანაშიც (ხევი. იხ. ქსს, 1986).

იზორია - 1221 სული (ზუგდ. - 651, ჩხორ. - 270, თბ. - 117). კომლი: კირცხი - 70, ერგეტა - 48, ორულუ - 6, ჩხოროწყუ - 6, ინგირი - 5, ცაიში - 5, კახათი - 4, ლესიჭინე - 4, დარჩელი - 3 და სხვ. ტოპ.: საიზორიო - უბანი ერგეტაწყარის მარჯ. მხარეს (ერგეტა). ამოსავალი პირსახელი იზორე იზდორეს (←ისიდორე) ვარიანტია. მაშასადამე: იზორე → იზორეა → იზორია.

იმდეიშვილი - 43 სული. ძირითადად განსახლებულია სენაკის რ-ნის სოფ. გეჯეთში (8 კომლი). გვარის წარმოქმნის გზა: იმედა →იმედაიშვილი (გურული) →იმედეიშვილი (იმერული) → იმდეიშვილი (რედუცირებულია მეგრულში). შდრ. იმედაიშვილი (გურია), იმედაძე (იმერეთი), იმედაშვილი.

ინალიშვილი - 191 სული (თბ. - 66, სენაკი - 44, ზუგდ. - 25). გვარი ინალიშვილი დაფიქსირდა მარანში (3 კომლი), ხოლო ვარიანტი ინალეიშვილი - ნოსირში (4 კომლი). ადგ. ვარიანტი: ინალისქუა. ინალი ჩანს აფხაზურ გვარ ინალ-იფაშიც და გვხვდება კოლხეთის ისტ. წყაროებში: XVI ს. საბუთში დასახელებულია ნაჟანეულში მოსახლე საეკლესიო გლეხი ინალი კოდია (ქსძ, III, 384).

ინჯგია - 631 სული (მარტვ. - 216, სენაკი - 182, თბ. - 72). კომლი: თამაკონი - 32, სერგიეთი - 16, ნახუნაო - 10, ფოცხო - 7, კიწია - 6, ლეძაძამე - 6, ახალსოფელი (სენაკის რ.) - 4, თეკლათი - 3, მარტვილი - 3 და სხვ. ტოპ.: ლეინჯგია//ლეინჯგიე - უბანი ნამიკოლავო პირველში. საინჯგიო//ინჯგიეფიშ მუხური - უბანი წინაკვერკვეში. გვარს მოეპოვება საპასპორტო ვარიანტი ინჯია (ფოთში ცხოვრობს რამდენიმე კომლი ინჯიაც და ინჯგიაც). შდრ. ინჯიაშვილი (26 სული თბილისში)..

იობაია - 40 სული (აბაშა - 24, თბ. - 14, რუსთ. - 2). აბაშაში მკვიდრობს 6 კომლი. აქვე, ლაჭუს ნაპირებზე, არის უბანი საიობაიო. იობ, იობა გავრცელებული სახელებია. მათგანაა ნაწარმოები გვარები იობაშვილი - 1201 სული და იობაძე - 403 სული (ორივე ძირითადად იმერეთში).

**იობიძე** - 1826 სული. გვარი ფართოდაა გავრცელებულია ქვ. იმერეთში (ქუთ. - 954 სული, წყალტ. - 537 სული). დასტურდება სამეგრელოში: გეზათი - 12 კომლი, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) - 3 კომლი და სხვ. 1578 წ. შედგენილ საეკლესიო საბუთში დასახლებულნი არიან ქუთაისის საყდრის მებეგრენი იობიძე იობა და იობიძე ნასხიდა (ქსძ, III, 279). იხ. იობაია. შდრ. იობიშვილი (გურია).

**იორდანია** - ძალზე იშვიათი გვარია. დაფიქსირდა ორიოდე კომლი სენაკში. მომდინარეობს პირსახელ იორდანე-საგან: იორდანე-ა → იორდანია. შდრ. იორდახიძე, იორდანიშვილი...

**იოსავა** - 831 სული (თბ. - 150, ფოთი - 106, სენაკი - 49). გვარის სამკვიდროა ბია (51 კომლი), ნოჯიხევი (15 კ.) და ხობი (15 კ.). ტოპ.: საიოსა - უბანი ნიშიას მარჯ. მხარეს (ბია-საშონიო). გვერდითაა ჰიპე საიოსაც, ოხვამეფერდის კალთაზე (ზ. ბია). მეღვინე შაქარი იოსავა დასახელებულია XVIII ს. შუა წლების წყალობის წიგნში (ქსძ, III, 281). იოსა იოსებ-ის (ან იოსაფ-ის) შემოკლებული ვარიანტია.

**იოსელიანი** – 2055 სული (თბ. - 668, წყალტ. - 404, გარდ. - 263). დასტურდება სამეგრელოშიც: ჰკადუაში – 6 კ., ნაჯახავო – 6 კ., აბაშა – 3 კ. და სხვ. გვარი დამოწმებულია XIV ს-დან (პალ, II, 460-461). იოსელიანები აზნაურები იყვნენ და XX ს. დამდეგს ფლობდნენ მამულებს ლეცავეში, ხაგვაზავოში, სეფიეთში, მარტვილში, ნალეფსაოში, სირიაჩქონში, აბაშაში, საგვაზავოში, კადარში, საჩოჩიოში, საბოკუჩავოში, ცილორში, კვათანაში, ნოღო-ხაშში, სუჯუნაში, მაცხოვრისკარში.

**ირემაძე** .- 4554 სული. საქართველოში 95-ე ადგილზეა. გვარის სამშობლოა გურია და აჭარა (ჩოხატ. - 513 სული, ოზურგ. - 480 სული, ქობ. - 435 სული). იქიდან გადმოსულან ძვ. ხიბულაში (3 კ.) და სამეგრელოს ზოგ სხვა სოფელშიც. პ. გურიფულში, ხობის საზღვართან, არის უბანი საირმაძო (დარჩენილია ორიოდე კომლი ირემაძე). ირემა ფართოდ გავრცელებული სახელია შუა საუკუნეების საქართველოში. XVII ს-დან დასტურდება გვარები ირემაშვილი (პალ, II, 463-464) და ირემაძისშვილიც (ქსძ, III, 1081). ირემაძეები დასახელებულნი არიან ხონის საყდრის მებეგრეთა შორის (XVIII ს. და შემდეგ. იხ. ქსძ, 1081, 1088-1089). იხ. ერემაძე.

**იქმოდეიშვილი** - ორიოდე კომლი ცხოვრობს მაიდანში, სადაც კოვზას ნაპირას უბანს ეწოდება იქმოდეიშვილების უბანი//მოთოთი. განმარტავენ: "იქმოდეიშვილები წარმოშობით ჯანელიძეები არიან. მოთოთი მათი კილია".

## კ

**კაკაბაძე** - 3444 სული. საქართველოსა (169-ე ადგილი) და მის ორ რეგიონში (იმერეთი-აჭარა) ფართოდ გავრცელებული ეს გვარი სამეგრელოშიცაა მიგრირებული, მაგრამ კომპაქტურ დასახლებას ქმნის მხოლოდ ხეთაში (6 კომლი). 1545 წელს შედგენილ საბუთში დასახელებულია კურსებში მცხოვრები კაკაბაძე (პალ, II, 472). აფხაზეთის საკათალიკოსო დავთრის ნუსხაში (1621 წ.) დასახელებულია ხონს მცხოვრები რამდენიმე კაკაბაძე (ქსძ, III, 411).

**კაკავა** - 341 სული (ზუგდ. - 130, თბ. - 70, წალენჯ. - 32). სამეგრელოში კომპაქტური დასახლება ამ გვარს არ მოეპოვება. დაფიქსირდა რამდენიმე ძირძველი მოსახლე სხვადასხვა ადგილას. არიან ლტოლვილებიც. ტოპ.: ნაკაკუ - ბორცვი ლებოკუჩეში (ბეთლემი); ეკაკე - სახნავი ნოღის მარც. მხარეს (სერგიეთი). კაკ ფუძის შემცველი გვარი კაკუა დაფიქსირებულია 1621 წ. შედგენილ საეკლესიო საბუთში, საიდანაც ვიგებთ, რომ ხოირს მცხოვრებ მხიარულა კაკუას, იშამორთა კაკუასა და მოირდინა კაკუას ემართათ აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა (ქსძ, III, 425). კაკა, კაკული, კანკა, კიკა, კიკი, კიკო, კიკოლა და მისთანანი უძველესი ქართული სახელებია, მომდინარე ერთ-ერთი აღმოსავლური (კერძოდ, ხურიტული) ენიდან. კაკო, კაკუ ფირდოუსის "შაჰ-ნამეშიც" არის დადასტურებული (ზ. ჭუმბურიძე, 1987, 266). ზემოთ ჩამოთვლილი სახელები დას. საქართველოს ისტ. საბუთებსა და უშუალოდ მთხრობელთაგან ჩაწერილ მასალებშიც გვხვდება. იხ. კაკაშვილი.

**კაკალია** - 117 სული (წალენჯ. - 38, ზუგდ. - 25, სენაკი - 16). კომლი: ზანა - 5, საჩინო - 5 და სხვ. ტოპ.: ლეკაკალე - უბანი მოროჯის მარც. მხარეს. აქ ცხოვრობენ ქარდავები, კაკალიები კი არ ჩანან (ჩქვალერი). კაკა, კაკალა პირსახელებია. ეს ფუძე ჩანს გვარ კაკალაშვილშიც (პალ, II, 472). კაკალი კაკა-ს მოფერებითი ვარიანტია. იხ. კაკავა. -ძე-ს დართვით წარმოქმნილა კაკალიაშვილი (იმერეთი).

**კაკაშვილი** - 1472 სული. ძირითადად ქართლსა და კახეთშია გავრცელებული და მიგრირებულია სამეგრელოშიც. კომლი: თამაკონი - 19, ცაიში - 9, ლესიჭინე - 5, ახალხიბულა 4 და სხვ. გვარი გვხვდება XVI-XVII სს. დოკუმენტებში (პალ, II, 473). ამოსავალია პირსახელი კაკა. იხ. კაკავა.

**კაკაჩია** - 899 სული (წალენჯ. - 412, ზუგდ. - 187, თბ. - 115). კომლი: ობუჯი - 21, წალენჯიხა - 9, ნოჯიხევი - 4 და სხვ. ზოგი კაკაჩია კაკაჩიშვილად დაწერილა. XVII ს. ერთ სასამართლო საბუთში მოიხსენიებიან გამახადი კაკაჩია და მისი შვილი გაუზი (პალ, II, 474). კაკაჩი კაკას მოფერებითი ვარიანტია. მეორე მხრივ, კაკაჩია მეგრულში ცოცხალი სიტყვაა და აღნიშნავს ბადრი მთვარით განათებულ ღამეს. ამგვარი სემანტიკის სიტყვაც შეიძლებოდა ქცეულიყო მეტსახელად (შდრ. კაკაჩიშვილი. ახალციხე).

**კაკიაშვილი** - 960 სული. ქართლსა და კახეთში გავრცელებული გვარი მიგრირებულია სამეგრელოშიც: ახალსოფელში ( ხობის რ.) ცხოვრობს 4 კომლი. გვარი კაკიასშვილი გვხვდება 1680 წ.

საბუთში (პალ,II, 474). კაკია, ისევე როგორც კაკა, კაკი, კაკო... გავრცელებული პირსახელია. ზოგ შემთხვევაში იგი აკაკის ვარიანტიცაა. იხ. კაკავა, კაკაშვილი.

**კაკუბავა** – 579 სული (ზუგდ. – 251, თბ. – 143, წალენჯ. – 49). აფხაზურ-მეგრული გვარია. პირსახელ კაკუს დართვია აფხაზური სუფიქსი -ბა, ხოლო გამეგრულების შემდეგ- მეგრული -ვა. სამეგრელოში დაფიქსირდა ორიოდე კომლი ძირძველი მოსახლე. ძირითადად არიან ლტოლვილები.

**კაკუბერი** – 122 სული (თბ. – 36, მარტვ. – 28, სენაკი – 16). აბედათში მოსახლეობს 5 კომლი, ცხოვრობენ სხვაგანაც. ტოპ.: გკაკბერე – უბანი ჯოლევში. სიტყვა ბერი საერთოქართველურში ვაჟიშვილის აღმნიშვნელი სიტყვა უნდა ყოფილიყო (ჯავახიშვილი, 1937, გვ. 186). ლაზურში ბერე აღნიშნავს ვაჟიშვილს. ი. მაისურაძის განმარტებით, ბერი ერთოდა საკუთარ სახელს ვაჟი სიტყვის მნიშვნელობით (მაისურაძე, 1979, გვ. 84), ე. ი. კაკუბერი ნიშნავს კაკუს ვაჟიშვილს, ან კაკუ ვაჟს.

**კაკუბერია** – 25 სული. სამეგრელოში მხოლოდ ორიოდე კომლი დაფიქსირდა. გვარი წარმოიქმნა უკვე არსებულ კოლხურ გვარზე -ა სუფიქსის დართვით.

**კაკულია** – 2803 სული (ზუგდ. – 766, თბ. – 567, მარტვ. – 307). საქართველოს მასშტაბით 242-ე ადგილზეა, სამეგრელოში უკავია 44-ე (1778 სული), ხოლო კერძოდ ზუგდიდის რ-ნში – 48-ე ადგილი. კომლი: კახათი – 56, კიწია – 34, აბედათი – 25, ხამისქური – 20, ახუთი – 18, ონტოფო – 16, ნაქალაქევი – 12, გურძემი – 13, ოდიში – 10, ცაიში – 10, ხობი – 9, ყულევი – 7 და სხვ. ტოპ.: ლეკაკულე – სოფელი ჰანისწყლის ორსავე ნაპირას (ჯგალის თემი). ცხოვრობენ ძირითადად კვარაცხელიები. კაკულიები არ ჩანან. სამეგრელოს სხვა, მოშორებულ სოფლებში მცხოვრები კაკულიების განცხადებით, მათი წინაპრები ცხოვრობდნენ ჯგალში, მაგრამ სვანებთან კონფლიქტის გამო გაიფანტნენ. საკაკულიო – უბნები ოდიშში, ურთაში, კახათში, ინგირში (ყველა ზუგდიდის რ.), ხამისკურში, პ. ონტოფოში (ნოღელის მარც. მხარეს). გადმოცემა:"წინაპრები ყოფილან ჯგალიდან, სადაც ეწოდება ლეკაკულე. სამ ძმა კაკულიას შურისძიების ნიადაგზე სტუმრად მოწვეული სვანები მოუწამლავს და გამოქცეულან. ერთი გურძემში დამკვიდრებულა, მეორე – ურთაში, მესამე კი დადიანს ოდიშში დაუსახლებია". კაკულია პირსახელიცაა: 1569 წ. საბუთის მიხედვით, ხობის ღმრთისმშობლისათვის შეუწირავთ კაკულიაი სერგია (ქსძ, III, 275). კაკული ←კაკი. იხ. კაკავა..

**კაკუტია** – 63 სული (თბ. – 29, მარტვ. – 5, წალენჯ.– 5). სამეგრელოში მხოლოდ ორიოდე კომლი დადასტურდა. არიან ლტოლვილებიც. კაკუტა დამოწმებულია პირსახელად XVII ს. დამდეგს (პალ, II, 477). გვხვდება მეტსახელი კაკუტიც (ქსს, 1986). კაკუტი კაკი-ს მოფერებითი ფორმაა. კაკუტი მეგრულში ეწოდება სიმინდის საფშვნელ თავკომბალა ჯოხსაც და სახლის სახურავის გრძელ ხესაც.

**კაკუჩაია** – ორიოდე კომლი დაფიქსირდა საჯიჯაოში. -უჩა სუფიქსი პირსახელ კაკუს სძენს მოფერებითობის ნიუანსს. -ია გვარსახელის მაწარმოებელი სუფიქსია.

**კალანდარიშვილი** — 1037 სული. გვარის სამშობლოა გურია. სამეგრელოში იშვიათია. კომპაქტურად მოსახლეობენ სენაკში, ეკის მთის ძირას. აქ უბანს ეწოდება საკალანდარიშვილო// საკალანდარსქუო. კალანდარსქუა ადგ. ვარიანტია. ინფ.: "გურიიდან, ს. კვირიკეთიდან, სამუშაოდ მოსულა ერთი ბიჭი ამ გვარისა. მენჯში სალაყაია მოსწონებია, შეურთავს და გამრავლებულა". გვარი გვხვდება XVII ს. საბუთში (პალ, II, 477). შესაძლოა, კალანდარი იგივეა, რაც სპარსულ-თურქული სიტყვა კალანტარი ("ციხისთავი"). შდრ. კალანდარიანი, კალახდაროვი. იხ. ქანთარია.

**კალანდაძე** – 5281 სული. საქართველოში 71-ე ადგილზეა, გურიის რეგიონში კი – მეცხრეზე (1550). გვხვდება სამეგრელოშიც (პ. მაისი – 5 კომლი). გვარი ფართოდ ყოფილა გავრცელებული XVI-XVII საუკუნეებში (იხ. პალ, II, 477-478). პირსახელი კალანდა დამოწმებულია კოლხეთში (ქსს, 1986).

**კალანდია** – 2780 სული (ზუგდ. – 697, თბ. – 494, წალენჯ. – 476). საქართველოში 245-ე ადგილზეა, სამეგრელოში – 39-ეზე (1860 სული). წალენჯიხის რ-ნში ამ გვარს 24-ე ადგილი უკავია. თვით წალენჯიხაში ცხოვრობს 118 კომლი კალანდია. კომლი სხვა სოფლებში: ტალერი – 52, სალხინო – 28, ნარაზენი – 23, ღ. ჭყონი – 17, დარჩელი – 15, ჭოლა – 12, ჭითაწყარი – 10, კურზუ – 7, გაჭედილი – 7, ახალხიბულა – 6, ახალაბასთუმანი – 5, თეკლათი – 5, ლია – 5 და სხვ. ადგ. ვარიანტი: კაძახდია (ბ. -მ. თქმა). ტოპ.: ლეკალანდე – ყოფილი დასახ. უბნები ფახულანში (ტებენის მარჯ. მხარეს. აქ 1950 წლამდე ცხოვრობდნენ გერგედავები. მათზე უწინ – ალბათ კალანდიები), ეწერფერდში (ჭიჭე ტებენის მარჯ. მხარეს. აქ კალანდიებს არ მოსწრებიან. ცხოვრობდნენ უბილავები), ნაშამგუში (ბარცხვანღალის ხეობაში); ეკაენდიე//ეკაძანდიე – ყოფილი დასახ. უბანი აბაშის მარც. მხარეს (გაჭედილი); საკალანდიო – უბნები წალენჯიხაში, ორულუში, ნარაზენში; ნაკალანდუ – ბორცვი ლესარეში (წალენჯიხა); ნაკაძანდუ – სახნავი ლეჭაჭუეში (ლეგულორდავე). ითვლება, რომ კალანდაძე (გურია) და კალანდია მომდინარეობენ სიტყვა კალანდა-საგან, რაც გურიაში ახალ წელს აღნიშნავს. მაგრამ შესაძლოა ამ გვარისთვის ამოსავალი იყოს აღმოსავლური სიტყვა კალანტარი. მაშასადამე: კალანტარია → კალანდარია → კალანდია (მარცვლის ამოვარდნით). შდრ. კალანდაძე. იხ. ქანთარია.

**კალაძე** – 1085 სული. ქვემო იმერეთში გავრცელებული ეს გვარი სამტრედიის რ-ნიდან მიგრირებულია მეზობელ აბაშის რ-ნში. კომპაქტური დასახლება დაფიქსირდა მარანში (7 კომლი).

კალიკავა – გვარს აღადგენს ტოპონიმი ლეკალიკე. ასე ეწოდება მიკროუბანს შიშას სათავესთან, სადაც ცხოვრობენ თოლორდავები (მუხური).

კანდელაკი – 3108 სული (თბ. – 1584, ქუთ. – 164, გარდ. – 204). საქართველოში 195-ე ადგილზეა. კომლი სამეგრელოში: პ. ფოთი – 4, მარანი – 3 და სხვ. დაბალი საეკლესიო თახამდებობის აღმნიშვნელი სიტყვა კანდელაკი "მხათე. მესანთლე" გვარად ქცეულა. კერძოდ, კანდელაკი გვარი უნდა იყოს "საცაიშლო დავთარში" (1616-1621 წწ.), სადაც აღნიშნულია, რომ ცაიშში "მართებს კანდელაკს გოჭკომური კარგითა ღომითა, ღვინითა..."(ქსძ, III, 450). კანდელაკი ყველა ეკლესიას ეყოლებოდა. ამიტომაც გვარად კანდელაკები ფაქტობრივად სხვადასხვა კუთხისა და სხვადასხვა წარმომავლობისანი არიან. კანდელაკები აზნაურები იყვნენ გურიაშიც და იმერეთშიც.

კანკავა – 569 სული (თბ. – 221, სენაკი – 142, ზუგდ. – 46). კომლი: ხორში – 17, ახალსოფელი (ხობის რ.) – 6, დარჩელი – 5 და სხვ. გვარის ვარიანტები: კაკაია, კანკაია. ტოპ.: ეკანკე – ფერდობები ტეხურის მარც. მხარეს (ნობულევი). პრეფიქსი -ე (←ლე) ადასტურებს, რომ აქ უწინ კანკიების უბანი იყო; საკაკაო//საკანკაო – უბანი შუა ხორში. კანკა პირსახელია. მისი მოფერებითი ვარიანტი კანკურაც გვხვდება პირსახელად XVII ს. საბუთში (პალ, II, 480). იხ. კანკია, კაკავა.

კანკია – 1112 სული (ზუგდ. – 334, მარტვ. – 206, თბ. – 134). კომლი: აბედათი – 28, დ. ჭყონი – 21, ალერტკარი – 16, ხეთა – 16, ნოჯიხევი – 8, კიწია – 7, ლია – 7, წალენჯიხა – 7, სერგიეთი – ქვ. ქვალონი – 6, ხამისქური – 5 და სხვ. ვარიანტი კამკია ზოგ შემთხვევაში საპასპორტო გვარიცაა. ტოპ.: საკანკიო – უბანი ხეშობონუს მარც. მხარეს (ალერტკარი). ამოსავალია პირსახელი კანკი. შდრ. კანკავა.

კაპანაძე – 18550 სული (ჭიათ. – 3311, თბ. – 3066, ზესტ. – 1667). სულთა რაოდენობით საქართველოში მეორე ადგილზეა (ბერიძის შემდეგ). იმერეთში უკავია პირველი ადგილი (8702 სული). მიგრირებულია სამეგრელოში: ქოლობანი – 14 კ., ახალსოფელი (ხობის რ.) – 7 კ. და სხვ. ტოპ.: კაპანაძეების უბანი – უბანი პ. გეზათში (ქოლობნის თემი). კაპა კოლხეთში პირსახელია (ქსს, 1986). -ან აწარმოებს მოფერებით სახელებს. 1904 წ. აღწერის მასალებში გვხვდება ვარიანტი კაპანაია (სენაკი).

კარანაია – 109 სული (სენაკი – 58, ფოთი – 14, თბ. – 10). კომლი: ნოსირი – 10, ძვ. სენაკი – 10 და სხვ. უფრო მრავალრიცხოვანი იმერული გვარის – კარანაძის (628 სული) – მეგრულად ადაპტირებული ვარიანტი ჩანს. თავის მხრივ, კარანა კოლხური კარას (იხ. ქსს, 1986) მოფერებითი ვარიანტია.

კარბაია – 139 სული (ზუგდ. – 76, თბ. – 19, ფოთი – 16). ეს აფხაზურ-მეგრული გვარი სამეგრელოში იშვიათია (დადასტურდა რამდენიმე ძირძველი მოსახლე). არიან ლტოლვილებიც.

კართხია – 27 სული (სენაკი – 15, ფოთი – 7, თბ. – 4). კომლი: ძვ. სენაკი – 3, სენაკი – 5 და სხვ. ამოსავალი კართხი (შდრ. ქართული კათხა) მეტსახელი ჩანს.

კარკალაია – 53 სული (ქუთ. – 18, თბ. – 9, სენაკი – 8). კომლი: ეკი – 5, ნოჯიხევი – 3 და სხვ. კარკალი მეგრულში აღნიშნავს კაკანსაც და წყლის რაკრაკსაც. აქედან გამომდინარე, კარკალა შეიძლებოდა მეტსახელად მიკერებოდა გაუჩერებლად, გაბმულად მოლაპარაკეს. შდრ. კარკალია.

კარკალია – ძალზე იშვიათი გვარია. 5 კომლი დადასტურდა ზუგდიდში. წარსულში გვარის გავრცელებაზე მიუთითებს ტოპონიმი საკარკაიო//კარკაიაშ კონკი. ესაა ბორცვი ისკიის მარჯ. მხარეს, სადაც უწინ უცხოვრიათ კარკაიებსა თუ კარკალიებს (სერგიეთი, ნახუნაო). იხ. კარკალაია.

კარტოზია – 1147 სული (თბ. – 347, სენაკი – 207, ზუგდ. – 144). კომლი: ზანა – 17, აბედათი – 13, ორულუ – 11, ლეძაძამე – 10, ბია – 7, შამგონა – 7, ვედიდკარი – 6, ხობი – 5, ფოცხო – 5, ახუთი – 4, ბანძა–4, ნაქალაქევი – 3 და სხვ. ტოპ.: ლეკარტოზიე – ყოფილი დასახ. უბანი ბეთლემისა და უშაფათის საზღვართან (მ. მოხაში); ეკარტოზიე – უბანი ხუფაიის მარჯ. მხარეს (ზ. ნაქალაქევი); საკარტოზიო – უბნები შამგონაში, ორულუში. ლევან ღვინჯილიას ვარაუდით, გვარისათვის ამოსავალია ხელობის გამომხატველი ქართული სიტყვა კალატოზი: კალატოზია →კალტოზია →კარტოზია. 1904 წლის აღწერის თანახმად, ნოქალაქევსა და მოხაში მცხოვრები კარტოზიები აზნაურები არიან.

კატუკია – 128 სული (წალენჯ. – 54, თბ. – 32, ზუგდ. – 13). კომლი: ჯვარი – 7, საჩინო – 4, ჭითაწყარი – 4, ლია – 3 და სხვ. კატი პირსახელია. -უკ მოფერებით სახელებს აწარმოებს.

კაცაძე – 1861 სული. იმერეთში გავრცელებული გვარი მიგრირებულია სამეგრელოში: ქვ. ქვალონში ცხოვრობს კაცაძეთა 4 კომლი. გვარი დამოწმებულია XV ს. შუა ხანების საბუთში (პალ, II, 486). კაცა, კაცი, კაცანა, კაციელა ... საქართველოში გავრცელებული სახელებია.

კაცია – 493 სული (ზუგდ. – 111, ჩხორ. – 104, წალენჯ. – 97). კომლი: ობუჯი – 22, ლესიჭინე – 15, ახუთი – 9, დარჩელი – 4, რუხი – 3 და სხვ. ტოპ.: ლეკაციე//საკაციო – უბანი ოწყარიის ხეობაში (ახუთი). ლეკაციე – უბანი წყვირიშის ნაპირებზე (ფოცხო). საკაციო – ყოფილი დასახ. უბანი ყინი სამესხიოში (სამესხიო). ნაკაცუ – ბორცვი პალიაღალის სათავესთან (გარახა). პირსახელები კაცი, კაცია ხშირად გვხვდება XVI-XVIII სს. საბუთებში (პალ, II, 486). შდრ. კაციაშვილი.

კაჭარავა – 3108 სული (აბაშა – 1010, თბ. – 820, ჩხორ. – 210). საქართველოში 196-ე ადგილზეა, სამეგრელოს რეგიონში – 42-ეზე (1828 სული). აბაშის რ-ნში გვარს უკავია მეორე, ჩხოროწყუს რ-ნში კი – 47-ე ადგილი. გვარის ძირძველი სამკვიდრო უნდა იყოს აბაშა (160 კომლი). აქვე, დიდკვათანაში, უბანს ეწოდება საკაჭარო. კომლი სხვა დასახლებულ პუნქტებში: ახუთი – 25, სამიქაო – 19, ჩხოროწყუ

- 13, ნაესაკაო - 11, ძვ. აბაშა - 6, ქვ. ჭალადიდი - 4, წალენჯიხა - 4, რუხი - 3, საგვიჩიო - 3, ძვ. სენაკი - 3, ნორიო - 3, პ. მაისი - 3, ლესიჭინე - 3, ჯგალი - 3 და სხვ. ტოპ.: ლექაჭ(ა)რე – უბანი ონტყოლის ნაპირას (ლეგულორდავე). საკაჭარაო//კაჭარავები//კაჭარავების უბანი – უბანი სამიქაოში. ამოსავალია პირსახელი კაჭარა. კაჭალი კუთხური სიტყვაა. ქართული ენის დას. კილოებსა და მეგრულში იგი აღნიშნავს "წენგოშემოცლილ, დაკროლილ კაკალს". იმერულში მას კაჭარიც ეწოდება (ქეგლ, IV). იმერულშივე კაჭარა აღნიშნავს კოლრაბსაც (კომბოსტოსნაირ ბოსტნეულ მცენარეს). ამგვარი სემანტიკის სიტყვაც შეიძლება იქცეს მეტსახელად. აღნიშნულია, რომ კაჭარაა მომდინარეობს XVII-XVIII სს. სვანეთის საისტ. ძეგლებში დაფიქსირებული კაჭარახი-საგან (თოფჩიშვილი, 1997, გვ. 51, 102).

**კახაია** – 131 სული (ქუთ.- 46, წყალტ.- 37, თბ. - 25). სამეგრელოში დაფიქსირდა ორიოდე კომლი. "საცაიშლო დავთარში" (1616-1621 წწ.) საეკლესიო ბეგრის გადამხდელთა შორის დასახელებული კახაია გვარი უნდა იყოს (ქსძ, III, 443). ამოსავალია პირსახელი კახა. სავარაუდოა, რომ კახაია იმერეთშივე გავრცელებული მრავალრიცხოვანი კახაძის კოლხური ვარანტია.

**კახიანი** - 1315 სული (თბ. - 428, სამტრ. - 161, ქუთ. - 147). იმერეთიდან ჩანს მიგრირებული სამეგრელოში: ხოჯიხევი - 5 კომლი, აბაშა - 6 კ. და სხვ. გვარი დასტურდება XVI ს-დან (პალ, II, 490).

**კედია** - 90 სული. რამდენიმე კომლი ცხოვრობს ზუგდიდსა და სენაკში. არიან თბილისსა (49 სული) და ბათუმშიც (12 სული). სუჯუნაში მოსახლე კედიები აზნაურები იყვნენ. შდრ. კეიდია.

**კეზუა** - 277 სული. გვარის სამშობლოა ზუგდიდის რ-ნი (249 სული). კომლი: კახათი - 29, ოდიში - 19 და სხვ. ტოპ.: საკეზუო - უბნები კახათსა და ოდიშში. კეზუ პირსახელია. შდრ. კეზუაშვილი.

**კეიდია** - 132 სული (ზუგდ. - 81, თბილისი - 38, ჩხორ. - 5). კომლი: ინგირი - 5, ზუგდიდი - 18 და სხვ. 1904 წ. ცაიშში, ხეთაში, ზუგდიდში, კირცხში მცხოვრები კეიდიები იყვნენ აზნაურები.

**კეკელია** - 1 248 სული (თბ. - 510, მარტვ. - 279, ზუგდ. - 104). გვარის ძირითადი სამკვიდროა ბანძა. კომლი: ბანძა — 55, ჯიხაშკარი — 15 კ., ვედიდკარი — 9 კ. და სხვ. ტოპ.: ლეკეკელე - სოფელი აბაშის მარც ნაპირას. ზემო ბანძასაც უწოდებენ (ბანძის თემი); ეკეკეე - უბანი ლეკეკელეს საზღვართან (ლეპატარავე, ბანძის თემი). კეკელა ძვ. ქართულში კაცის სახელიც ყოფილა, უფრო ზუსტად, მეტსახელი (ნიშნავს: „ლამაზი, კოხტა"). საერთოდ, კეკე, კეკუ პირსახელების უწინდელ დროში ფართოდ გავრცელებას ადასტურებს გვარები: კეკელია, კეკუა, კეკუტია, კეკუსანიძე, კეკურია (დასტურდება XVII ს საბუთებში). შდრ. კეკელიძე.

**კეკელიძე** - 1 930 სული. მრავალრიცხოვანია აჭარაში. კომლი სამეგრელოში: კეთილარი - 25, გეზათი – 3 და სხვ. გვარის წარმომავლობა გარკვეული აქვს აკ. შანიძეს (შანიძე, 1950).იხ. კეკელია.

**კეკუა** - 392 სული (ზუგდ. - 114, თბ. - 69, ქუთ. - 63). კომპაქტური დასახლება დადასტურდა მხოლოდ ეკის თემში (4 კომლი). სხვაგან ცხოვრობენ გაფანტულად. ტოპ.: საკეკუო - უბანი სიხუში (საგუნიო, ეკის თემი.); ნაკეკუ - სახნავი ხანჯარის მარც. მხარეს (ფოცხო ).

**კეკუსანძე** - კეკუსაძის (იხ.) ვარიანტია. ცხოვრობენ საჯიჯაოში (6 კ.), ხობში (6 კ.) და სხვ.

**კეკუსაძე** - 27 სული (ზუგდ. - 11, სენაკი - 2, წალენჯ. - 2). ამ მცირერიცხოვანი გვარის სამშობლოა სამეგრელო (ზუგდიდი – 4 კ.). კეკუსა პირსახელ კეკუს (ან კეკეს, კეკოს) მოფერებითი ვარიანტი ჩანს.

**კეკუტია** - 720 სული (მარტვ. - 400, ზუგდ.- 67, სენაკი - 37). გვარის ძირითადი სამკვიდროა სალხინო (40 კომლი) და დ. ჭყონი (30 კომლი). კომლი სხვაგან: ნახუნაო - 10, ტალერი - 7, მარტვილი - 5, ჭოღა - 4, ჩხორია- 3 და სხვ. ტოპ.: საკეკუტიო - უბანი ცაიშენწერში (ჭითაწყარი). კეკუტი კეკუს მოფერებითი ვარიანტია. შდრ. კეკურია (1616-1621 წწ. საბუთში. იხ. ქსძ, III, 461).

**კელენჯერიძე** - 856 სული. იმერეთში გავრცელებული გვარი მიგრირებულია სამეგრელოში (აბაშა - 3 კომლი). კელენჯერი იმერულ კილოში აღნიშნავს ჯიუტს, მიუდგომელს.

**კემულარია** - 707 სული (ზუგდ. - 225, თბ. - 124, სენაკი - 99). კომლი: ახალხიბულა - 21, ნოსირი - 17, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) - 6, ხობი - 3 და სხვ. ვარიანტი: კემლარია. ტოპ.: საკემლარიო - უბნები შუა ხორშსა და ზუბში (ახალსოფლის თემი, ხობის რ.). 1904 წლის აღწერის თანახმად, ხორშში მცხოვრები კემულარიები აზნაურები იყვნენ.

**კენჭაძე** - 1 178 სული. გვარი გავრცელებულია იმერეთსა და აჭარაში. გვხვდება სამეგრელოშიც (კურზუ – 3 კ.). დამოწმებულია XVI-XVII სს. საბუთებში (პალ, II, 497). კენჭა მეტსახელი ჩანს.

**კეჟერაძე** - 334 სული. გვარი აჭარიდანაა გადასული სამეგრელოში (ნარაზენი - 3 კომლი).

**კერესელიძე** - 3053 სული. გვარი გავრცელებულია რაჭასა და ქართლში, მიგრირებულია სამეგრელოში: ქვ. ჭალადიდში დაფიქსირდა 3 კომლი.

**კერზაია** - 84 სული (ზუგდ. - 80, თბ. - 3, წალენჯ. - 1). კომპაქტურად მოსახლეობენ დარჩელში (15 კომლი), სადაც უბანს დარქმევია საკერზაიო//საკერძაიო. ყულიშკარში, ძაღვასა და ყულიწყარს შუა, უბანს ერქვა ლეკერზაიე//სალეკერზაიო. ამჟამად აქ როგავები ცხოვრობენ და ეწოდება ლეკერზაიეშ საროგა. კერზი, კერძი მეგრულში აღნიშნავს ახლობელს, მოკეთეს. შდრ. კერძაია.

**კერძაია** - 114 სული (სენაკი - 47, თბ. - 41, ზუგდ. - 9). ეს ვარიანტი ძირითადად სენაკის რაიონშია განსახლებული (კერძოდ, ძვ. სენაკში - 14 კ.), მაგრამ ზუგდიდის რაიონშიც რომ იყო გავრცელებული, ამას ადასტურებს ტოპონიმი ნაკერძუ (სახნავი დღოუს მარც. ნაპირას, ოდიშში).

**კეშელავა** - 794 სული (თბ. - 211, ჩოხატ. - 154, ბათუმი - 128). როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, ეს -ვა დაბოლოების მქონე კოლხური გვარსახელი ძირითადად გურიასა და აჭარაშია გავრცელებული, სამეგრელოში კი იშვიათია (სერგიეთში ცხოვრობს 4 კომლი). ვარიანტი კეშილავა ჩანს ტოპონიმებში: საკეშილა - სახნავი ტეხურის ჭალაში (ეწერი, ტალერის თემი. ინფ.: „ეკუთვნოდა კეშილავას. ნადელით იძლეოდა დასამუშავებლად და მიჰქონდა მოსავლის მესამედი"). ნაკეშილუ - სერი მელისქურის მარჯ. მხარეს (თაია). ვარიანტი კერშილავა დასტურდება ისტორიულ საბუთებში: XVIII ს. პირველ ნახევარში ულვინობა კერშილავას ემართა ჯგალის ციხის ბეგარა (ქსძ, III, 480). 1904 წლის აღწერის მონაცემებით, დღვანაში, ნობულევსა და ღალში (შედიოდა ნაფიჩხოვოს თემში) მცხოვრები კეშილავები იყვნენ აზნაურები. კეში კერატია. კეშილა მეტსახელი ჩანს.

**კვანტალიანი** - 2330 სული (თბ. - 616, სამტრ. - 454, მარტვ. - 420). სულადობით ქვეყანაში345-ე ადგილზეა. მარტვილის რ-ნში უკავია 21-ე, ზუგდიდის რ-ნში კი — 34-ე ადგილი. კომლი: ნაგვაზავო - 67, სამიქაო - 24, ლეხაინდრაო - 19, მარტვილი - 14, ხუნწი - 6, ნახუნაო - 5, ვედიდკარი - 4 და სხვ. ადგ. ვარიანტი: კვატაია. ტოპ.: ლეკვანტალიე - სოფელი ცხენისწყალსა და ნოღელას შუა (ნაგვაზავოს თემი), ეკვატაიე - კვანტალიანების უბანი ლეკვანტალიეში, კვანტალიანები//კვანტალიანების ქუჩა - უბანი სამიქაოში. გვარი წარმოქმნილი ჩანს სამტრედიისა და მარტვილის რაიონებში. კვატაია ქვ. იმერეთში საპასპორტო ვარიანტიცაა (124 სული).

**კვანჭიანი** - 1 213 სული. მესტიის რაიონში გავრცელებული გვარია. გვხვდება სამეგრელოშიც. კომლი: რიყე - 5, ახალსოფელი - 3, რუხი - 3, ჩხორია - 3 და სხვ. კვანჭი სვანეთში პირსახელია.

**კვარაცხელია** - 13618 სული (წალენჯ. - 4952, ზუგდ. - 3533, თბ. - 1666). სულთა რაოდენობით საქართველოში VI ადგილი უკავია. სამეგრელოს რეგიონში პირველ ადგილზეა (10194 სული). ასევე პირველ ადგილზეა წალენჯიხისა და ზუგდიდის რაიონებში. გვარის ძირძველი და ძირითადი სამკვიდრო არის მთიანი სამეგრელო. კომლი: ჯგალი - 415, ნაკიფუ - 248, წალენჯიხა - 208, ფუქი — 94, კორცხელი - 73, ჩხოროწყუ - 48, ქვ. ჩხოროწყუ - 44, ინგირი - 43, ლია - 28, ოდიში - 25, საჯიჯაო - 24, ახალკახათი - 23, ზუმი - 17, მუხური - 17 და სხვ. ტოპ.: ლეკვარაცხელიე//ლეკვარაცხილე - ნასოფლარი ზანის მარჯ. მხარეს, სადაც გაედინება ჩეღალ და ჯოღორღალ. აქ მოსახლეობდნენ კვარაცხელიები 1950 წლამდე (ნაკიანი, ახუთი, გარახა). ნაკვარაცხელუ - ბორცვი სასონგულიოში (ობუჯი) და ტყე-ფერდობები კილის სათავესთან (ქალაღალი, ფახულანის თემი). საკვარაცხელიო - უბნები ქვემო სამეგრელოს სოფლებში - კორცხელში, პირველ გურიფულში, მეორე გურიფულში, ზენში (საჯიჯაოს თემი), დურღენაში (ქვ. ქვალონის თემი). ლეკვარაცხელიე - უბანი ჩხოუშიის ნაპირას (ოირემე). გვარი დამოწმებულია 1634 წლის საბუთში: კვარ(ა)ცხელია პატია, მოლარე, გაუყოლებიათ მარიამ დედოფლისათვის მზითევში (პალ, II, 499). იშვიათი ოფიციალური (საპასპორტო) ვარიანტია კვარანცხელია. ითვლება, რომ კვარაცხელია სვანეთის საისტორიო ძეგლებში დაფიქსირებული კუარაცხელიანი//კვარცხელიანის –ნ მოკვეცილ ვარიანტია (თოფჩიშვილი, 1997).

**კვარშილავა** - კვაშილავას (იხ.) საპასპორტო ვარიანტია. ზანათში დაფიქსირდა 5 კომლი.

**კვარცხალია** - იშვიათი გვარია. დაფიქსირდა ზუგდიდის რ-ნში. შდრ. კურცხალია.

**კვატალია** - გვარის უწინდელ დროში არსებობას ადასტურებს ტოპონიმი ნაკვატალუ (ბორცვია ნაკიანში, ჯოღორღალსა და ჭალაცვანას შუა). კვატი, კვატა, კვატია კოლხეთში პირსახელებია (შდრ. კვატატი, კვატაში). -ალ მოფერებით სახელებს წარმოქმნის. მეორე მხრივ, კვატალი ზმნური ფუძეა და აღნიშნავს ბორიალს, ყიალს, ცუნდრუკს. აქედან გამომდინარე, კვატალია ცუნდრუკა, მოყიალე კაცის ეპითეტია. არც ისაა გამორიცხული, კვატალია კვანტალიანის ვარიანტი იყოს. შდრ. კვატანია.

**კვატანია** - 109 სული (ზუგდ. - 36, წალენჯ. - 23, ჩხორ. -9). დარჩელში დაფიქსირდა რამდენიმე კომლი ძირძველი მოსახლე. არიან ლტოლვილებიც. კვატანი (პირსახელი ან მეტსახელი) კვატას კნინობითი ვარიანტია, ისევე როგორც კვატალი. შდრ. კვატაია, კვატალია, კვატია, კვატიძე.

**კვატია** - 21 სული. ძირითადად ცხოვრობენ თერჯოლაში (16 სული). სამეგრელოში დაფიქსირდა ორიოდე კომლი (ზუგდიდში, ნაქალაქევში). შდრ. კვატიძე, კვატალია, კვატანია.

**კვატიძე** - 56 სული (სენაკი - 32, თბ.- 11, ფოთი - 8). ლეძაძამეში დაფიქსირდა 5 კომლი.

**კვაშილავა** - 1607 სული (მარტვ. - 358, სენაკი - 253, თბ. - 235). კომლი: ზანა - 40, თამაკონი - 22, მარტვილი - 15, კურზუ - 14, კიწია - 13, დ. ჭყონი - 8, აბედათი - 7, ლეძაძამე - 7, ნოსირი - 7, ნაგვაზავო - 5, ჩხოროწყუ - 5 და სხვ. ადგ. ვარიანტი: კვაშია (ბ.-მ. თქმის ზონა). ტოპ.: ეკვაშიე//საკვაშიო - უბანი ჯოლევში. საკვაშილა - უბნები ბია-საშონიოსა და საესებუოში.

**კვაჭანტირაძე** - 1268 სული. გურული გვარია. ქვ. ჭალადიდში დაფიქსირდა 3 კომლი.

**კვახაჭელიძე** - 124 სული. იმერული გვარია. ნორიოში მოსახლეობს 5 კომლი.

**კვეკესქირი** - 20 სული (თბ. - 17, ბორჯ. - 3). სამეგრელოში ძალზე იშვიათი გვარია: ხობში დაფიქსირდა ერთადერთი კომლი. კვეკესკირი ნიშნავს კვეკეს ვაჟიშვილს. კვეკე, კვეკვე, კვერკვე კვირიკეს ვარიანტებია. შდრ. სოფლის სახელი წინაკვერკვე "წმინდა კვირიკე" (ნახუნავოს თემი).

კვეკვესკირი – (852 სული) და კვეკვესქირი (115 სული), ძირძველი მოსახლე სამეგრელოში იშვიათია (ფოთში, კუნძულზე, ცხოვრობს 5 კომლი კვეკვესქირი). მრავლად არიან ლტოლვილები აფხაზეთიდან. კვეკვე პირსახელია. სქირ–//სკირ– შვილს აღნიშნავს მეგრულში. იხ. კვეკესქირი.

კვეკვეცია – 143 სული (მარტვ. – 86, თბ. – 30, ფოთი – 13). კომლი: ნაჯახავო – 16, მარტვ. – 9, ნალეფსაო – 5, სერგიეთი – 3 და სხვ. იშვიათად გვხვდება ვარიანტი კვერკვეცია (სამიქაოში). ტოპ.: ქკვეციე//ეკვეკვეციე – უბანი ზანძის საზღვართან (ნაჯახავო). ნაკვეც(ო)უ – ტყე-ფერდობები ხოლის მარც. მხარეს (სერგიეთი). კვეკვეცი კვეკვე–ს მოფერებითი ვარიანტი ჩანს.

კვერკაია – გვარს აღადგენს ტოპონიმი ნაკვერკუ. ასე ეწოდება ბორცვს სკურდის მარც. მხარეს (ნახურცილავო). კვერკა კვირიკეს ვარიანტია. შდრ. კვეკესქირი.

კვესელავა – 702 სული (მარტვ. – 380, თბ. – 125, ზუგდ. – 45). გვარის ძირძველი სამკვიდროა მარტვილი (85 კომლი). მოსახლეობენ სხვაგანაც: ლეხაინდრავო – 10 კ., კახათი – 3 კ., ნაგვაზავო – 3 კ. და სხვ. ადგ. ვარიანტი: კვესეჲა (ბ.–მ. თქმის ზონა). ტოპ.: ქკვესეე – ერქვა დასახ. უბანს საელიავოში, დ. ინჩხურის საზღვართან. გვარი გვხვდება 1788 წელს შედგენილ წყალობის წიგნში, სადაც დასახელებული არიან ეკლესიის სამსახურიდან გათავისუფლებული ყმები ობიშხელა კვესელავა და მისი ძმისწული მამაშია (ქსძ, III,. 973). კვესი, კვესია კოლხეთში გავრცელებული სახელებია. კვესელა მოფერებითი ვარიანტი ჩანს. შდრ.: კვესელაძე და კვესაძე (XVII ს. იხ. პალ, II, 504).

კვიკვინია – 747 სული (ზუგდ. – 114, ფოთი – 51, თბ. – 47). გვარის ძირძველი საცხოვრისია ბულიწყუ (83 კომლი). ცხოვრობენ აგრეთვე ხობში – 35 კ., ზანაში – 6 კ., ხეთაში – 4 კ., თორსადღვაბაში – 3 და სხვ. ტოპ.: საკვიკვინიო – სოფელი მუნჩიის ორსავე მხარეს (ბულიწყუს თემი). ინფ.: „კვიკვინიების წინაპარი ყოფილა კიკნაძე, რომელიც ხაშურისა თუ ხარაგაულის რაიონიდან ჩამოსულა“. საკვიკვინიო ერქვა უბანსაც ნარაზენში. გვარის საპასპორტო ვარიანტია კვირკვინია (21 სული ზუგდიდში, ბათუმში). კვიკვი, კვიკვინა, კვიკვინია კოლხეთში პირსახელებია (ქსს, 1986).

კვინჩია – 245 სული (ხობი – 97, ფოთი – 58, ჩხორ. – 44). კომლი: ლეწურწუმე – 9, ხამისქური – 7, ყულევი – 6, ქარიატა – 4, ხობი – 3 და სხვ. ტოპ.: საკვინჩიო – უბნები ჩელალის მარც. მხარეს (ლეწურწუმე), სახალიკოს მარჯ. მხარეს (საქირიო) და ყოფილი დასახ. უბანი გამოღმა ქარიატაში. აქაური კვინჩიები ადიდებულმა ხობისწყალმა შეაშინა და აიყარნენ 1934–1940 წლებში. საპასპორტო ვარიანტი ყვინჩია (23 სული სამტრედიაში, ქუთაისში, თბილისში). კვინჩა, კვინჩაია, კვინჩია კოლხეთში პირსახელებია. ი. მაისურაძე მათ აკავშირებს თურქულ სიტყვასთან ყვინჩი "ჩამომსხმელი, ოქრომჭედელი, ბეჭდებისა და სხვა სამკაულების მოხელე" (მაისურაძე, 1981, გვ. 185).

კვიჟინაძე – 1363 სული. იმერეთსა და კახეთში გავრცელებული გვარი დადასტურდა ხობის რ–ნის სოფელ ახალსოფელშიც (3 კ.).

კვირაია – 280 სული (სენაკი – 101, ზუგდ. – 34, თბ. – 24). კომლი: ზანა – 31, ლესიჭინე – 3 და სხვ. ტოპ.: საკვირაიო – უბანი ზანაძგის ნაპირას, ეწერსა და ზანაში (ზანის თემი). კვირა, კვირია, კვირიკა, კვირიკე კოლხეთში გარცელებული სახელებია.

კვირიკაძე – 858 სული. აჭარასა და იმერეთში გავრცელებული გვარი მიგრირებულია სამეგრელოშიც: რუხში დაფიქსირდა 4 კომლი. ისტ. წყაროებში დადასტურებულია კვირიკაისძე (1200 წ.) და კვირიკაშვილი (1523 წ.). შდრ. კვირიკიძე (აჭარა), კვირიკეიშვილი (იმერეთი). იხ. კვირაია.

კვირკვაია – 268 სული (სენაკი – 44, ჩხორ. – 27, ფოთი – 19). კომლი: ახალხიბულა – 30, ზანა – 14, კირცხი – 4 და სხვ. ტოპ.: საკვირკვაიო – უბანი გაშფერდში (ახალხიბულის თემი). გადმოცემით, აქაური კვირკვაიები სალხინოდან მოსულან. გვარი დამოწმებულია 1628 წ. საბუთში: საქურულორიოს მცხოვრები გუმიხილაი კვირკვაია ლევან დადიანს შეუწირავს ბიჭვინთის ტაძრისათვის (პალ, II, 507). კვირკვა, კვირკვე ბერძნულიდან შეთვისებული კვირიკეს ვარიანტებია.

კვირკველია – 2633 სული (თბ. – 452, ჩხორ. – 400, სენაკი – 339). ქართულ გვართა შორის 268–ე ადგილზეა, ჩხოროწყუს რ–ნში უკავია 27–ე, ხოლო სენაკის რ–ნში – 38–ე ადგილი. გვარის ძირძველი საცხოვრისი ჩანს ქვ. ჩხოროწყუ (62 კ.) და ჩხოროწყუ (40 კ.). კომლი სხვა სოფლებში: თეკლათი – 16, ქვ. ქვალონი – 15, ნაესაკაო – 10, ჩხორია – 10, ხობი – 6, ახალკახათი – 4, ახუთი – 4, პ. მაისი – 4 და სხვ. ტოპ.: საკვირკველიო – უბნები გოლასკურში (თეკლათის თემი), შხეფში (ქ. სენაკი), გამოღმა კოდორში. აქ მცხოვრები კვირკველიების წინაპრები – ცოლ-ქმარი ეგნატია და ალათია – ლანჩხუთიდან მოსულან, იქაც ეს გვარი ჰქონიათ. გვარი ფართოდ ყოფილა გავრცელებული XVI საუკუნეში კუირკუეილია ფორმით: 1550 წლის საბუთში დასახელებულნი არიან წყალიძგას (რიონის ხაპირას) მცხოვრები საეკლესიო გლეხები – გავაშელ, გამიგონი, გუგულა, დედისკეთილი, დოხუჩა, კახაბერა, მაკაკა, მამისარი, მამისარა, პაპა, სანასარა, სვიმონ, მაბუზია კუირკუეილიები (პალ, II, 50 7). იშვიათი საპასპორტო ვარიანტებია: კვირკვილია (იმერეთი), კვირკვინია (ზუგდიდი),. კვირკელია (სენაკი, ზუგდიდი). გვარს აკავშირებენ XVII–XVIII სს. სვანეთის სულთა მატიანეში დაფიქსირებულ კვირკველიანთან (თოფჩიშვილი, 1997, 50, 102). ისიცაა სავარაუდო, რომ კვირკველი არის მეგრული კვირკვე–ს (იგივე კვირიკე) კნინობითი ვარიანტი. შდრ. კვირკვეთუთა "კვირიკობისთვე" (იელისი).

კვირკვია - 458 სული (წალენჯ. - 322, ზუგდ. - 95, თბ. - 16). წალენჯიხის რ-ნში უკავია 41-ე ადგილი. მრავლად არიან კვირკვიები საჩინოში (59 კომლი). ცხოვრობენ სხვაგანაც: ლია – 5 კ., წალენჯიხა – 4 კ., ჯგალი – 3 კ. და სხვ. ტოპ.: საკვირკვიო//ლეკვირკვიე - უბანი ვეჯინჯის კალთებზე (საჩინო). ნაკვირკვუ - ბორცვი ლაჩახვის მარჯ. მხარეს (ფუქი). გვარებისათვის - კვირიკაძე, კვირკაია, კვირკვაია, კვირკველია, კვირკვია - ამოსავალია კალენდარული სახელი კვირიკე. შდრ. მეგრულში.: კვირკვეთუთა „კვირიკობისთვე", წინაკვერკვე „წმინდა კვირიკე" (სოფელია მარტვილის რ-ნში).

კვირტია - 567 სული (ზუგდ. - 149, ჩხორ. - 149, თბ. - 94). გვარის ძირითადი სამკვიდროა კირცხი (36 კ.). კომლი სხვა სოფლებში: ბულიწუ - 4, წალენჯიხა - 4, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) - 3, ლეწურწუმე - 3 და სხვ. კვიტი კოლხეთში პირსახელია. შეიძლება კვირტი კვიტის რ ჩართული ვარიანტი იყოს. მეორე მხრივ, -იტ მოფერებით სახელებს აწარმოებს. ამ შემთხვევაში: კვირა → კვირ-იტ-ი →კვირიტია →კვირტია. შდრ. კვირიტიძე (აჭარა).

კვირცხალია - 58 სული (აბაშა - 17, თბ. - 17, სამტრ. - 14). კომპაქტური დასახლება აღინიშნა მარანში (4 კ.). მეგრული კვირცხალი იგივეა, რაც ქართული მკვირცხლი. შდრ. კურცხალია.

კვიტანძე - 54 სული. ყველა ცხოვრობს ზუგდიდის რაიონში (შამგონა - 9 კომლი და სხვ.). ამოსავალია კვიტა, რასაც გვავარაუდებინებს კოლხეთში დაფიქსირებული პირსახელები კვიტი, კვიტინია, კვიტიშა, კვიტო (ქსს, 1986). შდრ.: კვიტაშვილი (იმერეთი), კვიტაიშვილი (გურია).

კვიტატიანი - 534 სული (ზუგდ. - 163, თბ. - 125, მარტვ. - 92). კომლი: ბანძა - 9, შამგონა - 9, ინგირი - 7, ოდიში - 7, აბედათი - 6, ვედიდკარი - 6 და სხვ. გვარი სამეგრელოშია წარმოქმნილი. კოლხეთში დადასტურებული კოტა, კოტატი, კვიტა გვავარაუდებინებს კვიტატი ვარიანტსაც. 1904 წლის აღწერის მასალებში გვხვდება ვარიანტი კვიტატია (3 კომლი ნაჩილაჩაოში).

კვიციანი - 1 978 სული. გვარი მესტიის რაიონიდან მიგრირებულია კოლხეთის ბარში. კომლი: რიყე - 6, ინგირი - 4, ჩხორია - 4, წალენჯიხა - 4, რუხი - 3 და სხვ. კვიცა, კვიცინია პირსახელებია სამეგრელოში, ხოლო კვიცან – სვანეთში (ქსს). შდრ. კვიცაძე, კვიცარიძე.

კვიჭია - გვარის უწინდელ დროში არსებობას ადასტურებს ტოპონიმი ნაკვიჭუ//ნაკვეჭუ. ასე ეწოდება ფერდობებს რობულალის ზემოთში (საჩინო). შდრ. კვიჭიძე (გურია-აჭარა).

კიზანია - გვარს აღადგენს ტოპონიმი ნაკიზანუ. ესაა ბუჩქნარი ნაზოდუსთან (ჯოლევი). კიზა, კიზუ კოლხეთში პირსახელებია. -ან სუფიქსი მოფერებით სახელებს აწარმოებს. ამასთანავე, კიზუ მეგრულში ცოცხალი სიტყვაა და აღნიშნავს ძალზე მცირეს, პატარას.

კიზირია - 580 სული (აბაშა - 182, თბ. - 145, ფოთი - 70). კომლი: ნაესაკაო - 17, წყემი - 15, აბაშა - 7, ბანძა - 4, შ. ხორგა - 4 და სხვ. ტოპ.: საკიზირიო - ერქვა უბანს რიონის ჭალაში, გამოღმა კოდორისა და მეორე ეწრის საზღვარზე. 1914 წლის წყალდიდობის შემდეგ აიყარნენ და დასახლდნენ ძიგურში. ამჟამად აქაც ეწოდება საკიზირიო. კიდევ ერთი საკიზირიო არის ნოსირში. შდრ. კიზირიძე. 1904 წლის აღწერის მონაცემებით, აბაშასა და ნოსირში მცხოვრები კიზირიები აზნაურები იყვნენ.

კითაია - ძალზე იშვიათი გვარია. ზუგდიდსა და ოდიში დაფიქსირდა ორიოდე კომლი.

კიკაბიძე - 1041 სული (თბ. - 348, სამტრ. - 130, ქუთ. - 123). გვხვდება აბაშის რაიონშიც: აბაშა - 5 კ., გეზათი – 4 კ., მარანი 3 კ. და სხვ. გვარი დამოწმებულია 1558 წ. საბუთში (პალ, II, 508). 1904 წლის აღწერის მასალებით, ხუნწში ცხოვრობს ერთი კომლი კიკაბიძე აზნაურის წოდებისა.

კიკავა - 135 სული. თითქმის ყველა ცხოვრობს ზუგდიდის რ-ნში: ორსანტიაში დაფიქსირდა 29 კომლი. ტოპ.: ნაკიკ(ო)უ - უბანი ენგურისა და კილის წყალგამყოფზე (წყოუში, ფახულანის თემი). კიკა კოლხეთში გავრცელებული პირსახელია. შდრ.: კიკალაშვილი, კიკალეიშვილი, კიკალია და სხვ.

კიკალაშვილი - 66 სული (თბ.- 22, ზუგდ. - 12, მარტვ. - 10). -შვილ დაბოლოების შემცველი გვარების – კიკალაშვილის, კიკალეიშვილისა და კიკალიშვილის - სამშობლოა სამეგრელო. კიკალაშვილები ცხოვრობენ გაფანტულად. 1570 წლის საბუთში დამოწმებულია მახობა კიკალაშვილი (პალ, II, 509). კიკალა კიკას მოფერებითი ვარიანტია. იხ. კიკავა.

კიკალეიშვილი - 794 სული (თბ. - 189, ზუგდ. - 86, ხობი - 82). გვარის სამკვიდროა ბანძა. კომლი: ბანძა – 44, ქვ. ქვალონი – 8 კ., პ. მაისი – 6 კ., მენჯი – 4 კ., თორსა-ღლეაბა – 3 კ., ზუგდიდი – 35 კ. და სხვ. ადგ. ვარიანტი: კიკესკუა. ტოპ.: ეკიკესქუე//ეკესქუე - უბანი ონოღიის საზღვართან. ცხოვრობენ კიკალეიშვილები (ბანძა). კიკალა პირსახელია. იხ. კიკალაშვილი, კიკავა.

კიკალია - 381 სული (ზუგდ. - 267, თბ. - 49, წალენჯ. - 23). სამეგრელოში ძირძველი მოსახლე ცოტაა: ზუგდიდში ცხოვრობს 7 კომლი, სოფლებში – თითო-ოროლა. არიან ლტოლვილებიც. ტოპ.: ეკაე//ეკიკაე - უბანი ბანძაში. გვარის ფუძეა პირსახელი კიკალი. შდრ. კიკალიშვილი.

კიკალიშვილი - 1333 სული (თბ. - 321, მარტვ. - 318, ზუგდ. - 231). კომლი: ნაჯახავო - 53, ვედიდკარი - 9, მარტვილი - 7, ნახუნავო - 7, ყულიშკარი - 7, ახალაბასთუმანი - 5, რუხი - 3 და სხვ. ადგ. ვარიანტი: კიკალისქუა. ტოპ.: საკიკალისქუო//საკიკალიშვილო - უბნები ალერტკარში (ყულიწყარის მარც. მხარეს) და რუხში. გადმოცემით, რუხს მცხოვრები კიკალიშვილების წინაპრები "ბილაგორიდან" (ხარაგაული) მოსულან გორდში, ხოლო იქიდან აქ ჩამოჰყოლიან „გრამატას". რუხში მოსახლე დავით სანდროს ძე კიკალიშვილს (დაბად. 1900 წ.) ამ მეოთხედი საუკუნის წინათ ჰქონდა

„კაცის თოფი“, რომელიც ბაბუამისს გორდიდან წამოეღო. თოფის კონდახზე იყო წარწერები: „1765 წელს სიმონი მურზაყანის ძე კიკალიშვილი, სოფელ გორდიში. 1815 წელს მის ძე - ნიკოს ზუგდიდს გადმოსვლისას. 1874 წელს შვილისშვილ სანდრო კიკალიშვილს ქალაქ ზუგდიდში“. XVIII ს. დამლევის საბუთში დასახელებულია „კონტოეთს“ მცხოვრები მებეგრე ხონის საყდრისა ძღინკიელა კიკალისშვილი (ქსძ, III, 1074). გვარი წარმოქმნილა სამეგრელოში პირსახელ კიკალ-ისაგან, რაც კიკა-ს მოფერებითი ვარიანტია. შდრ. კიკალია.

კიკიანი - 98 სული (თბ. - 35, ზუგდ. - 24, მარტვ. - 13). კომპაქტური დასახლება დაფიქსირდა კურზუში (3 კ.) ადგ. ვარიანტი: კიკია. ტოპ. ლეკიკიე - კიკიანების ნასახლარი ფერდობები სამარღიოში (პალური). ნაკიანი (←ნაკიკიანი) - სოფელი ზანისა და ღვიის მარც. მხარეს, თემის ცენტრი (ხხოროწყუს რ.). გვარი წარმოქმნილია სამეგრელოში კიკი პირსახელისაგან. შდრ. კეიტატიახი. იმერელი კიკიანები აზნაურები ყოფილან.

კიკნაველიძე - 1654 სული. იმერული გვარია. ლესიჭინეში მოსახლეობს 3 კომლი.

კიკორია - 409 სული (ზუგდ. - 139, თბ. - 81, წალენჯ. - 58). ძირძველი მცხოვრები სამეგრელოში ძალზე იშვიათია. არიან ლტოლვილები. ისტორიულ საბუთებში დამოწმებულია ამავე ფუძის შემცველი გვარები კიკორაძე და კიკურია: 1578 წელს ქუთაისში მცხოვრებ კიკორაძეს ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა (პალ, II, 509). 1616-1621 წწ. საბუთის მიხედვით, დარჩელს მცხოვრები კიკურია სამართალია ცაიშის საყდრის მებეგრეა (ქსძ, III, 458). კიკორი კიკო-ს საალერსო ვარიანტია.

კილაბერია - 127 სული (თბ. - 27, ლახჩ. - 23, აბაშა - 19). დაფიქსირდა რამდენიმე კომლი სენაკის რ-ნში (გეჯეთი – 2 კ., თეკლათი – 2 კ. და სხვ). კილაბერი ნიშნავს კილას ვაჟიშვილს. ან კილა ვაჟს. კილა პირსახელია. შდრ. კილაძე (გვხვდება XVI-XVII სს. საბუთებში), კილავა, კილანავა.

კილავა - 65 სული (ზუგდ. - 43, ტყიბ. - 8, წალენჯ. - 7). მცირერიცხოვანი გვარია. ათიოდე კომლი მოსახლეობს ქ. ზუგდიდში, ზუგდიდისა და წალენჯიხის რ-ნების სოფლებში. გვარებისათვის – კილავა, კილანავა, კილასონია, კილაძე, კილაბერია – ამოსავალია პირსახელი კილა. ამასთახავე, კილა მეგრულში ცოცხალი სიტყვაა და აღნიშნავს კლიტეს, გასაღებს. რამდენიმე მნიშვნელობა აქვს კილი სიტყვასაც: „წუნი, ნაკლი; კონა; შერქმეული სახელი“. დაბოლოს, არაა გამორიცხული, კილავა გურია-იმერეთში ფართოდ გავრცელებული კილაძის (4747 სული) გამეგრულებული ვარიანტი იყოს.

კილანავა - 205 სული (თბ. - 108, ზუგდ. - 69, წალენჯ. - 15). გვარი ძირითადად სამურზაყანოშია განსახლებული. ამჟამად არიან ლტოლვილები წალენჯიხისა და ზუგდიდის რ-ნებში. კილანა უნდა ჩაითვალოს პირსახელ კილა-ს კნინობით-მოფერებით ვარიანტად.

კილასონია - 2514 სული (სენაკი - 535, თბ. - 416, მარტვ. - 325). საქართველოში 314-ე ადგილზეა, ხოლო სენაკის რ-ნში - მე-11-ზე. კომლი: ნოსირი - 82, დ. ჭყონი - 59, ნაქალაქევი - 29, საჯიჯაო - 24, წყემი - 21, თამაკონი - 16, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) - 8, ხობი - 7, ძვ. სენაკი - 5, ინჩხური - 4, ცაიში - 4 და სხვ. გვარის ერთ-ერთი მთავარი და ძირითადი საცხოვრისია სოფელი საკილასონიო ტეხურის მარც. ნაპირას (ნოსირის თემი). ინფ.: "კერესელიძეები ვყოფილვართ რაჭიდან. იქიდან გამოქცეული ოტია აქ უღრან ტყეში გაჩერებულა, სამი ჭადრის ტოტი მიწაში ჩაურჭვია, ზედ ნაბადი გადაუფარებია და ღამე გაუთენებია (ერთი ტოტი შეფოთლილა და გაზრდილა. იმ ადგილს ამჟამად ეწოდება ჭადარჯინჯი). თურმე დადიანების სამფლობელოში აღმოჩნდა. კვამლით მიაგნეს. მერე ოტია დადიანს, რომელსაც მშვილდ-ისრით მოკლული შველი მიართვა, უბოძებია ტერიტორია, რასაც კი ერთ დღეში დაივლიდა... ჩვენი წინაპრები სალოცავად დადიოდნენ რაჭაში 15 აგვისტოს, ან აგზავნიდნენ ორ-ორ შაურს, სანთელს. მერე თურმე თითო-თითო მანეთი გადაიხადეს და აქ მთავარანგელოზის ეკლესიას მიეწერნენ“. სხვა ტოპონიმები: ლეკილასონიე - უბანი ჩხოუშიის მარც. მხარეს (პ. გურძემი) და ყოფილი დასახ. უბანი ლედგებეში. საკილასონიო - უბნები ურთაში, გახომელაში, ზენსა და ჯაპშაქარში (ორივე საჯიჯაოს თემი. აქაური კილასონიები კიწიიდან მოსულან). გ. ბედოშვილის აზრით, გვარის თავდაპირველი ფორმაა კილა-ს-ან-ია, სადაც შთამომავლობა-წარმომავლობის აღმნიშვნელი –ან სუფიქსი დაერთვის პირსახელ კილას ნათესაობითი ბრუნვის ფორმას: კილა-ს-ან-ია → კილასონია (ა ხმოვნის დისიმილაციით. იხ. ბედოშვილი, 1997, გვ. 39).

კილაძე - 4747 სული. გურიასა და იმერეთში ფართოდ გავრცელებული გვარი გვხვდება სამეგრელოშიც: პ. ფოთი - 4 კ., ნაქალაქევი - 3კ. და სხვ. XVI-XVII სს. საბუთებში დასახელებულნი არიან ფარცმანაყანევს, ბაილეთს, ჩხარს მცხოვრები კილაძეები (პალ, II, 510-511). იხ. კილავა.

კილტავა – იხ. კირტავა.

კინტირაია - 133 სული (მარტვ. - 72, სენაკი - 17, ფოთი - 17). კომლი: აბედათი - 17, თეკლათი - 3 და სხვ. ტოპ.: ნაკინტირ – ტყე-ფერდობები ლეპეეიეში (ლექარჩე). კინტირი კიტრია, კინტირა კი მეტსახელია. კინტირია გვარიცაა (იშვიათად) და მეტსახელიც.

კინტრაია – 31 სული. დასტურდება რუსთავსა (19 სული) და თბილისში (10 სული). ერთი კომლი აღმოჩნდა ზუგდიდშიც. შდრ.: კიტრიშვილი, კიტრიაშვილი, კინტირაია..

კინწურაშვილი - 2596 სული. სულთა რაოდენობით საქართველოში 293-ე ადგილზეა. ფართოდაა გავრცელებული იმერეთში. გვხვდება სამეგრელოშიც. კომლი: სენაკი - 4, ნოსირი - 3, სამიქაო - 3 და

სხვ. ადგ. ვარიანტი: კინწურასქუა. ტოპ.: საკინწურაშვილო//საკინწურასქუო - უბანი ეკის მთის ძირას (სენაკი). გორდიდან მოსული სამი ძმა ახლომახლო დასახლებულა და გამრავლებულა. აქ მცხოვრები კინწურაშვილები ქმნიან ორ შტოს და ორ ქვეუბანს: მიკოხონარეფი "აღმოსავლელნი. იქითურნი" და მგკოხონარეფი "დასავლელნი. აქეთურნი". იგივე ფუძე ჩანს კინწურიაშიც (55 სული ქუთაისსა და წყალტუბოში). კინწი კოლხეთში პირსახელია. კინწურა მისი მოფერებითი ვარიანტია. 1904 წლის აღწერის მასალებით, შხეფში მოსახლეობს 10 კომლი კინწურავა და 13 კომლი კინწურაშვილი.

**კინწურეიშვილი** - 28 სული (ფოთი - 12, ხობი – 12, თბ. - 4). კომლი: ქვ. ქვალონი -4, ქვ. ჭალადიდი - 3 და სხვ. გვარის წარმოქმნის გზა: კინწურა →კინწურაიშვილი →კინწურეიშვილი.

**კინწურია** – იხ. კინწურაშვილი.

**კირთაძე** 1893 სული. ქვემო იმერეთში ფართოდ გავრცელებული გვარი გადასულია სამეგრელოშიც და ქმნის მცირე-მცირე დასახლებებს ცხენისწყლისპირა ხუნწიდან ენგურისპირა რიყემდე. კომლი: ხუნწი - 11, რიყე - 9, ქვ. ჭალადიდი - 9, ახალხიბულა - 5, მარტვილი - 4, ცაიში - 4, ჯიხაშკარი - 3 და სხვ. გვარი დამოწმებულია 1569 წლის საბუთში (პალ, II, 513).

**კირტავა** - 330 სული (სენაკი - 90, თბ. - 43, წყალტ. - 40). კომლი: თეკლათი - 12, ნახუნაო - 6, ნოსირი - 3 და სხვ. ტოპ.: ეკირტე - უბანი კალამონის კალთის ძირას (ჭაბურთა). ნაკირტ(ო)უ - სახნავი კოკათში (ბობოთი). ნაკირტუ - სერი არჯანიაშ ღეის მარჯ. მხარეს (წინაკვერკვე). იშვიათი საპასპორტო ვარიანტია კილტავა (40 სული. თბილისი, ბათუმი). კირტე იგივე კლიტეა. ალბათ ამ სიტყვასაც აქვს შანსი მეტსახელად ქცევისა. სხვა ვარიანტი: კირტი მეგრულში აღნიშნავს შარს (კირტიშ ეცოთამა "შარის ატეხვა"). კირტა შარიანი კაცის ეპითეტია და შეიძლებოდა მეტსახელადაც ქცეულიყო. დაბოლოს: კირი სახელია სვანეთში. კირა დაფიქსირებულია "ტბეთის სულთა მატიანეში" (შესაძლოა, ორივე იყოს კირილეს შემოკლებული ვარიანტი). კოლხეთში გავრცელებულია პირსახელი კირიკიაც. ეს ფაქტები გვავარაუდებინებს კირიტი ვარიანტსაც, სადაც –იტ მოფერებითი სახელის წარმომქმნელი სუფიქსია: კირიტი →კირიტა→კირიტა-ვა →კირტა-ვა. იხ. კვირტია.

**კირცხაია** - 32 სული. იშვიათი გვარია. ახალკახათში დაფიქსირდა 2 კომლი. შდრ. კირცხალია.

**კირცხალია** - 452 სული (სენაკი - 197, თბ. - 65, ფოთი - 32). კომლი: ძვ. სენაკი - 5, ნოსირი - 4, ლეძაძამე - 4, კეთილარი – 3, ქ. სენაკი – 9 კ. და სხვ. ტოპ.: ლეკირცხალიე - უბანი კვარჩხიღალის მარც. მხარეს (ბეთლემი). საკირცხალიო - უბანი პ. ნოსირში, ნოსირის საზღვართან. კირცხი მეგრულში სეტყვაა, ხოლო კირცხალი ფიცხი და კერკეტი კაცის ეპითეტია.

**კიტეიშვილი** - 53 სული (რუსთ. - 19, მარტვ. - 14, თბ. - 13). აბედათში სახლობს 6 კომლი. ადგ. ვარიანტი კიტესქუა ჩანს ტოპონიმშიც: კოკუღეის მარც. მხარეზე სახნავს ეწოდება ნაკიტესქუ (აბედათი). კიტა კოლხეთში პირსახელია (კიტაიშვილი →კიტეიშვილი)..

**კიტია** - 565 სული (ზუგდ. - 198, თბ. - 69, სენაკი - 21). კომლი: ნოჯიხევი - 12, ახალხიბულა - 8, ძვ. ხიბულა - 7, ხობი - 4 და სხვ. ტოპ.: საკიტიო - უბნები ნოჯიხევსა (ე.წ. მეორე ხობში) და ახალხიბულაში (ჭანისწყლის მარც. მხარეს). XVII ს. პირველ მეოთხედში კიტიებს უცხოვრიათ მუხურში (გალის რ.): 1621 წ. შედგენილ დავთარში ჩამოთვლილნი არიან კიტიები (თაიმაზ, ქვაქვალია, ქერაბინ, მამულია, ბაბაკვა, შურიმიდგი, ჯგერგეკოჩი, ელიჯარ, გავაშელ, ამულა(მ)ბარ, კვერკვეშია, მიხილია, დემეტრე, პირნათე), რომელთაც ემართათ აფხაზეთის საკათალიკოსო გადასახადი (ქსძ, III, 426-428). კიდევ ერთი კიტია, სახელად მამისმამა, დასახელებულია ცაიშის საყდრის მებეგრეთა შორის (1616-1621 წწ.). კიტია (← კიტე-ა) კოლხეთში პირსახელიცაა და გვარსახელიც.

**კიტოვანი** - 84 სული (თბ. - 45, ქუთ. - 19, მარტვ. - 11). ქვაითში დადასტურდა 11 კომლი. ამოსავალია პირსახელი კიტი. მაშასადამე, კიტოვანი აღნიშნავს კიტის (კიტას) შთამომავალს.

**კიუტი** - 75 სული (ზუგდ. - 48, თბ. - 10, კოდორის ხეობა – 5). კომპაქტური დასახლება არ დაფიქსირდა. ზუგდიდის რ-ნში დადასტურდა ორიოდე ძირძველი კომლი. არიან ლტოლვილებიც. კიუტი მეგრულში საზოგადო სახელიცაა და აღნიშნავს კირკიტა, ყველაფერზე დაეჭვებულ კაცს. კიუტები ცხოვრობდნენ კინდღში: XIX ს. შუა წლებში მონათლულთა შორის დასახელებულნი არიან საგესა კიუტი და სოფუჯი კიუტი (გასვიანი, 1991, გვ. 180).

**კიფაია** – იშვიათი გვარია. ზუგდიდში დაფიქსირდა რამდენიმე კომლი.

**კობახია** – 153 სული (ზუგდ. - 55, თბ. - 25, ბორჯ, - 10). კობახიძის (იხ.) ვარიანტია. ორიოდე კომლი. დაფიქსირდა ზუგდიდში. ტოპ.: ლეკობახე - ბორცვი ინწირის მარც. მხარეს (საჩინო).

**კობახიძე** – 7271 სული. მთელ საქართველოში (31-ე ადგილი) და, კერძოდ, რაჭასა (676 სული. IV ადგილი) და იმერეთში (2661 სული. 26-ე ადგილი) ფართოდ გავრცელებული ეს გვარი სამეგრელოშიც გვხვდება: ბულიწყუ – 36 კ., ხამისქური – 9 კ., ძვ. ხიბულა – 5 კ., ხეთა – 5 კ., ხობი – 4 კ., ზუგდიდი – 15 კ. და სხვ. ადგ. ვარიანტი: კობახია. ტოპ.: საკობახიო – უბნები ბულიწყუში (აქაური კობახიძეები ჩამოსულან ნიკორწმინდიდან), ძვ. ხიბულაში (საჭანიოსა და ჯიხაფერდს შუა), ტყე პ. გურიფულისა და გამოღმა პირველი ხორგის საზღვარზე (ეკუთვნოდა მემამულე კობახიას). ნაკობახ - სახნავი სამგალობლიშვილოში (ჭაქვინჯი). ნაკობახუ – სახნავი საქვარაიოში (ძვ. ხიბულა). გვარი კობახიძე

გვხვდება 1676 წ. საბუთში (პალ, II, 519). გამოყოფენ ხ სუფიქსს, რომელსაც წარმომავლობა-განკუთვნების აღნიშვნის ფუნქცია უჩანს. მაშასადამე, კობახი უნდა გავიაზროთ როგორც კობას შთამომავალი. 1904 წელს აბასთუმანში მცხოვრები კობახიძეები თავადები იყვნენ, ხოლო ხეთაში მცხოვრები კობახიძეები – აზნაურები.

კობრავა – 233 სული. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია სამტრედიის რ-ნში. სამეგრელოში იშვიათია, დაფიქსირდა ორიოდე კომლი აბაშის რ-ნში. კობრი მეგრულში ეწოდება ერთგვარ თევზს, ხოლო კობერი ზემო აჭარაში აღნიშნავს სიმინდის გაფშვნილ ტაროს. ორივე ეს სიტყვა შეიძლებოდა მეტსახელად, ხოლო შემდეგ გვარად ქცეულიყო (მაგ., კობერი → კობერა →კობერა-ვა→კობრავა).

კოდუა – 961 სული (ზუგდ. - 550, თბ. - 142, ფოთი – 60). კომლი: აბასთუმანი – 66, ხეთა – 18, დარჩელი – 13, ხობი – 10, კოკი – 8, ჭითაწყარი – 7. ოქტომბერი – 6, ორულუ – 6, ინგირი – 5, თორსა-ღლვაბა – 4, ანაკლია – 3, ქარიატა – 3 და სხვ. .ტოპ.: საკოდუო – დიდი უბანი ურთის მთის ძირას (აბასთუმანი). იყოფა მიკროუბნებად მცხოვრებთა სახელწოდების მიხედვით: ფოქოშარეფი (ფოქოში ეწოდება ჩხაიის ხეობას), გილაგინძარეფი (გილაგინძე მინდორია კაკოჩეთში) და საბეკარეფი (საბეკიც ადგილის სახელია). გვარი გვხვდება ისტ. წყაროებში: XVI ს. დამლევის საბუთში დასახელებულია კაცობაი კოდუა (ქსძ, III, 383). "საცაიშლო დავთარში" (1616-1621 წწ.) აღნიშნულია, რომ ცაიშში მცხოვრებ ვაგიკონდი და ჯამარიბა კოდუებს და დარჩელში მცხოვრებ სამართალია კოდუას ემართათ ცაიშის საყდრის ბეგარა (ქსძ, III, 444, 457). 1706 წლის საბუთით, ზუბალაი კოდუასაც მართებს საეკლესიო გადასახადი (იქვე, 649). ხობს მცხოვრები ხუტუ და გელი კოდუები XVIII ს. პირველ ნახევარში ბიჭვინთისათვის შეუწირავთ (იქვე, 762, 771). კოდი პირსახელია და გვავარაუდებინებს კოდო ვარიანტსაც (კოდო-ა →კოდუა). შდრ.: კოდაშვილი, კოდიაშვილი, კოდოშვილი.

კოზმავა – 392 სული (ზუგდ. - 109, ჩხორ. - 101, თბ. - 74). კომლი: კირცხი – 15, წალენჯიხა - 5, თაია – 3 და სხვ. კოზმა უთუოდ გვარია 1628 წელს შედგენილ ერთ საბუთში, სადაც ნათქვამია, რომ კოზმა ხახუტაი, ღალიძგას მცხოვრები, ლევან დადიანმა შესწირა ბიჭვინთას (პალ, II 522). კოზმა კოზმანის შემოკლებული ვარიანტია. შდრ.: კოზმანაშვილი, კოზმანიშვილი.

კოზუა – 73 სული. გვარი თითქმის მთლიანად განსახლებულია ზუგდიდის რ-ნში: ახალსოფელში ცხოვრობს 10 კ., კახათში – 3 კ. და სხვ. ტოპ.: ლეკოზუე//ლოკოზუე – კოზუების ნასახლარი ვაკე-ფერდობები ჩხოუშიის მარჯ. მხარეს (ჭკადუაში). კოზუა დაფიქსირებულია 1690 წლის საბუთში (პალ, II, 523). კოზო კოზმანის შემოკლებული ვარაინტი ჩანს (კოზო → კოზო-ა→კოზუა).

კოთორია – გვარს აღადგენს ტოპონიმი ლეკოთორე//ლექოთორე. ეს სახელი შერჩენია ვაკე-ფერდობებს ტეხურის ხეობაში, დობერაზენიდან რამდენიმე კილომეტრზე.

კოკაია – 1 974 სული (თბ. - 499, მარტვ. - 357, სენაკი – 285). კომლი: დ. ჭყონი – 49, ნაჯახავო – 31, ზანათი – 17, ნაქალაქევი – 13, პ. ფოთი – 9, ახალსოფელი (სენაკის რ. ) – 7, ნოსირი – 5, უშაფათი – 4, მარტვილი – 3, სერგიეთი -3, წყემი – 3 და სხვ. ტოპ.: ლეკოკაიე – სოფელი ეკუსქურის მარჯ. მხარეს, უშაფათის თემში. ლეკოკაიე ამ სოფელში ეწოდება კოკაიების უბანსაც ეკუსქურის შუა წელზე. ზ. ჭუმბურიძის აზრით, კოკაია მიღებულია კოკარიასაგან, ხოლო კოკარია სადაურობის სახელია: კოკი →კოკარი →კოკარია →კოკაია (ჭუმბურიძე, 1987). ამასთანავე, კოკი და მისი ვარიანტები კოკა, კოკინა, კოკილა, კოკო... პირსახელებია და მათგანა ჩანს წარმოქმნილი გვარები კოკაია, კოკაშვილი, კოკა-ისშვილი, კოკოშვილი, კოკოლიშვილი, კოკოლაშვილი, კოკოლაძე, კოკოლია (იხ. პალ, II, 523-524).

კოკუა – გვარს აღადგენს ტოპონიმი ნაკოკუ. ასე ეწოდება მინდორს ჭყონიშელის ხეობაში (წაჩხური). კოკო პირსახელია. მაშასადამე: კოკო →კოკო-ა →კოკუა. შდრ. კოკუაშვილი.

კომახიძე – 1353 სული. გვარის სამშობლოა აჭარა (ხელვაჩ. - 233, ბათ. - 193 და სხვ.) კომლი სამეგრელოში: პ. მაისი – 14, ქოლობანი – 4 და სხვ. გ. როგავა კომახიძეს თვლის კობახიძის ვარიანტად (როგავა, 1955, გვ. 9).

კონტუაძე – 54 სული. ეს -ძე სუფიქსიანი გვარი ძირითადად მარტვილის რ-ნშია განსახლებული: ბანძაში დაფიქსირდა 10 კომლი. გვხვდება სენაკშიც.

კონჯარია – 866 სული (ზუგდ. - 234, წალენჯ. - 227, თბ. - 132). კომლი: ობუჯი – 29, ძვ. ხიბულა – 13, ქარიატა – 7, ნოჯიხევი – 6, საჯიჯაო – 3, წალენჯიხა - 3 და სხვ. ტოპ.: საკონჯარიო – უბანი ძვ. ხიბულაში. მე-17 ს-ში კონჯარიებს უცხოვრიათ ნაჭანეულში (ამჟამინდელი ოტობაია გალის რ-ნში). "საცაიშლო გამოსავლის დავთარში" (1616-1621 წწ.) აღნიშნულია, რომ ნაჭანეულში მცხოვრებ მამალეი, გიორგი, ხახუტა, თოსკვამია, გვანიშა კონჯარიებს ემართათ აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა (ქსძ, III, 422-423). აქვეა მინაწერი: დოხვადი კონჯარიასათვის ნაბოძები გლეხის სახლიკაცი "თუ ამ კონჯარიას გვარის კაცმან გაყიდოს... ჩვენიმც ცოდვა აქუს". გვარში გამოიყოფა სადაურობის სუფიქსი –არ, მაგრამ საძიებელია ადგილის სახელწოდება კონჯა.

კოპალეიშვილი – 1718 სული. გვარი ძირითადად ქვ. იმერეთშია გავრცელებული და სამტრედიის რ-ნიდან მიგრირებულია მეზობელ აბაშის რ-ნში: პ. მაისში ცხოვრობს 3 კომლი. "აფხაზეთის

საკათალიკოსო დავთარში“ დამოწმებულნი არიან ჯიქთუბანს მცხოვრებნი მამაგულა კოპალეისშეილი, აგრეთვე ივანია და ზაქარია კოპალაისშვილები (ქსძ, III, 411).

კოპალიანი – 4432 სული. გვარი გავრცელებულია ლეჩხუმსა და იმერეთში. კომლი სამეგრელოში: ნაკიფუ – 4, ყულევი – 4 და სხვ.

კორზაია – კორძაიას ვარიანტია. აღადგენს ტოპონიმი ნაკორზუ (ბორცვი სამესხიოში). 1904 წლის აღწერის მონაცემებით, კორზაიები აზნაურები არიან და ცხოვრობენ საჩიქობავოში, მარანში, ცილორში, გაუწყინარში, თხმელარში, ქვიშახჭალაში, გულეიკარში, ტოლებში.

კორთხონჯია – 339 სული (მარტვ. - 197, სენაკი – 43, ზუგდ. - 33) კომლი: დ. ჭყონი – 26, კიწია – 10, გურძემი – 7, ოქტომბერი – 4, მარტვილი – 3 და სხვ. იშვიათად გვხვდება ვარიანტი კოთხონჯიაც (ზუგდიდში, ქუთაისში). ტოპ.: ლეკორთხონჯე//საკორთხოხჯიო – უბანი კორჩე-გურძემიის წყალგამყოფზე (მ. კიწია). ნაკორთხონ(ჯ)უ – ვაკე ჭანისწყლის მარც. მხარეს (ნაკიფუ). კოთხოჯი, კოთხოჯა რაჭაში პირსახელებია (ქსს, 1986). მეგრულში რ ჩართვია.

კორკელია – 495 სული (ზუგდ. - 322, თბ. - 58, ფოთი – 52). კომლი: დარჩელი – 14, ოდიში – 4, რიყე – 3, ხობი – 3 და სხვ. ტოპ.: საკორკელიო – უბანი ჭითაწყარში (დარჩელის თემი).

კორკოტაძე – 540 სული. აღმ. საქართველოში გავრცელებული ეს გვარი სამეგრელოშიც გვხვდება: ახალსოფელში (ზუგდიდის რ.) ცხოვრობს 3 კომლი. კორკოტა მეტსახელი ჩანს. შდრ. კორკელია.

კორსავა – 164 სული (თბ. - 87, მარტვ. - 52, სენაკი – 13). კომლი: ნაჯახავო – 9, ნახუნაო – 4, აბედათი – 3 და სხვ. კორსა კორსანტელის შემოკლებული ვარიანტი ჩანს. იხ. კორსანტია.

კორსანტია – 393 სული (ზუგდ. - 103, თბ. - 96, წალენჯ. - 69). სამეგრელოში დაფიქსირდა რამდენიმე კომლი ძირძველი მოსახლე. არიან ლტოლვილებიც სამურზაყანოდან. ამოსავალი ფუძეა კორსანტე, რაც კორსანტელის შემოკლებული ფორმაა, ხოლო კორსანტელი იგივე კონსტანტინეა.

კორტავა – 639 სული (ფოთი – 191, ზუგდ. - 57, თბ. - 53). კომლი: პ. ხორგა – 42, ხობი – 6, ხეთა – 5, ურთა – 4, ახალსოფელი (ხობის რ.) – 3, ბულიწყუ – 3, გურიფული – 3, პ. ფოთი – 3, ქვ. ჭალადიდი – 3 და სხვ. ტოპ.: საკორტა(ო) – უბანი გამოღმა პ. ხორგაში. გვარის ვარიანტია კოტრავა: მე-18 ს. შუა წლებში "კოტრავას სახლი" შეუწირავთ ხობის ეკლესიისათვის (ქსძ, III, 882). კორტი ქართულში აღნიშნავს ამაყს, ზვიადს, ქედმაღალს და ი. მაისურაძეც სწორედ ამ სიტყვასთან აკავშირებს გვარ კორტავას (მაისურაძე, 1981, გვ. 92). შდრ. ოკრიბაში, სოფელ მუხურაში, არის დამკვიდრებული გვარი კორტი. სვანეთიდან მოსული მათი წინაპარი კაცია ხეცურიანი ყოფილა მეტად ამაყი და ქედმაღალი. ამიტომ შეურქმევიათ მეტსახელი კორტი, რაც შემდეგ გვარსახელად ქცეულა (შავიანიძე, 1998, გვ. 277). ამასთანავე, მეგრულში კოტორი ნიშნავს ბაჭიასაც და მოკლე მორსაც. ორივე ეს მნიშვნელობაც შეიძლებოდა დასდებოდა საფუძვლად მეტსახელს. ამ შემთხვევაში გვარის წარმოქმნის ფონეტიკური პროცესი ასეთი იქნება: კოტორი ⟶კოტორა →კოტორა-ვა →კოტრავა (სინკოპე) →კორტავა (ბგერის გადასმა).შდრ.: კოტრავა, კოტრიკაძე.

კორშია – 339 სული (სენაკი – 228, თბ. - 36, ფოთი – 34). კომლი: უშაფათი – 27, ნოსირი – 4, ახალსოფელი (სენაკის რ.) – 3 და სხვ. ფოთში დაფიქსირდა კორშიაც და მისი ვარიანტი კორჩიაც. ტოპ.: ლეკორშიე – უბანი უჩაღალის ნაპირებზე (უშაფათი). შდრ. კორშილაძე (XVI ს. იხ. პალ, II, 536). 1904 წლის აღწერის თანახმად, საქორქიოში მცხოვრები კორშიები აზნაურები არიან. იხ. ყორშია.

კორძაია – 1131 სული (თბ. - 288, ხელვაჩ. - 158, მესტია – 125). გვარი გვხვდება სამეგრელოშიც (პ. მაისი - 9 კომლი). კორძაიები ერთ დროს თავადები ყოფილან. იოანე ბაგრატიონი მათ ოდიშის თავადთა შორის მოიხსენიებს და აღნიშნავს, რომ ისინი "არიან გვარად კურტნისძეები, ქართლიდამ მოსულნი და ამათნი რომელნიმე თავადნი არიან და რომელნიმე აზნაურნი (ეხლა მათში თავადნი არ არიან)". (ბაგრატიონი, 1997, გვ. 131). 1750-1780 წლებშია შედგენილი სათავდებო წიგნი, რომელსაც ზალიკა კორძაია აძლევს ქუთათელ მიტროპოლიტ მაქსიმეს (იხ. სოსელია, 1960, გვ. 19). ისტ. საბუთებით დაფიქსირებულია ვარიანტი კორძეია: მთავარეპისკოპოსისათვის, როცა იგი სანავარდოში ჩაბრძანდებოდა, კორძეიებს თითო ზუთხი უნდა მიერთმიათ (XVII ს. პირველი ნახევარი. იხ. ქსძ, III, 368). კორძ- ფუძე ჩანს კორძიანშიც (გვხვდება XIV-XV სს. მიჯნის სვანეთის წერილობით ძეგლში. იხ. პალ, II, 530). გადმოცემით, იფარსა და წვირმში მცხოვრებ კორძაიათა ერთი შტო სამეგრელოდან მიგრირებულთა შთამომავალია, ხოლო მეორე შტო წარმოშობით კვერზიანები არიან. შდრ. კორძაძე (1613 სული. ძირითადად იმერეთში). ძველად კორძაიები ჭილაძეების აზნაურები იყვნენ.

კორძახია – 559 სული (თბ. - 220, აბაშა – 140, სენაკი – 47). კომლი: ძე. აბაშა – 35, ნაქალაქევი – 6, აბაშა – 4, ძვ. სენაკი – 3 და სხვ. ტოპ.: ლეკორძახიე – უბანი ჯიხაში (ნაქალაქევის თემი). საკორძახიო – უბანი ცუდღარის ორსავე მხარეს (ძვ. აბაშა). ძველ აბაშაში მცხოვრები კორძახიების წინაპრები ყოფილან კორძაიები ნოქალაქევიდან, სადაც ბოლო დრომდე მიჰქონდათ შესაწირავი და მოილოცავდნენ "ჯინჯი ხატს" (გაბელაია, 1998, გვ. 69). გვარი ნაწილობრივ შეუცვლიათ კვალის დაფარვის მიზნით. კორძახია-ში გამოიყოფა შთამომავლობა-მემკვიდრეობის გამომხატველი ხ სუფიქსი. კორძა ფუძე კორძაიაშიც გვხვდება.

კოსტავა – 1086 სული. გვარის ძირითადი საცხოვრისია იმერეთი და გურია. სამეგრელოში დაფიქსირდა რამდენიმე კომლი. XVIII ს. დამლევს შედგენილ საბუთში დასახელებულია ხონის საყდრის მებეგრე მჭედელი კოსტავა (ქსძ. III, 1089). კოსტა არის კონსტანტინეს შემოკლებული ვარიანტი. შდრ. კოსტაია - გვარი ან სახელი ხოირს (ამჟამინდელი ოხურეი სამურზაყანოში) მცხოვრებისა, რომელსაც ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა (1621 წ. იხ. პალ, II, 531. ქსძ, III, 425).

კოტარიი – 39 სული. იშვიათი გვარია. დაფიქსირდა რამდენიმე კომლი სენაკსა და ზუგდიდში. ისტ. საბუთებში დაფიქსირებულია ვარიანტები კუატარია და კოდარია: ხაჟახეულს მცხოვრებ კოჩივარა კუატარიას 1621 წ. შედგენილი საბუთის მიხედვით ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა (ქსძ, III, 420). ამავე პერიოდში კოდარია ხოთოჯიას ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა (იქვე, 465). კოტა კოლხეთში პირსახელია და კოტარი მისგანაა წარმოქმნილა –არ სუფიქსით. შდრ. კოტია, კოტუა.

კოტია – 240 სული (მარტვ. - 135, თბ. - 57, ბათ. - 9). კომლი: ბახძა – 45, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) – 3 და სხვ. კოტია პირსახელიცაა (კოტე→კოტე-ა→ კოტია). შდრ. კოტიაშვილი (ქართლი).

კოტრიკაძე – 876 სული. გვარი გავრცელებულია იმერეთსა და გურიაში და მიგრირებულია სამეგრელოშიც: ახალსოფელში (ხობის რ.) ცხოვრობს 4 კომლი.

კოტუა – 184 სული (ზუგდ. - 63, თბ. - 27, წყალტ. - 216). მოსახლეობენ არაკომპაქტურად. ზუგდიდისა და სენაკის რ-ნებში. კოტო, კოტა, კოტი სახელებია. ე.ი. კოტო → კოტო-ა →კოტუა.

კოლოშვილი – 76 სული (სენაკი – 36, თბ. - 19, ზუგდ. - 6). გვარის ბუდეა ნაქალაქევი (8 კომლი). გვარი გვხვდება 1634 წ. საბუთში: მარიამ დედოფლისათვის მზითევში გაუყოლებიათ მელეიხე ბალუაი კოლოშვილი (პალ, II, 535). სენაკის რ-ნში ერთმანეთის გვერდით სახლობენ კოლუას და კოლოშვილის გვარისანი. კოლო, კოლონა, კოლუა შეიძლებოდა შერქმეოდა პიროვნებას რაღაც ნიშნით კოლოსთან მსგავსების საფუძველზე. შდრ. კოლოსშვილი (1700 წ. პალ, II, 535).

კოლუა – 213 სული (სენაკი – 106, ფოთი – 40, თბ. - 31). კომლი: ნაქალაქევი – 8, ფოთი – 4 და სხვ. ტოპ.: საკოლუო – უბანი ფაქვის მარც. ნაპირას (უფალკარი). ინფ.: "სამი ძმა გამოქცეულა ილორიდან. ერთი აქ დარჩენილა, მეორე – ნაქალაქევში, მესამეს სამტრედიამდე მიუღწევია და კოლუაშვილად დაწერილა. მამა-პაპანი ილორში დადიოდნენ სალოცავად აღდგომის მომდევნო კვირას". შდრ. კოლუაშვილი (XVII ს. ბოლო. იხ. პალ, II, 535). კოლუაშვილები დღესაც მრავლად არიან ქვ. იმერეთში. კოლო მეტსახელია (კოლო →კოლო-ა → კოლუა).

კოშია (კოჩია) – გვარს აღადგენს ტოპონიმი ლეკოშიე//ლეკოჩიე. ეს სახელი შერჩენია ფერდობებს ოწყარიის მარც. მხარეს (ახუთი). პირსახელი კოშია დაფიქსირებულია XVII ს. ბოლოს (პალ, II, 536). არაა გამორიცხული, კორშია იყოს კოშიას რ ჩართული ვარიანტი.

კოხია – 397 სული (სენაკი – 108, ჩხორ. - 62, ზუგდ. - 52). კომლი: გეჯეთი – 14, გურძემი – 10, ლესიჭინე – 7, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) – 4, ახუთი – 3, ძვ. სენაკი – 3 და სხვ. ტოპ.: ლეკოხიე – ტყე-ფერდობები ჭოჭოლაის სათავესთან (ნახურცილავო). შდრ. კოხიაშვილი (XVII ს. იხ. პალ, II, 537).

კოხრეიძე – 2575 სული. გვარი ძირითადად იმერეთშია განსახლებული. მიგრირებულია სამეგრელოშიც: პ. მაისი – 4 კ., ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) – 3 კ. და სხვ.

კუბეცია – 99 სული (სენაკი – 46, თბ. - 25, ფოთი – 19). კომპაქტური დასახლება არ დადასტურდა, მოსახლეობენ გაფანტულად (სენაკში – 3 კომლი). კუბეცი მეგრულში აღნიშნავს ძუნწს, მაგრამ რუსულ კუპეც-თან მისი დაკავშირება გაჭირდება, რადგანაც გვარი კუბეცია დაფიქსირებულია ჯერ კიდევ 1628 წ. საბუთში: გურმიხილი კუბეცია ლევან დადიანს შეუწირავს ბიჭვინთის ღმრთისმშობლისათვის (პალ, III, 538). 1904 წელს მოხაში მცხოვრები კუბეციები აზნაურები იყვნენ.

კუდავა – 153 სული (მარტვ. - 64, ზუგდ. - 38, თბ. - 26). კომლი: ნაგვაზავო – 12, კახათი – 6, სერგიეთი – 4 და სხ. ტოპ.: ეკუდე – უბანი ცხენისწყლის მარჯ. მხარეს (ზ. ნაგვაზავო). გვარის ფუძეა პირსახელი კუდა. ამასთანავე, სამეგრელოში კუდა ერთგვარ საყმაწვილო სენიცაა. სათანადო მოტივაციის არსებობისას ასეთი სიტყვაც შეიძლება იქცეს მეტსახელად. შდრ. კუდარავა (იმერეთი).

კუდელია – გვარს აღადგენს ტოპონიმი ლეკუდელე (მთაა ტეხურ-ხობისწყლის წყალგამყოფზე).

კუკავა – 1848 სული (ზუგდ. - 883, ხობი – 421, წალენჯ. - 258). კომლი: ხამისქური – 100, დიდი ნეძი – 64, ცაიში – 23, ფახულანი – 22, ხეთა – 16, ოქტომბერი – 6, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) – 4, განარჯიის მუხური – 4, გურიფული – 4 და სხვ. ტოპ.: ლეკუკე – უბანი ოლორის მარჯ. ნაპირას (ფახულანი). იყოფა: ჟინეკვე (←ჟინი ლეკუკე "ზემო ლეკუკე". სერზეა, ოლორსა და ტებზენეს შუა) და თუდოლენი ლეკუკე "ქვემო ლეკუკე". საკუკა – უბანი ცაცხეში (ცაიშის თემი). საკუკავო – სოფელი ურთის მთის კალთაზე (ხამისქურის თემი). აქაური კუკავები მოსულან ფახულანიდან და თან მოუტანიათ წმ. გიორგის ხატი. საკუკაო – უბნები ცაიშის კახათსა და დიდი ნეძის კახათში. 1621 წლის საბუთში ნათქვამია, რომ კუკაას და ივანე კუკას, ხაუჟელში მცხოვრებთ, მართებთ აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა (ქსძ, III, 431-432). ეს კუკაა და კუკა არის ამჟამინდელი კუკავა. პირსახელი კუკა გავრცელებულია დას. საქართველოში (ქსს, 1986). შდრ.: კუკანია, კუკულავა, კუკულაძე

**კუკანია** – 165 სული (მარტვ. - 82, ქუთ. - 22, თბ. - 11). კომლი: დ. ჭყონი – 13, გაჭედილი – 3, მარტვილი – 3, პ. ფოთი – 3 და სხვ. კუკანი პირსახელ კუკას მოფერებითი ვარიანტია.

**კუკულავა** – 295 სული. გვარი გურიაშია გავრცელებული,. მაგრამ სამეგრელოშიც რომ გვხვდებოდა, ამას ადასტურებს ნაკუკულ//კუკულური – ცუდღარის მარც. შენაკადის სახელი (სუჯუნა). კუკულა, ისევე როგორც კუკანი, კუკას მოფერებითი ვარიანტია.

**კუკუტარია** – სამეგრელოში იშვიათია გვარია: ფოთში დაფიქსირდა ორიოდე კომლი. შდრ. კუკუტაია: 1550 წელს ბედინაი კუკუტაიას ემართა ხოფის ეკლესიის 15 თეთრი (პალ, II, 539).

**კულუა** – 122 სული. გვარი გვხვდება სენაკისა და ხობის რ-ნებში, ზუგდიდში, ფოთში. კომპაქტური დასახლება აღინიშნა მხოლოდ გურიფულში (7 კომლი). ტოპ.: საკულუო – უბანი თეკლათში, სენაკის საზღვართან. კულო პირსახელია. მაშასადამე: კულო →კულო-ა →კულუა.

**კუნჭულია** – 806 სული. გავრცელებულია გურიაში. სამეგრელოში მის არსებობას ადასტურებს ტოპონიმი ნაკუჭულუ. ესაა ბორცვი ლეგახარეში. კუჭა, კუჭული, კუჭულა, კუჭუნა მოფერებითი სახელებია, რომლითაც ახლობლები მიმართავენ ბავშვს და რომელიც შეიძლება მოწიფულობაშიც შერჩეს ადამიანს. მაშასადამე, სავარაუდოა, კუჭული → კუნჭულია (6 ჩანართია).

**კუპრავა** – 1321 სული (ზუგდ. - 327, თბ. - 232, მარტვ. - 217). კომლი: ლეხაინდრავო – 46, ძვ. აბაშა – 18, კახათი – 11, წყემი – 7, აბედათი – 5, ძვ. სენაკი – 5, ეკი – 4, აბაშა – 4, ნოსირი – 4, კეთილარი – 4, მარტვილი – 3 და სხვ. ტოპ.: საკუპრაო – უბანი შქასოფელში (ძვ. აბაშა). კუპრა, საქართველოში გავრცელებული სახელი, მეგრულში შავგვრემანი კაცის ეპითეტია და მეტსახელადაც გვხვდება. გადმოცემით, ილორის ეკლესია ვერ შენდებოდა, ინგრეოდა, სანამ კუპრავა გვარის და-ძმა არ ჩაატანეს საძირკველში (აბაკელია, 1999, გვ. 297). ძველ აბაშაში მოსახლე კუპრავების გადმოცემით, მათი წინაპრები სწორედ ილორიდან არიან ჩამოსულნი. გვარი პირველად მოიხსენიება 1767 წლის შეწირულების წიგნში (გაბელაია, 1998, გვ. 69). შდრ. კუპრაძე, კუპრეიშვილი.

**კუპრაძე** – 1528 სული. გვარი გავრცელებულია გურიასა და იმერეთში. ახალსოფელში (ხობის რ.) დაფიქსირდა 5 კომლი. იხ. კუპრავა,

**კუპრეიშვილი** – 1928 სული (სენაკი – 638, აბაშა – 362, თბ. - 301). როგორც ამ მონაცემებიდანაც ჩანს, გვარის სამშობლოა სამეგრელო. კომლი: გეჯეთი – 77, წყემი – 42, სუჯუნა – 22, აბაშა – 19, ახალსოფელი (სენაკის რ.) – 11, აბედათი – 9, საჯიჯაო – 6, ნოსირი – 6, კეთილარი – 4, ნაესაკაო – 4, ონტოფო – 4 და სხვ. ადგ. ვარიანტი: კუპესქუა. ტოპ.: საკუპესქუო – უბნები ზენში (საჯიჯაოს თემი). პ. ნოსირში, ისულაში. კუპრეიშვილები, ისულას ერთ-ერთი პირველმოსახლენი, მოსულან გურიიდან. გვარის წარმოქმნის გზა ასეთია: კუპრა →კუპრაიშვილი →კუპრეიშვილი. იხ. კუპრავა, კუპრაძე.

**კურდღელია** – 398 სული (ზუგდ. - 111, მარტვ. - 100, სენაკი – 49). კომლი: თამაკონი – 10, აბედათი – 6, დოშაყე – 6, ძვ. სენაკი – 6, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) – 5, კიწია – 3 და სხვ. ადგ. ვარიანტები: ყურდგელია, ცურდგეია. ტოპ.: ეკურდღეე – ფერდობები იზდორეთში (ლემიქავე). ნაცუ(რ)დგეჟუ – საძოვარი ბუჯერის კალთაზე (თამაკონი). საკურდღელიო – უბანი ყულიწყარის მარჯ. მხარეს (ოფაჩხაფუ). კურდღელი, კურდღელა აშკარად მეტსახელია. შდრ. კურდღელაძე, კურდღელაშვილი, რომლებიც ისტ. წყაროებში დაფიქსირებულია XVI-XVII სს. (პალ, II, 542).

**კურტანიძე** – 5580 სული. საქართველოში 63-ე ადგილზეა. გავრცელებულია იმერეთში. გვხვდება სამეგრელოშიც (ქვ. ჭალადიდი - 3 კომლი). გვარი დოკუმენტირებულია XVII ს-დან (პალ, II, 542).

**კურცხალია** – 402 სული (ზესტ. - 93, თბ. - 86, ქუთ. - 53). გვარის ფუძე კურცხ- მეგრულია (კურცხე ნიშნავს მკვირცხლსაც და მღვიძარესაც) და შესაძლოა პიროვნებას მეტსახელად შერქმეოდა. მაგრამ გვარი კურცხალია ძირითადად იმერეთშია გავრცელებული, სამეგრელოში კი მხოლოდ ორიოდე კომლი დაფიქსირდა. გვარი გვხვდება 1680 წ. საბუთში: ზაალ წერეთლის მიერ ქაიხოსრო წერეთლისათვის მიცემული ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნის მოწმე ყოფილა ფირან კურცხალია (პალ, II, 543). კურცხა პირსახელია: XVI ს-ში კურცხაი ლოგუას ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო გადასახადი (პალ, II, 569). კურცხალ-˙ ფუძე კურცხა-ს მოფერებითი ვარიანტია. იმერელი კურცხალიები აზნაურები ყოფილან.

**კუტალია** – 720 სული (ზუგდ. - 488, თბ. - 77, ფოთი – 30). კომლი: აბასთუმანი – 65, ხეთა – 29, ჭითაწყარი – 12, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) – 4, დიდი ნეძი – 4, კოკი – 4, ინგირი – 3, ჭკადუაში – 3, ხობი – 3 და სხვ. ტოპ.: საკუტალიო – უბნები დიდ ნეძში (ხაკალწყარის ნაპირებზე), ლარჩვაში (ლარჩაღალის სათავესთან), აბასთუმანში. ხაკუტალუ – სახნავი საალახიოში. ეკუთვნოდა კუტალიას, .აზნაურს და ათოხნინებდა გლეხებს.(მ. გურიფული). გვარი მრავალგზის გვხვდება ისტ. საბუთებში: XVI ს. შუა წლებში აბედია, კუკუჩია, ქრისტეშია კუტალიებს ემართათ ხოფის ღმრთისმშობლის ეკლესიის ბეგარა (ქსძ, III, 349), ხოლო 1621 წელს ცაიშის საყდრის ბეგარა ემართათ პაპია კუტალიასა და მამაკუკუ კუტალიას (იქვე, 470). კუტა, რაც ზოგადად პატარას ნიშნავს, გურიაში მოფერებითი სახელია და ხშირად მეტსახელადაც იქცევა. კუტალა მეანკესე-მეთევზის სახელია მეგრულ ზღაპარში

"ყვავილ-ბატონები". პირსახელად გვხვდება კუტალია ფორმაც: კუტალია სთეფანესკირი დასახელებულია 1621 წ. საბუთში (იქვე, 429).

კუტუა – დაფიქსირდა ერთი კომლი მენჯში (სახარბედიო). კუტუ, კუტურუა, კუტურია კოლხეთში მოფერებითი სახელებია (ქსს, 1986). კუტუ ხაზარია დასახელებულია 1621 წელს შედგენილ "საცაიშლო დავთარში" (ქსძ, III, 470). შდრ. კუტუაძე (ძირითადად გარდაბნის რ.).

კუცია - 1188 სული (აბაშა - 424, თბ.- 221, ფოთი - 204). გვარის გავრცელების ძირითადი არეალია სუჯუნა და მისი მეზობელი სოფლები. კომლი: სუჯუნა - 58, ნაესაკაო - 28, ბანძა - 13, აბაშა - 12, ზანათი - 6, ნოსირი - 3 და სხვ. ტოპ.: საკუციო - უბნები სახოშტარიოსა (სუჯუნის კუთხეა, უწინ სოფელი იყო) და გამოღმა კოდორში (ღაჭუს ნაპირებზე). ს. ჯანაშია გვარ კუციას წარმომავლობას აკავშირებდა სვანურ გვარ კვიციანთან (ჯანაშია, 1959, გვ. 36, 40).

კუჭავა - 2601 სული (წყალტ.- 508, სენაკი - 451, თბ. - 440). საქართველოში სულთა რაოდენობით 227-ე, ხოლო სენაკის რ-ნში მე-18 ადგილზეა.. კომლი: ძვ. სენაკი - 24, საჯიჯაო - 23, ზ. ქვალონი - 16, ხეთა - 8, ეკი - 7, ახალსოფელი (სენაკის რ.) - 7, კიწია - 6, უშაფათი - 5, თეკლათი - 4, ქოლობანი - 4 და სხვ. ტოპ.: ლეკუჭე - უბანი ლეგოგინეში. საკუჭა - უბნები ეკში, ზენში (საჯიჯაოს თემი), გაღმა საჯიჯაოში, ქვალონში, სენაკში (საკუჭაღალის სათავესთან). საკუჭა(ო) - უბანი გითოკირილღალის მარჯ. მხარეს (საგუნიო). ნაკუჭუ – ტყე ლეკარტოზიეში (მ. მოხაში). კუჭა, კუჭუ კოლხეთში გავრცელებული სახელებია (ხშირად მეტსახელებიც). შდრ. ისტ. საბუთებში დადასტურებული გვარები: კუჭაისძე, კუჭაშვილი, კუჭაძე (პალ, II, 545).

კუჭუხიძე - 1945 სული (აბაშა - 441, ქუთ. - 431, თბ. - 324). აბაშის რ-ნში უკავია XIII ადგილი. გვარის ძირითადი სამკვიდრო ნაესაკაო და მისი მეზობელი სოფლები. კომლი: ნაესაკაო - 83, აბაშა - 16, ტყვირი - 7, ნოსირი - 5, სუჯუნა - 4 და სხვ. ტოპ.: საკუჭუხიძეო - უბანი ღაჭუს ნაპირებზე (ნაესაკაო). აქაურ კუჭუხიძეთა წინაპრები მოსულან ფარცხანაყანევიდან. ფარცხანაყანევში კუჭუხიძეებს ხუთი საუკუნის წინათაც უცხოვრიათ: ისინი დასახელებულნი არიან 1545 და 1621 წლების დოკუმენტებში (პალ, II, 546). კუჭუხი ნიშნავს კუჭუს შთამომავალს, კუჭუს მოდგმას.

კუხალაშვილი - 1940 სული წყალტ. - 311, ქუთ. 296, თბ. - 279). გვარი ქვემო იმერეთიდან გადანაცვლებულია სამეგრელოში: გაჭედილში ცხოვრობს 3 კომლი, ხუნწში, მარტვილსა და სხვაგან - თითო-ოროლა. კუხალა ალბათ მეტსახელია, სიტყვა კუხესთან დაკავშირებული. XX ს. დამდეგს სალხინოში, თამაკონსა და კინჩხში მცხოვრები კუხალაშვილები აზნაურები იყვნენ.

კუხალეიშვილი - 1 087 სული (ზუგდ. - 367, წალენჯ. - 181, თბ. - 172). კუხალაშვილისაგან განსხვავებით, ეს გვარი ძირითადად სამეგრელოშია გავრცელებული. კომლი: ჩხორია - 33, ლია -25, რიყე - 11, მუხური - 6, ოდიში - 6, ეკი - 3, ნარაზენი - 3, პ. ფოთი - 3 და სხვ. ადგ. ვარიანტი: კუხალესქუა. ტოპ.: საკუხალესქუო//საკუხალეიშვილო - უბანი ჩხორიაში. ინფ.: „ჯინჯიხატი კინჩხაში გვაქვს. ბაბუა ლომიკია ჩამოსულა იქიდან". ამოსავალია მეტსახელი კუხალა.

კუხალიშვილი - 21 სული (თბ.- 5, ქუთ. - 5, მარტვ. - 4). ძალზე მცირერიცხოვანი გვარია: სალხინოში ცხოვრობს 4 კომლი. შდრ.: კუხალაშვილი, კუხალეიშვილი, კუხალია.

კუხალია – ამ გვარს აღადგენს ტოპონიმი ლეკუხალე//ლეკვახალე (ესაა ზანის მარჯ. შენაკადი და მისი ხეობა ლექობალეში). არაა გამორიცხული, კუხალია იყოს ვარიანტი კუხალიშვილისა.

## ლ

ლაბარია - ამ გვარის უწინ არსებობას ადასტურებს ლელაბარე. ასე ეწოდება ფერდობებს ხეში ობონუს მარც. მხარეს (ალერტკარი).

ლაბარტყავა - 734 სული (აბაშა - 283, თბ. - 202, ფოთი - 73). გვარის ძირძველი სამკვიდრო სეფიეთი (61 კ.), სადაც ზანის ნაპირებზე უბანს ეწოდება სალაბარტყაო. მოსახლეობენ სხვაგანაც: მარანი - 15 კ., სუჯუნა - 10 კ., ვედიდკარი - 5 კ., ონტოფო - 4 კ., აბაშა - 3 კ. და სხვ. ლაბარტყა, ლაბარტყია მეგრულში აღნიშნავს ბრტყელს, წაბრტყელებულს და, შესაძლოა, ბრტყელსახა ან ბრტყელთავა კაცის მეტსახელად ქცეულიყო.

ლაბაშია - 52 სული (ზუგდ. 42, თბ- 7, ბათ. - 1).. ზუგდიდის რ-ნში ძირითადად არიან ლტოლვილები. ლაბაშა, მწყემსის გრძელი ჯოხი, შეიძლება მაღალ, გამხდარ კაცსაც დარქმეოდა მეტსახელად.

ლაბახუა - 120 სული (სენაკი - 37, თბ. - 16, ფოთი - 15). ძირძველი მოსახლე სამეგრელოში იშვიათია. არიან ლტოვილები. ტოპ.: ნალაბახუ - ბორცვი გურძემიის მარც. მხარეს (პ. გურძემი). ნალბახუ (←ნალაბახუ) - ფერდობები ჭითა ხარდანსა და სალაკიოღალის სათავეს შუა (შ. ხორში). ლაბახა ეწოდება გადასასვლელს ღობეზე ან ლარტყის ჭიშკარს. გარკვეულ სიტუაციაში, ამგვარი სემანტიკის მქონე სიტყვაც შეიძლება იქცეს მეტსახელად, საიდანაც შემდეგ გვარი წარმოიქმნა. მეორე

მხრივ, გვარში გამოყოფენ -ხ სუფიქსს (ზ. ჭუმბურიძე, 1987, 299). ლაბა პირსახელია და ზოგ გვარშიც დასტურდება (ლაბაური, ლაბაძე). მაგრამ არაა გამორიცხული, ლაბახუ უცხოური პირსახელი იყოს.

**ლაბჟანია** – 110 სული და ლობჟანია (107 სული) ლობჟანიძის გამეგრულებული ვარიანტებია. სამეგრელოში ძირძველი მოსახლე არ დასტურდება. ამჟამად ზუგდიდის, სენაკისა და წალენჯიხის რაიონებში არიან ლტოლვილები სამურზაყანოდან. შდრ. თუშეთში დამოწმებული სახელი ლაბზან.

**ლაგვილავა** – 3075 სული (ზუგდ. - 1238, ჩხორ. - 396, თბ. - 371). საქართველოში ყველაზე გავრცელებულ გვართა შორის 201-ე, ხოლო სამეგრელოს მხარეში – 23-ე ადგილზეა (2253 სული). ზუგდიდის რ-ნში უკავია მე-16, ხოლო ჩხოროწყუს რ-ნში - 23-ე ადგილი. კომლი: კორცხელი – 50, ნაფიჩხოვო - 38, ინგირი – 35, ალერტკარი – 29, განარჯიის მუხური – 24, ქვ. ქვალონი – 17, ბულიწყუ – 15, ჭოღა – 14, ჩხოროწყუ – 12, ანაკლია – 10, ჭითაწყარი – 10 და სხვ. ადგ. ვარიანტი: ლაგვია (ზ.-მ. თქმა). ტოპ.: ლელაგვილე – ტყე-ფერდობები კადარღალის მარც. მხარეს (ლეახალე). ელაგვიე – ყოფილი დასახ. უბანი ლაგვიეფიშ ნოღის ნაპირას (პ. ინჩხური). ნალაგვილ - ბორცვი სავჭკუოში (ახუთი). ნალაგვილუ - ბუჩქნარი ლეყვარყვარის ზემო წელზე (ლეგახარე). სალაგვილაო – უბნები კორცხელში, ბაშში. ინგირში, ალერტკარში. სალაგვილა(ო) – უბანი ყულიშკარში. ლაგვა მეგრულში ნიშნავს ბლაგვს, ბლაყვს. მეორე მხრივ, ლაგუა ღეჭვაა, ხოლო ლაგვილი - "დაღეჭილი". ასე რომ, ლაგვაც და ლაგვილიც შეიძლებოდა ქცეულიყო მეტსახელად და მერე გვარის ფუძედ.

**ლაზარია** – 217 სული (ზუგდ. ÷ 43, მარტვ. – 34, სენაკი – 32). კომლი: ნაფიჩხოვო – 8, ქვ. ქვალონი – 6, ახალკახათი – 4, დ. ჭყონი – 3 და სხვ. ტოპ.: ლელაზარე – ყოფილი დასახ. უბანი ჯიხაშკარში. ნალაზარუ - ბუჩქნარი ლეოთხოზორესა და ოყორანეს შუა (თაია). ძველი ებრაული სახელი ელიაზარ "ღმერთი მოწყალეა" საქართველოში შემოსულა და ფართოდ გავრცელებულა ლაზარე ფორმით. მაშასადამე: ლაზარე-ა→ ლაზარია. შდრ. ლაზარიაშვილი (კახეთი).

**ლათათია** – 44 სული. რამდენიმე კომლი დადასტურდა კირცხში, თეკლათში, ახალსოფელში (ზუგდიდის რ.) და სხვ.

**ლაკერბაია** – 116 სული. იხ. ლაკირბაია.

**ლაკია** – 284 სული (სენაკი – 171, ფოთი – 29, თბ. - 22). კომლი: უშაფათი – 8, სენაკი – 4, ახალსოფელი (სენაკის რ.) – 3 და სხვ. ტოპ.: სალაკიო – უბნები ლეკოკაიეში (ეკუსქურის მარც. მხარეს), შუა ხორშში (ნადადიანუსა და საგოგენიოს შუა. აქედან გადის სალაკიოღალ).

**ლაკირბაია** – 204 სული (ზუგდ. - 68, თბ. - 65, ჩხორ. - 26). აფხაზურ-მეგრული გვარია. ხშირია სამურზაყანოში. სამეგრელოში კომპაქტურად სახლობენ მხოლოდ ლესიჭინეში, სადაც უბანს ეწოდება სალეკერბაიო. ვარიანტები: ლეკერბაია, ლაკერბაია. ლაკერბა აფხაზეთში აზნაურთა გვარი იყო.

**ლამანძია** – 203 სული. ზუგდიდსა და წალენჯიხაში ცხოვრობენ ლტოლვილები. გვარი წარმოქმნილია უკვე არსებული გვარის გამეგრულებით: ლამანძე → ლამანძე-ა →ლამანძია.

**ლასარეიშვილი** – 125 სული (აბაშა – 52, თბ. - 42, სამტრ. - 43). კომლი: ტყვირი – 16, მარანი – 4 და სხვ. ამოსავალია ლასარა. მეგრულში ლასარი სიპი, პიტალო კლდე. ლასარა მაგარი, შეუვალი, აზრშეუცვლელი კაცის ეპითეტია (ე.ი. ლასარა →ლასარაიშვილი →ლასარეიშვილი).

**ლატარია** – 2283 სული (ხობი – 876, ზუგდ. - 858, თბ. - 220). ყველაზე გავრცელებულ ქართულ გვართა სიაში 353-ე ადგილზეა, ხობის რ-ნში უკავია მეორე ადგილი, ზუგდიდის რ-ნში – 39-ე. კომლი: ხეთა – 119, თორსა-ღლვაბა – 59, ორულუ – 31, აბასთუმანი – 28, ხობი – 19, შ. ხორგა – 18, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) – 11, ურთა – 11, აბაშა – 10, ჭითაწყარი – 9, ნარაზენი – 8 და სხვ. ტოპ.: სალატარაიო - უბნები ურთაში, ნაჭკადუში (ბეჭეუშქურის ნაპირზე), ნარაზენში, ლარჩვაში, თორსაში (თოლისქურის ნაპირებზე), გაღმა შუა ხორგაში. 1616-1621 წწ. საბუთის მიხედვით, კოჩილია ლატარიასა და ხუხულია ლატარიას ემართათ ცაიშის საყდრის ბეგარა (ქსძ, III, 438). ლათა სოფელია კოდორის მარჯ. ნაპირას, სოხუმის სამხედრო გზაზე. ლათას მცხოვრები იქნება ლათარი. როგორც ჩანს, მომხდარა ყრუ ფშვინვიერი თ ბგერის გამკვეთრება (ლათარი → ლატარი → ლატარია).

**ლაშქარავა** – 392 სული (სენაკი – 276, თბ. - 51, ფოთი – 31). გვარის ერთადერთი და მრავალრიცხოვანი კომპაქტური დასახლება არის თეკლათის თემის სოფელ ტყირში (43 კომლი), სადაც მათ უბანს კიდეც ეწოდება სალაშქარა. გვარის ფუძეა პირსახელი ლაშქარა (დადასტურებულია XVII ს. საბუთში. იხ. პალ, II, 558). ამავე სახელისაგან მომდინარეობს გვარი ლაშქარეიშვილი (95 კომლი. ძირითადად ქუთაისი, სამტრედია), აგრეთვე ლაშქარაული, ლაშქარაშვილი, ლაშქარაძე.

**ლაშხია** – 1674 სული (ზუგდ. - 730, თბ. - 216, მარტვ. - 168). კომლი: კორცხელი – 63, ჭითაწყარი – 16, სალხინო – 10, ახალხიბულა – 7, კურზუ – 7, ახალაბასთუმანი – 6, დ. ჭყონი – 6, ოდიში – 4, შამგონა – 4, ინგირი – 3, ორულუ – 3, ტალერი – 3, მარტვილი – 3 და სხვ. ტოპ.: სალაშხიო – უბნები შამგონაში, ბაშსა და კორცხელში (სოროსენის ფერდობებზე). ლაშხი სვანეთში პირსახელია.

**ლაცუზბაია** – 302 სული (ზუგდ. - 159, თბ. - 57, ქუთ. - 20). აფხაზურ-მეგრული გვარია. რამდენიმე ძირძველი მოსახლეა სენაკში (4 კომლი). ძირითადად არიან ლტოლვილები.

ლეთანძე - 29 სული. თითქმის ყველა ცხოვრობს ზუგდიდის რ-ნში: რუხი - 5 კ., ზუგდ. - 4 კ. და სხვ. შესაძლოა ამოსავალი ფორმა იყოს ლეთუთაძე (გვხვდება იმერეთში XVIII ს-ში. იხ. პალ, II, 561). მაშასადამე: ლეთუთაძე→ლეთაძე (ჰაპლოლოგიით) →ლეთანძე (ნ-ს ჩართვით).

ლემონჯავა - 1 935 სული (ჩხორ. - 626, ზუგდ. - 392, წალენჯ. - 275). ჩხოროწყუს რ-ნში უკავია XVII ადგილი, წალენჯიხის რ-ნში კი — 50-ე. გვარის თავდაპირველი და ძირძველი სამოსახლოა ზუმი, (123 კომლი). სხვაგან: მუჟავა - 12 კ., ჩხოროწყუ - 6 კ., ქვ. ჭალადიდი - 4 კ., ქვ. ქვალონი - 3 კ. და სხვ. იშვიათად გვხვდება ლიმონჯავა ვარიანტიც (სენაკში). შდრ. ლემონჯარია.

ლემონჯარია - 75 სული. თითქმის ყველა ცხოვრობს ზუგდიდის რ-ნში. კომლი: ორულუ - 5, ალერტკარი - 3 და სხვ. ამოსავალია ლემონჯა (შდრ. ლემონჯავა). -არ სუფიქსი შეიძლება გამოხატავდეს შთამომავლობა-წარმომავლობას.

ლეჟავა - 4063 სული (თბ. - 1237, სამტრ. - 875, ქუთ. - 402). სულთა რაოდენობით საქართველოში უკავია 124-ე ადგილი. განსახლების თირითადი რეგიონია იმერეთი. დასტურდება სამეგრელოშიც: ქოლობანი - 13 კ., სამიქაო - 5 კ. და სხვ. ტოპ.: ლეჟავეები - უბანი ქოლობნის საზღვართან (გუგუნაყათი, მარხის თემი). ინფ.: „ჯიხაიშიდან ჩამოსულა ორი ძმა - ლასია და ბასია. მათი შთამომავლები ვართ". იმერელი ლეჟავეები აზნაურები ყოფილან. ლეჟა (ისევე როგორც ლეჟერი) მეგრულში აღნიშნავს ნესტიან ადგილს, ნესტიან საგანს (მაგალითად, შეშას), ჟანტლს (ე.ი. ხედლ შეშას). როგორც ჩანს, გვარის ეპონიმს ასეთი მეტსახელი ჰქონდა.

ლესინძე - ახალქალაქში ცხოვრობს 6 კომლი. შესაძლოა ლესელიძის რედუცირებული ფორმა იყოს (ლესელიძე →ლესიძე →ლესინძე). საკუთარი თუ საზოგადო სახელის ფუძიდან მარცვლის ამოვარდნა მეგრულში გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა.

ლეფონავა - 35 სული (ზუგდ. - 22, სენაკი - 6, თბ. - 5). კომპაქტური დასახლება აღინიშნა მხოლოდ პ. ხორგაში (4 კ.). ტოპ.: სალეფონო – ყოფილი დასახ. უბანი, ამჟამად სახნავები ხობისწყლის ჭალაში (გამოღმა პ. ხორგა). 1706 წ. შედგენილი საბუთის მიხედვით, ინალუხუ ლეფონავა ბიჭვინთისათვის შეუწირავთ (ქსძ, III, 647). ინალუხუ და მისი შვილები 1733 წლის საბუთშიც არიან დასახელებულნი (იქვე გვ. 733). ეს ინალუხუ კიდევ ერთგანაა მოხსენიებული როგორც ილახუხუ (იქვე 770). ლეფონი, ლიფონი მეგრულად ლაფანს ეწოდება. როგორც ცნობილია, მცენარის სახელი ხშირია პირსახელადაც და გვარის ფუძეშიც. შდრ.: ლაფანაშვილი, მუხაძე, ტყემალაძე და სხვ.

ლეფსაია - 355 სული (ზუგდ. - 77, თბ. - 61, ფოთი - 43). კომლი: ქვ. ქვალონი - 21, ზუგდიდი - 10 და სხვ. ტოპ.: ნალეფსაო (ადგ. ვარიანტი: ნაესუუ) - სოფელი აბაშის მარჯ. მხარეს (მარტვილის მერია). ლეფსაია ნემსაძის (გავრცელებულია იმერეთში) გამეგრულებული ვარიანტი ჩანს (შდრ. ქართ. ნემსი — მეგრ. ლეფში, ლიფში, ლიში). იხ.: ლეფსია, ებსია, ეფსია, ეფსაია.

ლეფსია - 46 სული (ზუგდ. - 37, თბ. - 3, სენაკი - 3). კომპაქტურ დასახლებას ჭითაუშქურში, ცენტრალურ გზატკეცილზე, ეწოდება სალეფსიო. იხ. ლეფსაია.

ლიპარია - 23 სული. თითქმის ყველა ცხოვრობს ზუგდიდის რ-ნში: ერგეტა - 6 კ., ახალსოფელი - 2 კ. და სხვ. ლიპარიტ(ი), საიდანაც უნდა მომდინარეობდეს ლიპარი, მრავალგზის გვხვდება შუა საუკუნეების საბუთებში (პალ, II, 563). მათგან ერთ-ერთი უადრესია "ნიკორწმინდის იადგარი" (XI ს. დამლევი. იხ. ქსძ, III, 27). საკუთრივ პირსახელი ლიპარი დამოწმებულია XVII ს. დამლევის საბუთში (პალ, II, 563). პირსახელად დადასტურებულია აგრეთვე ლიპარისა (ქსძ, III, 473).

ლიპარტია - 1173 სული (ზუგდ. - 317, თბ. - 161, ხობი - 150). კომლი: აბაშა - 19, რიყე - 14, საჯიჯაო - 11, ინგირი - 8, მენჯი - 6, ნოჯიხევი - 5, რუხი - 4, კეთილარი - 3 და სხვ. ადგ. ვარიანტებია: ლეპარტია, ეპარტია, იპარტია (ბ.-შ. თქმის ზონაში). ტოპ.: სალიპარტიო - უბნები ბათარიაში (მენჯის თემი), აბაშაში (ღაჯუს ნაპირებზე). გადმოცემით, აბაშელი ლიპარტიების წინაპრები ყოფილან ლიპარტიანები სვანეთიდან. იქ დღესაც მიჰყავთ შესაწირი მოზვერი. ნაიპარტოუ//ნაეპარტოუ – ტყე-ფერდობები ტეხურ-სკურდის წყალგამყოფზე (პ. თამაკონი). ითვლება, რომ ლიპარტია ლიპარტიანის (დოკუმენტირებულია XV ს. დამლევიდან. იხ. პალ, II, 565-566) გამეგრულებული ვარიანტია. არც ისაა გამორიცხული, გვარი ლიპარტია წარმოქმნილიყო მეგრულ გარემოში პირსახელისაგან ლიპარიტი (ლიპარიტი → ლიპარიტია → ლიპარტია).

ლიპარტიანი – 102 სული (თბ. -31, ბათ. - 27, ქუთ. 11). ორიოდე კომლი დაფიქსირდა სამეგრელოშიც. ისტორიულად დამოწმებულია ლიპარიტიანი ვარიანტიც. ლიპარტიანი დოკუმენტირებულია XI ს. დამლევიდან (პალ, II, 565-566). ამ პერიოდის ცნობილი პიროვნებაა შამადავლა ლიპარტიანი. საერთოდ, ლიპარტიანები სალიპარტიანოს ფეოდალური სამფლობელოს (ოდიშის ნაწილი ტეხურის ორსავე მხარეს) მფლობელები იყვნენ. ისინი ოდესღაც ერისთავებიც კი ყოფილან, მაგრამ XIII ს-დან ერისთაობა და ძალა-უფლება დაუკარგავთ, ხოლო სალიპარტიანო საუფლისწულოდ გადაქცეულა და ლიპარტიანობა დადიანის კარზე უმაღლეს სამოხელეო ტიტულად ქცეულა XVII ს. დამდეგიდან (სოსელია, 1990, გვ. 85-86). ამ ტიტულს ფლობდა ლევან II დადიანის რეგენტი და ბიძა გიორგი ლიპარტელიანი, რასაც წალენჯიხის ეკლესიის წარწერა ადასტურებს:

„ლიპარტიანი ბატონი გიორგი, ძმა ხელმწიფისა მანუჩარისა, ბიძა დიდისა ხელმწიფისა ბატონისა ლევანისა დადიანისა და ძე დიდისა ხელმწიფისა ბატონისა მამია დადიანისა“. ეს ის გიორგია, რომელსაც არქანჯელო ლამბერტი მოიხსენიებს როგორც „კაცი ფრიად სამართლიანი და სახელმწიფო საქმეებში გამოცდილი“ (იხ. ანთელავა, 1999, გვ. 173). XVII ს. მეორე ნახევარში ლიპარტიანის ტიტული და სალიპარტიანოს გამგებლობა მიიღო გორდელმა აზნაურმა კაცია ჩიქოვანმა, რომლის შთამომავლები XVIII ს. დამდეგიდან დადიანები (ოდიშის მთავრები) გახდნენ.

ლიფარეიშვილი - 26 სული (აბაშა - 9, თბ. - 9, ფოთი - 6). ტყვირში დაფიქსირდა 7 კომლი. საერთოდ, ლიფარეიშვილი და ლიფარიშვილი მეგრულ გარემოცვაში წარმოქმნილი გვარებია.

ლიფარიშვილი - 43 სული (აბაშა - 33, ჩოხატ. - 3, თბ. - 1). პ. მაისში დადასტურდა 4 კომლი.

ლიფონავა - 114 სული (ფოთი - 41, თბ. - 34, სენაკი - 26). ცხოვრობენ გაფანტულად (მაგალითად, ფოთში -2 კ., შ. ხორგაში – 2 კ. და სხვ). 1673-1680 წლებში ხორგაში მცხოვრები ისუფ ლიფონავა კათალიკოს დავითს შეუწირავს ბიჭვინთისა და ხოფის ღმრთისმშობლისათვის (პალ, II, 568). საისტ. წყაროებში ხორგელი ლეფონავებიც ჩანან. 1904 წელს ხორგაში მცხოვრები ორი კომლი ლიფონავა აზნაურის წოდებისა იყო. იხ. ლეფონავა.

ლოგუა - 644 სული (ზუგდ. - 379, თბ. - 89, ჩხორ. - 83). კომლი: კახათი - 26, კირცხი - 18, ახალკახათი - 12, ინგირი - 5, ოქტომბერი - 3, ჩხოროწყუ - 3, ჯიხაშკარი - 3 და სხვ. ტოპ.: სალოგუო//ლოგუაშ კახათი - უბანი კახათწყარის ნაპირას (კახათი, ახალკახათი, ცაიშის კახათი). ლოგუები ყოფილან საეკლესიო გლეხები: XVI ს. მეორე ნახევარში აფხაზეთის საკათალიკოსო გადასახადი ემართა ლოგუა კურცხაის (პალ, II, 569), ხოლო XVII ს. პირველ ნახევარში - ნაჟანეულში (ოტობაია) მცხოვრებ თოლიშია ლოგუას (ქსძ, III, 422). გვარისათვის ამოსავალი უნდა იყოს მეგრულში ცოცხალი ლექსიკური ერთეული ლოგო „ყეყეჩი, მოსულელო“. გვარის ფუძემდებლის მეტსახელში ალბათ ეს მნიშვნელობა უნდა ვეძიოთ. მეორე მხრივ, ლოგო შეიძლება იყოს შემოკლებული ფორმა ლონგორი ან ლონგინოზი პირსახელებისა. მაშასადამე: ლოგო→ ლოგო – ა →ლოგუა.

ლოლუა - 729 სული (თბ. - 173, ფოთი - 142, სენაკი - 84). კომლი: ქვ. ქვალონი - 11, ქარიატა - 7, პ. ფოთი - 6, ახალსოფელი (ხობის რ.) - 5, ინგირი - 3, ზ. ქვალონი - 3, ჭითაწყარი - 3, ხორში - 3 და სხვ. ტოპ.: სალოლუო - უბანი გაღმა ქარიატაში (საბჟალიოსა და საწულაიოს შუა), ყოფილი დასახ. უბნები საალანიო-საფაჩულიოსა (სადაღალის მარჯ. მხარეს) და გაღმა საჯიჯაოში (ზანაძგის მარც. მხარეს). სალოლუო ეწოდება სახნავებსაც გოლასკურში. მოურავი გაბრიელ ლოლუა ყოფილა ერთ-ერთი მოწმე XVIII ს. შედგენილი წყალობის წიგნისა (ქსძ, III, 881). იოანე ბაგრატიონი ლოლუებს (ლოლუაშვილებს) ოდიშის აზნაურთა შორის მოიხსენიებს (კერძოდ, ჩიჩუების აზნაურები ყოფილან). ლოლა, ლოლო, ლოლია კოლხეთში პირსახელებია (ლოლო → ლოლო-ა → ლოლუა). შდრ. გვარები: ლოლაძე, ლოლიასშვილი (პალ, II, 369-370), ლოლუაშვილი. 1904 წლის აღწერის თანახმად, ბიაში, ხორშში, ციზეთში, საჯიჯაოში, მაცხოვრისკარში, ქვალონში მცხოვრები ლოლუები იყვნენ აზნაურები.

ლომაია - 1339 სული (ზუგდ. - 311, ხობი - 271, სენაკი - 220). კომლი: ახალხიბულა -21, ძვ. სენაკი - 20, ზანა - 17, ბულიწყუ - 12, უშაფათი - 10, ახალსოფელი (სენაკის რ.) - 8, ნარაზენი - 8, საჩინო - 8, ხობი - 8, წალენჯიხა - 7, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) - 5 და სხვ. ტოპ.: სალომაიო - უბნები ლეკოკაიეში (ეკუსქურის მარჯ. მხარეს), ნარაზენში (ჭანისწყლის მარჯ. მხარეს), საკვიკვიხიოში (მუნჩიის მარც. მხარეს), პ. ნოსირში. „აფხაზეთის საკათალიკოსო დავთარში“ (1621 წ.) ჩამოთვლილი არიან ხიბულაში მცხოვრები ლომაიები (გამიგონა, მისკუამა, კუატა, სომიხერდა, მახუჭაბა, ხახულარა, ქერობინა, თაიმაზა, ბაბადიშა, ივანე, თოლიორქო, თოსკუამია, გინაგონა), რომლებიც იხდიან საეკლესიო გადასახადს (ქსძ, III, 415-419). ჭალადიდელი მახარობელი ლომაია კი დასახელებულია 1628 წ. საბუთში (პალ, II, 571). „ცხოველთა მეფის სახელწოდება ადამიანის სახელად გვხვდება ბევრ ხალხში. ქართული სიტყვა ლ ო მ ი მომდინარეობს ძველი ეგვიპტური ლ ი ა ბ უ(ლებუ)-საგან“ (ზ. ჭუმბურიძე, 1987, გვ. 257). მაშასადამე, აღმოსავლური (კერძოდ, ხურიტული) სახელი ლომი მრავალ ხალხში, და მათ შორის, ქართველებშიც, ადამიანის სახელად ქცეულა (ლომი →ლომა) და მიუცია დასაბამი მრავალი გვარისათვის. 1904 წელს ზუბში მცხოვრები ლომაიები აზნაურები იყვნენ.

ლომთაძე – 3776 სული. მრავალრიცხოვანია როგორც ქვეყნის (139-ე ადგილი), ისე იმერეთის (2277 სული. 37-ე ადგილი) მასშტაბით. გვხვდება სამეგრელოშიც: ახალკახათი – 4 კ., სერგიეთი – 3 კ. და სხვ.

ლომია - 946 სული (სენაკი - 448, თბ. - 170, ზუგდ. - 70). სენაკის რ-ნში უჭირავს მე-19 ადგილი. კომლი: ჩქვალერი - 6, აბედათი - 5, ტალერი - 4, ახალაბასთუმანი - 3, ჭკადუაში - 3 და სხვ. ქ. სენაკში კი ამ გვარის ასამდე ოჯახი მკვიდრობს. ტოპ.: სალომიო - ორგან ეწოდება უბანს სენაკში: ჟინი სალომიო//ზედა სალომიო - ეკის მთის კალთებზე; თუდონი სალომიო//ქვედა სალომიო – ვაკეზე, აეროდრომის გვერდით. ლომიები თვლიან, რომ მათი წინაპრები არიან ლომიძეები გურიიდან. ლომა, ლომი, ლომია, ლომისა, ლომიტა გავრცელებული პირსახელებია (იხ. პალ, II). შდრ.: ლომიაშვილი (XVII ს. იხ. პალ, II, 573), ლომიძე.

ლომიძე – 12949 სული. ქვეყნის მასშტაბით VII ადგილზეა. ფართოდაა გავრცელებული აღმ. და დას. საქართველოში. გვხვდება. სამეგრელოშიც: (ქვ. ქვალონი - 3 კომლი). იხ. ლომია. იმერელი ლომიძეები აზნაურები იყვნენ.

ლომსაძე - 353 სული. ქართლში გავრცელებული გვარია. კომლი სამეგრელოში: ნოჯიხევი- 5, პ. მაისი - 3 და სხვ. 1658-1700 წწ. საბუთებში რამდენიმე ლომსაძეა დასახელებული (პალ, II, 577). პირსახელები ლომსაი და ლომისა გვხვდება ისტ. საბუთებში (პალ, II, 577)..

ლორთქიფანიძე - 3367 სული. სულთა რაოდენობით საქართველოში 175-ე ადგილზეა. ძირითადად იმერეთსა და აჭარაშია გავრცელებული. მიგრირებულია სამეგრელოშიც (ფოცხო - 4 კომლი). ადგ. ვარიანტი: ლეთქფანძე. გვარი ცნობილია XIV-XV სს. საბუთებიდან (პალ, II, 579). 1904 წლის აღწერის მასალების თანახმად, უშაფათში მცხოვრები ლორთქიფანიძეები თავადები არიან, ხოლო ქვიშანჭალაში მცხოვრები ლორთქიფინიძეები – აზნაურები (კერძოდ, ჭილაძეებისა).

ლორჩოშვილი - 141 სული (ფოთი - 29, სენაკი - 28, ზუგდ. - 19). კომლი: ქვ. ქვალონი - 7, ხორში - 5, ლესიჭინე - 4, გურიფული - 3 და სხვ. ლორჩო, ლოჩო პირსახელებია და მათგანაა წარმოქმნილი გვარები ლორჩოშვილი და ლოჩოშვილი. ამ -შვილ დაბოლოებიანი გვარების სამშობლოა სამეგრელო.

ლოჩოშვილი - 329 სული (აბაშა - 88, თბ. - 80, რუსთ. - 36). გვარი განსახლებულია სამიქაოსა (29 კომლი) და აბაშაში (3 კომლი). შდრ. ლორჩოშვილი.

ლუკავა - 1330 სული (ზუგდ. - 529, წალენჯ. - 382, თბ. - 140). გვარს წალენჯიხის რ-ნში უკავია 32-ე ადგილი. კომლი: წალენჯიხა - 38, ნაკიფუ - 26, ფუქი - 13, ახალკახათი - 9, რიყე - 8, ოდიში - 6, ჭითაწყარი - 5, ჯიხაშკარი - 5, ორსანტია - 4, ზუმი - 3, ლია - 3, ქვ. ქვალონი - 3 და სხვ. ტოპ.: სალუკა – უბანი ოტოფუესა და ლაჩახვას შუა (ნაკიფუ). ლუკა გავრცელებული სახელია.

ლურსმანაშვილი - 2510 სული. გვარი გავრცელებულია ქართლსა და იმერეთში. გვხვდება სამეგრელოშიც: ახალსოფელში (ხობის რ.) ჩასახლებულია 5 კომლი. ლურსმანა მეტსახელია.

ლუხავა - 65 სული (ფოთი - 24, სენაკი - 16, თბ .- 12). თითო-ორი კომლი ცხოვრობს სენაკში, ფოთში, კახათში, ქვ. ქვალონში და სხვ. XVIII ს. I ნახევარში წყალიძგას (რიონის ნაპირას) მცხოვრები ჩოხოლეი და წიწაკოჩი ლუხავეები მათი ცოლ-შვილითა და სახლ-კარით შეუწირავთ ბიჭვინთისათვის (ქსძ, III, 767). კოლხური პირსახელი ლუხუია გვავარაუდებინებს ლუხა ვარიანტსაც. შდრ. ლუხუმი ხევსურეთში და ლუხუტა კახეთში. იხ. რუხავა. შდრ. ლუხოშვილი.

## მ

მაგანია – გვარს აღადგენს ტოპონიმი ლემაგანე (ფერდობებია შების მარჯ. მხარეს, ალერტში).

მაისაია – 509 სული (მარტვ. - 177, თბ. - 176, სენაკი - 39). გვარის საბუდარია ვედიდკარი, სადაც მკვიდრობს 55 კომლი. 3 კომლი ძველ სენაკშიც დაფიქსირდა. ითვლება, რომ ამ გვარისათვის ამოსავალია თვის სახელი (შდრ. მაისაშვილი, მაისაძე). მსოფლიოს მრავალ ხალხშია გავრცელებული დაბადების თვისა და დღის მიხედვით ადამიანისათვის (და შინაური ცხოველისათვისაც) სახელის შერქმევის წესი (შდრ. პირსახელები: იანვარა, მარტიშია, თუთაშხია, ობიშხია...). იშვიათად გვხვდება საპასპორტო ვარიანტი მაისეია (21 სული ხობის რ-ნში). მაისს (თვის სახელს) მეგრულში შეესაბამება მესი. მაშასადამე, პირსახელი მაისა მეგრულში ნასესხებია ქართულიდან, ან გვარი მაისაია ქვ. იმერეთში გავრცელებული მაისაძის ვარიანტია. შდრ. მაისაშვილი (რაჭა, კახეთი).

მაისურაძე - 16516 სული. საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გვარია (IV ადგილი), განსაკუთრებით, ქართლში (2993 სული. V ადგ.), რაჭასა (1052 სული. I ადგ.) და თბილისში (6330 სული, I ადგილი). სამეგრელოში წარმოდგენილია რამდენიმე ათეული ოჯახით (კახათი - 3 კომლი და სხვ.). მაისურა მაისში დაბადებულისათვის დარქმეული სახელია (მაისურაძე, 1981).

მაკალათია - 739 სული (აბაშა - 312 , თბ. - 140, ფოთი - 102). კომლი: ზანათი - 55, სეფიეთი - 29, ნოსირი - 4, ახალსოფელი (სენაკის რ.) - 3 და სხვ. ტოპ.: სამაკალათიო - უბანი აბაშის მარც. მხარეს (გამოღმა ზანათი). ნამკალათუ - ფერდობები ქვალირის მარც. მხარეს (ლემიქავე. გვარის თავკიდური მარცვლიდან ა ხმოვანი ამოვარდნილია ნა- პრეფიქსის მარედუცირებელი ძალის წყალობით). გადმოცემით, მაკალათიების წინაპრები მესისხლეობის გამო გამოქცეულან სამურზაყანოდან და ზანათში დამკვიდრებულან. მათი ძირი ხატი დღესაც ილორის წმინდა გიორგია, თუმცა კი სუჯუნის წმინდა გიორგის ეყმობოდნენ. ზანათიდან ორი ძმა სეფიეთში გადასულა და გამრავლებულან (გაბელაია, 1996, გვ. 53). მეგრული მა- ქართული მე- პრეფიქსის ფონეტიკურ-ფუნქციური შესატყვისია. იგი დაერთოდა როგორც ზმნურ, ისე სახელურ ფუძეებს. სავარაუდოა, გვქონდა ხელობის აღმნიშვნელი სახელი მაკალათე "კალათის მწვნელი" (როგორც ეს უკვე აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში), საიდანაც -ა სუფიქსის დართვით წარმოიქმნა გვარი მაკალათია (მაკალათე-ა→ მაკალათია). აღნიშნული მა- ამავე ფუნქციით შეუცვლია მოგვიანებით ნასესხებ მე-პრეფიქსს (იხ. მეუნარგია). შდრ. მაქაცარია.

მაკარაძე - 848 სული. აჭარული გვარია. აბაშაში დაფიქსირდა 4 კომლი. მაკარა ბერძნული მაკარ ("ნეტარი, ბედნიერი") პირსახელის მოფერებითი ვარიანტია.

მალაზონია - 947 სული (ოზურგ. - 229, წალენჯ. - 169, თბ. - 151). სამეგრელოში რამდენიმე ათეული ოჯახითაა წარმოდგენილი (მათგან წალენჯიხაში მოსახლეობს 10 კომლი). გვარი უწინ უფრო ფართოდ ყოფილა გავრცელებული. ამას გვავარაუდებინებს ტოპონიმები: ლემალაზონიე - ფერდობები, მალაზონიების ნაცხოვრები ადგილები ინწირის მარჯ. მხარეს (კუხეში). ნამალაზონუ//ლამალაზონი - ბორცვი ჭოღადალის მარც. მხარეს (მ. ჭოღა). სამალაზონიო - უბანი ყულისწყარის ხეობაში (ალერტკარი). მეგრული სიტყვა მალაზონი იგივეა, რაც ქართული მონაზონი.

მალანია – 1947 სული (ზუგდ. - 509, თბ. - 353, ჩხორ. - 304). კომლი: კირცხი – 65, ფოცხო – 25, ჩხოროწყუ – 13, ნაქალაქევი – 12, ოდიში – 10, ურთა – 10, ახალხიბულა – 6, ზანა – 6, ინგირი – 4, ლესიჭინე – 4, ჭითაწყარი – 4 და სხვ. ტოპ.: სამალანიო – უბანი ხობისწყლის მარჯ. მხარეს (კირცხი). იყოფა: დაბალი სამალანიო (ველაში) და მაღალი სამალანიო (ბორცვზე). ლემალანე – უბანი მ. მოხაშში. ინფ.: "სამი ძმა მალანია წამოსულა ჯვარიდან. ერთი აქ დამკვიდრებულა, მეორე – ნოქალაქევში, მესამე – კირცხში. სალოცავად დადიოდნენ ჯეგექირსეში, რაც ჯვარზენშია" (სინამდვილეში, სალოცავი ჯეგე ჯვარზენშია, ხოლო ქირსე – ლეშამუგეში, რომელიც უწინ ჯვარის თემში შედიოდა). ნამალან//ნამალამ – ფერდობები ჯაღრაში. სამალანიო – უბნები ურთაში (უმპიის მარც. მხარეს), ზუმში (ახალხიბულის თემი), ლეკოკაიეში (ეკის მთის კალთაზე) და ჯიხაში.

მალაშხია – 145 სული. მოლაშხიას იშვიათი ვარიანტია. ცხოვრობენ ზუგდიდისა და აბაშის რ-ნებში. ლაშხი ადგილია სვანეთში და მგლაშხიც ლაშხელს ნიშნავს. იხ. მოლაშხია.

მალიშავა – 235 სული და მისი ვარიანტი მალიჩავა (157 სული) ძირითადად არიან ლტოლვილები. ძირძველი მოსახლენი დაფიქსირდა ალერტკარში, დიდ ნეძში, სენაკში. ტოპ.: სამალიჩო – უბანი ყულიწყარსა და ოკულეს შუა (ალერტკარი). ინფ.: "ილორიდან გამოქცეულა სამი ძმა მალიჩავა. ერთი დიდ ნეძში გაჩერებულა, მეორე აქ ხეციას მინდორშია, მესამის ამბავი კი არ იციან". ცნობილია, რომ მალიშავების "ჯინჯი ხატი" იყო ილორი და ამიტომ ამ გვარიდანაც ირჩევდნენ ილორის ეკლესიის მნათეებს (აბაკელია, 1999, გვ. 297).

მამარდაშვილი – 1428 სული. გავრცელებულია იმერეთსა და ლეჩხუმში. კომლი სამეგრელოში: მარტვილი – 5, ნოსირი – 4, წალენჯიხა – 3 და სხვ. გვარი გვხვდება XVII ს. საბუთში (ქსძ, III, 519). იმერელი მამარდაშვილები აზნაურები იყვნენ.

მამულაძე – 2085 სული. გვარის სამშობლოა აჭარა. მიგრირებულია სამეგრელოშიც: პ. ფოთი – 10 კ., ზ. ქვალონი – 6 კ., ლესიჭინე – 6 კ. და სხვ. მამულა მიღებულია მამა სიტყვისაგან -ულა სუფიქსით, რომელიც კნინობით-მოფერებით სახელებს წარმოქმნის.

მამულია – 423 სული (სენაკი – 134, თბ. - 70, ჩხორ. - 57). კომლი: ფოცხო – 14, კირცხი – 5, ნოსირი – 5, ახუთი – 3 და სხვ. ტოპ.: ლემამულე – უბანი ოხვამეკარსა და ლეხარბეს შუა (ლეგოგიე-ნასაჯუ). პირსახელი მამული, ისევე როგორც მამულა, მამუკა, მამუნა, მამუჩა, სამეგრელოშიცაა გავრცელებული და ალბათ ეპონიმსაც ერქვა. შდრ. მამულაძე.

მამფორია – 1779 სული (ზუგდ. - 511, ჩხორ. - 285, თბ. - 250). კომლი: ორულუ – 31, ჩხოროწყუ – 28, ახუთი – 13, ქვ. ჩხოროწყუ – 7, ინგირი – 6, კახათი – 6, ლესიჭინე – 4 და სხვ. ტოპ.: ლემამფორე – ფერდობები ღვიის ზემოთში (ლეახალე). სამამფორიო – უბნები ერგეტაში (ბუის ნაპირას), ორულუში (ძიძონის ნაპირას), ჩხოუშში (ცაიშის თემი). XVI ს. დამლევს შედგენილ ხონის საყდრის დავთარში დასახელებულია ხუნწს მცხოვრები მამფორია, რომელიც ლიპარტიანს შეუწირავს ეკლესიისათვის (ქსძ, III, 367), აგრეთვე ორქოშია მამფორია (იქვე, 368). ხოლო XVIII ს. დავთრის მიხედვით, გაგულია, დავით და გაბრიელა მამფორიებს მართებთ ხონის ეკლესიის ბეგარა – ხუთ-ხუთი კვახი ღომი და ხუთ-ხუთი კოკა ღვინო (ქსძ, III, 1077). მეგრული მამფორია იგივე ჩანს, რაც გურია-იმერეთში გავრცელებული გვარები მეფარიძე და მეფარიშვილი (ქართ. მე : მეგრ. მა; ქართ. ფარ : მეგრ. ფორ).

მანდარია – 469 სული. გვარი გავრცელებულია ლეჩხუმსა და იმერეთში. გვხვდება სამეგრელოშიც: (ოდიში - 3 კომლი). მანდარი ლეჩხუმში პირსახელია (ქსს, 1986). ლეჩხუმშივეა ჩაწერილი გადმოცემა: მანდარიების წინაპრები მესისხლეობის გამო გამოქცეულან სამეგრელოდან (გალიდან). იქ აზნაურები ყოფილან, გვარად მარღანიები. ლეჩხუმში მოსულა ორი ძმა – შარდენი (დასახლებულა ისუნდერში) და ვარდენი (დამკვიდრებულა ოყურეშში). მათ თან ჩამოუტანიათ დადიანის ვენახიდან მოპარული ვაზი და დაურგავთ იგი ზუბსა, ისუნდერსა და ოყურეშში. სწორედ ვაზის ამ ჯიშს დარქმევია უსახელო. მის ღვინოს "მანდარიას ღვინოს" უწოდებენ (თოფჩიშვილი, 1991, გვ. 16; ალავიძე, 1969, გვ. 194). მანდარიები აზნაურები იყვნენ.

მანველიძე – 250 სული. იმერული გვარია. პ. ფოთში დაფიქსირდა 3 კომლი. ამოსავალია პირსახელი მანველი, რაც მანუელის ვარიანტია.

მანია – 1213 სული (ზუგდ. - 581, წალენჯ. - 278, თბ. - 188). კომლი: ჭკადუაში – 20, ჭალე – 18, ჯვარი – 12, პ. ეწერი – 11, დარჩელი – 9, კორცხელი – 5, რიყე – 5, ფახულანი – 3, წალენჯიხა – 3 და სხვ. ტოპ.: ლემანიე – უბანი მაგანის მარც. მხარეს (ჯვარი). სამანიო – უბანი ჭკადუაშში, პ. ეწრის (ყოფ.

ორჯონიკიძე) საზღვართან. შდრ. მანიაშვილი (57 სული ალმ. საქართველოში). ამოსავალი ფუძე მანი ქართული მანასეს, მანაველის ან სვანური მანაილისა თუ მანაშელის შემოკლებულ ფორმა ჩანს.

**მანტკავა** – 54 სული. გვარი გავრცელებულია გურიაში. მარტვილის რ-ნში დაფიქსირდა ორიოდე კომლი. შდრ.: მანწკავა, მატკავა.

**მანტუა** – 34 სული. თითქმის ყველა ცხოვრობს მარტვილის რ-ნში (ნაგვაზავო – 8 კომლი და სხვ.). კოლხეთში მანტუ, მანთუ პირსახელებია (ქსს, 1986). მანტუა, შესაძლოა, მატუას ვარიანტიც იყოს.

**მანჩხავა** – 53 სული (თბ. - 26, ბათ. - 10, მარტვ. - 6). ხუნწში ცხოვრობს ამ გვარის 4 კომლი. მაჩხა პირსახელია სვანეთში, ხოლო მანჩხა დამოწმებულია "ტბეთის სულთა მატიანე"ში". მანჩხავა მანჩხაშვილის (668 სული. იმერეთი, მესხეთი) გამეგრულებული ვარიანტიც შეიძლება იყოს.

**მანწკავა** – 178 სული. გავრცელებულია გურიასა და აჭარაში. სამეგრელოში იშვიათია. რამდენიმე კომლი ცხოვრობს ზუგდიდში. იხ. მანტკავა.

**მანჯავიძე** – 1157 სული. იმერული გვარია. გვხვდება სამეგრელოშიც (წყემი - 3 კომლი).

**მანჯგალაძე** – 1589 სული. გვარის სამშობლოა იმერეთი (სამტრ. - 531, ქუთ. - 118 სული). მიგრირებულია სამეგრელოში: ზუმი - 12 კ., ჩქვალერი – 5 კ. და სხვ. ადგ. ვარიანტები: მანჯგაია, მაჯარგალაია. ტოპ.: სამანჯგაიო – ყოფილი დასახ. უბანი სუხჩის საზღვართან, სადაც ცხოვრობდნენ მანჯგალაძეები (ქვაითი). არაა გამორიცხული, გვარისათვის ამოსავალი "მანჯგალა" მეგრული იყოს და ნიშნავდეს ჯგალელს, ჯგალიდან გამოსულს.

**მარგიანი** – 145 სული. გვარი მესტიის რ-დან მიგრირებულია სამეგრელოშიც: ხორშში დაფიქსირდა 3 კომლი. მარგა სვანეთში პირსახელია (ქსს, 1986).

**მარკელია** – 250 სული (ზუგდ. - 83, თბ. - 81, სენაკი – 21). ამ გვარის ძირძველი მოსახლე სამეგრელოში იშვიათია. არიან ლტოლვილები სამურზაყანოდან. მარკ- მარკოზის შემოკლებული ფორმა ჩანს. -ელ გამოხატავს წარმომავლობას, ან კნინობით-მოფერებითი სუფიქსია.

**მარკოზია** – 359 სული (ზუგდ. - 105, თბ. - 73, მარტვ. - 65). კომლი: დ. ჭყონი – 12, ჭოლა – 7, ქვ. ქვალონი – 5, ახალსოფელი (სენაკის რ.) – 3, ხუნწი – 3 და სხვ. ტოპ.: ნამარკოზუ – ფერდობები ნოღაის მარჯ. მხარეს (ლედგებე). 1621 წ. შედგენილი დავთრის მიხედვით, ნაყანეულს (ოტობაია) მცხოვრებ კოჩილა მარკოზიას ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო გადასახადი (ქსძ, III, 421). ქართულსა და სხვა ენებშიც მრავლადაა პირსახელ მარკოზისაგან ნაწარმოები გვარები.

**მარღანია** – 730 სული (თბ. - 278, ზუგდ. - 182, მცხეთა – 66). კომლი: ტყვირი – 4, ხობი – 3 და სხვ. ტოპ.: სამარღანიო – უბანი რიონის მარჯ. მხარეს (სუჯუნა), სახნავები ანჯერში (კეთილარი). გვარის აფხაზური ვარიანტია მარგანი. მარგანები აზნაურები იყვნენ. ლეჩხუმში შემონახული გადმოცემის თანახმად, იქაური მანდარიები მარღანიებისაგან მომდინარეობენ. უნდა აღინიშნოს, რომ უსახელოში XVI ს-ში მაღრიანებს უცხოვრიათ (ქსძ, III, 376). შდრ. მარღია.

**მარღია** – 397 სული (წალენჯ. - 210, ზუგდ. - 166, თბ. - 111). კომლი: ლია – 32, ჯიხაშკარი – 13, ჭალე – 3 და სხვ. მარღი მეგრულში თვალთეთრს აღნიშნავს და ალბათ იმ კაცის მეტსახელი იყო, ვინც გვარს დაუდო სათავე. დასაშვებია სხვა ვარიანტიც: მაღრიანი (დამოწმებულია ლეჩხუმში XVI ს-ში) → მაღრია (სამეგრელოში მიგრირების შემდეგ) → მარღია (ღრ→ რღ ჩვეულებრივი ფონეტიკური პროცესია მეგრულში). იხ. მანდარია. შდრ. მარღიაშვილი.

**მარშავა** – 159 სული (ფოთი – 51, ზუგდ. - 35, სენაკი – 26). კომლი: ნაქალაქევი – 3, ლეძაძამე – 2, ზუგდიდი – 4 და სხვ. ამოსავალი მარშა მარუშან, მარშვანის შემოკლებული ვარიანტი ჩანს. ალბათ ამავე სახელთანაა დაკავშირებული გვარები მაშავა და მაშია (იხ.).

**მარშანია** – 479 სული (თბ. - 194, ზუგდ. - 96. სენაკი – 34). კომლი: დარჩელი – 5, ხობი – 4, სენაკი – 9 და სხვ. მარშან(ი) მარუშანის რედუცირებული ვარიანტია. პირსახელი მარშანა გავრცელებული ყოფილა კოლხეთში: XVII ს. დავთარში დასახელებულია მათხოჯელი ყმა ადამია მარშანა (პალ, I, 69). გ. გასვიანის ვარაუდით, აწინდელი მარშანია სვანეთსა და აფხაზეთში წარჩინებული მარუშიანის გვარეულობას შეესაბამება (გასვიანი, 1991, გვ. 102). მარშანიები აფხაზეთში თავადები იყვნენ.

**მასხულია** – 267 სული (თბ. - 151, ფოთი – 26, მარტვ. - 25). მარტვილში ცხოვრობს 10 კომლი. ადგ. ვარიანტი: მასხუაა, მასხვია. ტოპ.: ემასხვიე//ემასხუაე – უბანი ნოღის მარჯ. მხარეს, მარტვილისა და ლეცისხვაიეს საზღვარზე. ნამასხვიუ//ნამასხუაუ – ტყე-ფერდობები ეჯაშიეში (ლეცისხვაიე). ამავე ფუძის გვარი მასხულავა დამოწმებულია 1733 წ. შედგენილ ერთ საეკლესიო საბუთში (ქსძ, III, 732). ი. ბაგრატიონის "ეტიმოლოგია" ასეთია: "მასხულ არის ადგილი თათართა და იქიდან არიან მოსულნი" (ბაგრატიონი, 1997, გვ. 134). გ. ახვლედიანი გვარ მასხულიას აკავშირებს ეთნონიმ მესხთან. ამავე დროს, მასხა, მასხია ზ. სვანეთში დაფიქსირებული სახელებია და შესაძლებელი იყო მისი გავრცელება მეგრულში მასხულ ფორმით (მასხულ მეგრულში შეიძლება ნიშნავდა მემსხლეს, მაგრამ რეალურად ასეთი მეტსახელი ძნელად წარმოსადგენია). 1904 წელს ნახუნაოში, სერგიეთში, საჩოჩიოში, საბოკუჩავოში, კოდორში, მარტვილში, საელიავოში, ინჩხურში, საკაჭარაოში მცხოვრები მასხულიები

აზნაურები იყვნენ. ამასთანავე, კვათანაში მოსახლეობენ როგორც მასხულიები (აზნაურები), ისე მასხულაიები (აგრეთვე აზნაურები).

მატახერია – 79 სული (სენაკი – 26, თბ. - 13, ფოთი – 12). ხორშში, სკურიის მარჯ. მხარეს, მოსახლეობს მატახერიათა 3 ოჯახი. მათს უბანს ეწოდება სამატახერიო. მატახერი ხელობის აღმნიშვნელი ტერმინი ჩანს. მეგრულში ტახუა(//ტოხუა) ზმნის ერთ-ერთი მნიშვნელობაა მაგარი საგნის (ქვის, ხის) ამოჭრა. განსაკუთრებით გავრცელებული ყოფილა ქვის ჩამურის (საცეხველის) ან სანაყის ამოკოდვა. ამ საქმის მცოდნეს შერქმევია მეტსახელი მატახერი "ამომკოდავი". 1904 წელს ხორშში მცხოვრები მატახერიები აზნაურები იყვნენ.

მატკავა – 713 სული (ზუგდ. - 245, თბ. - 107, წალენჯ. - 99). კომლი: სუჯუნა – 15, რუხი – 11, ზუგდიდი - 20 და სხვ. ტოპ.: სამატკო – უბანი ცუდღარის ნაპირას (სუჯუნა). ნამატკუ - ბორცვი ნაპერტუსა და ოტოფუეს შუა (ფუქი). ინფ.: "მატკავები წარმოშობით არიან მანწკავები, თურქები". სამეგრელოში თურქებს ლაზებსაც უწოდებენ. შდრ. მანწკავა, მანტკავა.

მატუა – 536 სული (მატუა, და არა მათუა, როგორც არის წარმოდგენილი წიგნში "გვარ-სახელები საქართველოში"). გავრცელებულია წალენჯიხის რ-ნში. კომლი: ჯვარი – 21, ჩქვალერი – 16, საჩინო – 10 და სხვ. ტოპ.: სამატუო – ყოფილი დასახ. უბანი სქურდილის ხეობაში (ობუჯი). მატო ძველ ქართულ მწერლობაში, ხოლო მატუ, მატუნა თანამედროვე კოლხეთში გავრცელებული სახელებია.

მაფორია – გვარს აღადგენს ტოპონიმი ნამაფორუ. ესაა საძოვარი სავეკუოში (ახუთი). მაფორი იგივე უნდა იყოს, რაც ქართული მეფარე. უფრო ხშირია მ ჩართული ვარიანტი მამფორია (იხ).

მაქანდარია (მოქანდარია) – გვარის უწინ არსებობას ადასტურებს ტოპონიმი ლემაქანდარე// ლემოქანდარე (ფერდობები ხეშობონუს მარჯ. მხარეს ნაცატუსა და კორცხელში). მაქანდარა პირსახელია (ქსს, 1986). მიხ. თამარაშვილის წიგნში "ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის" დასახელებულია "მაქანდრიანთ გრიგოლ". შდრ. მაქანდარაშვილი (ადიგენი).

მაქაცარია – 1552 სული (ზუგდ. - 1174, თბ. - 151, ფოთი – 55). კომლი: ყულიშკარი – 77, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) – 20, დიდი ნეძი – 20, ჭითაწყარი – 14, ოქტომბერი – 13, ინგირი – 10, დარჩელი – 8, თეკლათი – 6, ნარაზენი – 5, ორულუ – 5, ცაიში – 4 და სხვ. ტოპ.: ლემაქაცარე - ყოფილი დასახ. უბანი ერაწყარის მარც. მხარეს (ჯიხაშკარი). სამაქაცარიო – უბნები ზუგდიდის რაიონის სოფლებში – დიხაგუძუბაში (ჯუმის მარც. მხარეს), ახალსოფელში (ყულიშკარის საზღვართან), დიდ ნეძში (ჯუმის ნაპირას). გვარი დასახელებულია XVIII ს. I ნახევრის საეკლესიო საბუთში: თეკლათს მცხოვრები მაქაცარია აფხაზეთის კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძეს ბიჭვინთის ღმრთისმშობლისათვის შეუწირავს და "ხუთი ლოღარიკი სანთელი" ბეგრად დაუდვია (ქსძ, III, 768). მაქაცარი მეგრულში ნიშნავს მეთიკნეს (ზ. ჭუმბურიძე, 1987).

მაღლაკელიძე – 3705 სული. გვარი საქართველოში 146-ე ადგილზეა. ფართოდაა გავრცელებული იმერეთში (32-ე ადგილი. 2433 სული). გადანაცვლებულია სამეგრელოშიც: ახალსოფელში (ხობის რ.) დაფიქსირდა 6 კომლი. მაღლაკელი (← მაღლაკი) სადაურობის სახელია.

მაღნარაძე – 173 სული (აბაშა – 102, თბ. - 32, ფოთი – 22). ამ -ძე დაბოლოებიანი გვარის სამშობლოა სამეგრელო. კომლი: სუჯუნა – 9, აბაშა – 4 და სხვ. შდრ. პირსახელი მაღრანა (ქსს, 1981).

მაშავა – 210 სული (სენაკი – 100, ფოთი – 34, თბ. - 22). კომლი: მენჯი – 17, ჭალადიდი – 4 და სხვ. ტოპ.: სამაშა – უბანი ციეის მარც. მხარეს (სენაკი). სამაშაო – უბანი რეკის საზღვართან (ბათარია). კოლხური სახელები მაშა, მაშუ ალბათ მარუშან-მარშვანის შემოკლებული ფორმებია. მ. ქალდანი ერთმანეთთან აკავშირებს გვარებს – მიშვ-ელ-ა-ძე, მეშვ-ელ-ან, მაშ-ავ-ა (ქალდანი, 1980, გვ. 73).

მაშია – 76 სული (ზუგდ. - 60, თბ. - 11, ხობი – 5). კომლი: ორსანტია – 14, ზუგდიდი – 13 და სხვ. ტოპ.: სამაშიო – უბანი საქორიოს გვერდით (ორსანტია). შდრ. მარშავა, მაშავა.

მაშინაია – იშვიათი გვარია. ძვ. სენაკში ცხოვრობს 5 კ., სენაკში – 3 კ. და სხვ.

მაცაბერიძე – 796 სული. რაჭასა და იმერეთში გავრცელებული გვარი გადანაცვლებულია სამეგრელოშიც: ხორშში – 3 კ., ხობი – 3 კ. და სხვ.

მაჭავარიანი – 3536 სული. იმერეთში ფართოდ გავრცელებული გვარია (იყვნენ აზნაურები). უფალკარში, ფაქვის მარჯ. მხარეს, დაფიქსირდა 4 კომლი. სწორედ აქაა უბანი სამაჭავარიანო.

მაჭარაშვილი – 8099 სული. ქვეყნის მასშტაბით 23-ე ადგილზეა, იმერეთში კი - მეცხრეზე. კომლი სამეგრელოში: საგვიჩიო – 4, ახალსოფელი (ხობის რ.) – 3 და სხვ. მაჭარა მეტსახელი ჩანს.

მახარაძე – 8241 სული. გვარი საქართველოში სულთა რაოდენობით 22-ე ადგილზეა, აჭარის რეგიონში – მერვეზე (4609 სული), გურიაში – მეათეზე (1470 სული). მიგრირებულია სამეგრელოშიც: გეჯეთში აღინუსხა ამ გვარის მატარებელი 4 კომლი. მახარა გავრცელებული პირსახელია.

მახარია – გვარს აღადგენს ტოპონიმები: ნამახარუ – ჩაის ფართობი ლეშონეში. სამახარიო//მახარია – უბანი და ღელე ჩხორიის საზღვართან (ლია). მახარია სამეგრელოში სახელიცაა და გვარიც. მიღებულია მახარე-საგან -ა სუფიქსის დართვით (მახარე-ა →მახარია).

მგალობლიშვილი – 2121 სული (თბ. - 895, ჩოხატ. - 191, გარდ. - 264). კომლი სამეგრელოში: ჭაქვინჯი – 10, ნარაზენი – 3 და სხვ. ადგ. ვარიანტი: გალობერი. ტოპ.: საგალობერო

//სამგალობლიშვილო – უბანი ჭანისწყლისა და ერაწყარის ნაპირებზე (ჭაქვინჯი). ვარიანტი მგალობელი დაფიქსირებულია 1750-1780 წლებში შედგენილ სათავდებო წიგნში (სოსელია, 1960, გვ. 19). 1904 წლის აღწერის მასალებით, მარანში მცხოვრები მგალობლიშვილები აზნაურები იყვნენ.

მგელაძე – 3761 სული. გურიასა და აჭარაში ფართოდ გავრცელებული ეს გვარი გვხვდება სამეგრელოშიც: თეკლათი – 3 კ., კეთილარი – 5 კ. და სხვ. მგელა ან პირსახელია, ან - მეტსახელი.

მებონია – 1672 სული (ზუგდ. - 659, წალენჯ. - 514, თბ. - 174). კომლი: ობუჯი – 76, წალენჯიხა – 29, რიყე – 8, კახათი – 5, ჯიხაშკარი – 5, დარჩელი – 4, ერგეტა – 4, ჩხოროწყუ – 4, პ. ხორგა – 3, ჩხორია – 3 და სხვ.

მებუკია – იშვიათი გვარია. ნოსირში დაფიქსირდა 4 კომლი. მებუკე ხელობა-მოსაქმეობის აღმნიშვნელი ტერმინია. მეგრული გვარი მებუკია შეიძლება წარმოქმნილი იყოს ამ ტერმინისაგან ან წარმოადგენდეს იმერული გვარის – მებუკე-ს (236 სული) გამეგრულებულ ვარიანტს.

მეგრელიშვილი – 4071 სული. გვარი ფართოდაა გავრცელებული ქართლშიც და იმერეთშიც. კომლი სამეგრელოში: საგვიჩიო – 23, ტყვირი – 4 და სხვ. არსებობს გვარები მეგრელი, მეგრელაძე, მეგრელიშვილი, მეგრელიძე, რომელთა ეპონიმები, ჩვეულებრივ, მეგრელები კი იქნებოდნენ, მაგრამ სხვადასხვა გვარისანი. მაგალითად, ლეჩხუმში (ორბელსა და ლასხანაში) მცხოვრებ გვარად მეგრელთა წინაპარი, მათივე გადმოცემით, ყოფილა უგლავა სამეგრელოდან (თოფჩიშვილი, 1991, გვ. 17).

მელთაია – 131 სული (ზუგდ. - 59, თბ. - 26, ქუთ. - 11). ძირძველი მოსახლე სამეგრელოში იშვიათია. არიან ლტოლვილნი სამურზაყანოდან. მელა პირსახელია. შდრ. მელაძე (იმერეთი).

მელაძე – 6479 სული. ქვეყანაში 41-ე ადგილზეა სულადობით. ფართოდაა გავრცელებული ქართლში, იმერეთში. კომლი სამეგრელოში: წალენჯიხა – 12, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) – 4, სუჯუნა – 4, ქვ. ჭალადიდი – 4 და სხვ. ადგ. ვარიანტი: მელაია. მელაძეები დასახელებულნი არიან 1621 წლის მათხოჯის საეკლესიო გლეხთა სიაში (ქსძ, III, 408). შდრ. მელაშვილი (რაჭა, იმერეთი).

მელია – 573 სული (აბაშა – 169, თბ. - 125, ზუგდ. - 100). კომლი: სეფიეთი – 25, აბასთუმანი – 12, ძვ. აბაშა – 9, წყემი – 6, ინგირი – 5, ახუთი – 4, მარანი – 4, აბაშა – 3, ქვ. ქვალონი – 3 და სხვ. ადგ. ვარიანტი: მეია (ზ.-მ. თქმა). ტოპ.: სამეიო – ყოფილი დასახ. უბანი უჩაღელეში (სეფიეთი. ამავე სოფელში ამჟამად მელიების გვარით დასახლებულ უბანს ეწოდება სამელიო). ნამელუ – სახნავი ჯიხაშკარში, მინდორი საგვიჩიოში. სამელიო – უბნები წყემსა და ხეცერაში (უმპიის ნაპირებზე). "საცაიშლო დავთრის" (1616-1621 წწ.) მიხედვით, წყარიგზურს მცხოვრებ მელიას მართებს სხვადასხვაგვარი საეკლესიო ბეგარა (ქსძ, III, 473). გვარი მელია დასახელებულია 1733 წელს შედგენილ საბუთშიც (ქსძ, III, 732). დაახლოებით ამავე პერიოდში წყალიძგას მცხოვრები ფაცილაი, გაბრიელ და მამაგული მელიები ბიჭვინთისათვის შეუწირავთ (ქსძ, III, 767). მელა ძველ საქართველოში მამაკაცის სახელი იყო. ამის გარდა, მელა, მელია შეიძლებოდა შერქმეოდა ეშმაკ, ცბიერ კაცს. 1904 წელს ზანათსა და წყემში მცხოვრები მელიები აზნაურები იყვნენ.

მელიავა – 155 სული (მარტვ. - 50, ქუთ. - 48, თბ. - 14). სერგიეთში, აბაშის მარჯ. მხარეს, ცხოვრობს მელიავას 12 ოჯახი. ამ უბანს ეწოდება ემეიე. მეია მელიავას (და მელიას) ადგ. ვარიანტია. გვარი წარმოქმნილია უკვე არსებულ გვარზე -ია სუფიქსის დართვით (შდრ. გოგიავა, ფონიავა...).

მელიქია – 48 სული (ფოთი – 25, თბ. - 17, რუსთ. - 3). კომპაქტური დასახლება გვარს არ მოეპოვება. მელიქი აღმ. ენებში აღნიშნავს მმართველს, მამასახლისს. მელიქია კოლხეთში პირსახელიცაა. შდრ. მელიქიძე, მელიქიშვილი.

მელიქიძე – 2213 სული. გავრცელებულია სამცხეში. ნორიოში დაფიქსირდა 4 კომლი.

მელქაძე – 1898 სული. იმერული გვარია: გვხვდება სამეგრელოშიც (სამიქაო - 3 კომლი).

მერცხულავა – მირცხულავას ვარიანტია. ყულიშკარში დაფიქსირდა 16 კომლი. მათს უბანს ეწოდება სამერცხულავო.

მესხი – 4054 სული. საქართველოში ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული გვარია (125-ე ადგილი). განსაკუთრებით მრავლად არიან იმერეთში. კომლი სამეგრელოში: ჭითაწყარი – 29, აბედათი – 9, ნარაზენი – 8, აბაშა – 3, ყულიშკარი – 3 და სხვ. იმერელი მესხები აზნაურები იყვნენ. მესხი ეთნონიმია (სატომო სახელია) და, როგორც ასეთი, ხშირად იქცევა მეტსახელად და გვარსახელად.

მესხია – 1637 სული (ზუგდ. - 702, წალენჯ. - 452, თბ. - 208). კომლი: ობუჯი – 52, შამგონა – 12, წალენჯიხა – 12, საჩინო – 10, ინგირი – 6, ახალსოფელი (სენაკის რ.) – 5, ნაესაკაო – 5, ქვ. ქვალონი – 5, ოდიში – 5, ჯიხაშკარი – 5 და სხვ. ტოპ.: სამესხიო – სოფელი ჭანისწყლისა და ყულიშწყარის წყალგამყოფ მაღლობზე (ობუჯის თემი. იყოფა: გინძე სამესხიო, კუნტა სამესხიო, ჟინი სამესხიო, ჭიჭე სამესხიო). სამესხიო – უბანი ენგურის მარც. მხარეს (შამგონა). ემესხე//ნამესხუ - ბორცვი, ყოფილი დასახ. უბანი ჯვარღეის სათავესთან (ჯოლევი). ნამესხუ – ტყე-ფერდობები სამიქაოში (ფუქი). გვარი წარმოქმნილია ეთნონიმისაგან "მესხი", რაც ალბათ ეპონიმის ზედწოდება ან მეტსახელი იყო.

მეუნარგია – 126 სული (ზუგდ. - 57, თბ. - 45, ბათ. - 6). კომლი: ჭითაწყარი – 6, ხეთა – 5 და სხვ. ეს გვარი ეტიმოლოგიურად ამოსავალი ფორმით "მეუხაგრია" პირველად მოიხსენიება "საცაიშლო დავთარში" (1616-1621 წწ.). აქ დასახელებული არიან ცაიშის საყდრის მეზეგრე გლეხები: ქოშოკორდა,

ცვიარაბია, უჩაკოჩა, ჯუჯუტია, ვამიჩქიდა, იენეკა, მახიოლია, თოლიოქრო, ხოხოლია, ხუტკუბია, ბერი, იორდანე, ხუხუბია, ურცხოლა, შურიმიდგა, ბახუტა, ხუტულა, ბოხვაი, ლომიხა, გიორგილა მეუნაგრიები (ქსძ, III, 444-453). ამავე საბუთიდან ირკვევა, რომ მეუნაგრიები ცხოვრობენ მეზობელ სოფელ დარჩელშიც (იქვე, 456-459). XVIII ს. მეორე ნახევარში უკვე დასტურდება ვარიანტი მეუნარგია: გრიგოლ ცაიშელი აძლევს წყალობის წიგნს ბოშიხუხუ მეუნარგიასა და მის შვილს ბებელას, რომელნიც, აფხაზეთს "გარდავარდნილნი", დაუბრუნებიათ და ცაიშს დაუსახლებიათ (ქსძ, III, 1050). ჯ. როგავამ გამოარკვია, რომ მეუნარგიათა წინაპარი ყოფილა გურიიდან ლტოლვილი არჯევან თავართქილაძე, რომელიც შეუფარებია მანუჩარ დადიანს (1590-1611). დადიანთან თავშეფარებულისათვის მიუციათ სახელი და გვარი გურკოჩი დაკარგულია. უნაგირის კეთება სწორედ მის შვილ ჯუმუტიას დაუწყია და გვარი მეუნარგიაც მას მიუღია (როგავა, 1970). ხელობის აღმნიშვნელი ტერმინის გვარად ქცევის მორფოლოგიური და ფონეტიკური გზა ასეთია: მეუნაგირე →მეუნაგირე-ა → მეუნაგრია (ფუძიდან ი ხმოვნის ამოვარდნით) →მეუნარგია (რ სონორის გადასმით ხშული თანხმოვნის წინ). 1904 წელს ცაიშში ცხოვრობდა ორი კომლი მეუნარგია აზნაურის წოდებისა.

მეფარეიშვილი - ძალზე იშვიათი გვარია. კეთილარში დაფიქსირდა 4 კომლი. იხ. მეფარიშვილი.

მეფარიშვილი - 1722 სული. განსახლების ძირძველი რეგიონებია გურია და იმერეთი. კომლი სამეგრელოში: ქვ. ქვალონი – 10, ხობი – 3 და სხვ. მეფარე "ფარის მკეთებელი" ხელობის სახელია.

მეფორია – 165 სული (ზუგდ. - 98, წალენჯ. - 16, თბ. - 10). ამჟამად კომპაქტური დასახლება არ დასტურდება. ტოპ.: სამეფორიო - ბორცვი ფახულანში, ჩვახეშ ღალის სათავესთან. აქედან უკანასკნელი მეფორია წასულა 1955 წ. გვარი დასტურდება საისტორიო საბუთში: "საცაიშლო დავთარში" (1616-1621 წწ.) დასახელებულნი არიან ჰალაში (ამჟამად ჰლოუ ოჩამჩირის რ-ნში) მცხოვრები საეკლესიო გლეხები - შიშიგაბუ, ხუხუტია, ივანე, ერჩქიდია მეფორიები (ქსძ, III, 467-468). მეფორია არის ეპითეტი კაცისა, რომელიც მიწის თოხნისას შიგადაშიგ ბალახს კი არ მოჭრის, არამედ მიწას მიაყრის და დაფარავს.

მეძველია – 333 სული (თბ. - 53, ქუთ. - 54, მარტვ. - 30). იმერული გვარია. გვხვდება სამეგრელოშიც: ნაგვაზავოში დაფიქსირდა 11 კომლი. შდრ. მეძველიანი (ცხოვრობს რუხში 2 კომლი).

მზარელუა – 137 სული (სენაკი – 58, თბ. - 26, ზუგდ. - 9). კომპაქტური დასახლება დაფიქსირდა საჯიჯაოში – 4 კომლი. გვარებისათვის – მზარელუა, ზარელუა, ზარულუა – ამოსავალი ჩანს ხელობის აღმნიშვნელი ქართული სიტყვა მზარეული. შდრ. მზარეულაშვილი, მზარეულიშვილი.

მიგინეიშვილი – 736 სული (აბაშა – 474, თბ. - 58, სამტრ. - 50). კომლი: ტყვირი – 75, აბაშა – 8, მარანი – 7, ნაესაკაო – 4, ნოსირი –3, ხორში – 3 და სხვ. ტოპ.: სამიგინეიშვილო – ყოფილი დასახ. უბანი, ამჟამად სერი მენჯღალის მარჯ. მხარეს (საადანაიო, ხორშის თემი). პირსახელი მიგინე გვხვდება XVII ს. პირველი მეოთხედის დოკუმენტში, საიდანაც ვიგებთ, რომ "მიგინეს შვილი პეპუ" შეუწირავთ ბიჭვინთის ეკლესიისათვის (ქსძ, III, 475). მიგინე, როგორც ჩანს, გასუბსტანტივებული და მეტსახელად ქცეული ზმნური ფორმაა. შდრ. გიგინეიშვილი.

მითაგვარია - 325 სული (ზუგდ. - 152, წალენჯ. - 49, მარტვ. - 32). კომლი: დ. ჰყონი - 16, ახალაბასთუმანი - 12, კახათი - 6, აბასთუმანი - 4, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) - 4, ჰაქვინჯი - 4, შამგონა -3, ჩქვალერი - 3 და სხვ. ტოპ.: სამითაგვარიო - უბანი ახალაბასთუმანში და ყოფილი დასახ. უბანი ჰაქვინჯში (ერაწყარის მარჯ. მხარეს).

მილდიანი - 197 სული. მესტიის რ-ნიდან არიან ჩამოსახლებული კოლხეთის ბარში: ჩხოროაში დაფიქსირდა 6 კომლი, არიან სხვა სოფლებშიც.

მილორავა - 681 სული (თბ. - 177, სენაკი - 142, ზუგდ. - 91). კომლი: ძვ. სენაკი - 23, გურძემი - 7 და სხვ. ადგ. ვარიანტი.: მიორა (ზ.-მ. თქმა). ტოპ.: ლემიორე//სამილორაო - უბანი სკურდის სათავესთან (პ. გურძემი, ნახურცილავო). გამოთქმულია მოსაზრება, რომ გვარი მილორავა წარმოქმნილია სოფლის სახელწოდება ილორი-დან (იხ. ზ. ჭუმბურიძე, 1987, გვ. 314). გურძემში მცხოვრებ მილორავათა ერთი შტო აზნაურის წოდებისა იყო.

მიმინოშვილი - 2622 სული (აბაშა - 895, თბ. - 438, ოზურგ. - 349). გვარის გავრცელების ძირითადი და ძირძველი რეგიონია სამი მეზობელი სოფელი: ზანათი - 100 კ., ნაესაკაო - 55 კ., სუჯუნა - 48 კ. ცხოვრობენ სხვაგანაც: ახალსოფელი (სენაკის რ.) – 8 კ., აბაშა – 6 კ., ნოსირი – 3 კ., ქვ. ქვალონი – 3 კ. და სხვ. ადგ. ვარიანტი: მიმ(ი)ნოსქუა. ტოპ.: სამიმინოსქუო - უბნები გამოღმა ზანათსა და გამოღმა კოდორში (ღაჭუს ნაპირებზე). მიმინოშვილები აქ გურიიდან მოსულან. სამიმ(ი)ნოსქუო//სამნოსქუო - უბანი ცუდღარის მარც. ნაპირას (სუჯუნა). პირსახელი მიმინო დამოწმებულია „ტბეთის სულთა მატიანეში".

მინდილაია - 36 სული (თბ. - 17, მარტვ. - 12, სენაკი - 2). ვედიდკარში დაფიქსირდა 13 კომლი. აქ ისინი მოსახლეობენ წყურგილის ნაპირას და მათ უბანს ეწოდება სამინდ(ილ)აიო (ორქა, ვედიდკარის თემი). მინდ- ძირის შემცველი პირსახელები გავრცელებულია საქართველოს მრავალ კუთხეში (კერძოდ, სვანურში გვხვდება მინდუხ). მინდილა მის ვარიანტად შეიძლება ჩავთვალოთ.

მინჯორაია - 99 სული (ზუგდ.- 67, თბ. - 12, ფოთი - 3). კომლი: ინგირი - 5, ზუგდიდი - 7 და სხვ. ტოპ.: სამინჯორაიო - უბანი ჩხოუშიის ხაპირას (ოირემე, ინგირის თემი). მინჯე მეგრულად პატრონს ნიშნავს. მინჯორი, შესაძლოა, ნიშნავდეს პატრონიანს. შდრ. თოლი „თვალი" → თოლორი „თვალიანი". იშვიათად გვხვდება საპასპორტო ვარიანტი მიჯორია.

მირგატია - 394 სული (სენაკი - 165, ზუგდიდი - 80, თბ. - 40). კომლი: ზანა - 44, ნარაზენი - 12, ჭითაწყარი - 10, თეკლათი - 8, საჯიჯაო - 3, ფოცხო - 3, ხობი - 3 და სხვ. ტოპ.: სამირგატიო - უბნები მ. მოხაშსა და საესებუოში (ზანის თემი). ინფ.: „ძველები ყოფილან შონეთიდან, კერძოდ, ჯვარიდან (ჩ-პ.ც.). იქ მიჰყავდათ შესაწირი ხარი".

მირცხულავა - 1804 სული (ზუგდ. - 554, სენაკი - 302, თბ. - 272). კომლი: ფოცხო - 20, ყულიშკარი - 16, ტალერი - 8, პ. ხორგა - 8, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) - 6, ხობი - 6, ხორში - 6, ლეძაძამე - 5, პ. ფოთი - 5, ახუთი - 4, ახალსოფელი (ხობის რ.) - 4, დარჩელი - 4 და სხვ. ადგ. ვარიანტები მირცხულა, მორცხულა ჩანს ტოპონიმებში - ლემორცხულე (უბანი ფოცხოში). სამირცხულაო - უბნები გამოღმა პ. ხორგასა (ხობი-ფოთის გზაზე) და დიდ ხორში (დღურუს სათავესთან). გვარი დასახელებულია 1706 წელს შედგენილ შეწირულების წიგნში, სადაც ნათქვამია, რომ კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძეს უყიდია და ხატისათვის შეუწირავს ქოჩუა მირცხულავა (ქსძ, III, 647). იგი ამავე საბუთში მეორედ მოხსენიებულია როგორც ქოჩუა მირსხულავა (იქვე, 648). ამავე პერიოდის სხვა საბუთში დასახელებულია ბოჯოჯია მისხულავა (იქვე, 676), ხოლო XVIII ს. პირველი ნახევრის კიდევ ერთ საეკლესიო საბუთში - ხორგას მცხოვრები პაპკუტია მისხულავა (ქსძ, III, 770). ივ. ჯავახიშვილმა გვარი დაუკავშირა მეგრულ სიტყვა მურიცხს ("ვარსკვლავი") და მირცხულავა გაიაზრა როგორც ვარსკვლავას შვილი.

მიქავა - 4550 სული (წალენჯ. - 1571, ზუგდ. - 1086, თბ. - 411). საქართველოში ყველაზე გავრცელებულ გვართა შორის 96-ე, ხოლო სამეგრელოს რეგიონში მე-12 ადგილი (3618 სული) უკავია. წალენჯიხის რ-ნში ეს გვარი მე-7, ხოლო ზუგდიდის რ-ნში - 25-ე ადგილზეა. კომლი: წალენჯიხა - 113, აბედათი - 82, მედანი - 76, ჯგალი - 46, ჩხორია - 45, ფუქი - 31, საჩინო - 17, ლია - 16, ჯვარი - 11, ყულიშკარი - 9, დიდი ნეძი - 8, ლეძაძამე - 7, ოდიში — 7, საჯიჯაო - 7, ხეთა - 7 და სხვ. ტოპ.: ლემიქავე (ადგ. ვარიანტი: ლემიქაო აბედათი) - სოფელი ქვალარის ხეობაში (აბედათის თემი. ამ სოფელში მიქავებით დასახლებულ უბანს ემიქე ეწოდება). სამიქა — უბნები დიდ ნეძსა და ზენში (საჯიჯაოს თემი). სამიქაო - უბნები ფუქში (ნაპერტუღალისა და ლაჩახვის ზემოთებს შუა), მაზანდარაში (ფუისქურის მარც მხარეს), ერგეტაში, მოგირში. სამიქაო//ქიხი ტყაია - სოფლის ნაწილი (ტყაია). ნამ(ი)ქუ - ბორცვი ეგიგაიესა და საინჯგიოს შუა, სადაც მიქავას უცხოვრია (ნახუნავო, წინაკვერკვე). უნდა აღინიშნოს, რომ ლეჩხუმში (სოფ. ალვში) მცხოვრებ მიქაძეთა წინაპრები ყოფილან მიქავები სამეგრელოდან (თოფჩიშვილი, 1993, გვ. 16). მიქავა აფხაზეთში მიქამბად ქცეულა და აზნაურის წოდება მიუღია. პირსახელი მიქა დასტურდება საისტ. წყაროებსა და თანამედროვე კოლხეთის ანთროპონიმიის მასალებში. აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხთა შორის დასახელებულია მიქა მიქელია (1621 წ. იხ. ქსძ, III, 427). ამ შემთხვევაში მიქა პირსახელია. მ. ქალდანის მტკიცებით, მეგრული გვარი მიქ-ავ-ა იგივეა, რაც სვანური მიქ-ელ-ან (ქალდანი, 1980, გვ. 72).

მიქაია - 1488 სული (ზუგდ. - 429, თბ. - 294, მარტვ. - 227). კომლი: ბანძა - 18, ერგეტა - 18, ონოღია - 12, დ. ჭყონი - 7, კურზუ - 7, ჩხოროწყუ - 6, ნაჯახავო - 5, ორულუ- 4, ხაბუმე - 4, ლეძაძამე - 3, წალენჯიხა - 3 და სხვ. გვარისათვის ამოსავალია პირსახელი მიქა, რაც გამოიყოფა მიქავაშიც და მომდინარეობს ძველი ებრაული მიქაელისაგან.

მიქანაძე - 178 სული. გვხვდება თბილისში, აჭარაში, გურიაში. დადასტურდა სამეგრელოშიც: პ. მაისში ცხოვრობს 3 კომლი. მიქანა პირსახელ მიქას მოფერებითი ვარიანტია.

მიქანძე - 63 სული. გვარი მთლიანად განსახლებულია ზუგდიდის რ-ნში. კომპაქტური დასახლება აღინიშნა ორსანტიაში, სადაც ცხოვრობს 13 კომლი. მათს უბანს ეწოდება სამიქანძო. ხანდაზმული ინფორმატორის გადმოცემით, მისი პაპის პაპა ჩამოსულა ლეჩხუმიდან. შდრ. მიქაძე.

მიქაუტაძე - 1246 სული. იმერული გვარია, სამეგრელოშიც გავრცელებული. კომლი: ქვ. ჭალადიდი - 5, გეზათი - 3, გურიფული - 3, პ. ხორგა - 3, ხობი - 3, კოკი - 3 და სხვ. პირსახელ მიქას დართვია მოფერებითი სახელის მაწარმოებელი -უტა სუფიქსი. -ძე გვარსახელს აწარმოებს.

მიქაცაძე - 315 სული. იმერული გვარია. ქვ. ჭალადიდში დაფიქსირდა 4 კომლი. მიქაცა, ისევე როგორც მიქაუტა, მიქას მოფერებითი ვარიანტია.

მიქაძე - 4950 სული (თბ. - 1448, აბაშა - 791, ქუთ. - 552). სულთა რაოდენობით ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი გვარია საქართველოში (81-ე ადგილი) და ცოტათი მეტია მიქავაზე (იხ.). სამეგრელოშიც ფართოდაა გავრცელებული, გასაკუთრებით, აბაშისა (მე-6 ადგილი), სენაკისა და ხობის რ-ნებში. კომლი: სამიქაო - 137, ქოლობანი - 89, ძვ. სენაკი - 10, აბაშა - 7, პ. მაისი - 6, ტყვირი - 5, მარანი - 3, ყულევი - 3, ძვ. ხიბულა - 3 და სხვ. ადგ. ვარიანტი: მიქაძე (ზოგ შემთხვევაში ოფიციალური გვარია). ტოპ.: სამიქაო - სოფელი, თემის ცენტრი ცხენისწყლის მარჯ. მხარეს (აბაშის რ.). იყოფა ორ ნაწილად: ზედა სამიქაო - სოფლის ცენტრიდან მაიდნამდე და ქვედა სამიქაო -

ცენტრიდან გულუხეთამდე. საკუთრივ მიქაძეები ცხოვრობენ კოვზას ნაპირებზე. მათ უბანს ეწოდება მიქაძეები//მიქაძეების ქუჩა. სამიქანძო - უბანი ძვ. ხიბულაში (სახლობენ მიქაძეები). 1657-1660 წწ. წყალობის წიგნში ნახსენები არიან მიქაძე მიხილია და მისი შვილები (ქსძ, III, 532). მიქაძეები თავადები იყვნენ და ეკუთვნოდათ მამულები და ყმა გლეხები აბაშის, სენაკისა და ხობის რ-ნების სოფლებში.

მიქელაძე - 9454 სული. სულთა რაოდენობით საქართველოში მე-16, ხოლო აჭარაში – მე-5 (5274 სული) ადგილზეა.გვხვდება სამეგრელოშიც (ზ. ქვალონი - 7 კომლი). მიქელა (← ებრ. მიქაელი) გავრცელებული პირსახელია. 1904 წლის აღწერით, მიქელაძეები იყვნენ თავადები, მოსახლეობდნენ და ფლობდნენ მამულებს აბედათში, ჯოლევში, ახუთში, მუხურში, მარახში, ცილორში, საზოკუჩავოში.

მიქელბაია - 60 სული (ზუგდ. - 48, ფოთი - 5, ქუთ. - 3). ზუგდიდის რ-ნში დადასტურდა რამდენიმე კომლი ძირძველი მოსახლე. არიან ლტოლვილებიც. მიქელ ქართულ-კოლხური სახელია. მას დართვია აფხაზური -ბა და შემდეგ მეგრული -ია სუფიქსები.

მიქელია - გვარს აღადგენს ტოპონიმი ნამქელუ//ნანქელუ (ბორცვი ობუჯში, ხუფინასა და ლავთარას შუა, სადაც მიქელიას უცხოვრია), აგრეთვე ისტ. წყარო: XVI ს. I მეოთხედში მუხურში (გალის რ.) ცხოვრობენ საეკლესიო გლეხები მიქა მიქელია და შურიმიდგი მიქელია (ქსძ, III, 427).

მიქენაია - 111 სული (ზუგდ. - 56, წალენჯ. - 50, თბ. - 2). კომლი: მედანი - 10, ზუგდიდი - 3 და სხვ. მიქენა მიქა, ან მიქე პირსახელის მოფერებითი ვარიანტია.

მიქია - 164 სული (თბ. - 46, ზუგდ. - 42, ქუთ. - 27). ძირძველი მოსახლე სამეგრელოში იშვიათია. ძირითადად არიან ლტოლვილები. მიქია (← მიქე-ა) პირსახელიცაა და გვარსახელიც. ს. ჯანაშია გვარებს – მიქია, მიქავა, მიქაძე, მიქიაშვილი - აკავშირებს სვანურ მიქიანთან (ჯანაშია, 1959, გვ. 36.

მიქიაშვილი - 988 სული. რაჭა-იმერეთში გავრცელებული გვარია. წარმოდგენილია სამეგრელოშიც (გურიფული - 3 კომლი). XVI ს. დამლევის საბუთში აღნიშნულია, რომ ოყურეშ მცხოვრებ მიქიაშვილს ემართა ცაგერის საყდრის ბეგარა (ქსძ, III, 379). შდრ. მიქია.

მიშველაძე - 331 სული (თბ. - 84, საჩხ. - 73, მარტვ. 64). ნამიკოლავო პირველში, ჩხოუშიის მარც. მხარეს, მოსახლეობს ამ გვარის 15 კომლი. ამ უბანს ეწოდება ლემიშველიე. მიშველია ადგ. ვარიანტია. "მიშველი" ზმნური ფორმაა. სუფიქსი -ა მას აქცევს პირსახელად. ახალშობილისათვის ამგვარი სახელის დარქმევით მშობლები გამოხატავდნენ გარკვეულ სურვილსა და იმედს. მეორე მხრივ, ერთმანეთთან აკავშირებენ სვანურ მეშველიან, ქართულ მიშველაძე და მეგრულ მაშავა გვარებს (ქალდანი, 1980, გვ. 73).

მიშველია - 184 სული (ზუგდ. - 88, სენაკი - 52- თბ. - 15). კომლი: ოქტომბერი - 10, ახალსოფელი (სენაკის რ.) - 6, განარჯიის მუხური - 6, რუხი - 3 და სხვ. ტოპ.: სამიშველიო - უბნები ნაწულუკუსა (რუხის თემი) და დავითიანში (ოქტომბრის თემი). მიშველიათი - უბანი სკურის მარჯ. მხარეს (შ. ხორში). მიშველია პირსახელიცაა: 1621 წლის საბუთიდან ვიგებთ, რომ მიშველია ნაჭყებიას ემართა საეკლესიო ბეგარა (ქსძ, III, 448). შდრ. მიშველაძე, მიშველიანი (42 სული. ძირითადად ზუგდიდში)..

მოგელაძე - 186 სული (თბ. - 75, ზუგდ. - 18, სენაკი - 14). ნოსირში დაფიქსირდა 4 კომლი, არიან სხვა სოფლებშიც. მოგელაძე ერთ-ერთია იმ -ძე მორფემოიდით ნაწარმოებ გვართა შორის, რომლის ბუდე-სამკვიდრო სამეგრელოა. ამოსავალია პირსახელი მოგელი, რომელიც დღესაც ფართოდაა გავრცელებული და მშობლების მოლოდინს გამოხატავს. შდრ. მოგელაშვილი.

მოდებაძე - 6435 სული. ქვეყნის მასშტაბით 43-ე ადგილზეა. იმერეთში მე-8 ადგილი უკავია (3825 სული). გვხვდება სამეგრელოშიც: ნოჯიხევი - 9 კ., ფოთი - 7 კ. და სხვ. შდრ. მოდებაშვილი.

მოლაშხია - 858 სული (წალენჯ. - 424, ზუგდ. - 248, თბ. - 54). გვარის ბუდეა ნაკიფუ (70 კომლი). კომლი სხვა სოფლებში: აბასთუმანი - 25, წალენჯიხა - 21, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) - 4, ჩხოროწყუ - 4, ჭითაწყარი - 4, ოდიში - 3 და სხვ. ტოპ.: სამოლაშხიო - უბანი მუხჩიის მარჯ. მხარეს (აბასთუმანი). იშვიათი საპასპორტო ვარიანტია მალაშხია. ლაშხ სვანეთში სოფელია. მგლაშხ კი სადაურობა-წარმომავლობის სახელია და ლაშხელს ნიშნავს. იხ. მალაშხია.

მონიავა - 430 სული (თბ. - 144, მარტვ. - 103, ქუთ. - 72). კომლი: ხუნწი - 31, მარტვილი - 6, კახათი - 4, ნაგვაზავო - 3 და სხვ. ადგ. და ისტ. ვარიანტი: მონია. XVIII ს. პირველ ნახევარში წყალიძგას (რიონისპირა სოფელი) მცხოვრები მამაგული მონია შეუწირავთ ბიჭვინთისათვის (ქსძ, III, 767). მონი პირსახელია. მისგანაა წარმოქმნილი მონია, რომელსაც შემდეგ დართვია -ვა სუფიქსი. (მონია, მონიო მეგრულსა და გურულში საზოგადო სიტყვაცაა: აღნიშნავს მორევს, ღრმა წყალს).

მორგოშია - 1529 სული (ზუგდ. - 451, ჩხორ. - 256, წალენჯ. - 189). კომლი: თამაკონი - 18, თაია - 17, ჩხორია - 14, საჩინო - 12, ორსანტია - 11, ნაფიჩხოვო - 10, ქვ. ქვალონი - 8, ჭოღა - 8, ქვ. ჩხოროწყუ - 6, სერგიეთი - 5, ჭკადუაში - 5 და სხვ. ტოპ.: ლემორგოშე - ვაკე-ფერდობები ლესაჯალეში (თაია). სამორგოშიო - უბნები ტყაიასა (ჩხორიის თემი) და ჭაქვინჯში (უმპიის მარჯ. მხარეს). იშვიათი საპასპორტო ვარიანტი: მარგოშია.

მოსია - 630 სული (ზუგდ. - 501, აბაშა - 45, თბ. - 44). კომლი: კახათი - 49, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) - 27, ჭითაწყარი - 18, ცაიში - 5 და სხვ. როგორც ამ (და ტოპონიმიკური მასალის)

მონაცემებიდან ჩანს, გვარის კომპაქტური დასახლებანი მხოლოდ ზუგდიდის რ-ნშია დაფიქსირებული. ტოპ.: სამოსიო - უბანი ახალსოფელში (აქაური მოსიების წინაპრები მოსულან ხუნწიდან. იქ თითქმის ბოლო დრომდე დადიოდნენ სალოცავად) და ყოფილი დასახ. უბანი ონარიასთან (ჭითაწყარი). სამოსიო//მოსიეფიშ კუნთხუ - უბანი უჩაღალის მარც. მხარეს (კახათი, ახალკახათი. აქაური მოსიები მოსულან მარტვილის რ-ნიდან). გვარისათვის ამოსავალია ძველი ებრაულიდან შეთვისებული სახელი მოსე (ნიშნავს: "წყლიდან ამოყვანილი"). მაშასადამე: მოსე → მოსე-ა→ მოსია (მოსია პირსახელიცაა).

მოსიავა - 201 სული (მარტვ. -106, წყალტ. - 39, ქუთ. - 25). კომლი: ინჩხური - 18, სერგიეთი - 5 და სხვ. ტოპ.: ემოსიე - უბანი ინჩხიის სათავესთან. ჰქონდა სოფლის სტატუსი და ეწოდებოდა ლემოსიავე. გვარისათვის ამოსავალია მოსია - პირსახელი ან გვარსახელი.

მოსიძე - 1212 სული (თბ. - 267, წალენჯ. - 202, შუახევი - 76). კომლი: ფუქი - 19, წალენჯიხა - 16, მუხური - 5, ოდიში - 5, ხუნწი - 5, ლეხაინდრავო - 4, ცაიში - 4, ჯვარი - 3 და სხვ. ადგ. ვარიანტები: მოსინა, მორსინა. ტოპ.: ლემოსიძე//სამოსიძო - ვაკე-ფერდობები სამართალა-წკვიპლალის წყალგამყოფზე (ლეჯოლიხე). ნამოსინუ - ბორცვი ნაპერტულალის სათავესთან, სადაც მოსიძეს უცხოვრია (ფუქი). 1578 წლის დავთარში დასახელებული არიან მოსიძე უფლისა და მოსიძე ფარშევანი, რომელთაც მართებთ ქუთაისის საყდრის ბეგარა (ქსძ, III, 306). 1796 წ. საბუთში დასახელებულნი არიან აზნაურიშვილები - ქაიხორო და ნიკოლოზ მოსიძეები (იქვე, 1029, 1034). იშვიათი საპასპორტო ვარიანტია მოსინა (ხონის რაიონში ცხოვრობს 25 სული).

მოქაცარია - გვარს აღადგენს ტოპონიმი ლემოქაცარე. ასე ეწოდება ბებას მარჯ. შესაკადს ლესაჯალეში (თაია). მოქაცარია, ისევე როგორც მაქაცარია, შეიძლება ნიშნავდეს მეთიკნეს. გვარის თავკიდურში მო-/მა- მონაცვლეობა არაა იშვიათი: მოლაშხია - მალაშხია, მორგოშია – მარგოშია...

მოქია - 362 სული. გავრცელებულია გურიაში. დაბოლოების მიხედვით კოლხური გვარია, მაგრამ ძირძველი მოსახლე სამეგრელოში იშვიათია (ფოთში დაფიქსირდა ორიოდე კომლი, ალბათ გურიიდან გადმოსული). მოქია პირსახელიცაა (ქსს, 1986).

მოწაფია - 133 სული (მარტვ. - 57, ზუგდ. - 32, თბ. - 27). კომლი: აბედათი - 10, ბანძა - 6 და სხვ. ტოპ.: ემოწაფიე - უბანი ჯიხაწყარის სათავესთან (ლექაჯაიე). ქართულიდან ნასესხები სიტყვა მოწაფე ალბათ ეპონიმის მეტსახელი იყო (მაშასადამე: მოწაფე → მოწაფე -ა → მოწაფია).

მოწერელია - 64 სული (მარტვ. - 27, ქუთ.- 14, ფოთი - 7). გვარის სამშობლოა მარტვილის რ-ნი. თვითონ მარტვილში ცხოვრობს 12 კომლი, ნაგვაზავოში - 3 კომლი. არიან სხვა სოფლებშიც. 1904 წელს მაშინდელ სოფელ ზუგდიდში მოსახლე ერთი კომლი მოწერელია აზნაურის წოდებისა იყო..

მოხეაში - 48 სული. -ში სუფიქსიანი კოლხური გვარია.. თითქმის მთლიანად განსახლებულია ზუგდიდის რ-ნში (მაგალითად, ორსანტიაში - 8 კომლი).

მსხალაია - 54 სული (თბ. - 19, ფოთი - 10, სენაკი - 5). კომპაქტური დასახლება აღინიშნა ვედიდკარში (10 კომლი). ადგ. ვარიანტებია: სხალაია, სხაია. ტოპ.: ესხაიე - ჩაის ფართობები ჟღვაბუს მარჯ. მხარეს (ვედიდკარი). მსხალაია გურია-აჭარაში გავრცელებული მსხალაძის ვარიანტია, მეგრულ მოდელს მორგებული. იშვიათი საპასპორტო ვარიანტია მსხალია (მარტვილის რ-ნში).

მულაძე - 798 სული. ქართლში გავრცელებული გვარია. მიგრირებულია დას. საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოშიც (მენჯი - 4 კომლი).

მუმულია - ძალზე იშვიათი გვარია. დადასტურდა ყულიშკარში. მუმული (მეგრ. "მამალი, ყვინჩილა") სამეგრელოში მეტსახელად ხშირად გვხვდება.

მუნჩავა - 29 სული. მიმოფანტულნი არიან ქვემო სამეგრელოს სოფლებში.

მურვანიძე - 1228 სული. გავრცელებულია გურიასა და აჭარაში. კომპაქტურად მოსახლეობენ გურიის მოსაზღვრე სოფელ პ. ფოთში (5 კომლი). მურვან მურმან-ის ფონეტიკური ვარიანტია.

მურღულია - 825 სული (თბ. - 190, სენაკი - 173, წყალტ.- 94). კომლი: ახალსოფელი (სენაკის რ.) - 10, ვედიდკარი - 10, ფოცხო - 8, ხეთა - 7, ტყვირი - 4 და სხვ. ტოპ.: სამურღულიო - უბანი გამოღმა პ. ხორგაში. მურღულია მეგრულში ეწოდება ერთგვარ მწერს, რომელიც საქონელს ძალზე აწუხებს (ბუზარა). ამ შინაარსის შემცველი სიტყვა ადვილად დაერქმეოდა მეტსახელად მოუსვენარ, აბეზარ კაცს. სამტრედიის რ-ნში გავრცელებულია ვარიანტი მურღულაია. ს. ჯანაშია მიანიშნებდა გვარ მურღულიას შესაძლო კავშირზე სვანურ გვარ მურღვლიანთან (ჯანაშია, 1959, გვ. 36).

მუქერია - 403 სული (სამტრ. - 260, თბ. - 26, რუსთ. - 14). ეს კოლხურსუფიქსიანი გვარი სამეგრელოში იშვიათია (ფოთში დაფიქსირდა ორიოდე კომლი). ვარიანტი მოქერია გვხვდება აჭარაში.

მუშუქია - 119 სული. გვარი ძირითადად განსახლებულია ზუგდიდის რ-ნში: განარჯიის მუხურში მკვიდრობს 4 კომლი, ქალაქ ზუგდიდში 7 კ. და სხვ.

მჭედლიძე - 4801 სული. აღმ. და დას. საქართველოში ფართოდ გავრცელებული ამ გვარისათვის ამოსავალია ხელობის სახელი, რომელიც ალბათ ზედწოდებად იქცა. მჭედლიძეთა 3 კომლი დაფიქსირდა ახალსოფელში (ხობის რ.). 1578 წ. დავთარში დასახელებულია მჭედლიძე ლომისკაცა (ქსძ, III, 305). შდრ. მუშკუდიანი, ჭკადუა.

მხეიძე – 1664 სული. გავრცელებულია იმერეთსა და აჭარაში, გვხვდება სამეგრელოშიც: გურძემი – 13 კ., ძვ. სენაკი – 7კ., კირცხი – 5 კ., ახალსოფელი (სენაკის რ.) – 3 კ. და სხვ. მხეიძეები ერთ-ერთი უძველესი ფეოდალური საგვარეულო იყო იმერეთსა და სამეგრელოში. ისტორიის არენაზე XI-XII საუკუნეებიდან გამოჩნდნენ. ბაღვაში, ლიპარტიანი და მხეიძე საერთო წარმომავლობისანი ჩანან (სოსელია, 1973). გვარის თავდაპირველ ფორმად აღიარებულია მხეციძე: "მხეციძე → მხეიძე. შდრ. მეგრ. ხეცია"(შანიძე, 1973, გვ. 119). ეს გვარი პირველად 1326 წლის დოკუმენტში მოიხსენიება, XV ს. მიწურულიდან კი ხშირად გვხვდება. მხეიძეები იყვნენ თავადებიც და აზნაურებიც. 1904 წლის აღწერის მონაცემების თანახმად, თავადი მხეიძეები მკვიდრობენ და ფლობენ მამულებს ინჩხურში, ყულისკარში, დიდ ზანაში, სარაქონში, ჭგალში, ჭაქვინჯში, სენაკში, საღვამიჩავოში, პ. ფოთში, თეკლათში, ისულაში, შხეფში, რეკაში, ონოღიაში, უშაფათში, ჯოლევში, ალერტში, ფოცხოში, ნასაჯოუში, მოხაშში, ხოლო აზნაური მხეიძეები ცხოვრობენ ხორგაში, კირცხში, თაიაში.

## ნ

ნადარაია – 1294 სული (ხობი – 266, ზუგდ. – 261, თბ. – 219). კომლი: დ. ჭყონი – 38, საჯიჯაო – 18, ახალსოფელი (ხობის რ) – 15, განარჯიის მუხური – 8, ხობი – 7, ახალხიბულა – 7, ონტოფო – 6, ხეთა – 4, ინგირი – 3, მენჯი – 3, ქვ. ჭალადიდი – 3 და სხვ. ტოპ.: სანადარაიო – უბნები გაღმა პ. ხორგაში, ახალხიბულაში, ჯაპშაქარში. შდრ. ნადარია (33 სული). ნადარა პირსახელია.იხ. ნადარეიშვილი.

ნადარეიშვილი – 1564 სული (თბ.– 657, აბაშა – 351, სენაკი – 111). –შვილ დაბოლოებიანი კოლხური გვარია. მისი ძირძველი და ყველაზე მრავალრიცხოვანი სამკვიდროა ონტოფო. კომლი: ონტოფო — 182, აბაშა – 11, სეფიეთი – 6, გეზათი – 5, კახათი 3 და სხვ. ტოპ.: სანადარეიშვილო - უბანი ცუდღარის მარც. მხარეს, მ. ონტოფოში (ამ უბნის ერთ ნაწილს ეწოდება საგუჯუე. გუჯუ არის ნადარეიშვილების ერთი შტოს „კილი", ანუ მეტსახელი). ნადარეიშვილების უბანი — უბანი გეზათში. გვარის სალოცავია ონტოფოს წმინდა ბარბალეს ეკლესია. ამ ეკლესიაში ნაპოვნი ვერცხლის თასის წარწერაში (1762 წ.) დასახელებულია იოვანე ნადარეიშვილი. ლეგენდის თაახმად, ნადარეიშვილების წინაპრები ყოფილან იმერელი დიდებულები — აგიაშვილები: დადიანს ტივზე დაკრული ჭაბუკი უპოვია, თავის ნანადირევად ჩაუთვლია და გვარად ნანადირევიშვილი (ნანადირეფისკუა) მიუცია. ვითომ აქედან მომდინარეობს გვარი ნადარეიშვილი //ნადარეისკუა (გაბელაია, 1996, გვ. 66). სინამდვილეში გვარისათვის ამოსავალია პირსახელი ნადარა, რაც გამოიყოფა ნადარაიაშიც.

ნადირაძე – 5166 სული. საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გვარია (74-ე ადგილი). განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია ქვემო იმერეთში, საიდანაც გადასულა სამეგრელოში: ახალსოფელში (ხობის რ.) ჩასახლებულია 3 კომლი. ადგ. ვარიანტი ნადირაია იშვიათად საპასპორტო გვარიცაა. 1733 წ. საბუთში დასახელებულია უკულაშა ნადირაია, რომელიც უყიდიათ ბიჭვინთის ეკლესიისათვის (ქსძ, III, 730). 1455 წ. საბუთში გვხვდება ნადირია ფორმაც (ჰალ, II, 11). საერთოდ, ნადირა გავრცელებული პირსახელია.

ნაჟეიშვილი – 65 სული. გვარის სამკვიდროა ზუგდიდის რ-ნი. კომპაქტური დასახლება დაფიქსირდა დარჩელში (6 კომლი). ნავა პირსახელია. მაშასადამე: ნავაიშვილი → ნავეიშვილი.

ნავერიანი – 655 სული. ორიოდე ათეული კომლი სვანეთიდან ჩამოსახლებულია კოლხეთის ბარში: 4 კომლი დაფიქსირდა წალენჯიხაში, 3 კომლი – აბაშაში და სხვ.

ნაკაშია – 63 სული (სენაკი – 22, თბ. – 8, ფოთი – 2). კომლი: საჯიჯაო – 15, ხორში – 3 და სხვ. ნაკაში –ში სუფიქსიანი ზანური სახელია, მაგრამ გვარი ნაკაშია შესაძლოა უფრო მრავალრიცხოვანი ნაკაშიძის (იხ.) მეგრული ვარიანტი იყოს.

ნაკაშიძე – 2896 სული. ფართოდაა გავრცელებული გურიასა და, განსაკუთრებით, აჭარაში (2149 სული. 28-ე ადგილი). გვხვდება სამეგრელოშიც (ნაესაკაო – 7 კომლი). ადგ. ვარიანტია ნაკაშია. ამიტომაც ნაკაშიძეების უბანს ნაესაკაოში ეწოდება სანაკაშიო. ვახუშტი ბატონიშვილი ნაკაშიძეებს ასახელებს გურიის წარჩინებულ აზნაურებში. ნაკაშიძეთა სათავადო გურიაში XVI ს. დამლევიდან არსებობდა. გვარიც პირველად ამ დროიდან იხსენიება. ი. ბაგრატიონის ეტიმოლოგიით, გვარისათვის ამოსავალი ფუძე ნაყაშ თათრულია: "თათართაგან ეწოდა ნაყაშ, რადგან მხატვრობა იცოდა" (მართლაც არაბული სიტყვა ნაყაშ აღნიშნავს მხატვარს და თურქულშიც ამ ფორმითაა შესული). ფაქტიურად, გვარები — ნაკანი (სვანეთში) და ნაკაიძე (გურიაში) – ამ გურულ-აჭარულ გვარშიც გამოგვაყოფინებს პირსახელ ნაკას. ნაკაშიძე წარმოქმნილია ორმაგი სუფიქსაციით: პირსახელს ჯერ დართვია კოლხური -იში (შდრ. ტუღუში, მემიშიში...), ხოლო ბოლოს ქართული -ძე სუფიქსი. 1904 წელს ხორშში მცხოვრები ნაკაშიძეები აზნაურები იყვნენ.

ნანავა – 1612 სული (ზუგდ. – 572, მარტვ.– 367, თბ. – 161). კომლი: ტალერი – 47, სალხინო – 30, რუხი – 29, ნარაზენი – 17, ახალაბასთუმანი – 13, დ. ჭყონი – 12, ყულიშკარი – 11, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) – 8, ლია – 6 და სხვ. ტოპ: სანანაო - უბნები ახალაბასთუმანსა და ყულიშკარში (ჩეკისა და ყულიწყარის გამყოფ სერზე). ნანანუ – ტყე უფალკარში, დავაკება ნაგვაზუში, ფერდობები

ნობულევში. ნანა ბავშვის მოსაფერებელი სახელია და შესაძლებელია მოწიფულობაშიც შერჩეს ადამიანს. გარდა ამისა, ნანაია, ნანი, ნანო, ნანუჩა, ნანია, ნანილა და სხვ. დას. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაფიქსირებულია მამაკაცის სახელად. შდრ.: ნანაძე, ნანაშვილი, ნანეიშვილი, ნანიკაშვილი, ნანობაშვილი... 1904 წელს ნაესაკოში მცხოვრები ნანავები აზნაურები იყვნენ.

ნანეიშვილი – 518 სული (თბ. – 130, ფოთი – 64, ზუგ. – 60). კომლი: საჯიჯაო – 13, თორსა-ღლება – 11, ხობი – 9, ნოჯიხევი – 5, ხეთა – 4, ახალკახათი – 3, ურთა – 3, ზ. ჭალადიდი და სხვ. ადგ. ვარიანტი: ნანესქუა. ტოპ.: სანანესქუო – უბანი ზუბსა და ზენში (ორივე საჯიჯაოს თემი). გვარი წარმოქმნილია სამეგრელოში: ნანაიშვილი →ნანეიშვილი. ვარიანტი ნანაიშვილი დასახელებულია ჭილაძეების აზნაურთა შორის. იხ. ნანავა. 1904 წელს დარჩელსა და ქვიშანჭალაში მცხოვრები ნანეიშვილები უწინ სადადიანო აზნაურები ყოფილან.

ნანიკაშვილი – 312 სული (თბ. – 88, ტყიბ. – 71, ქუთ. – 45). გვარი იმერეთიდანაა გადასული სამეგრელოში: ორსანტიაში მოსახლეობს 4 კომლი.

ნარაკიძე – იხ. ნორაკიძე.

ნარმანია – 1464 სული (ზუგდ. 866, თბ. – 265, წალენჯ. – 74). გვარის განსახლების ძირითადი არეალია ენგურის მარც. ნაპირის სოფლები. კომლი: კოკი – 71, კახათი – 38, ორსანტია – 7, დარჩელი – 4, ახალკახათი – 3 და სხვ. ტოპ.: სანარმანიო – უბანი ენგურის მარც. ვაკეზე (კახათი). გადმოცემით, აქაური ნარმანიების წინაპრები ოცინდალედან მოსულან. სანარმანიოში 1855 წელს მოხდა შეტაკება რუსეთისა და თურქეთის ჯარებს შორის. ამ ეპიზოდთან დაკავშირებით კ. ბოროზდინი წერს: „სოფელ კახათში ნარმანიას გვარის გლეხები ცხოვრობენ და ამიტომ სანარმანიოც ჰქვიან" (ბოროზდინი, 1934, გვ. 201). გვარი დამოწმებულია 1706 წელს შედგენილ შეწირულების სიგელში, სადაც ნათქვამია, რომ ნარმანიას მართებს საეკლესიო ბეგარა "ორი ლაღარიკონი" (ქსძ, III, 649). XVIII ს. I ნახევრის საბუთიდან ვიგებთ, რომ კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძეს ყვაპუ შარვაშიძის ყმა შარვაშიხუ ნარმანია და მისი ძმა ჰფათი ბიჭვინთისათვის შეუწირავს და ხიბულაში დაუსახლებია (ქსძ, III, 764). გვარი ნარმანია მიღებულია პირსახელ ნარიმან-ისაგან. ფუძისეული ი ხმოვნის ამოვარდნა ალბათ -ია სუფიქსის დართვამ გამოიწვია: ნარიმან→ ნარიმანია →ნარმანია. შდრ. პირსახელი ხალმანი (ჭუმბურიძე, 1973, გვ. 24) და გვარები ნარიმანიძე, ნარიმანიშვილი.

ნაროუშვილი – 915 სული (სენაკი – 206, მარტვ. – 169, ჩხორ. – 134). გვარის სამშობლოა სამეგრელო. კომლი: თამაკონი – 38, ახუთი – 32, ახალსოფელი (სენაკის რ.) – 18, პ. ხორგა – 9, ნოსირი – 5, წყემი – 5, მარტვ.– 4, მენჯი – 4, ფოცხო – 3 და სხვ. ადგ. ვარიანტები: ნარო(უ)სქუა, ნარსქუა. ტოპ.: ლენაროსქუე – უბანი ტეხურის მარც. ნაპირას (თარგამეული). ინფ.: „ნაროუშვილების ერთი ნაწილი აქედან წასულა და ზუგდიდის რ-ნში დაუარსებია სოფელი თარგამული". სანაროუსქუო – უბანი ყულიწყარის ხეობაში (ალერტკარი). სანარსქუო – უბნები ახალსოფელსა (სენაკის რ.) და გამოღმა პ. ხორგაში. ორივეგან ცხოვრობენ ნაროუშვილები. ნარო პირსახელია.

ნაროშვილი – 43 სული (წალენჯ. – 13, ზუგდ. –.9, თბ. – 3). გვხვდება მხოლოდ სამეგრელოში (ბულიწყუ – 3 კომლი და სხვ). გვარი მომდინარეობს პირსახელისაგან ნარო. იხ. ნაროუშვილი.

ნარსია – 1741 სული (ზუგდ. – 469, თბ. – 253, ხობი – 222). კომლი: ჭაქვინჯი – 39, ხეთა – 20, საჯიჯაო – 19, ლეძაძამე – 15, აბაშა – 12, ჭითაწყარი – 10, აბედათი – 8, კირცხი – 8, წალენჯიხა – 6, ახალხიბულა – 4, კიწია – 4, ნოსირი – 4 და სხვ. ტოპ.: ლეხარსიე – უბანი ტეხურის მარც. ძხარეს (ცვაუთი, ჯოლევი. ორივე ლეძაძამის თემი). სანარსიო – უბნები ჭაქვინჯში (უძპიის ზემოთში), აბასთუმანში (მუხჩიასა და ფერცხელუას შუა სერზე), ზუბში (ახალხიბულის თემი). აქაური ნარსიები მოსულან ჯოლევიდან. ნარსია, როგორც ჩანს, გვარი, დამოწმებულია 1621 წლის საბუთში, კერძოდ, ნაგვაზავოს საეკლესიო გლეხთა სიაში (ქსძ, III, 412). შდრ. ნარსიძე. შდრ. სვანური სახელი ხარსავ.

ნარუშვილი – 251 სული (ზუგდ. – 216, ფოთი – 16, რუსთ. – 5). კომლი: ცაიში – 16, ოქტომბერი – 12, ალერტკარი – 9, კახათი – 7, კოკი – 7 და სხვ. გვარი თითქმის მთლიანად განსახლებულია ზუგდიდის რ-ნში. შდრ.: ნაროშვილი, ნაროუშვილი.

ნასარაია – 215 სული (ფოთი – 67, ზუგდ. – 18, თბ. – 12). კომლი: შუა ხორგა – 18, ხეთა – 3 და სხვ. ტოპ.: სანასარაიო – უბანი გაღმა შუა ხორგაში. ნასარი, ნასარაი მხატვრულ ლიტერატურასა და ისტ. ქრონიკებში დადასტურებული სახელებია. სამტრედიის რ-ნში გვხვდება საპასპორტო ვარიანტი ნასარეია (←ნასარაია). პირსახელი ნასარა (და ნასარი) დაფიქსირებულია ისტ. საბუთებში.

ნასარიძე – 441 სული. იმერული გვარია. დასტურდება სამეგრელოშიც: ახალსოფელში (ხობის რ.) ცხოვრობს 4 კომლი. გვხვდება ვარიანტი ნასარია (თბილისი, ფოთი, ზუგდიდი). იხ. ნასარაია.

ნატრიაშვილი – 829 სული. იმერული გვარი მიგრირებულია სამეგრელოში (ნოჯიხევი – 4 კომლი). ამოსავალი ფუძე ნატრია პირსახელია.

ნაყოფია – 1045 სული (ზუგდ. – 557, თბ. – 179, წალენჯ. – 90). კომლი: დარჩელი – 31, კახათი – 10, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) – 4 და სხვ. ტოპ.: სანაყოფიო – უბანი კახათში. სანაყოფიო//სანაყოფიოშ მუხური – უბანი დარჩელში, ცაიშის თემის საზღვართან. ინფ.: „სამასი წლის წინათ ნაყოფიების

წინაპრებს ყარაჩში კაცი მოუკლავთ და გამოქცეულან. ერთი ძმა გალში დარჩენილა, მეორე დარჩელში დამკვიდრებულა, მესამეს კი თურქეთისაკენ გაუგრძელებია გზა“.

ნაჭყებია - 5757 სული (მარტვ. - 1484, ზუგდ. - 1 006, თბ. - 828). ქვეყნის მასშტაბით 58-ე ადგილზეა, სამეგრელოში - მეცხრეზე (3867 სული). მარტვილის რ-ნში უკავია მეორე (დანელიას შემდეგ), ხოლო ზუგდიდის რ-ნში - 31-ე ადგილი. გვარის ბუდეა ტეხურის მარჯ. მხარეს მდებარე თემები – კურზუ (189 კომლი), ტალერი (63 კომლი) და დ. ჭყონი (51 კომლი). კომლი სხვა სოფლებში: ჭკადუაში - 59, ზანა - 55, ლეწურწუმე - 43, ნაფიჩხოვო - 32, წალენჯიხა - 34, ბულიწყუ - 28, დარჩელი - 25, ჩხოროწყუ - 24, სალხინო - 24, ზუმი - 23, დოშაყე - 22 და სხვ. მრ. ტოპ.: სანაჭყებიო – სოფელი ტეხურ-ოჩხომურის წყალგამყოფ მაღლობზე. ცხოვრობს 134 კომლი ნაჭყებია (კურზუს თემი). სანაჭყებიო - უბნები რუხში (ზუგდიდი-გალის გზაზე), კახათში (კახათწყარის ნაპირას), ჭკადუაშში (სამ სხვადასხვა ადგილას), საკვიკვინიოში, ეწერში (ზანის თემი). სანაჭყებიო ყოფილი დასახლებული უბანიცაა ბულიწყუში, მუნჩიის მარჯ. ნაპირას. გვარი დამოწმებულია 1621 წ. საბუთში: ნაგვაზავოს მცხოვრები ნაჭყებია მახარობელი საეკლესიო გლეხი ყოფილა (ქსძ, III, 413). ისტორიულად დადასტურებულია ვარიანტები: ლაჭყებია (1634 წელს თომიხილაი ლაჭყებია მზითევში გააყოლეს მარიამ დედოფალს), ლაჭყეპია (მათხოჯს მცხოვრები ყმა. XVII ს. იხ. პალ, II, 560). უდავოა, ნაჭყებია, ლაჭყებია დაკავშირებულია ლეჩხუმსა და იმერეთში გავრცელებულ გვარებთან ლაჭყებიანი (55 სული), ლაჭყეპიანი (140 სული). გამოირკვა, რომ ლეჩხუმელი ლაჭყეპიანების ძირი გვარია ნაჭყებია. ისინი დადიანთან კონფლიქტის გამო სოფ. ბანძიდან გადასახლებულან ლეჩხუმის სოფ. ტვიშში. ეს უნდა მომხდარიყო დიდი ხნის წინათ, რადგანაც გვარი ლაჭყებიანი, ნაჭყებიანი უკვე გვხვდება XVI-XVII სს. ლეჩხუმის საბუთებში (თოფჩიშვილი, 1993, გვ. 15). აბასთუმანში, ხეთაში, ნობულევში, დღვანაში, ეწერში (ამჟამად ტალერის თემშია) მცხოვრები ნაჭყებიები აზნაურები იყვნენ.

ნაჭყეპია - ნაჭყებიას იშვიათი ვარიანტია. 1616-1621 წწ. საბუთში ჩამოთვლილია, თუ რა სახის საეკლესიო ბეგარა ემართათ ცაიშს მცხოვრებ მიშველია და თოფლიშია ნაჭყეპიებს (ქსძ, III, 448, 451).

ნემსაძე - 2477 სული. გავრცელებულია იმერეთსა და აჭარაში. სამეგრელოში იშვიათია. საპასპორტო ვარიანტები: ნემსაია (ფოთში 4 კომლი) და ლეფსაია (იხ.). საისტორიო წყაროებში ნეუსაძე ვარიანტიც გვხვდება, კერძოდ, ლიპარტიანების აზნაურთა შორის დასახელებულია ნეუსაძე (იხ. სოსელია, 1990). გვარისათვის ამოსავალია მეტსახელი ნემსა..

ნერგაძე - 696 სული. იმერული გვარია, სამეგრელოში იშვიათია (ქვ. ჭალადიდი - 3 კომლი).

ნიგურიანი - 315 სული (მესტია 196, თბ. - 52, ზუგდ. - 29). გვარი მესტიის რ-ნიდან ჩასახლებულია სამეგრელოში (კორცხელი - 5 კომლი და სხვ.).

ნიკოლავა - 249 სული (თბ. - 55, სენაკი - 48, ფოთი .- 21). კომლი: ნაქალაქევი - 3, სეფიეთი - 3, ფოცხო - 3 და სხვ. ტოპ.: ნამიკოლავო (ადგ. ვარიანტი: ნამკოლუ) - ნამიკოლავო პირველისა და ნამიკოლავო მეორის საერთო სახელწოდება. ლენიკოლე - უბანი ცივის მარც. მხარეს (მ. მოხაში). პირსახელ ნიკოლასაგან წარმოქმნილია გვარები ნიკოლავა, ნიკოლაძე, ნიკოლაიშვილი.

ნიკოლაიშვილი - 2564 სული. გურული გვარია. კომლი სამეგრელოში: ქვ. ქვალონი - 5, გეზათი - 3, პ. ფოთი - 3 და სხვ. იხ. ნიკოლავა.

ნიკოლაძე - 1537 სული. იმერული გვარია. გვხვდება სამეგრელოში (ქვ. ჭალადიდი- 3 კომლი).

ნიკოლეიშვილი - 1820 სული. გვარი გავრცელებულია იმერეთში. სამტრედიის რ-ნიდან (805 სული) გადასულია მეზობელ აბაშის რ-ნში: (მარანი- 5 კომლი). გვარის წარმოქმნის გზა: ნიკოლა → ნიკოლაიშვილი → ნიკოლეიშვილი.

ნიკურაძე - 1683 სული. იმერეთში გავრცელებული გვარი სამტრედიის რაიონიდან (790 სული) გადანაცვლებულია აბაშის რაიონის სოფლებში: კეთილარი - 10 კ., ნოსირი – 10 კ., პ. მაისი – 6 კ., ქოლობანი – 6 კ. და სხვ. ნიკურა პირსახელ ნიკო-ს მოფერებითი ვარიანტია.

ნინუა - 1681 სული (თბ. - 442, სამტრ. - 402, სენაკი - 291). კომლი: პ. მაისი - 15, ძვ. სენაკი - 15, ჭითაწყარი - 8, ლეძაძამე - 6, მარანი - 4, ჯიხაშკარი - 4, ეკი - 3, შუა ხორგა - 3, ქოლობანი - 3 და სხვ. ტოპ.: სანინუო - უბნები შხეფსა (სენაკი) და ბეთლემში, ყოფილი დასახ. უბანი საგუნიოში, ცანასქურის მარც. მხარეს. ნინო ქალის სახელია, მაგრამ ქართულ სინამდვილეში ცნობილია ქალის სახელიდან მომდინარე გვარებიც. შდრ. ნინოშვილი, ნინიძე, ნინიკაშვილი. ამასთანავე, ნინუა პირსახელადაც გვხვდება (ქსს, 1986

ნოდია - 1632 სული (აბაშა - 544, თბ. - 375, ფოთი - 137). გვარის ყველაზე მრავალრიცხოვანი დასახლება არის სუჯუნაში (70 კომლი). კომლი სხვა სოფლებში: სეფიეთი - 23, ძვ. აბაშა - 20, მარანი - 16, ზანათი - 14, აბაშა - 9, ქვ. ჭალადიდი - 5, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) - 4, ხობი - 4, ახუთი - 3, პ. მაისი - 3, ტყვირი - 3 და სხვ. ტოპ.: სანოდიო - უბნები გაღმა ზანათსა (აბაშის მარჯ. მხარეს) და სუჯუნაში (ცუდღარის მარც. მხარეს). გადმოცემით, ნოდიების სამშობლო აჭამეთია. ძველ აბაშაში მცხოვრები ნოდიები კი სუჯუნიდან გამოქცეულან XVIII ს-ში და გამსახურდიებს მინდობიან, რასაც ადასტურებს ლევან დადიანის განჩინების წიგნი (1628-1639 წწ.). გვარი ნოდია დასახელებულია

გრიგოლ ჰყონდიდელის მიერ 1770 წელს შედგენილ სუჯუნის მონასტრისადმი შეწირულების წიგნში (გაბელაია, 1996, გვ. 54). ნოდია ოჩანი ცხენია. ზარმაც კაცზეც იტყვიან და მეტსახელადაც გვხვდება.

ნოზაძე - 10784 სული. ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი გვარია საქართველოში (მე-12 ადგილი). გავრცელებულია ქართლსა და იმერეთში. გვხვდება სამეგრელოშიც (ხეთა - 3 კომლი).

ნორაკიძე - 335 სული (თბ. - 121, ზუგდ. - 102, სენაკი - 45). გვარი წარმოქმნილია სამეგრელოში და ძირითადად ზუგდიდისა და სენაკის რ-ნებშია განსახლებული. კომლი: დარჩელი - 5, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) – 4, ახალსოფელი (სენაკის რ.) – 3 და სხვ. ადგ. ვარიანტებია: ნორაკია, ნარაკია. საპასპორტო ვარიანტებია: ნარაკიძე (79 სული. ძირითადად აჭარაში) და ნორაკია (33 სული იმერეთში, სამეგრელოში). ტოპ.: სანარაკიო//სანორაკიო - უბანი დარჩელში, ორულუს საზღვართან. ცხოვრობენ ნორაკიძეები. სანარაკიო - უბანი ციხეთში, კაკუტიაღალის მარჯ. მხარეს. 1904 წლის აღწერის თანახმად, აზნაურები არიან ნარაკიძეებიც და ნორაკიძეებიც. კერძოდ, აზნაური ნორაკიძეები ცხოვრობენ ნოსირში, ხოლო აზნაური ნარაკიძეები – დარჩელში, ხორშში, ქვალონში, გურძემში.

## ო

ოდიშარია - 1540 სული (სენაკი - 513, თბ. - 345, მარტვ. -258). გვარის ყველაზე დიდი და ძირძველი სამკვიდროა ნოსირის თემი (124 კომლი, ძირითადად, საოდიშარიოში). სხვა კომპაქტური დასახლებანი მარტვილის რ-ნშია: მარტვილი – 23 კ., სერგიეთი – 11 კ., გაჭედილი – 3 კ., ნალეფსაო – 3 კ. და სხვ. ტოპ.: საოდიშარიო - სოფელი ტეხურის მარც. მხარეს (ნოსირის თემი). ეოდიშარე//საოდიშარიო - უბანი ჭაბურთაში, ისკიის ნაპირებზე. აქვეა ბორცვი ნაოდიშარი. ოდიშარი ნიშნავს ოდიშელს. კოლხური -არ სუფიქსი, ისევე როგორც ქართული -ელ, აწარმოებს სადაურობა-წარმომავლობის სახელებს. მართლაც, ოდიშარის თავდაპირველი მნიშვნელობა "ოდიშელი" შემოუნახავს 1792 წ. დაწერილ საბუთს, სადაც ვკითხულობთ: "იმჟამს ჩიჩუამ კაციამ ოდიშარი საკათალიკოსო კაცი გაყიდა". გვარი ოდიშარია უფრო ადრინდელ საბუთებში გვხვდება: ჯგალის ციხის მებეგრეთა სიაში (1616-1621 წწ.) დასახელებულია უღვინია ოდიშარია (ქსძ. III. 479).

ოდიშელი – იშვიათი გვარია. დაფიქსირდა სენაკში. შდრ. ოდიშელიძე.

ოთხოზორია - 730 სული (ზუგდ. - 321, ჩხორ. - 119, სენაკი - 85). კომლი: დარჩელი - 24, თაია - 18, ორულუ - 18, თეკლათი - 8, წალენჯიხა - 6, ინგირი - 4, მენჯი - 3, ტყვირი - 3, მუხური - 3, ხაბუმე - 3, ჯგალი - 3, ჯვარი - 3 და სხვ. ტოპ.: ლეოთხოზორე//საოთხოზორიო - უბანი ოცინდალის ძირას (თაია). სა(ო)თხოზორიო - უბანი დარჩელში, ორსანტიის საზღვართან.

ოთხვანი - 87 სული. მცირე ნაწილი მესტიის რ-ნიდან ჩასახლებულია ზუგდიდის რ-ნში. კერძოდ, ჩხორიაში ცხოვრობს 3 კომლი.

ოკუჯავა - 237 სული (მარტვ.- 164, ზუგდ. - 158, თბ. - 135). კომლი: დ. ჭყონი - 25, თამაკონი - 19, გაჭედილი - 6, ხეთა - 4, გურძემი - 3 და სხვ. იხ. ოყუჯავა.

ონჩხოლია - გვარს აღადგენს ტოპონიმი საონჩხოლო//საანჩხოლო (ვაკე-ფერდობები ნაშამგუში, ოლორის მარჯ. მხარეს. აქ უწინ ონჩხოლიებს უცხოვრიათ. ამჟამად არქანიების საკარმიდამოებია).

ორზოლია - იშვიათი გვარია. მკვიდრობენ ორსანტიაში (5 კომლი), ახალკახათში (2 კ.) და სხვ. ტოპ.: საორზოლიო - უბანი ორსანტიაში, კოკის საზღვართან. 1904 წელს ორსანტიასა და მანუჩარის კახათში (ამჟამინდელი ახალკახათი) მცხოვრები ორზოლიები აზნაურები იყვნენ.

ორჟონია - 168 სული. სამეგრელოში ძირძველი მოსახლე ძალზე იშვიათია. არიან ლტოლვილები.

ოყუჯავა - 554 სული (ზუგდ. - 406, წალენჯ. - 34, ჩხორ. - 33). კომლი: რუხი - 28, ზანა - 12, ცაიში - 11, ახალკახათი - 10, ორულუ - 6, წალენჯიხა - 6, დარჩელი - 4, კირცხი - 4, პ. ეწერი - 4, ქვ. ჩხოროწყუ - 4, საჯიჯაო - 4, ჭითაწყარი - 4 და სხვ. ადგ. ვარიანტი: ოცუჯა. ტოპ.: საოცუჯო- უბანი რუხში (ზემო და ქვემო სათოდუოს შუა) და ყოფილი დასახ. უბანი ციხეთში, კაკუტიას ზემო წელზე. ლეცუჯე - უბანი ღალჩის ნაპირას (ლედგებე). ოცუჯა (ამჟამად: ოცუჯე) საყურეა. უფრო სავარაუდოა: ცუჯი "ყური"→უცუჯა "შეუსმინარი. გაუგონარი" →ოცუჯა (მეტსახელი) →ოყუჯავა (გვარსახელი)..

ოჩიგავა - 1054 სული (თბ. - 268, აბაშა - 199, სენაკი - 151). კომლი: სეფიეთი - 54, გეჯეთი - 32, აბაშა - 3, წყემი - 3 და სხვ. ტოპ.: საოჩიგაო - უბანი სეფიეთში, ღამარკულის ნაპირას. საოჩიგ(ა)ო//საოჩიგოშ დიხო - უბანი გეჯეთში. ვარიანტი ოჩაგავა (კალმის შეცდომა თუ არაა) გვხვდება 1733 წ. საეკლესიო საბუთში (ქსძ, III, 732). 1913 წელს სამეგრელოში მოგზაურობისას ე. თაყაიშვილს სეფიეთის მთავარანგელოზის ეკლესიის კედელზე ამოუკითხავს გვარი ოჩიგავა (წარწერა შესრულებული უნდა იყოს XV-XVI სს. მიჯნაზე). გადმოცემის თანახმად, სწორედ ოჩიგავებს (აზნაურებს) აუშენებიათ ეს ეკლესია და აქვე ყოფილა მათი სასაფლაო (გაბელაია, 1996, გვ. 52-53). .

ოჩხიკიძე – 633 სული. გვარი გავრცელებულია იმერეთში, გვხვდება სამეგრელოშიც: ქვ. ქვალონში დაფიქსირდა 6 კომლი.

პაზია - გვარს აღადგენს ტოპონიმები: ლეპაზე - ბორცვი ხამუას სათავესთან (ახუთი). ნაპაზუ - ფერდობები ჯუმის მარჯ. მხარეს (კორცხელი, საჭურღულიო).

პაზურია - გვარს აღადგენს ტოპონიმი ნაპაზუ(რუ)//პაზ(ურ)იაშ ნოხორი - ბორცვის სახელი ლეჩოკორეში (ნაკიანი).

პაკელია - იშვიათი გვარია. დადასტურდა სენაკში. სვანური პაკელიანის ვარიანტი ჩანს.

პაკელიანი - 52 სული. სვანური გვარი მიგრირებულია კოლხეთშიც (ჩხორია - 6 კომლი).

პალია – გვარს აღადგენს ტოპონიმები: ნაპალუ - მორევი ლემორგოშეში (თაია). პალიაშ ღალ - ღელე მახარიაში (ჩხორია). პალი, პალიკო, პალო პირსახელებია.

პაპავა - 3234 სული (ჩხორ. - 727, თბ. - 552, ზუგდ. - 322). საქართველოში 188-ე ადგილი უკავია სულთა რაოდენობით, ჩხოროწყუს რ-ნში კი – მე-12 ადგილი. კომლი: ნაფიჩხოვო - 56, ჩხოროწყუ - 34, ქვ. ქვალონი - 25, მუხური - 17, ქვ. ჩხოროწყუ - 17, ხაბუმე - 15, ჭკადუაში - 13, ქოლობანი - 10, ხეთა - 9, თამაკონი - 7, ხობი - 6 და სხვ. ტოპ.: ლეპაპე - უბნები ნაფიჩხოვოში (ორია: ჭიჭე ლეპაპე - ოჩხომურის მარც. მხარეს, დიდი ლეპაპე - ხურუს მარც. მხარეს), ჩხოროწყუში, ქვ. ჩხოროწყუში, თამაკონში. გვარისათვის ამოსავალია პაპა "მღვდელი"(მეგრ.). ქართულშიც გვხვდება მსგავსი გვარები: მღვდელაძე, მღვდელიძე, მღვდლიშვილი... ამასთანავე, პაპა, პაპალა, პაპი... პირსახელებია. პაპავადან მეორეული სუფიქსაციითაა მიღებული გვარი პაპავაძე (თბილისი). შდრ.: პაპასკირი.

პაპასკირი - 530 სული (სენაკი - 113, თბ. - 100, ზუგდ. - 73). კომლი: ფოცხო - 5, ეკი - 4, ნაქალაქევი - 4 და სხვ. პაპასკირი ნიშნავს მღვდლის შვილს. იხ. პაპავა, პაპასქირი.

პაპასკუა – 141 სული (და მისი ვარიანტი პაპასქუა) სამეგრელოში ძალზე იშვიათი გვარია. დაფიქსირებულია თითო-ოროლა კომლი ზუგდიდსა და ფოთში. არიან ლტოლვილებიც აფხაზეთიდან. პაპასკუა ნიშნავს მღვდლის შვილს. შდრ. მღვდელიძე.

პაპასქირი - 159 სული (ზუგდ.- 76, ჩხორ. - 55, თბ. - 18). კომლი: ქვ. ჩხოროწყუ - 18, ჩხოროწყუ - 13, კიწია - 10, ჭკადუაში - 10 და სხვ. შდრ. პაპასკირი. ახუთში მცხოვრები პაპასქირები ჯაიანების აზნაურები ყოფილან. 1904 წელს აზნაური პაპასქირები მოსახლეობდნენ ლეჯიქეში, ნაკიანში, მოიდანახეში, ახუთში.

პარკაია - 295 სული (სენაკი - 135, ფოთი - 57, თბ. - 40). გვარის სამკვიდროა ხორში (11 კომლი). არიან ზუგდიდსა და ფოთშიც. ტოპ.: საპარკაიო - უბანი დიდ ხორშში, მაღლაკონის მარც. მხარეს. ამოსავალი ფუძე და სახელდების მოტივი ისეთივეა, როგორიც ქართული გვარებისათვის - პარკაძე, პარკაშვილი, პარკაული. 1904 წელს ხორშში მცხოვრები პარკაიები აზნაურები იყვნენ.

პატარაია - 2130 სული (ლანჩხ. - 592, თბ. - 447, მარტვ. - 268). სულთა რაოდენობით ამ გვარს საქართველოში 386-ე ადგილი უჭირავს და ძირითადად გურიაშია გავრცელებული, მაგრამ სამეგრელოშიც ქმნის კომპაქტურ დასახლებებს. კომლი: ბანძა - 83, ნოსირი - 6, ნაჯახავო - 5, აბედათი - 4, ვედიდკარი - 3 და სხვ. ტოპ.: ლეპატარავე - სოფელი აბაშის მარც. მხარეს (ბანძის თემი). ამ ტოპონიმისათვის ფაქტობრივად ამოსავალი უნდა იყოს გვარი პატარავა (ასეთი გვარი კიდეც არის გავრცელებული გურიაში), მაგრამ ფაქტია, რომ ლეპატარავეში მოსახლეობენ პატარაიები და საკუთრივ მათს უბანს ეწოდება ეპატარე//პატარაიაშ მუხური. ლეპატარე - უბანი კორცხელში, სადაც ამჟამად ცხოვრობენ ქობალიები. ლეპეტერე - ჯუმის ჭალა ცაიშის საზღვართან (ურთა). ნაპატარუ - მინდორი აბედათში, ჩაის ფართობი ნამიკოლავო პირველში. პატარ, პატარა, პატარაი ისტ. ძეგლებში დადასტურებული პირსახელებია (იხ. ქსს, 1986). პატარ მოხსენიებულია თამარ დედოფლის სიგელშიც (ჟორდანია, 1967, გვ. 80). ეს სახელი მეგრულშიც შემოსულა და გვარსაც დასდებია საფუძვლად. შდრ. პატარაძე, პატარაშვილი, პატარიძე (იმერეთში).

პაჭკორია - 1373 სული (ზუგდ. - 526, სენაკი – 181, ფოთი – 164). კომლი:აბასთუმანი - 40, ცაიში - 19, ლია - 14, წალენჯიხა - 13, ინგირი - 9, ეკი - 8, ზ. ჭალადიდი - 7, ხობი - 7, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) - 6, ურთა - 5, ხორში - 5 და სხვ. ტოპ.: საპაჭკორიო - 1. უბანი ციზეთში, ზ. ქვალონის საზღვართან. დარჩა ორიოდე კომლი პაჭკორია (ხორშის თემი); 2. უბანი ხეცერაში, უმპიასა და უჩაღალს შუა. ინფ.: „პირველმოსახლენი - გიორგი გვათუა და კირიბია პაჭკორია - ერთად მოსულან ხორშიდან და „მეჟევანიის" დროს მიწის გამო კინაღამ წაჰკიდებიან ერთმანეთს, მაგრამ მალევე შერიგებულან. ხორშიდან შემდეგაც მოსულან პაჭკორიები. მათ „ნაეკოხონარი პაჭკორიეფი" ეწოდებათ"; 3. უბნები ბიაში, საცხვიტაოში, საადამიოში (ეკის თემი); 4. ყოფილი დასახ. უბანი გამოღმა პ. ხორგაში (ესახლნენ პაჭკორიები. ამჟამად აქაა საშელიო და საჩარგაზიო). ნაპაჭკორუ - სახნავი აბაშის მარც. ნაპირას (გამოღმა ზანათი). 1733 წ. შედგენილ ერთ საბუთში დაფიქსირებულია ვარიანტი პააჭკორია. ამ გვარს ატარებენ "ხობს საცხომარიოს" მცხოვრები საეკლესიო გლეხი გიორგი პააჭკორია და მისი ძმისწული მარტიშია (ქსძ, III, 732). საარქივო მასალებით მტკიცდება, რომ ზანათში პაჭკორიებს უცხოვრიათ XVII ს-ში, ხოლო შემდეგ გადასულან საწულეისკირიოში (თოფჩიშვილი, 1997, გვ. 63). ეტიმოლოგია: პაპაშ ჭკორი „მღვდლის ყმა" → პაპაჭკორი →პაჭკორია (როგავა, 1955).

პერტაია – 1 414 სული (ზუგდ. – 542, ჩხორ. – 284, სენაკი – 138). კომლი: ლეწურწუმე – 30, ჩხოროწყუ – 20, კახათი – 15, განარჯიის მუხური – 11, ხაბუმე – 10, კიწია – 8, რიყე – 8, ორსანტია – 7, ზანა – 6, ზ. ქვალონი – 6, საჯიჯაო – 6, ქვ. ჩხოროწყუ – 6 და სხვ. ტოპ.: საპერტა//საპერტაშ მუხური – უბანი ცაცხვში, ჯუმის ნაპირას. საპერტაიო – უბნები ნარაზენში (ცვალდოღუმუს სათავესთან), ზუბში (საჯიჯაოს თემი), ორსანტიაში. პერტა პეტრას ვარიანტია ( პეტრე → პერტე —›პერტა—›პერტაია).

პერტახია – 263 სული (ზუგდ. – 138, ხობი – 59, ჩხორ. – 23). კომლი: ოქტომბერი – 9, საჯიჯაო – 6, ახუთი – 4, ხაბუმე – 3 და სხვ. ტოპ.: საპერტახიო – უბანი ზენში, წიფურღალის ნაპირას (საჯიჯაოს თემი). გვარის ფუძეში გამოიყოფა პირსახელი პერტა და სუფიქსი ხ (იხ. პერტაია). პერტახი უნდა ნიშნავდეს პერტას შთამომავალს.

პერტენავა – 290 სული (აბაშა – 115, თბ. – 99, სენაკი – 19). გვარის სამკვიდროა ძვ. აბაშა (28 კომლი). ტოპ.: საპერტეხა – ყოფილი დასახ. უბანი აბაშაში, ძვ. აბაშის საზღვართან. საპერტეხაო – უბანი ძვ. აბაშაში, განათლებისკარის საზღვართან. პერტენავასათვის ამოსავალია პერტე (პეტრეს მეგრული ვარიანტი), -ენ-ა კნინობითობის გამომხატველია, -ვა გვარს აწარმოებს. შდრ. გეგენავა.

პერტია – 588 სული (ზუგდ. – 220, თბ. – 76, აბაშა – 25). კომლი: ბულიწყუ – 22, ხარაზენი – 16, ორულუ – 16, ცაიში – 9, ძვ. აბაშა – 6, ხამისკური – 5, ხეთა – 5, ონტოფო – 3 და სხვ. ტოპ.: საპერტიო – უბნები ორულუში, დიდ ნეძში, ხამისქურში (სახალიკოს მარჯ. მხარეს), ბულიწყუში (მუნჩიასა და ჭითა ღალს შუა), ნოჩხონში (ბახვაღალის მარც. მხარეს. ხეთის თემი). ნაპერტუ – ტყე-ხეობა სამიქაოში (ფუქი). პერტია, მუხურს (გალის რ.) მოსახლე საეკლესიო გლეხის გვარი, დასახელებულია 1621 წლის „აფხაზეთის საკათალიკოზო დავთარში" (ქსძ, III, 426). მეგრულისათვის დამახასიათებელი ფონოტაქტიკის შესაბამისად პეტრე შეიცვალა პერტე-თი, რასაც დაერთო გვარის მაწარმოებელი —ა სუფიქსი. მაშასადამე: პეტრე →პერტე→ პერტე-ა → პერტია.

პეტია – გვარს აღადგენს ტოპონიმი ლეპეტიე//პეტიეფიშ ნოხორი. ასე ეწოდება ნასახლარებს (ამჟამად სახნავებია) წაჩხურში. პეტია ალბათ პერტიას ვარიანტია.

პირტახია – 890 სული (სენაკი – 266, მარტვ. – 188, თბ. – 168). კომლი: თამაკონი – 20, ძვ. სენაკი – 17, აბედათი – 11, ლეძაძამე – 8, მარანი – 8, ახალსოფელი (სენაკის რ.) – 5, გურძემი – 5, მარტვილი – 4, ნახუნაო – 4, დ. ჭყონი – 3 და სხვ. ადგ. ვარიანტია პიტახია, რომელიც ზოგ შემთხვევაში საპასპორტო გვარსაც წარმოადგენს. ტოპ.: ლეპიტახიე – უბანი კვაუთში. ცხოვრობენ პირტახიები. ამოსავალი ფუძეა პიტა (იხ. პიტავა), ხოლო რ ჩანართი ჩანს. შდრ. პიტახია, პერტახია.

პიტავა – 170 სული (აბაშა – 113, თბ. – 32, ქუთ. – 7). გვარის ძირითადი სამკვიდროა მარანი (25 კ.). მეზობელ სოფელ ტყვირში მხოლოდ 2 კომლი დაფიქსირდა. ტოპ.: ნაპიტუ – ტყე თხინაღეის მარც. მხარეს (მუხურჩა). პიტავების უბანი — უბანი თელიების უბნის გვერდით (ქვიშახჭალა). პიტა მეგრულში აღნიშნავს ძალზე პატარას, მცირეს, ნამცეცას და ამ მნიშვნელობით შეიძლებოდა მეტსახელად ქცეულიყო ან დაბადებისთანავე დარქმეოდა ბავშვს. ამასთანავე, ლაზურში პიტი თიკნის ან ბატკნის მოსაფერებელი სიტყვაა, ხოლო სვანეთში პიტო პირსახელია.

პიტახია – დაფიქსირდა ლემიქავეში. აქ ორგან ეწოდება საპიტახიო: ბჟერის კალთაზე, სადაც უწინ სახლებულან პიტახიები, და შაფე-ქვალირის წყალგამყოფზე, სადაც ამჟამად მოსახლეობენ. ნაპიტახუ – ფერდობები შქანთაში (თამაკონი). პირტახია პიტახიას რ ჩართული ვარიანტი ჩანს. ხოლო ამოსავალი ფუძე პიტახი შეიძლება ნიშნავდეს პიტას შთამომავალს. იხ. პიტავა.

პიჭუტავა – 33 სული (სენაკი – 17, ტყიბ. – 5, აბაშა – 1). კომპაქტური დასახლება დაფიქსირდა ზ. ჭალადიდში (4 კომლი). გაფანტულად მოსახლეობენ სენაკისა და ზუგდიდის რაიონებში. პიჭი, პიჭუ კოლხური პირსახელებია (ქსს, 1986). პიჭუტა მათი მოფერებითი ფორმაა.

## ჟ

ჟამურია — გვარს აღადგენს ტოპონიმი ლეჟამურე (სახნავები ოდიშში, ჯუმის ჭალაში). სვანური პირსახელი ჟამან გვავარაუდებინებს მეგრულში ჟამურა ვარიანტს (ჟამურა პირსახელია ფშავში).

ჟგართელია — გვარის უწინ არსებობას ადასტურებს ტოპონიმი ლეჟგართელე. ასე დაურქმევიათ ტყე-ფერდობებისათვის ოჩხომურის მარც. მხარეს (კურზუ).

ჟვანია – 3454 სული (თბ. – 800, ზუგდ. – 740, სენაკი – 362). ქვეყანაში 168-ე ადგილზეა სულთა რაოდენობით, ხოლო სამეგრელოს რეგიონში – 37-ეზე (1929 სული). სენაკის რ-ნში ჟვანია 31-ე, ზუგდიდის რ-ნში კი – 50-ე ადგილი. კომლი: ნარაზენი – 37, დოშაყე – 22, ახალაბასთუმანი – 16, მუხური – 15, ჭითაწყარი – 14, ახალსოფელი (სენაკის რ.) – 10, კიწია – 10, ლესიჭინე – 10, ხაბუმე – 8, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) – 7, ქვ. ჩხოროწყუ – 7, თეკლათი – 6, კახათი – 6, დ. ჭყონი – 6, საჯიჯაო- 6 და სხვ. ტოპ.: ლეჟვანიე – სოფელი ზანასა და მაჩხაპეს შუა (დოშაყის თემი). ნაჟვახუ – სახნავი ლეკაციეში (ახუთი). საჟვანიო – უბნები ნარაზენში, ახალაბასთუმანში, თეკლათში, ახალსოფელში (სენაკის რ.), უფალკარში, ონტოფოში. საჟვანიო ეწოდება ყოფილ დასახ. უბანსაც საგუნიოში.

წალენჯიხასა და მის ახლომახლო სოფლებში მცხოვრები ჟვანიები XVIII–XIX სს. მიჯნაზე საუფლისწულო (კერძოდ, ტარიელ ბატონიშვილის) აზნაურები ყოფილან (სოსელია, 1990, გვ. 97). გვარისათვის ამოსავალია ბერძნულიდან შემოსული საკუთარი სახელი იოანე (ივანე). თავდაპირველად მომხდარა თავკიდური ხმოვნის იოტიზაცია და შემდგომ პალატალიზაცია. ამ საკითხებს შეხებიან ნ. მარი, გ. ახვლედიანი, თ. გონაშვილი. გვარის წარმოქმნის დაზუსტებული სურათი ასეთია: იოანე → ჲოანე→ ჟოანე →ჟოანეა →ჟუანეა →ჟვანია (აფრიდონიძე, 1987, გვ. 254. აქვეა მოცემული სათანადო მოსაზრებათა დაწვრილებითი ანალიზი). ჟვანე საფეხურს წარმოაჩენს ჟვანესკირია (გვხვდება 1621 წ. საბუთში. იხ. ქსძ, III, 429). 1904 წლის აღწერის მასალების მიხედვით, ეკში, უფალკარში, ონტოფოში, საკაჭარაოში (სუჯუნის თემი) მცხოვრები ჟვანიები აზნაურები იყვნენ.

**ჟველია** – 90 სული (ფოთი – 29, ზუგდ. – 17, თბ. – 13). კომპაქტური დასახლება დაფიქსირდა ქარიატაში (8 კომლი). ამოსავალი ფუძე ჟველ იგივეა, რაც იოველ (შდრ. ჟვანია).

**ჟიჟბაია** – 21 სული. აფხაზურ-მეგრული გვარია. გვხვდება ზუგდიდის რ-ნში. კომპაქტური დასახლება დაფიქსირდა დარჩელში (4 კ.).

**ჟიშკარიანი** – 74 სული (სენაკი – 46, ზუგდ. – 23, აბაშა – 3). კომლი: ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) – 8, ეკი – 3, ზუგდიდი – 3 და სხვ. იხ. ჯიშკარიანი.

**ჟიშქარიანი** – ჟიშკარიანის (იხ.) ვარიანტია. კომლი: კახათი – 3, პ. ხორგა – 3 და სხვ.

**ჟორდანია** – 648 სული (თბ. – 190, ქობ. – 107, ლანჩხ. – 81). კომლი: მარტვილი – 10, ზანათი – 6, ცაიში – 6 და სხვ. ტოპ.: საჟორდანიო – უბანი ანჯერში (გალმა კოდორი). ნაჟორდანუ – მინდორი ოდაკვეშის ნაპირას (მარტვილი). 1733 წ. შედგენილ საბუთში დასახელებული არიან ქორენისუბანს მოსახლე ხუცესი ჟორდანია და მისი ძმა ოთია (ქსძ, III, 730). გარკვეულია, რომ ჟორდანია მიღებულია მამაკაცის სახელ იორდანე-საგან თავკიდური ხმოვნის იოტიზაციისა და შემდგომი პალატალიზაციის გზით: იორდანე→ ჲორდანე→ ჟორდანე →ჟორდანე-ა →ჟორდანია (ახვლედიანი, 1923; აფრიდონიძე, 1987). შდრ. გაქართულებული ვარიანტი ჟორდანიძე (86 კომლი ბათუმში, ზუგდიდში). პირსახელი ჟორდან გვხვდება სვანეთში. 1904 წელს ცაიშში ესახლა 3 კომლი აზნაური ჟორდანია.

**ჟღენტი** – 3335 სული. გურიაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გვარია (982 სული, 21-ე ადგილი რეგიონში). მიგრირებულია სამეგრელოშიც: ტყვირში დაფიქსირდა 10 კომლი.

**ჟღერია** – 163 სული (ვანი – 38, თბ. – 28, ოზურგ. – 23). ეს მცირერიცხოვანი გვარი ძირითადად იმერეთსა და გურიაში გვხვდება. სამეგრელოში მის უწინდელ დროში გავრცელებულობაზე ძირითადად ტოპონიმები მიანიშნებენ: ნაჟღერუ – სახნავები საფილპიოსა და საკობახიოს შუა (საკვიკვინიო). ნაჟღერ(ო)უ//ნაჯღეროუ – ფერდობები წკანტილეის მარჯ. მხარეს (ნახუნაო). შდრ. ჯღერია (ქართველურ ენებში ჟ და ჯ ბგერების მონაცვლეობა ხშირია). შდრ. პირსახელი ჟღერო (რაჭაში. იხ. ქსს, 1986). ი. მაისურაძე გამოყოფს სავარაუდო სახელს ჟღერი (ჟღერია → ჟღერია).

## რ

**რაზმაძე** – 5574 სული. საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარია (64-ე ადგილი). გავრცელებულია ძირითადად აღმ. საქართველოში. გვხვდება სამეგრელოშიც: ანაკლია – 3 კ., მარანი – 3 კ., ნოსირი – 3 კ. და სხვ. გვარი ცნობილია XVII ს-დან (ქსძ, III, 412).

**რამინაშვილი** – 264 სული (თბ. – 54, ქუთ. 44, ხობი – 26). მიგრირებულია სამეგრელოში: 6 კომლი მოსახლეობს ქვ. ჭალადიდში. რამინა პირსახელ რამინის კნინობითი ვარიანტია.

**რატია** – 243 სული (ზუგდ. – 172, თბ. – 42, ქუთ. – 8). კომპაქტური დასახლება (8 კომლი) აღინიშნა ოქტომბერში (ზუგდიდის რ.). ტოპ.: ნარატუ – ფერდობი სახარჩილოში (ჯაღრა). გვარი დასახელებულია XVI ს. საეკლესიო საბუთში: "მართებს რატიებსა ოცი თეთრი". ეს რატიები ხოფის ეკლესიის მებეგრენი ყოფილან (იხ. ქსძ, III, 449). რატი გავრცელებული პირსახელია. მაგრამ გვარი რატია, შესაძლოა, რატიანთან იყოს დაკავშირებული. შდრ.: რატიშვილი, რატიაშვილი.

**რატიანი** – 1969 სული. გვარი ძირითადად მესტიისა და ამბროლაურის რ-ნებშია განსახლებული. დასტურდება კოლხეთის ბარშიც (წყემი – 11 კ., პ. მაისი – 8 კ.). ადგ. ვარიანტი რატია ჩანს ტოპონიმში სარატიო (რატიანების უბანი წყემში). 1904 წელს ნობულევში, ეწერში (მაშინ შედიოდა სალხინოს თემში), ოჩეში, დღვანაში, წაჩხურში, კიწიაში მოსახლე რატიანები აზნაურები იყვნენ.

**რაფავა** – 783 სული (ზუგდ. – 546, თბ. – 141, წალენჯ. – 37). ძირითადი საცხოვრისია კორცხელი (51 კომლი). მოსახლეობენ სხვა სოფლებშიც: ახალკახათი – 8 კ., რუხი – 6 კ., ჭკადუაში – 6 კ., კახათი – 3 კ., შამგონა – 3 კ., წალენჯიხა – 3 კ. და სხვ. ტოპ.: სარაფო – უბნები ნაცატუში (ჯუმსა და ხეშობონუს შუა), ბაშში (სალაგვილოსა და სალაშხიოს შუა). ორივე სოფელი კორცხელის თემშია. გადმოცემით, აქაური რაფავები არიან "რაფოლები" – თურქები (ტერმინი თურქი, ჩვეულებრივ, აღნიშნავს, ლაზსაც). რაფა, რაფი, რაფო არის რაფიელის შემოკლებული ფორმა სამეგრელოში.

რევე — (და რევი - 47 სული) მცირერიცხოვანი გვარია მარტვილის რ-ნში: ნაგვაზავოში გვხვდება როგორც რევა (5 კომლი), ისე რევია (4 კომლი). რევა რევაზის შემოკლებული ფორმა ჩანს. მეორე მხრივ, სახელი რევ გვხვდება უძველეს ქართველ მეფეთა ნუსხაში (ანდრონიკაშვილი, 1999, გვ. 256).

რევია - 310 სული (თბ. - 133, მარტვ. - 59, ზუგდ. - 27). კომლი: ხუნწი - 12, ინჩხური - 5, ნაგვაზავო - 4, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) - 3 და სხვ. შდრ. რევა. რევიები სალიპარტიანოს აზნაურები იყვნენ. ივანე რევია 1615-1620 წწ. ახლო ხანებში გიორგი I ლიპარტიანის კარის მესტუმრე ყოფილა (სოსელია, 1990, გვ. 89). 1904 წლის აღწერის მონაცემებით, ხუნწში მცხოვრები რევიები აზნაურები იყვნენ. რევიებს აზნაურებად ასახელებს ი. ბაგრატიონიც.

რეკვავა - 295 სული (სენაკი - 67, თბ. -37, ზუგდ. - 34). კომლი: საჯიჯაო - 8, ხორში - 4, ინგირი - 3, ნორიო - 3, ხობი - 3 და სხვ. ტოპ.: სარეკვა - უბანი ზუბში (საჯიჯაოს თემი). პირსახელები რეკია, რეკილა (იხ. ქსს, 1986) გვავარაუდებინებს რეკუ ვარიანტსაც. -ა სუფიქსი აწარმოებს პირველად გვარს (რეკუ-ა →რეკუა), ხოლო -ვა - მეორეულ გვარს (რეკუა → რეკუა-ვა → რეკვავა).

რეხვია - ძალზე იშვიათი გვარია. დაფიქსირდა ხობში. შდრ. რეხვიაშვილი (რაჭა).

რიგვავა - 529 სული (ზუგდ. - 297, თბ. - 112, წალენჯ. - 31). ძირძველი ადგილობრივი მოსახლე სამეგრელოში იშვიათია. მრავლად არიან ლტოლვილნი. ამოსავალი ფუძეა საზოგადო სახელი რიგვა, რომელიც შედის კომპოზიტში დუდირიგვა "თავგასიებული".

რიკაძე - 503 სული. აღმ. საქართველოში გავრცელებული გვარია. ახალსოფელში (ხობის რ.) დაფიქსირდა 3 კომლი.

რიჟამაძე - 1410 სული. იმერეთში გავრცელებული გვარია და გვხვდება სამეგრელოშიც: ქვ. ქალადიდში - 6 კ., ახალსოფელში (ხობის რ.) - 4 კ. და სხვ.

რობაქიძე - 5324 სული. სულთა რაოდენობით საქართველოში 70-ე ადგილზეა, იმერეთში კი - მეშვიდეზე (3987 სული). მიგრირებულია სამეგრელოშიც: ქვ. ქალადიდში დაფიქსირდა 5 კომლი.

როგავა - 2597 სული (ზუგდ. - 1811, თბ. - 312, სენაკი - 125). გვარი ქვეყნის მასშტაბით 292-ე ადგილზეა. სამეგრელოში უკავია 25-ე, ზუგდიდის რ-ნში კი — მე-10 ადგილი. კომლი: ყულიშკარი - 92, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) - 67, ალერტკარი - 34, წალენჯიხა - 15, რუხი - 13, ახალკახათი - 11, აბასთუმანი - 8, რიყე - 8, ნარაზენი - 7, ხეთა - 6, კოკი - 5, ოდიში - 5, ლეძაძამე - 5 და სხვ. ტოპ.: ლეროგე — ტყე-ფერდობები ნოხუერში (ხობისწყლის ხეობა), სადაც როგავებს უცხოვრიათ. საროგა — უბნები ყულიშწყარის ხეობასა და მიმდებარე სერებზე მდებარე სოფლებში - ყულიშკარში, უჩაშონაში, ახალსოფელში, ალერტკარში, აგრეთვე აბასთუმანში (უმპიის მარც. მხარეს) და ჯუმში. საროგაო-საშელეგიო - უბანი ნაწულუკუში, სადაც როგავებისა და შელეგიების რამდენიმე ოჯახი ერთად სახლობს (ყველა დასახელებული ტოპონიმი ზუგდიდის რ-ნშია). გადმოცემით, როგავები წარმოშობით არიან ხორგუანები სვანეთიდან.

როდონაია - 525 სული (ზუგდ. - 137, ჩხორ. - 109, თბ. - 102). ორ სოფელში ქმნის კომპაქტურ დასახლებას: ჩხოროწყუში დაფიქსირდა 16 კომლი; ხაბუმეში - 9 კომლი. ტოპ.: ნაროდონ — ტყე-ფერდობები ჩეღალის ნაპირას (გარახა). მეგრულში როდონი ეწოდება ზოგადად ყოველგვარ ჭურჭელს. შეუძლებელი არაა, ასეთი სიტყვა შერქმეოდა პიროვნებას მეტსახელად და შემდეგ გვარსაც დასდებოდა საფუძვლად. მეორე მხრივ, როდა, როდი, როდო სვანეთსა და სამეგრელოში პირსახელებია და როდონა მათი კნინობით-მოფერებითი ვარიანტი გამოდის. დაბოლოს, როდონ შესაძლოა ბერძნული როდიონის მეგრულად ადაპტირებული ვარიანტი იყოს.

როსტობაია - 383 სული (ზუგდ. - 205, სენაკი - 32, თბ. - 26). აფხაზურ-მეგრული გვარია. გავრცელებულია სამურზაყანოში და გადმონაცვლებულია ენგურის მარცხენა მხარეს: შამგონაში დაფიქსირდა 8 კომლი, ზუგდიდში - ათიოდე კომლი. არიან ლტოლვილებიც.

რუბენია - 62 სული (აბაშა - 29, ფოთი - 15, თბ. - 10). ძირითადი ნაწილი მკვიდრობს ძვ. აბაშაში (9 კომლი), სადაც ისინი მოსულან სამურზაყანოდან. მათს უბანს ეწოდება ერუბეხიე. გვარი მომდინარეობს პირსახელ რუბენისაგან.

რურუა - 1362 სული (თბ. - 358, მარტვ. - 345, აბაშა - 251). რურუების მრავალრიცხოვანი და ძირძველი სამკვიდრო არის ვედიდკარი (116 კომლი). კომლი სხვა სოფლებში: სეფიეთი - 54, მარანი - 9, ძვ. სენაკი - 8, პ. მაისი - 6, აბაშა - 3 და სხვ. ტოპ.: სარურუო - უბანი სეფიეთში.

რუსია - 935 სული (აბაშა - 217, თბ. - 199, სამტრ. - 109). კომლი: ქოლობანი - 24, სუჯუნა - 19, ვედიდკარი - 16, ბანძა - 8, აბაშა - 5, ზანათი - 5, ნოჯიხევი - 3 და სხვ. "რუსი" ეთნონიმია (შდრ. შონი, ჩერქეზი...), მაგრამ ძველ საქართველოში რუსი (და რუსა, რუსია) პირის სახელიც იყო. ამას ადასტურებს ერთ-ერთი უძველესი (XII ს.) გვარი რუსიძე. სახელი რუსა მოხსენიებულია ურარტულ წარწერებშიც. შდრ.: რუსაძე, რუსაშვილი, რუსეიშვილი (აჭარა, იმერეთი).

რუხავა - ძალზე იშვიათი გვარია. ზანათში აღირიცხა 2 კომლი. რუხა კოლხეთში პირსახელია, მაგრამ არაა გამორიცხული, რუხავა (და რუხაია) იმერული რუხაძის გამეგრულებული ვარიანტი იყოს.

რუხაია - 1082 სული (მარტვ. - 346, თბ. - 192, ზუგდ. - 101). კომლი: გაჭედილი - 28, მარტვილი - 23, ქვაითი - 10, დ. ჭყონი - 8, პ. ფოთი - 6, რუხი - 4, ზანძა - 3, ლეძაძამე - 3, ნალეფსაო - 3, ნაჯახავო - 3 და სხვ. ტოპ.: ერუხაიე - უბნები გაჭედილში, ნალეფსაოში, ქვაითში და სხვ. იხ. რუხავა.

რუხაძე - 4319 სული. ქვეყნის მასშტაბითაც (109-ე ადგილი) და იმერეთშიც (2012 სული. 50-ე ადგილი) ფართოდ გავრცელებული გვარია. დაფიქსირდა სამეგრელოშიც: ხეთა - 7 კ., პ. მაისი – 6 კ., რუხი – 3 კ., სამიქაო – 3 კ. და სხვ. შდრ. რუხავა, რუხაია.

რუხია - 21 სული. ძვ. სენაკში ცხოვრობს 6 კომლი. შდრ. რუხიაშვილი.

## ს

საბაშვილი - 1304 სული. აღმ. საქართველოში გავრცელებული ამ გვარის მატარებელი 10 კომლი დაფიქსირდა სუჯუნაში. ცხოვრობენ გაბნეულად, რის გამოც უბნის სახელი ვერ წარმოიქმნა. მაგრამ ბოგირს ცუდღარზე ეწოდება საბასქუაშ ბოგი (სუჯუნა). საბასქუა ადგ. ვარიანტია.

საბახტარაშვილი – 101 სული (სენაკი - 33, თბ. - 26, ხობი - 13). ერთ-ერთია იმ -შვილ დაბოლოებიან გვართაგან, რომლის წარმოშობისა და გავრცელების ძირითადი არეალი სამეგრელოა. ამ გვარის რამდენიმე კომლი ცხოვრობს სენაკისა და ხობის რ-ნებში (თვით ხობში - 3 კომლი). ადგ. ვარიანტი: სამთასქუა. ტოპ.: ლესამთასქუე - უბანი ლეგოგინეში. ცხოვრობენ საბახტარაშვილები. პირსახელი საბახტარ//საბაქთარ ცნობილია დას. საქართველოში. ამ სახელს მოგზაური ჟან შარდენიც მოიხსენიებს (დას. საქართველოში შარდენს თავი შეუფარებია ციხე-სიმაგრისათვის, რომელიც საბახტარს ეკუთვნოდა). უშაფათში მცხოვრები საბახტარაშვილები აზნაურები იყვნენ.

საბეკია - 261 სული (ზუგდ. - 122, ჩხორ. - 46, თბ. - 20). კომლი: კირცხი - 12, ორსანტია - 12, ხობი - 4, ზუგდიდი - 25 და სხვ. ადგ. ვარიანტი: ცაბეკია. ტოპ.: ნაცაბეკუ – საძოვარი საგუგუნავოში.

საბულუა - 244 სული (ზუგდ. - 58, აბაშა - 45, თბ. - 41). კომლი: აბაშა - 3, ფოთი - 8 და სხვ. არიან ლტოლვილებიც.

საგინაძე – 1380 სული. აჭარაში გავრცელებული გვარია. სალხინოში დადასტურდა 3 კომლი.

საინგია - იხ. სანიკიძე.

საკანდელია - 86 სული (მარტვ. - 69, სენაკი - 6, თბ. - 3). კომლი: ნალეფსაო - 11, მარტვილი - 6, გეჯეთი - 2 და სხვ. გვარის მცირერიცხოვნობა გვაფიქრებინებს, რომ იგი მომდინარეობს იმერეთში გავრცელებული უფრო მრავალრიცხოვანი გვარ საკანდელიძე-საგან (627 სული).

სალაია - 55 სული. ძირითადად გურიაშია გავრცელებული. სამეგრელოში ძალზე იშვიათია (დაფიქსირდა ფოთში და სხვაგანაც).

სალაყაია - 535 სული (თბ. - 141, ზუგდ. - 122, სენაკი - 91). კომლი: მენჯი - 9, თეკლათი - 7, ხობი - 6 და სხვ. ტოპ.: სასალაყაიო - უბანი ცივის მარჯ. ნაპირას (ბათარია. ინფ.: "სალაყაიების 15 ოჯახი გამოქცეულა ოტობაიიდან და დასახლებულა ძონძირში. იქიდან გადმოსულან თეკლათსა და მენჯში") და ყოფილი დასახ. უბანი თეკლათში. ისტორიულ წყაროებში ელინდება ამ გვარის ვარიანტები: სალდაყია, სალდაყაია. ისინი რომ თეკლათში ცხოვრობდნენ, ამასაც იმავე საბუთებიდან ვიგებთ: "საცაიშლო დავთარში"(1616-1621 წწ.) აღნიშნულია: "მართებს თეკლათურს გიორგის სალდაყიას ზროხიანი საჭმელი"(ქსძ, III, 443). XVIII ს. პირველ ნახევარში შედგენილ შეწირულების ერთ წიგნში კათალიკოსი გრიგოლ ლორთქიფანიძე წერს: "კოპალა სალდაყაია დავითს კათალიკოზს ეშოვნა და ხატისათვის შეეწირა. მერმე ახლა ჩვენ გაგვიახლებია და ჩვენც ხატისათვის შეგვიწირავს კოპალა სალდაყაიას შვილი" (იქვე, 765). 1712 წ. შედგენილ საბუთში დასახელებულია თეკლათს მცხოვრები "კანდელაკის შვილი სალაყაია კოჩალეი"(იქვე, 671). 1904 წლის აღწერის მასალების თანახმად, ბიაში, ქვალონში, ისულაში, რეკაში მცხოვრები სალაყაიები აზნაურები არიან, თეკლათში კი მოსახლეობს 15 კომლი სალაყაია, რომელთაგან 8 კომლი აზნაურია და 7 კომლი გლეხი.

სალია - 1153 სული (წალენჯ. - 472, ზუგდ. - 296, თბ. - 151). წალენჯიხის რ-ნში 26-ე ადგილზეა. კომლი: წალენჯიხა - 62, ჯგალი - 28, საჩინო - 12, ჯვარი - 12, დარჩელი - 6, ლია - 6, ანაკლია - 5, ჭითაწყარი - 5, ნაკიფუ - 3, ობუჯი - 3 და სხვ. ტოპ.: ლესალე - სოფელი ჭანისწყლის მარჯ. მხარეს (ჯგალის თემი. აქ სალიებს უკავიათ ერთი უბანი ლაჩხვათრის ხეობაში). სოფელში შემორჩენილია XV-XVI სს. ციხე-დარბაზი, რომელიც ისტ. წყაროებში ცნობილია როგორც ჯგალის ციხე. სალ-, სალა ფუძეების შემცველი სახელები გვხვდება სვანეთსა და სამეგრელოში (იხ. ქსს, 1986).

სალუქვაძე - 2408 სული. გურიაში ფართოდ გავრცელებული გვარია. კომლი სამეგრელოში: კიწია 13, ქვ. ქვალონი - 3 და სხვ. ადგ. ვარიანტები: სალუნქვაძე, სალქანძე. ტოპ.: ლესალქანძე//ლესალუნქვაძე - უბანი კორჩის მარჯ. ნაპირას (მ. კიწია). ინფ.: "ოზურგეთში ერთ მღვდელს, გვარად სალუქვაძეს, მონაზონი შეჰყვარებია და დაუფეხმძიმებია. გამოქცეულან და კიწიაში დამკვიდრებულან. მღვდელს ჰითა ოხვამეში (ეკლესიაა) დაუწყია მოღვაწეობა". გვარის ფუძე უნდა იყოს სპარსული სიტყვა სალუქი "კოხტა, მოხდენილი, ნატიფი" (ბედოშვილი, 1991).

**სამელია** - 102 სული (წალენჯ. - 62, ზუგდ. - 28, თბ. - 12). იშვიათი შემთხვევაა, როცა მეგრული გვარსახელი მთლიანად სამეგრელოშია განსახლებული. კომლი: წალენჯიხა - 10, ლია - 8 და სხვ. ტოპ.. ლესამლე - ტყე-საძოვრები მოროჟის მარჯ. მხარეს (ჯვარი). გვარი სამელია დასახელებულია XVI ს. დამლევს შედგენილ ნაჟანეულის (ოტობაია) საეკლესიო გლეხთა სიაში (ქსძ, III, 384). ამავე სოფელში ოცი წლის შემდეგ ცხოვრობს მარსალია სამელია (იქვე, 420). ამოსავალია პირსახელი სამელი, რაც სამოელის ან სამუელის ვარიანტი ჩანს (ისევე, როგორც სამი).

**სამინავა** - 102 სული (სენაკი - 79, ფოთი - 20, მარტვ. - 2). გვარი თითქმის მთლიანად სამეგრელოშია განსახლებული. კომლი: თეკლათი - 12, ფოთი - 6 და სხვ. სამი სამეგრელოში გავრცელებული პირსახელია. ამ ფუძეს შეიცავს სამინა, საიდანაც მომდინარეობს გვარი სამინავა.

**სამუშია** - 2783 სული (წალენჯ. - 1650, ზუგდ. - 530, თბ. - 315). საქართველოში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში 248-ე ადგილი უკავია, სამეგრელოში - 22-ე ადგილზეა (2308 სული), ხოლო წალენჯიხის რ-ნში - VI ადგილზე. გვარის ბუდე და ძირითადი სამკვიდრო ლია (227 კომლი). კომლი სხვა სოფლებში: ჯვარი - 23, წალენჯიხა – 8, რიყე – 5, ეწერი – 4, რუხი – 3, შამგონა – 3, ჩხორია – 3 და სხვ. სამუ (← სამუელ) სამეგრელოში გავრცელებული პირსახელია. სუფიქსი -ში წარმომავლობის (მამიშვილობის) სახელს აწარმოებს (სამუ →სამუ-ში → სამუში-ა).

**სამხარაძე** - 6801 სული. საქართველოსა (38-ე ადგილი) და იმერეთის რეგიონში (3397 სული. X ადგილი) გავრცელებული გვარი გვხვდება სამეგრელოშიც: პ. ფოთი – 3 კ., საგვიჩიო -3 კ. და სხვ.

**სანაია** - 1590 სული (სენაკი - 605, თბ. - 270, მარტვ. - 114). სენაკის რ-ნში ეს გვარი სულთა რაოდენობით VII ადგილზეა. კომლი: ფოცხო - 66, ლეხაინდრავო - 25, ლესიჭინე -10, ნაგვაზავო - 6, ახუთი - 5, გურიფული - 3, მენჯი - 3, ხობი - 3 და სხვ. ტოპ.: ლესანაიე - უბნები მეტერიის ნაპირებზე, ფოცხოსა და მ. მოხაშში. ინფ.: "აქაური სანაიები ყოფილან სანაძეები ხონიდან. იქ დადიოდნენ ჯინჯიხატის მოსალოცავად". ნასანუ//ნაცანუ - ბორცვი გიხძე სამესხიოში (სამესხიო). შესაძლოა, სანა პირსახელ სანატრელის შემოკლებული ვარიანტი იყოს.

**სანაძე** - 819 სული. ქვემო იმერეთში გავრცელებული გვარია. სამეგრელოში იშვიათია: კეთილარში დაფიქსირდა 5 კომლი. შდრ. სანაია.

**სანდარია** – გვარს აღადგენს ტოპონიმი ნასანდარუ//ნაცანდარუ. ასე ეწოდება ბორცვს ხუფინასა და ლაფთარას შუა (ობუჯი).

**სანდუხაძე** – 243 სული. იმერული გვარია. ორსანტიაში დაფიქსირდა 3 კომლი.

**სანთავა** - ან სანთაია გვარის უწინდელ დროში არსებობას ადასტურებს ტოპონიმი ლესანთე. ასე ეწოდება ვაკე-ბექობს ინწირის მარჯ. მხარეს, საშეროზიოს უბანში (ჩქვალერი). სანთა (ანუ ოშპა) ეწოდება სახლის თავხეს. მას ეყრდნობა სახურავი. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, მაგარი, ოჯახის ბურჯი მამაკაცისათვის მეტსახელად სანთა შეერქვათ.

**სანიკიძე** - 3082 სული. ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული გვარია ქვეყნის მასშტაბითაც (199-ე ადგილი) და იმერეთშიც. იქიდანაა მიგრირებული სამეგრელოში. კომლი: ნაქალაქევი - 25, ლეძაძამე - 12, ნოსირი - 5 და სხვ. ადგ. ვარიანტები: საინგია, სანიგია. ტოპ.: ესაინგიე - უბანი ზ. ნაქალაქევში, ჯიხას საზღვართან, სადაც მოსახლეობენ სანიკიძეები. მათი წინაპარი მოსულა ზემო სურებიდან (პირველმოსახლე სანიკიძის მეხუთე თაობის წარმომადგენელი ი. სანიკიძე დაბადებულია 1903 წელს). 1904 წლის აღწერის მასალებში დაფიქსირებულია ვარიანტი სანიკია (7 კომლი გეჯეთში).

**სარალიძე** - 2968 სული. იმერეთში ფართოდ გავრცელებული გვარი დაფიქსირდა სამეგრელოს რიონისპირა სოფლებში: ქვ. ქვალონი - 3 კ., ქვ. ჭალადიდი - 3 კ., პ. ფოთი - 3 კ. და სხვ.

**სართანია** - 1486 სული (ზუგდ. - 476, თბ. - 277, მარტვ. - 271). კომლი: ოდიში - 80, ბახძა - 45, თამაკონი - 18, ერგეტა - 7, ვედიდკარი - 4, ლეძაძამე - 4, ნარაზენი - 4, ნახუნაო - 4, ორულუ- 4, ხეთა - 4 და სხვ. ტოპ.: სასართანიო - უბანი ოდიშის ცენტრში. მკვლევართა ვარაუდით, გვარი სართანია მიღებულია საკუთარი სახელისაგან ალსართან (ზ. ჭუმბურიძე). არც ისაა გამოსარიცხი, ამოსავალი იყოს პირსახელი სარიდან (სარიდან → სარიდანია - სარდანია→ სართანია).

**სარია** - 359 სული (წალენჯ. - 184, ზუგდ. - 63, თბ. - 40). გვარის სამკვიდრო წალენჯიხა (49 კომლი), სადაც მათს უბანს ეწოდება ლესარე//სასარიო (სქურდილის მარც. მხარესაა). ოთხ-ოთხი კომლი დაფიქსირდა რიყესა და ჭითაწყარში. ლესარე უბანია ჭაქვინჯშიც. გვარი დამოწმებულია 1611-1615 წწ. შედგენილ საბუთში: ლესარეს მცხოვრები ყმა ხჭაბაი სარია მისი მამულით ლევან II დადიანს შეუწირავს მთაწმინდის ხარების ღმრთისმშობლისათვის (პალ, II, 7). ვარიანტი საარია დაფიქსირებულია 1706 წელს შედგენილ საბუთში, საიდანაც ვიგებთ, რომ ხობს მოსახლე გაჯინედი საარია შეუწირავთ ბიჭვინთისათვის (ქსძ, III, 647). სარი სარიდანის შემოკლებული ფორმა ჩანს.

**სარსანია** - 60 სული (ზუგდ. - 39, თბ. - 10, ზესტ. - 2). სოფლად კომპაქტური დასახლება არ დადასტურდა. ზუგდიდში ცხოვრობს 13 კომლი. თითო-ორი კომლი დაფიქსირდა ფოთში, ინგირში, რუხში... არაა გამორიცხული, სარსან სავარსამის ან სარსევანის მარცვალამოღებული ვარიანტი იყოს (სარსევანი→ სარსევანი-ა →სარსანია). შდრ. სასანია.

**სარუა** - 97 სული (ზუგდ. - 43, თბ. - 41, ფოთი – 4). ზუგდიდში ძირითადად არიან ლტოლვილები ფუძეა პირსახელი სარო: სარო →სარო-ა → სარუა. თვით სარუაც გვხვდება პირსახელად (ქსს, 1986).

**სარჩიმელია** - 163 სული (თბ. - 53 სული, მარტვ. - 36, ზუგდ. - 14). კომლი: ნაჯახავო - 20, ოქტომბერი - 7 და სხვ. ადგ. ვარიანტი: სარჩმელია. ტოპ.: სასარჩმელიო - უბანი აბასთუმანში.

**სარჩმელია** - 57 სული (ზუგდ. - 30, თბ. - 5, რუსთ. - 4). სარჩიმელიას საპასპორტო ვარიანტია. ბულიწყუში დადასტურდა 11 კომლი.

**სასანია** - 108 სული (ფოთი - 34, სენაკი - 14, თბ. - 11). კომლი: პ. ხორგა - 4, ხობი - 3 და სხვ. შესაძლოა, სასანია სარსანიას ვარიანტი იყოს. მეორე მხრივ, სვანეთში ცნობილია პირსახელი სასი, სასო, რომელსაც მეგრულში –ან სუფიქსის დართვით შეეძლო მოეცა კნინობითი ფორმა სასანი.

**საფარიშვილი** - 28 სული (თბ. - 13, აბაშა - 11, თელავი - 3). ქოლობანში დაფიქსირდა 3 კომლი. ამოსავალია პირსახელი საფარი. შდრ. სვანური: საფარალ.

**საქანია** — 39 სული. სექანიას (იხ.) ვარიანტი ჩანს. ზუგდიდში არიან ლტოლვილები.

**საღარეიშვილი** - 413 სული. იმერული გვარია. ხუნწში დაფიქსირდა 4 კომლი. ამოსავალი ფუძე საღარ- ჩანს "საცაიშლო დავთარში" (1616-1621 წწ.), სადაც ნახსენებია ცაიშს მცხოვრები საეკლესიო გლეხი"შენაწირა საღარია", სხვაგან კი დასახელებულია კაკაია საღარია (ქსძ, III, 450, 452). საღარა "შუბლთეთრი ცხენი" შეიძლებოდა მეტსახელად ქცეულიყო.

**საყვარელიძე** - 1254 სული. იმერული გვარია. მეგრული ვარიანტი: საყვარელია. სერგიეთში მოსახლეობს 3 კომლი. საყვარელი გავრცელებული პირსახელია.

**სახეიშვილი** - 353 სული (სენაკი - 84, ზუგდ. - 79, ფოთი - 78). ეს -შვილ დაბოლოებიანი გვარი წარმოქმნილია სამეგრელოში. კომლი: ხორში - 14, გურიფული - 7, ანაკლია - 5, ნოჯიხევი - 5, ხობი - 4 და სხვ. ადგ. ვარიანტები: სახესქუა, სახეშვილი. ტოპ.: სასახესქუო - უბანი ხორშში. ინფ.: "აქ მცხოვრები სახეიშვილების წინაპარი ყოფილა კურიკია სანებლიძე ცაგერიდან. ჰყოლია სამი შვილი: შარაშია, ანჩიბაია და კვინჩაია. მათი შთამომავლების ერთი ნაწილი ოტობაიაში წასულა".

**სახვაძე** - 1145 სული. გვარი გავრცელებულია იმერეთსა და ქართლში. სამეგრელოში იშვიათია: ახალსოფელში (ხობის რ.) ჩასახლებულია 4 კომლი.

**სახოკია** - 976 სული (სენაკი - 445, წალენჯ. - 149, თბ. - 122). კომლი: წალენჯიხა - 35, ძვ. სენაკი - 19, ნოსირი - 6, გურიფული - 5, ფუქი - 3 და სხვ. ტოპ.: სასახოკიო - უბანი შხეფში (სენაკი).

**სახურია** - 360 სული (ჩხორ. - 127, ზუგდ. - 100, წალენჯ. - 36). კომლი: კირცხი - 20, ცაიში - 9, გურიფული - 5, ლესიჭინე - 5, ხაბუმე 3 და სხვ. ტოპ.: სასახურიო - უბანი კირცხში. ნასახურუ - მინდორი ლეჯანაშეში (თამაკონი). გვარისა (და პირსახელის) წარმომქმნელი ფუძე "სახური" იგივეა, რაც ქართული სიტყვა "მსახური". თავკიდური მ- მეგრულში იკარგება. შდრ. მზარელუა ზარელუა.

**საჯაია** - 3278 სული (ჩხორ. - 720, ზუგდ. - 705, თბ. - 448). გვარს სულთა რაოდენობით საქართველოში უკავია 183-ე, სამეგრელოში 24-ე (2212 სული), ხოლო ჩხოროწყუს რ-ნში – მე-13 ადგილი. გვარის თავდაპირველი და უძველესი სამკვიდროა თაია, სადაც 105 კომლი საჯაია მკვიდრობს. კომლი სხვა სოფლებში: ორსანტია - 51, ახუთი - 40, ჩხოროწყუ - 15, სუჯუნა - 11, ნაფიჩხოვო - 10, მუხური - 9, ხაბუმე - 9, ინგირი - 6, განარჯიის მუხური - 5, ძვ. სენაკი - 5, ლესიჭინე - 5 და სხვ. ადგ. ვარიანტი: საჯალია. ტოპ.: ლესაჯაიე (ადგ. ვარიანტი: ლესაჯე) - სოფელი ტეხურსა და გურძემიას შუა (ლეძაძამის თემი). ლესაჯ(ალ)ე - უბანი სოფლის ცენტრში (თაია). ნასაჯ(ო)უ - ბორცვი შების მარჯ. მხარეს (გოდოგანი). სასაჯაიო - უბანი ჭიჭე კოკში (ორსანტია). ნასაჯ(ა)უ - სოფელ ლეგოგიე-ნასაჯუს ნაწილი მეტერიის მარჯ. მხარეს. ისტორიულად საჯაიები აზნაურები ყოფილან (ნაწილი – სადადიანო, ნაწილი – ჩიქოვანებისა). ვარიანტი საჯალია გვაფიქრებინებს, რომ ამოსავალია საჯარ (სახელი დამოწმებულია "ქართლის ცხოვრებაში"). 1904 წლის აღწერის მონაცემებით, ჯაღრაში, ფოცხოში, ნასაჯოუში, ლესაჯეში მცხოვრები საჯაიები აზნაურები იყვნენ.

**სერგია** - 365 სული (თბ. - 44, სენაკი- 37, ზუგდ. - 20). კომლი: საჯიჯაო - 20, ხამისქური - 10, ხეთა - 8, ნოჯიხევი - 6, ხობი - 3, ხორში - 3 და სხვ. ტოპ.: სასერგიო - უბნები ხამისქურსა (ზემო საფარცვანიოში) და ციზეთში (ნიშიის სათავესთან). 1569 წელს შედგენილ შეწირულების წიგნში აღნიშნულია, რომ ხოფის ღმრთისმშობლისათვის შეუწირავთ კაკულიაი სერგია (ქსძ, III, 275). დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ამ კონკრეტულ შემთხვევაში სერგია გვარია, ხოლო სახ. ბრუნვის ნიშნიანი კაკულიაი პირსახელია. "საცაიშლო დავთარში" (1616-1621 წწ.) დასახელებულნი არიან ცაიშს მცხოვრები საეკლესიო გლეხები - მასხულია სერგია, ხუხული სერგია, ჯგევშია სერგია, გეგელია სერგია, ხუხულია სერგია, გვანიბა სერგია და სხვ. (ქსძ, III, 440, 442-443, 453). სერგი ლათინურიდან ნასესხები სახელია. სერგია მისი კნინობითი ფორმაა და გვარადაც გვხვდება (ზ. ჭუმბურიძე).

**სესკურია** - 54 სული (ფოთი - 17, თბ. - 7, ქუთ. - 5). კონცენტრირებულია ქვ. ჭალადიდში (12 კ.). არიან სხვაგანაც. იშვიათი საპასპორტო ვარიანტია სესქურია. სესკური კოლხეთში გავრცელებული სესიკიას –ურ სუფიქსდართული ვარიანტი ჩანს (სესიკური → სესიკური-ა →სესკურია).

**სექანია** - 177 სული (ზუგდ. - 102, თბ. - 50, ბორჯ. - 7). ზუგდიდის რ-ნში რამდენიმე ძირძველი მოსახლეა. ძირითადად არიან ლტოლვილები სამურზაყანოდან. საპასპორტო ვარიანტია საქანია (იხ.).

სვანიძე - 5892 სული. საქართველოში ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული გვარია (56-ე ადგილი), იმერეთის რეგიონში 31-ე ადგილი უკავია (2485 სული). კომლი სამეგრელოში: წალენჯიხა - 8, ანაკლია - 7, ახუთი - 5, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) - 5, განარჯიის მუხური - 4, ლეხაინდრავო - 3, ქვ. ჩხოროწყუ - 3, ხობი - 3, ჯგალი - 3 და სხვ. XVI ს. დამლევის "შეწირულების წიგნის" მინაწერებში დასახელებული არიან კიკანაი სვანიძე და მისი შვილები, აგრეთვე ციცუნა სვანიძე (ქსძ, III, 371, 375). გვარისათვის ამოსავალია სატომო სახელი სვანი (რომელიც შეიძლება მეტსახელიც იყოს).

სვირავა - 175 სული (ზუგდ. - 143, წალენჯ. - 9, თბ. - 8). როგორც ამ მონაცემებიდანაც ჩანს, გვარის ძირძველი განსახლების არეალია ზუგდიდის რაიონი. კომპაქტურ დასახლებას ქმნის ორ სოფელში: კახათსა (20 კომლი) და ოდიშში (9 კ.). ამ სოფლებშივე უბნებს ეწოდებათ სასვირა: ოდიშში - ჯუმის ნაპირას და კახათში - ენგურის მარც. მხარეს. აქედან დაახლოებით 40 კმ-ზე, ენგურ-მაგანას შუა მოქცეული მთა წულიშის კალთებს ეწოდება ლესვირე//ლესურე (ჯვარი). პრეფიქსი ლე- იმაზე მიუთითებს, რომ აქ ოდესღაც სვირავების უბანი იყო. მეგრულში სვირა ეწოდება ხის ქერქის შილს, რომელსაც წყაროს შეუდგამენ. გარკვეულ სიტუაციაში ასეთი სიტყვაც შეიძლება იქცეს მეტსახელად. გარდა ამისა, სვირა აღნიშნავს წვრილსა და წაგრძელებულს (ჩხვინდისვირა "წვრილცხვირიანი").

სიგუა - 1566 სული (თბ. - 441, მარტვ. - 353, სენაკი - 177). ტოპ: ლესიგუე - უბანი კვაუთში, აბედათის საზღვართან. ესიგუე - უბანი ნახუნავოში, ბჟერის კალთის ძირას. სასიგუო - უბანი ზენში, ოკურჩხალის ნაპირას (საჯიჯაოს თემი). სავარაუდოა: სიგუა (მეგრ.) "დაბეგვა, ჩახეთქვა" → *მ-სიგუ "მოჩხუბარი, უზომოდ მჭამელი" → სიგუ (მეტსახელი) → სიგუა (გვარსახელი).

სილაგავა - 542 სული (მარტვ. - 232, ხობი - 82, თბ. - 76). კომლი: ნაგვაზავო - 40, გაჭედილი - 13, პ. ფოთი - 12, მარტვილი - 3 და სხვ. ადგ. ვარიანტი: სიაგა (მ.-ბ. თქმა). ტოპ.: ესიაგე - უბანი აბაშის მარჯ. მხარეს (მეორე ბალდა, გაჭედილის თემი). ნასიაგოუ - სახნავი ოსოხეშის მარც. ნაპირას (ლეცავე). ლეჩხუმსა და იმერეთში ფართოდ გავრცელებული გვარის - სილაგაძის - ვარიანტი ჩანს, მით უმეტეს, სილაგავა ძირითადად განსახლებულია მარტვილის რ-ნში, სადაც სილაგაძეებიც ცხოვრობენ.

სილაგაძე - 2705 სული. სულთა რაოდენობით საქართველოში უკავია 266-ე ადგილი, ლეჩხუმში კი მეორე ადგილზეა (749 სული). კომლი სამეგრელოში: ინჩხური - 19, ნალეფსაო - 15, მარტვილი - 3, ორსანტია - 3 და სხვ. ადგ. ვარიანტი: სილაგა (იხ. სილაგავა). მარტვილის რ-ნში მცხოვრები სილაგაძეების ერთი ნაწილი დროთა განმავლობაში სილაგავად დაწერილა. საერთოდ კი, სილაგაძე ლეჩხუმის ერთ-ერთი ძველი გვარია. საისტორიო წყაროებში დასტურდება როგორც სილაგაძე, ისე სილაკაძე. გამორკვეულია, რომ იმერელი შილაკაძეები და მეგრელი სილაგავები თუ სილოგავები ლეჩხუმელი სილაგაძეების (სილაკაძეების) განაყრები არიან (თოფჩიშვილი, 1991, გვ. 25).

სილახავა - (ან სილახია) გვარის უწინ არსებობას ადასტურებს ტოპონიმი ნას(ი)ლახუ //ნაცილახუ (ბორცვი ახუთში, ლეკაკულეს უბანში).

სილოგავა - 110 სული (ფოთი - 69, ზუგდ. - 18, თბ. - 14). კახათში ცხოვრობს 6 კომლი, კიდევ რამდენიმე სოფელში - თითო-ოროლა. იხ. სილაგავა, სილაგაძე.

სიმონია - 734 სული (აბაშა - 166, სენაკი - 139, თბ. - 119). კომლი: ნოსირი - 33, ნორიო - 19, კეთილარი - 8, აბაშა - 6, ონტოფო- 4 და სხვ. ტოპ.: სასიმონიო - უბნები ნოსირში, საოდიშარიოში, განათლებისკარში (ისტორიული მაცხოვრისკარი). გვარი წარმოქმნილია პირსახელ სიმონ-ისაგან, რაც ძველი ებრაულიდანაა გავრცელებული ქართველურ ენებში.

სიმონიშვილი - 2433 სული. გვარი კახეთსა და ქართლშია გავრცელებული, სამეგრელოში იშვიათია. თხმელარში ჰქონიათ დასახლება, საიდანაც დარჩა სახელწოდება სიმონიშვილები.

სიორდია - 555 სული (ბაღდ. - 97, მარტვ. - 96, სენაკი - 84). კომლი: გურძემი - 17, დ. ჭყონი - 8, სამიქაო - 8, აბედათი - 4, ძვ. სენაკი - 3 და სხვ. მეგრულში იშვიათი როდია ზმნური ფორმის ან მოკლე წინადადების ანთროპონიმიზაცია (პირსახელად, შემდეგ კი გვარად გადაქცევა). ახალდაბადებულს შეიძლება დაარქვან: სორდია "სად იყავი?", სი სორდია "შენ სად იყავი?", სი ორდია "შენ იყავი" ...

სირია - 229 სული (სენაკი - 183, თბ. - 23, ფოთი - 14). გვარი ქმნის ერთადერთ მრავალრიცხოვან დასახლებას (5 კომლი) შუა ნოსირში. ეწოდება სასირიო. კიდევ ერთ ტოპონიმში ჩანს გვარი სირია: რიონის მარც. მხარეს მდებარეობს სოფელი სირიაჩქონი, რაც ნიშნავს სირიას ნახევარკუნძულს (ზ. ჭალადიდის თემი). გვარებისათვის — სირია, სირაძე — ამოსავალია მეტსახელი სირი, რაც ძველ ქართულში ჩიტს ნიშნავდა. ამასთანავე, სირი, სირამულ, სირიქმე ... სვანეთში პირსახელებია.

სისორდია — 22 სული (თბ. - 12, ზესტ. - 4, სენაკი — 4). ძალზე მცირერიცხოვანი კოლხური გვარია (დაფიქსირდა მხოლოდ სენაკში). იხ. სიორდია.

სიჭინავა - 6102 სული (ჩხორ. - 2036, ზუგდ. - 1261, თბ. - 767). საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გვარია (53-ე ადგილი). სამეგრელოში VII ადგილი უკავია (4552 სული). ჩხოროწყუს რ-ნში მეორე (შენგელიას შემდეგ), ზუგდიდის რ-ნში კი — მე-15 ადგილზეა. გვარის ძირძველსა და გასაკვირად მრავალრიცხოვან სამკვიდროს წარმოადგენს ლესიჭინის თემი (პირველი ლესიჭინე, მეორე ლესიჭინე), სადაც ამჟამად მოსახლეობს სიჭინავების 432 კომლი (1904 წლის აღწერის მასალების მიხედვით, ლესიჭინეში მკვიდრობდა სიჭინავების 267 ოჯახი. იხ. თოფჩიშვილი, 1997, გვ. 58).

კომლი სხვა სოფლებში: ზანა - 25, ხობი - 19, ჩხოროწყუ - 17, დარჩელი - 16, ჯიხაშკარი - 14, კახათი - 13, ნოჯიხევი - 13, წალენჯიხა - 10, ანაკლია - 9, ახუთი - 8, ახალხიბულა - 7, ქვ. ქვალონი - 7 და სხვ. ტოპონიმები (გარდა ლესიჭინისა): სასიჭინა - უბანი კუთხენოჯიხევში (საცხადაიოსა და საჩიტაიოს შუა) და ყოფილი დასახ. უბანი, ამჟამად მინდვრები ყულევში. სასიჭინო - უბანი გიმოზგონჯილში, სონჯის ნაპირას. ისტორიული ექსკურსი: 1621 წელს შედგენილი საბუთი გვამცნობს, რომ საქუჩულორიოს მცხოვრები სტუმრია სიჭინავა და გვიგვია სიჭინავა ყოფილან საეკლესიო გლეხები (ქსძ, III, 414). XVIII ს. პირველ ნახევარში ბიას მცხოვრები კოჩიორე სიჭინავა შეუწირავთ ბიჭვინთისათვის (იქვე, 768).

სიხარულია - 188 სული (ზუგდ . - 94, თბ. - 7, მარტვ . - 7). კომლი: ნოჯიხევი - 6, ნოსირი - 5, ოქტომბერი - 4, ახალაბასთუმანი - 2 და სხვ. გურიაში ფართოდ გავრცელებული გვარის - სიხარულიძის - მეგრული ვარიანტია, რომელიც იშვიათად პირსახელადაც გამოიყენება.

სიხარულიძე - 6156 სული. სულთა რაოდენობით ქვეყანაში 49-ე ადგილზეა. ფართოდაა გავრცელებული გურიაში (2499 სული. მესამე ადგილი). გვხვდება სამეგრელოშიც (თამაკონი - 5 კომლი). სიხარულა და სიხარული გავრცელებული პირსახელებია (იხ. ქსძ, III, 407).

სოზიაშვილი - 530 სული. ქართლური გვარი წარმოდგენილია ინჩხურში 3 კომლით.

სოლომონია - 269 სული (თბ. - 66, სენაკი - 65, აბაშა - 45). კომლი: ნოსირი - 16, სუჯუნა - 4, ტყვირი - 4 და სხვ. ადგ. ვარიანტი: სოლმონია. ტოპ.: სასოლ(ო)მონიო - უბანი ტეხურის მარც. მხარეს (საოდიშარიო). ამოსავალია პირსახელი სოლომონ. შდრ. სოლომონიძე.

სოლომონიძე - 652 სული. აჭარაში გავრცელებული გვარი მიგრირებულია სამეგრელოშიც (ბულიწყუ - 4 კომლი). ადგილობრივ სოლომონიად მოიხსენებენ, პასპორტში სოლომონიძე უწერიათ.

სონგულია - ერთ-ერთი მცირერიცხოვანი გვარია. ზოგი იწერება სუნგულიად (ცნობარში "გვარ-სახელები საქართველოში" შეტანილია გვარი სუნგულია - 28 სული). კომლი: ობუჯი - 28, წალენჯიხა - 4 და სხვ. გვარის ფუძეს აკავშირებენ სონღულ სიტყვასთან, რაც ერთგვარ ფრინველს აღნიშნავს (სულხან-საბა). პირსახელებად გვხვდება სომღულა, სონღულა. (იხ. ქსს, 1986). შდრ. სონღულაშვილი.

სორდია - 1388 სული (ზუგდ. - 521, ჩხორ. - 307, თბ. - 181). კომლი: ჩხოროწყუ - 33, შამგონა - 23, ქვ. ჩხოროწყუ - 19, ზანა - 15, ორულუ - 15, დიდი ნეძი - 10, ხაბუმე - 9, ცაიში - 9, ანაკლია - 7, საჯიჯაო- 7, კახათი - 5, ბულიწყუ - 4, თორსა-ღლვაბა - 4, კორცხელი - 4, რუხი - 4, პ. ხორგა - 4 და სხვ. ტოპ.: სასორდიო - უბანი შამგონაში. სორდია გვარად ქცეული პირსახელია და ნიშნავს "სად იყავი?". ერქმევა ბავშვს, რომელიც დიდი ხნის ლოდინის შემდეგ გაუჩნდებათ მშობლებს. იხ. სიორდია.

სოსელია - 1836 სული (ზუგდ. - 566, თბ. - 325, წალენჯ. - 125). კომლი: ჩხოროწყუ - 34, კირცხი - 10, ხობი - 9, ინგირი - 4, ნოჯიხევი - 4, ცაიში - 4, ახალხიბულა - 3, ახალსოფელი (სენაკის რ.) - 3, ვედიდკარი - 3, კიწია - 3, ჭალე - 3, ხობი - 3 და სხვ. ტოპ.: ლესოს(ი)ლე – ყოფილი დასახ. უბნები ჯგალსა (ჭანისწყლის მარც. მხარეს) და ხობისწყლის ხეობაში, მუხურს ზემოთ. სასოსელიო - უბნები ჭიხუში (ხობი) და ჩხორიაში (1906 წ. დაბადებული მ. სოსელიას გადმოცემით, მისი ბაბუა ქაქუჩა აქ გურძემიდან მოსულა). სოსი, სოსა, სოსო კოლხეთში პირსახელებია. სოსელი კნინობითი ფორმაა.

სოტკილავა - 122 სული (ზუგდ. - 75, თბ. - 35, ჩხორ. - 6). ორიოდე კომლი ძირძველი მოსახლე დაფიქსირდა ზუგდიდში. არიან ლტოლვილებიც.

სოხაძე - 1870 სული. იმერეთსა და რაჭაში გავრცელებული გვარია. კომლი სამეგრელოში: ზუმი - 4, ნოსირი - 4, ქვ. ქვალონი - 3, წყემი - 3.და სხვ. ტოპ.: სასოხაძო - უბანი მოგირში.

სტეფანია - 241 სული (ჩხორ. - 60, ზუგდ. - 36, თბ. - 25). კომლი: კირცხი - 15, ოდიში - 3, ქარიატა - 3 და სხვ. წარმოქმნილია პირსახელისაგან სტეფანე (შდრ.: სტეფანაძე, სტეფანიძე...).

სტეფნაძე - 465 სული. ქართლში გავრცელებული გვარი მცირე რაოდენობითაა მიგრირებული კოლხეთში: ახალსოფელში (ხობის რ.) დაფიქსირდა 3 კომლი.

სტვილია - 67 სული (თბ. - 49, მარტვ. - 15, გორი - 2). მცირერიცხოვანი გვარია. ძირითადი ნაწილი ცხოვრობს თბილისში. კომპაქტური დასახლება დადასტურდა ხუნწში (5 კომლი).

სტურუა - 1809 სული (სამტრ. - 872, თბ. - 444, ქუთ. - 91). გვარი ძირითადად ქვემო იმერეთშია გავრცელებული და სამტრედიის რაიონის მიმდებარე ორ სოფელში – პ. მაისსა (12 კ.) და მარანში (4 კ.) – ქმნის კომპაქტურ დასახლებას. პირსახელი სტურუ მესხეთშია დაფიქსირებული (ქსს, 1986).

სუბელიანი - 785 სული. საბჭოთა პერიოდში მრავალი სვანური ოჯახი ჩამოსახლდა მესტიის რ-ნიდან კოლხეთის ბარში. სუბელიანთა 5 კომლი ჩხორიაში დამკვიდრდა.

სუნგულია □ იხ. სონგულია.

სულაბერიძე - 2499 სული. იმერეთში ფართოდ გავრცელებული გვარი წარმოდგენილია სამეგრელოს ორ სოფელში (მარტვილი - 15 კ., ნალეფსაო - 4 კ.). ადგ. ვარიანტი: სუძაბერია. ტოპ.: ესუაბერიე//ესვიაბერიე - ბორცვი კალამონის მთის ძირას (ნალეფსაო). სულაბერი ნიშნავს სულას ვაჟიშვილს (ან სულა ვაჟს). 1904 წლის აღწერის მასალების თანახმად, ნალეფსაოში მოსახლეობენ სულაბერიძეებიც და სულაბერიებიც. შდრ. სულავა.

სულავა - 809 სული (თბ. - 259, მარტვ. - 252, სამტრ. - 85). კომლი: მარტვილი - 23, სერგიეთი - 18, სეფიეთი - 6 და სხვ. ადგ. ვარიანტი: სუჲა. ტოპ.: ესუჲე//ესვიე - უბანი ბობოთში. სულა უწინ ფართოდ გავრცელებული სახელი ყოფილა. იგი დამოწმებულია ატენის ლაპიდარულ წარწერაში, რომელიც IX-XI საუკუნეებით თარიღდება. შდრ. სულაძე (XVI ს. იხ. ქსძ, III, 382).

სულიმანიძე - 977 სული. გვარი ქვემო იმერეთიდან მცირე რაოდენობით მიგრირებულია სამეგრელოშიც: საგვიჩიოში ჩასახლებულია 5 კომლი. სულამანი სულეიმანის ვარიანტია.

სურგულაძე – 1352 სული. გურული გვარი დამკვიდრებულა პ. მაისშიც (13 კომლი).

სურმავა - 2039 სული (მარტვ. - 802, თბ. - 469, ზუგდ. - 165). სულთა რაოდენობით საქართველოში 416-ე ადგილზეა, მარტვილის რ-ნში – მეათეზე. გვარის ძირითადი და ყველაზე მრავალრიცხოვანი სამკვიდრო ნაგვაზავო (152 ოჯახი). კომლი სხვა სოფლებში: სერგიეთი - 32, მარტვილი - 17, კეთილარი - 10, სალხინო - 10, ახალკახათი - 7, ნაჯახავო - 5, ქვ. ჭალადიდი - 5, ოქტომბერი - 4, ლეხაინდრავო - 4, ხუნწი - 3 და სხვ. სურმა (როგორც ჩანს, გვარი) დასახელებულია ნაგვაზავოს საეკლესიო გლეხთა სიაში (1621 წ. დოკუმენტი. იხ. ქსძ, III, 412). სავარაუდოა: სულეიმან→ სულმან→სურმან→სურმა (სურმა პირსახელია. იხ. ქსს, 1986). შდრ. სურმანიძე (აჭარა)

სხალაია - იხ. მსხალაია.

სქისქირია - გვარის რეალურობას ადასტურებს ტოპონიმი სქისქირიაშ ნადოხორი. ასე ეწოდება ბორცვს ყულის ეკლესიის ჩრდილოეთით (ყულიშკარი).

სხულუხია - 1450 სული (მარტვ. - 705, ზუგდ. - 289, თბ. - 174). მარტვილის რ-ნში ეს გვარი XI ადგილზეა სულადობით. სხულუხიების დიდი ნაწილი (128 კომლი) მკვიდრობს სალხინოს თემში, სადაც მათს ძირითად დასახლებას წარმოადგენს სოფელი ლესხულუხე. კომლი სხვაგან: ცაიში – 22, თამაკონი – 17, ნარაზენი - 15, ახალაბასთუმანი - 7, ინგირი - 5, გურიფული - 4, ტალერი - 4, კახათი - 3, ხამისქური – 3, ხობი – 3 და სხვ. ადგ. ვარიანტები: სუიხია, სხუჲა (ზ.-მ. თქმა). ტოპ.: ლესხულუხე (ადგ. ვარ.: ესუიხე, ესხუჲე) სოფელი წაჩხურას მარც. მხარეს (სალხინოს თემი). იყოფა: ელახონესხუიე//ზემო ლესხულუხე და გიმახონესხუიე//ქვემო ლესხულუხე. სხულუხიები მოსულან ილორიდან. ილორის წმინდა გიორგი მათი სალოცავია. ითვლება, რომ გვარი სხულუხია მომდინარეობს სიტყვისაგან სხული "მსხალი", რომელსაც დართვია ხ სუფიქსი. შეიძლება სხვა ვარაუდის გამოთქმაც: კოლხურში პირსახელად დადასტურებულია სულუქი. აქედან გამომდინარე, დასაშვები ჩანს ვარაუდი: სულუქია→ სულუხია→ სხულუხია. სხვათაშორის, სულუხია (265 სული) საპასპორტო ვარიანტია და გავრცელებულია ძირითადად იმერეთში.

## ტ

ტაბატაძე - 9506 სული. აღმ. და დას. საქართველოში ფართოდ გავრცელებული ეს გვარი (XV ადგილი) გვხვდება სამეგრელოშიც: საგვიჩიო - 9, ახალსოფელი (ხობის რ.). - 5, გეჯეთი - 3 და სხვ.

ტაბაღუა - 1459 სული (ზუგდ. - 573, წალენჯ. - 254, თბ. - 189). კომლი: ახალაბასთუმანი - 12, ზ. ქვალონი - 11, კახათი - 9, ანაკლია - 6, საჯიჯაო - 6, შ. ხორგა - 6, ქარიატა - 5, ერგეტა - 4, დიდი ხეძი - 3, ხორში - 3 და სხვ. იშვიათი ადგ. ვარიანტი: ტაბაყუა (ქვიშანჭალა). ტოპ.: სატაბაღუო - უბნები ციზეთში (ცაკუტიის სათავესთან), ზუბსა (საჯიჯაოს თემი) და სახოჭოლავოში (აქ უწინ შამათავები ცხოვრობდნენ და საშამათო ერქვა, მაგრამ მათი გვარისა მხოლოდ ერთი ოჯახი დარჩა, ტაბაღუები მეტნი აღმოჩნდნენ და უბანსაც სატაბაღუო დაერქვა). ნატაბაღუ - სახნავები ლადიდის მარც. მხარეს (გამოღმა ქარიატა). ვარაუდობენ, რომ ტაბაღუას ფუძე ტაბაღ ძველ აღმოსავლეთში ცნობილი ეთნონიმი ტაბახი უნდა იყოს (მაისურაძე, 1981). გ. როგავას აზრით, ტაბაღუა შეიძლება უცხოური წარმომავლობისაა და არა –უა დაბოლოებიანი კოლხური გვარი (როგავა, 1955, გვ. 6).

ტაბიძე - 1229 სული. ქვემო იმერეთში გავრცელებული ეს გვარი დაფიქსირდა სამეგრელოშიც: ქოლობანი - 7 კ., სეფიეთი 5 კ. და სხვ. გვარი გვხვდება 1558 წ. შედგენილ დავთარში (ქსძ, III, 281).

ტალახაძე - 3460 სული. აღმ. და დას. საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გვარი გვხვდება სამეგრელოშიც: (ქვ. ჭალადიდი - 7 კომლი). ამოსავალია მეტსახელი ტალახა.

ტალიკაძე - 224 სული (აბაშა - 127, თბ. - 42, სამტრ. - 20). იმერული გვარია. დაფიქსირდა აბაშის რ-ნშიც: მარანი - 24 კ., პ. მაისი - 12 კ. და სხვ. ტალიკა მეტსახელია.

ტიბუა - 340 სული (ზუგდ. - 282, თბ. - 16, სენაკი - 12). კომლი: ჭაქვინჯი - 25, ჯიხაშკარი - 9, ხობი - 9 და სხვ. ტოპ.: სატიბუო - უბანი ქუადიდში (ჯიხაშკარი). სატიბუო//ხუბულეთი - უბანი სქაიის მარჯ. ნაპირას (ჭაქვინჯი, ნარაზენი. ამ უბანში ძველად მოსახლეობდნენ ხუბულავები და ეწოდებოდა ხუბულეთი. ისინი ამჟამად სახუბულაში მკვიდრობენ. ტიბუები მერე დასახლდნენ). ტიბუ მეგრულში აღნიშნავს თბილს. ასეთი სიტყვაც შეიძლება იქცეს მეტსახელად. მეორე მხრივ, სახელი ტიბო გვხვდება XVIII ს. დოკუმენტებში (იხ. ქსს, 1986). ამ შემთხვევაში: ტიბო→ ტიბო-ა→ტიბუა.

ტორუა - 649 სული (ზუგდ. - 271, წალენჯ. - 207, თბ. - 85). ძირძველი მოსახლე სამეგრელოში ძალზე მცირეა: ფახულანში დაფიქსირდა 3 კომლი, ზუგდიდში - 7 კ. და სხვ. არიან ლტოლვილებიც. ტორო კოლხეთში გავრცელებული სახელია (იხ. ქსს, 1986). ტორო შეიძლება მეტსახელადაც შეერქვას ადამიანს, თუ საფეთქელზე აქვს თეთრი თმა. მაშასადამე: ტორო →ტორო-ა →ტორუა.

ტორჩია - გვარის უწინ არსებობას ადასტურებს ტოპონიმი ლეტორჩიე. ასე დარქმევია ფერდობებს ჩეკის მარც. მხარეს (ჭაქვინჯი). შდრ. ტორჩინავა.

ტორჩინავა - 644 სული (სენაკი - 278, თბ. - 125, ზუგდ. - 104). კომლი: ფოცხო - 23, კახათი - 17, აბედათი - 8, ახალსოფელი (სენაკის რ.) - 4 და სხვ. ტოპ.: ლეტორჩინე - უბანი მოხაშში და სერი მის გაგრძელებაზე ლეგოგიე-ნასაჯუში. ეტორჩინე - უბნები ონოღიასა და ჯოლევში (აბედათის თემი). ტორჩინა ტორჩ- ფუძის შემცველი სახელის (შდრ. ტორჩია) კნინობითი ვარიანტია.

ტოტოჩავა - 176 სული (თბ. - 21, ბათ. - 17). გვარი სამეგრელოში ამჟამად არაა განსახლებული, მაგრამ დაფიქსირდა ტოპონიმი ნატოჩუ//ნატოჩაო — ტოტოჩავების ნასახლარები ტეხურის მარჯ. მხარეს (სენაკი). მაშასადამე: ნატოტოჩუ → ნატოჩუ. ტოტოჩა ტოტოს კნინობითი ვარიანტია.

ტოტოჩია - 55 სული (აბაშა - 34, თბ. - 11, ბათ. - 4). სუჯუნაში ცხოვრობს 4 კომლი, სხვაგან - თითო-ოროლა. ტოპ.: სატოტოჩიო - უბანი პ. ეწერში (სუჯუნის თემი). იხ. ტოტოჩავა.

ტურავა - 535 სული (ზუგდ. - 144, ფოთი - 23, თბ. - 20). კომლი: ხეთა - 58, ბულიწყუ - 24, ინგირი - 3, თორსა-ღვაბა - 3 და სხვ. ტოპ.: სატურა(ო) - უბანი ოჩხომურის მარც. ნაპირას (ნოჩხონი, ხეთის თემი). "საცაიშლო დავთრის"(1616-1621 წწ.) მიხედვით, ცაიშში ცხოვრობს საეკლესიო გლეხი გატანჯია ტურაა (ქსძ, III, 451). ტურა, ტური, ტურუ კოლხეთში პირსახელებია. არც ისაა გამორიცხული, ტურა, ნადირის სახელი, ქცეულიყო მეტსახელად რაღაც ნიშნით მსგავსების საფუძველზე და შემდეგ მისგან წარმოქმნილიყო გვარი ტურავა. შდრ. ტურაშვილი.

ტუფურია - 261 სული (ზუგდ. - 230, თბ. - 12, ქუთ. - 5). კომლი: ცაიში - 3, ზუგდიდი - 4, ახალაბასთუმანი - 2 და სხვ. არიან ლტოლვილებიც. ტოფური ბალახია (სამყურა), ხოლო ტოფურია, ტვეფერია მეგრულში აღნიშნავს თავმოტვლეპილს. ორივე სიტყვა შეიძლებოდა ქცეულიყო მეტსახელად (ტოფურია→ ტუფურია შესაძლებელია ო ხმოვნის სრული ასიმილაციის საფუძველზე). მეორე მხრივ, ტუფა სახელია სვანურში. არაა გამორიცხული, ტუფური მისი ვარიანტი იყოს.

ტუღუში - 2677 სული. საქართველოში 274-ე ადგილზეა, გურიაში — მეცამეტეზე (1334 სული). მიგრირებულია სამეგრელოშიც: პ. მაისში ცხოვრობს 5 კომლი. ტუღუში წარმოქმნილია კოლხური პირსახელისაგან ტუღუ -ში მორფემოიდის დართვით.

ტყავაძე - 245 სული. გავრცელებულია იმერეთსა და კახეთში. დაფიქსირდა სამეგრელოშიც: ძვ. სენაკში ცხოვრობს 5 კომლი.

ტყებუჩავა - 2310 სული (სენაკი - 903, თბ. - 395, ხობი - 276). საქართველოში 350-ე ადგილზეა, სენაკის რ-ნში უკავია 11, ხოლო ხობის რ-ნში — 30-ე ადგილი. გვარის ძირითადი სამკვიდროა ზანა (240 ოჯახი). კომლი სხვა სოფლებში: ფოცხო - 32, ახალსოფელი (სენაკის რ.) - 24, საჯიჯაო - 17, ძვ. აბაშა - 14, ხობი - 11, გურიფული - 8, უშაფათი - 5, აბაშა - 4, ზანათი - 4 და სხვ. ადგ. ვარიანტი: ტყებჩა. ტოპ.: სატყებუჩავო - სოფელი ზანაძგის ორსავე ნაპირას (ზანის თემი). სატყებუჩავო//სატყებუჩო - უბანი შქასოფელში (ძვ. აბაშა. აქაური ტყებუჩავების წინაპრები მოსულან სოფელ ზანიდან, სადაც ისინი მდ. ზანის პირას ცხოვრობდნენ და აქ, ძველ აბაშაში, გამავალი პატარა მდინარისთვისაც ზანა უწოდებიათ). სატყებუჩო - უბანი ზენში (საჯიჯაოს თემი). ლეტყებ(უ)ჩე - უბანი მ. მოხაშში. ტყებუჩა „შავკანიანი" ალბათ შავგვრემანი კაცის მეტსახელი იყო.

ტყემალაძე - 2891 სული. იმერეთში ფართოდ გავრცელებული გვარია. გვხვდება სამეგრელოშიც: ახალსოფელში (ხობის რ.) ჩასახლებულია 8 კომლი.

ტყვაცირია - 65 სული (აბაშა - 57, ქუთ. - 6, სენაკი - 2). მცირერიცხოვანი გვარია. კომპაქტური დასახლება დაფიქსირდა ტყვირში (9 კომლი). იშვიათი საპასპორტო ვარიანტია ტკვაცირია. ტყვაცირი „დამეხილი, ნამეხარი, მეხნაკრავი" ალბათ ეპონიმის მეტსახელი იყო.

## უ

უბილავა - 1615 სული (წალენჯ. - 591, ზუგდ. - 534, თბ. - 227). წალენჯიხის რ-ნში უკავია XV ადგილი. გვარის ძირითადი სამკვიდროა ენგურისპირა სოფლები: ჭალე - 48 კ., ჯვარი — 15 კ., ლია — 6 კ., ფახულანი — 3 კ. არიან სხვა სოფლებშიც: ოქტომბერი — 14 კ., საჯიჯაო — 10 კ., ცაიში — 10 კ., კახათი - 5 კ. და სხვ. ტოპ.: საუბილა - უბანი ჩხოუშიის მარჯ. მხარეს (ცაიშის კახათი). საუბილაო - უბანი საჯიქიოს აღმოსავლეთით (ჭითაწყარი). პირსახელი უბილა დაფიქსირებულია სვანეთის საისტორიო ძეგლებში. გვარის ბუდეც სვანეთის მოსაზღვრე სოფლებშია.

**უბირია** – 661 სული (ჩხორ. – 206, ზუგდ. – 142, თბ. – 106). კომლი: ლეწურწუმე – 40, მუხური – 5, ჩხოროწყუ – 4, ზუგდიდი – 11 და სხვ. ვარიანტები უბერი (29 სული) და უბერია (59 სული) ძირითადად ზუგდიდსა და თბილისშია გავრცელებული. ტოპ.: საუბერიო – უბანი ჯუმითიში (ლეწურწუმის თემი).

**უგლავა** – იხ. უგულავა. უგლავებს მიუციათ დასაბამი ლეჩხუმში გახსახლებული გვარისათვის "მეგრელი". გადმოცემით, ბატონთან კონფლიქტის გამო სამეგრელოდან გამოქცეულა სამი ძმა უგლავა დამკვიდრებულა ლაჯანასა და ორბელში და სატომო სახელი გაგვარებიათ (თოფჩიშვილი, 1993).

**უგულავა** – 1 592 სული (თბ. – 240, ქუთ.– 190, წყალტ. – 139). კომლი: მარტვილი – 12, სერგიეთი – 7, ნაქალაქევი – 6, ახალხიბულა – 3 და სხვ. საპასპორტო ვარიანტია უგლავა (835 სული. ძირითადად, ქვემო იმერეთში), რაც დამოწმებულია XVIII ს. I ნახევრის საბუთშიც: ოდიშს მცხოვრები დათუხა უგლავა შეუწირავთ ბიჭვინთისათვის (ქსძ, III, 766).

**უნდელია** – იშვიათი გვარია. კურზუში ცხოვრობს 3 კომლი. შდრ. უნდილია.

**უნდილაია** – იშვიათი გვარია. დაფიქსირდა ფოთში, პ. ფოთში და სხვ. შდრ. უნდილია.

**უნდილია** – 43 სული (მარტვ. – 27, ჩხორ.– 13, სენაკი – 2). ნაფიჩხოვოში მოსახლეობს 3 კომლი. ადგილობრივი და საპასპორტო ვარიანტებია უნდელია და უნდილაია. ქართულში უნდილი აღნიშნავს უფხო, მოუხერხებელ ადამიანს. მეგრულშიც ამ სიტყვის მნიშვნელობა დაახლოებით ასეთივეა ("უნდილი – უსარგებლო, უქნარა". იხ. გ. ელიავა, 1997). როგორც ჩანს, უნდილი მეტსახელად იქცა და გვარსაც დაედო საფუძვლად. შდრ. უნდილაია, უნდილაშვილი.

**ურიდია** – 660 სული (მარტვ. – 203, თბ. – 193, აბაშა – 49). კომლი: ბანძა – 69, ვედიდკარი – 46, ონტოფო – 4 და სხვ. საპასპორტო ვარიანტი ურდია (48 სული) გვხვდება ძირითადად სამტრედიის რ-ნში. ტოპ.: ლეურდიე – უბანი ვედიდკარში. ურიდი მეგრულში ნიშნავს მოურიდებელს, მოუხეშავს.

**ურუდია** – 26 სული. ურიდიას ვარიანტი ჩანს. ქალაქ სენაკში ცხოვრობს 4 კომლი.

**ურცხუა** – გვარის არსებობას ასაბუთებს ტოპონიმი ლეურცხუე. ესაა წყარო სალაგვილოში (ალერტკარი). გადმოცემით, აქ ახლომახლო ურცხუებს უცხოვრიათ. ურცხო „უცხოელი. უცხობი" ალბათ ეპონიმის მეტსახელი ან ზედწოდება იყო. ამ შემთხვევაში: ურცხო→ ურცხო-ა→ ურცხუა.

**უფლისაშვილი** – 440 სული. იმერეთში გავრცელებული გვარი გვხვდება სამეგრელოშიც: ქვ. ჭალადიდში ცხოვრობს 5 კომლი. უფლისა გავრცელებული პირსახელია.

**უჩაგია** – გვარს აღადგენს ტოპონიმი ლეუჩაგე (ფერდობებია ჭანისწყლის მარჯ. მხარეს, მედანში).

**უჩავა** – 359 სული (მარტვ.– 163, ზუგდ. – 79, თბ. – 34). კომლი: ინჩხური – 21, გურძემი – 8, რიყე – 8, კიწია – 5, ვედიდკარი – 3, მარტვილი – 3, ნახუნაო – 3 და სხვ. ვარიანტი უჩაია ფართოდ ყოფილა გავრცელებული XVI–XVII საუკუნეებში: ნაჯანეულის (დღევანდელი ოტობაია) საკათალიკოსო გლეხების ბეგრის ნუსხაში (XVI ს. ბოლო) ჩამოთვლილნი არიან ვარსიმეა უჩაია, ხვარაშია უჩაია, მამისშურო უჩაია, სოხერდია უჩაია, თოლსკუამია უჩაია (ქსძ, III, 383). 1621 წ. საბუთის მიხედვით კი იმავე სოფელში ცხოვრობენ საეკლესიო გლეხები გურმიხილი უჩაია და მირჩქილია უჩაია (ქსძ, III, 419). უჩა "შავი" მეგრულში პირსახელიცაა და მეტსახელიც. შდრ. შავაძე, შავიშვილი.

**უჩანეიშვილი** – 453 სული (თბ. – 144, ფოთი – 96, აბაშა – 92). კომლი: ზანათი – 25, ძვ. სენაკი – 4, ნოსირში – 3 და სხვ. ადგ. ვარინტი: უჩანესქუა. ტოპ.: საუჩანესქუო//საუჩანეიშვილო//შუა ზანათი – სოფ. გამოღმა ზანათის ცენტრალური ნაწილი აბაშის მარც. მხარეს. უჩანა წარმოქმნილია უჩა-საგან – ანა სუფიქსით. უჩა და უჩანა კოლხეთში გავრცელებული სახელებია.

## ფ

**ფანგანი** – 697 სული. სვანური გვარი მიგრირებულია რუხში (4 კომლი).

**ფაილოძე** – 852 სული (თბ. – 330, მარტვ. – 215, ქუთ. – 45). გვარის ძირითადი სამკვიდროა ხუნწი (48 კომლი), აგრეთვე მარტვილი (6 კ.), ქვაითი (3 კ.) და სხვ. ტოპ.: ეფაილოძე//ეფარუ(ლუ)ე – უბანი ცხენისწყლის მარჯ. მხარეს (ზ. ხუნწი). ინფ.: „ცხოვრობენ ფაილოძეები, რომელთა ერთი ნაწილი პასპორტში იწერება ფარულუებად". ფაილო პირსახელია.

**ფანთია** – 50 სული (და მისი ვარიანტი ფანტია) ძირითადად ენგურისპირა სოფლებში გვხვდება (ხურჩა – 5 კომლი. აქვე არის უბანი საფანტიო). ფანტი კოლხეთში პირსახელია..

**ფანჩულიძე** – 1768 სული. იმერეთში გავრცელებული გვარია. გვხვდება სამეგრელოშიც (ნოჯიხევი – 3 კომლი). ადგ. ვარიანტი ფანჩულია გვხვდება საპასპორტო გვარადაც (33 სული სენაკში, ფოთში...).

**ფანცულაია** – 1773 სული (თბ. – 478, სამტრ. – 200, ზუგდ. – 183). გვარის ძირითადი სამკვიდროა ვედიდკარი (71 კომლი). არიან სხვაგანაც: კახათი – 11 კ., ბახძა – 5 კ., ონტოფო – 4 კ., დარჩელი – 3 კ. და სხვ. ტოპ.: ლეფანცულე//ეფანცუე – უბანი ვედიდკარში. საისტორიო წყაროებში დაფიქსირებულია სამი ფორმა: ფანცულაია, ფანცულეია და ფანცულია. 1733 წ. შედგენილი ერთი დოკუმენტის თანახმად, კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძეს მამუკა მიქელაძისაგან ეკლესიისათვის უყიდია სამიქელაოში მცხოვრები ყმა კახაბერი ფანცულაია და მისი ძმა მახარობელი (ქსძ, III, 730). უფრო ხშირად გვხვდება ვარიანტი ფანცულეია: XVII ს. დამლევს საეკლესიო ბეგრის ერთ-ერთი გადამხდელი

ყოფილა ივანე მასორდია ფანცულეია (მასორდია ალბათ მეტსახელია. იხ. ქსძ, III, 368). გვარის ეს ფორმა ჩანს XVIII ს. დამლევის ხონის საყდრის ბეგრის დავთარშიც ("მართებს სვიმონა ფანცულეიას და მის ძმისწულებს 2 ჩარექი სამთელი". იხ. ქსძ, III, 1073) და 1808 წელს შედგენილ სათავდებო წიგნშიც (იხ. სოსელია, 1960, გვ. 49). XVIII ს. დამლევის საბუთში ნათქვამია, რომ ხუცეს ფანცულიას მართებს ხონის საყდრის ბეგარა „ოთხი კუახი ღომი და 8 კოკა ღვინო", ხოლო მჭედელს ფანცულიას - „ხუთი კუახი ღომი და ხუთი კოკა ღვინო" (იქვე, 1076, 1084). კოლხეთის საეკლესიო საბუთებში გვხვდება სახელი ფაცულა. ფანცულა მისი ნ ჩართული ვარიანტია. გვარს აწარმოებს –ია სუფიქსი.

ფანცულია — 328 სული. განსახლებულია ძირითადად მარტვილის რ–ნში. იხ. ფანცულაია.

ფაჟავა - 258 სული (ზუგდ. - 224, თბ. - 10, მცხეთა - 6). კომლი: კახათი - 35, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) - 6, ზუგდიდი - 4 და სხვ. ტოპ.: საფაჟა - უბანი კახათში. 1621 წლის საბუთში დასტურდება ვარიანტი ფაჟა (ქსძ, III, 429).

ფართუხია — გვარის წარსულში არსებობას ადასტურებს ტოპონიმი ლეფართხე. ასე ეწოდება მეფორიას ხეობას ნაგურუში.

ფარულავა - 2073 სული (ზუგდ. - 504, თბ. - 398, მარტვ. - 218). კომლი: მარტვილი - 16, დ. ჭყონი - 9, დოშაყე - 9, ხობი - 9, ნახუნაო - 6, ქვაითი - 5, ანაკლია - 4, ხუნწი - 4, ჩხოროწყუ - 4, კირცხი - 3, ნაქალაქევი - 3 და სხვ. 1733 წელს დაწერილ საბუთში დასახელებულია ეკში მცხოვრები ფარულავა ობიშხაი (ქსძ, III, 731). კოლხეთში გავრცელებულია პირსახელი ფარუ (ქსს, 1986). ფარულა მისი ვარიანტია. შდრ. ფარულუა. 1904 წლის აღწერის თანახმად, სარაქონში, ნახუნავოსა და თამაკონში მცხოვრები ფარულავები აზნაურის წოდებისანი იყვნენ.

ფარულუა - 63 სული (ზუგდ. - 40, სენაკი - 5, თბ. - 4). ამჟამად კომპაქტური დასახლება არ მოეპოვება. ადგ. ვარიანტი: ფარუუა (ზ.–მ. თქმა). ტოპ.: ლეფა(რუ)ლუე - სერი, ყოფილი დასახ. უბანი გურძემიისა და ხორჯგოლოს წყალგამყოფზე, სადაც ფარულუები ცხოვრობდნენ 1950 წლამდე (პ. კიწია). საფარულუო - უბანი დიხაგუძუბაში (დიდი ნეძის თემი). აქაური ფარულუები მოსულან კიწიიდან. ნაფარუუ//ფარუუაშ ნოხორი - სახნავი თათულაის მარც. მხარეს (ჭაბურთა). შდრ. ფაილოძე, ფარულავა. 1904 წლის აღწერის თანახმად, გეჯეთში მცხოვრები ფარულუები აზნაურები იყვნენ. ი. ბაგრატიონიც ფარულავებს ოდიშის აზნაურთა შორის ასახელებს.

ფარფალია - 200 სული (ზუგდ. - 110, თბ. - 42, წალენჯ. - 12). ამ გვარის ძირძველი მოსახლე სამეგრელოში იშვიათია. ძირითადად არიან ლტოლვილები სამურზაყანოდან. ტოპ.: ნაფარფალუ - ბორცვი ლეწურწუმეში. ფარფალია პეპელაა. გადატანით არამყარ, ჰოჭმანა კაცზეც იტყვიან.

ფარღალავა - 228 სული (ფოთი - 102, სენაკი - 47, თბ. - 36). კომლი: ეკი - 6, ქვ. ქვალონი - 2 და სხვ. ტოპ.: საფარღალა - უბანი უფალკარში (ეკის თემი). შესაძლოა, გვარისათვის ამოსავალი იყოს მეტსახელი ფარღალა, იგივე ფარხალა, რაც აღნიშნავს ფარფატას, ფამფალას.

ფარცვანია - 2204 სული (ზუგდ. - 1230, თბ. - 242, ხობი - 186). ჩვენს ქვეყანაში სულთა რაოდენობით 370–ე ადგილზეა. ზუგდიდის რ–ნში უკავია მე–19 ადგილი. კომლი: რუხი - 82, თამაკონი - 34, ახალაბასთუმანი - 23, ოქტომბერი – 17, ოდიში - 9, ნარაზენი - 9, კეთილარი - 6, ეკი - 5, დიდი ნეძი - 5, ახალსოფელი (ზუგდიდის რ) - 4, ჯიხაშკარი - 4, ინგირი - 3, ორულუ - 3, შამგონა - 3 და სხვ. ტოპ.: საფარცვანიო - უბნები რუხში (საჯანაშიოსა და ქვემო სათოდუოს შუა), ოდიშში (ჯუმის მარჯ. მხარეს). ორულუში (ერგეტაღალის სათავესთან), ხამისქურში (ურთის მთის ძირას), უფალკარში (სახუბლასა და საფარღალას შუა). სავარაუდოა: ფარსმან→ ფარცმან→ ფარცვან→ ფარცვანია.

ფარცხალია - იშვიათი გვარია. რიყეში დაფიქსირდა 5 კომლი. შესაძლოა იმერეთში გავრცელებული გვარის - ფარცხალაძის - ვარიანტი იყოს. მეორე მხრივ, ფარცხალი, ფერცხელი მეგრულში აღნიშნავს ფართხალს, ბანდალს, გორიალს, კოტრიალს. ასეთი სიტყვა შეიძლება მეტსახელადაც იქცეს. "საცაიშლო დავთარში" (1616- 1621 წწ.) დამოწმებულია ვარიანტი ფარცხელაა: ჩოხათში მოსახლეობს ცაიშის ეკლესიის მებეგრე გლეხი კიჭულეი ფარცხელაა (ქსძ, III, 466).

ფარჯიკია - 180 სული (ზუგდ. - 156, თბ. - 10, თერჯ. - 3). კომლი: ჭაქვინჯი - 18, ცაიში - 6, ნარაზენი - 4 და სხვ. ტოპ.: საფარჯიკიო - უბნები ჩხოუშში, ხორშოლის ნაპირებზე (ცაიშის თემი) და ჭაქვინჯში (დედაბერაში). გამოიყოფა ფუძე ფარჯ- (ისევე, როგორც ფარჯიანში, ფარჯანიძეში) და სუფიქსი -იკა. თვით ფარჯიკიები თვლიან, რომ ისინი არიან ფარჯიანები სვანეთიდან.

ფატლაძე — 53 სული (ბათ. - 13, ზუგდ. - 13, თბ. - 4). ანაკლიაში ცხოვრობს 7 კომლი. ზოგს პასპორტში უწერია ფატლანძე.

ფაფია - 50 სული (ზუგდ. - 17, წყალტ. - 7, ხაშური - 3). კომპაქტური დასახლება ამ გვარს ამჟამად არ მოეპოება. ტოპ.: საფაფიო - უწინ უბანი, ამჟამად ტყე–მინდვრები ზ. ბიაში. ლეფაფე - სერი სქურჩასა და სამართალას შუა (ლეჯოლიხე). აქ ფაფიებს არ მოსწრებიან. ადგილებს ფლობდნენ ჩიქოვანები. მათგან უყიდიათ ჯოლოხავებს. შდრ. ფაფიაშვილი, ფაფელაშვილი.

ფაღავა - 1346 სული (ხელვაჩ. - 421, ბათ. - 337, თბ. - 220). კომლი: ბანძა - 8, ვედიდკარი - 4, ლეხაინდრავო - 4, აბედათი - 3, ქვ. ჭალადიდი - 3 და სხვ. ტოპ.: საფაღავა — ერქვა დასახ. უბანს უფალკარში (ამჟამად ელიავები ცხოვრობენ და ეწოდება საელიო). ნაფაღუ - სახნავი ლეკოკაიეს

უბანში (ლეკოკაიე). XVIII ს. დამდეგის შეწირულების წიგნში დასახელებულია პეპუნა ფალავა, რომლისგანაც კათალიკოსს უყიდია გლეხი მისხულავა და შეუწირავს იგი ბიჭვინთის ღმრთისმშობლისათვის (ქსძ, III, 676). ფალავა მოხსენიებულია წყელიკარის (ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი გალის რ-ნის სოფ. რეჩხში) XVII ს. მხედრულ წარწერაში (ზუხბაია, 1998, გვ. 140). ფალავები თავადები იყვნენ. იოანე ბაგრატიონის გენეალოგიურ ნაშრომში აღნიშნულია, რომ ფალავა "იყო ორბელიანთა გვარი. რომელიც მეფემან გარდაასახლა ოდიშში და იწოდნენ ფალავაშვილებად, წელსა 1271" (ბაგრატიონი, 1997, გვ. 130). ბანძაში მცხოვრებ ფალავათა შორის გავრცელებული გადმოცემის თანახმად, მათი წინაპრები ადიღედან გადმოსულან ოდიშში და ბანძაში დამკვიდრებულან. ო. სოსელიას ეჭვი შეაქვს ორივე ამ ცნობის სიწორეში და სვამს კითხვას: ხომ არ მომდინარეობს ფალავა ბალუაშთა რომელიმე შტოდან? (სოსელია, 1981, გვ. 187). ფაქტია, რომ ვახუშტი ბატონიშვილი ფალავას ასახელებს ოდიშის თავადთა შორის. ფალავათა გვარის რეზიდენცია იყო ბანძაში (აქვე იყო ე.წ. "ფალაოს სასახლე" და კარის ეკლესია), ხოლო ციხე-სიმაგრე ჰქონდათ თარგამეულში. XIX ს. მეორე ნახევარში ფალავების ყმათა საერთო რაოდენობა 800 კომლს აღწევდა (სოსელია, 1981, გვ. 189-190). ი. მაისურაძის ვარაუდით, გვარ ფალავას თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო ბალავა. ბალა კი პირსახელია და ჩანს გვარებში - ბალიშვილი, ბალუაში (მაისურაძე, 1981, გვ. 165). ზ. ჭუმბურიძის მტკიცებით, გვარისათვის ამოსავალი ფუძე ფალა უკავშირდება ჩერქეზულ სიტყვა პალე-ს, რაც ნიშნავს ამაყს, ქედმაღალს (ჭუმბურიძე, 1992, გვ. 65). ლ. სულამანიძე თავის სტატიაში "ე.წ. აფხაზურ-ადიღურ-ჩერქეზულ ელემენტთა შესახებ ქართველურ საკუთარ სახელებში" უპირატესობას ანიჭებს მ. ანდრონიკაშვილის თვალსაზრისს, რომ ფალავასათვის ამოსავალია ირანულიდან (სკვითურიდან) ნასესხები სიტყვა ფალა "ძალლი". გამოთქმულია ვარაუდი, რომ მეგრული გვარი ფალ-ავ-ა "გენეტურად დაკავშირებულია" სვანურ ფეხ-ელ-ან ფორმასთან, რასაც აღადგენენ ტოპონიმ ფეხლანის საფუძველზე (ქალდანი, 1980, გვ. 73). ფალავები თავადებიც იყვნენ (ძირითადად) და აზნაურებიც. 1904 წლის აღწერით, თავადი ფალავები მოსახლეობდნენ და ფლობდნენ მამულებს ხორგაში, ახუთში, ეკში, საქორქიოში, აბაშაში, კაპანაში, ოხტომოში, სუჯუნაში, სეფიეთში, მუხურჩაში, მახათში, ვედიდკარში, ბანძაში, ნაჩილახავოში (შედიოდა ბანძის თემში), ლეფოჩხუეში, აბედათში, კვაუთში, ჯოლევში, ნახუნაოში, სერგიეთში, მოხაშში, თამაკონში, ლეხაინდრავოში, ნაჯახავოში, ონოღიაში, ნაგებერავოში, ბეთლემში, უშაფათში, კინჩხში, ხოლო აზნაური ფალავები ცხოვრობდნენ ნოსირში, გეჯეთში, სუხჩეში, ნოჟიხევში, ხუნწში. ამასთანავე, თარგამეულსა და გურძემში მოსახლეობდნენ ფალავების გვარის თავადებიც და აზნაურებიც.

**ფაჩუაშვილი** - 457 სული. გვარი გავრცელებულია იმერეთში და გვხვდება სამეგრელოშიც (ძვ. სენაკი - 3 კომლი). ადგ. ვარიანტია ფაჩოსკუა. ტოპ.: საფაჩოსკუო - ყოფილი დასახ. უბანი კოტიანეთში. ამოსავალი პირსახელი ფაჩუა ისტ. დოკუმენტებშია დადასტურებული (ქსს, 1986).

**ფაჩულია** - 1332 სული (სენაკი - 328, თბ. - 306, ფოთი - 230). კომლი: თეკლათი - 19, მენჯი - 16, ხობი - 9, ახალსოფელი (ხობის რ.) - 7, ხორში - 5, ზ. ქვალონი - 3, ქვ. ქვალონი - 3 და სხვ. ტოპ.: საფაჩულიო - უბნები ხობისწყლის მარც. ნაპირას (გაღმა პ. ხორგა), მენჯლალის სათავესთან (დ. ხორში), ცივსა და ჯაფხენს შუა (რეკა). რეკაში მცხოვრები ფაჩულიები მოსალოცად დადიოდნენ ილორის ეკლესიაში. ოდესღაც მათი წინაპრები გამოუდევნიათ ოჩამჩირის რ-ნის სოფ. რეკადან. ლტოლვილებს თან სოფლის სახელიც წამოუღიათ. ასეთ გადმოცემებს აქვს საფუძველი: სამასი წლის წინათ აფხაზმა ფეოდალებმა ჩრდილოეთკავკასიელი დაქირავებულების დახმარებით ჩამოაჭრეს ოდიშს ტერიტორია ენგურამდე, ააწიოკეს და გამოდევნეს ქართველები, რომელთა ერთი ნაწილი სამეგრელოში დამკვიდრდა. მეგრულში ფაჩულა, ფაჩულია ისეთი კაცის ეპითეტია, რომელიც რაღაცას საქმიანობს, ფაჩიფუჩობს, მაგრამ საქმე მაინცდამაინც არ გამოსდის, ყველაფერს უხარისხოდ აკეთებს.

**ფაცაცია** - 1765 სული (ზუგდ. - 590, ჩხორ. - 347, თბ. - 276). კომლი: ინგირი - 51, ჭოლა - 35, დ. ჭყონი - 19, მუხური - 8, რიყე - 8, დიდი ნეძი - 7, ჩხოროწყუ - 7, ხაბუმე - 5, ოქტომბერი - 4, ერგეტა - 3, ლეწურწუმე - 3 და სხვ. ტოპ.: ლეფაცაციე//საფაცაციო - უბანი ეწერში (მუხური). ლეფაცაციე//ფაცაციეფიშ განი - უბანი ჭითაღალსა და ღალჩას შუა (ლედგებე). ნაფაცაცუ - ბორცვი ისკიის მარჯ. მხარეს (ბობოთი). საფაცაციო - უბანი ინგირში, ახალაბასთუმნის საზღვართან. გვარისათვის ამოსავალი უნდა იყოს ზმნური ფუძე ფაცფაცი "ფეხზედ ვერ შემაგრება"(სულხან-საბა). ქეგლ-ი კი განმარტავს: "ფაცაფუცი - გამალებული მოძრაობა რაიმე საქმიანობისას, ფუსფუსი". მეგრულში ფაცაცია აღნიშნავს ფუსფუსას, ფაციფუცას, საქმიანობაში მოუსვენარს. შდრ. ფაცია.

**ფაცია** - 483 სული (ზუგდ. - 158, თბ. - 76, მარტვ. - 66). კომლი: რუხი - 27, გეზათი - 3, ურთა - 3, ქვ. ჭალადიდი - 3 და სხვ. ტოპ.: ლეფაციე - უბანი მეტერიის მარც. მხარეს (ფოცხო). საფაციო - ყოფილი დასახ. უბანი გამოღმა ქარიატაში. ნაფაცუ - ფერდობი გოტოხიის გვერდით (ლეცავე). ფაცია შეიცავს ფაც- ფუძეს, რაც დასტურდება გაორკეცებული ფორმით ქართულ ფაცაფუცსა თუ ფაციფუცში. შდრ. იფაც (მეგრ.) "ფაციფუცობს". ფაცია, ისევე როგორც ფაცაცია და ფაცურია, მეგრულში აღნიშნავს ფაციფუცას, ფუსფუსას, მოუსვენარს. ამასთანავე, ფაცა, ფაცი სვანეთში

პირსახელებია. 1904 წლის აღწერით, ხორგაში მცხოვრები ფაციები აზნაურები იყვნენ. ამავე საბუთში დამოწმებულია ვარიანტი ფააცია (მარტვილი, ნიკოსია).

ფაცურია – 602 სული (ზუგდ. – 298, თბ. – 120, ლანჩხ. – 65). სამეგრელოში ძირძველი მცხოვრები იშვიათია (ოდიში – 3 კ., ანაკლია და სხვ.). ტოპ.: ლეფაცურე//კვირკვიაშ კუნთხუ – ტყიანი ბორცვი ინწირის მარჯ. მხარეს (საჩინო). ინფ.: "ფაცურიები 100 წლის წინათ ოტობაიაში გადასახლებულან, მიწა კი კვირკვიებისათვის მიუყიდიათ". საფაცურიო – უბანი ანაკლიაში. სულხან-საბა განმარტავს: ფაცური "მცირე გაძვრა". მეგრულში "იფაცურუ" აღნიშნავს იმასვე, რასაც ქართულში ფაცურობს ზმნა ("ფაცაფუცით, აჩქარებით საქმიანობს"). მაშასადამე, ფაცურა, ფაცურია ნიშნავს ფუსფუსას, ფაციფუცას და ხშირად მეტსახელადაც იქცევა. იხ. ფაცია, ფაცაცია.

ფაცხალაია – გვარს აღადგენს ტოპონიმი ნაფაცხალაია. ასე ეწოდება დავაკებას მაჩხაპის მარჯ. მხარეს (ლეახალე). ინფ.:"აქ აფხაზეთიდან გამოქცეული ფაცხალაია სახლებულა".

ფელანგია – 157 სული (ზუგდ. – 77, თბ. – 20, ბოლნ. – 9). კომლი: კორცხელი – 4, განარჯიის მუხური – 2 და სხვ. ძალზე იშვიათია საპასპორტო ვარიანტი ფელაგია.

ფერაძე – 3903 სული. იმერული გვარია: ქვ. ჭალადიდში სახლობს 4 კომლი.

ფერცხელავა – იშვიათი გვარია. დიდ ნეძში დაფიქსირდა 11 კომლი. ტოპ.: ნაფერცხელუ – ბორცვი საკალანდიოში (წალენჯიხა). ერთი მხრივ, ფირცხელავას ვარიანტი ჩანს. მეორე მხრივ, შეიძლება ეპონიმის სახელი თუ მეტსახელი მომდინარეობდეს ზმნური ფუძისაგან ფერცხელი "კოტრიალი, გორიალი". სუფიქსი -ა, ისევე როგორც ქართულში, მეგრულშიც ზმნურ ფუძეს მოქმედებითი გვარის მიმღეობის ფუნქციას სძენს. მაშასადამე, ფერცხელა ნიშნავს კოტრიალას, გორიალას და ბავშვისათვის ასეთი მეტსახელის შერქმევა ბუნებრივია. იხ. ფარცხალავა.

ფეტელავა – 435 სული (ზუგდ. – 261, მარტვ. – 66, თბ. – 59). კომლი: ოქტომბერი – 19, თამაკონი – 14, ურთა – 11, ცაიში – 10, გურძემი – 3 და სხვ. ტოპ.: ლეფეტელე//ლეფეტელეშ უბანი – უბანი ტუტაღალის სათავესთან (თამაკონი). საფეტელაო – უბანი ურთაში, ჯუმის მარც. მხარეს.

ფითურია – 28 სული (სენაკი – 16, ქუთ. – 10, თბ. – 1). ნაქალაქევში ცხოვრობს 5 კომლი. ტოპ.: საფითურიო – უბანი გახომელაში (ნაქალაქევის თემი). ინფ.: "ფითურიები ყოფილან ფიფიები ჯვარიდან: ერთი ძმა აქ დარჩენილა, მეორე ნაჯახაოში დამკვიდრებულა და ფინთურიებად იწერებიან, მესამეს ილორისაკენ გაუწევია". ფითუ პირსახელია, -ურ კნინობითობის სუფიქსია.

ფილია – 392 სული (თბ. – 96, ფოთი – 61, ქუთ. – 38). ძირითადად ცხოვრობენ ქალაქებში – ფოთში (12 კომლი), ზუგდიდში (5 კომლი), სენაკში და სხვ. ტოპ.: საფილიო – უბანი სენაკში, ცივის ნაპირას. ფილ- ძირის შემცველი მრავალი პირსახელია გავრცელებული სვანეთსა და სამეგრელოში (ფილი, ფილა, ფილეია, ფილიკი, ფილიმონ, ფილიპე, ფილიქი, ფილო, ფილუ და სხვ. იხ. ქსს, 1986).

ფილიავა – იშვიათი გვარია. რამდენიმე კომლი ცხოვრობს სენაკში. გვარი წარმოქმნილია განმეორებითი სუფიქსაციით: უკვე არსებულ გვარს დართვია სუფიქსი -ვა. შდრ. ფილიაშვილი.

ფილიპია – 167 სული (თბ. – 23, ზუგდ. – 20, რუხი – 6). გვარის ძირითადი სამკვიდროა საკვიკვინიო (22 კომლი), სადაც უბანს კიდეც ეწოდება საფილპიო. ფილპია ადგ. ვარიანტია. გვარი წარმოქმნილია სახელ ფილიპე-საგან: ფილიპე-ა → ფილიპია.

ფინთურია – 70 სული (მარტვ. – 24, თბ. – 19, სენაკი – 7). ნაჯახავოში სახლობს 6 კომლი. ისინი ნაქალაქევში მცხოვრები ფითურიების განაყოფად ითვლებიან. XVIII ს. დამლევის საბუთში დასახელებულია ხონის საყდრის მებეგრე, "ბანგას"(იქნებ, ბანძას – პ.ც.) მცხოვრები "იესელა ფინთურია და ბაბუშია"(ქსძ, III, 1074). იშვიათი ადგ. ვარიანტი: ფინტურია. გვარისათვის ამოსავალი უნდა იყოს მეტსახელად ქცეული ქართული სიტყვა ფინთი (მეგრულშიც აღნიშნავს ცუდს) ან მამაკაცის სახელი ფითა, ფითუ თუ ფინდო, რომელთანაც აკავშირებს გ. ლორთქიფანიძე ვანის ნაქალაქარში ნაპოვნი ჯამის ფსკერზე ამოკაწრულ სახელს ფინტისი (ლორთქიფანიძე, 1969). ზემო იმერეთში ფინთურია ცოცხალი სიტყვაა და ხშირად მეტსახელადაც მოგვევლინება ხოლმე (სოფელ შროშაში ფინთურია მიქაბერიძეების მეტსახელია. იხ. ძოწენიძე, 1974, გვ. 623). იხ. ფითურია.

ფიოლია – 199 სული. ცხოვრობენ თბილისში, ქუთაისში, წყალტუბოში. სამეგრელოში კი ძალზე იშვიათია. XVI ს. დამლევის ერთ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ნაჟანეულს (ამჟამინდელი ოტობაია) "არის სამი კვამლი ფიოლია. მართებს ლაშქრობა და სამსახური..."(ქსძ, III, 385). 1621 წლის საბუთის მიხედვით, ამავე სოფელში ცხოვრობს საეკლესიო გლეხი მირჩქილია ფიოლია (იქვე, 423).

ფირცხალავა – 2726 სული (თბ. – 782, მარტვ. – 409, ზუგდ. – 192). საქართველოში სულთა რაოდენობით 260-ე ადგილზეა, მარტვილის რ-ნში კი უკავია 23-ე ადგილი. კომლი: გეზათი – 23, ინჩხირი – 13, აბედათი – 15, თამაკონი – 12, სალხინო – 12, ხუნწი – 12, ონტოფო – 8, მარტვილი – 6, კურზუ – 4, ქვაითი – 4 და სხვ. ადგ. ვარიანტი: ფირცხაია (მარტვილის რ-ნში). ტოპ.: ეფირცხაე //ეფირცხეე – უბნები მარტვილის რ. სოფლებში – პ. ინჩხურში, ზ. ნაგვაზავოში, წინაკვერკვეში. ფირცხალი (შდრ. ქართ. ფიცხელი) მეგრულში აღნიშნავს გაბრაზებულს, გაწიწმატებულს (გოფირცხონდ "გაწიწმატდა"). შესაბამისად, ფირცხალა შეიძლებოდა შერქმეოდა მეტსახელად

პიროვნებას, რომელიც ხშირად ფიცხდება, ბრაზდება. შდრ.: ფირცხალაიშვილი (გურია), ფირცხალაშვილი (იმერეთი); ფირცხალაძე (აჭარა).

ფირცხალია – 30 სული (საჩხ. – 16, თბ. – 7, მარტვ. 2). რამდენიმე კომლი ცხოვრობს მეორე ონტოფოში, ნოღელის მარჯ. მხარეს. მათს უბანს ეწოდება საფირცხალიო. იხ. ფირცხალავა.

ფირცხელავა – 875 სული (ჩხორ. – 380, ზუგდ. – 255, ხობი – 83). გვარის მრავალრიცხოვანი დასახლება აღინიშნა ჩხოროწყუში (49 კომლი). კომლი სხვა სოფლებში: ზუმი – 27, აბაშა – 9, ცაიში – 9, კიწია – 8, ნაფიჩხოვო – 6, ჯიხაშკარი – 6, დ. ჭყონი – 5, ქვ. ქვალონი – 5, ხობი – 5, აბასთუმანი – 4, ორულუ – 4 და სხვ. ტოპ.: ლეფირცხელე – უბნები გარახაში, ლექარჩეში, ნოღაში, კურზუში და სხვ. საფირცხელა – უბანი ზუმში. აქაური ფირცხელავების წინაპარი ქორდაია ფირცხელავა გამოქცევია ხონელ თავად აბაშიძეს და მიხდობია დადიანს, რომელსაც აქ დაუსახლებია. მასწავლებელ კონსტანტინე ფირცხელავას ოჯახში (სოფ. ზუმი) ამ მეოთხედი საუკუნის წინათ ინახებოდა 1816 წლით დათარიღებული წერილი, რომლითაც აბაშიძე სთხოვს დადიანს, დაუბრუნოს ყმა ქორდაია. იმ ადგილს, სადაც ქორდაია დასახლებულა, შერჩა სახელი ქორდაიაშ ნაცუდუ. საფირცხელა – უბანი ხეცერაში. საფირცხელაო – უბანი მოგირში. ქართულიდან ნასესხებ სიტყვა ფიცხელს ჩართვია რ თანხმოვანი. შდრ.: ფირცხელაიშვილი, ფირცხელაშვილი, ფირცხელანი.

ფირცხელანი – 233 სული. მესტიის რ-ნიდან მიგრირებულია სამეგრელოში: ჩხორიაში ცხოვრობს 6 კომლი. იხ. ფირცხელავა.

ფირცხელიანი – 330 სული (თბ. – 104, ზუგდ.– 84, გარდ. – 43). კომპაქტური დასახლება აქვთ მხოლოდ რუხში (4 კომლი), სხვაგან ცხოვრობენ გაფანტულად.

ფირცხულავა – 51 სული. გვხვდება ძირითადად ზუგდიდისა და ხონის რ-ნებში. გვარის ფუძე (პირსახელი) ფირცხულა წარმოადგენს ფირცხ- ძირის მოდიფიკაციას. შდრ. : ფირცხელა, ფირცხალა.

ფიფია – 7142 სული (წალენჯ. – 2608, ზუგდ. – 2589, თბ. – 817). საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გვარია (33-ე ადგილი). წალენჯიხის რ-ნში უკავია მეორე, ხოლო ზუგდიდის რ-ნში – მე-4 ადგილი. გვარის ძირითადი სამკვიდრო სამი მეზობელი სოფელი: საჩინო – 93 კომლი, ჯვარი – 81 კომლი, ჩქვალერი – 59 კომლი. მრავალი კომლია სხვა სოფლებშიც: ჩხორია – 63, ლია – 59, პ. ეწერი – 52, მუჟავა – 38, მედანი – 34, ობუჯი – 29, ყულიშკარი – 29, რუხი – 24, წალენჯიხა – 19, ჰითაწყარი – 18 და სხვ. ტოპ.: ლეფიე (←ლეფიფიე) – ყოფილი დასახ. უბანი ნასოფლარ წყავაში, მაგანის მარჯ. მხარეს (ქ. ჯვარიდან რამდენიმე კილომეტრზე). ფიფიები აქ მოსახლეობდნენ 1950 წლამდე). ლეფიფიე – უბნები ლეშამუგეში, ჩქვალერში, პირველ ეწერში (ყოფილი ორჯონიკიძე), კუხეშში, ლეკაკულეში, მუხურში. საფიფიო – უბნები შამგონაში, ზედა ეწერში, კორცხელში, ჩხორიაში, ყულიშკარში. ლაკადაში მცხოვრებ ფიფიებს სჯერათ, რომ ისინი წარმოშობით სვანი ფილფანები არიან. ფიფი სვანეთში, ხოლო ფიფა გურიაში პირსახელებია. ფიფი მეგრულში ვაშლის, მსხლის ტოტზე ამოსულ სოკოს აღნიშნავს და შეიძლებოდა მეტსახელადაც ქცეულიყო, ისევე როგორც ფიფია (იმერულსა და ქართლურში აღნიშნავს ცუდს, გლახას, ფინთს).

ფიჩხაია – 310 სული (ჩხორ. – 76, მარტვ. – 55, თბ. – 54). კომლი: კურზუ – 6, ჩხოროწყუ – 4, ლესიჭინე – 3 და სხვ. ტოპ.: ნაფიჩხოვო (ადგ. ვარიანტი: ნაფიჩხუ) – სოფელი, თემის ცენტრი ოჩხომურის ხეობაში (ჩხოროწყუს რ.). აქ დღეს რამდენიმე კომლი ფიჩხაია ცხოვრობს ოჩხომურსა და ვაცეს შუა. მათს უბანს ეწოდება ლეფიჩხაიე//საფიჩხაიო. 1642 წლის საბუთში დღევანდელი სოფელი ნაფიჩხოვო ორი სახელითაა მოხსენიებული – ნაფიჩხაუ//საფიჩხაო (პალ, II, 56), რაც იმას მოწმობს, რომ იმ პერიოდში ჯერ კიდევ არაა დავიწყებული სოფლის თავდაპირველი სახელი საფიჩხაო. ფიჩხაიები ბატონიშვილთა ან ჯაიანთა აზნაურები ყოფილან . მეგრული ფიჩხ- იგივეა, რაც ქართული ფიცხი (ქართ. ცხ : მეგრ. ჩხ): გოფიჩხონდ "გაფიცხდა. გაბრაზდა". აქედან გამომდინარე, მეტსახელი ფიჩხა უნდა აღნიშნავდეს ფიცხს, ფიცხელს (ქართ. ფიცხელ : მეგრ. ფიჩხა). XIX ს. დამდეგს დღვანასა, გოდოგანსა და თაიაში მოსახლე ფიჩხაიები აზნაურები იყვნენ.

ფონია – 136 სული (ზუგდ. – 102, თბ. – 13, ქუთ. – 6). ძირითადი დასახლება (16 კომლი) არის ახალსოფელში (ზუგდიდის რ.), ყულიწყარის მარც. მხარეს. აქ უბანს ეწოდება საფონიო.

ფონიავა – 267 სული (მარტვ. – 123, ჩხორ. – 28, სენაკი – 24). კომპაქტური დასახლება აღინიშნა მხოლოდ კურზუში (23 კომლი), სხვაგან ცხოვრობენ გაფანტულად. გვარი წარმოქმნილია მეორეული სუფიქსაციით: უკვე არსებულ გვარ ფონიას დართვია გვარის მაწარმოებელი სხვა სუფიქსი.

ფოფხაძე – 2527 სული. რაჭასა და იმერეთში გავრცელებული გვარი დადასტურდა სამეგრელოშიც: ნაესაკაოში ცხოვრობს 5 კომლი, ანაკლიაში – 3 კომლი და სხვ.

ფოჩხუა – 1159 სული (მარტვ. – 483, თბ. – 275, სენაკი – 88). მთელი საგვარეულოს მესამედზე მეტი თავმოყრილია ძირითად და, ალბათ, თავდაპირველ საცხოვრისში – ვედიდკარში (120 კომლი). არიან სხვაგანაც: ნოსირი – 8 კ., ბანძა – 5 კ. და სხვ. ტოპ.: ლეფოჩხუე – სოფელი აბაშის მარც. მხარეს (ვედიდკარის თემი). საფოჩხუო – უბანი ტეხურის მარც. მხარეს (საოდიშარიო, ნოსირის თემი).

ფოცხორაია - 194 სული (ხობი - 79, მარტვ. - 46, ფოთი - 17). კომლი: საჯიჯაო - 14, დ. ჭყონი - 10, ქარიატა - 3 და სხვ. ფოცხორი, იგივე ფოცხვერი - ნადირის სახელი, ქცეულა მეტსახელად და მოუცია გვარი ფოცხორაია. ამავე ფუძისაგანაა წარმოქმნილი ფოცხვერია (405 სული. ძირითადად ქვემო იმერეთში) და ფოცხორია (46 სული. ძირითადად ზუგდიდის რ-ნში). შდრ. ფოცხვერაშვილი.

ფრანგიშვილი - 672 სული (თბ. - 285, სამტრ. - 160, აბაშა - 77). კომლი: მარანი - 11, ქოლობანი - 8, აბაშა - 5, კეთილარი -3, ქვაითი — 3 და სხვ. სახელი ფრანგი გვხვდება ისტ. წყაროებში (ქსს, 1986).

ფულარია - 173 სული (თბ. - 42, მარტვ. - 25, სენაკი - 21). კომლი: სალხინო - 5, ბანძა — 3 და სხვ. ტოპ.: საფულარიო - უბანი ნიშიასა და კაკუტიაღალს შუა, სერზე (ციხეთი). შდრ. ფულარიანი (221 სული, ძირითადად იმერეთში). ლეჩხუმში, სოფ. აჭარაში, ფრუიძეებისაგან ჩაწერილი გადმოცემის თანახმად, მათი წინაპრები ყოფილან ფულარიები სამეგრელოდან. ფულარია-ფრუიძეების ერთი შტო სვანეთში გადასულა და ფულარიანად დაწერილა (თოფჩიშვილი, 1993, გვ. 16). XX ს. დამდეგს პ. ზანაში, ხორშსა და კადარში (ერქვა სოფელს აბაშის რ-ნში) მოსახლე ფულარიები აზნაურები იყვნენ.

ფურთუხია - 61 სული (ზუგდ. -14, თბ. - 2, ლანჩხ. -1). კომლი: ეწერი - 4, მედანი - 3, ზუგდიდი - 3 და სხვ. ტოპ.: ნაფურთუხ - ტყე ნაქურსუშ სუკის კალთაზე (ლეახალე). ფურთუხ, ფურდუხ სვანეთში ცნობილი პირსახელებია და არაა გამორიცხული, სამეგრელოშიც ყოფილიყო გავრცელებული.

ფუტკარაია — გვარი ამ ფორმით არაა შესული ცნობარში "გვარ-სახელები საქართველოში". დაფიქსირდა კომლი: სალხინო - 22, ახალსოფელი (სენაკის რ.) - 4, დ. ჭყონი - 4, პ. ფოთი - 3 და სხვ. ტოპ.: ეფუტკარაიე - ყოფილი დასახ. უბანი პ. ინჩხურში, საელიავოს საზღვართან. გვარის წარმომავლობასთან დაკავშირებით ორი ვარაუდის გამოთქმა შეიძლება. პირველი: მეზობელი დიალექტებიდან მეგრულში შემოსულა პირსახელი ფუტკარა და გვარიც მისგანაა წარმოქმნილი; მეორე: აჭარიდან სამეგრელოში მიგრირებულ ფუტკარაძეებს დროთა განმავლობაში გვარი მეგრულ ყაიდაზე გადაუკეთებიათ. ასეთი რამ ჩვეულებრივი მოვლენაა.

ფუტკარაძე - 7003 სული. ფართოდ გავრცელებული გვარია: საქართველოში უკავია 34-ე, ხოლო აჭარაში - X ადგილი (4052). კომლი სამეგრელოში: კახათი - 14, პ.მაისი - 14, წყემი - 10, მარანი - 7, ქვაითი - 5, მარტვილი - 4, ახალკახათი - 3, ბულიწყუ - 3, ქვ. ჭალადიდი - 3, ცაიში - 3 და სხვ.

## ქ

ქაზზიანიძე - 21 სული. ქვ. ქვალონში დაფიქსირდა 3 კომლი. მსგავსი გვარი ქავზიანიძე, ასევე მცირერიცხოვანი (21 სული), გვხვდება გურიასა და იმერეთში.

ქაბურზანია - ხაბურზანიას (იხ.) ვარიანტია. აღადგენს ტოპონიმი ლექაბურზანიე - ყოფილი დასახ. უბანი ტეხურის მარც. მხარეს, ფერდობებზე. ქაბურზანიები ჩასახლდნენ უფრო ქვემოთ, ტეხურისპირებზე. იქ შექმნილ უბანს ეწოდა საქაბურზანიო (ცვაუთი). ნაქაბურზანუ - ტყე-ფერდობები საჩაჩბაიოში (ალერტი). იხ. ხაბურზანია.

ქადარია - 808 სული (ზუგდ. - 380, სენაკი - 203, თბ. - 70). კომლი: ახალაბასთუმანი - 36, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) - 26, ინგირი - 15, ზანათი - 10, ლეძაძამე - 9, ფოცხო - 9, გურძემი - 8, ძვ. ხიბულა - 7, უშაფათი - 3 და სხვ. ტოპ.: ლექადარე - უბანი წიფანას მარჯ. მხარეს (ლეგოგიე-ნასაჯუ). საქადარიო - უბნები ზუგდიდის რ-ნის სოფლებში - ჯუმში, ოფაჩხაფუში, ახალაბასთუმანში. აქაური ქადარიები მოსულან გურძემიდან.

ქავთარაძე - 7494 სული. საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარია (29-ე ადგილი). განსაკუთრებით გავრცელებულია აღმოსავლეთში. დასტურდება სამეგრელოშიც: ქვ. სენაკი — 58 კ., ძვ. ხიბულა - 31 კ., ხობი — 4 კ., კორცხელი — 3 კ. და სხვ. ადგ. და ისტ. ვარიანტი: ქავთარია. ტოპ.: საქავთარიო - ქავთარაძეების უბანი ძვ. სენაკში, საჩიქობავოსაკენ მიმავალ გზაზე. ძველად ოდიშში მრავალი ქავთარია სახლებულა: 1621 წ. საბუთის თანახმად, ხიბულაში მოსახლეობენ საეკლესიო გლეხები - მახუტოლა, გუგუ. გუგულა, ქირსეკოჩი, იოვანე, კუჭულეი, უჩაია, უწყინარა, ობიშხა, კიღულეი, კიზულეი, მაჭუჭია, ხუტალეი, ამარცალა, უსკვამადა, მაჭიხოლა, სომიხერდი ქავთარიები (ქსძ, III, 415-417). თითქმის ამავე პერიოდში შედგენილ "საცაიშლო დავთარში" დასახელებულნი არიან დარჩელს მცხოვრები ქავთარიები და ქაფთარიები - აგრეთვე საეკლესიო გლეხები (იქვე, 414, 457, 462). ქავთარია საპასპორტო გვარიცაა იმერეთში (125 სული. მათგან ვანში — 28, ხარაგაულში - 31). 1904 წელს სენაკსა და ეკში მცხოვრები ქავთარაძეები აზნაურები იყვნენ.

ქავთარია — იხ. ქავთარაძე.

ქათალანძე - 129 სული (ზუგდ. - 75, ქუთ. - 17, წალენჯ. - 12). ძირძველი მოსახლენი სამეგრელოში იშვიათია (რუხში დაფიქსირდა 3 კომლი). არიან ლტოლვილებიც სამურზაყანოდან.

ქათამაძე - 7592 სული. გვარი ქვეყანაში სულთა რაოდენობით 28-ე ადგილზეა, აჭარაში მე-13 ადგილი უკავია (3878 სული), ხოლო იმერეთში - 34-ე (2415 სული). კომლი სამეგრელოში: პ. ფოთი - 5, ახალსოფელი (სენაკის რ.) - 4 და სხვ. გვარისათვის ამოსავალია მეტსახელი ქათამა.

**ქათანია** – გვარს აღადგენს ტოპონიმი ქათანია. ასე ეწოდება სახნავს ლაფაცხონღალის სათავესთან, სადაც უწინ გვარად ქათანიას უცხოვრია (საბერულავო).

**ქალდანი** – 1150 სული. გვარი მესტიის რაიონიდან მიგრირებულია კოლხეთის ბარში: ახალსოფელში (ზუგდიდის რ.), ჩხორიასა და ხამისკურში ცხოვრობს სამ-სამი კომლი.

**ქამადაძე** – 1991 სული. აჭარული გვარია. დაფიქსირდა პ. ფოთში (4 კომლი) და ფოთში.

**ქამაშიძე** – 766 სული. აჭარასა და მესხეთში გავრცელებული გვარია. პ. ფოთში ცხოვრობს 10 კომლი. ქამას (პირსახელს ან მეტსახელს) ჯერ კოლხური –ში, ხოლო შემდეგ ქართული -ძე დაერთვია.

**ქანდარია** – 252 სული (თბ. – 34, სენაკი – 9, აბაშა – 6). კომლი: ბულიწყუ – 29 , ხობი – 13 და სხვ.. ტოპ.: საქანდარიო – უბანი საკვიკვინიოში. ქადარიას ან ქახთარიას (იხ.) ვარიანტი ჩანს.

**ქანთარია** – 2299 სული (ზუგდ. – 665, თბ. – 390, წალენჯ. – 282). კომლი: ჯვარი – 26, ხობი – 23, ჭითაწყარი – 22, რუხი – 15, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) – 10, ყულიშკარი – 9, შ. ხორგა – 7, ხამისქური – 5, მედანი – 6, ჩქვალერი – 6 და სხვ. ტოპ.: ლექახთარე//ქიხი ლექახთარე – უბანი მოროეის სათავესთან (ლეშამუგე). ლექანთარე//თუდოლენი ლექანთარე//საქახთარიო – უბანი ნოჟალის მარჯ. მხარეს (ჯვარი). საქანთარიო – უბნები ჭითაწყარში, ხობში, ახალხიბულაში, ქვ. ხიბულაში, ჭითაუშქურში. გადმოცემით, ქანთარიები ყოფილან ქავთარაძეები სვანეთიდან. შესაძლოა, ამოსავალი იყოს სამოხელეო ტერმინი ქალანთარი (კალანტარი), რაც სომხურშიცაა შესული აღმოსავლური ენებიდან და ნიშნავს "ციხისთავს" ან "ქალაქის გამგებელს". სახელი შეთვისებულია მეგრულის მიერ და ამოვარდნილია ლა- მარცვალი: ქალანთარი →ქანთარი (ფუძიდან მარცვლის ამოვარდნა მეგრულში ხშირად ხდება). მეორე მხრივ, არც ისაა გამორიცხული, ქანთარ- ფუძე მომდინარეობდეს კანთარი- საგან, რაც ნიშნავს კანთის მცხოვრებს. კანთი მთისძირა სოფელი იყო წალენჯიხის რ-ნში (შეუერთდა ლეთოფურეს და შეიქმნა სოფელი ლეთკახთი ჯგალის თემში).

**ქარაია** – 568 სული (ზუგდ. – 170, წალენჯ. – 111, თბ. – 70). კომლი: ჩხორია – 19, მედანი – 5, ახალაბასთუმანი – 5, რიყე – 3 და სხვ. ტოპ.: საქარაიო – უბნები ტყაიასა და ჯაპშაქარში. ქარა (მეგრ.) "გრძელი ეკალი. წვერწამახული სარი" ადვილად იქცეოდა მეტსახელად, საიდანაც გვარი წარმოიქმნა.

**ქარდავა** – 6014 სული (წალენჯ. – 1979, ზუგდ. – 1707, თბ. – 915). ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გვარია როგორც ქვეყნის (55-ე ადგილი), ისე სამეგრელოს (5606 სული. მე-8 ადგილი) მასშტაბით. წალენჯიხის რ-ნში მესამე ადგილზეა (კვარაცხელიასა და ფიფიას შემდეგ), ხოლო ზუგდიდის რ-ნში – მე-11-ეზე. კომლი: ჯვარი – 103, ლია – 60, პ. ეწერი (ყოფილი ორჯონიკიძე) – 49, წალენჯიხა – 24, ჩქვალერი – 19, ჭალე – 13, ჭითაწყარი – 12, ფახულანი – 11, ჩხორია – 11, რუხი – 8, მუჟავა – 7, ახალკახათი –6, ახალსოფელი (ხობის რ.) – 6, შამგონა – 6 და სხვ. როგორც გადმოცემებიდან და ზემოთ მოყვანილი კომლთა რაოდენობიდანაც ჩანს, ქარდავათა ძირძველი და თავდაპირველი საცხოვრისი ჩანს ამჟამინდელი ქალაქი ჯვარი, კერძოდ, მასში შემავალი სოფელი ლექარდე, რომელიც მდ. მაგანის მარც. ნაპირის ვაკე-ფერდობებზეა განფენილი. გადმოცემა: "ქარდავა სამი ძმა ყოფილა. მათ კაცი მოუკლავთ ლატალში და ჯვარში გამოქცეულან. აქ დადიანს ისინი მიუღია და დასახლებულან ჯვარში. მათი გვარის კაცები სვანეთში არიან ქალდანი, რომლებიც ლატალში ცხოვრობენ" (მაკალათია, 1941, გვ. 243). საქარდო//საქარდა – უბანი ლეშამუგეში. იშვიათი საპასპორტო ვარიანტია ქართავა (24 სული). ამოსავალი ფუძე ქარდა (ქართა) სვანეთში დადასტურებული პირსახელების – ქარდაყანის, ქართახანის – შემოკლებული ფორმა ჩანს.

**ქართველიშვილი** – 3283 სული. გვარი მრავალრიცხოვანია, გავრცელებულია თბილისში, ქართლში, იმერეთში. გვხვდება სამეგრელოშიც: ანაკლია – 3 კ., ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) – 3 კ. და სხვ. 1904 წელს ინჩხურში, სუხჩეში, ნოჯიხევში მოსახლე ქართველიშვილები აზნაურები იყვნენ.

**ქაროსანიძე** – 501 სული. ქვემოიმერული გვარია: ნალეფსაოში ცხოვრობს 3 კომლი.

**ქარჩავა** – 2836 სული (ზუგდ. – 1005, ჩხორ. – 426, თბ. – 371). გვარი სულთა რაოდენობით საქართველოში 235-ე ადგილზეა, სამეგრელოში კი – 43-ზე (1807 სული). ჩხოროწყუს რ-ნში ქარჩავებს უკავიათ 21-ე, ხოლო ზუგდიდის რ-ნში – 32-ე ადგილი. კომლი: ინგირი – 108, ჭოლა – 21, ნაკიანი – 20, ჩხოროწყუ – 18, ხობი – 14, ახალაბასთუმანი – 12, ცაიში – 9, დიდი ნეძი – 7, რიყე – 7, ქვ. ქვალონი – 7, ახუთი – 6, ქვ. ჩხოროწყუ – 6, წალენჯიხა – 6 და სხვ. მრ. ტოპ.: ლექარჩე – სოფელი ჭალაძვანის მარჯ. მხარეს (ნაკიანის თემი). ნაქარჩუ – ბორცვი ამავე სოფელში. ლექარჩე – უბანი ოირემეში. აქაური ქარჩავების წინაპრები ჩამოსულან ნაკიანის ლექარჩედან საუკუნის წინათ და თან ჩამოუტანიათ სოფლის სახელწოდება. საქარჩა – უბანი ჩხოუშიის მარც. ნაპირას (ჩხოუში, ცაიშის თემი). საქარჩაო – უბნები მოგირში (მალემიას ნაპირას), ჭითაწყარში, ახალაბასთუმანში. საქარჩა(ო) – უბანი რიყეში, რუხის საზღვართან. საქარჩო – უბანი ინგირში. ვარაუდობენ, რომ გვარისათვის ამოსავალია მეტსახელი ქარჩა (ქარჩა წერაქვეია ერთგვარი). ამგვარი მოტივირება შესაძლებელია, მაგრამ სიტყვა ქარჩა მხოლოდ აღმ. საქართველოშია გავრცელებული. შდრ. ქარჩაიძე, ქარჩილაძე.

**ქარციევაძე** – 2288 სული. გვარი ფართოდაა გავრცელებული აჭარასა და გურიაში. გვხვდება სამეგრელოშიც: აბაშა – 6 კ., ფოთი – 3 კ. და სხვ.

ქარცხია - 219 სული (ზუგდ. - 94, თბ. - 19, ბათ. - 8). კომლი: ძვ. ხიბულა - 12, ინგირი - 5, განარჯიის მუხური - 4, საჯიჯაო - 3 და სხვ. ტოპ.: ლექარცხიე და საქარცხიო უბნებია ძვ. ხიბულაში, მაგრამ ლექარცხიე მდებარეობს სერზე, სქურჩის მარც. მხარეს, ხოლო საქარცხიო - უფრო დაბლა, სუჯნაღალის ნაპირას. შუაშია ჯიხაფერდი. ქარცხიები XVI ს. პირველ მეოთხედშიც ცხოვრობდნენ ხიბულაში და იყვნენ საეკლესიო გლეხები (მათი სახელებია: უჩაკოჩი, ხუტკუბია, გამიგლნა, მახოლა, გუგუტა, ამარხალა, უღვინობა, ღანდალნი, ინეს, ჭოჭოლეი. იხ. ქსძ, III, 414-419).

ქაქუთია - 356 სული (ზუგდ. - 93, ფოთი - 45, სენაკი - 16). კომლი: ნოჯიხევი - 13, აბასთუმანი - 10, ქარიატა - 10, ხობი - 5, ბია - 4, ყულიშკარი - 4, ბულიწყუ - 3 და სხვ. გვარი ძირითადად ზუგდიდისა და ხობის რ-ნებშია გავრცელებული. ტოპ.: საქაქუთიო - უბანი ნაფოშტუში, საგერგაიოსა და რკინიგზის ლიანდაგს შუა (ნოჯიხევის თემი). ქაქუ კოლხეთში გავრცელებული პირსახელია. ქაქუთი ნიშნავს ქაქუს შვილს, მოდგმას, შთამომავლობას. გვარსახელად იქცა -ა სუფიქსის დართვის შემდეგ.

ქაქუჩაია - 73 სული (ფოთი - 18, თბ. - 17, მარტვ. - 14). ბანძაში მკვიდრობს 10 კომლი. არიან სხვა სოფლებშიც. ქაქუჩა პირსახელ ქაქუ-ს კნინობით-მოფერებითი ფორმაა.

ქაღარია - გვარს აღადგენს ტოპონიმი ნაქაღარ. ასე ეწოდება უბანს ჭანისწყლის მარც. მხარეს (ჯგალი). ინფ.: "აქ ქაღარიას უცხოვრია". პირსახელი ქაღარა გვხვდება 1821 წ. საბუთში (ქსძ, III, 429).

ქაშიბაძე - 824 სული. გვარი გავრცელებულია იმერეთში. სამეგრელოში ამჟამად იშვიათია, მაგრამ უწინდელ გავრცელებაზე მიუთითებს ტოპონიმი საქაშბაიო (უბანია დიდ ხორშში). ქაშბაია ადგ. ვარიანტია. მიუთითებენ, რომ გვარი ქაშიბაძე ადიღური წარმომავლობისაა (წულაია, 1989, გვ. 110).

ქაჩიბაია - 423 სული (სენაკი - 179, თბ. - 105, ზუგდ. - 30). აფხაზურ-მეგრული გვარია. კომლი: ნაქალაქევი - 7, ინგირი - 4, ნოსირი - 4, კეთილარი - 3 და სხვ. ადგ. ვარიანტი: ქაჩბაია. ტოპ.: საქაჩბაიო - უბანი სენაკში, ეკის მთის ძირას. საქაჩიბაიო - ყოფილი დასახ. უბანი კეთილარში.

ქაცარავა - 260 სული (თბ. - 129, ხობი - 33, ბათ. - 25). კომლი: შ. ხორგა - 8, ინჩხური - 3 და სხვ. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ გვარისათვის ამოსავალია ცხოველის სახელი ქაცარი "თიკანი". იგულისხმება, რომ ქაცარა შეერქვა პიროვნებას რაღაც ნიშნით მსგავსების საფუძველზე. XVI ს. დამლევის საბუთში დასახელებული არიან ხონის საყდრის მებეგრენი ქრისტეშია ქაცარავა და ხუცეს ქაცარავა (ქსძ, III, 365), ხოლო XVIII ს. დამლევის საბუთში - გიორგი ხუცეს ქაცარავა (იქვე, 1082).

ქაციბაია - 31 სული (სენაკი - 18, ზუგდ. - 8, თბ. - 2). კომლი: დარჩელი - 7, სენაკი - 4 და სხვ. გვარი აფხაზურ-მეგრულია. შესაძლოა, ქაჩიბაიას ვარიანტი იყოს.

ქაძანაია - 177 სული (ზუგდ. - 97, თბ. - 12, ფოთი - 11). კომლი: ანაკლია - 5, ზუგდიდი - 23 და სხვ.

ქაძანია - 20 სული (ზუგდ. - 8, თბ. - 7, მცხეთა - 1). კომპაქტური დასახლება აღარ შემორჩა. ტოპ.: საქაძანიო - უბანი ძვ. ხიბულაში, უდუდეღალის ნაპირას. ამავე ქაძან ფუძეს შეიცავს ქაძანაია (იხ.).

ქაჯაია - 3585 სული (თბ. - 872, მარტვ. - 644, ზუგდ. - 355). ქვეყნაში სულადობით უკავია 157-ე ადგილი, სენაკის რ-ნში მე-13 ადგილზეა. კომლი: ონოღია - 120, აბედათი - 52, საჯიჯაო - 33, ბანძა - 27, თამაკონი - 8, ახუთი - 7, ნაჯახავო - 7, სამიქაო - 4, ხობი - 4 და სხვ. ტოპ.: ლექაჯაიე (ადგ. ვარიანტი: ექაჯაიე, ლექაჯაიე აბედათი) — სოფელი აბედათის თემში. ნაქაჯუ - სახნავი ქვალირის სათავესთან (ლემიქავე). XVI ს. ბოლოს შედგენილ ნაქანეულის საეკლესიო გლეხთა სიაში შეტანილი არიან დეისმამა ქაჯაია და შია ქაჯაია (ქსძ, III, 385). ოციოდე წლის შემდეგ (1621 წ.) შედგენილი საბუთის მიხედვით კი ამავე სოფელში ცხოვრობს ეკლესიის მებეგრე მესტუმრია ქაჯაია (იქვე, 424). იმერელი ქაჯაიები აზნაურები იყვნენ. პირსახელი ქაჯა (და ქაჯანა), რომლისგანაც წარმოიქმნა გვარი ქაჯაია (და ქაჯანაია) უკავშირდება ქაჯ სიტყვას, რაც გადატანით აღნიშნავს ცელქს, მოუსვენარს.

ქაჯანაია - ძალზე იშვიათი გვარია. დაფიქსირდა ფოთში. შდრ. ქაჯაია, ქაძანაია.

ქებაშვილი - 49 სული. განსახლებულია თითქმის მთლიანად ზუგდიდის რ-ნში. კერძოდ, აბასთუმანში ცხოვრობს 3 კომლი. ქება საისტორიო დოკუმენტებში დადასტურებული პირსახელია.

ქებურია - 1194 სული (ჩხორ. - 364, ზუგდ. - 230, თბ. - 171). კომლი: ჩხოროწყუ - 48, ობუჯი - 12, კირცხი - 9, ახალსოფელი (ხობის რ.) - 7, ფოცხო - 5, ჭაქვინჯი - 4, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) - 3, კახათი - 3, ხობი - 3 და სხვ. ქება, ქებუ კოლხეთში გავრცელებული სახელებია (იხ. ქსს, 1986) და გვავარაუდებინებს ქებურ ვარიანტსაც. შდრ. ქებულაძე (იმერული გვარია).

ქევანიშვილი - 198 სული. იმერული გვარია. გვხვდება სამეგრელოშიც (მენჯი - 3 კომლი).

ქელბაქიანი - 240 სული (თბ. - 83, ქუთ. - 64, ლანჩხ. - 19). მიგრირებულია სამეგრელოშიც: ჭვარში დაფიქსირდა 5 კომლი. გვარი დასახელებულია 1644 წ. დაწერილ საბუთში (ქსძ, III, 508-509).

ქეცბაია - 592 სული (ზუგდ. - 202, თბ. - 171, წალენჯ. - 69). აფხაზურ-მეგრული გვარია. რამდენიმე ძირძველი მოსახლეა ზუგდიდის რ-ნში. დანარჩენები არიან ლტოლვილები.

ქვათარია - გვარს აღადგენს ტოპონიმი ნაქვათარუ. ასე ეწოდება ტყე-ფერდობებს ემოწაფიეში (ლექაჯაიე). ქვათარი პირსახელ ქვათის კნინობითი ვარიანტი ჩანს. შდრ. ქუთარი.

ქვარაია - 650 სული (ზუგდ. - 452, ხობი - 78, თბ. - 47). გვარის ძირითადი სამკვიდროა ორსანტია (56 კომლი). კომლი სხვა სოფლებში: ჭითაწყარი — 18, ძვ. ხიბულა — 17, ინგირი — 6, ყულიშკარი — 5, ზანა — 4, ხეთა — 4, განარჯიის მუხური - 3 და სხვ. ტოპ.: საქვარაიო - უბნები

ორსანტიაში, პითაწყარში, ზ. ბიაში, ძვ. ხიბულაში. ქვარა, როგორც პირსახელი, დაფიქსირებულია სვანურში. ქვარაია და ქვარიანი (ლეჩხუმი, იმერეთი) ალბათ მას უკავშირდება. ქვარა "მუცელი" ღიპიანი კაცის მეტსახელად შეიძლებოდა ქცეულიყო. იხ. ქორაია.

**ქვარანძია** – 63 სული. ამჟამად სამეგრელოში არიან ლტოლვილები სამურზაყანოდან. გვარის წარმოქმნის გზა ასეთია: ქვარა → ქვარაძე →ქვარანძე →ქვარანძე-ა.→ქვარანძია.

**ქვართია** – ძალზე იშვიათი გვარია. დაფიქსირდა ანაკლიაში.

**ქვარცხავა** – 1639 სული (ზუგდ. – 311, მარტვ. – 255, სენაკი – 213). კომლი: ჩხორია – 42, სალხინო – 25, დ. ჭყონი – 18, ახალხიბულა – 15, უშაფათი – 9, ხობი – 9, შამგონა – 7, საჯიჯაო – 6, წალენჯიხა – 6, მარტვილი – 5, ხეთა – 5 და სხვ. ტოპ.: ლექვარცხე – უბნები ჯგალში, ჩხოროწყუში, პ. ქინოთაში, უშაფათში. ლექვარცხე//საქვარცხა – უბანი ოჩხომურის ორსავე ნაპირას (ჩხოროწყუ). საქვარცხა – უბნები გაღმა საჯიჯაოსა (ზანაძგისა და მაღლაკონის წყალგამყოფ სერზე) და ზუბში (ახალხიბულის თემი). აქაური ქვარცხავები ჯინჯიხატის მოსალოცად დადიოდნენ ნაჯაგუში (გარახა). ხაქვარცხუ – ბორცვი ლაფარიის სათავესთან (გარახა). 1621 წ. საბუთში (იხ. ქსძ, III, 435) დასახელებულია ორწევრიანი ანთროპონიმული ფორმულა "მარღია ქვაცხა", სადაც მეორე წევრი "ქვაცხა" უნდა იყოს გვარი, იგივე ქვარცხავა (საბუთის ამ მონაკვეთში ჯერ სახელია დასახელებული, შემდეგ – გვარი).

**ქვაჩალია** – გვარს ადადგენს ტოპონიმი ლექვაჩალე (ტყე-ფერდობებია კურზუში). ქვაჩალი მეგრულში აღნიშნავს ფაჩუნს და არაა მოულოდნელი მეტსახელად. მეორე მხრივ, ქვაჩი, ქვაჩა პირსახელებია და ქვაჩალი შესაძლოა მათი მოფერებითი ვარიანტი იყოს.

**ქვაჩახია** – 528 სული (ზუგდ. – 179, თბ. – 108, წალენჯ. – 46). სამეგრელოში იშვიათი გვარია. ამჟამად მრავლად არიან ლტოლვილნი სამურზაყანოდან. ვარიანტი ქუჩახია დამოწმებულია "საცაიშლო დავთარში"(1616-1621 წწ.), სადაც დასახელებულნი არიან დარჩელს მცხოვრები საეკლესიო გლეხები, მათ შორის – მახარებელი ქუჩახია, იონათამ ქუჩახია და ხუხუჩია ქუჩახია (ქსძ, III, 459). ქვაჩა (//ქუჩა) პირსახელია, ინფიქსი ხ აღნიშნავს მოდგმა-შთამომავლობას.

**ქვაჩილია** – უწინდელ დროში ამ გვარის არსებობას ადასტურებს ტოპონიმი ლექვაჩილე. ასე ერქვა უწინ ამჟამინდელ სათირქიოს (ყულიშკარი). ქვაჩილი პირსახელ ქვაჩის მოფერებითი ფორმაა. გარდა ამისა, ქვაჩილი მეგრულში მიმღეობაა და ნიშნავს აბურდულ-დაბურდულს

**ქვაცაბაია** – (314 სული) და მისი ვარიანტები – ქვაცაბია (49 სული), ქვაცბაია (92 სული) – აფხაზურ-მეგრული გვარებია. სამეგრელოში ძირითადად არიან ლტოლვილები სამურზაყანოდან.

**ქვილაია** – დაფიქსირდა ფოთში ორიოდე კომლი. არაა გამორიცხული, ქვილითაიას (იხ.) ვარიანტი იყოს (მეგრულში არაა იშვიათი სახელის ფუძიდან მთელი მარცვლის ამოვარდნა).

**ქვილითაია** – 494 სული (აბაშა – 304, თბ. – 37, ბათ. – 28). გვარის მთავარი და ძირძველი განსახლების ადგილები არის ნოღელისპირა სოფლები აბაშის რ-ნისა: ხაესაკაო – 41 კ., ტყვირი – 9 კ., აბაშა – 8 კ., ქოლობანი – 4 კ. და სხვ. ტოპ.: საქვილითაიო – უბანი ნოღელის მარც. მხარეს (ხაესაკაო). ინფ.: "ქვილითაიები ყოფილან ქუთათელაძეები ხონიდან. იქ მიჰყავდათ შესაწირი ხარი. ერთხელ ქვეითად მისულან და ამიტომ მიუღიათ გვარი ქვილითაია". ქვილითი მეგრულში ქვეითს აღნიშნავს. იქნებ ამ სიტყვამაც მოგვცა მეტსახელი ქვილითა, საიდანაც წარმოიქმნა გვარი ქვილითაია..

**ქვილიფთარია** – დადასტურდა ფოთში. გურიაში გავრცელებული ქილიფთარის ვარიანტია.

**ქვირია** – 149 სული (თბ. –52, სამტრ. – 30, ბათ. – 18). ფოთში დაფიქსირდა ორიოდე კომლი. ქვირი ფქვილია მეგრულში, ქვირა კი კვიცს აღნიშნავს და შეიძლება მეტსახელადაც ქცეულიყო. მეორე მხრივ, არაა გამორიცხული, ქვირია ქირიას ვარიანტი იყოს (შდრ. ქვილიფთარია, ქვილორია).

**ქილორავა** – 52 სული (ზუგდ. – 27, მარტვ. – 5, თბ. – 4). კომპაქტური დასახლება დაფიქსირდა კახათში (4 კომლი). ქილორი მეგრულში ხოხობს აღნიშნავს. მისგან -ა სუფიქსით წარმოქმნილა მეტსახელი ქილორა, რომელიც შემდეგ გვარის ფუძეც გამხდარა. გავრცელებულია საპასპორტო ვარიანტი ქვილორიაც (57 სული. ძირითადად გურიაში). შდრ. ხოხობაძე.

**ქირთბაია** – 88 სული (ზუგდ. – 32, თბ. – 22, ფოთი – 10). აფხაზურ-მეგრული გვარია. ძირძველი მოსახლე სამეგრელოში იშვიათია. ძირითადად არიან ლტოლვილები. გვხვდება ვარიანტი ქირთიბაიაც.

**ქირია** – 3857 სული (ზუგდ. – 2070, ხობი – 698, თბ. – 400). საქართველოს მასშტაბითაც (135-ე ადგილი) და სამეგრელოს რეგიონშიც (2509 სული. მე-19 ადგილი) ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გვარია. ხობის რ-ნში V ადგილი უკავია, ზუგდიდის რ-ნში – IX. კომლი: ხამისქური – 150, ცაიში – 104, ოქტომბერი – 95, ურთა – 91, ხეთა – 79, დიდი ნეძი – 76, ინგირი – 12, შ. ხორგა – 11, ხობი – 11, აბასთუმანი – 7, თორსა-ღღვაბა -7, კახათი – 6 და სხვ. ადვილი შესამჩნევია, რომ ქირიების ძირითადი და მრავალრიცხოვანი დასახლებები მდებარეობს ურთის მთის გარშემო და მის სიახლოვეს მდებარე სოფლებში. ტოპ.: საქირიო – სოფელი ხამისკურსა და ხეთას შუა (ხამისკურის თემი). ერქვა მეორე საქირიო. უწინდელი პირველი საქირიო ახლა უბანია ამ სოფლის გაგრძელებაზე, ხეთაში. საქირიო – უბნები დიდი ნეძის კახათში, ცაიშის კახათში (იგივე ოქტომბერი), ურთაში, ცაიშში, ცვანეში, აბასთუმანში, ეკში. ნაქგრუა – ბორცვი ლეჩარგაზეში, სადაც, გადმოცემის თანახმად,

ქირიებს უცხოვრიათ (გოდოგანი). ქირია (← ქირი "ქორი"), ისევე როგორც ქორიძე, კაკაბაძე, გნოლიძე და სხვ., იმ გვარებში შეაქეთ, რომელთა ფუძეებშიც ფრინველთა სახელები ჩანს.

**ქიქავა** – 714 სული (მარტვ. – 239, ზათ. – 126, თბ. – 97). გვარის სამკვიდროა ლეხაინდრავო (49 კომლი), სეფიეთი (7 კომლი) და სხვ. ქიქ- ფუძისაგან წარმოქმნილი ზმნური ფორმები აღნიშნავენ პირის დაღებას, დაფჩენას. შესაბამისად, პიჯიქიქა ნიშნავს პირდაღებულს, პირდაფჩენილს. ეს მნიშვნელობა დასდებია საფუძვლად მეტსახელ ქიქას, საიდანაც გვარი წარმოიქმნა. შდრ. ქიქოძე.

**ქიშმარიაია** – 58 სული და **ქიშმარეია** – 26 სული. გვხვდება ძირითადად სამტრედიის რ-ნში. სახელი ქიშმარა წარმოქმნილია ამგვარად: ქიშვარდი → ქიშვარი (ქსს, 1986) → ქიშმარი →ქიშმარა.

**ქიშმარეიშვილი** – 61 სული. გავრცელებულია სამტრედიის რ-ნში და მიგრირებულია მეზობელ აბაშის რ-ნში: პ. მაისში დაფიქსირდა 3 კომლი. ამოსავალია ქიშმარა, რასაც დართვია –შვილ სუფიქსი და წარმოქმნილა ქვემოიმერულისათვის დამახასიათებელი მოდელი გვარსახელისა. იხ. ქიშმარაია.

**ქიშმარია** – 196 სული (ზუგდ. – 64, თბ. – 42, სენაკი – 23). გვარი აფხაზეთშია გავრცელებული, სამეგრელოში ამჟამად იშვიათია, უწინ კი აქა-იქ უცხოვრიათ, რასაც ადასტურებს ტოპონიმი ნაიშმარუ (←ნაქიშმარუ) – ფერდობების სახელი ჯაღრაში. გვარის ფუძეა ქიშმარი. იხ. ქიშმარაია.

**ქობალავა** – 381 სული (აბაშა – 138, თბ. – 83, ფოთი – 53). კომლი: ზანათი – 23, აბაშა – 10 და სხვ.. ქობალავა და ქობალია მოიაზრება იმ გვართა შორის, რომელთა ფუძეებში გვხვდება მცენარეულობის სახელები (მეგრ. ქობალი "ხორბალი". იხ. ზ. ჭუმბურიძე, 1987, გვ. 316). თუმცა მეტსახელ ქობალასათვის შეიძლება ამოსავალი იყოს ქობალ სიტყვის მეორე მნიშვნელობა – "ადამიანის საკვები პროდუქტი". საერთოდ, გვარები – ქობალავა, ქობალია, ქობულია, ქობალაძე, ქობელაშვილი, ქობულაშვილი, ქობულაძე – აღადგენს ქობ- ძირის შემცველ პირსახელებს. შდრ.: ხორბალაძე.

**ქობალია** – 5209 სული (ზუგდ. – 2340, წალენჯ. – 630, თბ. –572). საქართველოში ყველაზე გავრცელებულ გვართა შორის უკავია 73-ე, ხოლო სამეგრელოში – მე-11 ადგილი (3818 სული). ზუგდიდის რ-ნში გვარი VI ადგილზეა, ხოლო წალენჯიხის რ-ნში – მეცამეტეზე. კომლი: კორცხელი – 83, ოდიში – 33, დარჩელი – 30, დოშაყე – 22, ლია – 13, რუხი – 13, ცაიში – 12, ჭოლა – 12, ალერტკარი – 9, ჩხოროწყუ – 7, ხაბუმე – 7 და სხვ. ტოპ.: ლექობალე – სოფელი ზანის მარც. მხარეს. ერთ-ერთ უბანში ცხოვრობენ ქობალიები (დოშაყის თემი). ლექობალე – სოფელი დიჭყის, ოღვაბისა და ჭოლაწყარის ზემოთებში (ჭოლის თემი). საქობალიო – უბნები სინწის ხეობაში (ზუგდიდი, ოდიში), ჭითაწყარში (ყოფილი კიროვი), მოგირში, კორცხელში, ნარაზენში, გაღმა ზანათში. ვარიანტი ქვაბალია დასახელებულია 1384-1396 წწ. შესრულებულ წალენჯიხის ტაძრის წარწერაში, საიდანაც ვიგებთ, რომ ვამეყ დადიანს კონსტანტინოპოლიდან მხატვრის ჩამოსაყვანად გაუგზავნია ანდრონიკე გაბისულავა და მახარებელ ქვაბალია. ქობალიები ირწმუნებიან, რომ ისინი წარმოშობით არიან ქობალიანები სვანეთიდან და მათი წინაპრები კიდეც დადიოდნენ სალოცავად სვანეთში, წმინდა კვირიკეს ეკლესიაში. იხ. ქობალავა. შდრ. ხორბალაძე, ქობალიანი (ძირითადად, გურიაში).

**ქობულია** – 342 სული (აბაშა – 89, თბ. – 83, სამტრ. – 39). კომლი: სამიქაო – 18, კეთილარი – 7, ტყვირი – 6 და სხვ. ტოპ.: საქობულიო – უბანი გაღმა კეთილარის სამხ. ნაწილში. ქობულიები – უბანი შავღელის მარც. მხარეს (მაიდანი). ქობულია აჭარასა და გურიაში გავრცელებული ქობულაძის (1691 სული) დაბოლოებაშეცვლილი ვარიანტი ჩანს. შდრ. აგრეთვე ქობულაშვილი (ქართლი).

**ქოიავა** – 1481 სული (თბ. – 533, აბაშა – 397, ფოთი – 195). გვარის სამშობლოა ძვ. აბაშა (104 ოჯახი). კომლი სხვა სოფლებში: აბაშა – 23 კ., ზ. ჭალადიდი – 4 კ., ვედიდკარი – 3 კ. და სხვ. ტოპ.: საქოიავო – უბანი ძველ აბაშაში. იყოფა: დიდი საქოიავო – ზანის მარც. ნაპირას და ჭიჭე საქოიავო – ცუდღარის მარჯ. ნაპირას. 1753 წ. შედგენილი "შეწირულების წიგნიდან" ჩანს, რომ რობას (აბაშასთან) მცხოვრები გლეხი ხუტიე ქოიავა (და კიდევ ორი სხვა) გაბრიელ ჭყონდიდელს წაუყვანია, გამოღმა კოდორში დაუსახლებია და საეკლესიო გადასახადად დაუწესებია თითო-თითო მარჩილის სანთელი მარტვილის ტაძრისა და სუჯუნის საყდრისათვის (ქსძ, III, 837). ქოი, კოი პირსახელია. მდ. ოხოჯეზე მორევს ეწოდება ქვეიშ ტომბა (ფშაური, ბედიის თემი). XIX ს. I ნახევარში აფხაზეთში მონათლულთა შორის დასახელებულია საქანია კოი (დაურქმევიათ კონსტანტინე. იხ. გასვიანი, 1991, გვ. 155). ქოია ერქვა ამილახორის შვილს, რომელიც "მიეგება ლალა ფაშას არტანს და ორი ციხე შესძღუნა"(ქართლის ცხოვრება, 1973, გვ. 722).

**ქომეთიანი** – 854 სული (ქუთ. – 147, ცაგერი – 141, წყალტ. – 130). ლეჩხუმსა და იმერეთში გავრცელებული ეს გვარი მიგრირებულია სამეგრელოშიც და ორ სოფელში ქმნის კომპაქტურ დასახლებას – მუხურსა (28 კ.) და ნაფიჩხოვოში (3 კ.). "ეთნოგრაფიული მასალებით, ქომეთიანების წინაპრები სამეგრელოს სოფ. დუდღვაბურიდან მოსულან ლეჩხუმის სოფ. აღვში. წინაპარს სამეგრელოში ბატონი მოუკლავს და გამოქცეულა. ლეჩხუმში ის ბატონ ახვლედიანს მიბარებია"... სამეგრელოში მათი წინაპრები გვარად ქომეთავები ყოფილან (თოფჩიშვილი, 1991, გვ. 14).

**ქორაია** – 179 სული (მარტვ. – 94, თბ. – 15, სენაკი – 10). კომლი: მარტვილი – 15, თამაკონი – 12, ნოჯიხევი – 4, გაჭედილი – 3, ქვ. ქვალონი – 3 და სხვ. ქორა(//ქვარა) მეგრულში მუცელს აღნიშნავს და

ადვილად შეერქმეოდა მეტსახელად გურმანსა და ღიპიან კაცს. მეორე მხრივ, სვანურში ქვარა პირსახელია და მეგრულშიც შეიძლებოდა შესულიყო ქვარა ან ქორა ფორმით. იხ. ქვარაია.

ქორთუა - 282 სული (ზუგდ. - 161, თბ. - 64, სენაკი - 13). კომლი: ურთა - 7, კოკი - 4 და სხვ. ტოპ.: ლექორთუე - ბორცვი ტარჩიის მარჯ. მხარეს (ჯიხაშკარი). პრეფიქსი ლე- მიუთითებს, რომ აქ ოდესღაც ქორთუების უბანი იყო. საქორთუო - უბანი ურთაში. ნაქორთუ - ვენახი მაგდაზენის გვერდით (კოტიანეთი). ქორთუ "ქართველი" მეგრულში იყო სატომო (და არა "ყოველთა ქართველთა" აღმნიშვნელი) ტერმინი და გულისხმობდა კონკრეტულად გურულს, იმერელს, ქართლელს და ა.შ., ვისთვისაც ქართული იყო საოჯახო სამეტყველო ენა. იხ. ქორთუშვილი. 1904 წლის აღწერის თანახმად, აბასთუმანსა და ხეთაში მოსახლე ქორთუები აზნაურები იყვნენ.

ქორთუშვილი - 123 სული (ზუგდ. - 112, გორი - 4, თბ. - 2). კომლი: დარჩელი - 10, კახათი - 4, ახალაბასთუმანი - 3 და სხვ. ქორთუას ვარიანტია და ძირითადად ზუგდიდის რ-ნშია გავრცელებული.

ქორია - 20 სული (ზუგდ. - 5, თბ. - 4, ბათ.- 1). ამჟამად ძალზე იშვიათი გვარია (ზუგდიდში დაფიქსირდა ორიოდე კომლი), მაგრამ უწინ ფართოდ ყოფილა გავრცელებული, რაზეც მეტყველებს ტოპონიმიკური და ისტორიული მონაცემები: ნაქორუ - ტყე ცივის მარც. მხარეს (ტყირი). 1616-1621 წწ. საბუთში ჩამოთვლილნი არიან ცაიშსა და დარჩელს მცხოვრები საეკლესიო გლეხები, მათ შორის ქორიებიც. მათი სახელებია: მასხუია, ამარცალა, ნაცვალი, სიმამული, მიხილია, ამუნა, მაკეთია, მახუტია, სოლომორთაი და სხვ. (ქსძ, III, 441-442, 448-450). ქორია იმერული ქორიძის (იხ.) მეგრული ვარიანტი ჩანს. ზუგდიდის რ-ნში გვხვდება გვარი ქორიშვილიც (26 სული). შდრ. ქირია, ქორიძე.

ქორიძე - 2330 სული. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია სამტრედიის რ-ნში, საიდანაც ჩანს გადასული სამეგრელოში: აბაშა - 6 კ., ნოსირი - 4 კ., ქვ. ქვალონი - 4 კ. და სხვ. შდრ. ქორია.

ქორქია - 277 სული (თბ. - 104, ფოთი - 90, ბათ. - 15). ცხრა კომლი დაფიქსირებულია ქვ. ჭალადიდის თემში, სადაც სოფელს კიდეც ეწოდება საქორქიო (რიონის მარჯ. მხარეს). არიან ქორქიები ფოთშიც. XX ს. დამდეგს ნაესაკოში მოსახლე ქორქიები აზნაურები იყვნენ.

ქორჩილავა - 515 სული (აბაშა - 197, თბ. - 111, ფოთი - 67). აბაშაში ცხოვრობს 26 კომლი. აქვე, აბაშისპირის საზღვართან, არის უბანი საქორჩილაო. ქორჩ- ძირი გამოიყოფა ქორჩოლუაშიც, რაც XVII ს. დამდეგს მუხურს (სამურზაყანოში) მცხოვრები საეკლესიო გლეხების გვარია (ქსძ, III, 426).

ქოქაძე - 22 სული (აბაშა - 17, თბ. - 4, სენაკი - 1). ამ -ძე დაბოლოებიანი გვარის სამკვიდრო აბაშის რ. (მარანი - 3 კომლი). ქოქ- ძირს გამოავლენს კოლხური სახელი ქოქოშაც.

ქოქოსაძე - 403 სული. რაჭულ-იმერული გვარია. დაფიქსირდა ინგირში 3 კომლი.

ქოჩაკიძე - 46 სული (თბ. - 21, გარდ. - 7, რუსთ. - 3). ამჟამად სამეგრელოში ეს გვარი არ გვხვდება. ადგ. ვარიანტი ქოჩაქია დამოწმებულია ტოპონიმებში: ლექოჩაქე//ლექოჩაგე - ტყე-ხევი და ბორცვი ნოჟალის მარც. მხარეს (ლეშამუგე). საქოჩაქიო - ყოფილი დასახ. უბანი გოლასკურში (თეკლათის თემი). გიორგი ქოჩაქიძის (ჭალადიდელის) გვარის წარმომავლობასთან დაკავშირებით ი. მუენარგიას მოჰყავს გადმოცემა: თამარ მეფის დროს ზაქარია მხარგრძელს ხორასანში ლაშქრობისას "ქუჩაგიდან" მძევლად წამოუყვანია იქაური მთავრის ძე, რომელიც ქრისტიანული წესით მოუნათლავთ, სამეგრელოში დაუსახლებიათ და გვარად ქოჩაქიძე მიუციათ (ამგვარი გადმოცემა მოჰყავს იოანე ბაგრატიონსაც). გვარ ქოჩაკიძეს აკავშირებენ თურქულ სიტყვასთან ქოჩაკი "მამაცი, თამამი"(გურგენიძე, ჯიქია, 1994, გვ. 20, 117). 1904 წლის აღწერის მონაცემებით, თეკლათში, ბეთლემში, თაიაში, ჯგალში, ჭალადიდში, სირიაჩქონში, პ. ფოთში მოსახლე ქოჩაკიძეები აზნაურები იყვნენ (თუმცა უწინ თავადები ყოფილან).

ქოჩუა - 185 სული (ზუგდ. - 148, თბ. - 10, ზესტ. - 4). ამ მონაცემებიდანაც ცხადია, რომ ქოჩუების სამშობლოა ზუგდიდის რ-ნი: ოდიში - 23 კ., ახალსოფელი – 3 კ., ინგირი - 3 კ. და სხვ. ტოპ.: საქოჩუო - უბანი ოდიშში, ჯუმსა და მელისქურს შუა. ვ. ქოჩუას (დაბად. 1920 წ.) ინფორმაციით, აქაური ქოჩუების წინაპარი ყოფილა მისი პაპის პაპა იაბი ქოჩლაძე, რომელიც ბატონის მოკვლისათვის გამოქცეულა ხირხონისიდან (ზემო რაჭაშია) და აქ, ზუგდიდის მახლობლად, დამკვიდრებულა. კოლხეთში გვხვდება პირსახელები ქოჩო, ქოჩუ, ქოჩუა. ქოჩო "თევზის ფაფარი" შეიძლებოდა მეტსახელადაც ქცეულიყო. იგივე ძირი ჩანს ქოჩოლავაშიც (ილორის ტაძრის წარწერა XI საუკუნისა).

ქოჯიმანია - გვარს აღადგენს ტოპონიმი ნაქოჯმანუ. ასე ეწოდება ვაკეს ოჩხომურის მარც. მხარეს, სადაც, გადმოცემით, ქოჯიმანიას უცხოვრია (გოდოგანი).

ქუთათელაძე - 3131 სული. იმერეთში ფართოდ გავრცელებული ეს გვარი სამეგრელოშიც გვხვდება. კომლი: სერგიეთი - 17, მარტვილი - 5, ქვ. ქვალონი - 3 და სხვ. ადგ. ვარიანტი: ქუთაია. ტოპ.: ლექუთაიე - უბანი აბაშის ნაპირას, სადაც ცხოვრობენ ქუთათელაძეები (ბობოთი).

ქუთელია - 912 სული (ზუგდ. - 324, თბ. - 155, სენაკი - 87). კომლი: ფოცხო - 11, ბანძა - 10, ობუჯი - 9, ერგეტა - 7, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) - 6, ინგირი - 5, ახალაბასთუმანი - 4, კიწია - 4, კოკი - 4, საჩინო - 4, აბედათი - 3, წალენჯიხა - 3 და სხვ. ტოპ.: საქუთელიო - უბანი სქურდილის ხეობაში (ობუჯი), სადაც ქუთელიები ცოტანი დარჩნენ. მათ გარდა აქ 27 გვარის წარმომადგენლები მოსახლეობენ. საქუთელიო - ყოფილი დასახ. უბანი ერგეტაში. ნაქუთელუ - ბორცვი ბეჩას მარჯ.

მხარეს (თაია). კოლხეთში დაფიქსირებულია პირსახელები ქუთა, ქუთუ, საიდანაც შეიძლებოდა წარმოქმნილიყო მოფერებითი ფორმა ქუთელი. მეორე მხრივ, არაა გამორიცხული, ქუთელია ქუთათელიას მარცვალამოღებული ვარიანტი იყოს. ქუთელია სამეგრელოში პირსახელიცაა. XX ს. დამდეგს ლეწურწუმეში მოსახლე სამი კომლი ქუთელია აზნაურის წოდებისა იყო.

ქულავა - 69 სული (ზუგდ. - 30, სენაკი - 14, ბორჯ. - 8). სამეგრელოში ძირძველი მოსახლე იშვიათია. ძირითადად არიან ლტოლვილები. გვარი წარმოქმნილა მეტსახელისაგან ქულა "კოჭლი".

ქულანავა - 34 სული (ზუგდ. - 19, წალენჯ. - 9, ჩხორ. - 1). ჯიხაშკარში დაფიქსირდა 3 კომლი. სხვაგან ცხოვრობენ გაბნეულად. ქულანა ქულას (იხ. ქულავა) მოფერებითი ვარიანტია.

ქუმსიშვილი – 121 სული. აღმ. საქართველოდან მიგრირებულია კოლხეთში (ხეთა - 3 კომლი).

ქუნთელია - 177 სული (თბ. -69, აბაშა - 60, სამტრ. - 21). ქუთელიას ვარიანტი ჩანს. კომპაქტური დასახლება დაფიქსირდა პ. მაისში (18 კომლი).

ქურდიანი - 643 სული (თბ. - 199, მესტია - 96, ბოლნისი - 66). სვანური გვარი გადანაცვლებულია სამეგრელოშიც. კომლი: ნახუნაო - 6, ბანძა - 6 და სხვ. ტოპ.: ნაქურდ(ო)უ - ფერდობები თათულაის მარჯ. მხარეს, სადაც ქურდიანებს უცხოვრიათ (ნალეფსაო).

ქურდობაძე – 84 სული (აბაშა – 42, სამტ – 10, თბ. - 10). არაოფიციალური ვარიანტია ქურდუბაძე. კომპაქტური დასახლება დაფიქსირდა სამიქაოში (15 კომლი).

ქურსუა - 144 სული (ზუგდ. - 55, თბ. - 46, წალენჯ. - 8). სამეგრელოში ძირძველი მოსახლე იშვიათია. ზუგდიდის რ-ნში (ერგეტასა და სხვაგან) დაფიქსირდა რამდენიმე კომლი. მაგრამ გვარის უწინდელ დროში ფართოდ გავრცელებულობაზე მიუთითებენ ტოპონიმები: ლექურსუე//ნაქურსუ// ლეჭანტურე - უბანი ჩქვალერში, მოროჟასა და ტკიბრას შუა, სადაც ამჟამად ჭანტურიები ცხოვრობენ. ლექურსუე//ლექურცუე - ბორცვი კადარღალსა და შქედღალს შუა (ლეახალე). ლექურსუე - სერი ძანძელის მარჯ. მხარეს (ლესალე). ამოსავალი ფუძე ქ უ რ ს უ მეტსახელი ჩანს. ჩვენი ვარაუდი: ქურსუა "დაწიხვლა, დაქუსვლა" → *მ-ქურს-უ "დამქუსლავი, ყოყლოჩინა"→ ქურსუ (მეტსახელი) →ქურსუა (გვარსახელი). შდრ. ჭკადუ "მჭედელი", ტყაჩუ "ტყის მცველი" და სხვ. მეორე მხრივ, "ტბეთის სულთა მატიანეში" დამოწმებული პირსახელი ქურცანა კოლხურისათვის ქურცუ (//ქურსუ) ვარიანტებს გვავარაუდებინებს. იხ. ქურცუა. შდრ. ქურცაძე (407 სული. ძირითადად იმერეთი).

ქურცუა - 64 სული. ქურსუას ვარიანტია. გავრცელებულია გურიაში.

ქუქალია - 90 სული (სამტრ. - 56, ბათ. - 9, აბაშა - 8). კომლი: აბაშა - 3, სამიქაო - 3 და სხვ. გვარი უწინ ფართოდ ყოფილა გავრცელებული. "საცაიშლო დავთარში"(1616-1621 წწ.) აღნიშნულია, რომ დარჩელში ცხოვრობენ საეკლესიო გლეხები: მიჰამია ქუქალია, ვამოგელი ქუქალია, ხახუტია ქუქალია, თოსკვამია ქუქალია (ქსძ, III, 459). ქუქალი "გაუჩუმდი, ხმა გაკმინდე"შეიძლებოდა ბავშვს დარქმეოდა და შერჩენოდა მეტსახელად. შდრ. მიჰამია "მაამე, გულს მომიფონე".

ქუჩუბერია - 21 სული (თბ. - 9, სამტრ. - 3, ჩხორ. - 2). სამეგრელოში იშვიათია. დაფიქსირდა მხოლოდ ჩხოროწყუში. ქუჩუბერი ნიშნავს ქუჩუს შვილს.

ქუჩულორია - 168 სული (წალენჯ. - 51, თბ. - 37, ზუგდ. - 31). კომლი: წალენჯიხა - 24, ფოცხო - 6, ნოჯიხევი - 3, ხობი - 3 და სხვ. იშვიათად გვხვდება ქუჩლორია, ქუჩულია ვარიანტებიც. ტოპ.: ლექუჩ(უ)ლორიე//საქუჩ(ო)ლორიო - უბანი ფოცხოში. ნაქუჩულორ - ტყე ლებარკალაიეში (ბეთლემი). ნაქუჩულუ - ბუჩქნარი ლეთორდეში (მუხური). წალენჯიხასა და მის ახლომახლო სოფლებში მცხოვრები ქუჩულორიები XVIII-XIX სს. მიჯნაზე საუფლისწულო აზნაურები ყოფილან (სოსელია, 1990, გვ. 97). გოქუჩულუა ("მცენარის აყვავება") ზმნის მიმღეობა ქუჩულორი "აყვავებული, აღმოცენებული" შესაძლოა მეტსახელად ქცეულიყო. მეორე მხრივ, ქუჩუ პირსახელია და ქუჩულორი შეიძლება ჩავთვალოთ მის მოფერებით ვარიანტად. XX ს. დამდეგს უშაფათსა და წალენჯიხაში მოსახლე ქუჩულორიების ერთი ნაწილი აზნაურის წოდებისა იყო.

ქუცურუა - 83 სული. გვარის ძირითადი საცხოვრისია ჩხოროწყუ (16 კომლი, 64 სული). ამავე ფუძისაა ქუცურავა: 1616-1621 წწ. საბუთში ჯგალის ციხის მებგრეთა შორის დასახელებულია ამარცალია ქუცურავა (ქსძ, III, 480). ქუცურუა ცოცხალი სიტყვაა მეგრულში. მისი მნიშვნელობაა: "პატარა ტანისა და გამხდარი, გასაცოდავებული".

ქუხილავა - 801 სული (წალენჯ. - 357, ზუგდ. - 247, თბ. - 65). კომლი: ჩქვალერი - 34, ჩხორია - 15, ჯვარი - 13, ლია - 9, რიყე - 7, ახალაბასთუმანი - 3 და სხვ. ტოპ.: საქუხილა//საქუხილო - უბანი ტყაიაში. ინფ.: "აქაური ქუხილავები (ისევე, როგორც შეროზიები და მატუები) ჯვარიდან მოსულან". საქუხილო - უბანი კახათში. ქუხი სახელია კოლხეთში და ქუხილაც მისი მოფერებითი ვარიანტი ჩანს.

## ღ

ღადალაძე - 41 სული (სენაკი - 16, თბ. - 15, ბათ. - 3). ამ -ძე დაბოლოებიანი გვარის სამშობლო სამეგრელოა. ძვ. სენაკში დაფიქსირდა 4 კომლი. აქვე, ჭიჟე შხეფში, უბანს ეწოდება საღადალაძო. ღადალა (მეგრ.) "მოღადავე, ბევრის მოლაპარაკე" ქცეულა ეპონიმის მეტსახელად.

ღადუა - 240 სული (ზუგდ. - 45, თბ. - 39, ფოთი - 30). კომლი: ხობი - 8, ბია - 5, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) - 3, ნოჯიხევი - 3 და სხვ. ტოპ.: საღადუო - უბნები ახალსოფელში (ზუგდიდის რ.), ზენში (საჯიჯაოს თემი), ბია-საშონიოში და ყოფილი დასახ. უბანი ჯაპშაქარში. ღადუ პირსახელია.

ღამბეშია - და მისი ვარიანტი ხამბეშია, როგორც საპასპორტო გვარი, დაფიქსირდა სენაკში.

ღანკანია - გვარს აფიქსირებს ტოპონიმი ლეღანკანე. ესაა ბორცვი ქოყოში (მუხურის თემი). პრეფიქსი ლე- იმაზე მიუთითებს, რომ აქ ღანკანიების საცხოვრისი იყო და სახელიც მაშინ დაერქვა.

ღაღანაძე - 26 სული (სენაკი - 19, ქუთ. - 5, სამტრ. - 2). სამეგრელოში წარმოქმნილი გვარია. ახალსოფელში (სენაკის რ.) მოსახლეობს 7 კომლი. ღაღა, ღაღანელა, ღაღუ კოლხური სახელებია.

ღაჭავა - 696 სული (ზუგდ. - 173, თბ. - 137, მარტვ. - 50). კომლი: რუხი - 22, ინგირი - 6, ცაიში - 4, ვედიდკარი - 4 და სხვ. ღაჭაჭა "კიბორჩხალა, ცხრაფეხა" შეიძლებოდა მეტსახელად ქცეულიყო. ამ შემთხვევაში ღაჭაჭავასაგან მარცვლის ამოვარდნით მივიღებდით ღაჭავას.

ღვამბერია - 109 სული (თბ. - 34, სენაკი - 23, ზუგდ. - 15). კომპაქტური დასახლება აღინიშნა ახალაბასთუმანში (4 კომლი). ტოპ.: საღვამბერიო - უბნები ახალაბასთუმახსა და შუა ხორშში. გადმოცემით, ღვამბერია ყოფილა ღოღობერიძე ზესტაფონიდან. იქ კაცი მოუკლავს და აქ დადიახს მინდობია (ღოღობერი ნიშნავს "ღოღოს შვილს"). ღოღობერიძისაგან ღვამბერიასა და ღვაბერიძის (იმერეთში) მიღება ფონეტიკურად შესაძლებელია. ღვამბერიები აზნაურები ყოფილან.

ღვამიჩავა- 102 სული (ფოთი - 41, თბ. - 22, გორი - 7). ქვ. ჭალადიდში მკვიდრობს 12 კომლი. მათს სოფელს კიდეც ეწოდება საღვამიჩავო (რიონის მარჯ. ნაპირას). ახალი საღვამიჩავო კი უბანია საბაჟოში: 1950 წელს აქ, სენაკი-ფოთის გზაზე, დასახლდნენ ბაღდათისა და საჩხერის რ-ნებიდან გადმოსახლებულნი. მათს უბანს დაერქვა ახალი საღვამიჩაო, რადგან შედიოდა სოფ. საღვამიჩავოს კოლმეურნეობაში. ღვამიჩავა ალბათ შავლოყას ნიშნავს. შდრ. ღუამჭითავა (ქსძ,III, 350). 1904 წელს საღვამიჩავოში მოსახლე ღვამიჩავების სამი კომლი აზნაურის წოდებას ატარებდა.

ღვანია - 207 სული (აბაშა - 81, ფოთი - 65, თბ. - 15). კომპაქტური დასახლება აღინიშნა სეფიეთში (17 კომლი), სადაც მათს უბანს ეწოდება საღვანიო. გადმოცემით, მესისხლეობის შიშით ხონიდან გამოქცეულ ღვამბერიძეებს სეფიეთში გვარი ღვანიად გადაუკეთებიათ. შდრ. ღვანიძე (იმერეთი).

ღვინჯილია - 2469 სული (წალენჯ. - 577, ზუგდ. - 398, თბ. - 385). კომლი: ფუქი - 78, წალენჯიხა - 43, ზანა - 20, ფოცხო - 11, ახალხიბულა - 9, ახალსოფელი (სენაკის რ.) - 7, ლესიჭინე - 6, კახათი - 4, ზუმი - 4, მუხური - 4 და სხვ. ტოპ.: ლეღვინჯილე - სოფელი სქურჩის მარჯ. მხარეს (ფუქი) და უბანი ხანჯარა-მეტერიას შუა (ფოცხო. ინფ.:"ძმებს წალენჯიხაში ბატონი მოუკლავთ და გამოქცეულან. ერთი, ბუჭუხა, აქ დამკვიდრებულა, მეორე — ზანაში"). საღვინჯილიო - უბანი ზუბში (ახალხიბულის თემი). ნაღვინჯიუ - სახნავი ნახუნაოში. ღვინჯუა აღნიშნავს დამწიფებას. ალბათ ღვინჯილი "დამწიფებული" იქცა ჭკუადამჯდარი კაცის მეტსახელად და გვარიც მისგან წარმოიქმნა. შდრ. ღვინჯუა.

ღორჯომელიძე - 462 სული. მესხური გვარი დაფიქსირდა კეთილარში (3 კომლი).

ღუბელანძე - რამდენიმე კომლი სახლობს ახალსოფელში (ზუგდიდის რ.). შდრ. ღრუბელაძე.

ღულავა - ძალზე იშვიათი გვარია. ოქტომბერში დაფიქსირდა 3 კომლი. ღულა "მრუდე" ეპითეტია ავი საქმეების მკეთებელი კაცისა. მეორე მხრივ, ღულავა შეიძლება მიღებული იყოს ღულათავასაგან თა მარცვლის ამოვარდნით. შდრ. ღულაძე (64 სული. ძირითადად ქუთაისში).

ღულათავა - 94 სული. გვარის სამკვიდროა ზუგდიდის რ-ნი: დარჩელი - 17 კომლი, ზუგდიდი — 14 კომლი და სხვ. ტოპ.: საღულათაო- დასახ. უბანი დარჩელში. იხ. ღულავა, ღურათავა.

ღურათავა - გავრცელებული ყოფილა მთიან სამეგრელოში, რასაც ადასტურებენ ტოპონიმები: ლეღურათე - ტყე-საძოვრები ხობისწყლის ხეობაში, მუხურიდან რამდენიმე კმ-ზე. ნაღურათუ - სერი მოროჟასა და ინწირას შუა (ჩქვალერი). ნაღურათუ//ნაღორათუ - ბორცვი ლეღვინჯილეში, სამართალასა და კაკაურიას შუა. შდრ. ღულათავა.

ღურწკაია - 2828 სული (ზუგდ. - 1359, წალენჯ. - 320, თბ. - 285). კომლი: რუხი - 32, შამგონა - 30, ძვ. ხიბულა - 30, ახალაბასთუმანი — 13, დოშაყე - 12, ახალხიბულა - 8, განარჯიის მუხური - 7, დარჩელი - 7, დ. ჭყონი - 7, ნარაზენი - 7, ოდიში - 7, ლია - 5 და სხვ. ტოპ.: საღურწკაიო - უბნები შამგონაში, ახალაბასთუმანში, ახალკახათში, ცაიშის კახათში, ნარაზენში, ახალხიბულაში, ძველ ხიბულაში (ინფ.: "წინაპრები ყოფილან იმერეთიდან. იქ დადიოდნენ მოსალოცავად. გზაში თურმე სამი ქალამანი ცვდებოდა"). ნაღურწკუ - ფერდობები ლეჟავანიეში. ღურწკა პირსახელია.

ღურჭუმელია - 85 სული (თბ. - 48, წყალტ. - 13, მარტვ. - 7). მარტვილში დაფიქსირდა 3 კომლი. ღურჭუმ- ფუძე გამოიყოფა აგრეთვე გვარებში - ღურჭუმალიძე, ღურჭუმელაძე, ღურჭუმელიძე (ყველა დას. საქართველოში). გადმოცემით, ლეჩხუმში, სოფ. ნასპერში, მცხოვრები ღურჭუმალიძეების წინაპრები ყოფილან ილორიდან გამოქცეული მეგრელები. სამი ძმიდან ერთი გურიაში წასულა (ამჟამად მკვიდრობენ ოზურგეთის რ-ნში და იწერებიან ღურჭუმელიძეებად), მეორე დარჩენილა სამეგრელოში, ე.წ. ბაბუაშვილის ხიდთან (ალბათ ესენი არიან ღურჭუმელიები), ხოლო მესამეს მიუღწევია ლეჩხუმამდე (იხ. თოფჩიშვილი, 1993, გვ. 17).

**ღურჯია** – 189 სული (ფოთი – 55, ხობი – 55, ზუგდ. – 42). კომლი: შ. ხორგა – 9, ქარიატა – 5 და სხვ. ტოპ.: საღურჯიო – უბანი გამოღმა ქარიატაში, ღადიდის მარც. მხარეს. ღურჯია//ღურჯიაშ ტობა – მორევი ჭიჭე ტებენის სათავესთან (ნაშამგუ). ღურჯიანოხორი – ბორცვი ლესორდიეში (გარახა). პირსახელები ღურჯა, ღურჯი, ღურჯია გვხვდება კოლხეთშიც და "ტბეთის სულთა მატიანეშიც".

## ყ

**ყალიჩავა** – 2010 სული (ზუგდ. – 649, ჩხორ. – 559, თბ. – 237). კომლი: ინგირი – 82, ნაკიანი – 31, ჩხოროწყუ – 31, ხაბუმე – 29, ქვ. ქვალონი – 12, ჭკადუაში – 9, ახალაბასთუმანი – 6, განარჯიის მუხური – 4, ურთა – 4, ქვ. სენაკი – 4 და სხვ. ადგ. ვარიანტები: ყალ(ი)ჩა, ცალ(ი)ჩა. ტოპ.: ლეყალიჩე//ლეცალიჩე – ეწოდება სამ უბანს ნაკიანში. გამოარჩევენ: შქედიშ ლეცალიჩე, კადარიშ ლეცალიჩე, სუკიშ ლეცალიჩე. ლეცალიჩე – უბანი მოიდანახეში, ხობისწყლის მარც. მხარეს. ლეცალ(ი)ჩე – უბანი ოირემეში, სოფლის ცენტრალურ ნაწილში. ლეცალჩე//საცალიჩო – უბანი ჭკადუაში, ჩხოუშიის ნაპირას. საცალიჩო – უბნები ინგირსა და ურთაში. საცალჩო – უბანი დურღენაში. ცალჩა (←ცალუჩა) ნიშნავს "შავკისერას". ა. ტუღუშის მტკიცებით, "მეგრულ გვარსახელში ყალიჩავა ადვილად ამოიცნობა თურქული სამოხელეო ტერმინი ყალიჩი. ეს უკანასკნელი ქართულში XVIII საუკუნის დამდეგს უკვე დამკვიდრებულია" (ტუღუში, 1991, გვ. 26).

**ყიფიანი** – 2790 სული. იმერეთში ფართოდ გავრცელებული გვარია (აზნაურები იყვნენ). ჩხოროწყუში დაფიქსირდა 6 კომლი. სულხან-საბას მიხედვით, ყიფი ნიშნავს ამაყს, მედიდურს.

**ყიფშიძე** – 2460 სული. გვარი იმერეთიდან მიგრირებულა სამეგრელოში ათეულამდე კომლის რაოდენობით. მათგან ქვ. ჭალადიდში ცხოვრობს 3 კომლი.

**ყოლანდარია** – 58 სული. გვარი თითქმის მთლიანად ზუგდიდის რ-ნშია განსახლებული: კახათი – 4 კ., ზუგდიდი – 7 კ. და სხვ. შესაძლოა, გვარს საფუძვლად დაედო სპარსულიდან ქართულში შემოსული ხელობის სახელი ყოლანდარი, ანუ მეყოლანე ("ცხენის მოსართავის მკეთებელი". იხ. მაისურაძე, 1981, გვ. 186). მეორე მხრივ, ყოლანდარი კოინდარია და არც ასეთი სახელის გამეტსახელება არის შეუძლებელი სათანადო მოტივირების არსებობისას.

**ყოლბაია** – 2503 სული (ზუგდ. – 1082, თბ. – 566, წალენჯ. – 194). აფხაზურ-მეგრული გვარია. ძირძველი მოსახლე სამეგრელოში იშვიათია (წალენჯიხა – 4 კომლი). არიან ლტოლვილებიც. იშვიათი საპასპორტო ვარიანტები: ყულბაია (30 სული. ძირითადად ზუგდიდი), ყოლბია (31 სული. ზუგდიდი).

**ყორშია** – 428 სული (ზუგდ. – 235, თბ. – 36, ფოთი – 11). კომლი: ანაკლია – 28, ბულიწყუ – 20, განარჯიის მუხური – 5, ხობი – 5, ლეწურწუმე – 4 და სხვ. ტოპ.: საყორშიო – უბანი ანაკლიაში, ენგურის ნაპირას. გვარი მომდინარეობს მეტსახელისაგან ყორში, რაც ნიშნავს მოურიდებელს, უხეშს, ყოყოჩას. შდრ. კორშია, რომელიც ძირითადად სენაკის რ-ნშია განსახლებული.

**ყურაშვილი** – 4971 სული (თბ. – 1167, ქუთ. – 755, ცაგერი – 492). კომლი: ფოცხო – 29, ძვ. ხიბულა – 13, ძვ. სენაკი – 10, აბედათი – 7, ახალსოფელი (სენაკის რ.) – 6, ზანა– 6, ბანძა – 5, ზ. ქვალონი – 5, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) –4 და სხვ. ადგ. ვარიანტები: ყურასქუა, ცურუა, ცურასქუა. ტოპ.: ეცურუე//ეცურასქუე – უბანი ემესხესა და ედიხამინჯიეს შუა (ჯოლევი). ინფ.: "გლეხები იწერებოდნენ ყურუად, სამღვდელონი ყურაშვილებად. ახლა პასპორტში ყველას ყურაშვილი უწერია". საყურასქუო//საყურაშვილო – უბანი ძვ. ხიბულაში. საყურაშვილო – უბანი ფოცხოში, ცივის ნაპირას. XV-XVI სს. საისტორიო საბუთების მიხედვით, ამ პერიოდში ლეჩხუმში ცხოვრობენ ყურაშვილები. ყურაშვილებსა და ყრუაშვილებს საერთო წარმომავლობა ჰქონიათ, ოღონდ ყრუაშვილები აზნაურები ყოფილან. ყურა, როგორც მეტსახელი, შეიძლება ნიშნავდეს ყურიანს. იგივე ფუძეა გვარ ყურავაშიც (73 სული. ძირითადად იმერეთში). იხ. ყურუა. შდრ. ყურაძე (31 სული. ძირითადად გურიაში).

**ყურუა** – 634 სული (წალენჯ. – 143, ზუგდ. – 94, სენაკი – 68). კომლი: ჯვარი – 25, ხობი – 13, ზანა – 12, ვედიდკარი – 11, საჩინო – 10, შ. ხორგა – 7, ორსანტია – 6, ოქტომბერი – 6, ზ. ჭალადიდი – 5, ახალსოფელი (ხობის რ.) – 4, სამიქაო – 3 და სხვ. ადგ. ვარიანტი: ცურუა. ტოპ.. ლეცურუე – უბნები კუხეშსა (ინწირის მარც. მხარეს) და ჯვარში (მაგანის მარც. მხარეს), აგრეთვე ტყე-ფერდობები ლექარჩეში (შქედღალის მარჯ. მხარეს). ლეცურუე//ლეცურასქუე – უბანი ფოცხოში (მეტერიის მარჯ. მხარეს). ინფ.: "ცურუები ყოფილან ყურაშვილები ლეჩხუმიდან, ოყურეშიდან. იწერებოდნენ ყურუებად, ახლა ყურაშვილობას ამჯობინებენ". ცურუ მეგრულში ნიშნავს ყრუს, ხამს, გაუგებარს, შეუგნებელს, უმწიფარს. უფრო ხშირად ახალგაზრდაზე იტყვიან.

**ყურშუა** – 39 სული (ზუგდ. – 38, ხობი – 1). სამეგრელოში ძირძველი მოსახლე ძალზე იშვიათია. ძირითადად არიან ლტოლვილები. მეგრული ყურშუა, ცურშუა "ბევრის დალევა" ეტიმოლოგიურად

დაკავშირებულია ქართულ ყურსვასთან (ეტიმ. ლექსიკონი, 1990, გვ. 375). ყურშუ "მყლურწავი" სწორედ ამ ზმნის სასუბიექტო მიმღეობაა. დაკარგულია თავსართი -მ. შდრ.: ჭკადუ "მჭედელი", დგუმუ (ანუ მადგუმალი) "მდგმელი" და სხვ. (ყიფშიძე, 1994, გვ. 146, 428).

ყურწუა - ძალზე იშვიათი გვარია. ზუგდიდის რ-ნში დაფიქსირდა ორიოდე კომლი. ყურწუა "ყლურწვა. უზომოდ და უშნოდ სმა"→ მ-ყურწ-უ →ყურწუ "უზომოდ მსმელი. მყლურწავი", საიდანაც ჯერ მეტსახელი, ხოლო შემდეგ გვარი წარმოქმნილა.

ყუფუნია - 435 სული (ზუგდ. - 281, თბ. - 55, მარტვ. 29). კომლი: ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) - 25, ჩხორია - 5 და სხვ. ტოპ.: საყუფუნიო - უბნები ჩხოუშიის მარჯ. მხარეს (ჭკადუაში, ჩხორია) და ჯუმის მარჯ. მხარეს (ახალსოფელი, ზუგდიდის რ.). გადმოცემით, ყუფუნიების წინაპრები მოსულან ოცინდალედან (ნასოფლარია ჩხოროწყუს რ-ნში). გვარს, როგორც ჩანს, დიდი ხნის ისტორია აქვს. თითქმის 4 საუკუნის წინანდელ საეკლესიო საბუთში დასახელებულია "ხაყუფუხოუ სასახლე" და "ყუფნიასეული ბაში" (პალ. II, გვ. 7).

## შ

შადანია - 50 სული (ზუგდ. - 27, თბ. - 9, რუსთ. - 2). კომპაქტური დასახლება გვარს არ მოეპოვება. ოდიშში, დღურუს მარც. მხარეს, უბანს შემორჩა სახელწოდება ლეშადანე. შესაძლოა შადან იყოს შადიმანის მარცვალამოღებული ვარიანტი. შდრ. აგრეთვე შავარდენიძე, შედანია.

შავაძე - 4516 სული. იმერეთში, გურიასა და აჭარაში ფართოდ გავრცელებული გვარია. 8 კომლი ჩასახლებულია კეთილარში. გვარის ფუძეა მეტსახელი შავა. შდრ. უჩავა.

შავდია - 252 სული (თბ. - 128, მარტვ. 12, ბათ. -18). ერთი იმ გვართაგანია, თითქმის მთლიანად დედაქალაქში რომ არის გადაბარგებული და საშობლო კუთხეში იშვიათია: ფოცხოსა და გაჭედილში დაფიქსირდა ორიოდე კომლი. 1904 წლის აღწერის თანახმად, შავდიები აზნაურები არიან და მკვიდრობენ სალხინოში, ლეცავეში, ბალდაში, ბეთლემში, კიწიაში, ნახუნაოში, ხალეფსაოში. ი. ბაგრატიონის გენეალოგიურ ნაშრომში კი ოდიშის აზნაურთა შორის დასახელებულია შავდიაშვილი.

შათირიშვილი - 2547 სული. კახეთში გავრცელებული გვარია. 8 კომლი დაფიქსირდა პ. მაისში.

შაკაია - 587 სული (ზუგდ. - 223, თბ. - 143, წალენჯ. - 36). კომლი: კოკი - 3, ორსანტია - 2 და სხვ. არიან ლტოლვილებიც. ტოპ.: ნაშაკუ - ბორცვი ლეცირგაიეში (მოიდანახე). შაკა პირსახელია.

შალამბერიძე - 3679 სული. ქვეყნის მასშტაბითაც (149-ე ადგილი) და იმერეთის რეგიონშიც (2824 სული. XX ადგილი) ფართოდ გავრცელებული გვარია. კომლი სამეგრელოში: პ. მაისი - 16, ზანა - 6, ნაქალაქევი - 5 და სხვ. იშვიათად დასტურდება საპასპორტო ვარიანტი შალამბერია. გვარში გამოიყოფა კოლხური ბერ "ვაჟიშვილი". თვლიან, რომ შალამბერი მომდინარეობს შალვაბერისაგან. XX ს. დამდეგს ნოქალაქევში მცხოვრები ორი კომლი შალამბერიძე აზნაურის წოდებისა იყო. ასევე აზნაურები იყვნენ თეკლათში მოსახლე ერთი კომლი და აბაშაში მოსახლე 4 კომლი შალამბერია.

შამათავა - 2601 სული (ზუგდ. - 705, სენაკი - 584, თბ. 377). ყველაზე გავრცელებულ ათას ქართულ გვარში 288-ე ადგილი უკავია, სენაკის რ-ნში კი — მერვე. კომლი: ფოცხო - 50, საჯიჯაო - 42, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) - 12, ახალკახათი - 8, დარჩელი - 7, ყულევი - 6, ნოსირი - 5, კირცხი - 4, მენჯი - 4, ქვ. ქვალონი - 4 და სხვ. ტოპ.: ლეშამათე -. უბნები ფოცხოსა (მეტერიასა და ცივს შუა) და მოხაშში (გურძემიის მარჯ. მხარეს). საშამათო - უბანი ჯაპშაქარში, საკილასოხიოსა და სანადარაიოს შუა. საშამათო//სატაბაღუო - უბანი სახოჭოლავოში (ზ. ქვალონის თემი), აქ მოსახლეობდნენ შამათავები. დარჩა ერთი ოჯახი. მომრავლდნენ ტაბაღუები. არაა გამორიცხული, შამათა სვანეთსა და სამეგრელოში დაფიქსირებული პირსახელ შარმათის ვარიანტი იყოს.

შამანაძე - 487 სული. იმერეთსა და გურიაში გავრცელებული გვარია. საგვიჩიოში ჩასახლებულია 5 კომლი. შამა პირსახელია კოლხეთში და შამანა მისი მოფერებითი ვარიანტი ჩანს.

შამახია - 65 სული. მთლიანად ზუგდიდის რ-ნშია განსახლებული. კომლი: კახათი - 17, ახალკახათი - 2 და სხვ. კახათშივე, ენგურის მარც. მხარეს, არის უბანი საშამახიო. შამა პირსახელია კოლხეთში. ხ სუფიქსი გამოხატავს წარმომავლობა-შთამომავლობას. მაშასადამე, შამახი ნიშნავს "შამასი. შამას შთამომავალი". გვარის თავკიდურ მარცვალში ო და ა ხმოვნების მონაცვლეობა სხვა შემთხვევაშიც დასტურდება: მოლაშხია - მალაშხია, მორგოშია - მარგოშია... შდრ. შომახია.

შამბეშოვი - მუხურში ცხოვრობს 6 კომლი (21 სული). მათი წინაპარი საუკუნის წინათ ჩამოსულა მასწავლებლად და აქვე დაოჯახებულა. მისი შთამომავლების მშობლიური ენა ქართულია. ოჯახსა და სამეზობლოში მეგრულად მეტყველებენ.

შამუგია - 2623 სული (ზუგდ. - 1161, თბ. - 487, წალენჯ. - 452). სულთა რაოდენობით ქვეყანაში უკავია 282-ე, ხოლო სამეგრელოში - 41-ე ადგილი (1829 სული). მრავალრიცხოვან გვარად ითვლება ზუგდიდისა (22-ე ადგილი) და წალენჯიხის (28-ე ადგილი) რ-ნების მასშტაბითაც. კომლი: ცაიში - 80, ოქტომბერი - 42, მუჟავა - 37, ჭალე - 31, კოკი - 14, ჯვარი - 10, ინგირი - 9, ლია - 6, წალენჯიხა - 6,

ჩქვალერი - 5, ახალაბასთუმანი - 4, ქარიატა - 4, ჩხორია - 4 და სხვ. ადგ. ვარიანტი: შამგია. ტოპ.: ლეშამუგე (ადგ. ვარიანტი: ლეშამგე) - სოფელი ნოქალის მარჯ. მხარეს, მაღლობზე (ჩქვალერის თემი. აქ შამუგიები ძალზე ცოტანი დარჩნენ. სხვა გვარი ჭარბობს). ნაშამგუ - სოფელი ოლორის მარჯ. მხარეს, მუქავის თემში (გადმოცემა: ამ სოფელში მოსახლე შამუგიები ყარაჩებს ამოუწყვეტიათ. ერთი ორსული ქალი გადარჩენილა და მისგან ისევ მომრავლებულან). ნაშამგუ//შამგიაშ ნოხორი - ბორცვი ტებენის მარჯ. მხარეს (ფახულანი). საშამუგიო - უბნები შამგონაში, ჩხორიაში, ცაიშში (აქაური შამუგიები მოსულან ჯვარიდან) და ყოფილი დასახ. უბანი გამოღმა ქარიატაში. შამა, შამე, შამუ პირსახელებია კოლხეთში (შდრ. შამიგია და შამიგელა სვანეთში). -გია დაბოლოება სხვა გვარებშიც დასტურდება (ხვინგია, უჩაგია...). ვარიანტები შამაგუა და შამუგუა დასახელებულია შქაწყალის (აბჟუა) იმ მცხოვრებთა შორის, რომელნიც 1837 წ. მოინათლნენ (იხ. გასვიანი, 1991, გვ. 182).

**შანავა** - 1887 სული (წალენჯ. - 1036, ზუგდ. - 414, თბ. - 186). წალენჯიხის რ-ნში გვარს უკავია VIII ადგილი. თვით წალენჯიხაში დაფიქსირდა 388 კომლი, სოფლებში კი - ბევრად ნაკლები: ჭითაწყარი - 11, რუხი - 8, ჯვარი - 7, ლია - 3, ორულუ - 3, ხეთა - 3 და სხვ. შანა პირსახელია (ქსს, 1986).

**შანგუა** - 130 სული (თბ. - 46, მარტვ. - 28, ზუგდ. - 19). ონოღიაში დაფიქსირდა 4 კომლი, ზოგ სხვა სოფელში - თითო-ოროლა. ტოპ.: ეშანგუე - ყოფილი დასახ. უბანი, ამჟამად ჩაის პლანტაციები ონოღიაში. ვარიანტი შანგულია გვხვდება "საცაიშლო დავთარში" (1616-1621 წწ.), საიდანაც ვიგებთ, რომ დარჩელში ცხოვრობენ საეკლესიო გლეხები პირნათელი შანგულია და მისი ძმები, აგრეთვე ქიაჩარამ და ასპანაი შანგულიები (ქსძ, III, 464). აქვეა დასახელებული ორი კომლი შანგლაია (შანგლაია შანგულაიას ვარიანტი ჩანს). შანგუ მეგრულში შავს აღნიშნავს და პირსახელიცაა.

**შანიძე** - 2588 სული. გურიასა და იმერეთში გავრცელებული გვარი მიგრირებულია მეზობელ სამეგრელოშიც, კერძოდ, ქვ. ქვალონში ცხოვრობს 3 კომლი. გვარი დამოწმებულია 1790 წელს შედგენილ საბუთში (ქსძ, III, 995). გვარ შანიძეს ეტიმოლოგიურად აკავშირებენ სპარსულ საკუთარ სახელთან შაინ//შაჰინ, რაც "თეთრ ქორს" ნიშნავს.

**შარაბია** - ან შარბაია დაფიქსირებულია ტოპონიმით ლეშარბე. ასე ეწოდება ტყე-ფერდობებს მაგანის მარც. მხარეს, ჯვარიდან რამდენიმე კმ-ზე. შდრ. შარაბიძე (აჭარა, იმერეთი).

**შარანგია** - 422 სული (თბ. - 156, ზუგდ. - 130, ქუთ. - 25). სამეგრელოში ძირძველი მოსახლე მხოლოდ ორიოდე კომლი დაფიქსირდა. დანარჩენები ლტოლვილები არიან. გვარ შარანგიას აკავშირებენ სპარსულ სიტყვასთან შარანგი "წესრიგის დამცველი. ბოქაული. იასაული"(ქეგლ).

**შარაშია** - შერვაშიძის მეგრული ვარიანტია. ცხოვრობენ ხურჩაში (სოფელი ენგურის მარჯ. ნაპირას. კოკის თემი). აქვეა უბანი საშარაშიო. იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი 1654 წ. ნეაპოლში გამოცემულ "სამეგრელოს აღწერაში" აღნიშნავს, რომ ლევან დადიანმა "ცოლად შეირთო აფხაზეთის მთავრის შარაშიას ქალი" (ლამბერტი, 1991, გვ. 23). ცნობილია კასტელის პორტრეტი "აფხაზეთის მთავარი სეტემან შარაშია"(XVII ს.). ამოსავალი უნდა იყოს პირსახელი შარა (შდრ. შარაძე), რასაც დართვია კოლხური სუფიქსი -ში. მაშასადამე, შარაში ნიშნავს: შარასი, შარას შთამომავალი. -ა გვარის მაწარმოებელი სუფიქსია. შარაშიძე, შერვაშიძე "ქართიზაციის" შემდგომდროინდელი ვარიანტი ჩანს.

**შარაქუა** - გვარს აღადგენს ტოპონიმი ნაშარაქუ//ნაშარაფუ. ესაა სერი ლეღვინჯილეში.

**შარია** - 1089 სული (ზუგდ. - 578, თბ. - 255, ხობი - 75). შამგონაში ცხოვრობს 15 კომლი. აქვე, სოფლის მთავარ გზაზე, არის უბანი საშარიო. გვარი შარია 1904 წლის აღწერის მასალებში შეტანილია შაარია ფორმით. სვანური და მეგრული პირსახელები შარუ, შარმათ, შარვან, შარდენ... გვავარაუდებინებს შარი ვარიანტსაც, რაც ჩანს აგრეთვე გვარში შარინავა (იხ. 1621 წ. საეკლესიო საბუთი. ქსძ, III, 430). შდრ. შარიაშვილი, შარაშია.

**შარტავა** - 338 სული (სენაკი - 117, თბ. - 51, წალენჯ. - 42). კომლი: ხორში - 10, ობუჯი - 6 და სხვ. ტოპ.: საშარტაო - უბანი პ. ზანაში (ხორშის თემი). შესაძლოა, შარტა იყოს შემოკლებული ფორმა სვანური პირსახელისა შარტანი,რაც ისტორიულადაა დოკუმენტირებული.

**შარუხია** - 115 სული (თბ. - 47, ფოთი - 27, ბათ. - 19). მოსახლეობენ დაფანტულად ფოთში, გეჯეთში, ზუგდიდში. ტოპ.: საშარუხიო - უბანი მეორე ონტოფოში. შარუ (← შარვან) კოლხეთში გავრცელებული სახელია. სუფიქსი -ხ სხვა გვართა ბოლოშიც გვხვდება (გოგოხია, სხულუხია...) და წარმომავლობა-შთამომავლობაზე მიანიშნებს. შარუხი დასტურდება "ქართლის ცხოვრებაშიც".

**შაფათავა** - 271 სული (თბ. - 129, სენაკი - 50, ბათ. - 27). 1621 წ. შედგენილ საეკლესიო გლეხთა დავთარში აღნიშნულია: "არის სენაკს შაფათაა, მართებს..."(ქსძ, III, 413). შაფათავები დღესაც მკვიდრობენ ძვ. სენაკში, ე.წ. ჭიჭე შხეფში (11 კომლი), სადაც მათს უბანს ეწოდება საშაფათო. შაფათავას ასახელებენ იმ გვართა შორის, რომელნიც წარმოქმნილნი არიან დღეების აღმნიშვნელი სიტყვებისაგან. კვირის დღეთა სახელების მიხედვით ბავშვის სახელდება არაა იშვიათი მოვლენა, მაგრამ შაბათ დღეს მეგრულში აღნიშნავს "საბატონი". შაფათა კოლხურში დაფიქსირებულია პირსახელად (იხ. ქსს, 1986) და, მაშასადამე, ხასეხებია (ქართულიდან ან სხვა ენიდან)..

**შაყლანძე** - 52 სული. განსახლებულია ზუგდიდის რ-ნში (დარჩელი - 6 კომლი და სხვ.)

შეგელია – შენგელიას ვარიანტია. ჭაქვინჯში, ერას მარჯ. მხარეს, უბანს ეწოდება საშეგელიო.

შედანია – 543 სული (ზუგდ. – 489, თბ. – 23, წალენჯ. – 16). კომლი: კახათი – 60, ოდიში – 25, კოკი –4, ორსანტია – 4 და სხვ. ტოპ.: ლეშედანე – ყოფილი დასახ. უბანი სინწის მარც. მხარეს (ჩხოუში, ოდიშის თემი). საშედანიო – უბანი კახათში. შედან გავრცელებული პირსახელია ძვ. საქართველოში: 1578 წლის საბუთში დასახელებულია შედანა აბუდალაძე (პალ, I, 62).

შელეგია – 233 სული (თბ. – 90, ჩხორ. – 33, მარტვ. – 28). კომლი: ახუთი – 10, აბედათი –7 და სხვ. შელ- ფუძე ჩანს აგრეთვე შელიაშიც. -გია დაბოლოება სხვა გვარებთანაც დასტურდება.

შელია – 3058 სული (ზუგდ. – 1055, წალენჯ. – 648, თბ. – 520). საქართველოში 202-ე ადგილი უკავია, სამეგრელოში – 29-ე (2032 სული). ზუგდიდის რ-ნში ეს გვარი 30-ე ადგილზეა, წალენჯიხის რ-ნში კი – მე-12-ზე. კომლი: საჩინო – 114, დარჩელი – 39, წალენჯიხა – 29, ახალკახათი – 21, პ. ხორგა – 17, ჯიხაშკარი – 16, თორსა-დღვაბა – 15, ჩხოროწყუ – 15, ჭაქვინჯი – 8, კეთილარი – 7, ჭითაწყარი – 7, ლია – 5, დიდი ნეძი – 5 და სხვ . ადგ. ვარიანტი: ფშელია. ტოპ.: საშელიო – უბანი ქვედა გურახაში (გურახა). ნაშელუ საჯიქიო – სერი, უბანი ლადიდის მარჯ. მხარეს (ცირცხი. ინფ.: "აქ მცხოვრები შელიები დადიანს გაუყიდია და ადგილსაც ნაშელუ დარქმევია. ჯიქიები მერე დასახლებულან"). საშელიო – უბნები ჯიხაშკარში, ჭაქვინჯში (ლანდღვეღალის ნაპირას), თორსაში (თოლისქურის ნაპირებზე), გამოღმა პ. ხორგაში. საფშელიო – უბანი წყურგილეში (დარჩელი). ამ გვარზე -ვა სუფიქსის დართვით მიღებულია მცირერიცხოვანი გვარი შელიავა (28 სული თბილისში, ოზურგეთსა და ქუთაისში). ისტორიულად შელიები თავადებიც ყოფილან, აზნაურებიც და გლეხებიც. კერძოდ: ნაჯაგურს შელიები თავადები იყვნენ, საჩინოელი შელიების მცირე ნაწილი – აზნაურები (მათ ევალებოდათ აფაქიძეების ხლება მგზავრობისას), ხოლო უმეტესი ნაწილი – გლეხები (სოსელია, 1990, გვ. 166). 1904 წელს ჩხოროწყუში, ლეჯიქეში, მოიდანახეში, ნაჯაგურში, ახუთში, ზენში, ჭოლაში, ლექარჩეში, ლეწურწუმეში, ჯვარში მოსახლე შელიები თავადები არიან, ხოლო ჭაქვინჯში მოსახლე შელიები – აზნაურები. ი. ბაგრატიონთან დასახელებულია ვარიანტი შერიაც. შდრ. შელეგია.

შენგელაია – 324 სული (ზუგდ. – 103, თბ. – 88, წალენჯ. – 84). გვარის ძირითადი საცხოვრისია ობუჯი (19 კომლი). აქვე, ჭანისწყლის მარჯ. მხარეს, უბანს ეწოდება საშენგელაიო. ჭითაწყარშიც დაფიქსირდა ამ გვარის 5 კომლი. XVIII–XIX სს. მიჯნაზე ობუჯსა და მის ახლომახლო მცხოვრები შენგელაიები საუფლისწულო აზნაურები ყოფილან (სოსელია, 1990, გვ. 97). გვარი წარმოქმნილია ზმნური კონსტრუქცია "შენ გელი"-ს გასუბსტანტივებით, რისთვისაც გამოყენებულია -აი სუფიქსი. შდრ. შენგელია. XX ს. დამდეგს ობუჯსა და ლეწურწუმეში მცხოვრები შენგელაიები აზნაურები იყვნენ.

შენგელია – 12764 სული (ზუგდ. – 2600, თბ. – 2512, ჩხორ. – 2066). ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გვარია საქართველოშიც (მე-8 ადგილი) და სამეგრელოს რეგიონშიც (5 944 სული, II ადგილი. უსწრებს მხოლოდ კვარაცხელია). ზუგდიდის რ-ნში III ადგილზეა, ხოლო ჩხოროწყუსა და სამტრედიის რაიონებში – I ადგილზე. გვარის ძირძველი სამკვიდროა ორი მეზობელი სოფელი – ჭოლა და ხაბუმე. კომლი: ჭოლა – 241, ხაბუმე – 205, ჯიხაშკარი – 73, შამგონა – 30, ინგირი – 27, კოკი – 27, განარჯიის მუხური – 26, წალენჯიხა – 26, ქოლობანი – 19, ერგეტა – 17, ჭითაწყარი – 17, რუხი – 16, შ. ხორგა – 11 და სხვ. ტოპ.: საშენგელიო – უბნები ზუგდიდის რ-ნის სოფლებში – განარჯიის მუხურში, კოკში, შამგონაში, ერგეტაში, აგრეთვე გამოღმა შუა ხორგაში (აქაური შენგელიები ჩამოსულან ჭოლიდან). საშე(ნ)გელიო – უბანი ჯიხაშკარში. სამტრედიის რ-ნში მცხოვრები შენგელიების ერთი შტოს წინაპარი ყოფილა ობუჯელი აზნაური შენგელაია. მისი შთამომავლები კიდეც დადიოდნენ ობუჯში სალოცავად. გვარისათვის ამოსავალია ზმნური კონსტრუქცია "შენ გელი", რასაც მშობლები წინასწარვე შეარჩევდნენ სახელად მომავალი ახალშობილისათვის. საქართველოში გავრცელებული პირსახელი შენგელი გვხვდება საპასპორტო გვარადაც (24 სული თბილისში, სამტრედიასა და ჩხოროწყუში). შდ რ. შენგელიძე, შენგელაია.

შერვაშიძე – 1092 სული (თბ. – 207, ხელვაჩ. – 190, ბათ. – 184). შამგონაში დაფიქსირდა 4 კომლი. შერვაშიძეთა (შარვაშიძეთა) უძველესი საგვარეულო აფხაზეთის უცვლელი ერისთავები და მთავრები იყვნენ. იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი და კასტელი მათ მეგრული ვარიანტით მოიხსენიებენ (იხ. შარაშია). შერვაშიძეთა რეზიდენცია იყო ლიხნი. საქართველოს გამოჩენილ ხელისუფალთა შორის შერვაშიძე მოიხსენიება XII ს-დან: თამარის ისტორიკოსი ასახელებს აფხაზთა ერისთავს – დადათო შარვაშიძეს. სვანური გადმოცემა ამ საგვარეულოს უკავშირებს შაელიანებს, რომელნიც მეფობდნენ აფხაზეთში IX ს. მეორე ნახევარში. სვანეთშივე გავრცელებული ლეგენდის თანახმად, შაელიანები იყვნენ სვანები. სვანეთში ერთ-ერთ მთავარ ხატს "შალიანი" ეწოდება. სხვა ლეგენდით, შარვაშიძეები თითქოს წარმომავლობენ შირვან-შაჰებიდან, რომელთა შთამომავალი დავით აღმაშენებელს აფხაზეთში გაუგზავნია. შერვაშიძე-შარვაშიძის ჩაჩბებთან დაკავშირება გვიან მოხდა და ხელოვნურია (გასვიანი, 1998, გვ. 95, 103–104). შარვაში კოლხურსუფიქსიანი სახელია. გვარი შარვაშია (შარაშია) გაქართულებულია -ძე სუფიქსის დართვით. 1904 წლის აღწერის თანახმად, ორსანტიაში, შამგონაში, პ. კოკში, ხორგაში, ხორშში მოსახლე შერვაშიძეები თავადები იყვნენ.

შეროზია - 1851 სული (ზუგდ. - 644, სენაკი - 252, წალენჯ. - 276). კომლი: ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) - 25, საჯიჯაო - 25, საჩინო - 24, უშაფათი - 23, ერგეტა - 14, ჩქვალერი - 12, ჩხორია - 12, წალენჯიხა - 12, ორსანტია - 10, აბასთუმანი - 7, ზ. ჭალადიდი - 6, ხობი - 5 და სხვ. ტოპ.: საშეროზიო - უბნები აბასთუმანში (მუხჩის ხეობაში), უჩაშონაში (ყულიწყარის მარჯ. მხარეს), ზენსა და ჯაპშაქარში (ოკურჩხალეს მარც. ნაპირას), უშაფათში.

შეყილაძე - 1946 სული. გავრცელებულია იმერეთში. ქვ. ჭალადიდში დაფიქსირდა 5 კომლი.

შეყლაშვილი - 1353 სული. გავრცელებულია იმერეთში. დაფიქსირდა ზანაში 7 კომლი.

შველიძე - 2445 სული. იმერული გვარია. დარჩელში წარმოდგენილია 3 კომლის სახით.

შოგირაძე - 158 სული (ჩხორ. - 79, ზუგდ. - 36, თბ. - 30). იმერეთში ფართოდ გავრცელებული გვარის - შვანგირაძის - მეგრული ვარიანტი ჩანს. ზუმში დაფიქსირდა 19 კომლი.

შოგრაძე - შოგირაძის რედუცირებული ვარიანტია. საჯიჯაოში მოსახლეობს 11 კომლი.

შოთაძე - 900 სული. აჭარული გვარია და აბაშაში დაფიქსირებულია 3 კომლი.

შომახია - 239 სული (თბ. - 48, სენაკი - 40, ფოთი - 33). აბაშაში სახლობს 7 კომლი. უწინ უფრო ფართოდ ყოფილა გავრცელებული, რასაც ადასტურებენ ტოპონიმები: ეშმახიე//ეჩმახიე - საძოვრები ეჯანაშეში (პ. ბალდა). ნაშმახუ - ბუჩქნარი ნაოდიშარუს კალთაზე (ქაბურთა). ნაშომახოუ - სახნავი ნაქუთოუს გვერდით (პ. ბალდა). შდრ.: ჩვამახია, ჩომახია, შამახია. ბ. გიგინეიშვილის აზრით, გვარი შომახია დაკავშირებულია ეთნიკურ ტერმინ სომეხ-თან.

შონია - 7648 სული (ზუგდ. - 2465, წალენჯ. - 1722, თბ.- 1149). საქართველოში ყველაზე გავრცელებულ გვართა შორის უკავია 27-ე ადგილი, სამეგრელოს რეგიონში კი - მეხუთე (5210 სული). ზუგდიდისა და წალენჯიხის რ-ნებშიც მე-5 ადგილზეა. გვარის ძირითადი სამკვიდრო უნდა იყოს ენგურის მარჯ. მხარეს მდებარე სოფლები ჭალე (83 კ.) და ფახულანი (76 კ.). კომლი სხვა სოფლებში: ბია - 43, ზანა - 23, მუჟავა - 13, ხობი - 13, კოკი - 12, ფოცხო - 11, დარჩელი - 10, ახალკახათი - 9, ჩხორია - 9, წალენჯიხა - 8 და სხვ. ტოპ.: ლეშონიე - ბორცვი ჭანისწყალ-ძანძელის წყალგამყოფზე, სადაც ოდესღაც შონიებს უცხოვრიათ (ლესალე). შონიათი - უბანი ოჩხომურის მარც. მხარეს (პ. ჭოლა). საშონიო - უბნები ხობის რაიონის სოფლებში - ყულევში, გაღმა პ. ხორგაში, ახალსოფელში (ზღვაიას ნაპირას), ზუბში (ახალხიბულის თემი), ბიაში (ნიშიას მარც. ნაპირას), აგრეთვე ფოცხოში (ხანჯარას მარც. მხარეს). XVI ს. საბუთში დასახელებულნი არიან მამისა შონია და ბევროზა შონია, რომელთაც ემართათ ხოფის ეკლესიის გამოსაღები 20-20 თეთრი (ქსძ, III, 350). 1621 წ. შედგენილ საეკლესიო საბუთში კი მოიხსენიება ხაუქელს (აფხაზეთშია) მცხოვრები უჩარდია შონია (იქვე, 433). რამდენიმე შონია დამოწმებულია ჯგალის ციხის მებეგრეთა შორისაც (იქვე, 479). მეგრულში შონი "სვანი" სატომო სახელია, ამასთანავე, მეტაფორულად აღნიშნავს ბრაზიანს, მოუხეშავს და ამ მნიშვნელობით შეიძლებოდა მეტსახელადაც ქცეულიყო. შდრ. შონიძე (26 სული ლანჩხუთის რ-ნში)..

შოხაძე - 24 სული. განსახლებულია ზუგდიდის რ-ნში (კორცხელი - 4 კომლი) და სხვ.

შუბითიძე - 6374 სული. იმერეთიდან საგვიჩიოში ჩასახლებულა 40 კომლი.

შუბლაძე - 1414 სული (თბ. - 390, სამტრ. - 183, აბაშა - 169). კომლი: გეზათი - 22, ქოლობანი - 13, პ. მაისი - 6, აბაშა - 5, ეკი - 4, ნოსირი - 4 და სხვ. შუბლა მეტსახელია.

შუკუანი — შუკვანის (476 სული) ვარიანტია. ჩასახლებულია ჩხორიაში 5 კომლი.

შულაია - 962 სული (ზუგდ. - 388, მარტვ. - 151, სენაკი - 104). კომლი: კიწია - 35, ნარაზენი - 34, გურძემი - 8, ახალკახათი - 6, ინგირი - 6, ეკი - 5, ხეთა - 4, ახალხიბულა - 3, დიდი ნეძი - 3, ჯვარი - 3 და სხვ. ტოპ.: საშულაიო - უბანი ანაკლიაში, ენგურის მარც. მხარეს.

შურღაია - 1306 სული (სენაკი - 484, თბ. - 273, ფოთი - 186). სენაკის რ-ნში უკავია მე-14 ადგილი, ფოთში კი — ოცდამეათე. გვარის ძირითადი სამკვიდროა ზანა (158 კომლი). კომლი სხვაგან: ნოჯიხევი - 12, ეკი - 9, ნოსირი - 9, ძვ. სენაკი - 7, ლესიჭინე - 4, ხობი - 3 და სხვ. ტოპ.: საშურღაიო - სოფელი ცივის მარჯ. მხარეს (ზანის თემი), უბანი უფალკარში (გუნურსა და ფაქვას შუა) და ყოფილი დასახ. უბანი სკურიაში (მენჯის თემი). შურღაია იგივე ჩანს, რაც იმერული გვარი შუღლაძე (თუმცა მცირერიცხოვანი). XVI ს. ერთ საბუთში დასახელებულია საეკლესიო გლეხი ესტატაი შუღლაია, რომელსაც მართებს ხობის ეკლესიის გადასახადი 15 თეთრი (ქსძ, III, 349). გვარს მცირედ უცვლია ფორმა: შუღლაძე→ შუღლაია→ შულღაია→ შურღაია. მეორე მხრივ, შურღაია შეიძლებოდა მიგვეღო გვარი შურღულაიასაგან (იხ.) მარცვლის ამოვარდნის გზით.

შურღულაია - 195 სული (სენაკი - 64, ფოთი - 42, ბათ. - 15). კომლი: ქვ. ქვალონი - 7, შ. ხორგა - 5, ხორში - 4, ხობი - 3 და სხვ. ტოპ.: საშურღულაიო - უბანი ხორშში, სკურიის საზღვართან. ვარიანტი შუღულაია დამოწმებულია 1616-1621 წლებში შედგენილ "საცაიშლო დავთარში", სადაც ნათქვამია: "მართებს შუღულაიას ერთი კარგი საჭმელი, რარიგადაც თავი ესახელებოდეს"(ქსძ, III, 443). მეგრულში შურღულა ნიშნავს სულმრუდეს და ეშმაკი, ცბიერი კაცის ეპითეტია.

შუშანია - 149 სული (სენაკი - 37, თბ. - 31, ფოთი - 13). კომლი: ბულიწყუ - 5, ქვ. სენაკი - 5, ლეძაძამე - 4, ხობი - 3 და სხვ. XVI ს. ბოლოს ნაყანეულის (ოტობაია) საკათალიკოსო გლეხთა შორის ორჯერაა დასახელებული შუშანია, რაც გვარი უნდა იყოს (იხ. ქსძ, III, 382-383). ოცი წლის შემდეგ კი

ამავე სოფელში ცხოვრობენ და საეკლესიო ბეგარას იხდიან სოხერდია შუშანია, იანე შუშანია, ივანე შუშანია, სულთამა შუშანია (იქვე, 420). კოლხეთში დაფიქსირებული მამაკაცის სახელები შუშა, შუშუ, შუშულა (იხ. ქსს, 1986) გვავარაუდებინებს შუშან მოფერებით ვარიანტს.. 1904 წელს ხეთაში მოსახლე ორი კომლი შუშანია აზნაურის წოდებისა იყო.

## ჩ

**ჩაბალუხა** – სამურზაყანოელ მეგრელთა გვარია. დასტურდება სამეგრელოშიც: ჭითაწყარი - 4 კომლი. აქვე მცირე უბანს დარქმევია საჩაბალუხო. შდრ. ჩაბალურხვა – თავადთა გვარი აფხაზეთში.

**ჩაბრავა** - 230 სული (თბ. - 52, სეხაკი - 47, მარტვ. - 41). აბედათში დაფიქსირდა 8 კომლი. სხვა სოფლებში მოსახლეობენ თითო-ორ ოჯახად. ტოპ.: ეჩაბრე - ყოფილი დასახ. უბნი ლეძიქავეში. საპასპორტო ვარიანტია ჩაფრავა (117 სული ზუგდიდში, ცაგერში, ქუთაისში). შდრ.: ჩაბრაძე.

**ჩაგანავა** - 900 სული (აბაშა - 369, თბ. - 148, ბათ. - 79). კომპაქტური დასახლება არ დაფიქსირდა. ცხოვრობენ კანტიკუნტად. კეთილარში, ჭიჭე ნარნეს ნაპირებზე, უბანს ეწოდება საჩაგახაო. ჩაგახა ჩაგუ-ს მოფერებითი ფორმაა. ჩაგან დადასტურებულია XVIII ს. დოკუმენტში (იხ. ქსს, 1967).

**ჩაგვავა** - ძალზე იშვიათი გვარია. დაფიქსირდა სენაკში ორიოდე კომლი. ამოსავალია პირსახელი ჩაგუ. მაშასადამე: ჩაგუ →ჩაგუ-ა →ჩაგუა-ვა → ჩაგვავა. იხ. ჩაგუა.

**ჩაგინავა** - 115 სული (ზუგდ. - 85, სამტრ. - 11, თბ. - 7). კომლი: ნარაზენი - 4, რუხი - 4 და სხვ. ტოპ.: ნაჩაგიხოუ//ნაჩაგინუუ - ბორცვი ტეხურისა და სკურდღაის წყალგამყოფზე (პ. თამაკონი). ჩაგინა ჩაგი (ჩაგუ) პირსახელის კნინობით-მოფერებითი ვარიანტია.

**ჩაგუა** - რამდენიმე კომლი ცხოვრობს ფოთში. გვარი გვხვდება ისტ. წყაროში: 1621 წ. დავთარში აღნიშნულია, რომ ხოირს (ამჟამინდელი ოხურეი გალის რ-ნში) მცხოვრებ კაკაია ჩაგუას, გოგია ჩაგუას, გურმიხილა ჩაგუას, ხუხული ჩაგუას, ქაქალია ჩაგუას, ჯგერგეშია ჩაგუას მართებთ გარკვეული საეკლესიო ბეგარა (ქსძ, III, 423-424). ამოსავალია პირსახელი ჩაგუ. -ა საგვარსახელო სუფიქსია.

**ჩაგუნავა** - 684 სული (მარტვ. - 171, თბ. - 142, ქუთ. - 50). კომლი: დ. ჭყონი - 28, ქვ. ჭალადიდი - 3 და სხვ. ჩაგუნა ჩაგუს კნინობით-მოფერებითი ვარიანტია.

**ჩადუნელი** - 3578 სული. ქართლში ფართოდ გავრცელებული ეს გვარი მიგრირებულია კოლხეთშიც: ახალსოფელში (ხობის რ.) ჩასახლებულია 15 კომლი.

**ჩაკაბერია** - 507 სული (ზუგდ. - 199, წალენჯ. - 103, თბ. - 71). აბასთუმანში დაფიქსირდა 8 კომლი. აქ, ცვალდოლუმუს მარც. მხარეს, უბანს ეწოდება საჩაკაბერიო (მენჯი, აბასთუმნის თემი). ჩაკაბერი ნიშნავს ჩაკას ვაჟს, ჩაკას ძეს. ჩაკა ეწოდება ზურგზე მოსაკიდ გრძელ გოდორს. პიროვნება შეიძლება რაღაც ნიშნით მას მიამსგავსონ, რაც საკმარისია მეტსახელის შერქმევისათვის. მეორე მხრივ, ჩაკ-ზმნური ფუძეა და აღნიშნავს ჩაქჩაქით, ბარბაცით სიარულს. ამ შემთხვევაში ჩაკას მნიშვნელობა იქნება ჩაქჩაქა, ბარბაცა, რაც აგრეთვე ქმნის მოტივაციას მეტსახელისათვის.

**ჩაკვატაძე** - ჩაკვეტაძის (იხ.) ვარიანტი ჩანს. კომლი: აბაშა - 4, სუჯუნა - 3 და სხვ.

**ჩაკვეტაძე** - 2853 სული. იმერეთსა და ლეჩხუმში ფართოდ გავრცელებული გვარია. კომლი სამეგრელოში: მარტვილი - 9, თეკლათი - 3 და სხვ. XVI ს. ბოლოს დაწერილ საბუთში დასახელებულია ვარიანტი ჩაკუტაძე: ლახეფას მცხოვრებ ხანიტა, ხასხიდა, თაყია და გიორგი ჩაკუტაძეებს ემართათ ცაგერის საყდრის ბეგარა (ქსძ, III, 377-378). ჩაკუტა ჩაკუ-ს მოფერებითი ფორმაა. გვარის ვარიანტი ჩაკვეტაია (61 სული) ძირითადად წყალტუბოს რ-ნში გვხვდება.

**ჩალაძე** - 1744 სული. რაჭასა და ქართლში გავრცელებული გვარი გვხვდება სამეგრელოშიც: ინჩხურში ცხოვრობს 3 კომლი. ამოსავალი ფუძე ჩალა მეტსახელად ითვლება (ძაისურაძე, 1981)

**ჩალიგავა** - 839 სული (ჩხორ. - 314, წალენჯ. - 109, ზუგდ. - 85). კომლი: ხაბუმე - 59, წალენჯიხა - 22, მუხური - 10, ლეხაინდრავო - 6, ჩხოროწყუ - 6, აბაშა - 5, ობუჯი - 5, ჯიხაშკარი – 4, ზ. ჭალადიდი - 3 და სხვ. ტოპ.: საჩალიგაო - უბანი ბათარიაში (მენჯის თემი). ნაჩალიგუ//ნაჩალიკუ - სახნავები საწახნაგიოში (ჯუმითი, ლეწურწუმის თემი). ჩალიგა იგივე უნდა იყოს, რაც სვანური სახელი ჩარეგ.

**ჩალიჩავა** – 42 სული (ზუგდ. - 13, მარტვ. - 8, თბ. - 6). კომპაქტური დასახლება არ დაფიქსირდა. არიან ლტოლვილებიც. ჩალიჩა მეტსახელია (ქსს, 1986).

**ჩანგელია** - 803 სული (ზუგდ. - 374, წალენჯ. - 331, თბ. - 31). კომლი: ჯგალი - 54, დარჩელი - 8, ახალკახათი - 3, კორცხელი - 3, ჩხორია - 3, ჭითაწყარი - 3, წალენჯიხა - 3 და სხვ. ტოპ.: საჩანგელიო//საჩანგელიოშ მუხური - უბანი დარჩელისა და ახალკახათის საზღვარზე. გვარი ჩანგელია დაფიქსირებულია "აფხაზეთის საკათალიკოსო დიდი იადგრის" მინაწერში, რომელიც 1611-1617 წლებშია შესრულებული: მიხლია ჩანგელია ყოფილა ჭალის (ახლანდელი ჭლოუ ოჩამჩირის რ-ნში) მფლობელ ხუტუ ჯაიანის ყმა გლეხი (იხ. მიბჩუანი, 1999, გვ. 68). ხოლო XVIII ს-ში სუსტარ (საუსტან) შარვაშიძეს ბიჭვინთის ეკლესიისათვის უბოძებია გლეხი, გვარად ჩანგელია (იქვე, გვ. 70). ვარიანტი ჩანგელი დასტურდება "საცაიშლო გამოსავლის დავთარში"(1616-1621 წწ.), სადაც ნათქვამია, რომ

საეკლესიო გლეხ უსკვამა ჩანგელს "მართებს... გოჭკომური კარგი საჭმელი მისითა ღომითა, ღვინითა, ხორცითა, თევზითა..."(ქსძ, III, 443). ჩანგელი იგივე ჩანს, რაც სვანური პირსახელი ჩამგელი. მესტიის რ-ნში გვხვდება გვარი ჩამგელიანიც (22 კომლი).

**ჩანთარია** - 47 სული (თბ. - 21, სენაკი – 8, მარტვ. - 7). ძირითადად არიან ლტოლვილები სამურზაყანოდან. უწინდელ დროში ეს გვარი სამეგრელოშიც ყოფილა გავრცელებული, რასაც ადასტურებს ტოპონიმი ნაჩანთარუ//ჩანთარიაშ ნოხორი (ფერდობები ისკიის მარც. მხარეს, ნახუნავოში). ჩანთა კოლხეთში პირსახელია. ჩანთარი ჩანთას შთამომავალს უნდა აღნიშნავდეს.

**ჩარგაზია** - 1064 სული (ზუგდ. - 431, მარტვ. - 205, თბ. - 84). კომლი: კურზუ - 21, პ. ხორგა - 12, დ. ჭყონი - 10, ქვაითი - 9, ინგირი - 8, ჭითაწყარი - 8, ჯიხაშკარი - 8, ტალერი - 5, ანაკლია - 4, მარტვილი - 4, კახათი - 3 და სხვ. გვხვდება ვარიანტი ჩარქაზია. ტოპ.: საჩარგაზიო - უბანი გამოღმა პ. ხორგაში. მეგრულში ჩარგაზ, ჩერგეზ სატომო სახელია, აღნიშნავს ჩერქეზს. აქვს გადატანითი მნიშვნელობაც ("დიდი ტანისა, წარმოსადეგი"). ვარაუდობენ, რომ გვარი ჩარგაზია მომდინარეობს სვანური ჩარგასიანისაგან (დამოწმებულია XV ს. სვანეთის ძეგლებში. იხ. თოფჩიშვილი, 1997, გვ. 51).

**ჩარდია** - ჩარტიას ვარიანტი ჩანს. აღადგენს ტოპონიმი ნაჩარდოუ. ესაა დავაკება ოლორის მარჯ. მხარეს (ეწერფერდი).

**ჩარკვიანი** - 157 სული. ლეჩხუმსა და იმერეთში გავრცელებული გვარი მიგრირებულია სამეგრელოშიც: თაია - 4 კ., აბაშა – 3 კ., ზუმი - 3 კ., საჯიჯაო - 3 კ. და სხვ. ტოპ.: ლეჩარკვიანე – ტყიანი ხეობა ხაბალერში (ლეგახარე). ინფ.: "აქ უწინ ჩარკვიანებს უცხოვრიათ. მერე თაიაში გადასულან". თაიაში მცხოვრები ჩარკვიანები აზნაურები იყვნენ.

**ჩარტია** - 170 სული (ფოთი - 47, სენაკი - 40, ზუგდ. - 20). კომლი: ხორში - 8, გურიფული - 5, ხობი – 5, ყულევი - 3 და სხვ. ტოპ.: საჩარტიო - უბანი ციხეთში. ბ.-მ. თქმაში ჩარტი, ხოლო ზ.-ს. თქმაში ჩერტი აღნიშნავს ფარცხსაც და ჩელტსაც (შდრ. ქართ. ჩელტი). შეუძლებელი როდია, ასეთი სიტყვაც გადაიქცეს მეტსახელად.

**ჩარჩხალია** - 84 სული (თბ. - 15, სენაკი - 14, ფოთი - 13). ცხოვრობენ გაბნეულად (მაგალითად, ქარიატაში 2 კომლი). იხ. ჩხარჩხალია.

**ჩაფიძე** - 1830 სული. იმერეთში გავრცელებული გვარია. ქვ. ჭალადიდში დაფიქსირდა 8 კომლი.

**ჩაფულავა** - გვარს აღადგენს ტოპონიმი ლეჩაფ(უ)ლე (ტყე-ფერდობები ლექარდეში, მაგანა-მოროოის წყალგამყოფზე). ჩაფულა (მეგრ.) "ფეხსაცმელი", ალბათ, მეტსახელი იყო.

**ჩაჩავა** - 1145 სული (თბ. - 309, აბაშა - 293, ფოთი - 125). კომლი: ნორიო - 37, ნაესაკაო - 15, კეთილარი - 7, აბაშა - 6, სუჯუნა -5 და სხვ. ტოპ.: საჩაჩაო - ერქვა სოფელს ღაჭუს ნაპირებზე. ამჟამად უბანია აბაშისპირსა და გამოღმა კოდორში. ნაჩაჩუ - სახნავები აბაშის მარჯ. მხარეს (განათლებისკარი). ჩაჩა ჩოჩიალა ბავშვის ეპითეტია. ზრდასრულ ადამიანსაც შეიძლება შეერქვას, თუ კი ზოზინა და ყოყმანაა, ან აჩაჩულ-დაჩაჩული დადის. მეორე მხრივ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაფიქსირებულია ჩაჩ- ძირის შემცველი სახელები: ჩაჩი, ჩაჩა, ჩაჩანა, ჩაჩიკა, ჩაჩიტა, ჩაჩო, ჩაჩუკა... შდრ. ჩაჩიბაია. 1904 წლის აღწერის თანახმად, საჩაჩავოში (შედიოდა ჭალადიდის თემში), კოდორში (შედიოდა ნაესაკაოს თემში), შვაქალაქში, კვათანაში, საკაჭარაოში (შედიოდა სუჯუნის თემში) მცხოვრები ჩაჩავები აზნაურები იყვნენ.

**ჩაჩიბაია** - 977 სული (თბ. - 225, ზუგდ. - 186, სენაკი - 151). აფხაზურ-მეგრული გვარია. კომლი: წალენჯიხა - 18, კიწია - 17, ჩხორია - 6, ახალსოფელი (სენაკის რ.) - 5, ლესიჭინე -4, ქვ. ჭალადიდი -4, ეკი - 3, ორსანტია - 3, ხობი - 3 და სხვ. ადგ. ვარიანტი: ჩაჩბაია. ტოპ.: ლეჩაჩბაიე//საჩაჩბაიო - უბანი მეტერიასა და ოხვამეკარს შუა (ალერტი). საჩაჩბაიო – ყოფილი დასახ. უბანი მახარიაში, სადაც უცხოვრიათ კიწია-ახუთიდან ჩამოსულ ჩაჩბაიებს (ჩხორია). ნაჩაჩიბუ - ერქვა ტყეს საქაჩბაიოში (სენაკი). ისტორიულად ჩაჩიბაიები ჯაიანების აზნაურები იყვნენ. ვარაუდობენ, რომ გვარი დაკავშირებულია სატომო სახელ ჩაჩ-თან. ამასთანავე, ჩაჩ- ფუძეს შეიცავს რამდენიმე პირსახელის ფუძეც (იხ. ჩაჩავა). 1904 წლის აღწერის მასალების მიხედვით, აზნაური ჩაჩიბაიები მოსახლეობენ და ფლობენ მამულებს ალერტში, ახუთში, კიწიაში, გურძემში.

**ჩაჩუა** - 2818 სული (სამტრ. - 1541, თბ. - 642, ქუთ. - 128). საქართველოში 240-ე ადგილზეა. სამტრედიის რ-ნში მესამე ადგილი უკავია. სამეგრელოში კი ამჟამად იშვიათია, მაგრამ უწინდელ დროში ამ გვარის გავრცელებულობაზე მიუთითებს ტოპონიმი ნაჩაჩუ. ასე ეწოდება სახნავს ტარჩენის მარჯ. მხარეს (ჯოლევი). ჩაჩუ კოლხეთში საკუთარი სახელია. ამასთანავე, ჩაჩუ იგივეა, რაც ჩაჩა, ე.ი. აჩაჩულ-დაჩაჩული. იხ. ჩაჩავა, ჩაჩიბაია.

**ჩაჩხალია** - 105 სული (თბ. - 27, ზუგდ. - 23, სენაკი - 10). ჩხარჩხალიას (იხ.) ვარიანტია.

**ჩახავა** - 160 სული (თბ. - 92, მარტვ. - 17, ქუთ. - 14). კომპაქტურად ცხოვრობენ სერგიეთის ცენტრში (5 კომლი), სადაც უბანს ეწოდება ეჩახვე//საჩახუო. ჩახა კოლხეთში პირსახელია. -ვა გვარს აწარმოებს. XX ს. დამდეგს სერგიეთში მოსახლე 6 კომლი ჩახავა აზნაურის წოდებისა იყო.

**ჩახაია** - 530 სული (ზუგდ. - 426, თბ. - 39, ჩხორ. - 16). გვარის ძირითადი სამკვიდროა კახათი, სადაც დაფიქსირდა 66 კომლი ამ გვარისა. სხვა სოფლებში: ოდიში – 14 კ., ჯიხაშკარი - 7 კ., ზანა – 6 კ.

და სხვ. ტოპ.: საჩახაიო - უბნები ოდიშში (სინწის მარც. ნაპირას), ზანაში, კახათში. აქაც იგივე ჩახა ფუძე გამოიყოფა, რაც ჩახავაში, ხოლო –ია გვარის მაწარმოებელი სუფიქსია.

**ჩემია** – 838 სული (სენაკი - 256, თბ. - 184, ზუგდ. - 87). კომლი: გეჯეთი - 35, ჭკადუაში - 35, ნოსირი - 3 და სხვ. ტოპ.: საჩემიო - უბნები ჭკადუაშში (ჩხოუშიის მარჯ. ნაპირას), გეჯეთში, სენაკში (ტობაღეესა და საკუჭაღეეს შუა). სავარაუდო ამოსავალი ფუძეა ჩემი. შდრ. ჩემა, ჩემგული (ქსს, 1986).

**ჩემინავა** - 357 სული (ზუგდ. - 185, თბ. – 78, ფოთი - 18). კომლი: ძვ. ხიბულა - 13, ახალკახათი - 6, რუხი - 3 და სხვ. ტოპ.: საჩემინო - უბანი ძვ. ხიბულაში, ჭაქვინჯის საზღვართან. ამოსავალია პირსახელი ჩემი, რომელსაც დართვია კნინობითობის სუფიქსი –ინ–ა. იხ. ჩემია.

**ჩერქეზია** - 662 სული (ზუგდ. - 241, თბ. - 81, ხობი - 57). კომპაქტური დასახლება სამეგრელოში არ დაფიქსირდა. მრავლად არიან ლტოლვილები. ჩერქეზი (//ჩარგაზი) სატომო სახელია. გვხვდება საპასპორტო ვარიანტი ჩერგეზიაც (58 სული ზუგდიდში, სენაკში, თბილისში და სხვ.). იხ. ჩარგაზია.

**ჩვამანია** – 127 სული (სენაკი – 87, თბ. - 20, ზუგდ. - 4). სენაკში დაფიქსირდა 8 კომლი. ჩვამა ფრინველია, კერძოდ, თევზიყლაპია. ჩვამანი შეიძლება ნიშნავდეს ჩვამის მსგავსს, ჩვამისხაირს. 1904 წლის აღწერის მასალების თანახმად, ნაქალაქევში დასტურდება როგორც ჩვამახია, ისე ჩვამაია.

**ჩვამახია** – გვარის ბუდეა ნაქალაქევი (15 კომლი). ამოსავალი ჩანს მეტსახელი ჩვამა "თევზიყლაპია", რასაც დართვია წარმომავლობა-ჩამომავლობის გამომხატველი ხ სუფიქსი. -ია გვარსახელის მაწარმოებელია. შდრ.: ჩომახია, შომახია.

**ჩიბურდანია** - ჩიბურდანიძის (ძირითადად იმერეთი, აჭარა) ვარიანტია. ადასტურებს ტოპონიმი ნაჩბარდანუ. ესაა ბორცვი ჩეღალისა და პალიაშ ღალის წყალგამყოფზე (გარახა).

**ჩიგოგიძე** - 699 სული. გურული გვარი წარმოდგენილია ს. მარანში 4 კომლის რაოდენობით.

**ჩიკვაიძე** - 1626 სული. კახეთსა და აჭარაში გავრცელებული ეს გვარი მიგრირებულია სამეგრელოშიც: ნაქალაქევი - 7 კ., ცაიში - 4 კ. და სხვ.

**ჩიკვატია** - 207 სული (ზუგდ. – 130, თბ. - 49, ხობი - 11). გვარის ძირითადი საცხოვრისია ორსანტია (10 კ.). მოსახლეობენ სხვა სოფლებშიც. ტოპ.: საჩიკვატიო - უბანი ხურჩაში (კოკის თემი). ჩიკვატ შეიძლება ჩაითვალოს პირსახელ ჩიკო-ს –უტ სუფიქსიან ვარიანტად (ჩიკოტი → ჩიკვატი). XX ს. დამდეგს ორსანტიაში მოსახლე ჩიკვატიების ორი კომლი აზნაურის წოდებას ატარებდა.

**ჩიკორაია** – 104 სული (ჩხოროწყუ – 66, ზუგდ. - 11, წალენჯ. - 3). ძირძველი მოსახლე სამეგრელოში იშვიათია. არიან ლტოლვილები. ჩიკოტელა, ჩიკუტი, ჩიკორა ჩიკოს კნინობითი ვარიანტებია. ჩიკორი ტანმცირესა და გამხდარსაც აღნიშნავს. იგივე ფუძე ჩანს ჩიკორიაშიც (21 სული).

**ჩილაჩავა** - 581 სული (ზუგდ. - 204, სენაკი - 126, თბ. – 87). კომლი: ჭითაწყარი - 43, ძვ. სენაკი - 26, გურძემი – 3, ინგირი – 3 და სხვ. ადგ. ვარიანტი: ჩიაჩა (ბ.-მ. თქმა). ტოპ.: ეჩიაჩე – ყოფილი დასახ. უბანი სკურდის მარც. მხარეს (ნახურცილავო). ნაჩიაჩ(ო)უ - სახნავი მარსილში (ლემიქავე). ნაჩიაჩაო//ნაჩიაჩუ - უბანი სოფლის ცენტრში (ლევახანე). ჩილაჩავები ამჟამად აქ არ ცხოვრობენ, მაგრამ აქედან წასულთა შთამომავლები ხშირად მოდიან სამთხვარში (ეკლესია და სასაფლაო) სალოცავად. საჩილაჩო - უბანი პ. ნოსირში. ინფ.: "გურძემიდან, სადაც არის ნაჩილაჩაო, გამოქცეულა სამი ძმა, რომელთაც იქ მღვდელი მოუკლავთ. ერთი აქ, ნოსირში, დასახლებულა, მეორე წასულა ზუგდიდში, მესამე კი - ოჩამჩირეში". 1733 წლის საბუთი გვამცნობს, რომ ჩილაჩავა, საწულეისქიროს მცხოვრები, შეუწირავთ ბიჭვინთისათვის "მისის ყოვლისფერიანად" (ქსძ, III, 731).

**ჩინჩია** – გვარს აღადგენს ტოპონიმი ლე(ი)ჩიე. ესაა ბორცვი ლეარდიეში, სადაც, გადმოცემით, ჩინჩიებს უცხოვრიათ (კუხეში). ჩინჩი მეგრულში აღნიშნავს ძალზე წვრილს, ნამცეცას, ნაკუწას..

**ჩიტაია** - 1435 სული (ზუგდ. - 277, თბ. - 251, ჩხორ. - 245). კომლი: ახუთი - 41, ხოჯიხევი - 29, ხობი - 17, ნაქალაქევი - 10, ლესიჭინე - 7, ჩხოროწყუ - 7, ახალსოფელი (სენაკის რ.) - 5, ტყვირი - 5, წალენჯიხა - 4, ნაფიჩხოვო - 3 და სხვ. ტოპ.: საჩიტაიო - დიდი უბანი ახუთში (ზანასა და ოწყარიეს შუა) და უბანი კუთხენოჯიხევში. პირსახელები ჩიტა, ჩიტი, ჩიტო საქართველოში ფართოდაა გავრცელებული. შდრ. გვარები: ჩიტავა (ვანში, რუსთავში), ჩიტაძე, ჩიტაიშვილი, ჩიტიშვილი.

**ჩიტეიშვილი** – 340 სული. ქვემო იმერეთში გავრცელებული გვარია. კომლი სამეგრელოში: კეთილარი - 6, მარანი - 3 და სხვ. ამოსავალია პირსახელი ჩიტა: ჩიტაიშვილი → ჩიტეიშვილი.

**ჩიტია** - 218 სული (სამტრ. - 75, აბაშა - 63, თბ. - 46). პ. მაისში ცხოვრობს 9 კომლი, ზოგ სხვა სოფელში - თითო-ოროლა. ტოპ.: ჩიტიების უბანი - უბანი პ. მაისში. ისტ. წყაროებში ჩიტია დასტურდება პირსახელადაც და გვარსახელადაც: XVI ს. დავთარში დასახელებულია ნაკურალეშს მცხოვრები ჩიტია გიორგობიანი (ქსძ, III, 377), ხოლო 1621 წ. საბუთში - გიორგი ჩიტია, ხიბულას მცხოვრები საეკლესიო გლეხი (იქვე, 417). შდრ. ჩიტაია, ჩიტავა, ჩიტაძე, ჩიტეიშვილი, ჩიტიშვილი...

**ჩიქავა** - 203 სული (ზუგდ. - 163, თბ. - 35, ფოთი - 2). კომლი: ახალკახათი - 16, კოკი - 14, შამგონა - 3 და სხვ. ტოპ.: საჩიქაო - უბანი კოკში, ჭიჭე ინგირის ნაპირას. კოლხეთში დაფიქსირებულია პირსახელი ჩიქო, რაც გვავარაუდებინებს ჩიქი, ჩიქა ვარიანტებსაც. ჩიქ- ფუძე დასტურდება ჩიქოვანშიც. მოვიხმობთ ერთ ვარაუდსაც: "გვარსახელი ჩიქ-ა-ვა მომდინარეობს მცენარის, კერძოდ,

მარმუჭის მეგრული ჩიქი სახელისაგან“ (გვანცელაძე, 1999). 1904 წელს დიდ კოკსა და შამგონაში მოსახლე ჩიქავათა რამდენიმე კომლი აზნაურის წოდებისა იყო.

**ჩიქვანაია** – 142 სული (მარტვ. - 82, თბ. - 45, ფოთი - 6). ჩიქოვანის მოდიფიკაცია უნდა იყოს: ჩიქოვანი → ჩიქვანი → ჩიქვანა → ჩიქვანაია. არაა გამორიცხული, ჩიქვანაია ჩიქვას მოფერებითი ფორმა იყოს. მარტვილში დაფიქსირდა 14 კომლი. დასტურდება გვარი ჩიქვანიაც (31 სული თბილისში, მარტვილში). ჩიქვანიც გვხვდება გვარის ფუნქციით: XVI ს. დამლევის შეწირულების წიგნში დასახელებულია ხახუ ჩიქვანი (ქსძ, III,369). იხ. ჩიქოვანი.

**ჩიქობავა** - 1409 სული (სენაკი - 459, თბ. - 240, ზუგდ. - 189). კომლი: ძვ. სენაკი - 56, წალენჯიხა - 22, ნაკიფუ - 20, ახალსოფელი (სენაკის რ.) - 7, ანაკლია - 6, ზ. ჭალადიდი - 6, ეკი - 5, ორულუ - 4, ქვ. ჭალადიდი - 4, ზუმი - 3, გეჯეთი - 3, ერგეტა- 3, ჭოღა - 3 და სხვ. ტოპ.: საჩიქობავო - სოფელი ეკის მთის კალთებზე, ძვ. სენაკის თემში. აქაური ჩიქობავები თვლიან, რომ ისინი არიან ჩიგოგიძეები გურიიდან. 1753 წლის შეწირულების წიგნიდან ვიგებთ, რომ რობას (აბაშის მახლობლად) მცხოვრები ბაძღუელა ჩიქობავა, მიქელაძეებისგან შეწუხებული, გაბრიელ ჭყონდიდელს წაუყვანია, დაუსახლებია გამოღმა კოდორში და დაუკისრებია საეკლესიო გადასახადი - თითო-თითო მარჩილის სანთელი მარტვილის ტაძრისა და სუჯუნის საყდრისათვის (ქსძ, III, 837). ჩიქობავა აფხაზურ-მეგრულ გვარად ითვლება. მაგრამ თ. გვანცელაძის დასკვნით, “გვარსახელი ჩიქობავა (ჩიქვ-ობ-ა-ვა) უკავშირდება მოციქულის აღმნიშვნელ კოლხურ ჩ ი ქ ვ- ძირს“, ისევე როგორც გვარები ციქობავა, ციქობაძე, ციქუბაძე ემყარება მოციქულის აღმნიშვნელ ქართულ ც ი ქ ვ-ს (გვანცელაძე, 1999).

**ჩიქოვანი** - 4358 სული (თბ. - 1251, ჩხორ. - 742, ზუგდ. - 435). საქართველოში ყველაზე გავრცელებულ გვართა შორის 107-ე, ხოლო სამეგრელოში - 46-ე ადგილზეა (1749 სული). ჩხოროწყუს რ-ნში ამ გვარს X ადგილი უკავია. ძირძველი სამკვიდროა მუხური (103 კომლი) და მისი მეზობელი სოფელი ხაბუმე (57 კომლი). კომლი სხვა სოფლებში: ჩხორია - 17, ზუმი - 12, ხუნწი - 10, საჯიჯაო - 9, ანაკლია - 7, ნაესაკაო - 7, ჩხოროწყუ - 7, შ. ხორგა - 7, ნაფიჩხოვო - 6, ჭკადუაში - 6, ოდიში - 5, წალენჯიხა - 5 და სხვ. ადგ. ვარიანტი: ჩიქვანი. საისტორიო წყაროებში სამი ვარიანტი ჩანს: ჩიქოანი, ჩიქვანი, ჩიქოვანი. ტოპ.: ლეჩიქვანე//საჩიქვანო - უბანი ხობისწყლის მარჯ. მხარეს (მუხური). ლეჩიქვანე - უბნები ნაგურუში, ხაბუმეში, საძოვრები ლებუეში (კუხეში). საჩიქვანო - უბნები ონტოფოში, ტყაიაში. ნაჩიქვან - ვენახი ჭაჭახში (ობუჯი). ნაჩიქვან//ნარჩქვან - ფერდობები უმპიის მარჯ. მხარეს, სადაც ჩიქოვანის ნასახლარი ყოფილა (ჭაქვინჯი). როგორც ცნობილია, ლეჩხუმელი (წარმოშობით სვანი) ჩიქოვანები XVII ს-ში ჯერ კიდევ “მდაბალი“ აზნაურები იყვნენ და მკვიდრობდნენ გორდში. პირველი, ვინც დაწინაურდა ლევან III დადიანის (1661-1680 წწ) კარზე, იყო კაცია ჩიქვანი, თუმცა საისტორიო წყაროებში უფრო ადრე ჩანს მისი ძმა გაბრიელი, ცაგერელ ეპისკოპოსი (სოსელია, 1973, გვ. 315). ჩიქოვანები ჯერ ოდიშის ლიპარტიანის (უმაღლესი მოხელე დადიანის კარზე) ტიტულს, ხოლო XVIII ს. დამდეგიდან დადიანის ტახტს დაეუფლნენ (ამის შემდეგ იქცა ლეჩხუმი ოდიშის ნაწილად). ვახუშტი ბატონიშვილი წერს: “გორდი არს სოფელი ლეჩხუმისა ბოლოს. აწ რომელ არიან ოდიშს დადიანად, ამას გორდასა შინა იყვნენ მსახლობელნი, ჩიქოვანნი, და იქიდამ გადადიანდნენ“. ჩიქოვანების სათავადოში შედიოდა ძველი სალიპარტიანოს სოფლები: კვაუთი (რეზიდენცია), ლესაჯე, თარგამეული, ნამიკოლავო, თამაკონი, ნოქალაქევი, ჯოლევი, ლეძაძამე (აქ იყო ჩიქოვანთა ციხესიმაგრე, რომელსაც დღეს ნოჯიხენი ეწოდება). ჩიქოვანების აზნაურები იყვნენ გაბუნიები და საჯაიების ერთი ნაწილი. იოანე ბაგრატიონის ეტიმოლოგიით, გვარი ჩიქოვანი მომდინარეობს “ჩიქ-ოჰან“-ისაგან, რაც სომხურად ნიშნავს “არა ოჰანს, არა სომეხს“. სინამდვილეში გვარი წარმოქმნილია ქართული –ოვან სუფიქსით. ი. მაისურაძის ვარაუდით, გვარი მომდინარეობს პირსახელ ჩიქა-საგან. თ. გვანცელაძემ სხვა მოსაზრება წარმოადგინა: გვარ ჩიქოვანისათვის (ისევე, როგორც ჩიქობავასათვის) ამოსავალია კოლხური ჩიქვ-, რაც ქართული ციქვ- ძირის (სიტყვა მო-ციქ-ულში) შესატყვისია. ჩიქოვანების მცირე ნაწილი აზნაურის წოდებასაც ატარებდა.

**ჩიჩუა** - 1346 სული (თბ. - 451, სენაკი - 158, ლანჩხ. - 135). კომლი: ეკი - 5, ძვ. სენაკი - 5, ზ. ქვალონი - 5, ჯვარი - 3 და სხვ. ტოპ.: საჩიჩუო - უბნები საგუგუნავოში, უფალკარში, გახომელაში. გვარი ჩიჩუა გვხვდება ისტ. წყაროებში XVII საუკუნიდან: ლევან II დადიანის (1628-1657 წწ.) ერთ-ერთი სიგელის მოწმე ყოფილა რამაზ ჩიჩუა (სოსელია, 1973, გვ. 299). 1706 წელს შედგენილ “შეწირულების სიგელში“ დასახელებულნი არიან ხახუ ჩიჩუა და ჯგემორდილი ჩიჩუა (ქსძ, III, 647), ხოლო სხვა საბუთში – პეპუნა ჩიჩუა (იქვე, 676). ეს პეპუნა ოტია დადიანის დროს (1728-1757 წწ.) ოდიშის სამთავროს სახლთუხუცესი უნდა იყოს. 1792 წ. დოკუმენტში მოხსენიებული არიან კაცია ჩიჩუა, რომელმაც “ოდიშარი საკათალიკოსო კაცი გაყიდა“ და ხორგას მცხოვრები დეისმამა ჩიჩუა (იქვე, 1015-1016). ი. ბაგრატიონი ოდიშის თავადთა შორის ასახელებს ჩიჩუას და აღნიშნავს: “ძველად იყვნენ ესენი ჩიქოანის გვართაგან“ (ბაგრატიონი, 1997, გვ. 130), ე.ი. ჩიქოვანის გვარის განშტოებას წარმოადგენსო. ჩიჩუების სათავადო არსებობდა XVII-XIX საუკუნეებში ჭანისწყლისა და ხობისწყლის ქვემო წელზე და ეწოდებოდა საჩიჩუო//საიჩუო. მასში შედიოდა დღევანდელი საჯიჯაოს თემში შემავალი სოფლები. რეზიდენცია ჰქონდათ ზენში, ციხესიმაგრეები – ზენსა და ზუბში, საგვარეულო

საძვალეები – ზენსა და ხობის მონასტერში (სოსელია, 1973, გვ. 300-302). ჩიჩუების ერთ-ერთ შტოდან უნდა მომდინარეობდნენ ჩიჯავაძეები. გადმოცემით, გვარის წინაპრის სახელი ყოფილა "ჩიე". უფრო საფიქრებელია, რომ ჩიჩუასათვის ამოსავალია ჩიჩო, სვანეთსა და სამეგრელოში გავრცელებული სახელი. მაშასადამე: ჩიჩო-ა →ჩიჩუა. ჩიჩუები თავადებიც იყვნენ და აზნაურებიც.

**ჩიხლაძე** - 4933 სული. მთელი ქვეყნისა და იმერეთის მასშტაბითაც ფართოდ გავრცელებული გვარია. გვხვდება სამეგრელოშიც: მარტვილი – 8 კ., ხუნწი – 7 კ., ჯიხაშკარი – 4 კ., ხარაზენი – 3 კ., სერგიეთი - 3 კ. და სხვ. ადგ. ვარიანტი: ჩიხლანძე. ტოპ.: საჩიხლანძო - უბანი ფალაზონში (ჯიხაშკარის თემი). აქ ჩიხლაძენი მოსულან გორდიდან, ამიტომ მათ უბანს ხუმრობით საქორთუოსაც უწოდებენ..

**ჩიხრაძე** - 1307 სული. რაჭული გვარია. ლეხაინდრავოში დამკვიდრებულა 3 კომლი.

**ჩოგუა** (ჩობუა) - გვარის უწინდელ დროში არსებობას ადასტურებს ტოპონიმი ხაჩოგუ//ხაჩობუ// ნაჩვებუ. ეს სახელი შერჩენია ბორცვს საჭიაიოში (ნახუხავო).

**ჩოკორაია** - 289 სული (ჩხორ. - 70, ზუგდ. - 48, წალენჯ. - 20). კომლი: ნაკიანი - 21, ქვ. ქვალონი - 6, ჩხოროწყუ - 6, ხობი - 5, ლია - 3 და სხე. ტოპ.: ლეჩოკორე - უბანი ჭალადვანის მარჯ. მხარეს (ნაკიანი). საჩოკორაიო - უბანი ბულიწყუში, მუხჩიის მარც. მხარეს. აქაური ჩოკორაიების წინაპრები მოსულან ნაკიანიდან. ჩოკო პირსახელია (ქსს, 1986), ჩოკორი მისი მოფერებითი ფორმაა.

**ჩომახია** - 60 სული (ზუგდ. - 47, თბ. - 8, ქუთ. - 5). ახალსოფელში (ზუგდიდის რ.) ცხოვრობს 8 კომლი. შესაძლოა, ჩომახია ჩვამახიას (იხ.) ვარიანტი იყოს. შდრ.: ჩომახიძე, ჩომახიშვილი, შომახია.

**ჩორგოლაშვილი** - 376 სული (თბ. - 140, აბაშა - 122, ქუთ. - 46). გვარის სამკვიდროა სამიქაო (44 კომლი). აქვე, კოვზასპირებზე, მდებარეობს უბანი ჩორგოლაშვილები//ჩორგოლაშვილების ქუჩა.

**ჩოჩია** - 794 სული (აბაშა - 364, თბ. - 199, ფოთი - 56). გვარის ყველაზე მრავალრიცხოვანი და უძველესი საცხოვრისია ნორიო (71 კომლი). არიან სხვაგანაც: აბაშა – 10 კ., ახალსოფელი (სენაკის რ.) - 8 კ. და სხვ. ტოპ.: საჩოჩიო - უბნები ნორიოსა და სუჯუნაში. ჩოჩი კოლხეთში პირსახელია და გვარი ჩოჩიაც მისგან შეიძლებოდა წარმოქმნილიყო. მეორე მხრივ, ჩოჩია მეგრულში აღნიშნავს ჩოჩიალას, ზოზინას. ასეთი სემანტიკის მქონე სიტყვის მეტსახელად ქცევა ძალზე ადვილია.

**ჩუბინიძე** - 6139 სული. მთელი საქართველოსა და იმერეთის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გვარია. დაფიქსირდა სამეგრელოშიც: ახალსოფელში (ხობის რ.) ჩასახლებულია 3 კომლი. გვარის ფუძეა ძველი ქართული სიტყვა ჩუბინი ("აუცდენლად მსროლელი").

**ჩუხუა** - 753 სული (ზუგდ. - 633, თბ. - 27, ქუთ. - 15). გვარის ძირძველი და უმთავრესი სამკვიდროა ჭაქვინჯი (60 კომლი). კომლი სხვა სოფლებში: დარჩელი - 5, კახათი - 5, ყულიშკარი - 5, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) - 4, კოკი - 4 და სხვ. მაშასადამე, გვარი ჩუხუა განსახლებულია ძირითადად ზუგდიდის რ-ნში. ტოპ.: საჩუხუო - უბანი ჭაქვინჯში. ჩუხუ პირსახელია კოლხეთში.

**ჩქვანავა** - 64 სული (ზუგდ. - 55, თბ. - 6, წალენჯ. - 2). გვარის სამკვიდროა ზუგდიდის რ-ნი: ჩხორიაში დაფიქსირდა 8 კომლი, ზუგდიდში, კახათში და სხვაგან - თითო-ოროლა. ჩქვა მეგრულში ეშვია. ჩქვანა დაახლოებით ეშვიანს ნიშნავს. შდრ. ჩხე "ცხელი, მზე", ჩხანა "მზიანი". ამასთანავე, გვარის წამოქმნის არც ასეთი გზაა შეუძლებელი: ჩიქვანავა – ჩქვანავა.

**ჩქოტუა** - 113 სული (ზუგდ. - 71, წალენჯ. - 17, თბ. - 13). კომლი: ზუგდიდი - 3, საჩინო- 2 და სხვ. არიან ლტოლვილებიც აფხაზეთიდან. ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, რომელიც სამეგრელოში მოღვაწეობდა არქანჯელო ლამბერტისთან ერთად (XVII ს. 30-იანი წლები) წერდა საზერიოში (გალის რ.) მცხოვრებ როსტომ ჩქოტუაზე: "მოხსენიების ღირსია ამ პროვინციის ზოგიერთი შესანიშნავი ბატონი, ჩვენი დიდი კეთილისმყოფელი როსტომ ჩქოტუა". იხ. ჩხოტუა.

**ჩქოფოია** - 211 სული (მარტვ. - 119, ზუგდ. - 47, ქუთ. - 14). კომლი: ინჩხური - 14, გაჭედილი - 10, მარტვილი - 5, ნალეფსაო - 4 და სხვ. ტოპ.: ეჩქოფოიე – ყოფილი დასახ. უბანი პ. ინჩხურში.

**ჩქოფორია** - 74 სული (სენაკი - 15, ჩხორ. - 4, მცხეთა - 2). კომლი: ნოჯიხევი - 5, ზუგდიდი - 4 და სხვ. ჩქოფორია, ჩქეფერია (და ჩქოფოია) ნიშნავს სახენათელს, სახეგაბადრულს. შდრ. ჩქოფოია.

**ჩხაიძე** - 6977 სული. საქართველოსა და, განსაკუთრებით, გურიაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გვარი დასტურდება სამეგრელოშიც: რუხი - 4 კ., აბაშა – 3 კ. და სხვ.

**ჩხაპელია** - 925 სული (ზუგდ. - 401, წალენჯ. - 333, თბ. - 52). კომლი: მუჟავა - 28, კახათი - 12, დარჩელი - 8, ახალკახათი - 7, ლია - 6, ჭალე - 5 და სხვ. ტოპ.: ნაჩხაპელუ – ტყე თეკანაშის კალთაზე, ჯვარის განაპირას. იშვიათი საპასპორტო ვარიანტია ჩხაბელია. შესაძლოა, ამოსავალი იყოს მეტსახელად ქცეული მიმღეობა ჩხაპელი "მორწყული, გაწუწული. შემთვრალებული".

**ჩხარჩხალია** -158 სული (ჩხორ. - 111, თბ. - 20, ზუგდ. - 10). კომლი: ხაბუმე - 19, ჩხოროწყუ - 5 და სხვ. ჩხარჩხალი აღნიშნავს ჩხრიალს. ხოლო ჩხარჩხალა, ჩხარჩხალია დაახლოებით იგივეა, რაც ჩხრიალა და შეიძლება რაღაც ნიშნით მეტსახელად იქცეს. იხ. ვარიანტები: ჩაჩხალია, ჩარჩხალია.

**ჩხეიძე** - 3799 სული. ერთ-ერთი ყველაზე გაერცელებული გვარია როგორც ქვეყნის, ისე იმერეთის რეგიონის მასშტაბით. მიგრირებულია სამეგრელოშიც. კომლი: ზანა - 16, რიყე - 13, მარტვილი - 6, ორსანტია - 5, ახალხიბულა - 4, პ. ხორგა - 4, ძვ. სენაკი - 4 და სხვ. ტოპ.: საჩხეიძეო - უბანი რიყეში.

აქ ჩხეიძეები მოსულან კინჩხიდან. გვარი გვხვდება 1644 წ. დოკუმენტში (ქსძ, III, 509). ჩხეიძე მომდინარეობს ჩხეტიძე-საგან (შანიძე, 1973, გვ. 159). ჩხეტიძე პირველად დამოწმებულია XIII ს. საბუთში. საერთოდ კი, ჩხეტიძეები XV ს-დან რაჭის ერისთავებიც იყვნენ. ჭოლაში, ჯგალში, მუხურში, თაიაში მოსახლე ჩხეიძეები თავადები იყვნენ, ხოლო ხორგაში მოსახლე ჩხეიძეები — აზნაურები.

**ჩხენკელი** - 823 სული (თბ. - 308, ქუთ. - 111, ფოთი - 54). ახალსოფელში (ხობის რ.) სახლობს 3 კ.

**ჩხეტია** - 1065 სული (ზუგდ. - 342, თბ. - 212, სენაკი - 74). კომლი: ჩხორია - 10, ეკი - 8, კორცხელი - 7, ზანა - 6, ნახუნაო - 5, სერგიეთი - 4, მარტვილი - 3, ქარიატა - 3, ქვ. ჭალადიდი - 3 და სხვ. ტოპ.: ნაჩხეტუ - ბორცვი ზანის მარჯ. მხარეს (ლეახალე). ნაჩხეტუ//ჩხეტიაშ გა - სერი ქუაღეესა და დუდღეეს შუა (ნახუნაო). საჩხეტიო - უბნები თეკლათსა და ზედა ეწერში (ჩხორიის თემი), სადაც უწინ ჩხეტიები ცხოვრობდნენ და შემდეგ ჩხეტიანებიც შემოემატნენ (ჩხორიის თემი). აკ. შანიძის მტკიცებით, ჩხეტია წარმოადგენს გვარ ჩხეტიძე-ს ტ ამოღებულ ვარიანტს (შანიძე, 1973, პარ. 159). ს. ჯანაშიას ვარაუდით კი, რაჭული გვარი ჩხეტიძე და მეგრული ჩხეტია მომდინარეობენ სვანური ჩხეტიანისაგან (ჯანაშია, 1959, გვ. 40). თეკლათსა და კიწიაში მცხოვრები ჩხეტიები აზნაურები იყვნენ.

**ჩხვიმიანი** - 576 სული. მესტიის რ-დან მიგრირებულია ბარში (ჩხორია - 4 კომლი).

**ჩხვირკია** - 217 სული (ზუგდ. - 88, თბ. - 31, წალენჯ. - 18). სამეგრელოში ძირძველი მოსახლე ძალზე იშვიათია. ძირითადად არიან ლტოლვილები. გვხვდება ვარიანტი ჩხვირკაიაც (29 სული ფოთში, ზუგდიდში...). ჩხვირკი მეგრულში ჩხიკვია, რაც შეიძლებოდა მეტსახელად და მერე გვარის ფუძედ ქცეულიყო. მაგრამ არც ისაა გამოსარიცხი, გვარი წარმოქმნილი იყოს გურიასა და იმერეთში გავრცელებული გვარების - ჩხიკვაძისა (3247 სული) და ჩხიკვიშვილის (498 სული) - ანალოგიით.

**ჩხოლარია** - 75 სული (ზუგდ. - 51, თბ. - 19, ფოთი - 2). კომპაქტურად სახლობენ ორსანტიაში (10 კომლი). XX ს. დამდეგს განარჯიის მუხურში მოსახლე 5 კომლი ჩხოლარია აზნაურის წოდებისა იყო.

**ჩხოტუა** — 116 სული (თბ. - 67, ფოთი — 9, ჩხორ. - 9). სამეგრელოში ძირითადად ლტოლვილები არიან. ჩხოტუა აფხაზეთში თავადთა გვარი იყო. შდრ. ჩქოტუა.

## ც

**ცაავა** - 2814 სული (მარტვ. - 833, ზუგდ. - 582, თბ. - 378). საქართველოში ფართოდ გავრცელებულ გვართა შორის 241-ე ადგილზეა სულთა რაოდენობით, მარტვილის რ-ნში კი მეშვიდე ადგილი უკავია. გვარის ყველაზე მრავალრიცხოვანი და ძირძველი სამკვიდროა სალხინო (136 კომლი). მრავლად არიან სხვა სოფლებშიც. კომლი: დ. ჭყონი - 28, ოქტომბერი - 20, მარტვილი - 18, ორულუ - 11, თამაკონი - 10, ნარაზენი - 10, გაჭედილი - 8, ვედიდკარი - 4, ინგირი - 4, ნაესაკაო - 4, ტალერი - 4, ურთა - 4, ქვ. ქვალონი - 4 და სხვ. იშვიათად გვხვდება საპასპორტო ვარიანტები ცავა (40 სული. ძირითადად ზუგდიდის რ-ნში) და ცაია (27 სული. ძირითადად გურიაში). ტოპ.: ლეცავე - მთისძირა სოფელი სალხინოს თემში, ჩერსა და აფხაზურეს შუა. საცეფო//ცეფი//ცაავები — უბანი მოგირწყარის ნაპირას (მოგირი, ორულუს თემი). სავარაუდოა, გვარი ცაავა დაკავშირებული იყოს ცავანთან (დაფიქსირებულია სვანეთის საიტორიო ძეგლებში). .

**ცაგურია** - 599 სული (თბ. - 100, მარტვ. - 87, ზუგდ. - 81). კომლი: გურძემი - 16, ქოლობანი - 13, ძვ. სენაკი - 7, ქვ. ქვალონი - 5, ახალკახათი - 4, ჩხორია - 3 და სხვ. ტოპ.: ლეცაგურე — ყოფილი დასახ. უბანი ჯუმსა, სინწასა და ჯაღეჯურს შუა მდებარე ბორცვებზე (ოდიში, ახალსოფელი. გადმოცემით, აქ მოსახლე ცაგურიები ჰქონს გაუწყვეტია საუკუნენახევრის წინათ). ნაცაგურ - ბორცვი ტეხურის მარჯ. მხარეს (ეინოთა). საცაგურიო - უბანი ძვ. ხიბულაში,. პირსახელი ცაგური დაფიქსირებულია ლეჩხუმში და არაა გამორიცხული მისი არსებობა სამეგრელოშიც.

**ცაიშვილი** - 26 სული (თბ. - 15, ზუგდ. - 11). ახალშექმნილი ხელოვნური გვარია. ცაიშელი დაგარგულიების (იხ.) ერთმა ნაწილმა სოფლის სახელის მიხედვით გაიკეთა გვარი ქართული მოდელით.

**ცანავა** - 2104 სული (თბ. - 467, ზუგდ. - 428, მარტვ. - 418). ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული გვარია საქართველოში (394-ე ადგილი). მარტვილის რ-ნში უკავია 22-ე ადგილი. კომლი: ნახუნაო - 48, ქოლობანი - 17, მარტვილი - 14, სერგიეთი - 14, ვედიდკარი - 13, ინგირი - 11, ცაიში - 11, ბანძა - 6, რიყე, 6, ქვ. ქვალონი - 6, აბედათი - 5, ძვ. სენაკი - 5 და სხვ. ტოპ.: ლეცანე - ბორცვი ზაკალონღალის მარც. მხარეს (ლეწურწუმე) და ხობისწყლის მარჯ. შენაკადი თავისი ხეობით მუხურიდან რამდენიმე კმ-ზე. ორივე ადგილი ცანავების ნაცხოვრებია. ნაცანოუ//ნაცანუუ - ფერდობები ტეხურის მარც. მხარეს (პ. თამაკონი). ნაცანუ - ბორცვი ლემოსიძეში (ფუქი). საცანაო - უბანი ნოღელის მარჯ. მხარეს (აბაშა). საცანაო//ცანავების უბანი - უბანი ნასერალის მარც. მხარეს (ბულვანი). გვარისათვის ამოსავალია პირსახელი ცანა (იხ. ქსს, 1986). იხ. ცანასქუა.

**ცანასქუა** - გვარს აღადგენს ჰიდრონიმი ცანასქუა//სანასქუა. ასე დაურქმევიათ წყაროსათვის, რაც ბერ ცანასქუას გაუკეთებია ნაცმერთან (საადამიო). ცანასქუა ნიშნავს ცანას შვილს. შდრ. ცანავა.

**ცარციძე** - 1918 სული. იმერული გვარია. ახალსოფელში (ხობის რ.) დაფიქსირდა 10 კომლი.

ცატავა - 409 სული (ზუგდ. - 133, თბ. - 92, წალენჯ. - 59). ძირძველი მოსახლე სამეგრელოში იშვიათია (არიან ლტოლვილები სამურზაყანოდან), მაგრამ გვარის უწინდელი განსახლების არეალზე მიანიშნებს ოიკონიმი ნაცატუ. ასე ეწოდება სოფელს კორცხელის თემში, ჯუმის ზემოთში. ინფ.: "ცატავების ერთი ნაწილი ყურსალებს წაუსხამთ. მეორე ნაწილი გალში გადაბარგებულა. ნასოფლარში ჯერ გაბედავები დამკვიდრებულან, შემდეგ - ჯანაშიები ნამიკოლოუდან". ცატავები მართლაც ცხოვრობენ გალის მახლობლად, ზემო ცხირში. ცატა მამაკაცის სახელია (დაფიქსირდა ოტობაიაში). შდრ. ცატუ (იხ. მეგრული ზღაპარი "ოქროს კრავი და ცატუ დადიანი").

ცაცუა - 570 სული (ზუგდ. - 308, თბ. - 96, წალენჯ. - 58). სამეგრელოში იშვიათია (რიყე - 3 კომლი და სხვ.). არიან ლტოლვილებიც სამურზაყანოდან. ამოსავალია პირსახელი ცაცუ.

ცეკვავა - 362 სული (სენაკი - 116, თბ. - 90, მარტვ. - 36). კომლი: აბედათი - 12, ლეძაძამე - 9, მენჯი - 3 და სხვ. ტოპ.: ლეცეკვე - უბანი ტეხურის მარც. მხარეს (ჯოლევი, ლეძაძამის თემი). ეცეკვე - უბანი ჯვარღეის სათავესთან (ჯოლევი, აბედათის თემი). ამოსავალია პირსახელი ან მეტსახელი ცეკუ (ცეკუ არის ეპითეტი გამხდარი და პატარა ტანის, მაგრამ მოუსვენარი კაცისა). -ა სუფიქსის დართვას მოუცია ცეკუა (გვარი ან პირსახელი), ხოლო გაგვარებულა -ვა-ს დართვით (შდრ. გოგია → გოგიავა, ბულია →ბულიავა...). შდრ. ცეკვაშვილი.

ცეკვაშვილი - 147 სული (ფოთი - 30, სენაკი - 18, თბ. - 18). ცეკვავას გაქართულებული ვარიანტია სამეგრელოშივე. კომლი: ქვ. ქვალონი - 5, გურიფული - 3, ძვ. სენაკი - 3 და სხვ.

ცერცვავა - იშვიათი გვარია. დაფიქსირდა აბედათში. იმერული ცერცვაძის (იხ.) ვარიანტი ჩანს.

ცერცვაძე - 8500 სული. ფართოდ გავრცელებული გვარია მთელი ქვეყნისა და იმერეთის მასშტაბით. კომლი სამეგრელოში: ლეხაინდრავო - 3, ნოჯიხევი - 3, სამიქაო - 3, წალენჯიხა -3 და სხვ.

ცეცხლაძე - 6463 სული. გავრცელებულია გურიაში, იმერეთსა და აჭარაში. საგვარეულოს ისტორიული სოფელი ხინო აჭარა-გურიის საზღვარზე მდებარეობს. კომლი სამეგრელოში: პ. ფოთი - 19, პ. ეწერი (სუჯუნის თემი) - 5 და სხვ.

ციკოლია - 1093 სული (ზუგდ. - 239, მარტვ. - 232, თბ. - 135). კომლი: გაჭედილი - 25, მარტვილი - 11, დ. ჭყონი - 8, პ. ფოთი - 5 და სხვ. ტოპ.: ლეციკოლიე – ყოფილი დასახ. უბანი ნოღაიის მარჯ. მხარეს (პ. კიწია). აქ ციკოლიები ესახლნენ 1950 წლამდე. ეციკოიე - უბანი ოკიცის სათავესთან (მესამე ბალდა). ციკო პირსახელია. ციკოლი და ციკორი მისი მოფერებითი ვარიანტებია.

ციკორია - 26 სული (რუსთ. - 6, ლანჩხ. - 5, ბათ. - 4). ციკოლიას ვარიანტი ჩანს. სამეგრელოში ძალზე იშვიათია: დაფიქსირდა მხოლოდ ხეთაში. იხ. ციკოლია.

ციკუტანია - 57 სული (ზუგდ. - 46, რუსთ. - 8). კომლი: ოქტომბერი - 7, ზუგდიდი - 13 და სხვ. ციკუტა, ციკუტია ჩია ტანის კაცის ეპითეტია (დაბოლოება -ან-ია ბევრ სხვა გვარშიც დასტურდება).

ციმინტია - 652 სული (წალენჯ. - 401, ზუგდ. - 138, თბ. - 73). კომლი: პ. ეწერი (ყოფ. ორჯონიკიძე) - 34, ჯვარი - 32, ლია - 18, წალენჯიხა - 12, ჩხორია - 7, საჩინო - 3 და სხვ. ადგ. ვარიანტი: ციმტია. იშვიათი ვარიანტი: ცემენტია. ტოპ.: ლეციმინტიე – ყოფილი დასახ. უბანი მაგანის მარჯ. ნაპირას (ლექარდე). ლეციმტე – ყოფილი დასახ. უბანი ლებიავახაშის მარჯ. მხარეს, ნასოფლარ ხუდონში. საციმინტიო - უბანი ტყაიაში, სამორგოშიოსა და საგოგოხიოს შუა.

ციმიტია - 88 სული. ციმინტიას ვარიანტია. კომლი: ზანა - 6, რუხი - 5 და სხვ.

ცინაძე - 633 სული. იმერეთსა და მესხეთში გავრცელებული ეს გვარი გვხვდება სამეგრელოშიც: ქვ. ჭალადიდში ცხოვრობს 9 კომლი.

ცინდავა - გვარის უწინდელ დროში გავრცელებულობას ადასტურებენ ტოპონიმები: ლეცი(ნ)დე - უბანი კინესქურის სათავესთან (ნაკიფუ). ამჟამად აქ მხოლოდ მოლაშხიები სახლობენ. საცინდა - უბანი ნარაზენში. ცინდა მეგრულში აღნიშნავს ციდას, ცეროდენას. მ. ქალდანის ვარაუდით, "სვანური ცინდ-ელ-ან და მეგრ. ცინდ-ავ-ა//ცირდ-ავ-ა ერთმანეთს უკავშირდება როგორც ძირეული, ისე სუფიქსური მორფემებითაც, სადაც სვანურ -ელ ელემენტს მეგრულში -ავ შეესატყვისება" (ქალდანი, 1980, გვ. 72). იხ. ცირდავა.

ცინდელიანი - 876 სული. მესტიის რ-ნიდან ჩასახლებულია სამეგრელოში (ლია - 3 კომლი).

ცირამუა – 513 (ჩხორ. - 251, ზუგდ. - 69, თბ. - 65). გვარის სამკვიდროა მუხური, სადაც დაფიქსირდა 49 კომლი. სხვაგან: ხაბუმე - 10 კ., ჩხოროწყუ – 5 კ., წალენჯიხა - 3 კ. და სხვ.

ცირგაია - 71 სული (ჩხორ. - 54, თბ. - 5, ქუთ. - 3). კომლი: ხაბუმე - 8, ჩხოროწყუ - 4 და სხვ. ცირგა (მეგრ.) "ცეტი, არასერიოზული" მეტსახელად ქცეულა და გვარსაც დასდებია საფუძვლად. შდრ. ცირგავი (რაჭ.) ხუმრობა, მასხრობა.

ცირდავა - 778 სული (ჩხორ. - 253, ზუგდ. - 189, თბ. - 92). გვარის სამშობლოა მუხური. კომლი: მუხური – 50, შ. ხორგა – 13, ნარაზენი - 10, ხაბუმე – 6, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) – 4, ზუმი – 3 და სხვ. ტოპ.: ლეცირდე – ტყე-საძოვრები ლუგელაში, ხობისწყლის მარჯ. მხარეს (მუხურიდან რამდენიმე კმ-ზე). ნაცი(რ)დუ - ვენახი ლეშამუგეში, მაცხოვრის ეკლესიის გვერდით. საცირდაო - უბანი ნარაზენში. ცინდა, ცირდა იგივეა, რაც ქართული ციდა. იხ. ცინდავა.

**ცისკარავა** - 34 სული (ზუგდ. - 17, ბათ. - 5, რუსთ. - 4). იშვიათი გვარია. ამოსავალია ქართულიდან შემოსული პირსახელი ცისკარა. არც ისაა გამორიცხული, ეს გვარი ცისკარაძის ან ცისკარაშვილის ვარიანტი იყოს. 1621 წლის საეკლესიო საბუთში დასახელებულია თილითს (ამჟამად აბააქვახუ ოჩამჩირის რ-ნში) მცხოვრები ლომინია ცისკარავა (ქსძ, III, 430). შდრ. ციცქარავა.

**ციცქარავა** - 88 სული (ზუგდ. - 41, ფოთი - 33, თბ. - 9). ანაკლიაში ცხოვრობს 3 კომლი. არიან ლტოლვილებიც. გვარი ციცქარავა უნდა მივიჩნიოთ ცისკარავას ვარიანტად, ხოლო თვით ცისკარავა დაკავშირებული ჩანს გვარ ცისკარაძესთან (262 სული), რაც გავრცელებულია როგორც აღმ., ისე დას. საქართველოში. მაშასადამე: ცისკარაძე →ცისკარავა →ციცკარავა →ციცქარავა. ადგ. ვარიანტი: ციცკარა. ტოპ.: საციცკარო//ციცკარაშ მუხური - უბანი დიდი ნეძის კახათში.

**ციცხვაია** - 392 სული (მარტვ. -127, თბ. - 112, სამტრ. - 69). კომლი: ხუნწი - 18, მარტვ. - 18, ნაჯახავო - 7 და სხვ. ტოპ.: ლეციცხვაიე (ადგ. ვარიანტი: ლეცხვაიე) - სოფელი ცხენისწყლის მარჯ. მხარეს (ხუნწის თემი). ციცხვაიები ამ სოფელში, ნოღელის მარჯ. მხარეს, ქმნიან უბანს, რომელსაც ეწოდება ე(ცი)ცხვაიე. ციცხ, ცხიცხ კატის მოსაშორებელი შეძახილია. მეორე მხრივ, ციცხვი ქართულში ხის დიდი კოვზია. გარკვეულ სიტუაციაში ასეთი სიტყვებიც იქცევა მეტსახელებად. ამ შემთხვევაში სავარაუდოა: ციცხუ →ციცხუ-ა → ციცხუა-ია →ციცხვაია.

**ცობეხია** - 148 სული (ზუგდ. - 71, თბ. - 24, წალენჯ. - 15). სამეგრელოში რამდენიმე ძირძველი კომლი დაფიქსირდა (ჩხოროწყუში, ძვ. ხიბულაში...). არიან ლტოლვილებიც.

**ცომაია** - 2228 სული (აბაშა- 795, თბ. - 681, ფოთი -160). საქართველოს ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში 363-ე ადგილი უკავია, აბაშის რ-ნში – მე-5, ხოლო ფოთში – 41-ე ადგილზეა. გვარის სამკვიდრო აბაშა და მისი მეზობელი სოფლები. კომლი: აბაშა 133, მარანი - 18, ტყვირი - 12, ძვ. აბაშა - 9, სუჯუნა - 9, პ. მაისი – 9 და სხვ. სამიოდე კომლი დაფიქსირდა ენგურისპირა განარჯიის მუხურშიც. ტოპ.: საცომაიო - უბანი ჭიჭე კვათანაში (აბაშა). გამოთქმულია მოსაზრება, რომ ცომაია მომდინარეობს ცხომარია (ცხუმელი ანუ სოხუმელი) ფორმისაგან (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 165). ამასთანავე, მეგრულში ცომა უმწიფარი, გამოუცდელი კაცის მეტსახელიცაა. XX ს. დამდეგს წალიკარსა და კაპანაში მოსახლე ცომაიები აზნაურები იყვნენ.

**ცოტაძე** - 244 სული (თბ. - 115, აბაშა - 47, სამტრ. - 27). კომლი სამეგრელოში: სამიქაო - 12, პ. მაისი - 4, ნაგვაზავო - 3 და სხვ.

**ცქვიტაია** - 273 სული (ჩხორ. - 114, თბ. - 51, ზუგდ. - 36). კომლი: ჭოღა - 10, ნაფიჩხოვო - 7, ჩხოროწყუ - 5, ხაბუმე - 4, ინგირი - 3 და სხვ. ცქვიტი მეგრულშიც აღნიშნავს ცქვიტს, მარდს. ცქვიტა და ცქვიტი პირსახელებიცაა. მათგანაა წარმოქმნილი ცქვიტარია, ცქვიტიშვილი... შდრ. ცხვიტაია.

**ცქვიტარია** - 434 სული (ზუგდ. - 185, თბ. - 118, ჩხორ. - 30). ამ გვარის ძირძველი მოსახლე სამეგრელოში არც თუ ისე ბევრია. განარჯიის მუხურში დაფიქსირდა 4 კომლი. არიან ლტოლვილებიც. ცქვიტარი პირსახელ ცქვიტისაგან არის წარმოქმნილი –არ სუფიქსით. შდრ. ცხვიტარია.

**ცქვიტიშვილი** – 434 სული (თბ. - 74, კასპი – 57, ჩხორ. - 52). ხაბუმეში დაფიქსირდა 3 კომლი. საერთოდ, ჩხოროწყუს რ-ნში გვხვდება ცქვიტაიაც და ცქვიტიშვილიც. შდრ. ცქიტიშვილი.

**ცქირია** - 92 სული (თბ. - 28, ფოთი - 16, ზუგდ. - 11). ნოჯიხევში დადასტურდა 6 კომლი. XVI ს. შუა წლების წყალობის წიგნის ერთ-ერთი მოწმე ყოფილა ბაბიჭუჭუ ცქირია (ქსძ, III, 881). ტოპ.: საცქირიო - უბანი ნაფოშტუში (ნოჯიხევის თემი). ნაცქირ(ო)უ - სახნავი ბერიწყუს მარჯ. ნაპირას (ჭაბურთა). ცქირი "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" ერთ-ერთი პერსონაჟის სახელია და გურიაშიცაა გავრცელებული. ცქირია პირსახელადაა დამოწმებულია "ტბეთის სულთა მატიანეში". მეორე მხრივ, მეგრულში ცქირი იგივე ჩანს, რაც ქართულში სირი "ჩიტი"(სირი →სქირი →ცქირი ?): ერთ ძალზე პატარა ჩიტს მეგრელნი ცქირპაპას ან კიდევ ცქირიკს უწოდებენ.

**ცქიტიშვილი** - 1312 სული. იმერული გვარია. სამეგრელოში იშვიათია: ქვ. ქვალონში ცხოვრობს 3 კომლი. უწინ ზემო სამეგრელოშიც ყოფილა გავრცელებული: მოიდანახეში, ოჩხომურის მარც. მხარეს, უბანს ეწოდება ლეცქიცქუე//საცქვიცქვაიო. ცქვიცქვაია ცქიტიშვილის ადგ. ვარიანტია.

**ცხადაია** - 1418 სული (ზუგდ. - 383, თბ. - 179, წალენჯ. - 167). გვარის ძირითადი და ყველაზე მრავალრიცხოვანი სამკვიდრო ნოჯიხევი (61 კომლი). კომლი სხვა სოფლებში: ლია - 17, ცაიში - 15, აბასთუმანი - 12, ახალსოფელი (ხობის რ.) - 12, შამგონა - 6, გურიფული - 5, ქარიატა - 5, ანაკლია - 6, ჯვარი - 3 და სხვ. ტოპ.: საცხადაიო - უბანი ზედა ლიაში და ყოფილი დასახ უბანი ჯვარზენში (ჯვარი), მუღურონის გვერდით, სადაც ტყეს ერქვა ქორთუშ ნოხორი. გადმოცემით, ეს ქორთუ, ე.ი. ქართველი, იყო იმერელი ცხადაძე, აქაური ცხადაიების წინაპარი. ნაცხად(ო)უ - ფერდობები ტეხურისა და ჯამანჯღარის შესართავთან (თამაკონი). ნაცხადუ - ბორცვი მელისქურსა და კარერობუს შუა (თაია). საცხადაიო ეწოდება უბნებს ქვემო სამეგრელოშიც: 1. აბასთუმანში, მუნჩია-ჭულორიას წყალგამყოფზე (ინფ.: "აქაური ცხადაიების ორ შტოს გამოყოფენ: ერთნი მოსულან ჯვარიდან. მათ სასაფლაო საკუტალიოში აქვთ. მეორენი ნოჯიხევიდან არიან წარმოშობით. მათი სასაფლაო შამადელაშია"). 2. ჩხოუში, ჯუმსა და ხორშოლს შუა (ცაიშის თემი). 3. გაღმა პ. ხორგაში,

ხობისწყლის ნაპირას. 4. კუთხენოჯიხევში, ნაფოშტუს საზღვართან. XVIII ს. შუა წლებში ბიას მცხოვრები გლეხი ამაცალა ცხადაია (სხვა საბუთის მიხედვით - იმანცალა ცხადია) გრიგოლ კათალიკოსს შეუწირავს ბიჭვინთისათვის (ქსძ, III, 768, 771). ამავე საუკუნის შუა ხანებში ბესარიონ კათალიკოსის მიერ გაპირდია ხურციასათვის მიცემული წყალობის წიგნის ერთ-ერთ მოწმედ დასახელებულია ცხადაია (სახელი არ ჩანს. იხ. ქსძ, III, 881). პირსახელი ცხადა რამდენიმეგზის გვხვდება "ტბეთის სულთა მატიანეში" და, საერთოდაც, გავრცელებული ყოფილა. ამას ადასტურებს იმერული გვარებიც: ცხადაბერიძე, ცხადაძე (2598 სული), ცხადაშვილი (152 სული).

ცხადია - 68 სული (ზუგდ. - 30, თბ. -19, ხაშური - 6). იშვიათი გვარია. კომპაქტური დასახლება არ დაფიქსირდა. ცხადია პირსახელიცაა, რასაც ადასტურებს 1578 წლის დავთარი, სადაც დასახელებულნი არიან შუბანს მცხოვრები ფაშქუიძე ცხადია და კორთხას მცხოვრები ლომიძე ცხადია (ქსძ, III, 313, 327). შდრ. ცხადიაშვილი (133 სული, ძირითადად ქვ. ქართლსა და იმერეთში).

ცხაკაია — 590 სული (თბ. - 190, მარტვ. - 105, ზუგდ. - 93). კომლი: ქვაითი - 16, ახალკახათი - 6, ნაჯახაო - 5, ლესიჭინე - 4, მარტვილი - 3 და სხვ. ტოპ.: საცხაკაიო - უბანი ჭიჭე ახალკახათში.

ცხვიტავა - 294 სული (სენაკი - 134, თბ. - 66, ფოთი - 50). კომლი: ეკი - 15, მენჯი - 4 და სხვ. ტოპ.: საცხვიტაო - სოფელი ცივის მარჯ. მხარეს, ეკის თემში. ინფ.:"ცხვიტავა, იგივე ცხვიტარია, აქ ძირძველი გვარია". 1455 წ. საბუთში დასახელებულია ვარიანტი სხუიტავა (პალ, II, 11)..

ცხვიტაია - იშვიათი გვარია. სენაკში დაფიქსირდა 2 კომლი. ამავე ცხვიტა ფუძეს შეიცავს აგრეთვე გვარები: ცხვიტავა, ცხვიტარია, ცხვიტია. შდრ. ცქვიტაია.

ცხვიტარია - 211 სული (ფოთი - 72, სენაკი ÷ 62, აბაშა - 35). კომლი: ქოლობანი - 8, თეკლათი - 3, სუჯუნა - 3 და სხვ. ვარიანტი სხვიტარია გვხვდება 1733 წ. საბუთში (ქსძ, III, 731). ამავე პერიოდში წყალიძგას მცხოვრები მაშანუ და მამაგული სხვიტარიები შეუწირავთ ბიჭვინთისათვის (იქვე, 767).

ცხვიტია - ძალზე იშვიათი გვარია. დაფიქსირდა ფოთში.

ცხომარია - 270 სული (სენაკი - 66, თბ. - 52, ფოთი - 28). კომლი: ხორში - 5, ბია - 4, ქვ. ჭალადიდი - 4, ახალსოფელი (ხობის რ.) - 3, ნოჯიხევი - 3 და სხვ. ტოპ.: საცხომარიო - უბნები ზემო ბიასა და დიდ ხორშში. ცხომარია ორჯერაა დასახელებული XVI ს. საბუთში ხოფის ეკლესიის ბეგრის გადამხდელთა შორის (ქსძ, III, 349-350). ცხომარი, საიდანაც არის მიღებული გვარი ცხომარია, ისევე როგორც ცხომელი (→ ცხომელიძე) ნიშნავს სოხუმელს (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 314-315). XX ს. დამდეგს ნოჯიხევსა და ხობში მოსახლე ცხომარიები აზნაურები იყვნენ.

ცხონდია - 159 სული (ზუგდ. - 87, თბ. - 50, ჩხორ. - 12). კომლი: კახათი - 5, ჯიხაშკარი - 5, წალენჯიხა - 3, ჭითაწყარი - 3 და სხვ. ტოპ.: საცხონდიო - უბანი ჯიხაშკარში, ჭანისწყლის მარჯ. მხარეს. ქართული "ცხონდი" ეპონიმის მეტსახელად ქცეულა და შემდეგ გვარს დასდებია საფუძვლად. XX ს. დამდეგს ჭაქვინჯში ცხოვრობდა 9 კომლი აზნაური ცხონდია. აღსანიშნავია, რომ ი. ბაგრატიონი ოდიშის აზნაურთა შორის ასახელებს ცხოდიაშვილს და აღნიშნავს. "ესენი არიან გვარათ ცხვედან გვარიანი" (ბაგრატიონი, 1997, გვ. 135). ცხოდ-, ცხონდ-, ცხვედ- ფუძეებს შორის კავშირი უდავოა.

ცხუცხუბაია —(52 სული) და მისი ვარიანტი ცუცხუბაია (31 სული) ძალზე იშვიათია სამეგრელოში (დაფიქსირდა თითო-ორი კომლი). ძირითადად არიან ლტოლვილები .

## ძ

ძაგანია - 1153 სული (თბ. - 350, მარტვ. - 333, ქუთ. - 96). გვარის ძირითადი სამკვიდროა ონოღია (86 კომლი) და ნაჯახაო (49 კომლი). სხვაგან ცოტანი არიან: ქარიატა — 10 კ., ველიდკარი — 6 კ., აბედათი — 3 კ., ბანძა — 3 კ., გეჯეთი - 3 კ. და სხვ. ტოპ.: საძაგანუ — ტყე-ფერდობები ნაპერტულალის მარჯ. მხარეს (ფუქი, მაზანდარა). პირსახელი ძაგან დაფიქსირებულია 1260 წლის ახლო ხანის საბუთში (პალ, I, 66). ძაგან სომხური სიტყვაა და ნიშნავს ნაშობს, შვილს. შდრ. ძაგანიშვილი, ძაგნიძე.

ძანძავა - 720 სული (ზუგდ. - 439, თბ. - 102, წალენჯ. - 46). კომლი: რიყე - 4, ზუგდიდი - 19 და სხვ. ტოპ.: საძანძო - ყოფილი დასახ. უბანი კილის მარც. მხარეს (წყოუში). ძანძ- ზანური ფუძეა და დაკავშირებულია რყევის, ნძრევის სემანტიკასთან (იძანძ "ირყევა", ძანძილი "მორყეული"...). ძანძა უნდა ნიშნავდეს მერყევს, არამტკიცეს. მეორე მხრივ, ძანძა სელის კანაფის ტომარაა. ამგვარი სიტყვაც შეიძლება "მიეკეროს" პიროვნებას გარკვეულ გარემოებათა გამო და მეტსახელად იქცეს.

ძაპტაშვილი - 34 სული. გვარის სამშობლო და ძირითადი განსახლების ადგილი არის ზუგდიდის რ-ნი. კომპაქტური დასახლება დაფიქსირდა რუხში (4 კომლი).

ძარია - 121 სული. გვარის სამკვიდრო არის მარტვილის რ-ნი. კომლი: ქვაითი - 9, ნაგვაზაო - 7, ინჩხური - 4, მარტვილი - 4 და სხვ.

ძაძამია - 1697 სული (წალენჯ. - 370, თბ. - 260, ზუგდ. - 198). კომლი: პ. ეწერი - 33, ლეძაძამე - 22, წალენჯიხა - 17, მედანი - 16, მარტვილი - 12, ქვ. ჭალადიდი - 10, ინჩხური - 7, ოქტომბერი - 6, ბანძა - 5, ზანათი - 5, ქვ. ქვალონი - 5 და სხვ. ტოპ.: ლეძაძამე - სოფელი, თემის ცენტრი ტეხურის მარჯ. ნაპირას (სენაკის რ.). საძაძამიო — უბანი ურთის მთის კალთაზე (ხამისკური). შდრ. ძაძამიძე (24 სული).

**ძაძუა** – 518 სული (ზუგდ. – 331, თბ. – 83, ქუთ. – 24). სამეგრელოში ძირძველი მოსახლე ძალზე იშვიათია. ძირითადად არიან ლტოლვილები სამურზაყანოდან. საშუალო საუკუნეების ისტ. საბუთების მიხედვითაც, ძაძუები სამურზაყანოში მკვიდრობენ: XVI ს. დამლევს შედგენილ საეკლესიო საბუთში აღნიშნულია, რომ ნაცანეულს (ოტობაია) "სახლობს ოთხი კვამლი მსახური ძაძუა. მართებს ლაშქრობა..."(ქსძ, III, 385). ოციოდე წლის შემდეგ ამავე სოფელში მოსახლეობენ: გაბრიელ ძაძუა, აბრამ ძაძუა, ირდაშელა ძაძუა, ინგარია ძაძუა (იქვე, 420). სხვათაშორის, აღნიშნულ სოფელში დღესაც ცხოვრობენ ძაძუები. გვარისათვის ამოსავალია პირსახელი ძაძუ.

**ძერია** – 199 სული (ჩხორ. – 129, თბ. – 20, სენაკი – 17). კომლი: ხაბუმე – 28, ნაფიჩხოვო – 12 და სხვ. ტოპ.: ლეძერე – უბანი ხაბუმეში, ცენტრალურ გზაზე. ლეძერე ამ სოფელში ეწოდება ბორცვსაც ჰაჭასქურის მარჯ. მხარეს. აქ ძერიათა უწინდელი საცხოვრისი ყოფილა. ნაძერუ – ბორცვი ლემორგოშიეში. ძერიას ხასახლარია (თაია). გვარის ფუძეს აკავშირებენ ფრინველის სახელ ძერასთან. ძერა პირსახელადაც არის დაფიქსირებული ზუგდიდში (ქსს, 1986).

**ძვაბავა** – 90 სული. ძირითადად ცხოვრობენ წალენჯიხის რ-ნში: წალენჯიხა – 11 კ., მედანი – 10 კ. და სხვ. ტოპ.: ლეძობე//ლეძვაბე – ყოფილი დასახ. უბანი ინწირის მარც. მხარეს (ჩქვალერი). ძვაბა კოლხეთში ფართოდ გავრცელებული სახელია.

**ძველაია** – 390 სული (აბაშა – 156, თბ. – 70, სენაკი – 37). კომლი: აბაშა – 20, სეფიეთი – 15, სუჯუნა – 4, ნორიო – 3 და სხვ. გადმოცემით, ძველაიები გადმოხვეწილან სამურზაყანოდან XVIII ს. ბოლოს. კერძოდ, ორი ძმა ზვამბაია დამკვიდრებულა მაცხოვრისკარში და ძველაიად დაწერილან. მათი შთამომავლები ბოლო დრომდე დადიოდნენ სალოცავად ილორის ეკლესიაში. ამავე ფუძისაა პირსახელი ძველია, რაც საეკლესიო საბუთებშია დამოწმებული (ქსს, 1987). შდრ. ძველიშვილი.

**ძიგუა** – 677 სული (ზუგდ. – 243, სამტრ. – 156, თბ. – 82). კომლი: ყულიშკარი – 4, ჭალე – 4, ალერტკარი – 3, კახათი – 3 და სხვ. ძიგ- ზმნური ფუძე მეგრულში დაკავშირებულია ულაზათობის სემანტიკასთან: ოძიგვინანს – გამხდარია და უშნოდ გამოიყურება. კოლხეთში კიდეც არის დაფიქსირებული პირსახელები ძიგვალი, ძიგული (ქსს, 1986), რაც აღგვადგენინებს ძიგუ-საც.

**ძიმისტარაშვილი** – 304 სული (ზუგდ. – 81, თბ. – 64, ვანი – 41). რამდენიმე კომლი ძირძველი მოსახლე დაფიქსირდა ზუგდიდში. აქვე არიან ლტოლვილებიც. შდრ. ძიმისტარიშვილი.

**ძიმისტარიშვილი** – 444 სული (ლანჩხ. – 186, ბათ. – 55, ჩხორ. – 28). კომლი: ლესიჭინე – 3, უშაფათი – 3, ჭითაწყარი – 3 და სხვ. შდრ. ძიმისტარაშვილი. XX ს. დამდეგს კვაუთში მოსახლე ძიმისტარიშვილები აზნაურები იყვნენ.

**ძიმცეიშვილი** – 228 სული (ზუგდ. – 200, თბ. – 14, ბაღდ. – 3). კომლი: ჩხორია – 22, რიყე – 18, ხეთა – 3 და სხვ. ადგ. ვარიანტი: ძიმცესქუა. იშვიათი საპასპორტო ვარიანტი: ძიმცერიშვილი (დაფიქსირდა ხეთაში). ტოპ.: საძიმცესქუო – უბანი კვაუთში, აბედათის საზღვართან. ისტ. საბუთში დამოწმებულია ამოსავალი ფორმა ძიმისეიშვილი: 1684-1714 წწ. შედგენილი დოკუმენტის მიხედვით, კვაუთში მცხოვრები ბუჭკუელა ძიმისეიშვილი ცოლ-შვილითა და მამულით უჩუქებია გიორგი ლიპარტელიანს გიორგი ფაღავასათვის (პალ, II, 566). მაშასადამე: ძიმისა →ძიმისეიშვილი →ძიმსეიშვილი ძიმცეიშვილი (ს ბგერის აფრიკატიზაციით) →ძიმცესქუა.

**ძიძავა** – 116 სული (თბ. – 37, ფოთი – 31, სენაკი – 14). ფოთში მკვიდრობს 6 კომლი. ტოპ.: ნაძიძ(ო)უ – საძოვარი ღეეძგის სათავესთან (პ. თამაკონი). ძიძავ პირსახელია სვანეთში.

**ძიძარია** – 146 სული (წალენჯ. – 64, ზუგდ. – 28, თბ. –20). ქ. წალენჯიხაში დაფიქსირდა 42 კომლი. ძიძარი წარმოქმნილია ძიძა-საგან –არ სუფიქსით. შდრ. ძიძავა.

**ძიძიგური** – 2359 სული (თბ. – 639, მარტვ. – 344, ხონი – 144). ყველაზე გავრცელებულ ქართულ გვართა შორის 340-ე ადგილზეა. კომლი: ხუნწი – 43, ნახუნაო – 17, პ. მაისი – 15, ძვ. სენაკი – 12, ვედიდკარი – 10, ნაგვაზავო – 8, ინჩხური – 5, ნალეფსაო – 3, ჭითაწყარი – 3 და სხვ. ტოპ.: საძიძიგურო – უბანი ტობაღეეს მარც. მხარეს (სენაკი). ძიძიგურების უბანი – უბანი ხონელიძეების უბანსა და ჩიტიების უბანს შუა (პ. მაისი). XVI ს. დამლევს შედგენილ "ხონის საყდრის გამოსავლის დავთარში" დასახელებულია ხოჟონა ძიძიგური (ქსძ, III, 367). XVIII ს. დამლევის ერთი საბუთის მიხედვით კი სვიმონ ძიძიგურს მართებს ხონის საყდრის ბეგარა 4 კვახი ღომი და 4 კოკა ღვინო (იქვე, 1078). 1750-1780 წლებში შედგენილ სათავდებო წიგნში დასახელებულია დავითელა ძიძიგური (სოსელია, 1960, გვ. 19). 1904 წლის აღწერის მასალებში დაფიქსირებულია გვარის ვარიანტი ძიძიგურია (ხუნწში). XX ს. დამდეგს შხეფში მოსახლე ძიძიგურები აზნაურები იყვნენ.

**ძოღუა** – გვარის არსებობას ადასტურებს ტოპონიმი ლეძოღუე//ლედოღუე. ესაა ვაკე-ფერდობები ლეახალეში. ძოღო კოლხეთში გავრცელებული პირსახელია (ქსს, 1967).

## წ

**წაბრია** – 105 სული (ზუგდ. – 52, თბ. – 21, ქუთ. – 10). ზუგდიდში დაფიქსირდა რამდენიმე კომლი ძირძველი მოსახლე. არიან ლტოლვილებიც. ვარიანტი წარბია გვხვდება "საცაიშლო დავთარში"

(1616-1621 წწ.), სადაც ვკითხულობთ: "მართებს გიორგი წარბიას საჭმელი, რარიგადაც თავი ესახელებოდეს" (ქსძ, III, 452). ამავე სამართლებრივი ძეგლიდან ჩანს, რომ წარბიები მრავლად მკვიდრობენ დარჩელშიც (იქვე, 456-463). წარბა, წარბია მეტსახელებია (შდრ. პერსონაჟი იერემია წარბა გ. წერეთლის "პირველი ნაბიჯიდან").

**წარაღბაია** – 24 სული. აფხაზურ-მეგრული გვარია. ზუგდიდში დაფიქსირდა 3 კომლი.

**წარია** - 54 სული (ზუგდ. - 28, თბ. - 13). ახალკახათში ცხოვრობს 7 კომლი. არიან ლტოლვილებიც. წარე (ქართ. მწარე) მეტსახელია. მაშასადამე: წარე →წარე-ა →წარია.

**წახნაგია** – 28 სული. დაფიქსირდა სენაკში (4 კ.), კახათში და სხვ. ვარინტი: წახნაკია.

**წახნაკია** - 159 სული (ჩხორ. -108, სენაკი - 12, თბ. - 12). კომლი: ლეწურწუმე – 12, ჭოლა - 6, ჩხოროწყუ -3 და სხვ. ტოპ.: საწახნაკიო//საწახნაგიო – უბანი საწახნაგიოღალის სათავესთან (ჯუმითი, ლეწურწუმის თემი). წახნაკიაშ სუკი – სერი სქურჩის მარჯ. მხარეს (ულურია). იხ. წახნაგია.

**წვერავა** - 516 სული (თბ. - 131, ქუთ. - 72, სამტრ. - 30). სამეგრელოში იშვიათი გვარია: წვერა მდინარის თევზია ერთგვარი. ამგვარი სიტყვაც შეიძლება იქცეს მეტსახელად. ქართულში წვერა წვერის მქონესაც (წვერიანს) აღნიშნავს. შდრ. წვერაიძე.

**წივწივაძე** – 1047 სული. იმერული გვარია. გვხვდება სამეგრელოშიც: სამიქაო – 4 კ., ხოჯიხევი – 3 კ. და სხვ. წივწივა ჩიტია ერთგვარი. წივწივას წვრილხმიან და ჭყიპინა კაცზეც იტყვიან იმერეთში.

**წითაშვილი** - 208 სული (ზუგდ. - 116, ქუთ. - 35, ადიგენი – 30). ამ -შვილ დაბოლოებიანი გვარის სამშობლოა სამეგრელო: ორსანტიაში მკვიდრობს 23 კომლი. შდრ. წითაძე (243 სული), ჭითავა.

**წითლიძე** – 307 სული (ზუგდ. - 83, თბ. - 63, ბათ. - 35). ორსანტიაში მოსახლეობს 6 კომლი (აქვე ცხოვრობენ წითაშვილებიც). ადგ. ვარიანტი: წითინძე. ტოპ.: ლეწითლიძე - უბანი უშაფათში.

**წიკია** - ორიოდე კომლი დადასტურდა ორსანტიაში. წიკო, წიკია სამცხეში პირსახელებია.

**წირქვაძე** – 163 სული (მარტვ. - 78, თბ. - 72, წყალტ. - 6). კომპაქტურად სახლობენ ონოღიაში (4 კომლი). ადგ. ვარიანტი: წირქვაია. იშვიათი საპასპორტო ვარიანტია წირქვავა (28 სული. აბაშის რ.).

**წიროღავა** – 412 სული (თბ. – 76, ზუგდ. – 75, ფოთი - 63). კომლი: ხუნწი - 9, უშაფათი - 5, აბაშა - 4 და სხვ. ტოპ.: ლეწიროღე - უბანი ქვ. ხუნწში (წიროღავები აქ ცოტანი დარჩნენ. სხვა გვარისანი მეტნი აღმოჩნდნენ). საწიროღა - ნასახლარები საბიგვაში (ნობულევი). წიროღუ მეგრულში აღნიშნავს დაგრეხილ წნელს (ღვლერჭს). სათანადო მოტივაციის არსებობისას ეს სიტყვა შეიძლებოდა ქცეულიყო მეტსახელად. მაშასადამე: წიროღუ → წიროღუ-ა → წიროღუ-ა-ვა → წიროღავა.

**წიფიანი** – 286 სული. ჭკადუაშში დაფიქსირდა 4 კომლი. ჩამოსულან მესტიის რ-დან.

**წიფურია** - 459 სული (მარტვ. - 136, თბ. - 109, ზუგდ. - 84). კომლი: კიწია - 21, ახუთი - 6, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) - 5, ლესიჭინე - 3 და სხვ. XVII საუკუნეში ენგურისპირა სოფელ წიფურიაში იტალიელი მისიონერები იყვნენ დაბინავებულნი. ეს ტოპონიმი გვარისაგან ჩანს წარმოქმნილი თუ მცენარის სახელისაგან. წიფურია, რა თქმა უნდა, მოექცევა იმ გვართა ჯგუფში, რომელიც მცენარის სახელისაგან არიან წარმოქმნილი (წიფური "წიფელი"), თუმცა ეს ფაქტი ვერ გვიხსნის მცენარის სახელის ანთროპონიმიზაციის მოტივს. მეორე მხრივ, შესაძლებელია წიფურია მომდინარეობდეს სვანური წიფურიანი-საგან (დაფიქსირებულია სვანეთის საისტ. ძეგლებში). ქვემო სვანეთში წიფი, წიფურა პირსახელებია (ქსს, 1986). შდრ.: ჭყონია, ჭყონიძე, მუხაძე.

**წიქარიშვილი** – 2830 სული. გავრცელებულია კახეთსა და იმერეთში. ჩასახლებულია 11 კომლი ახალსოფელში (ხობის რ.). პირსახელი წიქარი გვხვდება სვანეთში, წიქარა - "ტბეთის მატიანეში".

**წიქორია** – 86 სული. დასტურდება ძირითადად გურიასა და აჭარაში, სადაც მეგრულ-ლაზურის ისტორიული გავრცელების არეალია (ბათუმში – 19 სული, ჩოხატაურში – 14 სული). სამეგრელოში იშვიათია: დაფიქსირდა ფოთში ორიოდე კომლი. როგორც ჩანს, წიქორია იმერეთში გავრცელებული გვარის - წიქორიძის (818 სული) - მეგრული ვარიანტია (შდრ. ქართ. წიქარა "მწითური").

**წიწავა** - 148 სული (ზუგდ. - 117, თბ. - 21, ბათ. - 4). კომლი: ცაიში - 19, ოქტომბერი - 10, ზუგდიდი - 4 და სხვ. ტოპ.: საწიწაო - უბანი გეზათის ცენტრში (ინფ.: "წიწავები და ქირიები, საეკლესიო გლეხები, ამ სოფლის ძირძველი მოსახლენი არიან"). წიწანაშენი - ბორცვი მაგანის მარც. მხარეს (ლექარდე). წიწას აქ ჰქონია ნაშენი, ანუ ხეხილ-ვენახიანი ადგილი (წიწა ამ შემთხვევაში, შესაძლოა, სახელიც იყოს). გვარი წიწაა ფორმით გვხვდება "საცაიშლო დავთარში"(1616-1621 წწ.), საიდანაც ვიგებთ, რომ "ცაიშის მიმდგამსა კაცსა" მერკე წიწაას ემართა გარკვეული საეკლესიო ბეგარა (ქსძ, III, 449). ამავე საბუთში გვხვდება ვარიანტი წიწიაა (აქვე, 455). წიწა რომ პირსახელი ან საზოგადო სახელი იყო, ამას ადასტურებს XVII ს. დას. საქართველოს საბუთებში დადასტურებული სახელი წიწაკოჩი (შდრ.: ქირსეკოჩი, ბაბაკოჩი...).

**წოწერია** - 202 სული (სენაკი - 92, ზუგდ. - 26, ქუთ. - 10). კომლი: ბულიწყუ -10, ზ. ჭალადიდი - 10, ზანა - 8, საჯიჯაო - 5, ფოცხო - 5, ხეთა - 5 და სხვ. იშვიათი ვარიანტია წოწელია (22 სული. ძირითადად ქვემო იმერეთში). იხ. წოწორია.

**წოწონავა** - 914 სული (მარტვ. - 334, თბ. - 175, სენაკი - 70). გვარის სამკვიდროა აბედათი (61 კომლი), აგრეთვე ბანძა (4 კ.), სერგიეთი (4 კ.) და სხვ. იხ. წოწორია.

**წოწორია** - 1078 სული (მარტვ. - 517, თბ. - 251, აბაშა - 47). კომლი: ინჩხური - 85, ხუნწი - 25, მარტვილი - 14, დ. ჭყონი – 6, კეთილარი - 6, სუჯუნა - 3 და სხვ. მეგრულში წოწორ- ფუძე აღნიშნავს მაღალსა და აწოწილს. იგივე წოწ- ძირი ჩანს წოწერიასა და წოწონავაშიც. შდრ. წოწოლაშვილი.

**წულაია** - 5091 სული (მარტვ. - 1469 სული, თბ. - 695, ზუგდ. - 465). საქართველოსა (76-ე ადგილი) და სამეგრელოს მასშტაბითაც (მე-15 ადგილი. 3104 სული) ფართოდ გავრცელებული გვარია. მარტვილის რ-ნში III ადგილზეა (დანელიასა და ნაჭყებიას შემდეგ). კომლი: გაჭედილი - 199, მარტვილი - 47, პ. ფოთი - 39, სალხინო - 36, ხაბუმე - 31, საჩინო - 26, შ. ხორგა - 21, თორსა-დღვაბა - 16, ქარიატა - 16, ბახძა – 15, ლეხაინდრავო - 13, სერგიეთი - 12, სუჯუნა - 12, დ. ჭყონი - 11 და სხვ. ადგ. იშვიათი ვარიანტი: რწულაია. ტოპ.: ლეწულაიე//წულაიეფიშ ნოხორი - სერი, ყოფილი დასახ. უბანი კამის მარც. მხარეს (ნაფიჩხოვო. წულაიები აქედან, როგორც უგზო, მიუვალი ადგილიდან, გადასახლებულან 1950 წელს. სახელწოდების მეორე ვარიანტიც ამის შემდეგ შეიქმნა). ეწულაიე - უბნები მესამე ბალდაში, გაჭედილში, ჭაბურთაში და სხვ. ნარწულუ//ნაწილუ - ვაკე-ფერდობები საკონჯარიოში (სამესხიო). ლერწულაიე – ყოფილი დასახ. უბანი მაღლოკის ნაპირებზე (ჩხორია, ზ. ეწერი). საწულაიო - უბნები თორსაში, გამოღმა შ. ხორგაში, გაღმა ქარიატაში, საღვამიჩავოში, გახომელაში. გვარი პირველად დოკუმენტირებულია 1616-1621 წწ. შედგენილ "საცაიშლო გამოსავლის დავთარში", სადაც აღნიშნულია, თუ რა სახის საეკლესიო ბეგარა მართებთ წულაიებს (ქსძ, III, 443). ერთი საუკუნის შემდგომდროინდელ საბუთში დასახელებული არიან ხობს მცხოვრები საეკლესიო გლეხები თუთამხია და გვაძაბია წულაიები. წულა რომ პირსახელი იყო, ამას ადასტურებენ გვარები წულეისკირი და წულაძე (902 სული. ძირითადად გურია, აჭარა).

**წულეისკირი** - 645 სული (სენაკი - 290, თბ. - 146, სამტრ. - 39). კომლი: ნოსირი - 7, თეკლათი - 5, ნოჯიხევი - 5, ქვ. ქვალონი 5 და სხვ. ტოპ.: საწულეისკირიო - სოფელი ცივის მარც. მხარეს, მენჯის თემში. ვარიანტი წულისკერი, სახელი თუ გვარი, დამოწმებულია XVII ს. ბოლო მეოთხედს შედგენილ შეწირულების წიგნში: "პეპუნა ჩიჩუამ ჩვენი წულისკერი მოგუპარა", - წერს კათალიკოსი დავით ნემსაძე (ქსძ, III, 613). ხოლო ვარიანტი წულაისქირი გვხვდება XVIII ს. დამდეგის საბუთში (ქსძ, III, 677). წულეისკირი ნიშნავს წულას შვილს. ფონეტიკური პროცესი აი→ეი→ე ახასიათებს ქვემოიმერულსაც (განსაკუთრებით სამტრედიულ და ვანურ თქმებს: მამაი →მამე, ბიცოლაი →ბიცოლე. იხ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 449) და მეგრულსაც (ქუთაისი →ქუთეში, მაისი →მესი, ამბავი →ამბე... ვაინგარა →ვენგარა, ვაიხირა →ვეხირა. იხ. ყიფშიძე, 1994, გვ. 162, 233). მაგრამ როცა საქმე გვარსახელებს ეხება, ქვემოიმერულშიც და მეგრულშიც ფუძისა (პირსახელი, მეტსახელი) და ნათეს. ბრუნვის ნიშნის საზღვარზე პროცესი, ჩვეულებრივ, შეჩერებულია შუა (ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის) საფეხურზე: ნიკოლა →ნიკოლაისშვილი →ნიკოლეიშვილი, კოპალა → კოპალაისშვილი →კოპალეიშვილი, ვერულა → ვერულაისშვილი →ვერულეიშვილი (იმერულში), წულა → წულაიშ სკირი →წულეისკირი, ძიმისა →ძიმისაიშვილი →ძიმისეიშვილი (→ძიმცეიშვილი) და სხვ. მეგრულში.

**წულუკაა** - 21 სული (ზუგდ. - 10, თბ. - 8, რუხი - 1). წულუკიძის (2272 სული) ვარიანტი ჩანს. წულუკიძეები სახლებულან ნაწულუკუში (ვარ.: ნაწულიკოუ), რაც სოფელია რუხის თემში, ზუგდიდის განაპირას. გვარებს – წულუკია, წულუკიძე – აკავშირებენ სვანურ წულუკიანთან (ჯანაშია, 1959, გვ. 40). 1904 წელს ნაგვაზავოსა და გეჯეთში მოსახლე წულუკიძეები აზნაურები იყვნენ.

**წულუკიანი** - 65 სული (მესტია- 28, თბ. - 14, ზუგდ. - 10). ჩხორიაში ჩასახლებულია 3 კომლი.

**წურქავა** - 25 სული (ბათ. - 5, თბ. - 5, ზუგდ. - 1). ძალზე იშვიათი გვარია. დაფიქსირდა ფოთშიც. წურქა მეგრულში ადუღების შემდეგ ქაფმოხდილი წაქას (შრატს) ეწოდება და შეიძლებოდა ქცეულიყო უნიათო, უღონო, ძალაგამოცლილი კაცის მეტსახელად. მეორე მხრივ, წურქ- ძირის სემანტიკა თავწვეტიანობას უკავშირდება და წურქა შეიძლება უწოდონ თავწვეტიან, თავწვრილ კაცს.

**წურწუმია** - 4266 სული (ზუგდ. - 1152, ჩხორ. - 1006, თბ. - 579). სულთა რაოდენობით ქვეყანაში 113-ე ადგილზეა, სამეგრელოში კი - XVII ადგილზე (3079). რაიონების მიხედვით ასეთი ვითარებაა: ჩხოროწყუს რ. - IV, სენაკის რ. - XXI, ზუგდიდის რ. - XXIII ადგილი. გვარის ძირძველი და ყველაზე მრავალრიცხოვანი სამკვიდროა ლეწურწუმე (293 კომლი). კომლი სხვა სოფლებში: თეკლათი - 57, ორულუ - 36, ჩხოროწყუ - 33, ჭითაწყარი - 19, ხობი - 15, ინგირი - 12, კირცხი - 10, ქვ. ჩხოროწყუ - 9, ხაბუმე - 9, გურიფული - 8, ანაკლია - 7, ძვ. ხიბულა - 7 და სხვ. ტოპ.: ლეწურწუმე (ადგ. ვარიანტი: ლერწუმე) - სოფელი, თემის ცენტრი ხობისწყლის მარჯ. მხარეს (ჩხოროწყუს რ.). სოფელში წურწუმიების ორი უბანია: საწურწუმიო (ხობისწყლის ნაპირას) და გური ლეწურწუმე (ქორთუაღალის ხეობაში. მსაზღვრელი გური "გული, ცენტრი" დაემატა მას შემდეგ, რაც ლეწურწუმე მთელი სოფლისა და თემის სახელად იქცა). საწურწუმიო - უბნები ორულუში (ძიმონის სათავესთან), გოლასკურში (გოჭყვადილის ნაპირას), გამოღმა ქარიატაში, პ. გურიფულში (ხობი-ფოთის გზაზე). წურწუმა, ანუ კურკუმა, მეგრულში ეწოდება მაღალყელიან თუნუქის ჩაიდანს (პ. ჭარაია, გ. ელიავა) და შეიძლებოდა ყელყარყარა კაცის მეტსახელად ქცეულიყო.

**წუშბაია** - აფხაზურ-მეგრული გვარია. სამეგრელოში იშვიათია (ახალაბასთუმანი - 2 კომლი).

წყაბელია – 96 სული (ზუგდ. - 76, თბ. - 8, წყალტ. - 1). ცაიშში ცხოვრობს 19 კომლი. მათს უბანს ჩხოუშიის მარც. მხარეს ეწოდება საწყაბელიო (ჩხოუში, ცაიშის თემი).

წყაროზია – 339 სული (ზუგდ. - 263, თბ. - 35, ქუთ. - 13). გვარის ძირითადი საცხოვრისია ენგურისპირა სოფელი შამგონა (40 კომლი). წყაროზიები სახლობენ აგრეთვე ახალაბასთუმანში (3 კომლი), ზუგდიდში (13 კ.) და სხვ. ტოპ.: საწყაროზიო - უბანი შამგონის ცენტრში. წყაროსია (და არა წყაროზია) დასტურდება XVI ს. I მეოთხედის საბუთში, სადაც ცაიშის საყდრის საეკლესიო გლეხებს შორის დასახელებულნი არიან დეისმამა წყაროსია და ლომინია წყაროსია (ქსძ, III, 439).

ჭ

ჭაავა – 995 სული (ზუგდ. - 272, სენაკი - 248, თბ. - 95). კომლი: ფოცხო - 24, ნარაზენი - 11, ზანათი - 8, ლესიჭინე - 6, საჯიჯაო - 4, უშაფათი - 4, ზანა - 3, ქვ. სენაკი - 3 და სხვ. ადგ. ვარიანტი: ჭაა. ტოპ.: ლეჭე - უბანი სერზე, გურძემიასა და წიფანას შუა (მ. მოხაში). ფუძე ჭა "ჩალა" მეტსახელი ჩანს. –ა სუფიქსის დართვით წარმოქმნილა პატრონიმი ჭაა, ხოლო მეორეული სუფიქსაციით – ჭაავა. ამავე ფუძისაა იშვიათი გვარი ჭაია (34 სული თბილისში, სამტრედიაში, მარტვილში).

ჭაბუკიანი – 970 სული (ცაგ. - 243, ქუთ. - 207, თბ. - 194). ლეჩხუმსა და იმერეთში გავრცელებული გვარი გვხვდება სამეგრელოშიც: დარჩელში ცხოვრობს 10 კომლი.

ჭაკუა – 118 სული (ხობი - 55, ფოთი - 38, ზუგდ. - 12). ფოთში ცხოვრობს 10 კომლი, რამდენიმე კომლი სოფლებში დაფიქსირდა. ტოპ.: საჭაკუო - უბანი ჭიხუში (ხობი) და ყოფილი დასახ. უბანი საგვიჩიოში (ხობის რ.). ნაჭაკუ - მორევი ხობისწყალზე. ჭაკუა აქვე ესახლა (გაღმა შ. ხორგა). ნაჭაკუა – ტყე სალაგვილოში, სადაც უწინ ჭაკუები სახლებულან (ალერტყარი). ჭაკუ პირსახელია.

ჭალაგანიძე - 80 სული (თბ. - 44, მარტვ. - 11, ქობ. - 5). თვით მარტვილში ცხოვრობს 3 კომლი. 1644 წლის შეწირულების წიგნში ნათქვამია, რომ კურსებში "ადგილი საჭალანგრიძეო" მაქსიმე კათალიკოსს გენათისათვის უბოძებია (იქვე, 509). ჭალაგანიძენი იყვნენ სამღვდელოხიც (იხ. ქსძ, III, 973) და აზნაურებიც. აზნაური ჭალაგანიძეები მოსახლეობდნენ ნახუნაოში, საჩოჩიოში, ბულვანში, წალიკარში, მაცხოვრისკარში (კვათანის თემი), მარტვილში.

ჭამატავა (ჭამაკავა) – გვარს აღადგენს ტოპონიმი ლეჭამატა//ლეჭამაკა. ასე ეწოდება ილორის მარც. შენაკადს ჩვინარეში (მუჟავა).

ჭანია - 783 სული (ზუგდ. - 323, წალენჯ. - 284, თბ. - 59). გვარის ძირითადი სამყოფელია ნაკიფუ (48 სული), დაფიქსირდა წალენჯიხაშიც (15 კომლი), ერგეტაშიც (4 კ.) და სხვ. ტოპ.: საჭანიო - უბანი ჭანისწყლის ნაპირას (ძვ. ხიბულა). ნაჭანუ//ნაჭკანუ - ფერდობები უბადოღალის სათავესთან (ფახულანი. ინფ.:"აქ ჭანიები სახლებულან. ახლაც მოდიან ჯინჯიხატის მოსალოცად"). ნაჭან(უ) – ტყე ჭიჭე ღლურუს მარჯ. მხარეს (საშურღაიო). 1621 წ. შედგენილ საბუთში აღნიშნულია, რომ ჭალას (ამჟამინდელი ჭლოუ ოჩამჩირის რ-ნში) მცხოვრებ მაჭიხოლი ჭანიას მართებს საეკლესიო ბეგარა (ქსძ, III, 435). გვარის ფუძედ ითვლება სატომო სახელი ჭანი. შდრ. ჭანიშვილი (გურია), ჭანიძე (აჭარა).

ჭანტურაია - 20 სული (ხონი - 17, თბ. - 2, ქუთ. - 1). ნაესაკაოში მკვიდრობს 12 კომლი. ძვ. აბაშაში, ცუდღარის მარჯ. ნაპირას, უბანს ეწოდება საჭანტურაიო. 1904 წლის აღწერის მასალების თანახმად, ონტოფოში მცხოვრები სამი კომლი ჭანტურაია აზნაურის წოდებისაა.

ჭანტურია - 6698 სული (აბაშა - 1226, თბ. - 1188, ზუგდ. - 867). საქართველოში ყველაზე გავრცელებულ გვართა შორის 39-ე ადგილზეა, სამეგრელოს რეგიონში კი – X ადგილზე (3839 სული). რაიონების მიხედვით ასეთი სურათია: აბაშის რ. - I ადგილი, სენაკის რ. - IX ადგილი (571 სული), ზუგდიდის რ. - 37-ე ადგილი. კომლი: ნორიო - 126, აბაშა - 79, საჯიჯაო - 69, ზ. ქვალონი - 35, ჯვარი - 34, ქვ. ქვალონი - 23, მენჯი - 17, საჩინო - 16, წალენჯიხა - 15, მედანი - 14, სუჯუნა - 14, პ. ეწერი - 13, ჩქვალერი - 13 და სხვ. ადგ. ვარიანტი: ჭატურია. ტოპ.: საჭანტურიო - უბანი გაღმა საჯიჯაოში, ზანაძგის ნაპირას (ინფ.: "სვანებისგან შურისძიების შიშით ჯვარიდან გამოქცეულა სამი ძმა ჭანტურია. ერთი აქ მინდობია დადიანს, მეორე - ქვალონში ლოლუას, მესამე - აბაშაში თოფურიას"). საჭანტურიო ეწოდება უბანს სახოჭოლავოშიც. აქაური ჭანტურიებიც ჯვარიდან მოსულან. VI ს. ერთი საეკლესიო საბუთის მიხედვით, ხოფის ეკლესიის ბეგარა 15-15 თეთრი მართებთ იმარინდუ ჭანტურიასა და იოვანე ჭანტურიას (ქსძ, III, 349). აქვეა აღნიშნული: "მართებს ჭანტურიებსა ოცი თეთრი". გვარი ჭანტურია ფიგურირებს ხონის ეკლესიის სიგელ-გუჯრებშიც (XVII-XVIII სს.). 1843 წლის ერთი "გარიგების წერილის" დასაწყისში დასახელებულია დათიელა ჭანტურია, ხოლო დასასრულს – დათიელა ჭანტურეია (იხ. სოსელია, 1960, გვ. 125). გვარის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით მოჰყავთ პროფ. კ. კაპანელის (ჭანტურიას) მიერ ჩაწერილი გადმოცემა: რომაელთა ჯარის სანტურიახი, ანუ ასისთავი, კოლხეთში დაოჯახებულა და მისი შთამომავლებისათვის უწოდებიათ სანტურია, რაც შემდეგ ჭანტურიად გადაქცეულა. გამოთქმულია ვარაუდი, რომ გვარებისათვის - ჭანია, ჭანიშვილი, ჭანტურია – ამოსავალია სატომო სახელი ჭანი. ჭანტურია ნიშნავს ჭანის თურს, ანუ ჭანის შთამომავალს, ჭანის მოდგმას (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 310-311). ს. ჭანტურიამ ჟურნალ "აიას"

ფურცლებიდან შემოგვთავაზა ასეთი ეტიმოლოგია: გვარსახელი ჰანტურია მომდინარეობს წინადადებიდან "ჰან ტუ რენ" (ჭანური: ტუ "იყო", მეგრული: რენ "არის"), რაც ნიშნავს "ჰანყოფილი რომ არის". ამ ფორმას დართვია გვარსახელთა მაწარმოებელი –ია, ხოლო ფუძე შეკუმშული: ჰანტურენია → ჰანტურია. შესაბამისად, ჰანტურენისშვილი → ჰანტურიშვილი, ჰანტურენისძე → ჰანტურიძე. ამასთანავე, ჰანტურაია-ში ფინალური -აია –ია სუფიქსის ტოლფარდია (ჰანტურია, 1999, გვ. 83). ავტორი სწორად შენიშნავს, რომ ჰანტურიების განსახლების ძირითადი არეალია ჯვარი, საიდანაც ამ გვარის მიგრირება ქვემო სამეგრელოში მომხდარა XVIII ს. I ნახევარში, და აქვეყნებს ჰანტურიათა გენეალოგიურ ხეს, რომელიც ითვლის 13 თაობას, ე.ი. იწყება XVII საუკუნეში (იქვე). გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჰანტურიები წარმომავლობენ ჰანტურიანისაგან, რაც დამოწმებულია XV-XVI სს. სვანეთის წერილობით ძეგლებში. ხალხური ეტიმოლოგია: ჰანტი კაცს რქმევია და ურია ყოფილა. იხ. ჰატურია. შდრ. სანტურიანი (სომხური გვარია. იხ. მაისურაძე, 1981, გვ. 212). ჰანტურიას ვარიანტია ჰატურია (იხ.) და ჰანტურაია (იხ.) .

**ჰანტურიძე** - 2074 სული. იმერეთში გავრცელებული გვარია. ქვ. ჰალადიდში დაფიქსირდა 6 კომლი. ჰანტურიას გაქართულებული ვარიანტი ჩანს.

**ჰატურია** - ჰანტურიას ადგილობრივი, ზოგ. შემთხვევაში, საპასპორტო ვარიანტია. ტოპ.: საჰატურიო - უბნები პ. ეწერში (სუჯუნის თემი), საგვაზავოში (აქაური ჰატურიები ყოველ მესამე წელს დადიოდნენ ჯვარში მოსალოცად), აბაშაში, ონტოფოში, შუა ხორშში, განათლებისკარში (ინფორმატორის პაპის პაპა ეგნატე და მისი რამდენიმე ახლობელი ჯვარიდან ჩამოსულან და ახალდაარსებული სოფლისათვის უწოდებიათ მაცხოვრისკარი მათი ძველი სალოცავის პატივსაცემად. მართლაც, ლეშამუგეში, რომელიც ყოველთვის ჯვარის თემში შედიოდა, არის მაცხოვრის ეკლესია და ჰანტურიები მის ახლო-მახლო დღესაც მოსახლეობენ).

**ჰარაია** - 167 სული (ზუგდ. - 66, წალენჯ. - 62, თბ. - 16). სამურზაყანოში გავრცელებული გვარია (გალის რ-ნში სოფელს კიდეც ეწოდება ლეჰარაია) და კომპაქტური დასახლებაც მასთან ახლოს მდებარე სოფელ ფახულანში დადასტურდა (10 კომლი). ჰარა ზოგადად აღნიშნავს ჭრელს, ჭრელა-ჭრულს (შდრ.: ქიზიყური ჰარო - ჭროლა კაცის მეტსახელი) და ამ მნიშვნელობით ხშირად დასტურდება ზოონიმად. როგორც ცნობილია, ზოონიმისა და მეტსახელის წარმოქმნა ხდება თითქმის ერთნაირი სამოტივაციო პრინციპით - გარეგანი ან შინაგანი ნიშნის, მანერის, ქცევის მიხედვით. მეორე მხრივ, ჰარა (იგივე ცვაიჰარა) მეგრულში ნიშნავს ბედისწერას.

**ჰოფანძე** - 359 სული (ზუგდ. 329, თბ. - 13, წალენჯ. - 4). გვარის სამშობლოა ზუგდიდის რ-ნი. კომლი: განარჯიის მუხური - 27, ერგეტა 7, ახალკახათი - 5, ახალაბასთუმანი - 4, ოქტომბერი - 3 და სხვ. შდრ. ჰაფანიძე (25 სული. ძირითადად სამეგრელოში) და ჰაფაძე (21 სული. იმერეთი, სამეგრელო).

**ჰაჰია** - 209 სული (თბ. - 42, ფოთი - 38, ზუგდ. - 5). საგვიჩიოში დადასტურდა 3 კომლი. ხოლო გამოღმა პ. ხორგაში უბანს ეწოდება საჰაჰიო. ისტორიული საბუთების მიხედვით, ჰაჰიებს ცაიშში უცხოვრიათ. "საცაიშლო დავთარში"(1616-1621 წწ.) დასახელებული არიან ცაიშს მცხოვრები საეკ-ლესიო გლეხები: უქამა ჰაჰია, ამდუნაბა ჰაჰია, ბაკალია ჰაჰია, იონადი ჰაჰია (ქსძ, III, 454), ხოლო მე-18 ს. შუა წლების საბუთში - შაქარი ჰაჰა (ალბათ, ჰაჰავა. იხ. იქვე, 882). კოლხური სახელი ჰაჰუ და იმერული ჰაჰია (შდრ. ჰაჰიაშვილი იმერეთში) გვავარაუდებინებს ჰაჰი ვარიანტსაც.

**ჰაჰუა** - 471 სული (ზუგდ. - 333, მარტვ. - 78, თბ. - 33). კომლი: რუხი - 28, ახალაბასთუმანი - 15, პ. ხორგა - 11, სალხინო - 8, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) - 6, ოდიში - 5, კორცხელი - 3 და სხვ. ტოპ.: საჰაჰუო - უბნები მოგირწყარის ნაპირას (მოგირი) და ხობისწყლის ჰალაში (ზენი, საჯიჯაოს თემი). ნაჰაჰუ - მინდორი სანაჰყებიოში (ეწერი, ტალერის თემი), ბუჩქნარი საკეშილაში (ნობულევი). ჰაჰუ, ჰაჰუა, ჰაჰუნა, ჰაჰუნია რაჭასა და სამეგრელოში გავრცელებული პირსახელებია.შდრ. ჰაჰია.

**ჰახრაკია** - 36 სული (თბ. - 24, აბაშა - 7, თერჯ. - 1). გეზათში დაფიქსირდა 2 კომლი. სამტრედიის რ-ნში გავრცელებულია ვარიანტი ჰახნაკია (97 სული).

**ჰედია** - 1267 სული (ზუგდ. - 355, თბ. - 250, აბაშა - 97). კომლი: სუჯუნა - 15, დარჩელი - 10, მარტვილი - 8, ერგეტა - 7, ორსანტია - 7, ხობი - 6, ორულუ - 4 და სხვ. შესაძლოა, გვარისათვის ამოსავალი იყოს ქართული სახელოსნობო ტერმინი მჰედი "მჰედელი". შდრ. ჰედიშვილი.

**ჰედიშვილი** – 110 (მარტვ. - 50, ზუგდ. - 15, სენაკი - 13). მარტვილში დაფიქსირდა 5 კომლი. ჰედიშვილი ჰედიას გაქართულებული ვარიანტია.

**ჰეიშვილი** - 3077 სული. იმერული გვარია. გვხვდება სამეგრელოშიც (გეჯეთი 4 კომლი).

**ჰელაია** - 64 სული (თბ. - 15, აბაშა - 10, ბათ. - 11). რაჭა-იმერეთში ფართოდ გავრცელებული გვარების - ჰელაძის (იხ.) ან ჰელიშვილის (516 სული) - გამეგრულებული ფორმა ჩანს. ადგ. ვარიანტი ჰეია. კომპაქტური დასახლება არ აღინიშნა. მეორე კიწიაში უბანს ეწოდება ლეჰეიე//ლებერიე. ინფ.: "ჰელიები ასზე მეტი წლის წინათ ჰირს გაუწყვეტია. ამჟამად ბერიები სახლობენ".

**ჰელაძე** - 7173 სული. საქართველოში ყველაზე გავრცელებულ გვართა შორის 32-ე ადგილზეა. მრავლად არიან იმერეთსა და რაჭაში. გვხვდება სამეგრელოშიც: ჯვარში ცხოვრობს 9 კომლი

(ნახევარი საუკუნის წინათ ჯვარში ჩამოვიდა ხელკეთილი ხელოსანი, გვარად ჭელიძე. მისი შთამომავლები უკვე 9 კომლს შეადგენენ). 1774 წლის შეწირულების წიგნში დასახელებულია სანავარდოს მცხოვრები დიაკონი გიორგი მჭელიძე, რომელსაც უშვილებია ოთხი ძმა გვარამია (ქსძ, III, 879). 1778 წელს შედგენილ საბუთში კი ვკითხულობთ: "სანავარდოს სოფელში იესელა მჭელიძეს მართებს ხუთი ზუთხი ბეგარა და ერთი სათხოვარი"(იქვე, 926). თავკიდური მ დაკარგულია ამჟამინდელ ჭელიძეშიც და ჭელიაშიც.

ჭეჟია – 878 სული (ზუგდ. – 504, ჩხორ. – 197, თბ. – 56). კომლი: ინგირი – 78, ჩხოროწყუ – 15, დარჩელი – 12, ცაიში – 11, ანაკლია – 8, ბულიწყუ – 5, ლესიჭინე – 4, პ. ფოთი – 4, ჭითაწყარი – 4, ჭოლა – 4, ხაბუმე – 4 და სხვ. ტოპ.: ლეჭეჟიე – უბანი ოირემეში (ინგირის თემი). საჭეჟიო – უბნები ანაკლიასა და ინგირში. XVII ს. ბოლო მეოთხედის შეწირულების წიგნში აღნიშნულია, რომ კათალიკოსმა დავით ნემსაძემ წყაპუტია ჭეჟია უბოძა ბიჭვინთის ღმრთისმშობელს (ქსძ, III, 611).

ჭერჭელია – გვარს აღადგენს ტოპონიმი ლერჭელე (←ლეჭერჭელე. შდრ. ლეწურწუმე→ ლერწუმე), რაც უბანია სქურჩის მარჯ. მხარეს (ლეწურწუმე). ამჟამად ცხოვრობენ წურწუმიები და გულუები. უწინ ჭერჭელიების სამკვიდრო ყოფილა. ჭერჭე, ჭერჭელია აღნიშნავს ჭრელს, აჭრელებულს და გარკვეულ სიტუაციაში მეტსახელად (და შემდეგ გვარის ფუძედ) ქცეულა.

ჭვიტილია – გვარს აღადგენს ტოპონიმი ლეჭვიტილე//ნაჭვიტილუ. ესაა ტყე-ფერდობები ნაპერტულალის მარც. მხარეს (მაზანდარა). მეტსახელი ჭვიტილი დაერქმეოდა კაცს, ვინც ცალ თვალს ხშირად ჭუტავს. მინიატურულ ჭრაქსაც ჭვიტილია, ჭვიტინია ეწოდება.

ჭითავა – 538 სული (სენაკი – 260, თბ. – 76, ხობი – 35). კომლი: ხორში – 21, ზანა – 8, ანაკლია – 3 და სხვ. ტოპ.: საჭითა(ო) – უბანი პ. ზანაში (ხორშის თემი). იყოფა: ზემო საჭითა – ზანაძგის მარც. მხარეს, ქვემო საჭითა – ზანაძგის მარჯ. მხარეს. ნაჭითუ – ჩაის პლანტაცია ვეჯინჯში (საჩინო). 1616-1621 წწ. შედგენილ ჯგალის ციხის მებეგრეთა ნუსხაში დასახელებულია ჯგალს მცხოვრები ულეიმა მჭითავა (ქსძ, III, 480). ვარიანტი ჭითავა გვხვდება 1706 წ. საბუთში (იქვე, 647). ჭითა, მჭითა "წითელი" ალბათ მეტსახელი იყო. ამ ძირის შემცველი გვარები – ჭითიანი და ჭითახი – გვხვდება სვანეთის სულთა მატიანეებშიც. ჭითავა იმავე მოდელისა და შინაარსის გვარია, როგორისაც წითელაძე (აჭარა), წითაძე, წითელიშვილი, წითელაშვილი (იმერეთი), წითიშვილი, წითლიძე და სხვ.

ჭითანავა – 2850 სული (ზუგდ. – 1565, ხობი – 502, თბ. – 240). სულთა რაოდენობით საქართველოში 233-ე, ხოლო სამეგრელოში 38-ე (1905 სული) ადგილზეა. ხობის რ-ნში IX ადგილი უკავია, ზუგდიდისაში კი – XII. კომლი: ხეთა – 79, ჩხორია – 69, ჭკადუაში – 52, ბულიწყუ – 19, აბასთუმანი – 18, კორცხელი – 16, დიდი ნეძი – 15, თორსა-ღლეაბა – 14, ინგირი – 13, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) – 10, დარჩელი – 10, კირცხი – 10 და სხვ. მრ. ტოპ.: ლეჭითანე – ტყე-სამოვრები ჩეღალის სათავესთან (თამაკონი). ლეჭითანე//საჭითანო – უბანი წაუსკურის ორსავე მხარეს (ჭკადუაში, ბაში. იყოფა: ჟინი ლეჭითანე – ბორცვებზე, თუდონი ლეჭითანე – ჩხოუშიის ნაპირას). საჭითანო – უბნები სკურჩის მარჯ. მხარეს (დიდი ნეძი) და ლარჩვის საზღვართან (ოხვამეკარი). საჭითანო //საჭითანოშ კუნთხუ – უბანი ჩხოუშიის მარჯ. მხარეს (ზედა ეწერი. ძველად თურმე ლეჭითანე ერქვა, ამჟამად ახალგაზრდები საჭითანოს უწოდებენ. ჭკადუაშსა და ბაშში დაფიქსირებული ლეჭითანე//საჭითანოს გაგრძელებაა). ნაჭითან – დავაკება ნაერქესა და პაპანწყვირს შუა (ხეთა). ისტ. საბუთებში დაფიქსირებულია როგორც მჭითანაა, ისე ჭითავა: 1621 წ. შედგენილი საბუთის მიხედვით, ნაჟანეულს (დღევანდელი ოტობაია) მცხოვრებ ჩარაჩუ მჭითანაას "მართებს გოჭკუმუ და ლაშქრობა"(ქსძ, III, 420). XVIII ს. პირველ ნახევარში შედგენილი საბუთის მიხედვით, ოდიშს მცხოვრები ბიჭია ჭითანავა და მისი ორი გერი "მათის ცოლ-შვილითა და სახლკარით" შეუწირავთ ბიჭვინთისათვის (იქვე, 766). ჭითანავა მოდელითა და შინაარსით ეკვივალენტია ქართლსა და სამცხეში გავრცელებული გვარისა წითლანაძე. ჭითა წითელია, ხოლო ჭითანა –"მოწითალო, წითლანა"(შდრ. უჩა "შავი" – უჩანა "მოშავო, შავანა"). მ. ქალდანის აზრით, მეგრული გვარი ჭით-ავ-ა როგორც სემანტიკურად, ისე ფონეტიკურად შეესატყვისება წითელან ფუძეს ქართულ გვარში წითლ-ან-ა-ძე ← წით-ელ-ან-ა-ძე (ქალდანი, 1980, გვ. 73).

ჭითაშვილი – 251 სული (ზუგდ. – 110, თბ. – 16, სენაკი – 14). ამ -შვილ სუფიქსოიანი გვარის სამშობლოა სამეგრელო. კომლი: ბია – 17, განარჯიის მუხური – 8, დარჩელი – 4, ხობი – 4, ახაკლია – 3, ბულიწყუ – 3, შ. ხორგა – 3 და სხვ. ადგ. ვარიანტი: ჭითასქუა. ტოპ.: საჭითასქუო – ყოფილი დასახ. უბანი გაღმა შ. ხორგაში. ჭითა "წითელი" ალბათ მეტსახელი იყო ეპონიმისა. შდრ.: ჭითავა.

ჭილავა – 64 სული (ზუგდ. – 47, წალენჯ. – 5, თბ. – 3). რუხში დაფიქსირდა 2 კომლი. იხ. ჭილაია.

ჭილაია – 512 სული (მარტვ. – 135, თბ. – 123, ხობი – 60). კომლი: ნახუნაო – 19, ახალხიბულა – 9, ზანა – 8, სერგიეთი – 8, მარტვილი – 4, კიწია – 3 და სხვ. ადგ. ვარიანტი: ჭიაია (ბ.-მ. თქმა). ტოპ.: ეჭი(აი)ე//საჭია(ი)ო – უბანი ნოღისა და ისკიის შუამდინარეთში (ნახუნაო). ნაჭილუ – ბორცვი ოღვაბის მარჯ. მხარეს (მ. ჭოლა). ნაჭილუ//ნაჭირუ – უბანი წელამის ძირას (სანაჭყებიო). საჭილაიო – უბანი ჭალესა და სალომაიოს შუა (ზუბი, ახალხიბულის თემი). ნაჭილაო – მინდორი ტეხურის მარჯ. მხარეს (ისულა). ნაჭილაუ – ტბორი კოდორეში (სუჯუნა), სახნავი ანჯერში (გაღმა კოდორი). ნაჭილუ –

სახნავი ახალხიბულაში, ტყე-ბორცვი საადამიოში. ჭილი ქართულში ჭაობის მცენარეა ერთგვარი და რაღაც მიზეზით შეიძლებოდა მეტსახელად ქცეულიყო. მეგრულში ჭილა ეწოდება წენგოს, ე.ი. კაკლის (ნაყოფის) გარეკანს, რომელიც მომწვანო ფერისაა. მოხარშვის შემდეგ მისგან მოყავისფრო საღებავი მიიღება. ამ შემთხვევაშიც მეტსახელი ჭილა შეიძლებოდა წარმოქმნილიყო გარეგნული ნიშნით მსგავსების საფუძველზე და ქცეულიყო გვარის ფუძედ. შდრ. ჭილაძე (289 სული. ძირითადად იმერეთში). "ჭილაძეები იყვნენ პირველი თავადები ოდიშისა"(ლამბერტი, 1991, გვ. 24).

ჭიქაშუა – 100 სული (სამტრ. – 47, ვანი – 16, აბაშა – 15). სამეგრელოში იშვიათად გვხვდება: პ. მაისში დაფიქსირდა 4 კომლი. ეს სოფელი ქვემოიმერულის გავრცელების არეალშია.

ჭიღვარია – 312 სული (ქუთ. – 82, ამბრ. – 72, ცაგერი – 52). სამეგრელოში ძალზე იშვიათია: ზუგდიდში დაფიქსირდა ორიოდე კომლი. ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, რომ ლეჩხუმს მცხოვრები ჭიღვარიები სამეგრელოდან ყოფილან მიგრირებულნი: "სამეგრელოში სამ ძმას ბატონი მოუკლავს და ლეჩხუმში გადმოხვეწილან, ლეჩხუმის ბატონთან მისულან და ორი მათგანი ლასხანაში დაუსახლებია, მესამე – ჭყვიშში (რაჭა), სადაც ახლაც მოსახლეობენ. ლეჩხუმში ჭიღვარიები ნახსენები არიან 1766 წ. საბუთში" (თოფჩიშვილი, 1993, გვ. 15–16). ჭიხვარიას (იხ.) ვარიანტი ჩანს. იხ. ჭიხორია.

ჭიჭაღუა – 390 სული (მარტვ. – 128, წალენჯ. – 110, ზუგდ. – 76). კომლი: ინჩხური – 24, საჩინო – 15, ჩხორია – 12, ჩქვალერი – 4, ბულიწყუ – 3, მარტვილი – 3 და სხვ. ტოპ.: საჭიჭაღუო – უბანი ტყაიაში. აქაური ჭიჭაღუები მოსულან ნაგურუდან (საჩინოს თემი). გ. როგავას ვარაუდით, -ღუა დაბოლოებიანი გვარები უცხოური წარმომავლობისა უნდა იყოს (როგავა, 1955, გვ. 6).

ჭიჭინავა – 69 სული (თბ. – 16, აბაშა – 14, ზუგდ. – 11). კომლი: სუჯუნა – 4, ვედიდკარი – 3 და სხვა. ჭიჭი კოლხურში გავრცელებული სახელია. -ინ-ა სუფიქსი მოფერებით ვარიანტებს აწარმოებს. ჭიჭი ქონდრისკაცსაც აღნიშნავს და შეიძლებოდა ადამიანს მეტსახელად შერქმეოდა. ისიცაა მოსალოდნელი, ჭიჭინავა ჭიჭინაძის (იხ.) მეგრული ვარიანტი იყოს.

ჭიჭინაძე – 2348 სული (თბ. – 788, ზესტ. – 346, ქუთ. – 266). საქართველოსა (241-ე ადგილი) და, განსაკუთრებით, იმერეთში ფართოდ გავრცელებული გვარია. კომლი სამეგრელოში: რიყე – 20, ნოჯიხევი – 4, ზ. ჭალადიდი – 3, ლესიჭინე – 3, ქარიატა – 3, შ. ხორგა – 3, ხობი – 3 და სხვ. ადგ. ვარიანტი: ჭიჭნაძე. ტოპ.: საჭიჭნაძო-სალიპარტიო – უბანი ტყაიის საზღვართან (რიყე. ინფ.: "ჭიჭინაძეები მეტნი არიან სულთა და კომლთა რაოდენობით, ლიპარტიები კი – ნაკლებნი. ამიტომაც ხშირად მხოლოდ საჭიჭნაძოს იტყვიან"). გვარი დამოწმებულია 1644 წლის წყალობის წიგნში (ქსძ, III, 509, 513). XX ს. დამდეგს ბიაში მცხოვრები 3 კომლი ჭიჭინაძე აზნაურის წოდებას ატარებდა.

ჭიჭონაია – 34 სული (ზუგდ. – 20, თბ. – 7, რუსთ. – 2). იხ. ჯიჭონაია.

ჭიხვარია – 97 სული (ზუგდ. – 27, ოზურგ. – 20, ფოთი – 18). კომლი: ორსანტია – 5, ფოთი – 4 და სხვ. ჭიხუ ერქვა დიდ სოფელს ხობის მახლობლად. მისი ერთი ნაწილი დღესაც სოფელია და ბულიწყუს თემში შედის, მეორე ნაწილი კი ქ. ხობს შეუერთდა. ჭიხუს მცხოვრები იქნებოდა ჭიხუარი, რამაც ბოლოს მოგვცა გვარი ჭიხვარია. მისი ვარიანტია ჭიხორია (116 სული. იმერეთი). იხ. ჭიღვარია.

ჭკადუა – 3586 სული (ზუგდ. – 1059, მესტ. – 973, თბ. – 470). სულთა რაოდენობით ქვეყანაში 156-ე ადგილზეა. მესტიის რ-ნში პირველი ადგილი უკავია, ზუგდიდისაში – მეორე. კომლი სამეგრელოში: რუხი – 88, ინგირი – 32, ახალაბასთუმანი – 28, ჯვარი – 24, ჩხორია – 8, სენაკი – 7, ნარაზენი – 5, თეკლათი – 4, ლია – 4, ჩხოროწყუ – 4, კოკი – 3 და სხვ. ტოპ.: ლეჭკადუე – ყოფილი დასახ. უბნები ლექარჩესა და ლეჟვანიეში. საჭკადუო – უბნები ახალაბასთუმანში, ინგირში, რუხში (რუხწყარის ნაპირებზე). ნაჭკადუ (ადგ. ვარიანტი: წექე-ნაჭკადუ) – სოფელი ორულუს თემში. მეგრული სიტყვა ჭკადუ და სვანური მგშკიდ იგივეა, რაც ქართული მჭედელი, ე.ი. სასუბიექტო მიმღეობის ფორმაა (დადგენილია შესატყვისობანი: ქართ. ჭედ : მეგრ. ჭკად; ქართ. -ელ (სუფიქსი) : მეგრ. -უ *← აუ *← ალ. იხ. ეტიმ. ლექსიკონი, 1990, გვ. 474, 114). ჭკადუ, ჭყეში, ჭკოლა ფორმები მიღებულია ანლაუტში მოქცეულ თანხმოვანთკომპლექსში მ-ს მოკვეცის შედეგად, რომელიც აღარ გაიგებოდა როგორც მიმღეობის მაწარმოებელი (გამყრელიძე, 2000, გვ. 63). ხელობის სახელის გადაქცევა ზედწოდებად და შემდეგ მისგან გვარის წარმოქმნა მსოფლიოს მრავალი ხალხის ანთროპონიმიაში გავრცელებული მოვლენაა. XX ს. დამდეგს სენაკსა და ეკში მოსახლე ჭკადუები აზნაურები იყვნენ.

ჭოჭუა – 819 სული (მარტვ. – 162, თბ. – 158, ფოთი – 146). კომლი: რიყე – 25, ქვ. ჭალადიდი – 24, მარტვილი – 23, ნახუნაო – 9, სერგიეთი – 8, ხობი – 7, ქარიატა – 5, ზანათი – 3, ქვაითი – 3 და სხვ. ტოპ.: ლეჭოჭუე – უბანი არჩაიაშ ღალისა და მირგატიაშ ღალის შესართავთან (ლეგოგინე). საჭოჭუო – სოფელი ქვ. ჭალადიდის თემში. ჭოჭუები ამ სოფელში ამჟამად ცოტანი არიან. საჭოჭუო ეწოდება უბანს ჩხორიაშიც, ჩხოუშიის მარჯ. მხარეს. კოლხეთში დაფიქსირებული პირსახელები ჭოჭია, ჭონჭია, ჭონჭო (ქსს, 1986) გვავარაუდებინებს ჭოჭო ვარიანტსაც, საიდანაც წარმოიქმნა გვარი ჭოჭუა.

ჭუბაბრია – 574 სული (თბ. – 162, სენაკი – 115, მარტვ. – 57). კომლი: ძვ. სენაკი – 25, მარტვილი – 9, ნაგვაზავო – 4, ნოსირი – 4 და სხვ. ადგ. ვარიანტები: ჭუბარია, ჭვაბრია. ტოპ.: ეჭვაბრიე

//საჭვაბრიო – უბანი დეეფანის ნაპირას (ლეკვანტალიე). საჭუბარიო – უბანი კოტიანეთში, ეკის მთის კალთაზე. 1904 წელს ნაგვაზავოსა და ნახუნაოში მოსახლე ჭუბაბრიები აზნაურები იყვნენ.

**ჭუმბურიძე** – 4215 სული. მთელი საქართველოსა (116-ე ადგილი) და, კერძოდ, იმერეთის (2555 სული. 30-ე ადგილი) მასშტაბით ფართოდ გავრცელებული ეს გვარი მიგრირებულია სამეგრელოშიც. კომლი: თორსა-ღლევაბა – 5, დიდი ნეძი – 3, ნარაზენი – 3, ქვ. ჭალადიდი – 3 და სხვ. იმერელი ჭუმბურიძეები აზნაურები იყვნენ. გვარისათვის ამოსავალი ჩანს მეგრული სიტყვა ჭუბური "წაბლი". სხვათაშორის, სამცხურში ჭუმბური ნიშნავს: "დაფხვნილი პური მოშუშულ ერბოში" (ჩანაწერი გ. ლეონიძის უბის წიგნაკიდან მოგვაწოდა პროფ. გ. ჯავახიშვილმა).. მართალია, ამ სიტყვის გამეტსახელება ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ამგვარი შესაძლებლობა მაინც გასათვალისწინებელია, ისევე როგორც ქართლური ჭულუმბურისა თუ ინგილოური ჭულუმპურისაგან ("უჩეხრო თხილი") პალეოლოგიის გზით ჭუმბურის მიღების პერსპექტივა.

**ჭურღულია** – 821 სული (ზუგდ. – 664, თბ. – 64, წალენჯ. – 28). გვარის უძველესი და თავდაპირველი საცხოვრისია ოდიშის თემი (67 კომლი), სადაც ჯუმის ნაპირებზე სოფელს კიდეც ეწოდება საჭურღულიო. კომპაქტურად სახლობენ ზუგდიდის რ. სხვა სოფლებშიც: ახალსოფელი – 32, ახალკახათი – 9, ინგირი – 8, კახათი – 8, ყულიშკარი – 4, რიყე – 3 და სხვ. ტოპ.: საჭურღულიო – უბნები უჩაშონასა (ყულიწყარის მარჯ. მხარეს) და ახალსოფელში (ზუგდიდის რ.). ჭურღული და ღურჭული მეგრულში ზოგადად მღერას, კონკრეტულად კი შაშვის გალობას აღნიშნავს. აქედან გამომდინარე, ჭურღულა შაშვივით მოგალობე კაცის მეტსახელი უნდა ყოფილიყო.

**ჭყონია** – 1648 სული (თბ. – 432, ლანჩხ. – 355, ბათ. – 227). კომლი სამეგრელოში: ახალსოფელი (სენაკის რ.) – 6, ნაჯახავო – 3, ონოღია – 3 და სხვ. ფუძითა და წარმოებით კოლხური ეს გვარი საკუთრივ სამეგრელოში იშვიათია. დამოწმებულია ისტ. წყაროებში: 1733 წლის საეკლესიო საბუთში დასახელებულია ჭყონია ხოსია (ქსძ, III, 733). XVIII ს. შუა წლებში ბესარიონ კათალიკოსის მიერ გაპირდია ხურციასათვის მიცემული წყალობის წიგნი დაუწერია წინამძღვარ მაქსიმე ჭყონიას (იქვე, 881). ჭყონიას ასახელებენ იმ გვართა შორის, რომლებშიც ჩანს მცენარეთა სახელები. ჭყონი მეგრულში მუხას აღნიშნავს. შდრ. ჭყონიძე, მუხაძე, მუხაშვილი.

## ხ

**ხაბეიშვილი**    944 სული. იმერეთსა და გურიაში გავრცელებული ეს გვარი გვხვდება სამეგრელოშიც. კომლი: სეფიეთი – 16, ლეძაძამე – 3, ონტოფო – 3 და სხვ. პირსახელი ხაბა დაფიქსირებულია ისტ. წყაროებში (ქსს, 1986). მაშასადამე: ხაბაიშვილი → ხაბეიშვილი.

**ხაბურზანია** – 913 სული (ზუგდ. – 276, სენაკი – 200, თბ. – 177). კომლი: ლეძაძამე – 12, უშაფათი – 12, რიყე – 8, ჯიხაშკარი – 7, დარჩელი – 6, ანაკლია – 4, ახუთი – 4, ლესიჭინე – 4 და სხვ. იშვიათი ვარიანტები: ქაბურზანია, ხაბურძახია. ტოპ.: ლეხაბურზანე – უბანი ციცსა და მეტერიას შუა (ლეგოგინე). ლეხაბურზანიე//სახაბურზანიო – უბანი კვაუთში. სახაბურზანიო – უბანი ჭითაწყარში.

**ხაბურძანია** – 225 სული (ქუთ. – 127, თბ. – 9, წყალტ. – 5). სამეგრელოში იშვიათია: ძვ. სენაკში დაფიქსირდა 3 კომლი. შდრ. ხაბურზანია.

**ხაზალია** – 615 სული (ზუგდ. – 481, თბ. – 77, ფოთი – 17). კომლი: ორსანტია – 78, წალენჯიხა – 12, დიდი ნეძი – 3 და სხვ. ტოპ.: ლეხაზალე – ვაკე-ბორცვი ჯვარზეხის გადასახედთან (ლეშამუგე). სახაზალიო – უბნები ორსანტიასა და ერგეტაში (ბუის ნაპირებზე). მსგავსი გვარი ხაზარია დასტურდება "საცაიშლო გამოსავლის დავთარში" (1616-1621 წწ. იხ. ქსძ, III, 439, 470). ხაზალია კოლხეთში სახელიცაა და გვარიც. სავარაუდოა: ხარაზი → ხარაზია →ხაზარია → ხაზალია. ამასთანავე, გვარი ხაზალიანი დამოწმებულია შუა საუკუნეების სვანეთის სულთა მატიანეებში. შდრ. ხაზარაძე (რომელსაც აკავშირებენ პირსახელად ქცეულ ეთნონიმ ხაზართან).

**ხაზულია** – გვარს ადასტურებს ტოპონიმი ნახაზულუ. ასე ეწოდება ჩაის პლანტაციას ლეყვარყვარეს მარჯ. მხარეს (ლეგახარე).

**ხაინდრავა** – 799 სული (თბ. – 321, მარტვ. – 124, ქუთ. – 69). ამ გვარის მატარებელი 35 კომლი ცხოვრობს ლეხაინდრავოში (ადგ. ვარიანტი: ეხაინდრე). ესაა სოფელი და თემის ცენტრი აბაშისა და ნოღელის შუამდინარეთში. აღსანიშნავია, რომ ამ სოფელში ამჟამად დანელიები ბევრად მეტნი მოსახლეობენ (157 კომლი), ვინემ ხაინდრავები, მაგრამ სოფლის სახელწოდება ტრადიციული და უცვლელია. ამ გვარიდან კიდევ ერთი ტოპონიმი წარმოქმნილა: დიდ ნეძში, სკურჩესა და ნაკალწყარს შუა, უბანს ეწოდება სახაინდრავო. გ. ახვლედიანს ეპენთეზისის (ბგერათგადასმის) ნიმუშად აქვს დასახელებული: ხანიდრავა ← ხაინდრავა (ახვლედიანი, 1999, გვ. 239). 1904 წ. აღწერის მასალებში დაფიქსირებულია ვარიანტი ხალინდრავა (ზუგდიდში). XX ს. დამდეგს ნახუნაოსა და ლეხაინდრავოში მცხოვრები ხაინდრავები აზნაურები იყვნენ (ი. ბაგრატიონის ცნობით, "ხაინდრავა არის ორთა გვარნი აზნაურნი". იხ. ბაგრატიონი, 1973, გვ. 134).

**ხაკავა** – გვარს აღადგენს ტოპონიმი ნახაკუ. ესაა ბორცვი ლეჯომიდეში (მ. ჭოღა, მოიდანახე).

**ხანგარია** – უწინდელ დროში ასეთი გვარის არსებობას ადასტურებენ ტოპონიმები: ნახანგარუ – სახნავები პარტიკის მარჯ. მხარეს, ზუბისა და ზენის საზღვარზე (ორივე საჯიჯაოს თემში) და ჩაის ფართობი ლაკადის ძირას (ნახურცილავო). ნახანგარუ – ტყე დიხაძუგასთან (პ. გურიფული). სვანურში ხანგარ აღნიშნავს სატევარს, ხანჯალს, დაშნას...

**ხამბეშია** – იხ. ღამბეშია.

**ხაქალია** – 553 სული (სამტრ. – 261, თბ. – 112, წყალტ. – 65). სამეგრელოში იშვიათია. თითო-ორი კომლი დაფიქსირდა ზუგდიდში, სენაკში. შდრ. ხაჯალია. „როგორც ჩანს, ქ და ჯ ბგერების ურთიერთობა ქართულში (უკეთ, ქართველურ ენებში) კანონზომიერ-მონაცვლეობითი ხასიათისაა", ოღონდ უფრო სავარაუდოა ჯ → ქ პროცესი (აფრიდონიძე, 1987, გვ. 255).

**ხაქომია** – 748 სული (მარტვ. – 284, თბ. – 170, ქუთ. – 62). კომლი: მარტვილი – 67, ნაგვაზავო – 6, პ. მაისი – 6, ხუნწი – 6, ინჩხური – 4 და სხვ. ტოპ.: ეხაქომიე – ჩაის პლანტაცია ქვაითში. ეხაქომიე//სახაქომიო – უბანი ნოღის მარც. ნაპირას (ქვ. ხუნწი). ხაქომია კოლხეთში პირსახელიცაა.

**ხარაიშვილი** 3313 სული. გვარი გავრცელებულია კახეთშიც და იმერეთშიც. კომლი სამეგრელოში: საგვიჩიო – 10, ახალსოფელი (ხობის რ.) – 9 და სხვ. ხარა კოლხეთში პირსახელია.

**ხარამაშვილი** – ხარამიშვილის (იხ.) ვარიანტი ჩანს. ახუთში დადასტურდა 3 კომლი.

**ხარამიშვილი** – 139 სული (ზუგდ. – 34, სენაკი – 8, წალენჯ. – 4). ამ -შვილ დაბოლოების შემცველი გვარის სამშობლოა სამეგრელო. კომლი: ახალხიბულა – 14, ხობი – 3 და სხვ. ტოპ.: სახარამიშვილო – უბანი ზუბში (ახალხიბულის თემი). გადმოცემით, ხარამიშვილები აქ ხონიდან მოსულან. პირსახელი ხარამია დაფიქსირებულია დას. საქართველოს საეკლესიო საბუთებში (ქსს, 1986).

**ხარასქუა** – ჭანტურიების შტოგვარია. ინფ.: "სინამდვილეში ჭანტურიები არიან. წინაპარი იყო ხარაზი, რომელიც ჭანტურიას ჩასიძებია". სახარასქუო მათი უბანია (განათლებისკარი).

**ხარბედია** – 1131 სული (სენაკი – 391, თბ. – 184, ფოთი – 133). კომლი: მეხჯი – 51, კიწია – 11, თეკლათი – 9, ლესიჭინე – 8, სერგიეთი – 7, ქარიატა – 5, ხობი – 5, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) – 3 და სხვ. ტოპ.: სახარბედიო – სოფელი ცივის ორსავე ნაპირას (მენჯის თემი). გვარის თავდაპირველი და სრული ვარიანტია ხარაბედია: XVII ს. ბოლო მეოთხედში დაწერილი საბუთიდან ვიგებთ, რომ კათალიკოს დავით ნემსაძეს ბიჭვინთისათვის შეუწირავს ქრისტეშია ხარაბედია და მისი ძმა ხოსია მათი ცოლ-შვილით (ქსძ, III, 613). XVIII ს. I მეოთხედში სახარაბედოში მოსახლე ხარაბედიას მართებს საეკლესიო გადასახადი "ხუთი ლოღარიკი სანთელი"(იქვე, 768). სოფლის სახელწოდება კი სამი ვარიანტით გვხვდება: სახარბედიო (1706 წლის საბუთში. იხ. იქვე, გვ. 645), სახარაბედიო (1712 წ. შედგენილ საბუთში. იხ. იქვე, გვ. 671) და სახარაბედო (იქვე, 768).

**ხარგელია** – 331 სული (ზუგდ. – 146, თბ. – 38, მარტვ. – 27). კომლი: ოქტომბერი – 15, დიდი ნეძი – 5, განარჯიის მუხური – 3 და სხვ. გვარი მომდინარეობს მეტსახელისაგან: ხარგელი მეგრულში ნიშნავს დატვირთულს. ცხოვრებისეული გამოცდილებით დამძიმებულ კაცზეც იტყვიან.

**ხარებავა** – 2717 სული (ზუგდ. – 731, თბ. – 481, სენაკი – 396). საქართველოში ყველაზე გავრცელებულ გვართა შორის 262-ე ადგილზეა. კომლი: გურძემი – 33, ყულიშკარი – 33, ჩხორია – 24, ზანა – 23, მარტვილი – 14, ახუთი – 12, ლია – 11, კიწია – 10, ძვ. სენაკი – 10, ახალაბასთუმანი – 8, ლესიჭინე – 8 და სხვ. ტოპ.: ნახარებავო (ადგ. ვარიანტი: ნახარებუ) – სოფელი აბაშის მარც. მხარეს. შეუერთდა ქ. მარტვილს. ლეხარბე – სერი სქურსა და მენჯღალს შუა (მ. გურძემი). ნახარებუ – ბორცვი, უბანი ტარჩიის მარჯ. მხარეს. ცხოვრობენ კაკაჩიები და მესხიები (სამესხიო). ლეხარ(ე)ბე – უბანი მეტერიის მარჯ. მხარეს (ლეგოგიე-ნასაჯუ). ლეხარბე//ლახარბე – ბორცვი ყულისკარსა და ნაცინუაღალს შუა (ალერტკარი). სახარება – უბანი ყულისკურის მარც. მხარეს (ყულიშკარი). ხარებავები აქ ჩამოსულან ლეხარბედან, რაც აქედან 2 კმ-ზეა (ალერტკარში). სახარებო – უბანი ბეჟაშ ღალსა და ცენდერს შუა (ჩხორია). ამ უბანში ხარებავა მხოლოდ ერთი კომლი დარჩა. ცხოვრობენ: გამისონია, შეროზია, ქარდავა, ფიფია, ჯალაღონია, გოგუა, ჯიქია, კეკუა, ძიმცეიშვილი. ხარება მთელ საქართველოში გავრცელებული სახელია. მისგანაა წარმოქმნილი გვარები: ხარებავა, ხარებაძე, ხარებაშვილი. 1904 წლის აღწერის მასალებში გვხვდება ვარიანტი ხარებაია (8 კომლი მარტვილში).

**ხარშილაძე** 1716 სული. აღმ. და დას. საქართველოში გავრცელებული გვარია. კომლი სამეგრელოში: საგვიჩიო – 11, ძვ. სენაკი – 8, ახალსოფელი (ხობის რ.) – 5 და სხვ. იშვიათი საპასპორტო ვარიანტია ხარშილავა (ზუგდიდი, სენაკი)..

**ხარჩილავა** – 2255 სული (ზუგდ. – 718, წალენჯ. – 707, თბ. – 237). სულთა რაოდენობით ქვეყანაში 360-ე ადგილზეა, სამეგრელოში 48-ე ადგილი უკავია (1709 სული), ხოლო წალენჯიხის რ-ნში – მეცხრე. კომლი: ჯგალი – 90, წალენჯიხა – 51, ობუჯი – 28, ორულუ – 10, ჯიხაშკარი – 10, ერგეტა – 8, ინგირი – 8, ქვ. ქვალონი – 8, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) – 6, ძვ. სენაკი – 6 და სხვ. ტოპ.: ლეხარჩილე – სოფელი ფუისქურის მარც. მხარეს (ჯგალის თემი). იყოფა სამ კუთხედ: რზენი (ცხოვრობენ რზენალეფი), სუკი (ცხოვრობენ სუკარეფი) და ტახილი (ცხოვრობენ ტახილარეფი). ლეხარჩილე –

უბნები ჯვარში, ფახულანში, მოხაშში. ნახარჩილუ - ფერდობები ოჩხომურის მარც. მხარეს (გარახა). სახარჩილო - უბნები ხამისკურში, საკუკაოში, ორულუში და ყოფილი დასახ. უბანი ყულევში.

ხარძიანი - 662 სული. სვანური გვარია. დასტურდება სამეგრელოშიც: საგვიჩიო - 11 კ., ძვ. სენაკი - 8 კ., ახალსოფელი (ხობის რ.) — 5 კ. და სხვ.

ხარჭამაძე - 62 სული (ზუგდ. - 37, თბ. - 7, ჩხორ. - 5). გვარი მთლიანად სამეგრელოშია განსახლებული (კორცხელი - 5 კომლი და სხვ.). ი. მაისურაძე ამ გვარს აკავშირებს ქართულში გავრცელებულ მეტსახელთან ხარიჭამია (მაისურაძე, 1981).

ხასაია - 1526 სული (ზუგდ. - 612, წალენჯ. - 530, თბ. - 150). კომლი: ჭალე - 31, ფახულანი - 19, ჯვარი - 19, მუჟავა - 8, ლია - 6, გახარჯიის მუხური - 4, ინგირი - 4, ნარაზენი - 3 და სხვ. ხას- ძირს გამოგვაყოფინებს კოლხური პირსახელები ხასგერ და ხასუა (ქსს, 1986).

ხასია - 1103 სული (ზუგდ. - 162, თბ. - 108, სენაკი - 59). კომლი: ყულიშკარი - 28, შამგონა - 16, ალერტკარი - 15, ხეთა - 12, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) - 6, ახალსოფელი (ხობის რ.) - 5, კახათი - 4, ჯიხაშკარი - 4 და სხვ. ტოპ.: სახასიო - უბანი ყულიშკარში, ალერტკარის საზღვართან. იხ. ხასაია.

ხაფავა - 390 სული (ზუგდ. - 111, ქუთ. - 79, თბ. - 72). ნოსირში ცხოვრობს 3 კომლი, სხვაგან - თითო-ოროლა. გვარისათვის ამოსავალია კოლხური პირსახელი ხაფა. XX ს. დამდეგს კადარში (აბაშის თემი) მოსახლე 4 კომლი ხაფავა აზნაურის წოდებისა იყო.

ხაცავა - 42 სული. ძირითადი არეალი განსახლებისა არის ზუგდიდის რ-ნი (თვით ქ. ზუგდიდში - 11 კომლი, ორიოდე კომლი სოფლებშიც). ტოპ.: სახაცო - უბანი ჯაბახლეს სათავესთან (ჯიხაშკარი).

ხახუბია - 158 სული (სენაკი - 47, თბ. - 41, ზუგდ.- 18). კომლი: ეკი - 4, ფოთი - 3 და სხვ. ხახუ პირსახელია. -ბია დაბოლოება სხვა გვარებშიც გვხვდება (მაგალითად, ცხუცხუბია).

ხახულია - გვარს ადასტურებს ტოპონიმი ნახახულუ. ესაა ბორცვი ჭალადვანასა და ნაწისქვილს შუა (ლექარჩე). ხახა, ხახულია დას. საქართველოს რეგიონებში პირსახელებია.

ხაჯალია - 106 სული (თბ. - 38, ზუგდ. - 28, საჩხ. - 15). სამეგრელოში ამჟამად იშვიათია, ისევე როგორც ხაჟალია (ზეპირ მეტყველებაში ეს ვარიანტები თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს). კომპაქტური დასახლება არ დადასტურდა. ტოპ.: სახაჯალიო - უბანი სენაკში, ქალაქის ცენტრსა და საკინწურაშვილოს შუა. "საცაიშლო დავთრის"(1616-1621 წწ.) მინაწერებში დასახელებულია საჭილაოს მცხოვრები ქაქალია ხაჯალია (ქსძ, III, 479). იქნებ ამ ანთროპონიმიდან (გვარსახელიდან ან პირსახელიდან) წარმოიქმნა დამნაშავის დასასჯელი ხის ბორკილის სახელწოდება ხაჯალური. ხაჯი, ხაჯუა სვანეთსა და სამეგრელოში პირსახელებია, ხოლო ხაჯალი ხაჯ- ფუძის მოფერებითი ფორმაა. შდრ. ხაჯიშვილი (აჭარა).

ხევსურიანი - 136 სული (სენაკი - 62, თბ. - 35, ჩხორ.- 16). კომლი: ძვ. სენაკი - 8, ზანა - 3, ლესიჭინე -3 და სხვ. ადგ. ვარიანტი: ხევსურია. იხ. ხევცურიანი.

ხევცურიანი - იშვიათი გვარია. კომლი: ახუთი - 4, სენაკი - 3, ზუგდიდი - 6 და სხვ. ხეცურიანის (იხ.) ვარიანტი ჩანს, ვ ბგერის ჩართვით მიღებული. შემდეგ მომხდარა ც-ს დეზაფრიკატიზაცია ხშულობის დაკარგვით, რისი შედეგიცაა ვარიანტი ხევსურიანი (ძირითადად სამეგრელოში).

ხეინძე - უწინდელ დროში ამ გვარის არსებობას ადასტურებს ტოპონიმი ლეხეინძე. ესაა ყოფილი დასახ. უბანი სკურდის მარც. მხარეს (ნახურცილავო). ხეინძე არის ვარიანტი აჭარასა და იმერეთში გავრცელებული გვარისა მხეიძე, რომელიც, თავის მხრივ, მხეციძე-საგან მომდინარეობს (შდრ. ხეიძე).

ხელაია - 935 სული (მარტვ. - 344, თბ. - 180, ხობი - 74). კომლი: ინჩხური - 69, მარტვილი - 11, ქვ. ქვალონი - 7, გაჭედილი - 6, წალენჯიხა - 5, ბანძა - 4, მარანი - 3 და სხვ. ტოპ.: სახელაიო - უბნები გახომელასა და სენაკში (ზედა სალომიოსთან). პირსახელი ხელა დაფიქსირებულია წერილობით წყაროებში და ჩანს გვარებშიც: ხელაიძე, ხელაძე, ხელაშვილი. სავარაუდოა: ხელაძე → ხელაია.

ხელაძე - 3109 სული. იმერეთში ფართოდ გავრცელებული ეს გვარი დასტურდება სამეგრელოშიც: ვედიდკარში ცხოვრობს 3 კომლი.

ხელია - 89 სული (აბაშა - 43, რუსთ. - 15, სენაკი - 7). სუჯუნაში დაფიქსირდა 9 კომლი. ხელიძის (იხ.) გამეგრულებული ვარიანტი ჩანს. იხ. ხელიძე.

ხელიძე - 221 სული. იმერული გვარი დასტურდება სამეგრელოშიც (სეფიეთი - 6 კომლი).

ხეცერია - გვარს აღადგენს ტოპონიმი ლეხეცერე (ფერდობები თამაკონში, ტუტალალის ნაპირას).

ხეცია - იშვიათი გვარია. საერთოდ, მხეიძის ვარიანტია. ტოპ.: სახეციო - უბნები ზემო სორტასა (ეკის მთის კალთაზე) და გოლასკურში (გოჭყვადილის მარჯ. მხარეს). ნახეცუ - მიხდორი მუხურჩის ცენტრში. იოანე ბაგრატიონი ოდიშის თავადთა შორის "მხეცია"-საც ასახელებს. აკ. შანიძის ეტიმოლოგია: "მხეციძე → მხეიძე. შდრ. მეგრ. ხეცია" (შანიძე, 1973, გვ. 119).

ხეცურიანი - 2317 სული. ლეჩხუმსა და იმერეთში ფართოდ გავრცელებული აზნაურული გვარია. დასტურდება სამეგრელოშიც (საჯიჯაო - 3 კომლი). ადგ. ვარიანტია ხეცურია, რომელსაც საპასპორტო გვარის ფუნქციაც აქვს (50 სული. ძირითადადზუგდიდში). იხ. ხევცურიანი.

**ხვარძიკია** – 47 სული (ზუგდ. – 39, ბორჯ. – 4, თბ. – 3). კომლი: შამგონა – 12, ზუგდიდი – 3 და სხვ. XX ს. დამდეგს შამგონაში მოსახლე ხვარძიკიათაგან 4 კომლი ატარებდა აზნაურის წოდებას.

**ხვიბლიანი** – 516 სული. მესტიის რ–ნიდან ჩამოსახლებულნი არიან კოლხეთის ბარში: ჭაქვინჯი – 4 კ., ნარაზენი – 3 კ. და სხვ.

**ხვითარია** – 102 სული (სენაკი – 41, თბ. – 20, ფოთი – 12). კომლი: გურიფული – 3, აბედათი – 2 და სხვ. ხვითი ეწოდება ადგილსა და მდინარეს ზემო ბარღებსა და სიდაში (სამურზაყანო). მაშასადამე, ხვითარი ნიშნავს ხვითელს, ხვითიდან გამოსულს. -ა სუფიქსი აწარმოებს გვარსახელს.

**ხვინგია** – 493 სული (ზუგდ. – 103, თბ. – 100, მარტვ. – 68). კომლი: ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) – 13, დარჩელი – 5, ინგირი – 3 და სხვ. 1621 წელს დაწერილ საეკლესიო საბუთში აღნიშნულია, რომ მუხურს (სამურზაყანო) მცხოვრებ უწყინარა ხვინგიას "მართებს მეჯინიბობა, ოზურლი, ორი საკლავი, 12 კოკა ღვინო, 1 საკეტე გუდა ღვინო, 12 ჯამი ღომი, სამის დღის ყანის შეელა"(ქსძ, III, 427). ხვინგ-ზმნური ფუძისაგან ნაწარმოები ფორმები მეგრულში აღნიშნავენ უზომოდ ჭამას, ჩახეთქვას, ჩახრამუნებას. პირს, ვისაც ჭამის ასეთი მანერა ახასიათებდა, ადვილად მიეკერებოდა მეტსახელი ხვინგია (ამ ფორმას სასუბიექტო მიმღეობის ფუნქცია აქვს).

**ხვიტია** – 399 სული (ზუგდ. – 259, თბ. – 71, წალენჯ. – 13). გვარის კომპაქტური დასახლებანი მხოლოდ ზუგდიდის რ–ნშია დაფიქსირებული. კომლი: რუხი – 22, კორცხელი – 9, ახალსოფელი –5 და სხვ. ტოპ.: ლეხვიტიე – ყოფილი დასახ. უბანი ჭკადუაშში (პ. ეწრის საზღვართან), ტყე-ფერდობები ლიასა (გაძღარასთან) და პ. ეწერში (ყოფილი ორჯონიკიძე). სახვიტიო – უბნები რუხსა და კორცხელში. გვარი წარმოქმნილია კოლხეთში გავრცელებული პირსახელისაგან ხვიტი. 1904 წლის აღწერის მონაცემების თანახმად, სოფელ ზუგდიდში ცხოვრობს 8 კომლი ხვიტია აზნაურის წოდებისა.

**ხვიჩავა** – 321 სული (წალენჯ. – 194, ზუგდ. – 79, ჩხორ. – 4). კომლი: საჩინო – 25, ჩხორია – 11, ლია – 4 და სხვ. ხვიჩა კოლხეთში გავრცელებული პირსახელია. დამოწმებულია ისტ. წყაროებითაც.

**ხვიჩია** – 1886 სული (თბ. – 352, ზუგდ. – 329, მარტვ. – 202). კომლი: თამაკონი – 38, ახალსოფელი (ხობის რ.) – 12, ხეთა – 12, ცაიში – 9, ორულუ – 8, ბულიწყუ – 7, ოდიში – 7, ფოცხო – 6, განარჯიის მუხური – 5, ნარაზენი – 5 და სხვ. ტოპ.: ლეხვიჩიე – უბანი გურძემიის მარჯ. მხარეს (მ. მოხაში). სახვიჩიო – უბნები ნარაზენსა (სქაიის მარჯ. მხარეს) და მუხურში (ზ. ჭალადიდის თემი). "საცაიშლო დავთარში" (1616-1621 წწ.) დასახელებულნი არიან ცაიშს მცხოვრები საეკლესიო გლეხები ქომიშკელა ხვიჩია და მიყოთელა ხვიჩია (ქსძ, III, 445). ამავე საბუთის მიხედვით, ჩოხათელ ბაბაშურ ხვიჩიასაც მართებს საეკლესიო გადასახადი (იქვე, 466). ხვიჩა კოლხეთში გავრცელებული პირსახელია. ხოლო ხვიჩია გვარიცაა და პირსახელიც. კერძოდ, პირსახელია იგი 1578 წ. შედგენილ დავთარში, სადაც აღნიშნულია: "მართებს შატმახაშვილსა ხვიჩიას..."(იქვე, 285).

**ხიმშიაშვილი** – 1714 სული. აჭარაში გავრცელებული გვარია და გვხვდება სამეგრელოშიც: პ. ეწერში (სუჯუნის თემი) ცხოვრობს 6 კომლი.

**ხინთბაია** – 27 სული (ზუგდ. – 18, გარდ. – 2, სენაკი – 2). ეს გვარი სამურზაყანოშია გავრცელებული. სხვა რეგიონებში არიან ლტოლვილები. შდრ. ხინთიბიძე.

**ხინტკირია** – 32 სული (თბ. – 12, აბაშა – 9, ფოთი – 8). ონტოფოში დაფიქსირდა 3 კომლი. მეგრულში საობიექტო მიმღეობა ხინტკირი "ჭდედადებული, გათაჯული" ძუნწი, თავისნათქვამა კაცის ეპითეტია. 1904 წელს ონოღიაში მოსახლე ერთი კომლი ხინტკირია აზნაურის წოდებისა იყო.

**ხიხუა** – ძალზე იშვიათი გვარია. დაფიქსირდა ხობში. ხიხუ კოლხეთში პირსახელია.

**ხიჯაკაძე** – 1055 სული. იმერული გვარია. 3 კომლი ჩასახლებულია ახალსოფელში (ხობის რ.).

**ხობელია** – 176 სული (ჩხორ. – 49, ზუგდ. – 43, თბ. –20). კომლი: ჭოღა – 14, წალენჯიხა – 7 და სხვ. ჩანს, სადაურობა-წარმომავლობის სახელი ხობელი (←ხობი) ეპონიმის მეტსახელი იყო.

**ხოზრევანიძე** – 2457 სული. აჭარასა და სამცხეში გავრცელებული გვარია. სამეგრელოში იშვიათია: ძვ. ხიბულაში დაფიქსირდა 5 კომლი.

**ხონელია** – 66 სული (ოზურგ. – 23, ზუგდ. – 7, ბათ. – 6). სამეგრელოში ძალზე იშვიათი გვარია: ზუგდიდში დაფიქსირდა ორიოდე კომლი. ხონელი მოიაზრება ხონიდან გამოსული პიროვნების ზედწოდებად. ხონელია, როგორც გვარი, შესაძლებელია, მეგრულ გარემოცვაში წარმოიქმნა, მაგრამ არც გვარ ხონელიძის გავლენა არის გამოსარიცხი. შდრ.: ხობელია,

**ხონელიძე** – 916 სული (ქუთ. – 272, თბ. – 170, აბაშა – 125). გვარი იმერეთიდანაა მიგრირებული სამეგრელოში: პ. მაისი – 37 კ., მარანი – 3 კ. და სხვ. ხონელი სადაურობა-წარმომავლობის სახელია (← ხონი). ზოგი ხონელიძე თავადის წოდებისა იყო.

**ხორავა** – 2536 სული (ჩხორ. – 629, თბ. – 424, ზუგდ. – 356). სულთა რაოდენობით საქართველოში უკავია 304-ე ადგილი, ჩხოროწყუს რ–ნში კი მე-16 ადგილზეა. გვარის ძირძველი სამკვიდროა ლესიჭინე (125 კომლი). კომლი სხვა სოფლებში: ზანა – 20, კეთილარი – 7, ბანძა – 6, მენჯი – 6, მარტვილი – 6, ქვ. ჩხოროწყუ – 6, ჩხოროწყუ – 6, ვედიდკარი – 4, ინჩხური – 4, კახათი – 4, მარანი – 4, ძვ. სენაკი – 4 და სხვ. ადგ. ვარიანტია ხვარა. ტოპ.: სახვარა//სახორა – უბნები ლესიჭინესა (ხობისწყლის მარც. ნაპირას) და ოჩხომურში. სახორა – უბნები ბათარიასა და ეწერში (ზანის თემი).

ლეხორე - უბანი უშაფათში. ვარიანტი ხვარავა დასტურდება XVIII ს. I ნახევრის საბუთში, საიდანაც ვიგებთ, რომ წყალიძგას მცხოვრები გაჭირებული ხვარავა ბიჭვინთისათვის შეუწირავთ (ქსძ, III, 767). 1904 წელს უშაფათში მოსახლეობდნენ როგორც ხორავას, ისე ხორაიას გვარისანი. ხვარა, ხორა მეგრულში აღნიშნავს მელოტს და, მაშასადამე, მეტსახელად შეიძლებოდა ქცეულიყო. XX ს. დამდეგს დიდ კოკსა და კოდორში (ნაესაკაოს თემი) მოსახლე ხორავები აზნაურები იყვნენ.

**ხორგუანი** - 632 სული (მესტია - 215, თბ. - 149, ზუგდ. - 71). ჭკადუაშში ცხოვრობს რამდენიმე კომლი. მათს უბანს ეწოდება სახორგუანო. შდრ. ხორგუაშვილი.

**ხოტუო** - გვარს აღადგენს ტოპონიმი ლეხოტუე. ასე ეწოდება ლაკადისძირებს ბელერწყარის სათავესთან (ლეთკანთი). ლე- პრეფიქსი იმაზე მიუთითებს, რომ აქ ერთ დროს ხოტუების უბანი იყო. ხოტო, ხოტორო ნიშნავს თავგადატვლეპილს. მაშასადამე: ხოტო (მეტსახელი) →ხოტო-ა → ხოტუა.

**ხოფერია** - 1126 სული (თბ. - 297, ლანჩხ. - 270, სენაკი - 154). კომლი: ახალსოფელი (სენაკის რ.) - 15, თეკლათი - 4 და სხვ. ტოპ.: სახოფერიო - უბანი სენაკსა (საკუჭაღელესა და საკალანდიოღელეს შუა) და ისულაში. ინფ.: "ხოფერიების ძველი თაობა ლანჩხუთში დადიოდა ხატის მოსალოცავად. სამი ძმა ყოფილა. ერთი იქ დარჩენილა, მეორე აქ, ისულაში, დამკვიდრებულა, მესამეს კი ზუგდიდისკენ გაუწევია". შესაძლოა, ხოფერი ნიშნავდეს ხობელს: შუა საუკუნეების საისტორიო წყაროებში არაერთგზის დასახელებული ხოფი დღევანდელი ხობია. 1904 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, ეკში, საჩოჩიოში, თეკლათში, შხეფში მოსახლე ხოფერიები აზნაურები არიან.

**ხოშტარია** - 1006 სული (თბ. - 304, აბაშა - 297, ფოთი - 144). გვარის სამშობლოა სუჯუნა (58 კომლი). აქვეა უბანი (უწინ სოფელი იყო) სახოშტარიო. სუჯუნელი ხოშტარიები საეკლესიო აზნაურები და დადიანების მოურავეები ყოფილან. კომლი სხვა სოფლებში: ნოსირი – 4, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) – 3, მარანი - 3, ნაესაკაო – 3 და სხვ. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ხოშტარი უნდა ნიშნავდეს ხოსტელს. შდრ. კოლხური პირსახელი ხვიშტარი (ქსს, 1986). XX ს. დამდეგს კოდორში, სუჯუნაში, პ. ფოთში, მაცხოვრისკარში (კვათანის თემი) მოსახლე ხოშტარიები აზნაურები იყვნენ.

**ხოჭოლავა** - 412 სული (თბ. - 106, ზუგდ. - 92, ფოთი - 58). კომლი: დარჩელი - 5, ინგირი - 5, ზ. ქვალონი - 4, ოქტომბერი - 3, შ. ხორგა - 3, ხობი - 3 და სხვ. ტოპ.: სახოჭოლავო - სოფელი ზ. ქვალონის თემში. სახოჭოლა - უბანი გაღმა პ. ხორგისა და გაღმა შ. ხორგის საზღვარზე. საისტორიო წყაროებში დაფიქსირებულია ამ გვარის სამი ვარიანტი - ხოჭოლავა, ხოჭალავა და ხუჭულავა: 1706 წლის შეწირულების სიგელში დასახელებულია ხორგას მცხოვრები სოგიჯუმა ხოჭოლავა (ქსძ, III, 646). ამავე სოფელში ამაზე ცოტა ადრე ბიჭვინთის ღმრთისმშობლისათვის შეუწირავთ ბაბაკოჩი ხოჭალავა და ხვიჩა ხოჭალავა (იქვე, 612). XVIII ს. დამდეგის სხვა საბუთში კი გვხვდება გვარი ხუჭულავა (იქვე, 676). ისტორიულად ხოჭოლავები ჩიქუების აზნაურები ყოფილან. ხოჭა პირსახელადაა დადასტურებული (ქსს, 1986). ხოჭო, ხოჭოლა მეგრულში შავტუხა და გამხდარი ბავშვის მოსაფერებელი სიტყვაა და მეტსახელებადაც გვხვდება.

**ხოჯავა** - 505 სული (ქუთ. - 114, თბ. - 110, წყალტ. - 107). სემანტიკით და მოდელით მეგრული ეს გვარი თითქმის მთლიანადაა განსახლებული იმერეთში, სამეგრელოში კი ძალზე იშვიათია. ხოჯი ქართული ხარის შესატყვისი სიტყვაა მეგრულში და პირსახელადაც გვხვდება. -ა მაანთროპონიმებელი სუფიქსია. -ვა გვარს აწარმოებს. მ. ქალდანი აღნიშნავს: "ერთი საერთო წყაროდან უნდა მომდინარეობდეს სვან. ხოჯ-ელ-ან და მეგრული ხოჯ-ავ-ა. ერთი საერთო ხოჯ "ხარი" მეგრული ძირის გვერდით აქაც ელ-ან ავ-ა შესატყვისობა გვაქვს" (ქალდანი, 1980, გვ. 73). შდრ.: ხოჯანაშვილი, ხოჯელაშვილი (იმერეთი), აგრეთვე: ხარაძე, ხარაიძე, ხარაშვილი, ხარაიშვილი.

**ხუბელოშვილი** - იშვიათი გვარია. აბაშაში დაფიქსირდა 3 კომლი. ხუბელა ხუბ- ძირის შემცველი პირსახელის მოფერებითი ვარიანტია. იხ. ხუბილავა, ხუბუა, ხუბულავა, ხუბულია, ხუბუნაია, ხუბუნია, ხუბუტია. შდრ. ხუბუკელაშვილი (ლეჩხუმი, იმერეთი).

**ხუბილავა** – 51 სული (ზუგდ. - 36, ბორჯ. - 2, ქუთ. - 2). ძირძველი მოსახლე სამეგრელოში იშვიათია (დადასტურდა მხოლოდ ჭკადუაშში). ძირითადად არიან ლტოლვილები. შდრ. ხუბულავა.

**ხუბლავა** – 54 სული. ხუბულავას (იხ.) ვარიანტია. გავრცელებულია იმერეთში.

**ხუბუა** - 1166 სული (ზუგდ. - 654, თბ. - 173, სენაკი - 143). კომლი: კოკი - 23, უშაფათი - 15, ფოცხო - 11, ზანა - 6, განარჯიის მუხური - 4, ახუთი - 3, ზ. ქვალონი - 3, ტალერი - 3 და სხვ. ტოპ.: ლეხუბუე//სახუბუო - უბნები ფოცხოსა და უშაფათში. ნახუბუ//ნახუფუ - სერი ჭახისწყალსა და კინესქურს შუა (ჯაღრა, ნაკიფუ). სახუბუო - უბნები შამგონაში, კოკში, ჭითაწყარში. ხუბუ ფუძე ჩანს ხუბულავაშიც, ხუბულიაშიც, ხუბუნაიაშიც, ხუბუტიაშიც.

**ხუბულავა** - 937 სული (ზუგდ. - 557, თბ. - 101, ქუთ. - 49). კომლი: ჭაქვინჯი - 38, ჯიხაშკარი - 18, ინგირი - 4, ზ. ქვალონი - 4, ორსანტია - 3 და სხვ. ადგ. ვარიანტი: ხუბლა. ტოპ.: სახუბლა - უბნები ჯიხაშკარსა (უბადოღალის ხეობაში) და უფალკარში (ფაქვის მარც. მხარეს). სახუბულა - უბანი ჭაქვინჯის ცენტრში. ამავე სოფელში, სკაიის მარჯ. ნაპირას, უბანს ეწოდება ხუბულეთი//სატიბუო. აქ ტიბუები მკვიდრობენ. უწინ კი ამჟამინდელ სახუბულაში მცხოვრები ხუბულავების წინაპრებს უცხოვრიათ. 1616-1621 წწ. დავთარი ჯგალის ციხის მებეგრეთა შორის ასახელებს მამულია ხუბულავას

(ქსძ, III, 479). ამჟამად ლეთკანთში (ჭგალის თემი) მოსახლე ხუბულიები (იხ. ხუბულია) ამ ხუბულავას შთამომავლები ჩანან. 1904 წ. ჰაქვინჯში მოსახლე 7 კომლი ხუბულავა აზნაურის წოდებისა იყო.

**ხუბულაია** – ხუბულავას ან ხუბულიას ვარიანტი ჩანს. დაფიქსირდა ფოთში.

**ხუბულია** – 144 სული (წალენჯ. –114, ზუგდ. – 53, თბ. – 35). კომლი: ჭგალი – 18, შამგონა – 5, პ. ფოთი – 3 და სხვ. გვარები ხუბუა, ხუბულავა, ხუბულია, ხუბუნაია, ხუბუნია, ხუბუტია აღადგენს პირსახელ ხუბუ-ს. –ულ, –უნ, –ურ, –უტ სუფიქსები სახელის მოფერებით ფორმებს აწარმოებენ.

**ხუბუნაია** – 153 სული (სენაკი – 44, ჩხორ. – 40, თბ. – 27). კომლი: ახუთი – 10, ლეძაძამე – 6, ლესიჭინე – 3 და სხვ. ხუბუნა ხუბუს მოფერებითი ფორმაა. შდრ. ხუბუა, ხუბულია, ხუბუტია.

**ხუბუნია** – 23 სული. სენაკში დაფიქსირდა ორიოდე კომლი. შდრ. ხუფუნია.

**ხუბუტია** – 569 სული (ზუგდ. – 257, წალენჯ. – 118, თბ. – 102). კომლი: ჯვარი – 9, ლია – 4, რუხი – 3 და სხვ. ადგ. ვარიანტი: ხუბტია. ტოპ.: ლეხუბტე – ერქვა დასახ. უბანს მოროღის მარჯ. მხარეს (ლეშამუგე). ინფ.: "ხუბუტიები აზნაურები იყვნენ. შემდეგ აქ დამკვიდრდნენ სახელმწიფო გლეხები – გოგილავები და უბანსაც ლეგოგილე ეწოდა". ხუბუ პირსახელია. სუფიქსი –უტ აწარმოებს სახელის მოფერებით ვარიანტს, ხოლო –ა – გვარსახელს. ლევან ღვინჯილიას მტკიცებით, ხუბუტია მომდინარეობს ბუხუტია–საგან. იხ. ხუბულია.

**ხულორდავა** – 387 სული (წალენჯ. – 78, მარტვ. – 75, თბ. – 73). კომლი: საჩინო – 15, სალხინო – 14, ახალხიბულა – 5 და სხვ. ადგ. ვარიანტები: ხულორდა, ხუძედა (ბ.–მ. თქმა). ტოპ.: ეხუედე //ეხულორდე – უბანი წაჩხურის მარც. მხარეს (სალხინო). შდრ. გულორდავა.

**ხუნტუა** – 57 სული (ჩხორ. – 34, თბ. – 12, ზუგდ. – 9). ჩხოროწყუში, ჯიხაშკარში და ზოგ სხვა სოფელში მკვიდრობს რამდენიმე კომლი. კოლხეთში დაფიქსირებული პირსახელები ხუნტა, ხუნტული, ხუნტუშა გვავარაუდებინებს ხუნტუ ვარიანტსაც, საიდანაც წარმოიქმნა გვარი ხუნტუა.

**ხუნწარია** – 943 სული (სენაკი – 286, თბ. – 182, ზუგდ. – 109). კომლი: ახალსოფელი (სენაკის რ.) – 20, უშაფათი – 10, ობუჯი – 8, აბაშა – 3, ახალკახათი – 3 და სხვ. ტოპ.: ლეხუნწარიე – უბანი მოხაშურის მარჯ. მხარეს (ლეგოგინე). სახუნწარიო – უბანი ტეხურის მარჯ. მხარეს (ახალსოფელი, სენაკის რ.). ნახუნწარუ//ნახოხწარუ – ტყე-ფერდობები ოხვამეფერდის კალთაზე (ნახურცილავო). ცნობილია, რომ ხუნწარი ნიშნავს ხუნწელს. ხუნწი სოფელია მარტვილის რ–ნში. შდრ. ხუნწელია.

**ხუნწელია** – 201 სული (მარტვ. – 155, თბ. – 16, ქუთ. – 8). კომლი: ქვაითი – 27, მარტვილი – 24, ხუნწი – 4 და სხვ. ტოპ.: ეხუნწეიე – უბანი ნოღის ხეობაში (ქვაითი). ხუნწელი სადაურობის გამომხატველი სახელია, წარმოქმნილი და გვარის საყრდენად ქცეული ხუნწს გარეთ.

**ხუნჯგურუა** – 181 სული (ზუგდ. – 148, თბ. – 11, ჩხორ. – 5). კომლი: კოკი – 19, ზუგდიდი – 13, დარჩელი – 2 და სხვ. ტოპ.: სახუნჯგურუო – უბანი კოკში. გადმოცემით, აქაური ხუნჯგურუები ყოფილან ხუნჯუები ხიბულადან. ხუნჯგურუას იტყვიან მხრებაწურულ, სქელ და დაბალ კაცზე.

**ხუნჯუა** – 211 სული (ზუგდ. – 50, სენაკი – 41, თბ. – 21). კომლი: საგვიჩიო – 11, ეკი – 7, ლია – 6, ჰაქვინჯი – 4 და სხვ. ტოპ.: სახუნჯუო – უბნები ეკში (ეკუსქურის მარც. მხარეს), ზენში (საჯიჯაოს თემი), ჰაქვინჯში (ერაწყარის ხეობაში). შესაძლოა, ხუნჯუა ხუნჯგურუას რედუცირებული ვარიანტია. მეორე მხრივ, ხუნჯ- ჩანს სვანურ პირსახელში ხუნჯარ. შდრ. ხუნჯუკაშვილი (გურჯაანი).

**ხუროძე** – 340 სული (თბ. – 116, მარტვ. – 39, ზუგდ. – 33). კომლი: ხუნწი – 7, მარტვილი – 4 და სხვ. მოსაქმეობის ტერმინი ზედწოდებად ქცეულა და გვარსახელს დასდებია საფუძვლად.

**ხურცია** – 973 სული (სენაკი – 371, თბ. – 139, ზუგდ. – 116). კომლი: ახალსოფელი (სენაკის რ.) – 41, უშაფათი – 7, მენჯი –6, ნოსირი – 5, გურიფული – 3, ზანათი – 3, ხობი – 3 და სხვ. ტოპ.: ლეხურციე//სახურციო – უბანი ლეკოკაიეში. სახურციო – უბნები ბათარიაში, ახალსოფელში (სენაკის რ.), უფალკარში. XVIII ს. შუა წლებში ბესარიონ კათალიკოსი წერს წყალობის წიგნს, რომლითაც გაჭირდია ხურციას აძლევს იოსავასეული მიწის ნახევარს (ქსძ, III, 881). შესაძლოა, ხურცია იმერეთში ფართოდ გავრცელებული ხურციძის (იხ.) ვარიანტი იყოს. იხ. ხურცილავა.

**ხურცილავა** – 4172 სული (მარტვ. – 869, თბ. – 779, ზუგდ. – 449). საქართველოში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის ნუსხაში 117–ე ადგილი უკავია, სამეგრელოში კი 28–ე ადგილზეა (2039). რეგიონის შიგნით კი ასეთი ვითარებაა: მარტვილის რაიონი – მე–6 ადგილი, ფოთი – 32–ე ადგილი, სენაკის რაიონი – მე–40 ადგილი. კომლი: აბედათი – 48, სალხინო – 46, გაჭედილი – 37, პ. ფოთი – 25, მარტვილი – 22, გურძემი – 20, ურთა – 11, სუჯუნა – 11, მარანი – 8, ძვ. სენაკი – 8, ლეხაინდრავო – 7, ხეთა – 7 და სხვ. ადგ. ვარიანტები: ხურცია, ხურცულა. ტოპ.: ეხურციე – უბნები ლეძიქავესა (ქვალაის შუა წელზე) და მეორე ბალდაში; ყოფილი დასახ. უბანი ლეძიქავეში (ნანიაჭვირის მარჯ. ნაპირას) და ჩაის პლანტაციები ნაგებერავოში. ნახურცილავო (ადგ. ვარიანტი: ნახურცილუ) – სოფელი ტეხურის მარჯ. ნაპირას (გურძემის თემი). ნახურცილუ – ფერდობი ლეგერსამეში, სადაც ხურცილავას უცხოვრია (ახუთი). ნახურცი(ო)უ – ჩაის ფართობი ეწულაიეში (სკურდი). სახურცილა – ყოფილი დასახ. უბანი ზემო ბიაში. სახურცილო – ყოფილი დასახ. უბანი წყემში. გვარი ხურცილავა დაფიქსირებულია XVIII ს. შუა ხანებში შედგენილ ხობის ეკლესიისადმი შეწირულების წიგნში (ქსძ, III, 882). ხურცილა ხურცის (ხურსის) მოფერებითი ფორმაა. იხ. ხურციძე.

**ხურციძე** – 5393 სული. საქართველოსა (68-ე ადგილი) და, კერძოდ, იმერეთში (4265 სული. III ადგილი) მრავალრიცხოვანი ეს გვარი სამეგრელოში იშვიათია (ქ. ფოთი – 4 კომლი). "ძველი ქართული სახელი ხ უ რ ს ი საფუძვლად უძევს ხურციძისა და ხურცილავას გვარებს"(ჭუმბურიძე, 1987, გვ. 302). პირსახელი ხურსი დაფიქსირებულია 1633 წლის პირობის წიგნში (პალ, 1, 196). თავის მხრივ, ხურსი ირანული სიტყვაა და დათვს ნიშნავს. ასე რომ, როგორც უკვე აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, უსაფუძვლოა გ. წულაიას მტკიცება, რომ ქართული გვარი ხურციძე მომდინარეობს ოსური სიტყვიდან ხურცი "ცხელი" (წულაია, 1989, გვ. 110). შდრ. ხურცილავა.

**ხურცულავა** – ხურცილავას ვარიანტია. დაფიქსირებულია ტოპონიმებში: სახურცულა – ყოფილი დასახ. უბანი ოჩხომურის მარჯ. მხარეს (ნოჩხონი). სახურცულო – უბანი ჭითაწყარში (დარჩელის თემი). ხურცულა//ხურცულაშ სუკი – ბორცვი თოსქვამიას სათავესთან (ჭალე).

**ხუტკუბია** – (109 კომლი) და მისი ვარიანტი ხუთკუბია (29 კომლი) სამურზაყანოში გავრცელებული გვარებია. სამეგრელოში არიან ლტოლვილები. ხუტკუბია პირსახელიცაა: 1621 წლის საბუთის მიხედვით, ხიბულაში მცხოვრები ხუტკუბია ქარცხია საეკლესიო გლეხია (ქსძ, III, 415).

**ხუფაცარია** – 245 სული (ზუგდ. – 222, თბ. – 15, აბაშა – 2). გვარის სამკვიდროა ორსანტია (41 კომლი). აქვე, კერძოდ, ჭიჭე ოტობაიაში (სოფლის კუთხეა), უბანს ეწოდება სახუფაცარიო. ხუფაცარიები არიან აგრეთვე ინგირში (3 კ.), ზუგდიდში (4 კ.) და სხვ. ხუფათი ეწოდება მცირე ღელესა და ხეობას ჯოლევში. არაა გამორიცხული: ხუფათარი → ხუფაცარი →ხუფაცარია.

**ხუფენია** – 1135 სული (ზუგდ. – 819, თბ. – 154, წალენჯ. – 31). კომლი: დარჩელი – 55, განარჯიის მუხური – 23, კახათი – 3 და სხვ. ტოპ.: სახუფენიო – უბნები ენგურის მარჯ. მხარეს (განარჯიის მუხური) და მერეში (დარჩელი). "ხუფენიები იგივე ხუფერიები არიან"(ინფ.). ხუფა, ხუფუ, ხჷფუ კოლხეთში პირსახელებია. მათგან მომდინარეობენ გვარები: ხუფენია, ხუფერია, ხუფუნია. სუფიქსები –ენ, –ერ, –უნ გამოხატავენ მოფერებითობას ან წარმომავლობა-მამიშეილობას.

**ხუფერია** – უწინდელ დროში გვარის გავრცელებულობას ადასტურებენ ტოპონიმები: სახუფერიო – უბანი შხეფში (სენაკი). ხუფერეთი – სერი ნოღასა და არჯანიაშ ღეეს შუა (სერგიეთი, წინაკვერკვე). ხუფერი ხუფა (//ხუფე) სახელის მოფერებითი ფორმაა. სხვა ვარაუდი: ხოფერია → ხუფერია.

**ხუფუნია** – 88 სული (ზუგდ. – 29, თბ. –,22, ქუთ. – 7). სამეგრელოში იშვიათია, დაფიქსირდა მხოლოდ ფოთში. არიან ლტოლვილებიც. შდრ. ხუბუნია.

**ხუხია** – 388 სული (სენაკი – 187, ფოთი – 65, თბ. – 63). კომლი: ძვ. სენაკი – 30, ახალსოფელი (სენაკის რ.) – 3, ბულიწყუ – 3 და სხვ. ტოპ.: სახუხიო – უბანი კოტიანეთში. ხუხა, ხუხი, ხუხუ, ხუხუე კოლხეთში პირსახელებია (ქსს, 1986), მათგან არის წარმოქმნილი გვარები: ხუხია, ხუხუა, ხუხუნი.

**ხუხუა** – 712 სული (მარტვ. – 178, ზუგდ. – 172, თბ. – 125). კომლი: კიწია – 27, დ. ჭყონი – 18, ცაიში – 16, ახალსოფელი (სენაკის რ.) – 6, ჯიხაშკარი – 6 და სხვ. სენაკის რ-ნის ს. ახალსოფელში მოსახლეობენ ხუხუებიც და ხუხიებიც. ტოპ.: ლეხუხუე – უბანი ლახვაშიის ხეობაში (ქ. კიწია). სახუხუო – უბანი მენჯში (სენაკი). პირსახელი ხუხუ დასტურდება 1680 წლის ახლო ხანებში დაწერილ შეწირულების წიგნში, სადაც აღნიშნულია, რომ ბანძის ომში დაკარგული ხუხუ ოდიშარია კაცია ჭილაძეს დაუხსნია (ქსძ, III, 581). გვარი ხუხუა დამოწმებულია 1621 წ. შედგენილ საბუთში: თილითის (ამჟამინდელი აბააევახუ ოჩამჩირის რ-ნში) საეკლესიო გლეხთა ხუსხაში შეტანილი არიან თოსკვამია ხუხუა და ხუხუა (ეს მეორე უსახელოდ. იხ. ქსძ, III, 529–530). იხ. ხუხია.

**ხუხუნი** – 169 სული (სენაკი – 50, თბ. – 31, ზუგდ. – 17). კომლი: ლეძაძამე – 4, ხეთა – 4 და სხვ. ტოპ.: ნახუნავო – სოფელი, თემის ცენტრი ისკიისა და ნოღის ხეობებში (მარტვილის რაიონი. ადგ. ვარიანტი ნახუნუ ← ნახუხუნუ). ლეხუხუნე – უბანი ტეხურის მარჯ. მხარეს (ლესაჯაიე). ხუხუ-საგან – უნ სუფიქსით წარმოქმნილი კნინობითი სახელი ქცეულა გვარსახელად სუფიქსაციის გარეშე.

## ჯ

**ჯაბავა** – 480 სული (ზუგდ. – 66, რუსთ. – 5, ქუთ. – 5). ძირძველი მოსახლე სამეგრელოში ძალზე იშვიათია. ძირითადად არიან ლტოლვილები. უფრო გავრცელებულია ვარიანტი ჯაპავა (იხ.). გვარის ფუძეა პირსახელი ჯაბა.

**ჯაბუა** – 1153 სული (ზუგდ. – 730, ოზურგ. – 127, თბ. – 119). კომლი: კახათი – 16, ოდიში – 8, წალენჯიხა – 4, ყულიშკარი – 3 და სხვ. ტოპ.: საჯაბუო – სამი უბანი ოფაჩხაფუში. განარჩევენ მსაზღვრელებით: დაბალი საჯაბუო//თუდონსაჯაბუო – ყულიწყარის მარჯ. ნაპირას; მაღალი საჯაბუო//ეინსაჯაბუო – სერზე, ყულიწყარის მარც. მხარეს; შქასაჯაბუო – ყულწყარსა და ცუმურღალს შუა. ინფ.: "ჯაბუები ყოფილან ჯაფარიძეები სვანეთიდან. წინაპრები 23 აპრილს, გიორგობაზე, დადიოდნენ უშგულში ხატის მოსალოცად". ჯაბა, ჯაბე, ჯაბო, ჯაბუ დას. საქართველოში გავრცელებული სახელებია. მათგანაა წარმოქმნილი გვარები: ჯაბუა, ჯაბურია.

ჯაბურია - 132 სული (ზუგდ. - 40, ხობი - 30, ფოთი - 11). კომლი: რუხი - 7, ახალხიბულა - 4 და სხვ. ჯაბური ჯაბას მოფერებითი ვარიანტი ჩანს. იხ. ჯაბუა, ჯამბურია..

ჯაგავა - გვარს აღადგენს ტოპონიმები: საჯაგო — ტყე-საძოვრები საჯაგოწყარის ზემოთში (ნაფიჩხოვო). ნაჯაგუ - სერი ოჩხომურის მარც. მხარეს (გარახა). ჯაგა, ჯაგუ კოლხეთში გავრცელებული სახელებია. მათგანაა წარმოქმნილი გვარები ჯაგავა, ჯაგუნავა.

ჯაგუნავა - 123 სული (ჩხორ. - 83, სენაკი - 16, რუსთ. - 5). კომლი: ჭოღა - 16, ნაკიფუ - 4, წალენჯიხა - 3 და სხვ. ტოპ.: ნაჯაგუნუ - ბორცვი ლეჯომიდეში (მ. ჭოღა, მოიდანახე). ჯაგუნა პირსახელ ჯაგუს მოფერებითი ვარიანტია.

ჯავახია - 423 სული (თბ. - 116, სენაკი - 116, მარტვ. - 59). კომპაქტური დასახლებანი მხოლოდ სენაკის რ-ნშია. კომლი: ახალსოფელი - 12, ძვ. სენაკი - 4, ნოსირი - 3 და სხვ. 1904 წლის აღწერის მასალებში დამოწმებულია ვარიანტი ჯავახაია (ხიბულაში). შდრ. გვარები: ჯავახაძე, ჯავახი, ჯავახიანი, ჯავახიშვილი, ჯავახიძე. XX ს. დამდეგს ნაჯახავოსა და გეჯეთში მოსახლე ჯავახიები აზნაურები იყვნენ.

ჯაველია - ჯაველიძის (285 სული. ძირითადად გურია) მეგრული ვარიანტი ჩანს. ზემო ხუნწში, ეგაბეჩიეს უბანში, მინდორს ეწოდება ნაჯაველუ. გადმოცემით, აქ ჯაველიძეებს უცხოვრიათ.

ჯაიანი - 2029 სული (თბ. - 202, სენაკი - 192, ბათ. - 187). კომლი: თეკლათი - 17, ძვ. სენაკი - 17, ახუთი - 6, კოკი - 4, გურძემი - 3, თამაკონი - 3, კიწია - 3, ჩხოროწყუ - 3 და სხვ. ტოპ.: საჯაიანო — ყოფილი დასახ. უბანი საფაჩოსკუოს გვერდით (კოტიანეთი). შუა საუკუნეების სვანეთის საისტორიო ძეგლებში დასახელებული "ჯაინი" და "ჯაენი" ზოგი მკვლევრის აზრით, სინამდვილეში ჯაიანი უნდა იყოს (იხ. სოსელია, 1973, გვ. 289-290). ვახუშტი ოდიშელ წარჩინებულთა შორის ჯაიანსაც ასახელებს. ი. ბაგრატიონი, რომლის ცნობებიც ხშირად იწვევს ეჭვს, აღნიშნავს, რომ ჯაიანთა წინაპარი იყო თათრის ბეგი ჯან თუ ჯაან. იგი მოინათლა და მისი შთამომავლები "დაესახლნენ იმერეთს და მეფემ მიიღო მათი გვარი თავადად ჯაიანად" (ბაგრატიონი, 1997, გვ. 131). ჯაიანთა სათავადო უნდა ჩამოყალიბებულიყო XV ს. დამლევს. მათ ეკუთვნოდათ ახუთი, ალერტი, ნოღა. ნოღაში იყო მათი სასახლე, კარის ეკლესია და ციხე-სიმაგრე, ხოლო საგვარეულო საძვალე ალერტის ეკლესიაში ჰქონდათ. ჯაიანების აზნაურები იყვნენ გერსამიები, ფიჩხაიები, ზოდელავები, ჩაჩიბაიები, ბოკუჩავები (ალერტიდან) , პაპასქირები (ახუთიდან) და სხვ. (იხ. სოსელია, 1973, გვ. 292). 1733 წ. შედგენილი საეკლესიო საბუთის თანახმად, "ხობს, საცხომარიოს" მცხოვრებ დეისმამა ჯაიანს და მის ცოლს ორი, ხოლო "ხორგას, საკუტალიოს" მცხოვრებ მერაბ ჯაიანს ერთი გლეხი შეუწირავთ ბიჭვინთისათვის (ქსძ, III, 732). XVIII ს. შუა წლებში კი ბესარიონ კათალიკოსს თვით მერაბ ჯაიანის შვილები შეუწირავს ხობის ეკლესიისათვის (იქვე, 882). როგორც ცნობილია, XVII ს-ში წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიის მოხატვა განუახლებია ოსტატ ევდემონ ჯაიანს. ჯაიანები მკვიდრობდნენ და ფლობდნენ მამულებს აფხაზეთშიც, კერძოდ, XVII-XVIII საუკუნეებამდე ჭლოუ (ისტორიული წყაროების ჭალა) ჯაიანების სამფლობელოს წარმოადგენდა (გასვიანი, 1999, გვ. 67). 1611-1617 წლების მინაწერში აღნიშნულია კაკა ჯაიანისა და მისი შვილის — ხუტუს — მამულები ჭლოუში (იქვე, გვ. 70). ჭლოუში უბანს დღემდე შემორჩა სახელწოდება ნაჯაიანუ (ზუხბაია, 2000, გვ. 77). ჯაიანებს ძველ ფარჯიანთა შთამომავლებადაც მიიჩნევდნენ. ფაქტია, რომ ჯაიანები იყვნენ თავადებიც და აზნაურებიც. 1904 წელს თავადი ჯაიანები მკვიდრობდნენ და ფლობდნენ მამულებს ხორგაში, ახუთში, ლეწურწუმეში, ლეგოგიეში, ნოღაში, ალერტში, ნამიკოლავოში, ხოლო აზნაური ჯაიანები - საჩიქობავოში, ნოსირში, თეკლათში.

ჯაკობია - 231 სული (თბ. - 105, სენაკი - 52, ფოთი - 33). კომპაქტური დასახლება დაფიქსირდა ძვ. სენაკში (13 კომლი). XVI ს. დამლევს შედგენილ საბუთში ნაჟანეულის (ოტობაია) საკათალიკოსო გლეხთა შორის დასახელებულია გუგუტია ჯაკობია (ქსძ, III, 383). ორიოდე ათეული წლის შემდეგ დაწერილი დოკუმენტის მიხედვით კი ნაჟანეულში ცხოვრობს თოლიოქრო ჯაკობია (იქვე, 419), ხოლო ხორიში (ამჟამინდელი ოხურეი სამურზაყანოში) - ხუხინია ჯაკობია (იქვე, 425). ნ. მარის მიერ გამოთქმული მოსაზრების თანახმად, რასაც ი. ყიფშიძეც იმეორებს (ყიფშიძე, 1994, გვ. 300), გვარი ჟაკობია//ჯაკობია მომდინარეობს პირსახელ იაკობისაგან თავკიდურ ჲ (←ი)-ს ადგილას ჟ თანხმოვნის ჩანაცვლებით. ფონეტიკური პროცესი ასეა წარმოსადგენი: იაკობ → ჲაკობ (იოტიზაცია) → ჟაკობ (პალატალიზაცია) →ჯაკობ (აფრიკატიზაცია) →ჯაკობია (გვარსახელის წარმოქმნა)

ჯაკონია - 307 სული (ზუგდ. - 80, თბ. - 42, ფოთი - 15). კომლი: ძვ. ხიბულა - 24, ნოჯიხევი - 5, ხობი - 3 და სხვ. ტოპ.: საჯაკონიო - უბანი ძვ. ხიბულაში, ჭაქვინჯის საზღვართან. ჯაკონური - ფერდობები შების მარჯ. მხარეს (ხანწკი). XVII ს. პირველ მეოთხედში ჯაკონიები ცხოვრობდნენ ოქუმისპირა სოფელ მუხურში (გალის რ.) და იხდიდნენ საეკლესიო ბეგარას. 1621 წ. შედგენილ საბუთში დასახელებულნი არიან კაკა, ვაჟობა, პაპიშია, მაჭაჭვია, თენა, ბაბადიში, სკუამილი და ქოძირია ჯაკონიები (ქსძ, III, 426-427). ვარაუდობენ, რომ გვარ ჯაკონიასათვის ამოსავალია საეკლესიო თანამდებობის პირის სახელი დიაკონი: დ-ჯ თანხმოვნების მონაცვლეობა სხვა მაგალითებითაც საბუთდება (შდრ. ქართ. დიაკეული და მეგრ. ჯაკელა). მაშასადამე, დიაკონი → დჲაკონია → დჟაკონია

→ ჯაკონია (შანიძე, 1958, გვ. 614-616). დასაშვებია სხვა ვარაუდიც: ამოსავალი ფუძე ჯაკონი კოლხეთში გავრცელებული პირსახელ ჯაკო-ს მოფერებითი ვარიანტია.

**ჯალაღანია** - 964 სული (ქუთ. - 207, თბ. - 203, ფოთი - 94). ჯალაღონიას (იხ.) ვარიანტია. სამეგრელოს სოფლებში დაფიქსირდა რამდენიმე კომლი.

**ჯალაღონია** - 4269 სული (ზუგდ. - 1065, ჩხორ. - 1039, თბ. - 536). საქართველოსა (112-ე ადგილი) და სამეგრელოში (3136 სული. მე-14 ადგილი) ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გვარია. ზუგდიდის რ-ნში უკავია 28-ე, სენაკის რ-ნში – 43-ე (322 სული), ხოლო ფოთში - 37-ე ადგილი (165 სული). კომლი: ახუთი - 87, კირცხი - 69, წყემი - 53, რიყე - 34, ზანა - 32, ძვ. აბაშა - 30, განარჯიის მუხური - 21, ჩხოროწყუ - 18, ლია - 14, კახათი - 12, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) - 10, ჯიხაშკარი - 10 და სხვ. ტოპ.: საჯალაღონიო//მეორე ახუთი - დიდი უბანი ზანასა და ჩელალს შუა (ახუთი). ნაჯალაღონუ - სამოვარი ოჩხომურის მარჯ. მხარეს (ჩხოროწყუ). საჯალაღონიო - უბნები შუა რიყეში (რიყე), სკურეს მარც. ნაპირას (წყემი. აქაური ჯალაღონიების წინაპრები ახუთიდან მოსულან), ხობისწყლის მარც. მხარეს (ეწერი, ზანის თემი). ინფ.: "ივა და მისი ძმა დუდა ჯალაღონია სარაქონიდან გადმოსულან და აქ, ეწერში, უნებართვოდ ფაცხა აუგიათ. მაია დადხეს ხალხს მათი განდევნა სდომებია, მაგრამ ივას ისინი კაცის თოფით შეუშინებია. იმ ადგილს ახლა ნაფაცხუ ეწოდება".

**ჯამაშურია** - 37 სული (აბაშა - 28, ფოთი - 8, თბ. - 1). მცირერიცხოვანი გვარია. დაფიქსირდა: ტყვირში 7 კომლი, სეფიეთში 2 კომლი და სხვ. ჯამა კოლხეთში ფართოდ გავრცელებული სახელია. ჯამაში (ჯამასი) მისი ნათ. ბრუნვის ფორმაა. ჯამაშური ნიშნავს ჯამასეულს, ჯამას შთამომავალს.

**ჯამბურია** - 376 სული (მარტვ. - 153, თბ. - 52, სამტრ. - 42). კომლი: გაჭედილი - 17, დ. ჭყონი - 11, მარტვ. - 4 და სხვ. ჯამბო სვანეთში გავრცელებული სახელია. მისი ვარიანტია ჯამბური, საიდანაც წარმოქმნილან გვარები ჯამბურია და ჯამბურიძე. თუმცა არც ისაა გამორიცხული, ჯამბურია ჯაბურიას მ ჩართული ვარიანტი იყოს. ჯამბურ ფუძის შემცველ გვართა მიგრირებისა და დაბოლოების ცვალების გზა ასეა წარმოდგენილი: ჯამბურიანი (ზემო სვანეთი. დამოწმებულია XIII ს. საბუთში) →ჯამბურია (სამეგრელო) → ჯამბურიძე (ქვემო სვანეთი) → ჯამბურიძე (ლეჩხუმი). (იხ. თოფჩიშვილი, 1991, გვ. 13).

**ჯანანაშვილი** - 587 სული. ქართლური გვარი დაფიქსირდა ქვ. ჭალადიდში (5 კომლი).

**ჯანაშია** - 3559 სული (ზუგდ. - 940, მარტვ. - 914, თბ. - 532). საქართველოსა (160-ე ადგილი) და სამეგრელოს რეგიონში (2379 სული. 21-ე ადგილი) ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გვარია. მარტვილის რ-ნში V ადგილი უკავია, ზუგდიდის რ-ნში კი - 34-ე. გვარის სამშობლოა ტეხურისპირა სოფლები თამაკონი (87 კ.) და დიდი ჭყონი (85 კ.). კომლთა რაოდენობა სხვა სოფლებში: რუხი – 53, ცაიში - 38, მარტვილი - 20, ლესიჭინე - 14, გაჭედილი - 13, ნაგვაზავო - 12, პ. შაისი - 10, ნარაზენი - 9, ახუთი - 7, ზ. ჭალადიდი - 7, კორცხელი - 7, რიყე - 7 და სხვ. ტოპ.: ლეჯანაშე//მექიაჩე ჯანაშიეფი - უბანი ჩახუტუროუს სათავეებთან (თამაკონი. აქაური ჯანაშიები ქიაჩის ხატის მეხატურეები იყვნენ. ამიტომ შეერქვათ მექიაჩე ჯანაშიები). საჯანაშიო - უბნები რუხსა და რიყეში. საჯანაშიო ერქვა უბანს ჭითაწყარში, მაგრამ ახლა უფრო საჯიქიოს უწოდებენ, რადგან ჯიქიები მეტნი აღმოჩნდნენ. საისტორიო წყაროებში დამოწმებულია ვარიანტი ჯავნაშია: 1621 წ. შედგენილ ნაგვაზავოს საეკლესიო გლეხთა სიაში ორგანაა დასახელებული ეს გვარი (ქსძ, III,412). ჯანა, ჯანი, ჯანო კოლხეთში პირსახელებია. ჯანაში ნიშნავს "ჯანასი, ჯანას შთამომავალი". შდრ.: ჯანია, ჯანელიძე.

**ჯანგველაძე** - 772 სული (აბაშა - 280, თბ. - 158, სამტრ. - 60). გვარის სამკვიდროა სამიქაო (82 კომლი). მათ დასახლებას დიდ და პატარა კოვზას შუა ეწოდება ჯანგველაძეების ქუჩა (მაიდანი). ჯანგვა, ჯანგუა, ჯანგო სვანეთსა და სამეგრელოში სახელებია (ქსს, 1986). ჯანგველა მათი საალერსო ფორმაა.

**ჯანელიძე** - 5020 სული. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გვარია როგორც საქართველოს (78-ე ადგილი), ისე იმერეთის რეგიონის (3162 სული. XIII ადგილი) მასშტაბით. კომლი სამეგრელოში: მარანი - 75, გურძემი - 19, კიწია - 6, ნარაზენი - 5, ახალკახათი - 4, საჯიჯაო - 3 და სხვ. ტოპ.: ჯანელიძნეები//ჯანელიძნების უბანი - უბანი მარანში, ტყვირის საზღვართან. ჯანელიძების უბანი - უბანი მარანჭალაში, მარნის საზღვართან. ჯანელი ჯანა-ს საალერსო ფორმაა. შდრ. ჯანაშია, ჯანია.

**ჯანია** - 25 სული (ზუგდ. - 20, თბ. - 1, ქუთ. - 1). ძირძველი მოსახლე სამეგრელოში იშვიათია. არიან ლტოლვილები. წარსულში გვარის კომპაქტურ დასახლებას ადასტურებს ტოპონიმი ლეჯანე//ლაჯანე (ამჟამად სახნავებია თამაკონში). ჯანი პირსახელია. -ა გვარსახელს აწარმოებს.

**ჯანჯალია** - 208 სული (სამტრ. - 71, თბ. - 63, ქუთ. - 44). მარანში დაფიქსირდა 7 კომლი. ჯანჯი კოლხეთში გავრცელებული პირსახელია და ჯანჯალი, ჯანჯარი, ჯანჯული მისგან ჩანს წარმოქმნილი მოფერებითობის გამომხატველი სუფიქსებით. ამასთანავე, ჯანჯალია, ჯანჯულია მეგრულში აღნიშნავს აურქარებელს, საქმის დამგვიანებელს, ჩახჩალას (შდრ. ქართ. ჯანჯალი). შდრ. ჯანჯალაშვილი.

**ჯანჯარია** - 109 სული (ზუგდ. - 62, წალენჯ. - 21, თბ. - 12). სოფლად კომპაქტური დსახლება არ მოეპოვება. ქ. ზუგდიდში დაფიქსირდა 25 კომლი. არიან ლტოლვილებიც. შდრ. ჯანჯალია.

**ჯანჯულია** - 256 სული (ზუგდ. - 98, თბ. - 55, წალენჯ. - 22). ძირძველი მოსახლე სამეგრელოში ძალზე იშვიათია. არიან ლტოლვილები სამურზაყანოდან. შდრ.: ჯანჯალია, ჯანჯარია.

**ჯანჯღავა** - 3001 სული (თბ. - 548, მარტვ. - 487, ზუგდ. - 387). საქართველოსა (207-ე ადგილი) და სამეგრელოს რეგიონშიც (1709 სული. 49-ე ადგილი) მრავალრიცხოვანი გვარია. მარტვილის რ-ნში უკავია მე-16, სენაკის რ-ნში - 32-ე, ფოთში კი - 44-ე ადგილი. კომლი: ძვ. სენაკი - 56, გაჭედილი - 53, დ. ჭყონი - 39, საჩინო - 22, აბედათი - 13, ახალხიბულა - 13, ნარაზენი - 13, ჩხორია - 13, მარტვილი - 12, პ. ფოთი - 12, ქვ. ქვალონი - 12 და სხვ. ადგ. ვარიანტები: ჯანჯღა, ჯღანჯღა. ტოპ.: ეჯანჯღე//ეჯღანჯღე - უბანი პ. თამაკონში. ენჯღე (←ეჯღანჯღე) - მინდორი ჯოლევში. იხ. ჯღანჯღავა.

**ჯაპავა** - იშვიათი გვარია. ჯაბავას (იხ.) ვარიანტი ჩანს. კომლი: დარჩელი - 5, ზუგდიდი - 5 და სხვ.

**ჯარჯავა** - (ან ჯარჯუა) გვარის რეალურობას ასაბუთებს ტოპონიმი ნაჯარჯ. ასე ეწოდება ფერდობს ოხვამეგას კალთაზე, სადაც თითქოს ჯარჯავას თუ ჯარჯუას უცხოვრია (წალენჯიხა). ჯარჯავა ჯარჯალავას მარცვალამოვარდნილი ვარიანტი ჩანს. მეორე მხრივ, ჯარჯა უშნოდ და ზანტად მოსიარულე კაცის ეპითეტია და შეიძლება ეპონიმის მეტსახელი იყო. შდრ. ჯარჯი (სვან.) "წკნელის კონა".

**ჯარჯალავა** - ძალზე იშვიათი გვარია. დაფიქსირდა ხობში, ქვ. ჭალადიდში, ფოთში... ლეჯარჯალე ერქვა უბანს ჩეკის მარც. მხარეს. ამჟამად ეწოდება საჯიქიო (ყულიშკარი). ჯარჯალი აღნიშნავს ბევრ და უაზრო ლაპარაკს. ჯარჯალა ამ თვისებების მქონე კაცია.

**ჯაფარიძე** - 7378 სული. საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გვარია. სამეგრელოში მიგრირებულია სვანეთიდან. კომლი: ჭოლა - 6, ცაიში - 3 და სხვ. ადგ. ვარიანტი: ჯაფარძე. ტოპ.: ლეჯაფარძე - უბანი შების მარჯ. მხარეს (ხანწკი, ჭოლის თემი). ჯაფარი საქართველოში გავრცელებული პირსახელია. XX ს. დამდეგს ხანწკში მცხოვრები ჯაფარიძეები აზნაურები იყვნენ.

**ჯაშია** - 57 სული (ზუგდ. - 30, მარტვ. - 12, თბ. - 10). იშვიათი გვარია. უწინდელ დროში გვარის გავრცელებულობაზე მიანიშნებს ტოპონიმი ეჯაშიე (ბორცვი ჯუმაღეის მარჯ. მხარეს, ლეციცხვაიეში). ჯაშია გურიაში გავრცელებული ჯაშის (1007 სული) გამეგრულებული ვარიანტი ჩანს. ამასთანავე, ჯაშია პირსახელადაც გამოიყენებოდა: იმერეთის აზნაურთა სიაში დასახელებულია ჯაშია გიორგის ძე მაჭავარიანი (იხ. ჭუმბურიძე, 1999, გვ. 389).

**ჯაჭველიანი** - 689 სული. მესტიის რ-ნიდან მიგრირებულია ბარში (წალენჯიხა - 3 კომლი).

**ჯახაია** - 887 სული (წალენჯ. - 278, ზუგდ. - 270, თბ. - 149). კომლი: მარტვილი - 4, რუხი - 3 და სხვ. ტოპ.: ნაჯახავო (ადგ. ვარიანტი: ნაჯახუუ) - სოფელი, თემის ცენტრი აბაშა-ცხენისწყლის შუამდინარეთში (მარტვილის რ.). სვანეთსა და სამეგრელოში გავრცელებული პირსახელები ჯახუ, ჯახვა გვავარაუდებინებს ჯახა, ჯახი ვარიანტებსაც, საიდანაც წარმოიქმნენ გვარები ჯახაია და ჯახია.

**ჯახია** - 550 სული (ზუგდ. - 191, თბ. - 51, წალენჯ. - 41). კომლი: ნარაზენი - 17, ახალაბასთუმანი - 9, კეთილარი - 8, საჯიჯაო - 7, ახუთი - 4 და სხვ. ტოპ.: ლეჯახიე – ყოფილი დასახ. უბანი ახუთში (აქ ჯახიები ცხოვრობდნენ 1949 წლამდე). საჯახუო - უბანი სქაიის მარჯ. მხარეს (ნარაზენი). იხ. ჯახაია.

**ჯახუა** - 458 სული (მარტვ. - 131, თბ. - 102, ზუგდ. - 48). კომლი: აბედათი - 21, ნახუნაო - 8, ბანძა - 3, დარჩელი - 3 და სხვ. გვარი მომდინარეობს პირსახელ ჯახუ-საგან. შდრ. ჯახვა (გურია).

**ჯაჯავა** -52 სული (ფოთი - 14, სენაკი - 8, თბ. - 7). კომლი: ქვ. ქვალონი - 4, ფოთი - 3 და სხვ. ტოპ.: ნაჯაჯუ - ბუჩქნარი მეტერიის მარჯ. მხარეს, სადაც, გადმოცემით, ჯაჯავას თუ ჯაჯუას უცხოვრია (ალერტი). გვარი ჯაჯავა გვხვდება 1733 წლის საბუთში (ქსძ, III, 731). დაახლოებით ამავე პერიოდში წყალიძგას (რიონის ნაპირას) მცხოვრები ჯაჯავა შეუწირავთ ბიჭვინთისათვის (იქვე, 767). იმერეთში გავრცელებულია საპასპორტო ვარიანტი ჯაჯაია (81 სული). გვარის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით აღნიშნავენ, რომ ჯაჯა სამეგრელოსა და გურიაში ქორს აღნიშნავს. მაგრამ ამავე დროს ჯაჯა, ჯაჯი, ჯაჯუ პირსახელებია კოლხეთში და გვარიც შეიძლება მათგან მომდინარეობდეს.

**ჯგამურია** - გვარს აღადგენს ტოპონიმი ლეჯგამურე. ასე ეწოდება ტყე-ფერდობებს ხობისწყლის ხეობაში, მუხურიდან რამდენიმე კმ-ზე.

**ჯგერენაია** - 1205 სული (მარტვ. - 335, ზუგდ. - 255, თბ. - 154). კომლი: გურძემი - 66, თამაკონი - 20, თორსა-დღვაბა - 6, ხამისქური - 6, კახათი - 3, მარტვილი - 3, ცაიში - 3 და სხვ.

**ჯგუბურია** - 269 სული (ფოთი - 81, ზუგდ. - 57, თბ. - 41). მოსახლეობენ გაფანტულად ქვემო სამეგრელოში. ტოპ.: საჯგუბურიო – მინდორი საშონიოს უბანში (ახალსოფელი, ხობის რ.). იშვიათი ვარიანტი: ჯგვიბურია. XVI ს. ბოლოს შედგენილ ნაჟანეულის (ამჟამინდელი ოტობაია) საეკლესიო გლეხთა სიაში დასახელებულია თოლიოქრო ჯგვიბურია (ქსძ, III, 383), ორი ათეული წლის შემდეგ დაწერილ საბუთში კი - ამავე სოფელში მცხოვრები კიდევ ორი სხვა ჯგუბურია (იქვე, 420). 1706 წელს შედგენილი შეწირულების წიგნი გვამცნობს, რომ აფხაზებისაგან აყრილ სოფელ ნაჟახევიდან კათალიკოსს სხვა რამდენიმე მოსახლესთან ერთად სუბუქია ჯგუბურიაც წამოუყვანია და ხობს დაუსახლებია (იქვე, 648). ცოტა მოგვიანებით სხვა კათალიკოსის მიერ შედგენილ შეწირულების წიგნში ნახსენები არიან ხობს მცხოვრები ჯგუბურია ჭუჭუ და მისი ძმები (იქვე, 771). ჯგუმბურია კოლხეთში პირსახელიცაა (იხ. ქსს, 1986). საერთოდ კი, ჯგვიბ-//ჯგუბ- ზმნური ფუძე გამოხატავს სახის გამომეტყველების გარკვეულ მანერას.

**ჯგუნჯგავა** - დაფიქსირდა ჭალეში. შეიცავს ჯგუნჯგ- ფუძეს. იხ. ჯგუნჯგია.

ჯგუნჯგია – 89 სული (ზუგდ. – 74, თბ. – 7, ვანი – 3). კომლი: ორსანტია – 7, ერგეტა – 6, ცაიში – 6 და სხვ. ამ გვარის ვარიანტებად შეიძლება ჩავთვალოთ XVII ს. პირველ მეოთხედში დარჩელში დაფიქსირებული გვარები: ჯგუჯგია, მჯგუჯვია, მჯუჯია, მჯუჯუია (იხ. ქსძ, III, 456, 458). ჯგუნჯგი "მსხვილი სარი" ალბათ ჩაფსკვნილი კაცის მეტსახელი იყო.

ჯგუშია – 251 სული (ზუგდ. – 213, თბ. – 16, ქობ. – 4). კომლი: კახათი – 21, ცაიში – 5 და სხვ. ადგ. ვარიანტი: ჯგვიშია. ტოპ.: საჯგვიშიო – უბნები კახათსა და ახალსოფელში (ზუგდიდის რ.). მეგრულში ზმნური ფუძე ჯგვიშ-//ჯგუშ- აღნიშნავს მუჯლუგუნით ცემას, მუშტების დაშენას. სათანადო სასუბიექტო მიმღეობა იქნება *მ-ჯგვიში//*მ-ჯგუში (გადატანით: "მოჩხუბარი, შარის ამტეხი". შდრ. ჭკადუ "მჭედელი", ტყაჩუ "ტყისმცველი" და სხვ). გვარს აწარმოებს -ა სუფიქსი.

ჯელია – 428 სული (მარტვ. – 122, თბ. – 90, ადიგენი – 41). კომლი: ვედიდკარი – 15, ნაჯახავო – 14, მარტვილი – 4 და სხვ. გვარი ძირითადად მარტვილის რ-ნშია განსახლებული. ადგ. ვარიანტი ჯეია: (ბ.-მ. თქმა). ტოპ.: ეჯეიე – უბანი ნაჯახავოში და ჩაის პლანტაცია ვედიდკარში. XVIII ს. პირველ მეოთხედში შედგენილი "საცაიშლო დავთრის" მიხედვით, ცაიშს მცხოვრებ ჯეიას "მართებს 1 საკლავი, 1 ქათამი, 8 ოგორდული ღომი, 6 კოკა ღვინო"(ქსძ, III, 450).

ჯემურია – გვარის უწინ არსებობას ადასტურებს ტოპონიმი ლეჯემურე. ესაა დაბალი სერი ჯუმსა და მენჯლალს შუა (ალერტკარი, საჭურღულიო). გადმოცემით, დემურიების ნასახლარებია. ჯემურია დემურიას ვარიანტი ჩანს (თავკიდურში დ-ჯ მონაცვლეობა სხვა შემთხვევაშიც დასტურდება).

ჯეჯეია – 399 სული (ზუგდ. – 121, თბ. – 85, წალენჯ. – 64). ძირძველი მოსახლე სამეგრელოში იშვიათია. ძირითადად ლტოლვილები არიან. გვარები ჯეჯეია, ჯეჯელავა, ჯეჯელია აღადგენს პირსახელ ჯეჯეს, რაც შეიძლება მიღებული იყოს სრული ასიმილაციის საფუძველზე ჯეგე-საგან.

ჯეჯელავა – 301 სული (თბ. – 89, ზუგდ. – 58, სენაკი – 26). კომლი: ნახუნაო – 7, გურძემი – 3, ნოსირი – 3, ზუგდიდი – 7 და სხვ. სავარაუდოა: ჯეგე → ჯეჯე → ჯეჯელა. იხ. ჯეჯეია. შდრ. ჯეჯელაშვილი.

ჯეჯელია – 66 სული (ზუგდ. – 20, თბ. – 12, ფოთი – 8). სამეგრელოში ძალზე იშვიათია. არიან ლტოლვილები. პირსახელი ჯეჯელი დაფიქსირებულია "ტბეთის სულთა მატიანეში". იხ. ჯეჯეია.

ჯეჯია – 96 სული (ზუგდ. – 30, თბ. – 22, წალენჯ. – 14). აღნიშნული მონაცემები შედგენილია 1995 წელს ვაუჩერების მიმღებთა სიების მიხედვით (იხ. "გვარ-სახელები საქართველოში") სამეგრელოში ძირძველი მოსახლე არ დადასტურდა. არიან ლტოლვილები.

ჯვარელია – 59 სული (აბაშა – 14, ფოთი – 8, სენაკი – 5). კომლი: ქვ. ჭალადიდი – 9, ნსირი – 2 და სხვ. ამოსავალი ფორმა ჯვარელი წარმომავლობის აღმნიშვნელი სახელია, -ელ სუფიქსით წარმოქმნილი (ჯვარი ქალაქია წალენჯიხის რ-ნში). შდრ.: ხობელია, ხონელია.

ჯვართავა – 44 სული. სამეგრელოში ძალზე იშვიათი გვარია. დაფიქსირდა მხოლოდ ფოთში.

ჯვებენავა – 59 სული (მარტვ. – 31, თბ. – 20, ზუგდ. – 3). კომლი: მარტვილი – 10, ნაგვაზავო – 4 და სხვ. სამეგრელოში ფართოდ გავრცელებული სახელი ჯვებე იობის პალატალიზებული ვარიანტია: იობ → ჲობ → ჯობ → ჯვებ (აფრიდონიძე, 1987, გვ. 256). -(ე)ნა კნინობითობის სუფიქსია.

ჯიბლაძე – 1843 სული (თბ. – 519, ლანჩხ. – 183, აბაშა – 181). კომლი სამეგრელოში: გეზათი – 49, აბაშა – 12 და სხვ. ტოპ.: ჯიბლაძნების ქუჩა – უბანი გეზათში, პ. გეზათის საზღვართან.

ჯინორია – 138 სული (თბ. – 40, აბაშა – 22, სენაკი – 26). კომპაქტური დასახლება დაფიქსირდა სუჯუნაში (5 კ.). ტოპ.: საჯინორიო – უბნები ქვემო სორტასა და ძვ. სენაკში, ყოფილი დასახ. უბანი საადამიოში (ჩხარის მარც. მხარეს). ჯინო, ჯინორი კოლხეთში გავრცელებული პირსახელებია. მათგან მომდინარეობენ გვარები ჯინორია და ჯინორიძე.

ჯინორიძე – 156 სული (სენაკი – 94, თბ. – 30, ზუგდ. – 11). კომლი: ძვ სენაკი – 21, ინგირი – 3 და სხვ. XX ს. დამდეგს აბედათსა და ინჩხურში მოსახლე ჯინორიძეები აზნაურები იყვნენ. იხ. ჯინორია.

ჯინჭარაძე – 5471 სული. მრავალრიცხოვანია როგორც მთელი ქვეყნის (67-ე ადგილი), ისე აჭარისა და იმერეთის მასშტაბით. სამეგრელოში იშვიათია (ხაბუმე – 3 კომლი). ჯინჭარა მეტსახელია.

ჯინჯარია – 42 სული. ყველა ცხოვრობს ზუგდიდის რ-ნში. გვარის ერთადერთი ძირძველი სამკვიდრო არის კახათი (18 კომლი). კოლხური პირსახელი ჯინჯიკო აღადგენს ჯინჯი ფუძეს. მისგან ჩანს წარმოქმნილი მოფერებითი ვარიანტები – ჯინჯარა, ჯინჯოლი, ჯინჯოლა, ჯინჯორი, ხოლო მათგან – გვარები – ჯინჯარია, ჯინჯოლავა, ჯინჯოლია, ჯინჯორია. ამასთანავე, გამორიცხული არაა, ჯინჯარია დაკავშირებული იყოს აჭარაში გავრცელებულ გვარ ჯინჯარაძე-სთან (45 სული), რომელიც, თავის მხრივ, ფართოდ გავრცელებული ჯინჭარაძის ვარიანტი (სრული ასიმილაციის საფუძველზე) ჩანს.

ჯინჯოლავა – 451 სული (ზუგდ. – 257, თბ. – 57, ჩხორ. – 47). კომლი: ჭკადუაში – 41, კირცხი – 10, ჩხორია – 5, ჯვარი – 4, გურძემი – 3, ხობი – 3 და სხვ. ადგ. ვარიანტი: ჯიჯოლა. ტოპ.: საჯი(ნ)ჯოლა – უბანი ჭკადუაშში. აქაური ჯინჯოლიები მოსულან კინჩხადან თუ ტალერიდან. იხ. ჯინჯარია.

ჯინჯოლია – 496 სული (ზუგდ. – 219, წალენჯ. – 85, თბ. – 12). სამეგრელოში ძირძველი მოსახლე იშვიათია (წალენჯიხა – 4 კომლი). არიან ლტოლვილებიც. იხ. ჯინჯარია, ჯინჯოლავა.

**ჯინჯორია** – 49 სული. გვარი თითქმის მთლიანად განსახლებულია ზუგდიდის რ-ნში. კომლი: ახალკახათი – 9, კოკი – 6 და სხვ. იხ. ჯინჯარია.

**ჯიქაშუა** – იშვიათი გვარია. პ. მაისში ცხოვრობს 4 კომლი. შდრ. ჭიქაშუა.

**ჯიქია** – 6432 სული (ზუგდ. – 2313, თბ. – 1186, წყალტ. – 539). საქართველოსა (44-ე ადგილი) და სამეგრელოს (3617 სული. XIII ადგილი) მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გვარია. ზუგდიდის რ-ნში უკავია VII, ჩხოროწყუს რ-ნში – 24-ე, მარტვილის რ-ნში – 30-ე, ხობის რ-ნში – 44-ე, ფოთში – 42-ე, ხოლო თბილისში – 91-ე ადგილი. კომლი: კირცხი – 74, ჭაქვინჯი – 66, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) – 60, რიყე – 49, ონოღია – 40, ახუთი – 34, ცაიში – 31, კახათი – 25, ნალეფსაო – 13, ოდიში – 13, სერგიეთი – 12, მარტვილი – 11, მენჯი – 11, სუჯუნა –11 და სხვ. ტოპ.: ლეჯიქე– სოფელი ოჩხომურის მარც. მხარეს, სადაც ამჟამად ჯიქიები არ მოსახლეობენ (ქვ. ჩხოროწყუს თემი). საჯიქიო – სამგან ეწოდება უბანს კირცხში (აზუსტებენ: დობერასაჯიქიო, ნაშელუსაჯიქიო და ჭიჭე საჯიქიო//ხოპწყარიშ საჯიქიო). ეჯიქიე – ყოფილი დასახ. უბნები ონოღიაში, ნალეფსაოში, მარტვილში, ბობოთში და სხვ. საჯიქიო – უბნები რიყეში, კახათში, ცაიში, ახალსოფელში, ჯუმში, ყულიშკარში (ჩეკის მარც. მხარეს. უწინ ერქვა ლეჯარჯალე), ჭაქვინჯში (ყველა ზუგდიდის რ.), პერტულში, ახალხიბულაში, ჭითაწყარში (ერქვა საჯანაშიო). გვარი ჯიქია დამოწმებულია საისტორიო წყაროებში: 1621 წლის საეკლესიო საბუთის მიხედვით, ხოირში (ამჟამინდელი ოხურეი სამურზაყანოში) ცხოვრობს საეკლესიო გლეხი სკვამილეი ჯიქია (ქსძ, III, 397). დაახლოებით ამავე პერიოდს ეკუთვნის მალაქია კათალიკოსის ჩანაწერი: “თილითს სასახლე გამიკეთებია... ერთი კუამლი კაცი ჯიქია გურიიდალმან მიმიყვანია, მებოსტნეთ დამისახლებია“(იქვე, 500). გვარის ფუძეს აკავშირებენ ცხოველის სახელითან ჯიქი. ჯიქი სატომო სახელიცაა. ამასთანავე, ჯიქ- ზმნური ფუძე მეგრულში აღნიშნავს უშნოდ ამართულს, აწოწილს. შდრ. ჯიქიძე.

**ჯიქიძე** – 1278 სული. გავრცელებულია იმერეთში. გვხვდება სამეგრელოშიც: მარტვილი – 6 კ., ძვ. სენაკი – 5 კ., ლეძაძამე – 4 კ., ახალსოფელი (სენაკის რ.) – 3 კ. და სხვ. იხ. ჯიქია.

**ჯიშკარიანი** – 3055 სული. გავრცელებულია იმერეთში. დასტურდება სამეგრელოშიც: ახალხიბულა – 25 კ., ხობი – 3 კ. და სხვ. ტოპ.: საჯიშკარიანო – უბნები ახალხიბულასა და ჯიხაშკარში.

**ჯიშქარიანი** – ჯიშკარიანის ვარიანტია. დასტურდება: რუხი – 3 კ., ქვ. ჭალადიდი – 3 კ. და სხვ.

**ჯიჭონაია** – 532 სული (ზუგდ. – 432, თბ. – 35, წალენჯ. – 31). გვარის სამკვიდროა ოდიში (77 კომლი). არიან სხვაგანაც: შამგონა – 6 კ., ორულუ – 5 კ. და სხვ. ტოპ.: საჯიჭონაიო – უბანი ჯუმის მარჯ. მხარეს (ოდიში. ინფორმატორ პ. ჯიჭონაიას პაპის პაპა გამოქცეულა ლეიჭანედან (? – პ.ც.), თან ხატი წამოუღია, აქ დგებიას მინდობია და ის ხატიც დაუსვენებიათ კორცხელში, ქუატახტთან. იქაა ჯიჭონაიების ჯინჯიხატი. ხატი შემდგომ ილორში გადაუსვენებიათ). ვარაუდობენ, რომ ჯიჭონაია მომდინარეობს დიდჭყონარიასაგან, რაც დიდჭყონელს ნიშნავს (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 315). ამასთანავე, მეგრულში ზიჭონი (იგივე ჭიჭონი, ძერწი) აღნიშნავს ტირიფს (მაყაშვილი, 1991). დისიმილაციით ჭიჭონი მოგვცემდა ჯიჭონს. ამ შემთხვევაში ჯიჭონაია მოხვდება იმ გვართა ჯგუფში, რომლებშიც მცენარეთა სახელები ჩანს. საპასპორტო ვარიანტებია ჭიჭონაია და ჯიჭონია (სამურზაყანოში).

**ჯიჭონია** – 38 სული (ზუგდ. – 18, თბ. – 13, ქუთ. – 4). იხ. ჯიჭონაია.

**ჯიხაია** – 24 სული (ზუგდ. – 10, სენაკი – 9, თბ. –1). ძალზე იშვიათი გვარია. ზუგდიდსა და სენაკში დაფიქსირდა ორ-ორი კომლი. ჯიხა მეგრულში აღნიშნავს ციხეს და ძლიერი კაცის ეპითეტიცაა. ამასთანავე, არაა გამორიცხული, ჯიხაია აჭარაში გავრცელებული ჯიხაძის (187 სული) ან ჯიხაშვილის (25 სული) მეგრული ვარიანტი იყოს.

**ჯიჯავა** – 101 სული (მარტვ. – 55, ზუგდ. – 9, სენაკი – 7). კომლი: დ. ჭყონი – 22, სენაკი – 5 და სხვ. ტოპ.: საჯიჯაო – თემი ხობის რ-ნში. შედის სოფლები: ზენი (ცენტრი), ზუბი, ჯაპშაქარი (სამივე ხობისწყლის მარჯ. მხარეს) და გაღმა საჯიჯაო (ხობისწყლის მარც. მხარეს). საკომლო წიგნი თითოეულ სოფელს თავ-თავისი აქვს, მაგრამ დაბადების ადგილად ყველას სოფელი საჯიჯაო უწერია. ჯიჯა კოლხეთში გავრცელებული სახელია და გვარიც მისგან მომდინარეობს. შდრ. ჯიჯავაძე (აჭარა).

**ჯიჯეიშვილი** – 505 სული (ლანჩხ. – 195, თბ. – 121, ბათ. – 61). სეფიეთში მკვიდრობს 5 კომლი. ამ გვარისათვისაც ამოსავალი ჩანს პირსახელი ჯიჯა (ჯიჯაიშვილი →ჯიჯეიშვილი).

**ჯიჯელავა** – 1055 სული (მარტვ. – 476, თბ. – 142, ზუგდ. – 108). გვარის ძირითადი და თავდაპირველი სამკვიდრო არის ტალერი (122 კ.). კომლი სხვა სოფლებში: ინგირი – 14, ახუთი – 13, დ. ჭყონი – 11, მარტვილი – 7, სალხინო – 6, თამაკონი – 5, ქვ. ქვალონი – 5, ბანძა – 4, აბედათი – 3 და სხვ. ტოპ.: საჯიჯელა(ო) – უბანი ინგირში. ჯიჯელა ჯიჯა ( ან ჯიჯი) პირსახელის მოფერებითი ვარიანტი ჩანს.

**ჯიჯიხია** – 56 სული (ზუგდ. – 27, თბ. – 18, სენაკი – 11). დაფიქსირდა რამდენიმე ძირძველი კომლი ნაქალაქევში, ცაიში... ტოპ.: საჯიჯიხიო – სასახურიოს ნაწილი ნაშელუსა და შაურკარს შუა (კირცხი). გადმოცემით, მიწა ეკუთვნოდათ აზნაურ ჯიჯიხიებს. იმერეთში გადასული ჯიჯიხიები ჯინჯიხაძეებად ქცეულან (შავლიანიძე, 1999, გვ. 197). საისტორიო წყაროების თანახმად, ჯიჯიხიები თავად გოშაძეების აზნაურები ყოფილან. გვარში გამოიყოფა ჯიჯი, რაც მეგრულში, ერთი მხრივ, მოფერებითი მიმართვის ფორმაა და ბიძასაც აღნიშნავს, ხოლო მეორე მხრივ, პირსახელიცაა. მას მოსდევს ინფიქსი ხ, რაც სხვა

გვარებშიც ჩანს და მოდგმას, შთამომავლობას გამოხატავს (ბულიხია, გოგოხია, პერტახია, ჩომახია...). XX ს. დამდეგს კირცხში მოსახლე ჯიჯიხიები აზნაურები იყვნენ.

**ჯობავა** – 1529 სული (ზუგდ. - 377, თბ. - 371, ხობი - 184). კომლი: შ. ხორგა - 24, ბულიწყუ - 20, ხობი - 11, ქვ. ჩხოროწყუ - 3 და სხვ. ტოპ.: ლეჯობე//ლეჯვაბე - ბორცვი ქორთუადალის მარჯ. მხარეს. ჯობავებს აქ არ მოსწრებიან. ცხოვრობენ წურწუმიები (ლეწურწუმე). საჯობა - უბანი გამოღმა შ. ხორგაში. საჯობაო - უბანი მუნჩიის მარჯ. მხარეს (საკვიკვიხიო, ბულიწყუს თემი). იშვიათი საპასპორტო ვარიანტია ჯოპავა (იხ). ჯობა, კოლხეთში გავრცელებული პირსახელი, მომდინარეობს იობ(ა)-საგან (იხ. ჭუმბურიძე, 1987, გვ. 301. აფრიდონიძე, 1987, გვ. 257). მ. ქალდანი მიიჩნევს, რომ მეგრული ჯობ-ავ-ა შეესატყვისება ქართულ ჯაბ-ელ-ა-ძე-ს (ქალდანი, 1980, გვ. 73). შდრ. ჯობაძე.

**ჯოლია** – 297 სული (თბ. - 68, სენაკი - 64, ზუგდ. - 49). კომლი: ყულიშკარი - 5, ეკი - 4, ხოსირი - 4, ძვ. სენაკი - 4 და სხვ. ტოპ.: საჯოლიო - უბანი საგვიჩიოში და ყოფილი დასახ. უბანი ეკუსქურის მარც. მხარეს (ეკი). იოანე ბაგრატიონი ოდიშის თავადთა ჩამოხათვალში (იხ. ბაგრატიონი, 1997, გვ. 132) აღნიშნავს: "ჯოლა იყო თათრის ბეგი, ესე მოვიდა წელსა 1232 მეფესთანა ქართლს და ნათელ იღო, იმას მიუბოძა ადგილნი ოდიშში და შემდგომ მან და ძეთა მისთა მიიღეს გვარად თავადნი ჯოლიაშვილები (ეხლა არ არიან თავადნი ჯოლიები)". იოანე ბაგრატიონის გენეალოგიურ ნაშრომში ბევრი რამ გამონაგონია. სხვა რომ არა იყოს, 1232 წელს ქართლის მეფე თათრის ბეგს ოდიშში ადგილ-მამულს ვერ მიუბოძებდა. ჯოლი, ჯოლია კოლხეთში პირსახელებია. ჯოლიას გვარის სტატუსიც მიუღია. ამოსავალი უნდა იყოს პირსახელი იოველი: იოველი → ჲოველი → ჯოველი → ჯოველია → ჯოლია (მარცვლის ამოღებით). 1904 წლის აღწერის მასალების თანახმად, ქვალონსა და ჭალადიდის მუხურში მოსახლე ჯოლიები თავადები იყვნენ, ხოლო ეკში მოსახლე ჯოლიები – აზნაურები.

**ჯოლოგუა** – 580 სული (ზუგდ. - 346, თბ. - 107, სენაკი - 57). კომლი: ახალკახათი - 12, ფოცხო - 6, დარჩელი - 5 და სხვ. ტოპ.: საჯოლოგუო - უბნები ახალკახათსა და ფოცხოში. ხაჯოლოგუ - სახნავი ოხვამეფერდში (კირცხი). არიან ლტოლვილებიც სამურზაყანოდან.

**ჯოლოხავა** – 875 სული (წალენჯ. - 487, ზუგდ. - 161, თბ. - 67). კომლი: ფუქი - 82, წალენჯიხა - 32, ჯვარი - 13, ერგეტა - 8, ზუმი - 3, კორცხელი - 3, მუხური - 3 და სხვ. ადგ. ვარიანტი: ჯოლიხავა. ტოპ.: ლეჯოლიხე - სოფელი სქურჩის მარჯ. მხარეს (ფუქის თემი). ამ სოფელში სულ 64 კომლი ცხოვრობს. მათგან 61 კომლის გვარია ჯოლოხავა (დანარჩენნი: 2 კომლი კვარაცხელია, 1 კომლი ქირია). ლეჯოლიხეში მცხოვრები ჯოლოხავების გადმოცემით, ისინი არიან ჯოლოგუები სამურზაყანოდან: იქიდან ორი ძმა გამოქცეულა და, ფუქში დამკვიდრებულებს, გვარი მცირედ შეუცვლიათ. პირსახელები ჯოლი, ჯოლია, ჯოლობია გვავარაუდებინებს ჯოლო ვარიანტსაც. მას დართვია ხ სუფიქსი (შდრ. ჯიჯი-ხ-ა-ვა, გოგო-ხ-ია...).

**ჯომიდავა** – 943 სული (ზუგდ. - 238, ჩხორ. - 170, თბ. - 96). კომლი: ხაბუმე - 10, ჩხოროწყუ - 5, ახალაბასთუმანი - 3, დ. ჭყონი - 3 და სხვ. ადგ. ვარიანტი: ჯომილავა. ტოპ.: ლეჯომიდე//ლეჯომ(ი)ლე – ყოფილი დასახ. უბანი ბუმე-ჭოლადალის წყალგამყოფზე. 1949 წლამდე ცხოვრობდნენ ჯომიდავები (მ. ჭოღა). დასაბუთებულია, რომ ეს გვარი პირსახელ დიომიდე-საგან მომდინარეობს: დიომიდე → ჲომიდავა → ჯომიდავა (შანიძე, 1958; აფრიდონიძე, 1987). მ. ქალდანი ვარაუდობს, რომ მეგრული გვარი ჯომიდ-ავ-ა შეესატყვისება სვანურ ჯამდ-ელ-ან-ს (ქალდანი, 1980, გვ. 73).

**ჯონჯუა** – 395 სული (ზუგდ. - 263, წალენჯ. - 40, თბ. - 23). კომპაქტური დასახლება დაფიქსირდა შამგონაში (9 კომლი). "ჯონჯო - ცხვირ-პირი საქონლისა. გადატანით კაცზედაც იტყვიან"(ელიავა). მაშასადამე, გვარი წარმოქმნილია მეტსახელისაგან (ჯონჯო → ჯონჯო-ა → ჯონჯუა).

**ჯოპავა** – ჯობავას ვარიანტია (შდრ. ჯაბავა → ჯაპავა). ზუგდიდში დაფიქსირდა 8 კომლი.

**ჯორბენაძე** – 181 სული. გურიასა და აჭარაში გავრცელებული გვარია. გვხვდება სამეგრელოშიც: მარანი - 7 კ., ბულიწყუ - 4 კ. და სხვ.

**ჯორჯიკია** –231 სული (თბ. - 94, ფოთი - 19, სენაკი - 10). ნოჯიხევში მოსახლეობს 9 კომლი. აქვე, ე. წ. მეორე ხობში, უბანს ეწოდება საჯორჯიკიო. XVII ს. ბოლო მეოთხედის ერთ-ერთი წყალობის წიგნის მოწმე და შუამავალი ყოფილა ხახუტა ჯორჯიკია (ქსძ, III, 615). ამავე საუკუნის შუა პერიოდის წყალობის წიგნის ერთ-ერთი მოწმედ დასახელებულია კათალიკოსის მოურავი ბეჟან ჯორჯიკია (იქვე, 881). ხობის მოურავ ჯორჯიკიას მადლიერებით მოიხსენიებს ფრანგი მოგზაური ჟაკ ფრანსუა გამბა, რომელმაც 1820-1824 წლებში იმოგზაურა ამიერკავკასიაში (გამბა, 1987, გვ. 120). ჯორჯი მეგრულში აღნიშნავს ზანტს (ელიავა, 1997). ჯორჯიკი(ა) მისი კნინობით-მოფერებითი ვარიანტია. XX ს. დამდეგს ხობსა და ნოჯიხევში (ხობის რ.) მოსახლე ჯორჯიკიები აზნაურები იყვნენ.

**ჯოჯუა** – 3858 სული (თბ. - 666, მარტვ. - 655, სენაკი - 548). საქართველოში ყველაზე გავრცელებულ გვართა შორის 134-ე ადგილზეა, სამეგრელოში უკავია 26-ე ადგილი (2100 სული). რაიონების მიხედვით ასეთი სურათია: სენაკის რ. - მე-10 ადგილი, მარტვილის რ. - XII ადგილი, აბაშის რ. - 45-ე ადგილი. გვარის ძირძველი სამკვიდრო ჩანს ტეხურისპირა სოფელი ტალერი. კომლი: ტალერი - 103, ახალსოფელი (ზუგდიდის რ.) - 31, სამიქაო - 27, რიყე – 25, კურზუ - 22, ლეძაძამე -

22, ფოცხო – 16, ახალსოფელი (სენაკის რ.) – 13, თეკლათი – 8, სალხინო – 8, ნაკიფუ – 7, მარტვილი – 6 და სხვ. ტოპ.: ლეჯოჯუე – უბანი მეტერიის მარჯ. მხარეს (ლეგოგიე–ნასაჯუ). ლეჯოჯუე//საჯოჯუო – უბანი ტეხურის მარც. მხარეს (ცვაუთი). საჯოჯუო – უბნები ზემო რიყეში (რიყე), წაქესა და ბუის სათავეებთან (ერგეტა), ახალსოფელში (ზუგდიდის რ), ახალსოფელში (სენაკის რ.). ჯოჯუების ქუჩა – უბანი კოვზას მარც. მხარეს (მაიდანი). სოფ. რიყეში (ზუგდიდის რ.) მცხოვრები, უკვე 90 წელს მიღწეული არსენა ჯოჯუას მიერ შედგენილი გენეალოგიური ხის მიხედვით, რიყელი ჯოჯუების წინაპარი ბაბუკოჩი ჯოჯუა ჩომოსულა სოფ. ჯოლევიდან დაახლოებით 1765–1770 წლებში. თვითონ ა. ჯოჯუა მისი მერვე თაობაა. ჯოჯო პირსახელია კოლხეთში. საისტორიო წყაროებში დაფიქსირებულია პირსახელი ჯოჯუც: 1733 წელს ტყვირს მცხოვრები ჯოჯუ ობიშხუა შეუწირავთ ბიჭვინთისათვის "თავის ყოვლისფრიანათ" (ქსძ, III, 731). ჯოჯო ან ჯოჯუ პირსახელისაგან არის წარმოქმნილი გვარი ჯოჯუა. 1904 წლის აღწერის თანახმად, რეკაში (სენაკის რ.) მოსახლე ერთი კომლი ჯოჯუა აზნაურის წოდებისა იყო.

**ჯუმუტია** – (195 სული) და ჯუმიტია (39 სული) – სამეგრელოში იშვიათი გვარებია. არიან ლტოლვილები სამურზაყანოდან. ჯუმა წარმართული ღვთაების სახელია კოლხეთში. "ქართველურ საკუთარ სახელებში" (1986) კი დამოწმებულია პირსახელები ჯუმა, ჯუმე. –უტ სუფიქსი მრავალ სხვა პირსახელსაც ერთვის კნინობით–მოფერებითი ვარიანტის საწარმოებლად.

**ჯუმუხაძე** – ჯმუხაძის ვარიანტია. დაფიქსირდა სენაკში.

**ჯურხანძე** – იმერული გვარის – ჯურხაძის – ვარიანტია. ერგეტაში მოსახლეობს 4 კომლი.

**ჯღამაია** – 326 სული (ზუგდ. – 83, მარტვ. – 63, სენაკი – 38). კომლი: ხუნწი – 18, ნოსირი – 11, ახალკახათი – 5, ახალაბასთუმანი – 3, სამიქაო – 3 და სხვ. ტოპ.: საჯღამაიო – უბნები ახალკახათსა (დარჩელის საზღვართან) და გეჯეთში (ტეხურის მარც. მხარეს). 1733 წელს შედგენილ ერთ საბუთში დასახელებულნი არიან "მეჯეთს" (ალბათ, გეჯეთს) მცხოვრები საეკლესიო გლეხები ბაბუშია ჯღამაია და ნახაია ჯღამაია (ქსძ, III, 731). მათი შთამომავლები ჩანან დღევანდელ გეჯეთში მცხოვრები ჯღამაძეები. ჯღამა კოლხეთში გავრცელებული სახელია. მისგან მომდინარეობენ გვარები ჯღამაია და ჯღამაძე. ი. მაისურაძის ვარაუდით, ჯღამა ← ჯაღამა (მაისურაძე, 1981).

**ჯღამაძე** – 822 სული (თბ. – 212, სენაკი – 147, ზუგდ. – 100). კომლი: გეჯეთი – 32, პ. მაისი – 7, ალერტკარი – 5 და სხვ. ადგილობრივ მეტყველებაში ხშირად იცვლება ჯღამაია ვარიანტით. 1545 წლის საბუთით, ჯღამაძე რაჭაში მცხოვრები გლეხის გვარია (თოფჩიშვილი, 1993, გვ. 48). იხ. ჯღამაია.

**ჯღანჯღავა** – 62 სული (ზუგდ. – 41, წალენჯ. – 7, ჩხორ. – 5). კორცხელში დაფიქსირდა 4 კომლი, ზოგ სხვა სოფელში კი – თითო–ოროლა. ტოპ.: საჯღანჯღო – უბანი ტყაიაში (ჩხორიის თემი). ჯღანჯღ– ზმნური ფუძე მეგრულში აღნიშნავს ჯღუნვასაც და დაბეგვასაც. ჯღანჯღილი ითქმის მიჭყლეტილ ცხვირზეც. ყველა ეს მნიშვნელობა შეიძლებოდა გამხდარიყო მიზეზი, რათა პიროვნებას შერქმეოდა მეტსახელი ჯღანჯღა (სუფიქსი –ა ყველა ასეთ შემთხვევაში მაანთროპონიმებელი ფუნქციისაა).

**ჯღარკავა** – 2748 სული (მარტვ. – 815, ზუგდ. – 539, თბ. – 507). საქართველოში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში 255–ე ადგილზეა, სამეგრელოში უკავია 50–ე, ხოლო მარტვილის რ–ნში – მე–10 ადგილი. გვარის ყველაზე მრავალრიცხოვანი და ძირძველი სამკვიდროა ნაგვაზავო. კომლი: ნაგვაზავო – 130, ცაიში – 31, დიდი ნეძი – 20, აბედათი – 17, ახუთი – 17, ლეხაინდრავო – 11, ქვ. ქვალონი – 11, ვედიდკარი – 10, მარტვილი – 9, ნალეფსაო – 8, ინჩხური – 6, ნაფიჩხოვო – 6 და სხვ. ტოპ.: ლეჯღარკე – უბანი ლებაჩეში, ქვიშონასთან (ინფორმატორის შენიშვნა: "სამი კომლი ჯღარკავა ქე ცხოვრობს და მართებულია, რომ ლეჯღარკე ჰქვია") და ბორცვი ხანწკში, დიჭყესა და შებეს შუა. ეჯღარკე – უბნები ლემიქაევსა და ქვ. ნაგვაზავოში. საჯღარკა – უბანი გვიმარონში. საჯღარკა(ო)// საჯღარკაშ მუხური – უბანი ჭვედირში (ცაცხვი). ნაჯღარკუ – სახნავი საადამიოს გოლაში (საადამიო). ნაჯღარკუ(უ) – ჩაის ფართობი ოკიბორჩხალის მარც. მხარეს (პ. ქინოთა). ზმნური ფუძე ჯღარკ– მეგრულში აღნიშნავს უშნოდ, უხეიროდ, ულაზათოდ გაკეთებულს. ქართული ენის დასავლურ კილოებში ჯღარკი არის "ძველი, დაგლეჯილი ფეხსაცმელი, ჯღანი"(ღლონტი, 1984). ჯღარკე გურულში "შერქმეულ გვარს" (ანუ გვარის განაყოფის კოლექტიურ მეტსახელს) აღნიშნავს. ერთ–ერთი ეს მნიშვნელობა დასდებია საფუძვლად მეტსახელ ჯღარკას, საიდანაც წარმოიქმნა გვარი ჯღარკავა.

**ჯღერია** – 46 სული (თბ. – 26, ზუგდ. – 18, გორი – 2). სამეგრელოში ძირძველი მოსახლე ძალზე იშვიათია. არიან ლტოლვილები სამურზაყანოდან. შდრ. ჟღერია . აზნაური ჯღერიები ისტორიულად იმერეთში მკვიდრობდნენ.

# ლიტერატურა


**აბაკელია, 1999** – ნ. აბაკელია, ყოფის ისტიორიის ნარკვევები. კრ. "სამეგრელო (არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ხუროთმოძღვრებისა და ეთნოლოგიის ნარკვევები)", თბილისი-ზუგდიდი, 1999.

**აბულაძე, 1973** – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

**ალავიძე, 1969** - მ. ალავიძე, მეღვინეობის ლექსიკიდან. ალ. წულუკიძის სახელობის ქსპი შრომები, XXXII, 1969.

**ანდრონიკაშვილი, 1969** – მ. ანდრონიკაშვილი, ახალი სპარსული ბგერების გადმოცემისათვის ქართულში. იხ. თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს. თბ., 1969.

**ანდრონიკაშვილი, 1996** – მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთი-ერთობიდან. მასალები ქართული ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის, ტ. II, ნაწ. I, თბ.

**ანთელავა, 1999** – ი. ანთელავა, ოდიშის სამთავრო ძველ დადიანთა მმართველობის ხანაში. კრ. "სამეგრელო (არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ხუროთმოძღვრებისა და ეთნოლოგიის ნარკვევები)", თბილისი-ზუგდიდი, 1999.

**აფრიდონიძე, 1987** – შ. აფრიდონიძე, ზანური ანთროპონიმიის ზოგიერთი საკითხისათვის (კელავ ჭაკობია, ქორდანიას ტიპის გვარების შესახებ). ონომასტიკა, I, თბ., 1987.

**აფრიდონიძე, 1988** – შ. აფრიდონიძე, "თუნდა წაბლიანს დავარქმევ..." ჟურნ. "ბალავერი", 2-3, 1988.

**ახვლედიანი, 1923** – გ. ახვლედიანი, შენიშვნები "ვქარები, ქარე"-ს შესახებ. "ჩვენი მეცნიერება", 1923, 6-7.

**ახვლედიანი, 1999** – გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1999.

**ახუაშვილი, 1999** – ი. ახუაშვილი, გელოვანები, თბ., 1999.

**ბაგრატიონი, 1997** – იოანე ბაგრატიონი, აღწერა საქართველოს თავად-აზნაურთა გვარებისა, თბ.

**ბალათურია, 1998** – ნ. ბალათურია, თურქული სატომო სახელები ქართულ დიალექტებსა და ფოლკლორში (ყაზახი, ალანი). ქართველური მემკვიდრეობა, II, ქუთაისი, 1998.

**ბალიშვილი, 1998** – ა. ბალიშვილი, ბალვაშები. აია, 2, 1998.

**ბალიშვილი, 1999** – ა. ბალიშვილი, ბალვაშები (II ნაწილი). აია, 7, 1999.

**ბედოშვილი, 1991** – გ. ბედოშვილი, ანრთროპონიმული დაკვირვებანი, III. ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 1991.

**ბედოშვილი, 1997** – გ. ბედოშვილი, ანთროპონიმული დაკვირვებანი, IV. ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 1997.

**ბერაძე, 1999** – თ. ბერაძე, ოდიშის სამთავრო დადიან-ჩიქოვანთა დინასტიის მმართველობის ხანაში. კრ. "სამეგრელო (არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ხუროთმოძღვრებისა და ეთნოლოგიის ნარკვევები)", თბილისი-ზუგდიდი, 1999.

**ბერძენიშვილი, 1964** – ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I, ისტორიული გეოგრაფია, თბ., 1964.

**ბოროზდინი, 1934** – კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი, ტფ., 1934.

**გაბელაია, 1996** – ი. გაბელაია, აბაშის ხეობის გვარსახელების ეთნოისტორიული საკითხები (სოფელ სეფიეთის მასალების მიხედვით). ქართველური მემკვიდრეობა, I, ქუთაისი, 1996.

**გაბელაია, 1998** – ი. გაბელაია, სოფელ ძველი აბაშის გვარსახელები (ეთნოისტორიული შესწავლის ცდა). ქართველური მემკვიდრეობა, II, ქუთაისი, 1998.

**გამბა, 1987** – ჟაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, თბ., 1987.

**გამყრელიძე, 2000** - თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა სტრუქტურის ზოგი საკითხი. "რჩეული ქართველოლოგიური შრომები", თბ., 2000.

**გასვიანი, 1998** – გ. გასვიანი, აფხაზეთი. ძველი და ახალი აფხაზები. თბ., 1998.

**გვანცელაძე, 1998** – თ. გვანცელაძე, ილორისა და წებელდის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა XI-XIII საუკუნეთა ორი ლაპიდარული წარწერის მიხედვით. ქუთაისური საუბრები, V. 1998.

**გვანცელაძე, 1999** – თ. გვანცელაძე, გვარსახელ ჩიქობავას ეტიმოლოგიისათვის (ხელნაწერი).

**გვარ-სახელები...** - ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, გვარ-სახელები საქართველოში, თბ., 1997.

**გოდერძიშვილი, 1998** – ქ. გოდერძიშვილი, სუფიქსი და ონიმის სუბიექტურ-ემოციური ელფერი (-ა, -იკ, -იკა). ქსს, VII, 1998.

**გურგენიძე, ჯიქია, 1994** – ნ. გურგენიძე, მ. ჯიქია, თურქული წარმომავლობის ანთროპონიმები ქართულში, თბ., 1994.

**დონდუა, 1967** – ვ. დონდუა, "ლიპარიტეთისა" და ანალოგიური გვარსახელებისათვის ქართულ ისტორიულ წყაროებში. საისტორიო ძიებანი, I, 1967.

**ელიავა, 1997** – გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997.

**ეტიმ. ლექსიკონი** - ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990.

**ზურაბიშვილი, 1961** – თ. ზურაბიშვილი, ტოპონიმიკის შესწავლისათვის. ქესს, II, თბ., 1961.

**ზუხბაია, 1998** – ვ. ზუხბაია, აფხაზეთო ჩემო, თბ., 1998.

**ზუხბაია, 2000** – ვ. ზუხბაია, ქართული გვარ-სახელები და ტოპონიმები აფხაზეთში, თბ., 2000.

**ვახუშტი, 1973** - ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973.

**თოფჩიშვილი, 1993** – რ. თოფჩიშვილი, ლეჩხუმური გვარსახელები, თბ., 1993.

**თოფჩიშვილი, 1997** – რ. თოფჩიშვილი, როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები, თბ., 1997.

**თოფურია, 1923** – ვ. თოფურია, გეოგრაფიულ სახელთა -თა სუფიქსისათვის ქართულში. ჩვენი მეცნიერება, 1923, 11-12.

**თოფურია, 1961** – ვ. თოფურია, ლეჩხუმური. ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961.

**თოფურია, 1979** – ვ. თოფურია, შრომები, III, 1979.

**ინგოროყვა, 1941** - პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. I, თბ., 1941.

**კაჭარავა, 1960** – გ. კაჭარავა, ზოგი გეოგრაფიული სახელწოდების აგებულებისათვის ქართველურ ენებში. პუშკინის სახელობის თსპი შრომები, ტ. 15, თბ., 1960.

**ლამბერტი, 1991** – დონ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა. გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო პროფ. ილია ანთელავამ, თბ., 1991.

**ლომთათიძე, 1987** – ქ. ლომთათიძე, ნათესაობის ზოგი სახელის წარმოებისა და კნინობითობის –ია სუფიქსის საკითხი ქართულში. იკე, XXVI, თბ., 1987.

**ლორთქიფანიძე, 1969** – გ. ლორთქიფანიძე, ვანური ანთროპონიმი. "ლიტერატურული საქართველო", I, 1969.

**მაისურაძე, 1979** - ქართული გვარსახელები. სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია. თბ., 1979.

**მაისურაძე, 1990** – ქართული გვარსახელები (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები), თბ., 1990.

**მაკალათია, 1941** - ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.

**მაღრაძე, 1995** - ვ. მაღრაძე, ქართული გვარსახელებისაგან ნაწარმოები ოიკონიმები, იკე, XXXIII.

**მაყაშვილი, 1997** – ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1991.

**მეტრეველი, 1962** – ე. მატრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.), თბ., 1962.

**მიბჩუანი, 1999** – თ. მიბჩუანი, აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლები და ეპიგრაფიკა, თბ..

**მორფ. ლექსიკონი** - ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988.

**მჭედლიშვილი, 1998** – მ. მჭედლიშვილი, შტოგვარები სოფ. ქვემო მაღაროში. ქართველური ონომასტიკა, I, თბ., 1998.

**ნანობაშვილი, 1988** - ბ. ნანობაშვილი, საოჯახო ყოფა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1988.

**ნარაკიძე, 1997** – ც. ნარაკიძე, ზოგი კოლხური გვარსახელის შესახებ. XVII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ.

**ონიანი, 1979** - ჯ. ონიანი, სვანური გვარის ეთნოლინგვისტური ანალიზისათვის. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 2, 1979.

**პალ, I** - პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, თბ., 1991.

**პალ, II** - პირთა ანოტირებული ლექსიკონი, II, თბ., 1993.

**ჟორდანია, 1967** – თ. ჟორდანია, ქრონიკები, თბ., 1967.

**როგავა, 1955** – გ. როგავა, ზოგი ქართული გვარის სუფიქსაციისათვის. ალ. წულუკიძის სახელობის ქსპი შრომები, XIII, ქუთაისი, 1955.

**როგავა, 1970** - ჯ. როგავა, მეუნარგიათა გვარის წარმოშობის შესახებ. ჟურნ. "ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში", 2, 1970.

**სარჯველაძე, 1984** – ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.

**სარჯველაძე, 1995** – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1995.

**სოსელია, 1960** – ო. სოსელია, მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში (XVII ს. მიწურულიდან XIX ს. 40-იან წლებამდე), თბ., 1960.

**სოსელია, 1973** – ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), I, თბ., 1973.

**სოსელია, 1981** – ო. სოსელია, იგივე, II, თბ., 1981.

**სოსელია, 1990** – ო. სოსელია, იგივე, III, თბ., 1990.

**ტუღუში, 1991** – ა. ტუღუში, ანაკლიის ისტორია, ზუგდიდი, 1991.

**უთურგაიძე, 1976** – თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976.

**ფიფია, 1999** – დ. ფიფია, მეგრულ-ქართული სალექსიკონო მასალები, თბ., 1999.

**ფოჩხუა, 1966** - ბ. ფოჩხუა, სიტყვაწარმოება და ლექსიკოლოგია, იკე, XV, 1966.

**ფოჩხუა, 1974** - ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.

**ქალდანი, 1953** – მ. ქალდანი, ელიზია სვანურ ენაში, იკე, ტ. V, 1953.

**ქალდანი, 1976** – მ. ქალდანი, -ავ სუფიქსის საკითხისათვის მეგრულ გვარებში. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია. ენათმეცნიერების ინსტიტუტი. XXXII სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1976.

**ქალდანი, 1980** – მ. ქალდანი, -ელ/-ავ სუფიქსთა საკითხისათვის ქართველურ გვარსახელებში. იკე, ტ. XXII, 1980.

**ქართლის ცხოვრება, 1955** – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.

**ქართლის ცხოვრება, 1973** – ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.

**ქეგლ** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-XIII, 1950-1964.

**ქობალია, 1999** – მ. ქობალია, სამეგრელოს სათავადაზნაურო საგვარეულოები. კრ. "სამეგრელო (არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ხუროთმოძღვრებისა და ეთნოლოგიის ნარკვევები)", თბილისი-ზუგდიდი, 1999.

**ქსს** – ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები. ანთროპონიმთა ლექსიკონი, თბ., 1986.

ქსძ, III – ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970.
ღლონტი, 1984 – ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ღლონტი, თბ., 1984.
ყიფშიძე, 1994 - ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994.
შავიანიძე, 1998 – დ. შავიანიძე, სვანეთის მოსახლეობის ოკრიბაში მიგრაციის ისტორიიდან (გვარსახელთა ეთნოისტორიული მონაცემების მიხედვით). ქართველური მემკვიდრეობა, II, ქუთაისი, 1998.
შანიძე, 1959 – აკ. შანიძე, ეტიმოლოგიური შენიშვნები. კ. კეკელიძისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ.
შანიძე, 1958 – აკ. შანიძე, ეტიმოლოგიური შენიშვნები. ჯაკონია. კერპი. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1958, ტ. 20, 5.
შანიძე, 1973 – აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.
შანიძე, 1981 . - აკ. შანიძე, ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში. შრომები, ტ. II, თბ., 1981.
შონია, 1997 – ან. შონია, გვარები მეტყველებენ... თბ., 1997.
ჩანტლაძე, 1998 – ი. ჩანტლაძე, ქართველოლოგიური ძიებანი, თბ., 1998.
ჩიქობავა, 1942 – არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.
ჩუბინაშვილი, 1984 – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.
ჩუბინაშვილი, 1961 – ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961.
ცხადაია, 1985 – პ. ცხადაია, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია. ენათმეცნიერული ანალიზი. თბ., 1985.
ცხადაია, 1986 – პ. ცხადაია, სვანური სუბსტრატის საკითხისათვის სამეგრელოს ტოპონიმიაში. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 122, I, 1986.
ცხადაია, 1988 – პ. ცხადაია, ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1988.
ცხადაძე, 1996 - ბ. ცხადაძე, ქართველურ (მეგრულ-ჭანურ, სვანურ, ქართულ) გვარსახელთა ისტორიისათვის. შესავალი წერილი ნ. ჯომიდავას წიგნისა "კოლხური გვარსახელები", თბ., 1996.
ძიძიგური, 1946 – შ. ძიძიგური, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში. იკე, I, 1946.
ძოწენიძე, 1974 - ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974.
ჭანტურია, 1999 – ს. ჭანტურია, ჭანტურიას გვარის ეტიმოლოგიის შესახებ. აია, 7, 1999.
ჭარაია, 1997 – პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997.
ჭუმბურიძე, 1987 – ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, თბ., 1987.
ჭუმბურიძე 1993 – გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახები. ფოტოტიპიური გამოცემა ზურაბ ჭუმბურიძ[illegible] და ქეელი ჩხატარაიშვილის რედაქციით, თბ., 1993.
ჭუმბურიძე, 1999 – იმერეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები. ფოტოტიპიური გამოცემა პროფ. ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით, თბ., 1999.
ხორნაული, 1994 – გ. ხორნაული, ქართული გვარების საკითხი. ონომასტიკური კრებული, თბ., 1994.
ჯავახიშვილი, 1937 – ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესა… თბ., 1937.
ჯანაშია, 1959 – ს. ჯანაშია, შრომები, III, თბ., 1959.
ჯომიდავა, 1996 – ნ. ჯომიდავა, კოლხური გვარსახელები, თბ., 1996.
გორბანევსკი, 1982 – М.В. Горбаневский, Основной принцип номинации в русских названия населенных пунктов. Филологические науки, 1, М., 1982.
კარპენკო, 1980 – А. Ю. Карпенко, Деминутивное антропонимическое слово-образование. Вопросы ономастики, Свердловск, 1980.
კლიმოვი, 1962 – Г. А. Климов, Склонение в картвельских языках в сравнительно-историческ.. аспекте, М., 1962.
მეგრელიძე, 1938 – И. В. Мегрелидзе, Аазский и мегрельский слои в гурийском, М.-Л.
ნიკონოვი, 1965 – В. А. Никонов, Введение в топонимику, М., 1965.
ნიკონოვი, 1969 – В. А. Никонов, География русских суффиксов. Onomastica, т. V, №2. Вроцлав-Краков, 1969.
ნიკონოვი, 1974 – В. А: Никонов, Имя и общество, М., 1974.
ნიკონოვი, 1989 – В. А. Никонов, Системы личных имен. Вместо введения. Сб. "Системы личных имен у народов Мира", М.,1989.
პოდოლსკაია, 1988 – Н. В. Подольская, Словарь русской ономастической терминологии, М.
პოპოვი, 1965 – А. И. Попов, Географические названия, М.-Л., 1965.
წულაია, 1989 – Г. В. Цулая, Грузины. კრ. "Системы личниых имен у народов Мира", М..

## შემოკლებანი

ადგ. - ადგილობრივი
ამბრ. - ამბროლაური
ალმ. - აღმოსავლეთი
ბათ. - ბათუმი
ბაღდ. - ბაღდათი
ბ.-მ. - ბანძურ-მარტვილური
ბოლნ. - ბოლნისი
გარდ. - გარდაბანი
გურჯ. - გურჯაანი
დ. - დიდი
დაბად. - დაბადებული
დას. - დასავლეთი
ზ. - ზემო
ზან. - ზანური
ზ.-ს. - ზუგდიდურ-სამურზაყანული
ზუგდ. - ზუგდიდი
თბ. - თბილისი
დასახ. - დასახლებული
ინფ. - ინფორმატორი
ისტ. - ისტორიული
კ. - კომლი
ლაგოდ. - ლაგოდეხი
ლანჩხ. - ლანჩხუთი
ლენტ. - ლენტეხი
მ. - მეორე
მარტვ. - მარტვილი
მარც. - მარცხენა
მარჯ. - მარჯვენა
მეგრ. - მეგრული
მრ. - მრავლობითი
ოზურგ. - ოზურგეთი
ოტ - ოიკონიმური ტერმინი
ოთ – ოიკონიმური ფორმანტი
პ. - პირველი
რ. - რაიონი
რუსთ. - რუსთავი
ს. - საუკუნე
საისტ. - საისტორიო
სამტრ. - სამტრედია
საჩხ. - საჩხერე
სახ. სახელობითი
სვან. - სვანური
სოფ. - სოფელი
სს – საუკუნეები
ტოპ. - ტოპონიმი, ტოპონიმები
ტყიბ. - ტყიბული
ქ. - ქალაქი
ქარ. - ქარელი
ქართ. - ქართული
ქვ. - ქვემო
ქობ. - ქობულეთი
ქუთ. - ქუთაისი
ყვარ. - ყვარელი
შუახ. - შუახევი
ჩხორ. - ჩხოროწყუ
ცაგ. - ცაგერი
წალენჯ. - წალენჯიხა
წყალტ. - წყალტუბო
ჭან. - ჭანური
ჭიათ. - ჭიათურა
ხარაგ. - ხარაგაული
ხაშ. - ხაშური
ხელვაჩ.-ხელვაჩაური

## შინაარსი

[illegible]
ნაწილი პირველი. თავი პირველი. გვარსახელი, მისი წარმოშობა და ფუნქცია
თავი მეორე. კოლხური გვარსახელები
თავი მესამე. ოიკონიმია
ნაწილი მეორე გვარსახელთა ლექსიკონი
ლიტერატურა
შემოკლებანი

კომპიუტერზე ააწყო ავტორმა
[illegible]ბადონა ტატო ხუხუამ

დაიბეჭდა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტზე

© გვარები და გვართა დასახლებანი საქართველოში